IV ტომი

მსოფლიო ლიტერატურა

რჩეული მოთხრობები

გამომცემლობა „ლია“

თბილისი — 2008

გამოცემის იდეა – გია მურღულია

გამოცემის მთავარი რედაქტორი – ბეგო ბეჟუაშვილი

ავტორ-შემდგენელნი – გია მურღულია, ბეგო ბეჟუაშვილი

გრაფიკა – ამირან ისიანი
გარეკანის დიზაინი – გია ჩიქვანაია
ინფორმაცია მწერალთა შესახებ – ნინო მურღულია

© გია მურღულია, ბეგო ბეჟუაშვილი, გამომცემლობა

ISBN 978-99928-42-33-1

გამომცემლობა „დია“ წიგნის გამოცემაში გაწეული დახმარებისათვის მადლობას უხდის შპს „მშენებლობის ექსპერტი და მედიატორი“-ს გენერალურ დირექტორს –
ბატონ მერაბ მურღულიას.

ფიოდორ დოსტოევსკი

30.10.1821 – 28.01.1881

დიდი რუსი მწერალი, დაიბადა მოსკოვში, ექიმის ოჯახში; დაამთავრა პეტერბურგის სამხედრო-საინჟინრო სასწავლებელი (1843), 1846 წელს აქვეყნებს რომანს „საბრალო ადამიანები“, რომელსაც სახელი და აღიარება მოაქვს. შემდგომ ზედიზედ გამოდის მოთხრობები: „ორეული“ (1846), „დიასახლისი“ (1847), „თეთრი ღამეები“ (1848), „ნეტოჩკა ნეზვანოვა“ (1849); ამ პერიოდში დოსტოევსკის მსოფლმხედველობა ვითარდებოდა ბელინსკისა და დასავლეთ-ევროპელ სოციალისტ-უტოპისტთა იდეების ზეგავლენით. 1849 წელს მას სხვა პეტრაშევსკელებთან ერთად აპატიმრებენ და სიკვდილს უსჯიან, რაც ციმბირის კატორღით ეცვლება; მხოლოდ 1859 წელს დართეს ცენტრალურ რუსეთში დაბრუნების ნება. ამ პერიოდში გამოქვეყნდა მისი თხზულებები – „ბიძის სიზმარი“ (1859), „სოფელი სტეპანჩიკოვო და მისი მცხოვრებნი“ (1859), რომანი „დამცირებულნი და შეურაცხყოფილნი“ (1861); კატორღის ცხოვრებას ასახავს იმ პერიოდის ყველაზე მნიშვნელოვანი ნაწარმოები „ჩანაწერები მკვდარი სახლიდან“ (1861-62); დოსტოევსკის მთავარი რომანებია – „დანაშაული და სასჯელი“ (1866), „იდიოტი“ (1868), „ეშმაკნი“ (1871-72), „ყმაწვილი“ (1875), „ძმები კარამაზოვები“ (1879-80). იგი ეწეოდა ჟურნალისტურ და პუბლიცისტურ მოღვაწეობასაც, ძმასთან ერთად, გამოსცემდა ჟურნალებს, „ვრემია“ (1861-63), „ეპოხა“ (1864-65), 1873-74 წლებში რედაქტორობდა გაზეთ-ჟურნალს „გრაჟდანინ“, ბეჭდავდა „მწერლის დღიურს“, რომელშიც, პუბლიცისტერ წერილებთან ერთად, აქვეყნებდა მხატვრულ ნაწარმოებებსაც. დოსტოევსკი არამარტო დიდი მწერალი, დიდი მოაზროვნე, ფილოსოფოსიც იყო. შემთხვევითი როდია, რომ თანამედროვე, ისეთი გავრცელებული მიმდინარეობანი, როგორიც ფსიქოანალიზი და ეგზისტენციალიზმია, დოსტოევსკის შემოქმედებაში ეძიებს თავის სათავეს. „ადამიანებს, შეუძლიათ იყვნენ მშვენიერნი და ბედნიერნი და არ დაკარგონ დედამიწაზე ცხოვრების უნარი. მე არ მინდა და არ შემიძლია დავიჯერო, რომ ბოროტება შეიძლება იყოს ადამიანის ნორმალური მდგომარეობა“, – წერდა იგი. ძნელი წარმოსადგენია არამარტო რუსული, არამედ მსოფლიო მწერლობა დოსტოევსკის შემოქმედების გარეშე, მისი, როგორც გენიალური მწერლის წინაშე, დღესაც მოწიწებით თაავს ხრის მსოფლიოს არაერთი დიდი შემოქმედი.

თვინიერი

ფანტასტიკური მოთხრობა

ავტორისაგან

დე, მომიტევოს მკითხველმა, რომ ჩვეულებრივი „დღიურის“ ნაცვლად მოთხრობას ვთავაზობ, თუმცა ამ მოთხრობას ლამის ერთი თვე შეეალიე. და მაინც მინდა მკითხველებს შენდობა ვთხოვო.

ახლა თვითონ მოთხრობაზე მოგახსენებთ, რომელსაც „ფანტასტიკური“ დავარქვი, თუმც ნამდვილ ამბად მიმაჩნია, ფანტასტიკური მაინც აქვს რაღაც და ეს მოთხრობის ფორმა გახლავთ, სწორედ ამისი ახსნა მივიჩნიე წინდაწინვე საჭიროდ.

საქმე ისაა, რომ ეს არც მოთხრობაა და არც ჩანაწერები. წარმოიდგინეთ კაცი, ვისაც ამ რამდენიმე წუთის წინ ფანჯრიდან გადავარდნილი ცოლი უსვენია მაგიდაზე. იგი შეძრწუნებულია, აზრი ვერ მოუკრიბავს. დადის წინ და უკან ოთახებში და ცდილობს მომხდარი ამბავი გაისაზროს, ფიქრებს „თავი მოუყაროს“. ისიც ინიშნეთ, რომ მოურჯულებელი იპოქონდრიკოსია, თავის თავთან ლაპარაკს მიჩვეული. ჰოდა, დადის და ლაპარაკობს, ჰყვება მთელ ამბავს, უნდა გაერკვიოს ყველაფერში. ვითომ

დალაგებით ლაპარაკობს და მაინც ხშირად ეწინააღმდეგება საკუთარ თავს. ხან ამართლებს თავის საქციელს და ამტყუნებს ცოლს, ხან სულ სხვა რაღაცაზე იწყებს მსჯელობასა და ბჭობას: იგრძნობა დაუგეშავი ფიქრი და ღრმა განცდა, იგრძნობა დიდი სიყვარულიც. ნელ-ნელა მართლა არკვევს ყველაფერს და „თავს უყრის ფიქრებს". მთელი რიგი მოგონებებისა ნათელს ჰფენს სიმართლეს. სიმართლე კი ამაღლებს გონებასა და გულს მისას. მოთხრობის დასასრული შედარებით უფრო დალაგებულია, ვინემ დასაწყისი. სიმართლე საკმაოდ ნათელი და ცხადი ხდება უბედურისთვის, ყოველ შემთხვევაში, მას ასე მიაჩნია.

აი, ეს გახლავთ თემა. რა თქმა უნდა, თხრობა რამდენიმე საათს გრძელდება, ნაწყვეტ-ნაწყვეტ და არეულად: იგი ხან თავის თავს ესაუბრება, ხან — თითქოს უხილავ მსმენელს, თითქოს ვიღაცა მსაჯულს მიმართავს. სინამდვილეშიც ხომ ასე ხდება. სტენოგრაფს რომ მალულად მოესმინა და ჩაეწერა მისი ნალაპარაკევი, ეგებ ჩემს ნაწერზე უფრო გაუმართავი და გაუშალაშინებელი ყოფილიყო, ოღონდაც ფსიქოლოგიური თანამიმდევრობა, რამდენადაც მგონია, მაინც იგივე დარჩებოდა. სწორედ ეს ვარაუდი, სტენოგრაფს რომ ჩაეწერა, მე კი გამეშალაშინებინა-მეთქი, გახლავთ იმის მიზეზი, მოთხრობას რომ ფანტასტიკური ვუწოდე. მაგრამ ამგვარი შემთხვევები ხელოვნებაში ხომ რამდენიმე გახლავთ. ერთ-ერთ მაგალითს ვიქტორ ჰიუგოს შედევრი „სიკვდილმისჯილის უკანასკნელი დღე" წარმოადგენს, სადაც ავტორმა იგივე ხერხი იხმარა. მართალია, სტენოგრაფიისთვის არ მიუმართავს, მაგრამ განა უფრო დაუჯერებელი არ გახლავთ იმის წარმოდგენა, თითქოსდა სიკვდილმისჯილს შეუძლია (ან დრო აქვს) უკანასკნელ დღეს კი არადა, ლამის უკანასკნელ საათსა და წუთს დღიური წეროს. თუმცა ეს მისი ფანტაზია რომ არა, არც ეს ნაწარმოები გვექნებოდა — ყველაზე ნამდვილი და მართალი ყველა მის თხზულებათა შორის.

თავი პირველი

I

ვინ ვიყავ მე და ვინ იყო იგი

...ვინემ აქა მყავს, კიდევ რა მიშავს: მალიმალ მივალ და დავხედავ მაინც. მაგრამ ხვალ რომ წაიყვანენ, რაღა ვქნა მერე, ვით დავრჩე მარტო? ახლა დარბაზში ასვენია, ბანქოს ორ მაგიდაზე. კუბოს ხვალ მოიტანენ, თეთრს, თეთრიევ აბრეშუმით გადაკრულს, თუმცა რას ვბოდავ... აგერ, დავდივარ, დავდივარ, სულ მინდა გავარკვიო ყველაფერი. ექვსი საათია, ეცდილობ გავარკვიო, აზრებს თავი მოვუყარო... მე კი დავდივარ წინ და უკან... არა, ავდგები და დალაგებით მოვყევები ყველაფერს (ჰმ, დალაგებით!), როგორც ხედავთ, ლიტერატორი არ გახლავართ. მერე რა ვუყოთ,მეც ისე მოვყევები, როგორც მესმის. ვაიმე, ნეტამც არ მესმოდეს.

თუ გნებავთ იცოდეთ, ანუ თავიდან რომ მოვყვე ყველაფერს, პირველად რაღაც-რაღაცეები მომიტანა დასაგირავებლად. მაშინ ფული სჭირდებოდა, „გოლოსში“ უნდოდა განცხადება დაებეჭდა, ასე და ასეო, აღმზრდელი ქალის ადგილს დავეძებო, გინდაც ქალაქიდან შორს იყოსო, გინდაც შინ მეცადინეობა იყოსო, თუ სხვა და სხვა. ასე დაიწყო თავიდან. რა თქმა უნდა, სხვებისგან არ გამირჩევია. მოდის ისე, როგორც სხვები, მორჩა და გათავდა, მერე კი გავარჩიე. ტანწერილი იყო, გამხდარი, ქერა, ასე საშუალო ტანისა. თითქოს ერიდებოდა, რცხვენოდა ჩემი (მგონი, უცხოებთან სჩვეოდა ასე, მეც უცხო ვიყავ მისთვის, უცხო, როგორც ადამიანი და არა როგორც მევახშე). მივცემდი ფულს და გატრიალდებოდა, წავიდოდა. მისი ხმა არ გამიგია. სხვა გედავება, გეხვეწება, გევაჭრება, ის ყველაფერზე ყაბულს იყო... მგონი, აზრი მერევა... ჰო, ყველაზე მეტად მისმა მოტანილმა გირაომ გამაოცა: მოოქრულმა ვერცხლის საყურეებმა, უვარგისმა მედალიონმა. შაურის ფასი რომ ჰქონდა, თვითონაც იცოდა, მაგრამ ვატყობდი კი, ძვირად ულირდა. მერე გავიგე, დედ-მამისაგან სხვა არაფერი დარჩენია. მხოლოდ ერთხელ გამეღიმა მის გირაოზე. არა, არ იფიქროთ, ამის ნებას ჩემს თავს ვაძლევდე – მუშტრებთან მუდამ ჯენტლმენი ვარ, მოკლედ მოვუჭერი, ოღონდაც ზრდილობიანად და გოროზად. დიახ, დიახ, გოროზად. იმან კი, ენახოთ, რაღაც ნაკუწები (მართლა ნაკუწები) მომიტანა გაქუცული კურდღლის ქურქისა. თავი ვერ შევიკავე და რაღაცა ვუთხარი, ასე ვთქვათ, გავემასხრე. ღმერთო, როგორ აელანძა პირისახე! როგორ დამიბრიალა

დიდრონი ცისფერი თვალები! მაგრამ კრინტი არ დაუძრავს, მოხვეტა ის „ნაკუწები“ და გავიდა. მაშინ მიეაქციე ყურადღება და რაღაცამ გამიელვა თავში, მაშასადამე, რაღაც მომაფიქრდა იმწამს. კი, მახსოვს მაშინდელი შთაბეჭდილება: რომ მეტისმეტად ახალგაზრდაა, ლამის თოთხმეტი წლის გეგონება, ისე კი თურმე თექვსმეტ წელს სამი თვე უკლდა. თუმცა ეს არ გახლავთ მთავარი. მეორე დღეს ისევ მომადგა. მერე გავიგე, დობრონრავოვთან და მოზერთანაც მიუტანია ის ბეწვი, მაგრამ ისინი ოქროს იღებენ მხოლოდ, არც დაალაპარაკეს თურმე. მე კი ერთხელ კამეა გამოვართვი (დიდი არაფერი შვილი იყო) — მერე თვითონვე გამიკვირდა. მეც ხომ ოქრო-ვერცხლის გარდა გირაოდ არაფერს ვიღებ, იმას კი კამეა გამოვართვი. მახსოვს, მაშინ მეორედ ვიფიქრე მასზე.

იმჯერად, მოზერიდან წამოსულმა, ქარვის მუნდშტუკი მომიტანა. ვინც მისთანების მოყვარულია, მისთვის რა უშავს, მაგრამ ჩვენთვის კაპიკად არ ღირს, ჩვენთვის ფასი მხოლოდ ოქროს აქვს. ჰოდა, რახან გუშინ ნაწყენი წავიდა ჩემგან, გოროზად შევხვდი, მაშასადამე, ცივად, მაგრამ ორი მანეთი მაინც მივეცი. ეს კია, თავი ვერ შევიკავე. ცოტა არ იყოს ბრაზით ვუთხარი: „თქვენი ხათრით, თორემ ამას არც მოზერი დაიგირავებდა“. დიახ, გულმოსული გახლდით. თქვენი ხათრითო, რომ გაიგონა, ისევ წამოენთო პირისახე, მაგრამ კრინტი არ დაუძრავს, არც ფული მოუყრია უკან — გაჭირვება, ბატონო! მაგრამ ჰოი, რა ცეცხლი წაეკიდა პირზე! მივხვდი, გულში ისარივით მოხვდა ჩემი ნათქვამი. ხოლო მისი წასვლის შემდეგ ჩემს თავს ვკითხე: ნეტა ღირს-მეთქი ეს გამარჯვება ორი მანეთი? ჰე, ჰე! დიახ, სწორედ ორჯერ ვკითხე ჩემს თავს: ნეტა ღირს-მეთქი? ნეტა ღირს-მეთქი? და ღიმილითვე დაეუკარ კვერი. ძალიან გამამხიარულა მაშინ ამ ამბავმა. მაგრამ სიბოროტით არ მითქვამს, არა, განგებ ვუთხარი ასე, გამოცდა მინდოდა მისი. რაღაც ფიქრმა გამკრა მაშინ მის თაობაზე. ეს მესამედ ვიფიქრე მასზე.

ჰოდა, მას აქეთ დაიწყო ყველაფერი. თქმა რად უნდა, მაშინვე გამოვიკითხე მისი ამბები. მოუთმენლად ველოდი მის მოსვლას. გული მიგრძნობდა, მალე მომაკითხავს-მეთქი. ჰოდა, მოსვლისას ფრიად ზრდილად ვებაასე. მე, ბატონო, ვერც აღზრდას და ვერც თავდაჭერას ვერავინ დამიწუნებს. ჰმ, მაშინ მივხვდი, რა უწყინარი, რა თვინიერი ვიღაცა იყო. სწორედ მისთანა უწყინართ და თვინიერთ არ ძალუძთ გაძალიანება. თუმც გულს მთლიანად არ გაგიხსნის, შენთან საუბრისგან თავს ვერ დაიძვრენს, ძუნწად გაგცემს პასუხს, მაგრამ ხომ გაგცემს. ხოლო თუ

ღმერთს შენთვის მოთმინებაც მოუცია, მეტსა და მეტს დასცანცლავ. საკვირველია, თვითონ მას ჩემთვის არაფერი უთქვამს მაშინ. „გოლოსში“ დაბეჭდილ განცხადებებსა თუ სხვა რამ ამბებზე მერმე შევიტყვე. მაშინ განცხადებას განცხადებაზე ათავსებდა. თავდაპირველად, რა თქმა უნდა, გოროზად: ასე და ასეო, აღმზრდელი ქალის ადგილს დაეძებო, თანახმა ვარ, თუნდაც სხვა ქალაქში იყოსო. პირობები წერილობით გამომიგზავნეთო; მერე: თანახმა ვარ ყველაფერზე, სწავლება, კომპანიონობა, ოჯახის მიხედვა თუ ავადმყოფის მოვლა იქნება, ჭრა-კერვაც მეხერხებაო. როცა ყველა იმედი გადაეწურა, ბოლოს ასეც დაბეჭდა: ჯამაგირს არ მოვითხოვ, სასმელ-საჭმლით უზრუნველყოფაზეც თანახმა ვიქნებიო. ადგილი კი მაინც ვერ იშოვა! მაშინ გადავწყვიტე უკანასკნელად გამომეცადა. ავიღე იმდღევანდელი „გოლოსი“ და წავუკითხე განცხადება: „ახალგაზრდა, დედ-მამით ობოლი ქალი პატარა ბავშვების აღმზრდელის ადგილს დაეძებს ხნიერი ქვრივის ოჯახში. შინაურ საქმეებშიც დაეხმარება“.

— აბა ნახეთ, ამ დილას დაბეჭდა, საღამოს კი ალბათ უკვე იშოვა ადგილი, განცხადება ასეთი უნდა.

ისევ წაეკიდა ალმური პირზე, დამიბრიალა თვალები, ზურგი მაქცია და წავიდა. ძალიან მომეწონა, თუმცა მაშინ აღარც ვეჭვობდი. განა მუნდშტუკებს გირაოდ ყველა მიიღებს, იმას კი აღარც მუნდშტუკები შერჩა. მართლაც, მესამე დღეს მომადგა, გაცრეცილი, აღელვებული. მივხვდი, ოჯახში აყალმაყალი მოუხდა-მეთქი. მართლაც, ასე ყოფილიყო. ახლავე აგიხსნით, რაც იყო, ოღონდაც ის მინდა გავიხსენო, როგორ გამოვიჩინე მაშინ თავი და როგორ ავმაღლდი მის თვალში. ასე ვინდომე მაშინ. საქმე ისაა, რომ ხატი მომიტანა (როგორც იყო, გადაწყვიტა მოტანა)... ოჰ, ყური მიგდეთ! ყური მიგდეთ! ახლა იწყება თავიდათავი, აქამდე მხოლოდ ბოდვა იყო... ეაჰმე, რომ ყველაფერი მინდა მოვიგონო, ყოველი წვრილმანი, სულ პაწაწინა წვრილმანიც კი. სულ მინდა აზრებს მოვუყარო თავი და ვერ მომიყრია. ოჰ, ეს წვრილმანები, ეს წვრილმანები...

ღვთისმშობლის ხატი იყო. ღვთისმშობლისა და ყრმა იესოსი, საოჯახო, ძველებური, ოქროს ნაფერი ვერცხლით ნაბეჭდი. დიდი-დიდი, ექვსი მანეთი ღირდა. შევატყვე, რარიგ ეძვირფასება, მთლიანად უნდა დააგირაოს, ნაჭედობის მოხსნა არ უნდა. ეუთხარი, ვერცხლი ახსენით, ხატი კი უკან წაიღეთ, რაც უნდა იყოს, ხატია-მეთქი.

— განა აკრძალულია?

— არა, ვინ აგვიკრძალავს, მე თქვენთვის ვამბობ...

— მაშინ აგიხსნით.

დავფიქრდი და მერე ვუთხარი:

— არა, არ ავხსნი, აგერ იქ, სახატეში დავდგამ, სხვა ხატებთან, კანდელის ქვეშ (რა წამს სალაროს გავხსნი, კანდელს მაშინვე ვანთებ ხოლმე). თქვენ კი ათ მანეთს მოგართმევთ.

— ათი არა, ხუთი იყოს, მერე უთუოდ გამოვიხსნი.

— მაშასადამე, ათი არ გნებავთ? ისე კი ღირს, — დავუმატე ესეც, რახან შევატყვე, ისევ აუბრიალდა თვალები, თუმცა აღარაფერი უთქვამს. გამოვუტანე ხუთი მანეთი და მივეცი.

— ამრეზით ნურავის შეხედავთ, მეც გამომიცდია გაჭირვება, თქვენზე უარესი. თუკი ამ საქმეს მივდევ... ეს შედეგია იმისა, რაიც ვიწვნიე...

— და ახლა საზოგადოებაზე შურს იძიებთ? — გამაწყვეტინა ანაზდად საკმაო გესლით, თუმცა უწყინრად (მაშინ სხვებისგან არ მარჩევდა და იმიტომაც უწყინრად გამოუვიდა). „ოჰო! — ვიფიქრე. — ხასიათს აჩენს, ახალ იდეებს ეზიარება“.

— ხომ იცით, — ჩავუქარაგმე მაშინვე ვითომ ხუმრობით, — „მე ვარ ნაწილი მთელის იმ ნაწილისა, ვისაც სწადია ქმნას ბოროტი, მაგრამ იქმს კეთილს“.

სწრაფად მტყორცნა ცნობისმოყვარე, თუმცა საკმაოდ ბავშვური მზერა და მკითხა:

— დაიცათ... ეგ ვისი აზრია? საიდანაა? თითქოსდა სადღაც წამიკითხავს.

— თავს ტყუილად ნუ შეიწუხებთ. ამ სიტყვებით გაეცნო მეფისტოფელი ფაუსტს. „ფაუსტი“ თუ წაიკითხეთ?

— არც... მაინცდამაინც დაკვირვებით.

— მაშასადამე, არ წაგიკითხავთ. უნდა წაიკითხოთ კი, მგონი, ისევ გაგეღიმათ. ოღონდ ისეთი მდარე გემოვნებისა არ ჩამთვალოთ, ჩემი ხელობის გამოსალამაზებლად მეფისტოფელის ცოდნით თავს გაწონებდეთ. გირაოს დუქნის პატრონი მაინც გირაოს დუქნის პატრონად რჩება. დიახ.

— უცნაური კაცი ყოფილხართ... სულაც არ მიფიქრია...

ანუ განათლებული კაცი თუ იყავით, არ მეგონაო, ეს უნდა ეთქვა, ოღონდ არა თქვა, მაგრამ ხომ ვიცი, რომ გაიფიქრა. ძალიან მოვაწონე მაშინ თავი.

— ადამიანს ყველგან შეუძლია სიკეთე თესოს. ჩემზე არ ვამბობ, იქნებ ცუდის მეტს არას ვაკეთებ, თუმცა...

— ჰო, ადამიანს ყველგან შეუძლია სიკეთე თესოს, — მითხრა და გამსჭვალავად შემხედა, — დიახ, ყველგან, — გაიმეორა ანაზდად ისევ. ჰოი, რარიგ მახსოვს ყველა ის წამი! ისიც მინდა დავამატო, როცა ეს ჩვენი ახალგაზრდები, ეს ჩვენი კაი ახალგაზრდები რაიმე ჭკვიანურისა და გულში ჩამწვდომის თქმას დააპირებენ, მეტისმეტად აშკარად და გულწრფელად დაეტყობათ სახეზე: „აი, რა ჭკვიანურს და გულში ჩამწვდომს ვამბობთ“. განა ეს ჩვენებრ ყოყლოჩინობით მოსდით, არა, თვითონაც სულითა და გულით სწამთ ეს ამბები, დიდად აფასებენ და ჰგონიათ, შენთვისაც დიდად ფასობს. ჰოი, სიწრფელეე გულისა! იგია, რომ გამარცხებს კაცს! მერედა, რა კარგი იყო მისი სიწრფელე!

კი, მახსოვს, მახსოვს, არაფერი არ დამვიწყნია! რაწამს წავიდა, მაშინვე გადაეწყვიტე. იმავე დღეს წავედი საბოლოოდ ყველაფრის გამოსარკვევად და ყველაფერი გავიგე, რაც მის თავზე ხდებოდა ახლა. წინა ამბები ლუკერიასაგან ვიცოდი უკვე, მაშინ იმათთან რომ მსახურობდა და ეს რამდენიმე თვეა მოსყიდული მყავდა. ამბები კი ისე საშინელი იყო, ვერ გამიგია, კიდევ როგორ შეეძლო წეღანდელივით გაეცინა და მეფისტოფელის ნათქვამით დაინტერესებულიყო, როცა მის თავს ასეთი რამ ტრიალებდა. მაგრამ სიყმაწვილის ამბავი მოგეხსენებათ! სწორედ მაშინ გავიფიქრე სიამაყითა და სიხარულით მასზე, რამეთუ აქ სულგრძელობა იგრძნობოდა, სულგრძელობა და დიდსულოვნება: მე ვიღუპები, მაგრამ გოეთეს დიდებულ სიტყვებს გაუმარჯოსო. სულგრძელობა, გინდაც მრუდედ გაგებული, სიყმაწვილეს მუდამ სჩვევია. თუმცა, მასზე, მხოლოდ მასზე ვამბობ. რაც მთავარია, მაშინ უკვე ჩემს საკუთრებად, ჩემად ვთვლიდი, ჩემს ძალაში ეჭვი არ მეპარებოდა. ჰოი, რა ტკბილია თურმე, როცა შენი ძალისა გწამს.

თუმც ეს რა მომდის, ასე თუ გავაგრძელე, როდის მოვუყარო აზრებს თავი? უნდა ვიჩქარო — ღმერთო ჩემო, განა ესაა ახლა მთავარი?

II
ᲛᲔ ᲪᲝᲚᲝᲑᲐ ᲕᲗᲮᲝᲕᲔ

ორიოდე სიტყვით მოგახსენებთ, რა ამბებიც მასზე შევიტყვე. დედამამა ამ სამი წლის წინ გარდაცვლილია. დარჩა თურმე ყოვლად წუპაკი მამიდების ამარა. თუმცა წუპაკის თქმა იმათზე ცოტაც კია. ერთი მამიდა ქვრივი იყო, ერთმანეთზე მიყოლებული ექვსი შვილი ჰყავდა, მეორე —

შინაბერა, დიდი წუნკალი ვიღაც. თუმცა წუნკლები ორივენი ბრძანდებოდნენ. მამა მოხელე ჰყოლია, მწერალი, უბრალო აზნაური. ამიტომაც მე მისთვის დიდი კაცი გახლდით. აბა არა, ბრწყინვალე პოლკში შტაბს-კაპიტნად ნამსახური, ტახტის აზნაური, კაცი დამოუკიდებელი. ხოლო ჩემი სესხის სალარო მამიდებს მოწიწებითაც აღავსებდა. სამი წელია მამიდების ყურმოჭრილი მონა იყო, და მაინც იმდენი მოახერხა, იმდენი ქნა — გამოცდა ჩააბარა, თუმცა დღედაღამ უმოწყალოდ ამუშავებდნენ. მაშასადამე, ასე უნდოდა, ასე ილტვოდა უკეთესისკენ. მე განა რად მინდოდა მისი ცოლად თხოვა? თუმცა ჯანდაბას ჩემი თავი... განა ესაა აქ მთავარი! მამიდაშვილებს ის ასწავლიდა, საცვლებს ის უკერავდა, ასეთი სუსტი ჯანის პატრონი იატაკებსაც თვითონ რეცხავდა, ისინი კი სცემდნენ და ყოველ ლუკმას აყვედრიდნენ. ბოლოს გაყიდვაც დაუპირეს. ფუჰ! არ მინდა ამ სიბინძურის მოყოლა, თვითონ მიამბო მერმე დაწერილებით. მისი ამ ტანჯვა-წამების მოწმე მათი მეზობელი ღიპიანი მედუქნე იყო. უბრალო მედუქნე კი არა, ორი საბაყლოს პატრონი. ორი ცოლი უკვე გაესტუმრებინა საიქიოს და მესამეს დაეძებდა. ჰოდა, ამას დაადგა თვალი: „წუნარია, უსიტყვო, გაჭირვებაში გაზრდილი, მე კი ობლები მყავს, ცოლი მათი გულისთვის მინდა“. ობლები მართლა ჰყავდა. მოელაპარაკა თურმე მამიდებს, მოურიგდა. ორმოცდაათი წლისა ყოფილა. საწყალ გოგოს თავზარი დაეცა. აი, მაშინ იყო მოუხშირა ჩემთან სიარულს. „გოლოსში“ განცხადებების გამოქვეყნებას ფული უნდოდა. ბოლოს შეევედრა მამიდებს, ცოტა მაინც მაცალეთ, მოვიფიქროო. ცოტა აცალეს, მერე კი სული ამოხადეს. „ჩვენ თვითონ ჩასახეთქი რა გვაქვს, შენ რომ გაჭამოთ“. მე ეს ამბავი უკვე ვიცოდი და იმ დილას კიდეც გადავწყვიტე ყველაფერი. ბაყალი საღამოს მობრძანდა, ერთი გირვანქა კანფეტი მოართვა, ათი შაურის საფასური. ვინემ ბაყალთან იჯდა, ლუკერია გამოეიხმე სამზარეულოდან და დავაბარე, წადი, ჩუმად უთხარი, ჭიშკართან ველოდები, გადაუდებელი საქმე მაქვს და უნდა ვუთხრა-თქო. კმაყოფილი დავრჩი ჩემი თავისა. იმ დღეს საერთოდ ძალიან კმაყოფილი გახლდით ყველაფრისა.

იქვე, ჭიშკართან, ამ ჩემი გამოძახებით გაოცებულს, ლუკერიას თანდასწრებით ვუთხარი, ასე და ასე, დიდ პატივს დამდებთ, ძალიან გამაბედნიერებთ-მეთქი... ჩემი ქცევა რომ არ გაკვირვებოდა, ესეც დავაყოლე: „პირდაპირი კაცი ვარ და საქმის ვითარებაში გარკვეული“. არც მომიტყუებია, პირდაპირი ვარ-მეთქი. თუმცა ჯანდაბას. ველაპარაკე ზრდილი კაცის პირობაზე, რაც მთავარია, ორიგინალურად. განა, რა ისეთი ცოდვა ესაა? მე

მინდა ვიყო ჩემი თავის მსაჯული და ვიქნები კიდეც. უნდა pro და contra-ც ვთქვა და ვიტყვი კიდეც. შემდეგში სიამოვნებით ვიგონებდი ყველაფერს, გინდაც სიბრიყვედ ჩამითვალოთ. პირდაპირ, მიუკიბ-მოუკიბავად განეუცხადე მაშინ, ჯერ ერთი, არც დიდად ნიჭიერი ვარ, არც დიდად ჭკვიანი, იქნებ არც მაინცდამაინც კეთილი, საკმაოდ იაფფასიანი თავკერძაც (ეს სიტყვები გზაში მოვიგონე და მომეწონა), შესაძლოა ბევრი სხვა უსიამოვნო რაღაც მჩვევია-მეთქი. ვთქვი ამაყად, მოგეხსენებათ, როგორც ამბობენ. რა თქმა უნდა, იმდენი ჭკუა კი მეყო, ნაკლის შემდეგ ღირსებანი აღარ ჩამომეთვალა: „სამაგიეროდ ასეთი და ასეთი ვარ-მეთქი“. შევატყვე, რომ დაფრთხა და მაინც არ შეევარბილე, პირიქით, გავაშავფერე. პირდაპირ მოეუჭერი, საჭმელი არ მოგაკლდება, ოღონდ მორთვა-მოკაზმვა, თეატრები თუ მეჯლისები ოცნებაში არ გაივლო, როცა ჩემს მიზანს მივაღწევ, მაშინ ვნახოთ-მეთქი. ეს ჩემი გოროზი კილო კიდეც მომეწონა. ისიც დავუმატე, თუმცა გაკვრით, როცა ეს ხელობა ვირჩიე, ანუ სესხის სალარო გავხსენი, მხოლოდ ერთი მიზანი მამოძრავებდა, გარემოება შემექმნა-მეთქი მაშინ ისეთი... განა, არ მქონდა ამის თქმის უფლება? განა, მართლა არ მქონდა ასეთი მიზანი და არ შემექმნა ასეთი გარემოება? დიახ, დიახ, ბატონებო, თავად მთელი სიცოცხლე ჭირივით მძულდა ეს სალარო, მაგრამ, რაგინდ სასაცილოც არ უნდა იყოს, შენს თავს ქარაგმულად ელაპარაკო, სინამდვილეში ხომ მართლა „შურს ვიძიებდი საზოგადოებაზე“. დიახ, მართლა, მართლა! ისე რომ, იმდილანდელი მისი დაცინვა – შურს იძიებთო, უსამართლო იყო. მე რომ პირდაპირ მეთქვა: „კი, შურს ვიძიებ საზოგადოებაზე“, დილანდელივით გადაიკისკისებდა და, მართლაც, სასაცილო იქნებოდა. მაგრამ ქარაგმულად თურმე შეიძლება ადამიანის ოცნება მოისყიდო. თანაც გული საგულეს მქონდა, ღიპიანი ბაყალი რომ ჩემზე მეტად სძაგდა და ჭიშკართან, მართლაც, მხსნელ ანგელოზად მოვეევლინე, დიახაც, ვიცოდი, ვაი რომ, სულმდაბლობისა ყველაზე უკეთ გაგვეგება! თუმცა ეს, განა, სულმდაბლობა იყო? განა, მაშინ უკვე არ მიყვარდა იგი?

მოიცათ, მოიცათ, მე მაშინ წყალობაზე კრინტი არ დამიძრავს. პირიქით: „ეს ჩემთვის გახლავთ-მეთქი წყალობა, თქვენთვის კი არა“, – კიდეც ვუთხარი, თავი ვერ შევიკავე. ჭკვიანურად რომ არ მომივიდა, იქვე შევატყვე, ვინაიდან პირზე ღიმმა გადაურბინა. მაგრამ ისე კი მოვიგე საქმე. მოიცათ, თუ მთელ სიბინძურეს მოვიგონებ, ბარემ უკანასკნელ ღორობაზეც ვიტყვი: ვდგავარ, ელაპარაკობ, თავში კი მიტრილებს: შენ ტანადი ხარ, მოყვანილი, კარგად გაზრდილი და – ტრაბახი რად გინდა – კარგი შეხედულიც-თქო. ცხადია,

იქვე ჭიშკართან მითხრა ჰო, თუმცა... თუმცა ისიც უნდა დავუმატო: ჰოს თქმამდე დიდხანს, დიდხანს იდგა ჩაფიქრებული. დიახ, იმდენ ხანს იდგა, კიდეც ვკითხე: „აბა რას მიბრძანებთ?“ დიახ, ასე ვუთხარი, რას მიბრძანებთ-მეთქი.

— დამაცათ, მოვიფიქრო.

სწორედ მაშინ უნდა მივმხვდარიყავი ყველაფერს! მე კი გულში მწყინდა: „ნუთუ არჩევანსაც აკეთებს, მე თუ ბაყალი?“ თურმე არაფერი მესმოდა! არაფერი, არაფერი გამეგებოდა! დღემდე არ გამეგებოდა! მახსოვს, წამოსვლისას ლუკერია დამედევნა,გამაჩერა და ჰაიჰარად მითხრა: „ღმერთი გადაგიხდის სიკეთეს, ჩემო ბატონო, ამ ჩვენს პატარა ქალბატონს რომ თხოულობთ, ოღონდ იმას კი ნუ ეტყვით, ამაყი გახლავთ“.

ჰმ, ამაყიო! განა, მე არ მიყვარს ამაყი ხალხი. ამაყ ხალხს რა სჯობია. მეტადრე თუ... ეჭვი არ გეპარება, რომ იმათზე მეტი ძალა გაქვს, ჰა? ჰოი, სულმდაბალო, ტლანქო ადამიანო! ჰოი, რა კმაყოფილი ვიყავი მაშინ! იცით კი, როცა ჭიშკართან იდგა ჩაფიქრებული, ჰო ეთქვა თუ არა ჩემთვის, ვინ იცის, ესეც იფიქრა მაშინ: „თუ ისიც და ესეც ჭირია, ეგებ უარესი ჭირი, მაშასადამე, ღიპიანი ბაყალი სჯობდეს, რომ არყით გახეთქილმა ცემა-ტყეპით ბოლო მალე მომიღოს!“ ჰა? როგორ გგონიათ, იფიქრებდა ვითომ ამასაც?

თუმცა ვერც ახლა გამიგია, ვერც ახლა გამიგია ვერაფერი! ეს წუთია ვთქვი, ვინ იცის, ესეც იფიქრა: ორი ჭირიდან უარესი ჭირი, ანუ ბაყალი იქნებ სჯობდესო? მაგრამ რომელი იყო უარესი ჭირი, მე თუ ბაყალი? ბაყალი თუ სესხის სალაროს მეპატრონე, გოეთეს ციტატებით მოლაპარაკე? საკითხავი, აი, რა არის! თუმცა საკითხავი რაღა არის? პასუხი აგერ მაგიდაზე დევს, შენ კი საკითხავიო, გაიძახი. მაგრამ ჯანდაბას ჩემი თავი... მე არა ვარ აქ მთავარი... ან რა აზრი აქვს — ვარ თუ არა აქ მთავარი? იცის კი ვინმემ! არა, სჯობს დაეწვე ისევ და დავიძინო, ლამისაა თავი გამისკდეს.

III

ვარ ძაცთა შორის უკეთილშობილესი, თუმცა მევე არ მჯერა

ვერ დავიძინე. ან კი რა დამაძინებს, ისე მიფეთქავს ტვინში რომელიღაც ძარღვი. მინდა, კარგად გავერკვიო ამ სიბინძურეში. ჰოი, ეს წუმპე! ჰოი, რა ბინძური წუმპიდან ამოვათრიე მაშინ! ნუთუ არ უნდა გაეგო, არ უნდა დაეფასებინა ჩემი სიკეთე! ბევრი რამ მანიჭებდა მაშინ სიამოვნებას, ისიც,

რომ ორმოცდაერთისა ვიყავ, ის კი თექვსმეტის. ეს ერთობ მომწონდა, ეს ერთობ მატკბობდა. ჰო, მატკბობდა იმის შეგრძნება, რომ განსხვავება ასე დიდი იყო.

მაგალითად, მინდოდა ქორწილი à l'anglaise[1] მომეწყო, მაშასადამე, მარტო ჩვენ ვყოფილიყავით, მოწმე კი მხოლოდ ორად ორი,იქიდან ერთი ლუკერია. მერე კი, ჰაიდა! მატარებლით გავემგზავრებოდი თუნდაც მოსკოვს (სწორედ საქმეც მქონდა იქა), ერთი-ორი კვირა სასტუმროში დავყოფდით. მაგრამ არა და არ ქნა, ვერა და ვერ დავითანხმე. იძულებული გავხდი, მამიდებს ვხლებოდი, ვითარცა ნათესავებს, და პატივი მიმეგო მისთვის, ვაჩუქე კიდეც ას-ასი მანეთი იმ წუნკლებს და კიდევ აღვუთქვი დახმარება. მისთვის კი აღარ მითქვამს, გული არ ატკინოს-მეთქი ამ სიბინძურემ. მამიდებიც ხელად დამიტკბნენ. ლაპარაკი გვქონდა მზითევზეც. არაფერი გააჩნდა და არც არაფერს ითხოვდა. მაგრამ დავუმტკიცე, არც ეგრე ცარიელ-ტარიელი შეიძლება-მეთქი, და მევე გავუწყე მზითევი. სხვა, აბა, ვინ გაუწყობდა? თუმცა ჯანდაბას ჩემი თავი. ეს კია, მოვასწარი და ჩემს აზრებს ვაზიარე, იცოდე-მეთქი მაინც. იქნებ არ უნდა მეჩქარა. სულით და გულით მომენდო მაშინ, აღტაცებით მხვდებოდა ხოლმე საღამოობით, მეტიტინებოდა თავის პატარაობაზე, ოჯახზე, დედ-მამაზე. ჰოი, რა მომხიბლავია უმანკო ტიტინი. მაგრამ მის აღტაცებას უმალ ციცი წყალი გადავასხი. მის აღტაცებას სიჩუმე მივაგებე, თუმცა მოწყალე სიჩუმე კი... ისიც მაშინვე მიხვდა, რომ ჩვენ სხვადასხვანი ვართ, რომ კაცი ადვილად ვერ გამომიცნობს. მეც სწორედ ეს მეწადა, სწორედ ეს იყო ჩემი მიზანი! გამოცანად რომ მივეჩნიე, ალბათ იმიტომ მოვიქეცი ასე ბრიყვულად. ერთი რომ თავიდანვე, შინ მოყვანისთანავე გამოვიჩინე სიმკაცრე, ერთი სიტყვით, მთელი სისტემა შევქმენი, თუმცაღა კმაყოფილი კი ვიყავ. თავისთავად მოხდა ასე. სხვანაირად არც იქნებოდა. უნდა შემექმნა ეს სისტემა, საქმის ვითარება იყო ისეთი. მართლა და მართლა, რა ცილს ვწამებ ჩემს თავს! სისტემა ხომ უტყუარი იყო. არა, არა, უნდა მომისმინოთ. როცა ადამიანს ასამართლებ, უნდა იცოდე კიდეც, რა იყო და როგორ იყო... მაშ, მომისმინეთ!

აღარ ვიცი, საიდან ან როგორ დავიწყო, ძალიან მიჭირს. ძნელი ყოფილა თავის მართლება. ყმაწვილკაცობას, მაგალითად, ფული სძაგს, — მეც მაშინვე ფულს მივეძალე. მივეძალე ისერიგად, რომ მისმენდა, მისმენდა ხოლმე

[1] ინგლისურ ყაიდაზე (ფრანგ.)

თვალებგაფართოებული და მერე ხმას გაიკმენდდა, დადუმდებოდა. ახალგაზრდობა სულგრძელია, მე კარგ ახალგაზრდობაზე მოგახსენებთ. სულგრძელია და, ამასთან, ფიცხი, მოუთმენელი. ცოტა თუ შეგცდა — უმალ ზიზღით შემოგაქცევს ზურგს. მე კი სხვა რამ მეწადა, დიდი გრძნობით და გულით მსურდა შეეხედა, ჩასწვდომოდა ყველაფერს. განა, ეტყუოდი? აი, თუნდაც ეს პატარა მაგალითი ავიღოთ: აბა, როგორ ამეხსნა მისნაირი ხასიათის პატრონისათვის ეს უხამსი სესხის სალარო? პირდაპირ მეთქვა, ხომ გამომივიდოდა, თითქოს მრცხვენია მევახშეობის. მე კი, ასე ვთქვათ, სიამაყე მოვიშველიე, თითქოს მდუმარედ ველაპარაკე. მდუმარე ლაპარაკში კი ბადალი არ მყავს, ჩემი სიცოცხლე მდუმარე ლაპარაკში გავლიე და მთელი ბედნავსობა ასე მდუმარედ გადავიტანე. მეც ხომ უბედური ვიყავი! მეც ხომ ყველამ გამრიყა, გამრიყა და დამივიწყა, კაციშვილმა კი არავინ იცის! ხოლო ამ თექვსმეტი წლის გოგომ ანაზდად უნამუსო ხალხისგან გაიგო და ეგონა, ყველაფერი ვიცი, მაშინ როცა ჭეშმარიტება ჩემს გულში იყო ჩამარხული! მე კი ვდუმდი, მეტადრე მასთან ვდუმდი, წუხანდლამდე ვდუმდი. მაგრამ რად ვდუმდი? ვინაიდან ამაყი ვიყავ, მინდოდა თვითონ გაეგო, უჩემოდ, მაგრამ არა უნამუსო ხალხისაგან, თავისით მიმხვდარიყო მართალს ჩემზე და თავისით ჩასწვდომოდა ჩემს გულს! ჩემს ოჯახში რომ შემოვიყვანე, მსურდა სულით და გულით პატივი ეცა ჩემთვის. მსურდა დაჩოქილი მდგარიყო ჩემ წინ იმ ტანჯვის გამო, რაიც გამოვიარე, — მე ღირსი ვიყავი ამისა, დიახ, მუდამ ამაყი ვიყავი, მეწადა ან ყველაფერი ან არაფერი. არ მინდოდა წყალნარევი ბედნიერება და სწორედ ამიტომ მოვიქეცი მაშინ ასე: „აქაოდა, თვითონ მიხვდი, თვითონ დააფასე-მეთქი!“ აბა, მე თვითონ რომ ამეხსნა და მეკარნახა, კუდი მექნია და დაფასება მეთხოვა — ეს ხომ იგივე მოწყალების თხოვნა იქნებოდა... თუმცა... თუმცა რას ვლაპარაკობ!

სიბრიყვე, სიბრიყვე, ჩემი სიბრიყვე! პირდაპირ და დაუნდობლად (დიახ, დაუნდობლად-მეთქი, ხაზს ვუსვამ) ავუხსენი მაშინ ორიოდ სიტყვით, რომ ახალგაზრდობის სულგრძელობა კაი რამაა — მაგრამ კაპიკად ფასობს. რატომ? იმიტომ, რომ მუქთად მოსდის, იმიტომ, რომ უშრომლად მოსდის, ასე ვთქვათ, „ყოფიერების ეს პირველი შთაბეჭდილებანი“. აბა, ერთი იშრომონ და მერე ნახონ! იაფფასიანი სულგრძელობა მუდამ იოლია, სიცოცხლის გაწირვაც კი არაფრად გიღირს, როს სისხლი გიდუღს და ძალა მოგჭარბებია. სილამაზეს დახარბებიხარ! თუ ბიჭი ხარ, ისეთ სულგრძელობაზე გამოიღე თავი, ძნელი რომაა, არავინ რომ არ გაიგებს,

არავის რომ არ ეცოდინება, არავის თვალში არ მოხვდება, მსხვერპლსაც ბლომად გაიღებ, მაგრამ ცილს იქით დაგწამებენ, დიდების ნატამალს კი ვერ იგემებ. როცა კაცს, სპეტაკს და უზადოს, არამზადად მოგნათლავენ, თუმც პატიოსნებით ყველას სჯობიხარ – აბა, მაშინ გამოიღე თავი. არა, ბატონო, უარს იტყვი! მე კი ჩემი სიცოცხლე სხვა არაფერი მიკეთებია. ჯერ მეკამათებოდა, ჰოი, როგორ მეკამათებოდა, მერე ხმა გაიკმინდა, კრინტსაც აღარ სძრავდა, ოღონდაც თვალებგაფართოებული მისმენდა, თვალებში კი დაკვირვება ეხატებოდა. უცებ... უცებ კი ღიმილი დავიჭირე მისი, უნდო, უსიამო ღიმილი. აი, ამ ღიმილით შემოვიყვანე სახლში. ესეც კია, სხვა გზა არ ჰქონდა...

IV
ბებმები და ბებმები

ვინ დაიწყო ჩვენში პირველმა? არავინ. თავისთავად დაიწყო პირველივე დღეებში. აკი ვთქვი, იმთავითვე სიმკაცრე გამოვიჩინე-მეთქი. მაგრამ მალე მოვლბი. ქორწინებამდე ვუთხარი, გირაო შენ უნდა ჩაიბარო და ფულიც შენ უნდა გასცე-მეთქი. მაშინ სიტყვა არ დასძრა (ესეც ინიშნეთ). პირიქით, მუყაითადაც შეუდგა საქმეს. ბინა, ავეჯი, ცხადია, ძველებურად დარჩა. ორიდან ერთი ოთახი გადაღობილი იყო და სესხის სალარო იქ მქონდა, მეორე კი, ისიც დიდი ოთახი, საძინებელი იყო. ავეჯისა რა მოგახსენოთ, მამიდებსაც კი, მგონი, უკეთესი ედგათ. სახატე და კანდელი დარბაზში იყო, ჩემს ოთახში ჩემი კარადა, წიგნები და სკივრი იდგა, მისი გასაღები მე მქონდა, ლოგინიც იქვე იყო, კიდევ მაგიდა და სკამები. ქორწინებამდე ვუთხარი, რომ საჭმელზე სამივეს ე. ი. მე, მას და ლუკერიას, რომელიც ჩვენთან გადმოვიყვანე, დღეში მანეთი უნდა გვეყოს, მეტი არა: „იმიტომ, რომ სამ წელიწადში ოცდაათი ათასი უნდა დავაგროვო, სხვანაირად კი არ დაგროვდება-მეთქი“. წინააღმდეგი არ წასულა, ექვსი შაური მერე მე თვითონ წავუმატე, ასევე იყო თეატრზეც; ხომ ვუთხარი, თეატრებში სიარულის იმედი არ გქონდეს-მეთქი, მაგრამ თვეში ერთხელ მაინც მიმყავდა, კარგ ადგილებსაც ვყიდულობდი, წინა რიგების სავარძლებში. სამჯერ ვიყავით კიდეც, ვნახეთ „ბედნიერების ძიებაში“ და, მგონი, „ჩიტნი მგალობელნი“. (ჯანდაბას, ჯანდაბას!) უბრად მივდიოდით და უბრადვე ვბრუნდებოდით. რად ვდუმდით იმთავითვე? მაშინ ხომ არ გვიჩხუბია, მხოლოდ ვდუმდით. მახსოვს, ხშირად შემომხედავდა ქურდულად. ეს რომ

შევამჩნიე, უფრო სიტყვაძუნწი გავხდი. მართალია, პირველმა მე ვარჩიე დუმილი. თვითონ ერთი ორჯერ აჰყვა გულისთქმას, მომეარდა და გადამეხვია, მაგრამ ეს ისტერიული გულისთქმა იყო, მე კი მყარი ბედნიერება, პატივისცემა მსურდა, ამიტომაც გულციოვად დავხედი, არ ავყევი. მართალიც ვიყავი, ყოველი ასეთი ამბის შემდეგ მეორე დღეს ჩხუბი მოგვდიოდა.

თუმცა არა, არ გვიჩხუბია, ვდუმდით კია. იგი უფრო და უფრო თავხედურად, გამომწვევად იყურებოდა. „ურჩობა და დამოუკიდებლობა“ — აი, რა ეწერა პირისახეზე, მაგრამ არ კი გამოსდიოდა. დიახ, ამ თვინიერ, ამ სათნო პირისახეს სითავხედე სულ უფრო და უფრო ეძალებოდა. დამიჯერებთ, თანდათან კიდეც მიზიზღებდა, ამის ნიშნები შესწავლილი მქონდა. ეჭვი არ იყო, წონასწორობას ჰკარგავდა. განა შეიძლებოდა, მაგალითად, ისეთ სიბინძურესა და სიღატაკეში ნაცხოვრებს ცხვირი აებზუებინა ჩვენს სიღარიბეზე! ეს ხომ მომჭირნეობა იყო და არა სიღარიბე. თეთრეულსა და სისუფთავეს რაც შეეხება, იმაზე ხომ ფულს არ ვიშურებდი. ადრეც ოცნებად მქონდა, ქმრის სიფაქიზე ცოლს უთუოდ მოხიბლავსმეთქი. თუმცა მას ხომ სიღარიბეზე უფრო მეტად ჩემი ვითომდა სიძუნწე არ მოსწონდა: „აქაოდა, მიზანი აქვსო, ხასიათის სიმტკიცეს იჩენს“. თეატრზე თვითონვე გამომიცხადა უარი, დამცინავი ღიმილიც უფრო და უფრო მალიმალ გადაურბენდა პირზე... მეც უფრო ხშირად ვდუმდი, დიახ, დიახ, დუმილი უფრო გავახშირე.

მაშ, უნდა ვიმართლო თავი? განა ყველაფრის მიზეზი აქ სესხის სალარო არ იყო! სად გაგონილა, ქალი, და ისიც თექვსმეტი წლისა, მამაკაცს არ დაემორჩილოს. ქალს ხომ ორიგინალობის ნატამალი არ გააჩნია, ეს ხომ აქსიომა გახლავთ, ეს ხომ ჩემთვის დღესაც აქსიომაა! მერე რა, რომ დარბაზში ასვენია: ჭეშმარიტება მუდამ ჭეშმარიტებად რჩება, მილიც კი აქ ვერას გააწყობს! ხოლო მოსიყვარულე ქალი საყვარელი კაცის ნაკლსაც, საყვარელი კაცის სიავკაცესაც გააღმერთებს. თვითონ ვერ მოუნახავს თავის სიავკაცეს ისეთ გამართლებას, როგორსაც ქალი გამოუძებნის. მაგრამ ეს სულგრძელობაა და არა ორიგინალობა. ამ არაორიგინალობამ დაღუპა კიდეც ქალი. მაშ რაღად მითითებთ მაგიდაზე? განა ეს ორიგინალობაა, რაც იქა დევს? ვაიმე, ვაიმე!

გამიგონეთ: მის სიყვარულში მაშინ არც კი დავეჭვებულვარ, ხომ მეხვეოდა მაშინაც კისერზე. მაშასადამე, ვუყვარდი — უნდოდა ვყვარებოდი. დიახ, ასე იყო: უნდოდა სიყვარული, ეძებდა სიყვარულს. თან რა ისეთი ავკაცი ვიყავ, გამართლება ეძია ჩემთვის. ამბობთ, გირაოზე აძლევდიო

სესხს, ყველა ასე ამბობს. მერე რა, რომ ვაძლევდი? ალბათ, იყო მიზეზი, თუკი უკეთილშობილესმა კაცმა სესხის სალარო გავხსენი. იცით, ბატონებო, ზოგი იდეა ხმამაღლა თუ ითქვა, სიტყვად თუ იქცა, ისეთ სისულელედ მოგეჩვენება, შენვე შეგრცხვება. რატომ? ალბათ იმიტომ, რომ ყველა საძაგლები ვართ და სიმართლე ვერ აგვიტანია. სხვა მიზეზი მე არ ვიცი. „უკეთილშობილესი კაცია-მეთქი", – ვთქვი ეს წუთია. ხომ სასაცილოა, მაგრამ მართლა ასე იყო, მეტი მართლა რომ არ შეიძლება! დიახ, მე მქონდა უფლება, ჩემი თავი უზრუნველმეყო და სესხის სალაროც გამეხსნა! „თქვენ მე გამრიყეთ, ადამიანებო, უხმოდ, ზიზღით გამაგდეთ, ჩემს სიფიცხეს შეურაცხყოფა მიაგებეთ. მაშასადამე, უფლებაცა მაქვს კედელი აღვმართო მე და თქვენ შორის, შევაგროვო ეს ოცდაათი ათასი მანეთი, სადმე ყირიმში, სამხრეთი ზღვის პირას, მთებისა და ვენახების მხარეში ვიყიდო მამული ამ ფულით, იქ გავლიო ჩემი დღენი თქვენგან მოშორებით, თუმცა ღვარძლის გარეშე, საყვარელი ქალის გვერდით, თუ მომცა ღმერთმა, და დავეხმარო ახლომახლო მცხოვრებთ".

ახლა რომ ვამბობ ამას, რა თქმა უნდა, ყურისთვის ლამაზად ჟღერს, მაგრამ, აბა, ერთი მისთვის მეთქვა და დამეხატა მაშინ ეს სურათი, განა სულელი არ ვიქნებოდი. აი, ამიტომ ვდუმდი ამაყად, ამიტომ ვიყავით მდუმარედ. განა, გამიგებდა? თექვსმეტი წლის ქალს, სულ ბავშვს, აბა, რა უნდა გაეგო ჩემი ტანჯვის და თავის მართლების? თანაც მისი პირდაპირობა, მისი გამოუცდელობა, სიყმაწვილის იაფფასიანი შეხედულებანი, „სპეტაკი სულის" სიბრმავე, თავიდათავი სესხის სალარო (განა, მე ყაჩაღი ვიყავ, განა, თვითონ არ იყო მოწმე, ზედმეტი რომ არავისთვის წამირთმევია?)! ვაჰმე, რომ სიმართლეზე საშინელი ამქვეყნად არაფერი ყოფილა! ეს თვინიერი, ეს ციური ქმნილება – მტარვალი და მწამებელი გახდა ჩემი სულისა! თუ ეს არა ვთქვი, ხომ ცილი დაეწამე ჩემს თავს! იქნებ გგონიათ, არ მიყვარდა? არა, ეს მხოლოდ დაცინვა, მხოლოდ და მხოლოდ ავი დაცინვა გახლავთ ბედისა და ბუნებისა. ჩვენ დაწყევლილები ვართ, ადამიანის ცხოვრება დაწყევლილია აწ და მარადის! (კერძოდ ჩემი!) ხომ ვიცი ახლა, რომ რაღაც შემცდა! რაღაცა ისე ვერ გავაკეთე! მაგრამ ყველაფერი ხომ ცხადი იყო, ჩემი გეგმა ხომ სარკესავით ნათელი იყო: „გოროზი, ამაყი, ნუგეშსა და ნამუსის მოწმენდას არავის არ სთხოვს, უსიტყვოდ იტანჯება". ასე იყო მართლა, არა ეტყუოდი, არა ეტყუოდი! „მერე დარწმუნდება, რომ ეს სულგრძელობა იყო, ოღონდ თვითონ ვერ შეამჩნია – მერე მიხვდება, ათჯერ მეტად დამაფასებს და ფეხებში

ჩამივარდება მუდარით“. აი, ბატონო, ჩემი გეგმა. მაგრამ, ეტყობა, რაღაც გამომრჩა, რაღაც დამავიწყდა და ვერ გავაკეთე. თუმცა კმარა. ან ვის ვთხოვო პატიება, მორჩა, ყველაფერი მორჩა. ნუ შეშინდები, ადამიანო, იყავ ამაყი! შენ არა ხარ დამნაშავე!..

დიახ, მე ვიტყვი სიმართლეს, არ მეშინია, სიმართლეს თვალი გავუსწორო. დამნაშავე თვითონ იგია, თვითონ იგია!

V
ამბოხი

რა იყო ჩხუბის მიზეზი? ის, რომ უცბად თავის ჭკუაზე მოინდომა ფულის გაცემა და გირაოსი ღირებულზე მეტი შეფასება. ერთი ორჯერ შემეკამათა კიდეც ამის გამო. მე არ დავუთმე. სწორედ მაშინ გამოტყვრა კაპიტნის ქვრივიც. მედალიონი მომიტანა, ცხონებული ქმრის ნაჩუქარი, ცხადია, მიტომაც მისთვის ძვირფასი. ოცდაათი მანეთი მიეეცი. შემეეედრა და შემეხვეწა, არ დამიკარგოთ მედალიონიო. რა თქმა უნდა, არც დავკაგავდი. ვნახოთ, ხუთი დღის შემდეგ სამაჯური მოიტანა, ამაში გამიცვალეო. სამაჯური კი რვა მანეთი არ ღირდა. ცხადია, უარი ვუთხარი. ეტყობა, ჩემს ცოლს რაღაც შეატყო თვალებზე, ვინაიდან ჩემს არყოფნაში მოსულიყო და ცოლს მედალიონში გაეცვალა.

ეს რომ გავიგე, მშვიდად, მაგრამ მტკიცედ ვუთხარი, რასაც ვფიქრობდი. ლოგინზე იჯდა, იატაკს ჩასჩერებოდა, მარჯვენა ფეხის წვერს ნოხზე ათამაშებდა (ასე იცოდა ხოლმე); პირზე ამრეზილი ღიმი უკრთოდა. ხმის აუმაღლებლად განვუცხადე, რომ ფული ჩემია, რომ ნება მაქვს ჩემებურად ვუყურო ცხოვრებას და არც მისთვის დამიმალავს რამე, როცა ოჯახში შემოვიყვანე.

წამომიხტა უცებ, აცახცახდა და, წარმოიდგინეთ, ფეხები დამიბაკუნა. ეს იყო ქალი აფთარი, ქალი, მხეცად ქცეული. გაოცებისაგან გავშეშდი კაცი. ასეთ საქციელს სწორედ არ მოველოდი. მაგრამ არ შევკრთი, არც დავიბენი. ასევე დინჯად მოვახსენე, ამიერიდან ჩემს საქმეში ჩარევას გიკრძალავ-მეთქი, პირში შემომხარხარა და შინიდან წავიდა.

ამის უფლება კი სწორედ არ ჰქონდა. ჯერ ჯვრისწერამდე დავდეთ პირობა, რომ უჩემოდ ფეხს არსად გაადგამდა. საღამო ხანს დაბრუნდა მხოლოდ, კრინტი არ დამიძრავს.

მეორე დღეს ისევ წავიდა. დილიდანვე, მესამე დღესაც. დავკეტე სალარო და მამიდებს მივაკითხე. ქორწინების დღიდან მათთან საქმე არა მქონია – არც ჩემთან მომიყვანია და არც მათ ეწვევივარ. თურმე არც იმათთან მისულა. ცნობისმოყვარედ მოისმინეს ყველაფერი და დამცინეს კიდეც: „ახია თქვენზე". ეგრეც ვიცოდი, რომ დამცინებდნენ. იქვე შევპირდი ასი მანეთი გაუთხოვარ უმცროს მამიდას და ოცდახუთი წინდაწინ მივეცი. ორი დღის შემდეგ მომადგა შინ: „აქ თქვენი ყოფილი პოლკის ოფიცერი ეფიმოვიჩია ჩარეული". სახტად დავრჩი. ყველაზე მეტი ბოროტება იმ ეფიმოვიჩმა მიყო პოლკში. ამ ერთი თვის წინათ უნამუსოდ მომაკითხა ერთი ორჯერ, ვითომც რაღაცის დაგირავება უნდოდა. მახსოვს, ისა და ჩემი ცოლი ლაპარაკობდნენ და იცინოდნენ რაღაცაზე. ავდექი და მაშინვე მივახალე, ჩემთან მოსვლა აღარ გაბედო, ჩვენი დამოკიდებულება არ დაივიწყო-მეთქი. სხვა რამ თავში არც გამივლია, მხოლოდ ეს ვიფიქრე, რა თავხედი ყოფილა-მეთქი. ახლა კი მისი მამიდა მეუბნება, პაემანი აქვთო დანიშნული. ყველაფრის მომწყობი კი თურმე მამიდების ყოფილი ნაცნობი იულია სამსონოვნა ბრძანებულა, პოლკოვნიკის ქვრივი – თქვენი მეუღლე ახლა იმასთან დაბრძანდებაო.

ამ ამბავს აღარ გავაგრძელებ. სულ მთლიანად მთელი საქმე ოცდაათი თუმანი დაჯდა, მაგრამ ორ დღეში კი მოვაგვარე. მე მეზობელ ოთახში დამმალავდნენ, კარს უკან, და ჩემი ცოლის პირველ rendez-vous-ს[1] ეფიმოვიჩთან ჩემი ყურით მოვისმენდი. ერთი დღით ადრე კი ჩემთვის ფრიად სანიშნო ამბავი მოხდა.

შინ საღამოთი მობრუნდა და ლოგინზე ჩამოჯდა, დაცინვით შემომაცქერდა, ფეხს ხალიჩაზე ათამაშებდა. შევხედე და ანაზდად თავში გამიელვა: ეს ბოლო თვე, უფრო სწორად, უკანასკნელი ორი კვირა თავის ჭკუაზე არ უნდა იყოს, ასე ვთქვათ, თავისივე ბუნების წინააღმდეგ იქცევა-მეთქი. ეს გახლდათ ქალი გაანჩხლებული, შეტევაზე გადმოსული, ვერ ვიტყვი, ურცხვი, მაგრამ ზომიერებადაკარგული და თვითონვე მაძიებელი, თვითონვე მდომი ჩხუბისა. ეს კია, მისივე თვინიერება უშლიდა ხელს. ამისთანა რომ გაანჩხლდება, გინდაც წონასწორობა დაკარგოს, მაინც შეატყობ, რომ თავისივე ბუნების წინააღმდეგ იქცევა, თვითონ იღიზიანებს თავს, მაგრამ სირცხვილ-ნამუსისათვის ვერ გადაუბიჯებია. ამიტომაც, როცა ზომიერებას კარგავს, შენს თვალს აღარ უჯერებ. გათახსირებულის ბუნება კი, პირიქით,

[1] პაემანი (ფრანგ.)

შეეცდება შეარბილოს ყველაფერი, წესიერება დაიცვას და იქით მოგდოს შარი, თუმცა უფრო საზიზღარს კი ჩაიდენს.

— მართალია, რომ დუელის შეგეშინდათ და იმიტომ გამოგაგდეს პოლკიდან? — მკითხა ჯიქურ და თვალები გააკვესა.

— მართალია, ოფიცრების განაჩენით მთხოვეს პოლკიდან წასვლა, თუმცა მანამდე თვითონვე შევიტანე განცხადება, პოლკს თავს ვანებებ-მეთქი.

— გამოგაგდეს, როგორც ლაჩარი?

— დიახ, განაჩენი ლაჩრობისთვის გამომიტანეს. მაგრამ დუელზე ლაჩრობამ არ მათქმევინა უარი, თვითონ არ დავყაბულდი მათ სასტიკ განაჩენსა და დუელზე უარი ვთქვი, ვინაიდან შეურაცხყოფილად არ მიმაჩნდა თავი. ისიც ინიშნეთ, — წამომცდა ანაზდად, — მათი განაჩენის წინააღმდეგ ამხედრება და ამის შედეგად ყველა უბედურების გადატანა უფრო მეტი ვაჟკაცობა იყო, ვინემ დუელში გასვლა — ვერ მოვითმინე, თითქოს თავი ვიმართლე. იმას კი სწორედ ჩემი ხელახლა დამცირება ეწადა.

— ისიც მართალია, — ჩაიცინა ღვარძლიანად, — რომ მერმე სამი წელი თურმე პეტერბურგის ქუჩებში დამათხოვრობდით, სამოწყალოდ შაურიანს იხვეწებოდით და ბილიარდის მაგიდებქვეშ გეძინათ?

— ვიაზემსკის სახლშიაც გამითევია სენაიაზე ღამე. დიახ, მართალი გახლავთ, პოლკიდან წამოსვლის შემდეგ სამარცხვინო ბევრი გადამხდა, მაგრამ სულიერად არ დავცემულვარ, რამეთუ თვითონ მძაგდა მაშინ ჩემი საქციელი, რამეთუ მიღალატა მაშინ ძალამ და ჭკუამ, რამეთუ სხვა გამოსავალი არ მქონდა მაშინ, მაგრამ ამან ყველაფერმა ჩაიარა...

— ჰო, ახლა ფინანსისტი ბრძანდებით!

ანუ სესხის სალაროზე ჩამიკაკუნა. მაგრამ მე უკვე მოვერიე ჩემს გულს. შევატყვე, სურდა თავის მართლება დამეწყო და დავემცირებინე, მე კი არ ავყევი. ამ დროს ზარი დარეკეს, გირაო მოიტანა ვიღაცამ, და დარბაზში გავედი. ერთი საათის შემდეგ, როცა ჩაიცვა და წასვლა დააპირა, ასე მითხრა:

— ქორწინებამდე რად არ მითხარით ეს ყველაფერი?

ხმა არ გამიღია, ისე წავიდა.

მაშასადამე, მეორე დღეს კართან ვიდექი და ვუსმენდი, თუ ვით წყდებოდა ჩემი ბედი. ჯიბეში რევოლვერი მედო. გამოწყობილი, მაგიდას უჯდა, ეფიმოვიჩი კი წინ ედგა და თავს აწონებდა, ყოყლოჩინობდა. ჰოდა, რა,

ისეც მოხდა, როგორც ველოდი (ჩემდა საქებრად ვამბობ), სწორედ ისე, როგორც მეგონა და გული მითქვამდა, თუმცა ვერც ვგრძნობდი, გული რას მითქვამდა და მეუბნებოდა. არ ვიცი, გამიგებთ თუ არა.

დიახ, მთელი ერთი საათი მოწმე გახლდით სპეტაკი და კეთილშობილი სულის პაექრობისა კოხტაპრუწა გათახსირებულ უჭკუო ნაძირალასთან. გაოცებას ვიყავ, ამ გამოუცდელმა, ამ თვინიერმა და უტყვმა ქმნილებამ საიდან იცის-მეთქი ეს ყველაფერი? ჭკუამახვილი ავტორიც კი მაღალი წრის კომედიებისა ვერ შექმნიდა მისთანა სცენას, დაცინვით, გულუბრყვილო სიცილით და ბიწიერებისადმი უბიწო ზიზღით აღსავსეს. რა მოსწრებული სიტყვა-პასუხი, რა მართალი განქიქება! ამავე დროს კი, ეგზომი სიწრფელე და კდემამოსილება. იგი დასცინოდა მის საარშიყო სიტყვებს, მის მიმოხრას, მის ყოველ ნათქვამს. იმ ზრახვით მოსულს, რომ ხელდახელ ტლანქად მიეტანა იერიში, აზრად როგორ მოუვიდოდა, თუ წინააღმდეგობას გაუწევდნენ და ამიტომაც გაშრა, დაიჩუტა კაცი, პირველად შეიძლება გეფიქრა, მხოლოდ კეკლუცობს და იპრანჭება, „როგორც გარყვნილ, მაგრამ ჭკუამახვილ ქმნილებას მოსდგამს, რა არის, თავი უფრო დაიფასოს“. მაგრამ სიმართლე მზისებრ გამობრწყინდა, ეჭვს ველარ შეიტანდი. მხოლოდ ჩემდამი სიძულვილმა, ნაძალადევმა და ნაჩქარევმა, აიძულა, მისთანა გამოუცდელი, ამ პაემანზე მისულიყო. ოღონდ, საქმე საქმეზე რომ მიდგა — უმალ აეხილა თვალი. იმას უნდოდა ჩემი შერცხვენა, თავის მოჭრა, მაგრამ სიბინძურე ვერ აიტანა, ჭუჭყს ვერ გაუძლო. მისებრ უბიწოსა და სპეტაკი იდეალების პატრონს, განა, ეფიმოვიჩი თუ მისნაირი ნაძირალა ვაუბატონები აცთუნებდნენ? პირიქით, მხოლოდ სიცილი აღუძრა, მთელი სიმართლე ამოუდუღდა გულის სიღრმიდან და აღშფოთებამ მხოლოდ სარკაზმი დააფრქვევინა. ვიმეორებ, ეს ტუტუცი ბოლოს ისე გამოთაყვანდა, ისე მოქუშული იჯდა და პასუხებს ისე ძალისძალად ღერღავდა, კიდეც შემეშინდა, აქ სულმდაბლობით არ შეურაცხყოს-მეთქი. ისევ ვიმეორებ, ჩემდა სასახელოდ, ამ სცენამ თითქმის არც გამაოცა. თითქოს ჩემთვის ნაცნობი რამ ვიხილე, თითქოს იმიტომ მოვდიოდი, რომ ეს მენახა. მოვდიოდი და არ მეჯერა, არ მეჯერა არა, ცილისწამება, თუმცალა რევოლვერი მედო ჯიბეში — აი, თუ გნებავთ, მთელი სიმართლე! განა, სხვას კი წარმოვიდგენდი? განა, რატომ მიყვარდა, რად ვაფასებდი, რისთვის ვითხოვე ცოლად? თუ როგორ ვძულდი, მაშინ დაერწმუნდი, მაგრამ ისიც ვიწამე, რაზომ სპეტაკი იყო. კარი უცბად შევაღე და ეს სცენა შევწყვიტე.

ეფიმოვიჩი წამოხტა, მე კი მოვკიდე იმას ხელი და, წამოდი-მეთქი, ვუთხარი. ეფიმოვიჩი გონს მოეგო და უცებ ხმამაღლა გადაიხარხარა:

— ოჰო, ცოლ-ქმრობის წმიდათაწმიდა უფლებასთან მე რა ხელი მაქვს! კი, ბატონო, წაიყვანეთ, წაიყვანეთ! მაგრამ ამას კი გეტყვით, — მომაძახა უკან, — თუმცა რიგიანი კაცი თქვენთან დუელში არ გამოვა, მაგრამ თქვენი ცოლის ხათრით მიმსახურეთ... თუ, რასაკვირველია, გაბედავთ და...

— ხომ გესმით! — შევაჩერე წამით იგი ზღურბლზე.

სახლამდე ხმა არ გაგვიღია. ხელკავით მიმყავდა და არც ის გამძალიანებია, პირიქით, მეტისმეტად იყო შემკრთალი, ოღონდაც მხოლოდ შინ მისვლამდე. შინ მოვედით თუ არა, სკამზე დაჯდა და თვალები მომაშტერა. ადამიანის ფერი არ ედო. მართალია, ტუჩები დაცინვით მოეკუმა, მაგრამ გოროზად კი მიყურებდა და თვითონაც სჯეროდა, მგონი, იმ წუთს, ტყვიას მახლისო. მაგრამ რევოლვერი უხმოდ ამოვიღე ჯიბიდან და მაგიდაზე დავდე. ის ხან მე შემომხედავდა და ხან რევოლვერს (არ დაივიწყოთ, ეს რევოლვერი ბევრჯერ ენახა. სალარო რომ გავხსენი, მაშინ ვიყიდე და დავტენე. გადავწყვიტე, არც ქოფაკები მყოლოდა დარაჯად და არც ზორბა ლაქია მოზერის დარად. ჩემს მუშტრებს მზარეული ქალი უღებს ხოლმე კარს. მაგრამ ჩვენი ხელობის ხალხი თავის დაცვაზე სულმთლად ვერ იტყვის უარს, რა ვიცი, რა მოხდება. ამიტომ ისევ რევოლვერი ვარჩიე. ჰოდა, შინ როცა მოვიყვანე, პირველ დღეებში სულ მეკითხებოდა ამ რევოლვერზე და მეც ავუხსენი, როგორ უნდა ეხმარა იგი, ერთხელ კიდეც ვასროლინე მიზანში. ესეც ინიშნეთ). ყური არ ვათხოვე მის შეშინებულ იერს და თითქმის ჩაცმული მივწექი ლოგინზე. ქანცი აღარ მქონდა, თერთმეტს აღარაფერი უკლდა, მგონი, დიდხანს, თითქმის ერთი საათი იჯდა ასე უძრავად, მერე ჩააქრო სინათლე და ჩაცმული მიწვა დივანზე. პირველად იყო, გვერდით არ დამიწვა!.. ესეც ინიშნეთ.

VI
საზარელი მოგონება

ახლაც კი მზარავს იმ ამბის მოგონება...

რვა საათი იქნებოდა, რომ გამეღვიძა. ოთახში თითქმის დღის სინათლე იყო. გამეღვიძა სრულ გონებაზე და უცებ გავახილე თვალი. იგი მაგიდასთან იდგა და რევოლვერი ეკავა. არ შეუმჩნევია, რომ მეღვიძა და ვუთვალთვა-

ლებდი. ერთიც ვნახოთ, ჩემკენ დაიძრა რევოლვერით. მყის დავხუჭე თვალი, ვითომ ისევ მეძინა.

მოვიდა და თავზე დამადგა. ყველაფერი მესმოდა, სამარისებური სიჩუმე იდგა და მაინც თითქოს ყველაფერი მესმოდა. უცებ რაღაცამ მომიარა, ჩემდა უნებლიეთ გავახილე თვალი. იგი ჯიქურ მიყურებდა, რევოლვერი კი უკვე ჩემს საფეთქელთან მიეტანა. ჩვენი მზერა ერთმანეთს შეხვდა. წამიც და თავს ძალა დავატანე, ისევ დავხუჭე თვალები. გადავწყვიტე, რაც უნდა მომხდარიყო, არ გავნძრეულიყავ და თვალი არ გამეხილა.

ხომ მომხდარა, ღრმად მძინარეს რომ უეცრივ გაუხელია თვალი, თავიც კი წამოუწევია და მოუთვალიერებია ოთახი. მერე კი უაზროდ ისევ მიგდებულა ბალიშზე და დასძინებია. აღარც ახსოვს, რას შეხედა და რა დაინახა.

როცა მის მზერას წავაწყდი და რევოლვერი ეიგრძენ საფეთქელთან, მერმე კი თვალები დავხუჭე და თავი მოვიმძინარე, დიახაც უნდა ჰგონებოდა, რომ მართლა მეძინა და არაფერი არ დამინახავს. განა ვინ დაიჯერებდა, რომ ამის დამნახველს იმავ წამს შეიძლება დამეხუჭა თვალები.

დიახ, არაევინ დაიჯერებდა, მაგრამ თვითონ კი უნდა მიმხვდარიყო სიმართლეს – აი, რამ გამიელვა იმავე წამს თავში. ჰოი, ფიქრების რა კორიანტელი დამიტრიალდა იმ წამზე უმცირეს დროში! დაილოცოს ადამიანის ფიქრის სისწრაფე! უკეთუ იგი მიხვდა, რომ არა მძინავს (გავიფიქრე), მაშასადამე, გავანადგურე, მოვსპე იგი, რაკი სიკვდილს ისე მზადყოფნით შეეგებე, მაშასადამე, ხელი უნდა აუკანკალდეს, მისი სიმტკიცე უნდა გასტეხოს ამ ახალმა დიდმა შთაბეჭდილებამ. ამბობენ, მწვერვალზე მდგართ ძალუმ იზიდავთ უფსკრულიო. მე თუ მკითხავთ, ბევრი მკვლელობა თუ თვითმკვლელობა არ მოხდებოდა, რევოლვერი რომ არ ყოფილიყო მომარჯვებული. ესეც უფსკრული გახლავთ, ესეც დაქანებაა ორმოცდახუთ გრადუსზე, რაზეც არ ძალგიძს, არ დაცურდე, რაღაც უძლეველმა ძალამ არ შეიძლება არ გიბიძგოს, რომ ჩახმახს გამოკრა თითი. მაგრამ თუ იგრძნო, რომ ყველაფერი დავინახე, ყველაფერი ვიცი და უხმოდ ველი მისგან სიკვდილს, იქნებ შეიკავოს თავი და არ დაცურდეს.

სიჩუმემ დიდხანს გასტანა. უცებ საფეთქელზე ცივად მომედო რკინა. იქნებ მკითხოთ: განა, მართლა გჯეროდა, არ მოგკლავდაო? გეტყვით, ვითარცა ღვთის წინაშე: იმედი არ მქონდა გადარჩენისა. მაშ, რისთვის ვთანხმდებოდი სიკვდილზე? აბა, მეც გკითხავთ, რა ოხრად ვაქნევდი სიცოცხლეს, როცა სათაყვანო არსებამ რევოლვერი მომიღერა მოსაკლავად? გარდა ამისა,

ვგრძნობდი, რომ იმ წამს ჩვენ შორის სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლა იყო, ბრძოლა იმ გუშინდელი ლაჩრისა, ამხანაგებმა ლაჩრობისათვის რომ გამოაგდეს. ეს მეც ვიცოდი და მანაც იცოდა, უკეთუ მიხვდა, რომ არ მეძინა.

იქნებ არ იყო ასე, იქნებ არც მიფიქრია ასე, მაგრამ მაინც ასე უნდა ყოფილიყო, გინდაც არ მეფიქრა, ვინაიდან შემდეგში ყოველ წუთსა და წამს ამაზე ვფიქრობდი.

მაგრამ თქვენ ალბათ ამასაც მკითხავთ: რად არ შევუშალე ხელი ეს დანაშაული ჩადენა? ვაჰმე, რამდენჯერ მიკითხავს ეს ჩემი თავისთვის, როს ის ამბავი გამხსენებია და ურუანტელს დაუვლია ტანში, მაგრამ მაშინ სასო მქონდა გარდაკვეთილი: კაცი თვითონ ვიღუპებოდი, სხვა, აბა, როგორ გადამერჩინა? ან რა იცით, მინდოდა კია სხვისი გადარჩენა? ან უწყის ვინმემ, რას ვგრძნობდი მაშინ?

ტვინი მიდუღდა, გამალებით მიმუშავებდა. წამი წამს მისდევდა, სამარისებურ სიჩუმეს ჩქამიც არ არღვევდა; ის თავზე მადგა, – და უცებ გული იმედით ამიფართქალდა! სწრაფად გავახილე თვალი. ის ოთახში აღარ იყო. წამოვდექი ლოგინიდან: მე გავიმარჯვე – მე სამუდამოდ დავამარცხე და დავძლიე იგი!

ჩაის დასალევად გავედი. სამოვარი მუდამ პირველ ოთახში იდგა და ჩაისაც მუდამ იგი ასხამდა. უხმოდ მივუჯექი მაგიდას და ფინჯანი ჩამოვართვი. ხუთიოდე წუთის შემდეგ შევხედე. მიტკლისფერი ედო – გუშინდელზე მეტად გამტკნარებული უჩანდა პირისახე. რომ დამინახა, ეუყურებდი, უფერულმა ღიმილმა შეუტოკა უფერული ტუჩები და გაუბედავი მზერა მომაპყრო. „მაშასადამე, კიდევ ეჭვობს, თუ ვიცი და დავინახე?“ – გულგრილად ავარიდე თვალი. ჩაის შემდეგ სალარო დავკეტე და ბაზარში წავედი, რკინის საწოლი და თეჯირი ვიყიდე. ის საწოლი დარბაზში გავაშლეინე და თეჯირი ჩამოვაფარე. საწოლი მისთვის იყო, თუმცა სიტყვა არ მითქვამს. უსიტყვოდაც მიხვდა, რომ „ყველაფერი ვნახე და ვიცი“. რომ საეჭვო არაფერია. როგორც ყოველთვის, რევოლვერი ახლაც მაგიდაზე დავდე ღამით. იგი უხმოდ დაწვა იმ თავის ახალ საწოლზე: ცოლ-ქმრობის ძაფი გაწყვეტილი იქნა, ის კი „ძლეული, ოღონდ არა მიტევებული“. ღამით ბოდვა დაიწყო, დილას უკვე სიცხით იწვოდა. ექვსი კვირა ციებ-ცხელებამ ლოგინს მიაკრა.

თავი მეორე

I
სიამაყის სიზმარი

ეს წუთია ლუკერიამ მითხრა, აქ აღარ დავრჩები, ქალბატონის დასაფლავების უმალ წავალო. ხუთი წუთი ვიდექი ლოცვად, თუმცა ერთ საათს კი ვაპირებდი. ფიქრები აღარ მასვენებს, გამტანჯა ფიქრებმა, თავიც მტკივა — ლოცვა რას მიშველის! საოცარია, რად არ მეძინება, დიდი, ძალიან დიდი მწუხარების შემდეგ კი ადამიანს სულ ეძინება. ამბობენ, სიკვდილმისჯილთ უკანასკნელ ღამეს მკვდარივით სძინავთო. ასეც უნდა იყოს ბუნებითაც, თორემ ვინ გაუძლებს მაშინ... მივწექი დივანზე, მაგრამ ვერ დავიძინე...

...მთელი ექვსი კვირა მე, ლუკერია და გამოცდილი მომელელი ქალი დღედაღამ ვადექით თავზე. ფული არ დამიზოგავს, კიდეც მიხაროდა, ამდენს რომ ეხარჯავდი. ექიმი შრედერი მოვუყვანე. ყოველ მოსვლაზე თუმანს ვუჯიბავდი. გონს რომ მოვიდა, მაშინ კი გავარიდე თავი. თუმცა რაებს ვწერ. ფეხზე რომ წამოდგა, უხმოდ მიუჯდა ჩემს ოთახში ცალკე მაგიდას. ისიც მისთვის ვიყიდე იმ დღეებში... ჩვენ ვდუმდით, ჰო, ჰო, ნიადაგ ვდუმდით. არა, მერე კი ელაპარაკობდით, მაგრამ სულ ჩვეულებრივ რაღაცეებზე. რასაკვირველია, განზრახ არ ველაპარაკებოდი ბევრს, თუმცა შეეატყვე, არც თვითონ ეხალისებოდა მაინცდამაინც ზედმეტის თქმა, რაც ბუნებრივად მიმაჩნდა მისი მხრიდან. „მეტისმეტად დიდი მეხი იყო მისთვის, მეტისმეტად დიდი მარცხი მოუვიდა, — ვფიქრობდი გულში, — თქმა არ უნდა, დრო სჭირდება, რომ დაივიწყოს და მიეჩვიოს“. ამიტომაც ვდუმდი, მაგრამ გულში კი ვემზადებოდი მომავალი საუბრისათვის. მეგონა, ისიც ასე იყო. საოცრად მაინტერესებდა გამეგო, ნეტა რას ფიქრობს-მეთქი თავის გულში.

იმასაც ვიტყვი: კაცმა არ იცის, თუ რა ტანჯვა გამოვიარე მისი ავად-მყოფობის ჟამს. თუმცა გულში ვიტანჯებოდი, ლუკერიასთანაც კი არ დამიკვნესია ერთხელაც. ჩემს გულს ვასკდებოდი, ისე როგორ უნდა მოკვდეს, მთელი სიმართლე ვერ გაიგოს-მეთქი. როცა საფრთხემ გაიარა და მორჩენის პირი დაეტყო, მახსოვს, რა უცბად დავწყნარდი. კიდევ მეტი, გადავწყვიტე ჯერჯერობით ყველაფერი ისე დამეტოვებინა და ჩვენი მომავალი საუბარი რაც შეიძლება დიდი ხნით გადამედო. დიახ, რაღაც საოცარი და უჩვეულო

რამ დამემართა, სხვანაირად ვერც ვიტყვი: მე გავიმარჯვე და ამ გამარჯვების გრძნობამ სრულიად დამაკმაყოფილა. ასე განვლო იმ ზამთარმა. იმ ზამთარივით ჩემი თავის კმაყოფილი არასოდეს ვყოფილვარ.

იცით, ისეთი საშინელი რამ ამბავი დამატყდა ცხოვრებაში, ჩემი ცოლის ამბებამდე ყოველ ცისმარე დღესა თუ საათს მაჯლაჯუნასავით მაწვა გ'ულზე. ეს გახლდათ ჩემი თავსლაფისა და პოლკიდან წამოსვლის ამბავი. ორიოდე სიტყვით მოგახსენებთ: მე საოცრად უსამართლოდ მომექცნენ. კი, მძიმე ხასიათი მქონდა და ამხანაგებს არ ვუყვარდი. იქნებ მძიმე კი არა და სასაცილოც იყო ჩემი ხასიათი. მერე რა, განა არ მომხდარა, რასაც შენ თაყვანს სცემ, რაც სანუკვარია შენთვის და ხატად ქცეული, იგი სიცილსა ჰგვრის შენს ამხანაგებს. არა, სკოლაშიც არავის ვუყვარდი. მე არასოდეს არავის ვუყვარდი. ლუკერიასაც კი არ ვუყვარვარ. თუმცა პოლკში მომხდარი ამბავი შედეგიც რომ ყოფილიყო ჩემი ამ ათვალწუნებისა, მაინც შემთხვევითი გახლდათ. ჰოდა, იმაზე საწყენი და აუტანელი, განა, რა არის, როცა შემთხვევა დაგლუპავს, რომელიც შეიძლება არც მომხდარიყო, როცა, საუბედუროდ, ყველაფერი შენს დასაღუპად დაემთხვევა ერთმანეთს, თუმცა შეიძლება ავდრის ღრუბელივით ჩაევლო. ინტელიგენტი ადამიანისთვის ამაზე დამამცირებელი არაფერია. აი, როგორ მოხდა ეს ყველაფერი.

თეატრში ვიყავი და შესვენებაზე ბუფეტში გავედი. უცებ ჰუსარი ა-ვი შემოვიდა და იქ მყოფ ოფიცერთა თუ სხვა დამსწრეთა გასაგონად აუწყა თავის ორ ამხანაგს, რომ დერეფანში ჩვენი პოლკის კაპიტანმა ბეზუმცევმა ერთი ალიაქოთი ატეხა, „მგონი, მთვრალიც ბრძანდება". საუბარი აღარ გაგრძელდა. თანაც შეცდომა იყო, კაპიტანი ბეზუმცევი არც მთვრალი ყოფილა და არც ალიაქოთი აუტეხავს. ჰუსარებმა სხვაზე გადაიტანეს სიტყვა და ამაზე მორჩა ყველაფერი. მაგრამ მეორე დღეს ჩვენს პოლკში შეიტყვეს ეს ამბავი. შეიქმნა ერთი მითქმა-მოთქმა, გამოარკვიეს, რომ ბუფეტში ჩვენი პოლკიდან მარტო მე შევესწარ ამ ამბავს და, როცა ჰუსარმა ა-ვმა თავხედურად მოიხსენია ჩვენი კაპიტანი, არ ვეტაკე და არ გავაჩერე. ან რატომ უნდა გამეჩერებინა? თუ იმას კაპიტანი ბეზუმცევის მტრობა ჰქონდა, ეს მათი საქმე იყო, მე რა შუაში ვიყავ? მაგრამ ოფიცრებმა გადაწყვიტეს, რომ ეს მთელი პოლკის საქმე იყო და, რაკი ოფიცრებიდან მარტო მე შევესწარ ამ ამბავს, მაშასადამე, იქ მყოფ ოფიცრებსა და დამსწრეთ დავუმტკიცე, რომ ჩვენს პოლკში ზოგიერთ ოფიცერს საკუთარი თუ პოლკის პატივი არაფრად ულირს. მე არ დავეთანხმე ამ მოსაზრებას. მაშინ მაგრძნობინეს, საქმის გამოსწორება კიდევ შეიძლებაო, უკეთუ ახლა მაინც

მოვთხოვდი ა-ეს ფორმალურ ახსნა-განმარტებას. გაბრაზებულმა ამაყად ეტკიცე უარი ამაზე და მაშინვე თხოვნაც შეეიტანე, გამათავისუფლეთ-მეთქი. ასე გახლდათ საქმე, ამაყად კი წამოვედი, მაგრამ სულიერად გავნადგურდი კაცი, მიმტყუნა ძალამ და გონებამ. სწორედ ამ დროს პატარა ქონება, საიდანაც ჩემ წილად ისე მცირე რჩებოდა, ჩემი დის ქმარმა მოსკოვში გაანიავა. ასე რომ, ქუჩაში დავრჩი უკაპიკოდ და უსახსროდ. სხვა სამსახურში შესვლა არ ვიკადრე: ბრწყინვალე მუნდირის შემდეგ რკინიგზაში, აბა, რა მინდოდა! რახან ასე შევრცხვი, რახან ასე მომეჭრა თავი, ბარემ სულ შევრცხვე და ლაფი დამესხას-მეთქი, რახან მიწასთან გავსწორდი, ბარემ სულ გავსწორდე. რაც უარესი მომივა, მით უკეთესი-მეთქი. სამი წელი ამ შავ-ბნელ მოგონებებში გავატარე. ვიაზემსკის სახლამდეც მივიდა ჩემი საქმე. წლინახევრის უკან მოსკოვში გარდაიცვალა ჩემი მოხუცი მდიდარი ნათლია, ვისაც, სრულიად მოულოდნელად, ჩემთვისაც დაეტოვებინა ანდერძით სამი ათასი. ვიფიქრე, ვიფიქრე მაშინ და გადავწყვიტე სესხის სალარო გამეხსნა, ადამიანებისთვის კი პატიება არ მეთხოვა. დავაგროვებ ფულს, გავიჩენ კუთხეს, ძველ ამბებს დავივიწყებ და ცხოვრებას ხელახლა დავიწყებ-მეთქი, — აი, რა მქონდა განზრახული. მაგრამ ჩემი შავბნელი წარსული და შერცხვენილი სახელი მაინც არ მასვენებდა. ყოველ წუთსა და საათს მტანჯავდა. ამასობაში ცოლიც ვითხოვე. არ ვიცი, შემთხვევით იყო თუ არა. ეს კია, როცა ვითხოვე, მეგონა, მეგობარი მომყავდა, რამეთუ მეგობარს მართლაც ძალიან ვსაჭიროებდი. იმასაც ვგრძნობდი, რომ მეგობარი შენვე უნდა გამოზარდო, შენვე მოაქციო შენს ჭკუაზე. მაგრამ თექვსმეტი წლის გოგოსთვის ერთბაშად როგორ ამეხსნა ყველაფერი, მეტადრე როცა აგრე იყო განწყობილი? განა, შევძლებდი მის დარწმუნებას, ლაჩარი არ ვარ და პოლკში უსამართლოდ მომნათლეს-მეთქი ლაჩრად? იმ რევოლვერის ამბავმა სწორედ სულზე მომისწრო, მისი წყალობით შური ვიძიე იმ ჩემს შავბნელ წარსულზე. მერე რა, რომ სხვებმა ვერ გაიგეს, მან ხომ გაიგო, ის კი ჩემთვის ყველაფერს ნიშნავდა, ის იყო ჩემთვის სუყველაფერი, ის იყო ჩემი ოცნებების, ჩემი მომავლის მთელი იმედი! ის იყო ერთადერთი ადამიანი, ვისაც საჩემოდ ვამზადებდი, სხვა მე არავინ მინდოდა. ჰოდა, იმან ხომ გაიგო ყველაფერი, ის ხომ მაინც გაიგო, რარიგ იჩქარა ჩემი მტრების მხარეზე გადასვლა. ეს ფიქრი აღტაცებით მავსებდა. მაშასადამე, მის თვალში მხოლოდ უცნაური კაცი ვიქნები და არა ნაძირალა, მომხდარი ამბების შემდეგ კი ეს არცთუ უსიამოდ მიმაჩნდა. უცნაურობა ნაკლი როდია, პირიქით, ქალს კიდეც ხიბლავს

ზოგჯერ უცნაურობა. მოკლედ, განზრახ არ დავეშურე საქმის გარკვევას. რაც მოხდა, ჩემი სიმშვიდისთვის საკმარისზე მეტიც იყო, საკმარისზე მეტ სურათებს მიხატავდა საოცნებოდ. სწორედ ამ ოცნებებმა დამღუპა. ჩემთვის ეს ოცნებანიც კმაროდა, ის კი მოიცდის-მეთქი, მეგონა.

ასე მიიწურა ზამთარი. ჰოი, როგორ მიყვარდა ქურდულად ცქერა, როცა თავის მაგიდას უჯდა, ხან საქმით, ხან საკერავით გართული. საღამოობით კი ჩემი კარადიდან გამოტანილ წიგნს კითხულობდა. ამ წიგნებსაც ჩემს სასარგებლოდ უნდა ეღაღადა, რამეთუ მე შევარჩიე. თითქმის სულ შინ იჯდა. ნასადილევს, ბინდისას, მუდამდღე გამყავდა სასეირნოდ, ოღონდაც წინანდელივით უბრად აღარ ვიყავით. ეცდილობდი, ისე მომეჩვენებინა თავი, ვითომც არ ვდუმვართ, პირიქით, ტკბილადაც ვსაუბრობთ. მაგრამ, ხომ მოგახსენეთ, ჩვენ თავად არც მაინცდამაინც ვცდილობდით-მეთქი საუბრის გაგრძელებას. ამას განზრახ ჩავდიოდი, უნდა „მეცლია“, დრო უნდა მიმეცა მისთვის. არა, ზამთრის მიწურულამდე ერთხელ როგორ არ გავიელე გუნებაში, მე თუ ქურდულად შევცქერი, თვითონ ერთხელ რატომ არ შემომხედავს-მეთქი. მაგრამ ამას გაუბედაობას ვაწერდი. მერედა რა გაუბედავი, რა უძალო გახდა ავადმყოფობის შემდეგ. არა, სჯობია დაიცადო, ვეუბნებოდი ჩემს თავს, ვინემ, „ვინემ თავისით არ მოვა-მეთქი შენთან...“

ეს ფიქრი ფრთას მასხამდა, ეს ფიქრი მაღფრთოვანებდა. რა დაგიმალოთ, და შიგადაშიგ განზრახ ვიღიზიანებდი თავს, იქამდე მიმყავდა ჩემი თავი, მართლა ნაწყენი ვიყავი ხოლმე მასზე რამდენიმე ხანს. მაგრამ სიძულვილი კი არასოდეს მქონია მისი. თითქოს მევე ვგრძნობდი, ყოველივე რომ მხოლოდ თამაში იყო. მაშინაც კი, როდესაც გაეწყვიტე ჩვენი ცოლ-ქმრობა, ვუყიდე საწოლი და თეჯირი, მაშინაც კი მოღალატედ არ ჩამითვლია, არა, განა იმიტომ, დანაშაულს ზერელედ ვუყურებდი, არა, იმიტომ რომ იმთავითვე, პირველსავე დღეს, საწოლის ყიდვამდე, ჩემს გულში ვაპატიე და შევუნდე ყველაფერი. კი, უცნაურად მოვიქეცი, რამეთუ ნამუსზე მკაცრი გახლავართ. მაგრამ ჩემს თვალში ეგზომ მოტეხილი, ეგზომ დამცირებული და განადგურებული ჩანდა, ხანდახან კიდეც მეცოდებოდა, თუმცა მისი დამცირება სადღაც მაინც მსიამოვნებდა. დიახ, დიახ, ეს ჩვენი უთანასწორობა სიამეს მგვრიდა...

იმ ზამთარს რამდენიმე კაცს სიკეთე ვუყავ. ორს ვალი ვაპატიე, ერთ ღარიბ ქალს სულაც უგირაოდ მივეცი სესხი. ცოლისთვის კი არაფერი მითქვამს და არც იმიტომ მოვქცეულვარ ასე, იმას გაეგო, მაგრამ ის

ღარიბი ქალი ლამის დაჩოქილი მოვიდა მადლობის სათქმელად და მაშინ გამჟღაენდა ყველაფერი. ისე მეჩვენა, თითქოს მართლა ასიამოვნა ამ ამბავმა.

ამასობაში გაზაფხულიც დადგა. შუა აპრილი იყო, როცა ჩამოხსნეს ორმაგი ჩარჩოები და ჩვენს მდუმარე სამყოფელში მზემ შემოიჭყიტა. მაგრამ ჩემს თვალებს მაშინ ბინდი ეფინა, ბედისწერის საშინელი ბინდი! და ჭკუა-გონებას მიბნელებდა. რამ ჩამომაშორა უცებ ის ბინდი და რამ ამიხილა თვალი, თავად არ ვიცი! შემთხვევით მოხდა თუ საამისო ჟამმა დაჭკრა ან მზის სხივმა გამინათა მე უტვინოს აზრი და ჭკუა? არა, აქ არაფერ შუაში იყო აზრი და ჭკუა. არა, აქ ერთი ძარღვი, თითქოს უკვე მკვდარი, ათამაშდა, გაცოცხლდა და გამინათა დაჩლუნგებული სული და ჯოჯოხეთური სიამაყე. თითქოს ზე წამოვიჭერი კაცი, ისე მოულოდნელი და უეცარი იყო იგი. ეს მოხდა ნასადილევის ხუთ საათზე.

II
თვალის ახელა

მანამდე ორ სიტყვას ვიტყვი კიდევ. ჯერ ერთი თვით ადრე შევამჩნიე უცნაური გარინდება. განა მხოლოდ ჩუმად იყო და ხმას არ იღებდა, არა, გარინდებული იყო რაღაცნაირად. დიახ, დიახ, უეცრივ შევამჩნიე. მახსოვს, რაღაცას კერავდა თავდახრილი, არ იცოდა, რომ ვუყურებდი. ჰოდა, ისეთი გამხდარი მეჩვენა მაშინ, ისეთი გაცრეცილი პირისახე, ჩათეთქვილი ტუჩები ჰქონდა, ლამის თავზარი დამეცა. წინათაც ერთი ორჯერ, განსაკუთრებით საღამოობით, ხველება მომესმა მისი. არაფერი მითქვამს, ისე ავდექი და მაშინვე შრედერთან წავედი. ვთხოვე, მობრძანდით-მეთქი ჩვენთან.

შრედერი მეორე დღეს მოვიდა. გაუკვირდა ექიმის მოსვლა. ხან მე შემომხედავდა, ხან შრედერს.

— რა იყო, მე კარგად ვარ, — თქვა და უცნაურად გაიღიმა.

შრედერმა არცთუ გულდასმით გასინჯა (ჰოი, რა ყოყოჩები, რა დაუდევარნი არიან ზოგჯერ ეს ექიმები), ოღონდაც მეორე ოთახში მითხრა, ავადმყოფობის შედეგია, ურიგო არ იქნება სადმე ზღვაზე თუ წაბრძანდებით ან აგარაკზე მაინც გაიყვანთო. ერთი სიტყვით, მარტო ის ბრძანა, დასუსტებულია, სხვა არაფერიო. შრედერი რომ გავისტუმრე, საოცრად დინჯად შემომხედა და ისევ გამიმეორა, ძალიან, ძალიან კარგად ვარო.

მაგრამ ალმურმა კი გადაჰკრა მაშინვე. ალბათ შერცხვა და იმიტომ. ახლა მესმის, რატომაც შერცხვა. შერცხვა იმიტომ, რომ ისევ ქმარი ვიყავი მისი და მასზე ვზრუნავდი, როგორც ქმარი. მაშინ კი ვერ მივხვდი, ეს ალმური მორჩილებას მივაწერე მისას (სიბრმავე ჩემი!).

ერთი თვის შემდეგ, აპრილის ერთ კაშკაშა მზიან დღეს, ხუთი საათი იქნებოდა, ჩემს სალაროსთან ვიჯექი და ვანგარიშობდი. უცებ იმ ოთახიდან, სადაც თავის მაგიდას უჯდა და საქმიანობდა, ჩუმი... ჩუმი ღიღინი მომესმა. ამ ღიღინმა სულის სიღრმემდე შემძრა, დღემდე არ ვიცი, რატომ. აქამდე მისი ღიღინი თითქმის არ მსმენია, ოღონდაც ჩვენი ცოლ-ქმრობის პირველ დღეებში წაიმღერებდა ხანდახან, როცა ვერთობოდით და რევოლვერს ნიშანში ვისროდით: მაშინ საკმაოდ ძლიერი ხმა ჰქონდა, საოცრად წკრიალა და სასიამოვნო. ახლა კი რაღაც უძალოდ გაუღერდა მისი ხმა. განა იმიტომ, ჰანგი იყო სევდიანი (რაღაც რომანსს მღეროდა), არა, ხმა გაბზაროდა, თითქოს ვერ დაეძლია ჰანგი, თითქოს თვითონ სიმღერას შეჰპარვოდა სენი. ხმადაბლა ღიღინებდა და ცოტა რომ აუმაღლა, საბრალისად ჩაუწყდა ხმა, ჩაახველა და ისევ ჩუმად განაგრძო ღიღინი...

დამცინით იქნებ, მაგრამ ვერა, ვერ გამიგებთ, რამ ამაღელვა ასე! არა, ეს ჯერაც არ იყო სიბრალული, ეს რაღაც სხვა გრძნობა იყო. პირველად, პირველ წუთებში მაინც უეცრივ სახტად დავრჩი, საშინლად გამიკვირდა და ლამის ბოღმამ ამიტანა: „რა ამღერებს! დაავიწყდა განა, რო მე აქა ვარ?"

ერთხანს გაოგნებული ვიჯექი, მერე უეცრივ ავდექი, ქუდი ავიღე და ლამის აზრდაკარგული გამოვედი გარეთ. მეც არ ვიცოდი, სად მივდიოდი ან რად მივდიოდი. ლუკერიამ პალტო მომაწოდა.

— მღერის-მეთქი? — ვკითხე უნებლიეთ. ვერ გამიგო და გაკვირვებით შემომაჩერდა. ან კი რას გაიგებდა.

— პირველად მღერის დღეს?

— არა,თქვენ რომ არა ხართ,მაშინ მღერის ხოლმე,— მითხრა ლუკერიამ.

კარგად მახსოვს, როგორ ჩავიარე კიბე, გავედი ქუჩაში და გზას დავადექი. მივედი მოსახვევამდე და გავიხედ-გამოვიხედე. ხალხი მიდი-მოდიოდა, მეჯახებოდა, მე კი ვერაფერს ვგრძნობდი. მეეტლე გავაჩერე და ვუთხარი, საპოლიციო ხიდამდე მიმიყვანე-მეთქი, რატომ, არ ვიცი. მერე უეცრივ გადავიფიქრე და აბაზიანი მივეცი.

— აჰა, აიღე, ტყუილად რომ გაგსარჯე, — ვუთხარი და უაზროდ შევცინე. გულში უეცრივ საოცარი აღტაცება დამისადგურდა.

გამალებული გამოეტრიალდი შინისაკენ.

საბრალისი, გაბზარული ხმა კელავ ამიჟღერდა სულში. სუნთქვა შემეკრა, ბინდი ნელ-ნელა ჩამომეცალა თვალთაგან! რაკი ჩემს იქ ყოფნისას იმღერა, მაშ დაავიწყდა ჩემი არსებობა – აი, რა იყო საშინელი და თავზარდამცემი, აი, რას მიგრძნობდა გული. მაგრამ აღტაცება მაინც მივსებდა სულს და შიშს სჯაბნიდა.

ჰოი, ბედის მწარე დაცინვა! მთელი ზამთარი სხვა რა უნდა მეგრძნო, თუ არა ასეთი აღტაცება, მაგრამ სად ვიყავ მთელი ის ზამთარი? რა ვუყავ ჩემს სულს? კიბე საჩქაროდ ავირბინე. არ ვიცი, როგორ შევედი, გაუბედავად თუ გაბედულად, ის კი მახსოვს, თითქოს ტორტმანებდა იატაკი და თითქოს მდინარე მიმაცურებდა. ისევ თავის ადგილზე დაჯდა, თავდახრილი, რაღაცას კერავდა, მაგრამ აღარ მღეროდა, თვალი გადმომკრა, ისე, ჩვეულებრივ, გულგარეშე. აი, ოთახში ვიღაც რომ შემოვა.

მიველ და ახლოს დავუჯექი. გიჟსა ვგავდი. სწრაფად შემავლო თვალი და თითქოს შეკრთა. ხელი დავუჭირე და აღარ მახსოვს, რა ვუთხარი, ანუ რისი თქმა მინდოდა, ვინაიდან აღტაცებულს ენა არ მემორჩილებოდა, ხმა მიწყდებოდა, ისიც არ ვიცოდი, რა მეთქვა, სული მეგუბებოდა.

– ვილაპარაკოთ... მითხარი რამე! – ამოვღერღე სულელივით, თუმცა რა მეჭკვიანებოდა? შეკრთა ისევ და შეშინებული სკამს აეკრა, ჯიქურ შემომხედა. უცებ გაკვირვებამ გაუელვა თვალებში, დიახ, გაკვირვებამ, გოროზმა გაკვირვებამ. თვალები გაუფართოვდა. ამ გოროზმა, დიახ, დიახ, გოროზმა გაკვირვებამ ლამის იქვე გამსრისა კაცი: „შენ სიყვარულიც გინდა, სიყვარულიც?“ – მკითხა თითქოს ამ გამოხედვით, თუმცაღა უხმოდ. მაგრამ მე კი ყველაფერი ამოვიკითხე, ყველაფერს მიეხვდი. შევძრწუნდი და მყის ფეხებში ჩავუვარდი. დიახ, დიახ, ფეხებში ჩავუვარდი. უმალ წამოხტა, მაგრამ ხელებში ჩავეჭიდე და არ გავუშვი.

მესმოდა, ვაი, რომ კარგად მესმოდა ჩემი უსასოობა! მაგრამ, დამიჯერებთ კია, აღტაცება ისე მიდუღდა სულში, ისე მეგონა, ამ წუთში მოვკვდები-მეთქი. თავდავიწყებით ვუკოცნიდი ფეხებს, თავდავიწყებითა და უსაზღვრო ნეტარებით, თუმცაღა ვიცოდი, აღარაფერი მიშველიდა! ეტიროდი და ელუღლუღებდი რაღაცას, ლაპარაკი აღარ ძალმიძდა. შიში და გაოცება უეცრივ რაღაც ჩაფიქრებამ შეცვალა, რაღაც დიდი გაოცება და კითხვა გამოეხატა პირისახეზე. შემომხედა უცნაურად, ლამის გიჟივით, თითქოს უნდა გაარკვიოს, რა ხდება ჩემს თავს, და გაიღიმა, საშინლად შერცხვა, ფეხებს რომ ვუკოცნიდი და ფეხები გამომაცალა. მე კი ამ ადგილს ეკოცნიდი, სადაც ეს წუთია ფეხი ედგა. ამის დანახვაზე სიცილი აუტყდა.

არ გინახავთ განა, კაცი რომ სირცხვილით გაიცინებს. ვამჩნევდი, სადაცაა ისტერიკა მოუვლიდა, ხელები უკანკალებდა, მაგრამ ამაზე აღარ ვფიქრობდი, ელუღლუღებდი მხოლოდ, მიყვარხარ-მეთქი, აქედან არ ავდგები. „მომეცი ნება, კაბა დაგიკოცნო... მთელი სიცოცხლე შენზე ვილოცო...“ არ ვიცი, არ მახსოვს არაფერი. უცებ აცახცახდა და ქვითინი წასკდა. ისე შევაშინე, ისტერიკამ მოუარა.

ავიყვანე და ლოგინზე დავაწვინე.

დაწყნარდა, წამოჯდა, საოცრად შეწუხებულმა დამიჭირა ხელები და შემეხვეწა: „გეყოფათ, თავს ნუ იტანჯავთ, დამშვიდდით!“ ცრემლები კი ღვარად ჩამოსდიოდა. მთელი საღამო არ მოვცილებივარ. ვეუბნებოდი, რომ ბულონში წავიყვან, ზღვაზე, ახლავე, ამ ორიოდე კვირის შემდეგ წავიყვან, რომ წელან მომესმა მისი სიმღერა, მისი საცოდავი, გაბზარული ხმა, რომ სალაროს დავკეტავ, დობრონრავოს მივყიდი, ცხოვრებას ახლიდან დავიწყებთ, რაც მთავარია, ბულონში წავალთ! მისმენდა და კანკალებდა. შიში უფრო და უფრო ეძალებოდა. მაგრამ ამას არად ვაგდებდი, ოღონდაც მის ფეხებთან ვწოლილიყავ, მეკოცნა ის მიწა, სადაც ფეხი ედგა, და მელოცა მასზე. „სხვა არაფერს გთხოვ და არც მოგთხოვ, — ვუმეორებდი წარამარა, — თუ გინდა, ხმასაც ნუ გამცემ, ნუ შემამჩნევ, ოღონდ ნუ დამიშლი სადმე კუთხეში მიკუნჭულმა გიცქირო, გავხდე შენი ნივთი, შენი ფინია“... ის კი ტიროდა და ტიროდა.

— მე კი მეგონა, ასე დამტოვებდით, — წამოსცდა უნებლიეთ, ისე უნებლიეთ, თვითონაც ვერ მიხვდა, რა ეთქვა. ეს იყო საბედისწერო სიტყვები, ჩემთვის ყველაზე სანიშნო და გასაგები იმ საღამოს. თითქოს დანა დამისვეს გულზე! ამან ცხადი გახადა ყველაფერი. მაგრამ ვინემ გვერდით, ვინემ თვალწინ მყავდა, მაინც იმედი მქონდა, მაინც საშინლად ბედნიერი ვიყავ! ჰოი, რარიგ დაექანცე იმ საღამოს. მეგონა, ყველაფერს ხელდახელ შევცვლიმეთქი! საღამო ხანს სულ გამოეცალა არაქათი. დავიყოლიე, დაწექი-მეთქი და დაიძინე. მაშინვე ჩაეძინა. მეგონა, ბოდვას დაიწყებდა. მართლაც, წამოაბოდა, მაგრამ მხოლოდ ერთი ორჯერ. წარამარა ვაკითხავდი, ფეხაკრეფით შევდიოდი და დავყურებდი. ხელებს ვიმტვრევდი ამ სნეული არსების შემხედვარე იმ უბადრუკ რკინის საწოლზე, მე რომ სამ მანეთად ვუყიდე მაშინ. ხან დაჩოქილი ვიდექი, თუმცა ფეხებს აღარ ვუკოცნიდი (ვერ გამებედა მის უნებართვოდ!), ხან ელოცულობდი და ხან გიჟივით წამოვხტებოდი. ლუკერია ხშირ-ხშირად შემოდიოდა და გაკვირვებით მიცქეროდა.

გავედი და ეუთხარი, წადი, დაწექი, ხვალიდან „სულ სხვა ამბები“ დაიწყება-მეთქი.

ჰოი, რა ბრმად, რა უგუნურად მეჯერა, რომ დაიწყებოდა. აღტაცება მახრჩობდა! გათენების მოლოდინში ვიყავი მხოლოდ. უბედურებას მაინც არ ველოდი, თუმცა ნიშნები კი იყო ამისა. ბინდი მომცილდა თვალთაგან, მაგრამ მაინც ვერ მოველ ჭკუაზე, დღევანდლამდე ვერა და ვერა! ან როგორ უნდა მოვსულიყავ, როცა მაშინ ცოცხალი მყავდა, თვალწინ მყავდა. მის გვერდით ვიყავ: „რა წამსაც გაიღვიძებს, მაშინვე ვეტყვი ყველაფერს, თავისი თვალით ნახავს-მეთქი ყველაფერს!“ აი, რას ეფიქრობდი მაშინ, რა უბრალოდ ვსჯიდი, მიტომ მახრჩობდა აღტაცება! თავიდათავი ბულონში წავიდოდით. რატომღაც მეგონა, ბულონი გადაწყვეტდა ყველაფერს. „კი, ბულონში, ბულონში წავალთ!..“ გიჟივით ველოდი გათენებას.

III
ვაი, რა ძარგად მესმის ახლა

ეს იყო რამდენიმე დღის წინათ, მხოლოდ ხუთი დღის წინათ, წინა სამშაბათს! არა, რა იქნებოდა, ცოტა, ცოტა მაინც ეცლია ჩემთვის — ბნელი რომ გამეფანტა! თუმცა, ხომ დამშვიდდა! მეორე დღეს ხომ ღიმილით მისმენდა, მერე რა, რომ შემცბარი ჩანდა... კი, მთელი ეს ხუთი დღე სულ ეტყობოდა სირცხვილი თუ შეცბუნება. შეშინებულიც იყო, ძალზე შეშინებული: არ ედავობ, გიჟი ხომ არა ვარ, სხვა ვამტკიცო: განა, არ უნდა ყოფილიყო შეშინებული? რა ხანია უცხონი გავხდით, გადავეჩვიეთ ერთმანეთს, ერთბაშად კი... მაგრამ ამ შიშს არად ვაგდებდი, სხვა მინათებდა წინ! უთუოდ, უთუოდ შევცდი კაცი. იქნებ სხვა ბევრშიც შევცდი. მეორე დღესვე (ოთხშაბათ დილას) დავუშვი შეცდომა: ერთბაშად მოვინდომე მისი მეგობრად გახდომა. ვიჩქარე, მეტისმეტად ვიჩქარე, მაგრამ აღსარება უნდა მეთქვა, აღსარება აუცილებელი იყო — აღსარებაზე მეტიც! ისიც არ დავუმალე, რასაც ჩემს თავს მთელი სიცოცხლე ვუმალავდი. ვუთხარი, რომ მთელი ზამთარი ეჭვი არ შემპარვია მის სიყვარულში. ავუხსენი, რომ სესხის სალარო ჩემი გონებისა და ნებისყოფის სისუსტე იყო, ჩემი იდეა თვითსაგვემად და განსადიდებლად. ავუხსენი, რომ მაშინ, ბუფეტში, მართლა შევშინდი ჩემი ეჭვიანი ხასიათის გამოისობით: დამაბნია ვითარებამ, დამაბნია ბუფეტმა. შევცბუნდი კაცი: რომ ავდგე და მივიდე, ბრიყვულად ხომ არ გამომივა-მეთქი? განა დუელს შევუშინდი, იმან

დამაფრთხო, ბრიყვულად არ გამოვიდეს-მეთქი... მერე კი აღარ გაეტყდი, მეც ვეწამე და სხვებიც ვაწამე. ვაწამე ისიც, საწამებლად ვითხოვე კიდეც. აღგზნებული ვლაპარაკობდი. თვითონვე მიჭერდა ხელებს, მეხვეწებოდა: „ნუ აჭარბებთ... თავს ნუ იტანჯავთ". აუტყდებოდა ისევ ტირილი და ლამის კვლავ ისტერიკა მოერეოდა, მეხვეწებოდა, ნუღარ ჰყვებით და ნურც იხსენებთო.

მე კი ყური არ ვათხოვე ამ მუდარას, არ მივაქციე ყურადღება: გაზაფხული, ბულონი მედგა თვალწინ! იქ მზეა, იქ ჩვენთვის ახლა მზე ამოვა-მეთქი, გავიძახოდი ამას! სალარო დავკეტე, საქმეები დობრონრავოს გადავულოცე. ავდექი და ესეც მივახალე, ყველაფერი ღარიბებს დავურიგოთ-მეთქი, მარტო ნათლიაჩემისაგან მიღებული სამი ათასი დავიტოვოთ და იმით წავიდეთ ბულონში, იქიდან დაბრუნებისას კი ვიშრომოთ, ახალი ცხოვრება დავიწყოთ-მეთქი. ასეც გადაწყდა, ვინაიდან თვითონ არაფერი თქვა... ეს კია, გაიღიმა. უფრო იმიტომ, მგონი, გული არ დამწყვეტოდა. განა არ ვხედავდი, ჩემთან ყოფნა რომ უმძიმდა. განა ისეთი ბრიყვი და თავკერძა გგონივართ, ეს არ დამენახა. კი, ვხედავდი, ყოველ წვრილმანს ვხედავდი და ყველაზე უკეთ ვიცოდი; ჩემი უსასოობა ჩემზე უკეთ ვინ იცოდა!

ვუამბე ჩემზეც, მასზეც. ვუამბე ლუკერიაზეც, ვუთხარი, როგორ ვტიროდი... განა, არ შევეცადე სხვა რამეზეც მელაპარაკა, განა, არ შევეცადე სულაც არ მეხსენებინა ზოგი ამბები. ერთი ორჯერ გამოცოცხლდა კიდეც. მახსოვს, განა არ მახსოვს! მაშ, რაღად მეუბნებით, ვერაფერიც ვერ დაინახეო? არ მომხდარიყო ეს ამბავი, ხომ აღსდგებოდა ყველაფერი, ხომ მიამბო ამ სამი დღის წინათ, რა წაიკითხა ამ ზამთარს. მომიყვა ჟილ ბლაზის სცენა გრენადის არქიეპისკოპოსთან. რამდენი იკისკისა. მერე რა საყვარლად, რა ბავშვურად, როგორც გათხოვებამდე იცოდა ხოლმე (წამით! წამით, ჰო!) ოჰ, რარიგ გამიხარდა! თუმცა არქიეპისკოპოსის ამბავმა საოცრად შემაცბუნა. მაშასადამე, ამ ზამთარს იმდენი სიმშვიდე და სიხალისე ჰქონია, დიდებულმა წიგნმა სიცილი მოჰგვარა. მაშასადამე, უკვე დაიმშვიდა გული, უკვე დააჯერა თავი, რომ ასე დავტოვებდი. მე კი მეგონა, ასე დამტოვებდითო – ხომ მითხრა სამშაბათს! მხოლოდ ათი წლის გოგო თუ იტყოდა ამას! მაგრამ აკი სჯეროდა, სჯეროდა, რომ ყველაფერი ასე დარჩებოდა: რომ სამოც წლამდე ასე ვიქნებოდით, ის თავისთვის, მე ჩემთვის. ერთბაშად კი ქმრობა მოვინდომე, არადა, ქმარს სიყვარული უნდა! ჰოი, გაუგებრობავ, ჰოი, სიბრმავევ ჩემო!

ისიც შეცდომა იყო, შეფრფინვით რომ შევცქეროდი. თავი უნდა შემეკავებინა, ამ შეფრფინვამ დააფრთხო ასე. მაგრამ ხომ შევიკავე თავი, აღარ ვუკოცნიდი ფეხებს. ხომ ერთხელაც არ ვაგრძნობინე, რომ... რომ ქმარი ვიყავი მისი. არა, ეს თავშიც არ მომსვლია, მხოლოდღა ელოცულობდი მასზე! მაგრამ სულ ხომ არ დავდუმდებოდი, ხომ უნდა მეთქვა რაღაც! მეც განვუცხადე, რომ ვტკბები მისი საუბრით, რომ ჩემზე გაცილებით ნაკითხი და განათლებულია. გაწითლდა, დარცხვენით მითხრა, — აზვიადებთო. მაგრამ მე ბრიყვმა ვერ მოვითმინე, მაინც ვუამბე, რა აღტაცებული დავრჩი მაშინ, როცა კარს უკან ვიდექი და იმ ნაძირალასთან მის პაექრობას ვუსმენდი, რა ნეტარება მომანიჭა მისმა ჭკუამ, მახვილმა ენამ და ბალღურმა სიწმინდემ. შეკრთა ამ სიტყვებზე, წაილუღლუღა, ოჰ, ნუ აჭარბებთო, ნუ, მერე მოიღრუბლა, ხელები მიიფარა პირზე და ატირდა... მაშინ ვეღარც მე შევიმაგრე თავი: ისევ დავემხე მის წინ, ისევ დავუკოცნე ფეხები. იმ სამშაბათივით ისევ მოუარა ისტერიკამ. ეს წუხელ იყო, მეორე დილას კი...

მეორე დილას? უგუნურო, ეს ხომ ამ დილას, ხომ წეღან იყო!

აბა, კარგად ჩაუკვირდით: წეღან რომ სამოვართან შევიყარეთ (დიახ, გუშინდელი ისტერიკის შემდეგ), მისმა სიმშვიდემ მევე გამაოცა! დიახ, დიახ, მე კი მთელი ის ღამე შიშის კანკალში გავატარე. მოვიდა ჩემთან, წინ დამიდგა, გულზე ხელები დაიკრიფა (წეღან, ჰო, წეღან!) და მითხრა, მესმისო ჩემი დანაშაული, მთელი ზამთარი ეს დანაშაული მტანჯავდა და ახლაც მტანჯავსო... დიახაც, ვაფასებ თქვენს სულგრძელობასო... „მე თქვენი ერთგული ცოლი, თქვენი ნიადაგ დამფასებელი ვიქნები“. წამოვხტი და გიჟივით გადავეხვიე! იმდენი ხნის შემდეგ პირველად დავუკოცნე პირისახე, ტუჩები, როგორც ქმარმა. ვაიმე, რა ჯანდაბად წავედი წეღან, მხოლოდ ორი საათით წავედი... ჩვენი საზღვარგარეთული პასპორტებისთვის... რა იქნებოდა, ხუთი წუთით, მხოლოდ ხუთი წუთით ადრე დავბრუნებულიყავი?.. ჰოი, ჭიშკართან შეგროვილი ხალხი, მათი თვალები... ვაიმე, ღმერთო!

ლუკერიამ (ლუკერიას ახლა არამც და არამც არ გავუშვებ, იმან ყველაფერი იცის, მთელი ზამთარი აქ იყო, ის მიამბობს ყველაფერს), ლუკერიამ მითხრა, რომ ჩემს დაბრუნებამდე ოციოდე წუთით ადრე შესულა ქალბატონთან ჩვენს ოთახში რაღაცის საკითხავად, არ მახსოვს, რისი. თურმე ხატი ედგა წინ მაგიდაზე (მისი ღვთისმშობლის ხატი), თითქოს ლოცულობდაო. „რა იყო, ქალბატონო?“ — უკითხავს. „არაფერია, ლუკერია, წადი... თუმცა არა, მოიცა...“ — მისულა და უკოცნია. „მაშ, ბედნიერი ბრძანდებით, ქალბატონო?“ — „ჰო, ლუკერია“. — „აქამდეც უნდა ეთხოვა

ბატონს პატიება... მადლობა ღმერთს, რომ შერიგდით". — „ჰო, ლუკერია. ოღონდ წადი", — ისე უცნაურად შეჰღიმა თურმე, ათი წუთის შემდეგ ლუკერია ისევ შებრუნებულა. „ვხედავ, ფანჯარასთან დგას, ხელი კედელზე აქვს მიდებული, თავი ზედ ჩამოუდევს და ისე ჩაფიქრებულა, ვერ დამინახა, რომ მეორე ოთახიდან ვუყურებ. თან თითქოს იღიმება თავისთვის. ვუცქირე, ვუცქირე და ფეხაკრეფით გამოვბრუნდი უკან. უცებ მომესმა, ფანჯარა გაიღო. იმწუთშივე მივბრუნდი სათქმელად: „გრილა, არ გაცივდეთ-მეთქი". ვნახოთ, ფანჯარაზე შემდგარა, გამართული, ჩემკენ ზურგით, ხელში ხატი უჭირავს. გული გადამიქანდა, მივაკივლე: „ქალბატონო, ქალბატონო!" გაიგონა ჩემი კივილი, დააპირა მობრუნება, მაგრამ აღარ მობრუნდა, გადადგა ფეხი, ხატი გულზე მიიხუტა და ფანჯრიდან გადაეშვა!"

ისღა მახსოვს, ეზოში რომ შევედი, ჯერაც თბილი იყო. ყველანი მე მიყურებდნენ. მანამდე ყვიროდნენ და ვიშვიშებდნენ, მერე გაჩუმდნენ და გზა დამითმეს... ის კი, ის კი ხატიანად იწვა. სიზმარივით მახსოვს, უხმოდ რომ მივედი და დავაცქერდი. სხვები შემომხვეოდნენ, რაღაცას მეუბნებიან. ლუკერიაც იქ იყო თურმე, ოღონდ არ დამინახავს. მითხრა, დაგელაპარაკეო. მხოლოდ ერთი მდაბიო, მახსოვს, ჩამძახოდა: „პეშვი სისხლი წამოუვიდა პირიდან, მხოლოდ პეშვი!" თითით მაჩვენებდა ფილაქანზე სისხლს. მგონი, თითიც ვატაკე სისხლში, დამესვარა, დავყურებ ამ თითს (ეს მახსოვს), ის კი ჩამძახის: „პეშვი, მხოლოდ პეშვი!"

— მერა რა, რომ პეშვი? — ვიბღავლე თურმე მთელი ხმით, ავწიე ხელები და ვეძგერე...

ჰოი, სიგიჟე, სიგიჟე და გაუგებრობა! ჰოი, დაუჯერებელი, შეუძლებელი ამბავი!

IV
ხუთი წუთიღა დამაგვიანდა

განა, არა? განა, დაიჯერება ეს ამბავი? განა, იტყვის ვინმე, შეიძლება ეს მომხდარიყო? რად, რისთვის მოიკლა თავი?

ოჰ, მერწმუნეთ, რომ მესმის, მაგრამ რად მოიკლა, მაინც საკითხავია. შეეშინდა ჩემი სიყვარულის, თავს ჰკითხა: შევძლებ თუ არაო, ვერ შეძლო და სიკვდილი არჩია. ვიცი, ვიცი, ტვინის ჭყლეტა რა საჭიროა: მეტისმეტად ბევრს შემპირდა, მაგრამ შეშინდა, დაპირებულს ვერ ავასრულებო. კი, მესმის. აქ რამდენიმე საშინელი ამბავია დამთხვეული ერთმანეთს.

მაშ, რად მოიკლა თავი? იკითხავთ მაინც. ჩაქუჩივით მიკაკუნებს თავში ეს კითხვა. განა არ დავტოვებდი, როგორც უნდოდა, მაგრამ არ დაიჯერა, აი, რაა თავიდათავი. არა, ვსტყუი, ვსტყუი, არა, სულაც ასე არ იყო საქმე. უბრალოდ ჩემთან პატიოსნება სჭირდებოდა. თუ შემიყვარებდა, სულით, გულით უნდა ეყვარებოდი, არა ისე, როგორც მედუქნე. მაგრამ მეტისმეტად სპეტაკი, მეტისმეტად წმინდა იყო, არ მომატყუა, ვერ გაასაღა სიყვარულის ნახევარი თუ მეოთხედი ნაღდ სიყვარულად. მეტისმეტმა პატიოსნებამ გვიყო, ბატონო! მე კი, გახსოვთ, დიდი გრძნობები მინდოდა შთამენერგა მისთვის! საოცრებაა.

ნეტავ მაცოდინა, მცემდა კი პატივს? თუ ვეზიზღებოდი? არა მგონია, ვზიზღებოდე. საოცარია: მთელი ზამთარი ერთხელ როგორ არ ვიფიქრე, ვეზიზღები-მეთქი? აკი პირიქით მეგონა იმ წუთამდე, ვინემ **გოროზი განცვიფრება** არ შევამჩნიე. სწორედ **გოროზი**. აი, მაშინ დამკრა უცბად თავში, რომ ვეზიზღებოდი. ჩავხვდი ამას ბოლოს და ბოლოს! ოჰ, ვზიზღებოდე, ოღონდაც კი იმას ეცოცხლა! წელან არ იყო, დადიოდა, ლაპარაკობდა. ვერ გამიგია, რატომ, რისთვის, რად გადავარდა ფანჯრიდან! ხუთი წუთითაც ადრე ამას რას ვიფიქრებდი? ლუკერიას დავუძახე. ახლა ლუკერიას არამც და არამც არ მოვიშორებ, არამც და არამც!

ხომ შეგვეძლო ერთმანეთში მორიგება. მერე რა, რომ მეტისმეტად გადავეჩვიეთ ამ ზამთარს, ხომ შეგვეძლო ისევ შეჩვევა? ერთი-ორი სიტყვა, ერთი-ორი დღე და ყველაფერს თვითონ მიხვდებოდა.

ყველაზე უფრო ის მიკლავს გულს, რომ ყველაფერი შემთხვევა იყო, უბრალო, ბარბაროსული, სულელური შემთხვევა. აი, რაა დასანანი! ხუთი წუთი, ის ოხერი ხუთი წუთი დამაგვიანდა! ხუთი წუთით ადრე რომ მომესწრო – ჩაიელიდა ეს წუთი და აღარასოდეს ამას აღარ გაიფიქრებდა. ბოლოს და ბოლოს მიხვდებოდა ყველაფერს. ახლა კი დავრჩი ამ ცარიელ ოთახებში, დავრჩი ისევ მარტოდმარტო, დავრჩი ობლად. აგერ წიკწიკებს და წიკწიკებს საათი, რა ენაღვლება ან რა აწუხებს. მე კი არავინ დამრჩა, არავინ მყავს მე უბედურს!

დავდივარ და დავდივარ წინ და უკან. ვიცი, ვიცი, კარნახი არ მჭირდება. გეცინებათ ალბათ, რომ შემთხვევასა და იმ ხუთ წუთს ვაწერ ყველაფერს? მაგრამ, განა, ცხადი არაა. აბა, განსაჯეთ: წერილიც კი არ დატოვა, აქაოდა, ჩემს სიკვდილს ნურავის დააბრალებთო, როგორც სტოვებენ ხოლმე. ნუთუ არ იფიქრა, რომ შეიძლება ლუკერიასთვის ეთქვათ: „მარტო შენ იყავი მასთან, იქნებ სულაც შენ ჰკარი ხელი“. ყოველ შემთხვევაში, ტყუილუბ-

რალოდ ამოხდიდნენ სულს დაკითხვებით, თუ რომ ოთხ კაცს ფლიგელის ფანჯრებიდან არ დაენახა, ხატით ხელში თვითონვე გადმოეშვაო. მაგრამ ესეც ხომ შემთხვევაა, ხალხმა რომ ნახა. არა, არა, ყოველივე წამის ბრალია, მხოლოდ და მხოლოდ დაუფიქრებელი წამის. მოულოდნელობა და ფანტაზია! მერე რა, რომ ილოცა? განა, ეს იმას მოწმობს, რომ სიკვდილს აპირებდა. ეს წამი დიდი-დიდი რაღაც ათიოდე წუთი გაგრძელდა, როცა კედელთან იდგა, მკლავზე თავჩამოდებული, და იღიმებოდა; უეცრად აზრად მოუვიდა ეს ამბავი, თავბრუ დაესხა და ვეღარ სძლია ცთუნებას.

როგორც გენებოთ, ისე იფიქრეთ და გაუგებრობა გახლავთ, სხვა არაფერი. ჩემთან მაინც შეეძლო ცხოვრება. ან იქნებ სისხლნაკლულობის ბრალია, სისხლნაკლული რომ იყო და სიცოცხლის წყარო დაეშრიტა? არა, დაღალა ამ ზამთარმა, აი, რაა მიზეზი...

დავაგვიანე!!!

რა გამხდარი წევს კუბოში, რარიგ გათხელებია ცხვირი! ისრებივით დაჰფენია წამწამები. ისე დაეცა, არც დამტვრეულა და არც არაფერი დაშავებია. „პეშვი სისხლი", მხოლოდ პეშვი. შინაგანი ჩაქცევა იყო ალბათ. რა უცნაური ფიქრი მომივიდა: ნეტა, თუ შეიძლება არ დავმარხო? ვინაიდან, თუ წაიყვანეს... არა, არა, არ შეიძლება წაიყვანონ! მე ხომ ვიცი, რომ წაიღებენ, გიჟი ხომ არ ვარ, პირიქით, ასე საღად არასოდეს მიაზროვნია – მაგრამ ვით დავრჩე ისევ ობლად ამ ორ ოთახში, ამ გირაოების ამარა. ბოდვაა! ბოდვაა! დავტანჯე, სული ამოვხადე, აი, რაა მიზეზი!

რა ჭირად ვიხლი ახლა მაგ თქვენს კანონებს? რაში მჭირდება თქვენი წესები, თქვენი ადათი, თქვენი ცხოვრება, სახელმწიფო, თქვენი მრწამსი? მოვიდეს და გამასამართლოს თქვენმა მსაჯულმა, თუნდაც საჯაროდ, მე ვეტყვი, არაფერი არა მწამს-მეთქი. „ხმა-კრინტი, ოფიცერო!" – ის დამიყვირებს. მეც მივახლი: „შენ რა ძალა გაქვს, რომ დაგმორჩილდე? რად დამიმსხვრია უმეცრებამ, გაუგებრობამ ის, რაც ყველაზე მეტად მიღირდა? რას ვაქნევ ახლა თქვენს კანონებს? განზე გავდგები ყველაფრისაგან". ჩემთვის ახლა ყველაფერი სულ ერთი გახლავთ!

ბრმა იყავ, ბრმა! მაგრამ მკვდარი ხარ, არ გეყურება! შენ რა იცი, რა სამოთხეში გამყოფებდი. ჩემს გულში იყო ეს სამოთხე და იმ სამოთხეს მე შენს ირგვლივ ავაყვავებდი! ნუ გყვარებოდი, რა მოხდა მერე? ყველაფერი მაინც ისე იქნებოდა, მაინც ისე დარჩებოდა. ოღონდაც მომიყვებოდი ყოველივეს, ვით მეგობარს – გავიხარებდით და გავიცინებდით ერთიმეორის შემყურე, გინდაც სხვა ვინმე შეგყვარებოდა! იმას კისკისით რომ გაჰყვებოდი,

მე ქუჩის მეორე მხრიდან შემოგხედავდი... ოჰ, იყოს ასე, იყოს ასე, ოღონდ კი თვალი გაახილე თუნდ ერთი წამით, თუნდ მარტო წამით! შემომხედე წელანდელივით, როცა წინ დამიდექ და შემომფიცე, შენი ერთგული ვიქნებიო! ოჰ, ჩემს თვალებში სუყველაფერს წაიკითხავდი.

ჰოი, უმეცრებავ! ჰოი, ბუნებავ! მარტოდმარტო ვართ სუყველანი ამ ქვეყანაზე — ესაა ჩვენი უბედურება! „არის კი ველად კაცი ცოცხალი?" — კიჟინებს რუსი დევგმირი. დევგმირი არ ვარ და მეც ვკიჟინებ, მაგრამ არავინ მეხმიანება. ამბობენ, მზით უდგას სული ამ სამყაროსო. მაგრამ შეხეთ მზეს, განა ისიც მკვდარი არაა? ყველა მკვდარია, ყველგან მხოლოდ მკვდრები არიან, მხოლოდ ადამიანები და ირგვლივ დუმილი — ესაა თქვენი დედამიწა.

„ერთმანეთი გიყვარდეთ, ხალხნო", — ვინა თქვა ესა? ვინ გვიანდერძა? რა უგრძნობლად, რა საზიზღრად წიკწიკებს საათი, ღამის ორი საათია. მის ლოგინთან ფეხსაცმელი აწყვია მისი, თითქოს ელისო თავის პატრონს...

ხვალ რომ მართლა წაიყვანონ, მე რაღა ვქნა, რა მეშველება?

თარგმნა რუსუდან ქებულაძემ

ჯორჯ ბერნარდ შოუ

26.07.1856 – 2.11.1950

დიდი ინგლისელი მწერალი, დრამატურგი, კრიტიკოსი, წარმოშობით ირლანდიელი. მოღვაწეობა დაიწყო როგორც მუსიკალურმა რეცენზენტმა, მას შემდეგ, რაც 1876 წელს დუბლინიდან ლონდონში გადასახლდა. პირველი რომანები – „უაზრო ქორწინება“ (1880), „სიყვარული მხატვართა შორის“ (1881), „კეშელ ბაირონის პროფესია“ (1882) და ამათგან სოციალური თემატიკით ყველაზე მწვავე „შეუგუებელი სოციალისტი“ (1883), გამომცემლებმა დაიწუნეს მათი გამომწვევი ანტიბურჟუაზიული ტენდენციურობის გამო. შოუ, მახვილგონიერი თეატრალური რეცენზენტი, ბედს ცდის დრამატურგიაში და მალე მისი შემოქმედების მთავარი ჟანრი დრამატურგია ხდება. პირველი პიესა „ქვრივის სახლები“ (1892), აგრეთვე – „გულთამპყრობელი“ (1893) და „ქალბატონ უორენის პროფესია“ (1894) შევიდა კრებულში „ესიამოენო პიესები“ (1898). პარალელურად გამოვიდა მეორე კრებული – „სასიამოვნო პიესები“, რომელშიც გაერთიანდა: „იარაღი და ადამიანი“ (1894), „კანდიდა“ (1894), „ბედის რჩეული“ (1895), „კაცმა არ იცის“ (1895). შემდგომ ციკლში „სამი პიესა პერიტანებისათვის“ (1901) შევიდა მისი ცნობილი ნაწარმოები „ეშმაკის შეგირდი“ (1896-97); პიესა „კეისარი და კლეოპატრა“ (1898), რომელიც შოუს ანტიშექსპირული თეორიული პოზიციის გამოვლენაა, შექსპირის „იულიუს კეისრისა“ და „ანტონიუს და კლეოპატრას“ ერთგვარი ანტითეზაა. მწერლის პოლემიკური პოზიცია პიესების სათაურებშივე ჩანს. აღსანიშნავია შოუს თეორიული ნაწერებიც: „იბსენიზმის კვინტესენცია“ (1891), „იდეების დრამები“, „კაცი და ზეკაცი“ (1901-03) და სხვ. შოუს შემოქმედება თავისუფალია მშრალი სოციალური სქემატიზმისაგან, მის სახელთანაა დაკავშირებული ინგლისური დრამის რეფორმა. შოუს სხვა პიესებიდან აღსანიშნავია: „სახლი, რომელშიც გულები იმსხვრევა“ (1913-19), „მილიონერი ქალი“ (1936) და განსაკუთრებით, „პიგმალიონი“ (1913). ოსკარ უაილდთან ერთად შოუ ითვლება პარადოქსის დიდოსტატად. პარადოქსი მწერლისათვის არა მარტო მოხდენილი, გონებამახვილური ფრაზის აგების საშუალებაა, არამედ თვით ნაწარმოების კომპოზიციის შეკვრისა და ხასიათთა ხატვის ხერხიც. „პიგმალიონი“ დიდი წარმატებით დაიდგა 1955 წელს კოტე მარჯანიშვილის სახელობის სახელმწიფო აკადემიურ თეატრში (რეჟისორი ლილი იოსელიანი).

1925 წელს ჯორჯ ბერნარდ შოუს ნობელის პრემია მიენიჭა „იდეალიზმითა და ჰუმანიზმით გამორჩეული შემოქმედებისათვის, ცეცხლოვანი სატირისათვის, რომელიც ხშირად ერწყმის არაჩვეულებრივ პოეტურ მშვენიერებას“.

სერენადა

ჩემი მეორმოცე დაბადების დღე ერთ-ერთი იმ სამოყვარულო სპექტაკლით აღვნიშნე, რომლებითაც ასე განთქმულია ჩემი სახლი ბექნებში. პიესა, როგორც ყოველთვის, თავად დავწერე; – ეს გახლდათ ზღაპარი სამ მოქმედებად, რომლის სიუჟეტი აგებული იყო ყმაწვილ პრინცზე (ან უფლისწულზე), რომელიც ჯადოსნურ ბუკს ფლობდა. ჩემი ნაწარმოებები იმდენად კარგადაა ცნობილი, რომ ვერ ვხედავ აუცილებლობას ზღაპრის შინაარსის დაწვრილებით გადმოცემისა. მხოლოდ საჭიროა მკითხველს შევახსენოთ, რომ მეორე აქტის ცენტრალურ სცენაში დღესასწაულს ბუკის ჰანგები არღვევს, რომელიც მაგნიტური მთის წიაღიდან მოისმის, სადაც ბოროტმა ფერიამ პრინცი დაატყვევა. საყვირის ბგერები უნდა განესახიერებინა მუსიკოსს, რომელიც კორნეტზე უკრავდა ჩემი პოლკის ორკესტრში. შევთახმდით, რომ ის სცენაზე კი არ იქნებოდა, არამედ – ქვემოთ ჰოლში, რათა შექმნილიყო შთაბეჭდილება, თითქოს ბგერები ძალიან შორიდან მოისმოდა.

საღამო შესანიშნავად დაიწყო. ცხადია, ჩემმა სტუმრებმა სრულიად ბუნებრივი იმედგაცრუება განიცადეს, როცა შეიტყვეს, რომ წარმოდგენაში

თავად არ ვმონაწილეობდი. მაგრამ სიამოვნებით მომიტევეს, როდესაც მოვუბოდიშე და თავის გასამართლებელ მიზეზად მოვიყვანე, რომ ისედაც ორმაგი მოვალეობის შესრულება მიხდებოდა – მასპინძლისა და რეჟისორის. მაყურებელთა დარბაზში საუკეთესო ადგილი ულამაზეს ლინა ფიცნაითინგეილს ეკავა. მის გვერდით სკამი კი ჩემთვის მქონდა გათვალისწინებული, რომელიც სრულიად უცერემონიოდ პორჩერლესტერმა დაიკავა მეთორმეტე ქვეითი პოლკიდან – საკმაოდ სასიამოვნო ყმაწვილკაცმა, რომელსაც გარკვეული მუსიკალური ნიჭი ჰქონდა და ტკბილი ბარიტონი, რასაც არც თუ იშვიათად, ტენორად ასაღებდა.

ლინდას მუსიკისადმი სიყვარული ახლოს იყო ფანატიზმის ზღვართან, ამიტომაც თავისი ერთადერთი ღირსების წყალობით, პორჩერლესტერი მის თვალში, სხვა სოლიდურ და მოწიფულ მამაკაცებთან შედარებით, უპირატესობით სარგებლობდა. მტკიცედ გადავწყვიტე, მათთვის საუბარი შემეწყვეტინა, როგორც კი მოვიცლიდი. მაგრამ ეს არც ისე მალე მოხდა, რადგან სახლის წარმოდგენებისას წესად გავიხადე, პირადად შევამოწმო ყოველივე, რაც საჭიროა, თუ გვაქვს ხელთ და ასევე, ყველაფერი ადგილზე თუა. როგორც იქნა, მის ვატერლოომ, მთავარი გმირის შემსრულებელმა, დაიჩივლა, რომ ჩემი ფაცი-ფუცი ნერვებს უშლის და მთხოვა დარბაზში შევსულიყავი და დამესვენა. სიამოვნებით დავმორჩილდი და ლინდასაკენ გავემართე. ჩემი გამოჩენისას პორჩერლესტერი წამოდგა და წარმოთქვა:

– კულისებში შევიხედავდი, თუ, რა თქმა უნდა, უცხოებს უშვებენ.

– რასაკვირველია! – შეეაგებე გახარებულმა, რომ თავიდან ვიშორებდი, – ოღონდ ხელი არაფერს ახლოთ. მცირეოდენი გადაადგილებაც...

– კარგი, კარგი, ვიცი თქვენი კრიტიკულობის ამბავი. ხელები სულ ჯიბეში მექნება.

– ტყუილად აძლევთ ნებას, რომ საკუთარ თავს ასე უპატივცემულოდ მოექცეს, პოლკოვნიკო გრინ,– შენიშნა ლინდამ, როცა ის წავიდა, – ის აუცილებლად რამეს მოიწევს, ღმერთმა უწყის, რას.

– ის ყმაწვილური უშუალობაა, – ვთქვი მე. – ზუსტად ასევე იქცევა პორჩერლესტერი გენერალ ჯონსტონთანაც, ის კი რა ხანია, სიყმაწვილეს დაემშვიდობა. აბა, როგორ მიდის თქვენი მუსიკალური განათლება?

– ამჯერად შუბერტი მაბოდებს; პოლკოვნიკო გრინ, იცით შუბერტის სერენადა?

— დიახ, მშვენიერი რამაა! დი-დლი-დი-დამ, დიი-დიდლი-დი-დამ, დიი-დამ, დიი-დლი-დი-დი-დი, რაღაც ამდაგვარი, არა?

— დიახ, მისტერ პორჩერლესტერი მღერის მას?

— ცდილობს, მაგრამ მას მხოლოდ უხამსი რომანსები გამოსდის კარგად. ხოლო ის, რაც სერიოზულ მიდგომას, გრძნობის სიღრმეს ან მოწიფულ გაგებას მოითხოვს, როგორც, მაგალითად...

— დიახ, დიახ, ვიცი, თქვენ მისტერ პორჩერლესტერს თავქარიან ჭაბუკად თვლით. მაშ, მოგწონთ ეს სერენადა?

— ჰმ!.. კაცმა რომ თქვას... თქვენ კი მოგწონთ, არა?

— ვაღმერთებ, მოხიბლული ვარ. ბოლო სამი დღეა მხოლოდ ამით ვცხოვრობ.

— უნდა ვაღიარო, რომ მე ის ყოველთვის უჩვეულოდ ლამაზ მელოდიად მიმაჩნდა. იმედი მაქვს, მექნება სიამოვნება, მოვისმინო იგი თქვენი შესრულებით ჩვენი წარმოდგენის შემდეგ.

— ჩემი შესრულებით! ო, არა, ვერ გაებედავ! აი, ბატონი პორჩერლესტერიც. სიტყვას ჩამოვართმევ, რომ გვიმღეროს ეს სერენადა.

— გრინ, — დამცინავად თქვა პორჩერლესტერმა, — არ მინდოდა ამეფორიაქებინეთ, მაგრამ კაცი, რომელსაც ჯადოსნურ ბუკზე უნდა დაეკრა, არ მოსულა.

— ღმერთო ჩემო, — წამოვიძახე. — ხომ ვუბრძანე, ზუსტად რვის ნახევარზე აქ ყოფილიყო. თუ არ მოვიდა, პიესა დაღუპულია.

ლინდასთან ნაჩქარევი გამომშვიდობების შემდეგ, სწრაფად ჩავედი ჰოლში. კორნეტი იქვე იდო მაგიდაზე. ე. ი. პორჩერლესტერმა უსინდისოდ იცრუა, თავიდან რომ მოვეშორებინე. ის იყო, უკან დაბრუნება და ახსნა-განმარტების მოთხოვნა მსურდა, რომ თავში ერთმა აზრმა გამიელვა: კორნეტისტს შესაძლოა ინსტრუმენტი აქ დილის რეპეტიციის შემდეგ დარჩენოდა და ახლა, მართლაც, აქ არ იყოს. თუმცა მსახურმა, რომელსაც მოვუხმე, მომახსენა, რომ ჯარისკაცი სამხედრო სიზუსტით, სწორედ რვის ნახევარზე გამოცხადდა. ჩემი განკარგულების თანახმად, იგი გამოატარეს ჰოლის მოსაზღვრე დარბაზში, სადაც ვახშამი იყო გაშლილი და სენდვიჩი და ჭიქა ღვინო მიართვეს. ესე იგი, პორჩერლესტერმა მომატყუა. მსახური თავის მოვალეობებს დაუბრუნდა და ჰოლში მარტო დამტოვა საკუთარ რისხვასთან. უცებ, მეც არ ვიცი რატომ, სპილენძის ბრწყინვალე ინსტრუმენტის თვალიერება დავიწყე, მაგიდაზე რომ იდო. უსულო საგნებს

შორის, მე რომ გარს მერტყა, კორნეტი განსაკუთრებით გამოირჩეოდა თავისი დუმილითა და უძრაობით, თითქოს მრისხანე ბგერას მალავსო, გამიზნულად რომ ელის შესაფერს მომენტს, რათა სააშკარაოზე გამოუშვას. მაგიდასთან მივიპარე და საჩვენებელი თითით დო-ს, ერთ-ერთ კლაპანს ფრთხილად შევეხე, შემდეგ გავბედე და დავაჭირე. კლაპანმა გაიჩხაკუნა. დარბაზიდან რაღაც შარი-შური მოისმა და მე დამნაშავესავით მოვცილდი ინსტრუმენტს. სუფლიორის ზანზალაკი აწკრიალდა, რაც იმას ნიშნავდა, რომ კორნეტისტი უნდა მომზადებულიყო. მე შემკრთალი (ან დარცხვენილი) მოველოდი ორკესტრანტის გამოჩენას, ღმერთს ვევედრებოდი, არ შეემჩნია, რომ ბავშვივით მის ინსტრუმენტს შევეხე. ის კი არ ჩანდა. მოუსვენრობა უფრო გამიძლიერდა და დარბაზისკენ გავწიე. იქ სავახშმო მაგიდის თავში ჯარისკაცი იჯდა და ღრმა ძილით ეძინა. მის გვერდით ხუთი ცარიელი გრაფინი იდგა. მხარში ვწვდი და მაგრად შევაჯანჯღარე. მან რაღაც წაილუღლუღა, ხელი უხეიროდ მომიქნია და ისევ გადაგორდა უგრძნობ მდგომარეობაში.

განრისხებულმა დავიფიცე, რომ დავხვრეტდი ამ ბუნტისთვის, თავად კი უკან ჰოლში გავემართე. ზანზალაკმა ისევ დაიწკარუნა. ეს იყო სიგნალი ბუკისათვის. სცენაზე ელოდნენ. ამ საბედისწრო მომენტში მე ერთადერთ გამოსავალს ვხედავდი პიესის გადასარჩენად. ავიღე ინსტრუმენტი მუნდშტუკით პირზე მივიდე და მთელი ძალით ჩავბერე, მაგრამ ამაოდ – პასუხად არანაირი ბგერა არ ისმოდა. დაძაბულობისაგან ცუდად გავხდი; პოლირებული (ან გაპრიალებული) სპილენძი ოფლიანი ხელიდან მისხლტებოდა. ზანზაკალმა კვლავ დაჟინებით დაარღვია დამღუპველი სიჩუმე. შემდეგ კორნეტი მოვზიდე, მაგრად ჩავიხუტე, ჰაერი მოვიკრიბე, მუნდშტუკი ტუჩებთან ისე მივიჭირე, რომ კბილებიც კი შეწუხდნენ და ბრაზისაგან ჩავაფურთხე მასში. გაისმა დამაყრუებელი ბღავილი, კინაღამ ყურში დაფის აპკი გამისკდა; ჭაღზე ბროლის მძივები ახმიანდა; საკიდიდან ქუდები ჩამოცვივდა; ხელებს ვიჭერდი ტკივილისაგან გავარვარებულ საფეთქლებზე და ამ დროს ჯარისკაცი, – ისე გაფითრებული, თითქოს საშინელი მსჯავრის დღეს საყვირის ხმამ გამოაღვიძაო, – ბანცალით გამოვიდა და გაოცებულ სტუმართა მზერის წინაშე წარსდგა, კიბეზე რომ გამოცვენილიყვნენ.

შემდგომი სამი კვირის განმავლობაში ვსწავლობდი კორნეტზე დაკვრის ხელოვნებას სპეციალისტის ხელმძღვანელობით. მე იგი თავისი მეშჩანური

მანერებით მაღიზიანებდა და დამღლელი ჩვევით, სულ იმეორებდა: „მილაკი“, როგორც ის კორნეტს ეძახდა, უფრო მეტია, ვიდრე სხვა ნებისმიერი ინსტრუმენტი, ის ხომ ადამიანის ხმას მოგვაგონებს, მაგრამ, როგორც მუსიკოსი, მცოდნე და კეთილსინდისიერი იყო, მეც დაჟინებით ვაგრძელებდი მეცადინეობას, მიუხედავად მეზობლების წინააღმდეგობისა და აღშფოთებისა. ბოლოსდაბოლოს, გავბედე, მისთვის მეკითხა, საკმარისი იყო თუ არა ჩემი წარმატება საიმისოდ, რომ ერთი ჩემი მეგობრისთვის სოლო დამეკრა.

— ხედავთ, პოლკოვნიკო, — მომიგო მან, — სიმართლე რომ გითხრათ, თქვენ არა გაქვთ ბუნებრივი ნიჭი, ყოველ შემთხვევაში, ზედმეტად ძლიერ უბერავთ. მერწმუნეთ, აქ ამგვარი დაძაბულობა უადგილოა, ამით ბგერა მხოლოდ ზარალდება. რისი დაკვრა გსურთ თქვენი მეგობრისათვის?

— ერთი რამის... შუბერტის სერენადა.

გაოცებული მომაშტერდა და თავი გააქნია.

— ის ხომ ამ ინსტრუმენტისთვისაა დაწერილი, სერ, — მომიგო მან, — თქვენ ამას ვერასოდეს დაუკრავთ.

— როგორც კი მე ამ ნაწარმოებს უშეცდომოდ დავუკრავ, თქვენ გასამრჯელოზე ხუთი გინეით მეტს მიიღებთ.

ამან გააქარწყლა მისი ეჭვები. მაგრამ გულმოდგინე ვარჯიშის შედეგადაც კი სერენადას სრულიად გაუბედავად და დიდი გაჭირვებით ვასრულებდი. ბოლოსდაბოლოს წარმატებას მაინც მივაღწიე.

— თქვენ ადგილას, ბატონო პოლკოვნიკო, — მითხრა ჩემმა დამმოძღვრავმა და თან გინეა ჯიბეში ჩაიდო, — მე ამ მოტივს ჩემთვის შევინახავდი, მეგობრებს კი რაიმე უფრო მარტივს დავუკრავდი. აქ, სახლში, თქვენ საკმაოდ კარგად უკრავთ ნახევარი საათის ვარჯიშის შემდეგ, მაგრამ როცა გვერდით მე არ გეყოლებით, საქმე ასე კარგად როდი წავა, აი, ნახავთ.

მე ეს რჩევა სერიოზულად არ მივიღე, რომლის სიბრძნესაც ამჯერად სრულიად ვაღიარებ. მაგრამ იმ ხანად შეპყრობილი ვიყავი დიდი ხნის წინ ჩაფიქრებული გეგმით: ლინდასთვის დამეკრა ეს სერენადა. მისი სახლი პარკ-ლეინის ჩრდილოეთით მდებარეობდა ამ საქმისთვის ისე მოხერხებულად, უკეთესი რომ არ შეიძლება. მსახური უკვე მოვისყიდე, რომ სახლის წინ პატარა ბაღში შევეშვი. ივნისის ბოლოს როგორღაც ჩემთვის ცნობილი გახდა, რომ ლინდა საღამოს შინ დარჩენას და ბომონდური ამაოებისაგან დასვენებას აპირებდა. ეს სწორედ ის შემთხვევა იყო, რომელსაც ველოდი. ცხრა საათზე კორნეტი სამგზავრო ბუდეში

ჩავდე და მარმარილოს თაღისკენ ტრანსპორტით წავედი, შემდეგ კი ფეხით გავუყევი. მოულოდნელად, პორჩერლესტერის ხმა შემომესმა:

— გამარჯობა, პოლკოვნიკო! — შემეხმიანა.

რადგან არ მსურდა დაკითხვებით თავი საფრთხეში ჩამეგდო, ვამჯობინე მე დამესწრო და ვკითხე, საით მიდიოდა.

— ლინდასთან მივდივარ, — მიპასუხა. — გუშინ მაგრძნობინა, რომ დღეს მთელი საღამო მარტო იქნება. პოლკოვნიკო, ამას თქვენ არ გიმალავთ, რადგან ვიცი, პატიოსანი ადამიანი ხართ და, ამასთანავე, თქვენთვის ცნობილია, რაოდენ სათნო ბანოვანია იგი. ვაღმერთებ მას. დარწმუნებული რომ ვიყო, რომ თავად მე მოვწონვარ და არა უბრალოდ ჩემი ხმა, უბედნიერესი კაცი ვიქნებოდი მთელ ინგლისში.

— დარწმუნებული ვარ, თქვენი ხმა აქ არაფერ შუაშია, — ვუთხარი.

— უღრმესი მადლობა, — მომიგო აღტაცებით, თან ხელზე ძლიერ მომიჭირა, — ეს დიდი თავაზიანობაა თქვენი მხრიდან, მაგრამ ვერ გავბედავ, თავი ამ იმედით დავიმშვიდო, რომ მართალი ხართ! როცა მას ვუყურებ, სულიც კი მეხუთება. იცით, ვერაფრით ვერ მოვიკრიბე გამბედაობა, რომ მისთვის შუბერტის სერენადა მემღერა, მას შემდეგ, რაც მითხრა, რომ ეს მისი საყვარელი ნაწარმოებია!

— რატომ? მას არ მოსწონს, როგორ მღერით სერენადას?

— არა, ხომ გითხარით, ვერც ერთხელ ვერ გავბედე მემღერა მისთვის, თუმცა ყოველთვის ამას მთხოვს. ლამის ვეჭვიანობ კიდეც ამ დაწყევლილ მელოდიაზე! მაგრამ მზად ვარ, ყველაფერი გავაკეთო, ოღონდ მას სიამოვნება მივანიჭო და ხვალ სიურპრიზი ელოდება მისის ლოქსლი-ჰოლთან. გაკვეთილებსაც კი ვიღებდი და სერენადაზე ვმუშაობდი ოფლში გაწურვამდე. სამაგიეროდ, ახლა მგონი შემიძლია კმაყოფილი ვიყო. ოღონდ, გახსოვდეთ, ლინდას თუ ნახავთ, სიტყვა არ დაგცდეთ ამაზე. დაე, სიურპრიზად დარჩეს.

— თქვენ უთუოდ გააოცებთ მას, — ვუთხარი მოზეიმემ იმ აზრით, რომ ერთი დღე-ღამით დაიგვიანებდა. ვიცოდი, რომ მისი ხმა ვერ გაუძლებდა მელანქოლიური სინაზის შედარებას მუქარით სავსე მჭმუნვარებასთან, თავშეკავებულ ძალას, რაც რჩეულ შემსრულებელს შეუძლია ამოიღოს ინსტრუმენტიდან, ჩემს ბუდეში რომ იდო. ჩვენ ერთმანეთს დავემშვიდობეთ და ის ლინდას სახლში შევიდა. რამდენიმე წუთში ბაღში ვიყავი და ბუჩქების ჩრდილს შეფარებული მათ ვუმზერდი — ისინი ღია ფანჯარასთან ისხდნენ. მათი საუბარი ჩემამდე არ აღწევდა; ისეთი შთაბეჭდილება იყო,

თითქოს პორჩერლესტერი წასვლას არ აპირებდა. საღამო საკმაოდ გრილი იყო და მიწა – სველი. საათმა ათი ჩამოჰკრა, თერთმეტის თხუთმეტი წუთი, ნახევარი; ის იყო ლამის შინ წასვლა დავაპირე, ლინდას რომ რამდენიმე პიესა არ დაეკრა როიალზე, უბრალოდ ვერ გავძლებდი. როგორც იქნა. ფეხზე ადგნენ და მე უკვე შემეძლო მათი საუბარი გამერჩია.

– არა, არა, – უთხრა ქალმა, – თქვენი წასვლის დროა (ცხადია, მეც სრულიად და გულმხურვალედ ვეთანხმებოდი მას!), მაგრამ შეგეძლოთ სერენადა გემღერათ ჩემთვის. მე ხომ მთელი სამი პიესა დავუკარი.

– საშინლად გაციებული ვარ, – უთხრა მან. – არა, მართლა არ შემიძლია, ღამე მშვიდობისა.

– რა სისულელეა! თქვენ სულაც არა ხართ გაციებული, მაგრამ არა უშავს-რა. ამას აღარასოდეს გთხოვთ. ღამე მშვიდობისა, მისტერ პორჩერლესტერ.

– ნუ გამიბრაზდებით, – უთხრა კაცმა, – თქვენ მას მოისმენთ ჩემი შესრულებით და შესაძლოა უფრო ადრეც, ვიდრე გგონიათ.

– ო, რა მრავალმნიშვნელოვნად წარმოთქვით ეს უკანასკნელი ფრაზა! უფრო ადრე, ვიდრე ეს მგონია! თუ სიურპრიზი მომიმზადეთ, გთხოვთ. იმედი მაქვს, ხვალ შეგხვდებით მისის ლოქსლი-ჰოლთან.

მან დაუდასტურა და წასვლა დაიჩქარა, ეტყობა შიშობდა, საკუთარი გეგმა არ გაეცა. მისი წასვლის შემდეგ ქალი ფანჯარასთან მივიდა და ვარსკვლავებით ტკბებოდა. მის შემყურეს საკუთარი მოუთმენლობა გადამავიწყდა; ჩემმა კბილებმა კაწკაწი შეწყვიტეს. კორნეტი ბუდიდან ამოვიღე. ლინდამ ამოისუნთქა, ფანჯარა დახურა და თეთრი ფარდა დაუშვა. ამ მომენტში მხოლოდ მისი ხელის ხილვაც კი საკმარისი იყო საიმისოდ, რომ მე ჩემი აქამდელი ყველა მიღწევისათვის გადამეჯარბებინა. ლინდა ფანჯარასთან დაჯდა და ფარდაზე მისი ჩრდილი დავინახე. ის ჩემგან გვერდულად იჯდა. ჩემი დრო დადგა. პარკ-ლეინი თითქმის მიჩუმდა, ოქსფორდ-სტრიტი კი მეტად შორს იყო და ქუჩის მოძრაობის ხმაური ხელს არ მიშლიდა.

მეც დავიწყე. პირველივე ბგერაზე ლინდა შეცბა და მიაყურადა. როცა ფრაზა დავასრულე და გაირკვა, თუ რას ვუკრავდი, მან წიგნი გვერდზე გადადო. მუნდშტუკი ყინულივით ცივი იყო, ტუჩები გამეყინა და აღარ მემორჩილებოდა, უდიდესი მცდელობის მიუხედავად, ვერაფრით გავექეცი იმ ჩხავილსა და ბლუყუნა ბგერებს, რომლებიც ზოგჯერ საუკეთესო კორნეტისტებსაც მოსდით. მიუხედავად ამისა, განვაგრძე. ძალიან

ვნერვიულობდი, საკუთარ ამოცანას თავი საკმაოდ კარგად გავართვი. შესრულებისას საკუთარ ძალებში სულ უფრო მეტ თავდაჯერებულობას ვგრძნობდი, რაც უფრო ბოლოსკენ მივდიოდი, ნაწილობრივ გამოვასწორე დასაწყისში მძლავრი ჟღერადობის არასრულყოფილება და არც თუ ურიგო რაკრაკი გამომივიდა ბოლოს წინა ნოტაზე.

მოწონების შეძახილების მიხედვით, რომლებიც ქუჩიდან მოისმა, როცა დაკვრას მოვრჩი, მივხვდი, რომ იქ ხალხის გროვა იდგა და მაშინვე გაქცევაზე ვერც ვიოცნებებდი. კორნეტი ბუდეში ჩავდე და დაველოდე, რომ ხალხის გროვა გაფანტულიყო და წასვლა შემძლებოდა. ჯერჯერობით კი თვალს არ ვაშორებდი ჩრდილს ფანჯარაში. ის წერდა. ნუთუ მე მწერს? – გავიფიქრე. შემდეგ წამოდგა, ჩრდილმა მთელი ფანჯარა დაფარა და უკვე აღარ შემეძლო მისი მოძრაობის გარჩევა. ზარის ხმა გაეიგონე. ერთ წუთში სახლის კარი გაიღო. ალოეს ბუჩქიდან უკან დავიხიე, მაგრამ როცა ჩემ მიერ მოსყიდული მსახური ვიცანი, ჩუმად დავუსტვინე. იგი წერილით ხელში მომიახლოვდა. გულმა ბაგა-ბუგი დამიწყო, ეს რომ დავინახე.

– ყველაფერი რიგზეა, სერ, – მითხრა მან. – მის ლინდამ თქვენთვის ამ წერილის გადმოცემა მიბრძანა; მაგრამ არ უნდა გახსნათ, ვიდრე შინ არ მიხვალთ.

– მაშასადამე, იცოდა, რომ ეს მე ვიყავი? – ვთქვი აღტაცებულმა.

– ვფიქრობ, რომ დიახ, სერ. როდესაც დარეკა, ვეცადე, ჩემთვის მისვლა სხვას არ დაესწრო. მან მითხრა: „ბაღში ჯენტლმენი მოძებნეთ, ეს ბარათი გადაეცით და სთხოვეთ, შინ წავიდეს. აქ ნუ წაიკითხავს“.

– ქუჩაში ისევ არის ხალხი შეკრებილი?

– ყველანი გაიფანტნენ, სერ. დიდი მადლობა, სერ. ღამე მშვიდობისა, სერ.

გავრბოდი თვით ჰამილტონ-პლეისამდე, იქ კი ამოვისუნთქე. ათი წუთის შემდეგ საკუთარ კაბინეტში ვიყავი და აკანკალებული ხელებით წერილს ვხსნიდი. ის უკონვერტო იყო, უბრალოდ კოხტად დაკეცილი. გავხსენი და წავიკითხე:

„714, პარკ-ლეინი, პარასკევი.

ძვირფასო მისტერ პორჩერლესტერ...“

და მე აქ შევჩერდი. ნუთუ მას მიაწერა ქალმა ჩემი სერენადა? მაგრამ აქვე თავს იჩენდა უფრო მნიშვნელოვანი და გადაუდებელი კითხვა: მაქვს თუ არა უფლება, წავიკითხო წერილი, რომელიც ჩემს სახელზე არაა

გამოგზავნილი? თუმცა ცნობისმოყვარეობამ და სიყვარულმა სძლია გადამეტებულ წესიერებას. წერილში შემდგომ ნათქვამი იყო:

„მეტად ვწუხვარ, რომ შუბერტის სერენადით ჩემი გატაცება თქვენ მხოლოდ და მხოლოდ დაცინვის საგნად წარმოიდგინეთ. მესმის, ეს გატაცება შესაძლოა უცნაურად მოგეჩვენოთ, მაგრამ ამაზე როდი მოგიყვებოდით, დარწმუნებული რომ არ ვყოფილიყავი, რომ თქვენ შეგიძლიათ ამის გაგება. თუ ამის ცოდნა სიამოვნებას მოგანიჭებთ, რომ სრულიად განმკურნეთ მისგან, მაშინ მერწმუნეთ: ამიერიდან სერენადა ჩემში სხვას აღარაფერს გამოიწვევს, გარდა სიცილისა და სიმწარისა. ვერც კი წარმოვიდგენდი, რომ ადამიანის ყელს მსგავსი ბგერების გამოცემა შეეძლო. ცხადია, ვერ ვხვდებოდი, რა წარმოდგენის მოწყობას აპირებდით, როცა შემპირდით, რომ თქვენ ხმას უფრო ადრე მოვისმენდი, ვიდრე ამას ველოდი. კიდევ მხოლოდ ერთი სიტყვა: მშვიდობით! აღარ მექნება სიამოვნება შეგხვდეთ მისის ლოქსლი-ჰოლთან, რადგან მეტად დაკავებული ვარ და ვერ შევძლებ იქ მისვლას. იმავე მიზეზით, სამწუხაროდ, იძულებული ვარ უარი ვთქვა თქვენი ჩემთან მიღების სიამოვნებაზე ამ სეზონში. ძვირფასო, მისტერ პორჩერლესტერ, გულითადად თქვენი ლინდა ფიცნაითინგეილი“.

ვიგრძენი, რომ ამ წერილის პორჩერლესტერისთვის გადაცემა მისთვის ზედმეტი ტკივილის მიყენებას ნიშნავდა. ასევე გავიგე, რომ ჩემი მასწავლებელი მართალი იყო, რომ მე არ ვიყავი საიმისოდ დაბადებული, რომ კორნეტზე დამეკრა. და გადავწყვიტე მიმეტოვებინა ეს ინსტრუმენტი.

ლინდა ჩემი მეუღლე გახდა. ზოგჯერ ვეკითხები ხოლმე, ასე ჯიუტად რატომ ამბობს უარს პორჩერლესტერის მიღებაზე, რომელმაც ოფიცრისა და ჯენტლმენის სიტყვა მომცა, რომ არ იცის, როდის ან რით შეძლო მან ლინდას შეურაცხყოფა. ხოლო ქალი კი ამაზე პასუხს ყოველთვის გაურბის.

თარგმნა რუსუდან ბეჟაშვილმა

კეტრინ მენსფილდი

14.10.1886 – 9.01.1923

ცნობილი ინგლისელი და ახალზელანდიელი მწერალი, რომლის ნამდვილი სახელი და გვარია კეტრინ ბიჩემი, საშუალო კლასის კოლონიალურ ოჯახში დაიბადა, გაიზარდა სოფელში; მოთხრობების გამოქვეყნება 9 წლის ასაკიდან დაიწყო და 1898-99 წლებში სასკოლო ჟურნალებში იბეჭდებოდა. 1902 წელს გადავიდა ლონდონში, სწავლობდა სამეფო კოლეჯში (1902-1906), უკრავდა ვიოლენჩელოსე და პროფესიონალი მუსიკოსი სურდა გამოსულიყო, მაგრამ, მამის სურვილის თანახმად, ახალ ზელანდიაში დაბრუნებული, ველინგტონის ტექნიკურ კოლეჯში შედის, მალე ბეზრდება პროვინციული ცხოვრება და 1908 წელს ლონდონში ბრუნდება. 1911 წელს აქვეყნებს მოთხრობების პირველ კრებულს, „გერმანულ პანსიონში", რომელსაც დიდი წარმატება არ მოჰყოლია. მენსფილდი უახლოვდება ახალი ავანგარდისტული ჟურნალის „რიტმის" რედაქტორს, ჯონ მიდლტონ მერის, რომელიც ბეჭდავს მის ერთ-ერთ საუკეთესო მოთხრობას, „ქალი მაღაზიაში" იგი უახლოვდება ისეთ მწერლებს, როგორებიცაა: დეიდ ლოურენსი, ვირჯინია ვულფი, ოლდოს ჰაქსლი. მიუხედავად იმისა, რომ მენსფილდი წერას აგრძელებდა, იგი იშვიათად აქვეყნებდა ნაწერებს. მეორე კრებული „პრელუდია", 1918 წელს დაიბეჭდა.

1917 წელს მენსფილდი ტუბერკულოზით დაავადდა და მისი ჯანმრთელობა თანდათან უარესდებოდა. თავისი ყველაზე ცნობილი ნაწარმოებები მწერალმა სიკვდილ-სიცოცხლის ზღვარზე მყოფმა შექმნა. 1920 წელს გამოქვეყნებულმა მოთხრობამ „მის ბრილი", მენსფილდი მოდერნიზმის ეპოქის გამოჩენილ მწერლად აქცია. შემდეგმა კრებულმა „სალამოს წვეულება ბაღში" (1922) კრიტიკისა და მკითხველის მოწონება დაიმსახურა. სიცოცხლის უკანასკნელ წლებში მენსფილდი უაღრესად ნაყოფიერად მუშაობდა. მისი გარდაცვალების შემდეგ მისმა ნოველებმა ორი ტომი შეადგინა – „მტრედის ბუდე" (1923) და ლექსებისა და კრიტიკული წერილების კრებულმა „ალოე" (1924) კიდევ ერთი ტომი. ვირჯინია ვულფი მენსფილდს „მოწამებრივად ფაქიზ სულს" უწოდებდა და აღნიშნავდა: „ყველა გამოჩენილი ინგლისელი ნოველისტის აზრით, კეტრინ მენსფილდს, როგორც მოკლე მოთხრობების ავტორს, ბადალი არ ჰყავს".

მოთხრობა „ნეტარება" ერთ-ერთი საუკეთესოა მწერლის 1920 წელს გამოქვეყნებული კრებულიდან „ნეტარება" და სხვა მოთხრობები", რომელმაც სათავე დაუდო კეტრინ მენსფილდის დიდ პოპულარობას.

ნეტარება

თუმცა ბერტა იანგი უკვე ოცდაათი წლისა გახდა, იყო წუთები, როდესაც ნაბიჯით კი არა, ცეკვა-ცეკვით უნდოდა ევლო ქვაფენილზე, ეგორებინა სალტე, ჰაერში აესროლა, რაც ხელში მოხვდებოდა, და კვლავ დაეჭირა, ან მდგარიყო უძრავად და ეცინა, ეცინა უმიზეზოდ.

რა უნდა მოუხერხო თავს, როცა, საკუთარ ქუჩაზე შემოუხვევ თუ არა, ბედნიერება დაგეუფლება, სრული ბედნიერება. შენ კი ოცდაათი წლისა ხარ, – თითქოს შუადღის კაშკაშა მზის პატარა ნაჭერი გადაყლაპე, გულში რომ გიზგიზებს ახლა და სხივების კონას უგზავნის შენი სხეულის ყოველ ნაწილაკს, ფეხის თითებსაც კი.

ნუთუ ეს გრძნობა რომ გამოხატოს ადამიანმა უზომოდ უნდა იყოს მთვრალი? რა სისულელეა ეს ცივილიზაცია. რად გვინდა სხეული, თუკი მას ისე გავუფრთხილდებით, როგორც ძვირფას ვიოლინოს?

– არა, როგორც ვიოლინოს კი არა, – ფიქრობდა ბერტა, როდესაც კიბეებზე არბოდა და თან გასაღებს ეძებდა ჩანთაში (რასაკვირველია, გასაღები, როგორც ყოველთვის, შინ დარჩენოდა), მაშინაც კი, როცა წერილებს იღებდა ყუთიდან. – ვიოლინო ვერ გამოხატავს იმას, რასაც ვგულისხმობ, რადგან...

– გმადლობთ, მერი, – ბერტა ჰოლში შეეიდა. – ძიძა დაბრუნდა?

– დიახ, ქალბატონო.

– ხილი მოიტანეს?

– დიახ, ქალბატონო, ყველაფერი მოტანილია.

– სასადილო ოთახში ამომიტანე ხილი. სანამ ბავშვების ოთახში ავიდოდე. ლარნაკებზე დავაწყობ.

სასადილო ოთახში ბინდი ჩამოწოლილიყო და საკმაოდ ციოდა, მაგრამ ბერტამ მაინც გაიხადა პალტო. – ვეღარ აიტანა მისი სიმძიმე. – და შიშველ მკლავებზე ცივი ჰაერი შემოეხვია. გულში კვლავ რაღაც ენთო, კვლავ რაღაც უღვიოდა. რაც ლამის აუტანელი იყო. ბერტა სუნთქვასაც ვერ ბედავდა, რომ უფრო არ გაეღვივებინა ცეცხლი, მაგრამ მაინც ღრმად, ღრმად სუნთქავდა. ბერტას ცივ სარკეში ჩახედვისა ეშინოდა – მაინც ჩაიხედა და დაინახა სახეგაბრწყინებული ქალი, ღიმილი რომ უთრთოლებდა ტუჩებს. ქალს დიდრონი შავი თვალები ჰქონდა და ისე იყურებოდა, თითქოს რაღაცას უგდებსო ყურს, რაღაცას ელოდებაო... შესანიშნავს... რაც უნდა მოხდეს, რაც აუცილებლად მოხდება.

მერიმ ხილი შემოიტანა ლანგარით, შემოიტანა ბროლის ვაზა და ლამაზი ცისფერი ლარნაკიც, უცნაური ელფერი რომ დაჰკრავდა, თითქოს რძეში არისო ამოვლებული.

– ქალბატონო, სინათლე ავანთო?

– არა, საჭირო არ არის, სრულებით არ ბნელა.

ლანგარზე ეწყო მანდარინები, ლოყაწითელი ვაშლები, კანგადატკეცილი ქარვისფერი მსხლები და თითქოს შეთრთვილული თეთრი ყურძენი. ლანგარზე იდო წითელი ყურძნის დიდი მტევანიც. ბერტას მხოლოდ იმისთვის რომ ეყიდა, ახალ ხალიჩას მოუხდებაო. იქნებ ეს მეტად უცნაურად და სულელურად ეღერდეს, მაგრამ ნამდვილად ასე იყო. მაღაზიაში ბერტამ გაიფიქრა: „აუცილებლად უნდა ვიყიდო წითელი ყურძენი. ძალიან მოუხდება სასადილო ოთახის ხალიჩას“. იმ წუთში ეს სრულიადაც არ მოეჩვენა უცნაურად.

როცა ბერტამ ხილი დააწყო და ორ პირამიდად აღმართა ყურძნის მტევნები, უკან დაიხია და მაგიდას შეავლო თვალი. მომხიბლავი სანახაობა იყო – მაგიდა თითქოს დნებოდა ბინდში, ხოლო ბროლის ვაზა და ცისფერი ლარნაკი ჰაერში ლივლივებდა. ისეთ აღტაცებას გრძნობდა ბერტა, რომ ეს ყოველივე საოცრად ლამაზი მოეჩვენა. ხმამაღლა გაიცინა.

— არა, არა! ნამდვილად ეგიჟდები! — ბერტამ ხელი წამოაელო ჩანთასა და პალტოს და მაღლა, საბავშვო ოთახში აირბინა.

ძიძას ის-ის იყო დაებანა პატარა ბი, დაბალ მაგიდას მისჯდომოდა და ავახშმებდა ბავშვს. გოგონას თეთრი ფლანელის კაბა და ცისფერი შალის კოფთა ეცვა. მაღლა ავარცხნილი შავი, რბილი თმა სასაცილოდ ჰქონდა აშეერილი. ბავშვმა დაინახა თუ არა დედა, ხტუნაობა დაიწყო.

— ჭამე, გენაცვალე, შენ ხომ ჭკვიანი გოგო ხარ, — უთხრა ბავშვს ძიძამ და ტუჩები მოკუმა. ეს კი იმას ნიშნავდა, რომ ბერტა ისევ უდროო დროს მოვიდა.

— როგორ იქცეოდა ბავშვი?

— ძალიან ჭკვიანად, — წაიჩურჩულა ძიძამ. — დღეს პარკში ვიყავით. მე სკამზე დავჯექი, ბავშვი ეტლიდან ამოვიყვანე და ხელში დავიჭირე. ამ დროს დიდი ძაღლი მოგვიახლოვდა. მან თავი დამადო მუხლებზე. ბიმ ხელი წაავლო ყურებში და რაც ძალი და ღონე ჰქონდა, თავისკენ მოსწია. ოჰ, რომ იცოდეთ, რა სანახავი იყო!

ბერტას უნდოდა ეკითხა ძიძასთვის: განა საშიში არ არის, ბავშვს ნება მისცე, უცხო ძაღლს ყურში წაავლოსო ხელი? მაგრამ ვერ გაბედა. ბერტა იდგა ხელებჩამოშვებული და ისე უყურებდა ძიძას, როგორც პატარა ღარიბი გოგონა უყურებს მის წინ მდგომ პატარა მდიდარ გოგონას, ხელში თოჯინა რომ უკავია. ბავშვმა კვლავ ასწია თავი, დიდხანს უყურა დედას, მერე კი ისე საყვარლად გაუღიმა, რომ ბერტამ თავი ვერ შეიკავა და წამოიძახა:

— ოჰ, ძალიან გთხოვთ, მე ვაჭმევ, თქვენ კი მანამ სველი პირსაწმენდი და გამონაცვალი ტანსაცმელი გაიტანეთ.

— ქალბატონო, ჭამის დროს ნუ შეაწუხებთ ბავშვს, — კვლავ ჩურჩულით უთხრა გადიამ, — მადა გაუფუჭდება, ალბათ უკვე გაუფუჭდა კიდეც.

„რა სისულელეა! რად გინდა ბავშვი, თუ იმის ნაცვლად, რომ ძვირფასი ნივთივით ელოლიავებოდე, სხვა ქალის ხელში გყავს!“

— მე ასე მსურს, — თქვა ბერტამ.

ნაწყენმა ძიძამ ბავშვი გაუწოდა.

— არ ათამაშოთ ვახშმის შემდეგ, ქალბატონო. თქვენ ყოველთვის ასე იცით, მე კი მერე ვეღარ ვაძინებ ხოლმე.

— მადლობა ღმერთს! — თქვა ბერტამ, როცა ძიძა ოთახიდან გავიდა და თან გაიტანა სველი პირსახოცი.

— აი, ახლა ჩემი ხარ, ჩემო სიცოცხლეე! — თქვა ბერტამ და ბავშვი მაგრად ჩაიკრა გულში.

ბავშვი საყვარლად ჭამდა: დედა რომ კოვზს მიუტანდა ტუჩებთან, პირს დააღებდა ხოლმე. მერე ხელების ქნევას მოჰყვებოდა. ხან მაგრად მოკუმავდა ტუჩებს და კოვზს პირიდან აღარ უშვებდა. ხან კი, აავსებდა თუ არა ბერტა კოვზს, ხელს აჰკრავდა და წვენი აქეთ-იქით იღვრებოდა. როდესაც ბავშვს აჭამა, ბერტა ბუხარს მიუჯდა.

— ოჰ, რა საყვარელი ხარ, რა საყვარელი! — ეუბნებოდა ბავშვს და მის თბილ სხეულს ჰკოცნიდა. — ჩემი სიცოცხლე ხარ. უზომოდ მიყვარხარ! — და, მართლაც, ისე ძალიან უყვარდა პატარა ბი, ისეთ სინაზეს გრძნობდა მისი პატარა, სასაცილოდ დახრილი თავისა და სათუთი ფეხების შემხედვარე, ფეხებისა, რომლებშიაც ცეცხლის შუქი ატანდა, რომ ნეტარებამ შეიპყრო კვლავ. მან არ იცოდა, როგორ გამოეხატა ეს გრძნობა ან რა მოეხერხებინა მისთვის.

— ტელეფონთან გთხოვენ, — უთხრა ძიძამ, გამარჯვებული იერით რომ შევიდა ოთახში და კვლავ დაისაკუთრა თავისი პატარა ბი.

ბერტამ სწრაფად ჩაირბინა კიბეები. ჰარი ურეკავდა.

— შენ ხარ, ბერ? მისმინე, მე შეიძლება ცოტა შემაგვიანდეს. ტაქსს დავიჭერ, რომ, რაც შეიძლება, მალე მოვიდე, მაგრამ სადილი მაინც ათი წუთით გვიან იყოს. კარგი?

— კარგი. ოჰ, ჰარი!

— რა იყო?

რა უნდა ეთქვა? არაფერი. უბრალოდ სურდა, ცოტა ხანს კიდევ ელაპარაკა მასთან. მას ხომ არ შეეძლო სულელურად წამოეძახა: „რა მშვენიერი დღეა, არა?“

— არაფერი. Entendu[1], — უპასუხა ბერტამ და ყურმილი დადო, თან გაიფიქრა: „არა, მაინც რა სისულელეა ეს ცივილიზაცია!“

სადილად ელოდებოდნენ ნაიტებს — საზოგადოებაში მიღებულ წყვილს — ქმარი საკუთარი თეატრის გახსნას აპირებდა, ცოლი კი ბინების მოწყობის ნამდვილი ოსტატი იყო; ედი უორენს — ახალგაზრდა პოეტს, ახლახან რომ გამოეცა ლექსების პატარა კრებული,— დღე არ გავიდოდა, რომ სადმე არ დაეპატიჟათ იგი; ბერტას „აღმოჩენას“ — პერლ ფულტონსაც

[1] Entendu — ყველაფერი გასაგებია (ფრანგ.)

ელოდებოდნენ. მის ფულტონის საქმიანობა ბერტამ არ იცოდა. მათ ერთმანეთი კლუბში გაიცნეს. ბერტა აღტაცებული დარჩა. მას ყოველთვის მოსწონდა ლამაზი, ოდნავ იდუმალებით მოცული ქალები.

თუმცა ბერტა და მის ფულტონი ხშირად ხვდებოდნენ ერთმანეთს და ბევრსაც საუბრობდნენ, ბერტამ მაინც ვერ გაიცნო იგი რიგიანად. მის ფულტონი საოცრად გულახდილი იყო გარკვეულ საზღვრამდე, მაგრამ ამ საზღვარს არასოდეს გადააბიჯებდა.

იმალებოდა რამე ამ საზღვარს იქით? ჰარი ამბობდა – არაფერიო. ის ამტკიცებდა, რომ მის ფულტონი ჩლუნგი და ცივი არსებაა, როგორც ყველა ქერა ქალი, და უსათუოდ ტვინი გამოფიტული ექნებაო. მაგრამ ბერტა არ ეთანხმებოდა ქმარს, ჯერჯერობით მაინც.

– არა, ჰარი. აბა, დააკვირდი, როგორ ზის ხოლმე ოდნავ გვერდზე თავდახრილი, ან როგორ იღიმება – ამაში აუცილებლად რაღაც იმალება და მე უნდა გავიგო, რა არის ეს „რაღაც“.

– უთუოდ კუჭის კარგი მოქმედება, – უპასუხებდა ჰარი. ბერტას მუდამ საგონებელში აგდებდა იგი, ისეთ გამოთქმებს ხმარობდა ხოლმე: „გაყინული ღვიძლიო, შვილო ჩემო“, „თირკმელები არა აქვსო წესრიგში“, „გაზებისაგან გაიბერაო“ და ვინ იცის, კიდევ რას არ ამბობდა. ბერტას რატომღაც მოსწონდა ეს, აღტაცებულიც კი იყო.

ბერტა სასტუმრო ოთახში გავიდა და ბუხარი გააჩაღა. მერე კი ბალიშები, მერის ასე საგულდაგულოდ რომ დაელაგებინა დივანზე, უწესრიგოდ მიყარ-მოყარა ტახტსა და სავარძლებზე. უცბად ყველაფერი შეიცვალა. სასტუმრო ოთახი გამოცოცხლდა. ის იყო უკანასკნელი ბალიშიც უნდა გადაეგდო, რომ, თავისდა გასაკვირად, გულში ჩაიკრა მაგრად. მაგრამ ამან ვერ ჩააქრო ცეცხლი, მის გულში რომ გიზგიზებდა. პირიქით უფრო გააღვივა.

სასტუმრო ოთახის ფანჯრები აივანზე გადიოდა და ბაღს გადაჰყურებდა. ბაღის შორეულ კუთხეში, კედელთან, მაღალი, ტანწერწეტა მსხლის ხე იდგა – სულ ერთიანად აყვავებული, მშვენიერი. ისე იდგა მოლურჯო-მომწვანო ცის ფონზე, თითქოს მოჯადოებული არისო. ბერტა აქ, ფანჯარასთანაც კი გრძნობდა, რომ მსხლის ხეს არც ერთი კვირტი არ ჰქონდა გაუშლელი, სულ ერთიანად მწვანედ ხასხასებდა. ყვავილებით დამძიმებული წითელი და ყვითელი ტიტას კვლები თითქოს ბინდში ჩაძირულიყვნენ. ნაცრისფერი კატა მიცოცავდა მდელოზე. მას ფეხდაფეხ მიჰყვებოდა შავი

კატა – მისი ჩრდილი. ბერტა თვალს ადევნებდა მათ სწრაფ, მოქნილ მოძრაობას და უნებურად შეკრთა: – ეს როგორი ცოცვა სცოდნიათ კატებს! – წაიჩურჩულა მან, ფანჯარას მოსცილდა და ბოლთის ცემას მოჰყვა ოთახში.

როგორი მძაფრი სუნი აქვთ ნარცისებს თბილ ოთახში! ძალიან მძაფრი? არა, არც ისე. მაგრამ ბერტა, თითქოს დაიბნიდაო, ტახტზე დაეცა და ხელები თვალებზე აიფარა.

– ძალიან ბედნიერი ვარ, ძალიან ბედნიერი, – ჩურჩულებდა ის.

ბერტას უცებ თვალწინ დაუდგა მშვენიერი აყვავებული მსხლის ხე, როგორც სიმბოლო საკუთარი ცხოვრებისა.

მართლაც, მას არაფერი აკლია: ახალგაზრდაა, მას და ჰარის წინანდებურად უყვართ ერთმანეთი და კარგი მეგობრები არიან, არასოდეს მოიწყენენ ერთად, ჰყავთ მშვენიერი ბავშვი, ფულზე ფიქრი არ აწუხებთ, აქვთ საუცხოო სახლი და ბაღი, ჰყავთ საინტერესო ნაცნობები – ცნობილი მხატვრები და მწერლები, პოეტები, ადამიანები, საზოგადოებრივ საქმეებს რომ გადააგეს თავი, – სწორედ ისეთი ხალხი, როგორიც მათ მოსწონთ. არც წიგნებსა და მუსიკას იკლებენ. ახლახან კი იაფი მკერავი აღმოაჩინა. ყოველ ზაფხულს საზღვარგარეთ დადიან, მათი ახალი მზარეული საუცხოოდ ამზადებს ომლეტს...

– რა სულელი ვარ, რა სულელი! – ბერტა წამოჯდა, მას თავბრუ დაესხა, თითქოს დათვრაო. ეს ალბათ გაზაფხულის ბრალია. ჰო, გაზაფხულის. ბერტა ისე იყო დაღლილი, ძლივს ავიდა საწოლ ოთახში, რომ ტანსაცმელი გამოეცვალა.

თეთრი კაბა, ნეფრიტის მძივი, მწვანე წინდები და ფეხსაცმელები. წინასწარ არ იცოდა, რას ჩაიცვამდა დღევანდელ სადილზე. ეს მორთულობა მან მხოლოდ რამდენიმე საათის წინ მოიფიქრა, სანამ სასტუმრო ოთახის ფანჯარასთან მივიდოდა და ბაღში გადაიხედავდა.

ბერტა კაბის ნაზი შარიშურით ჩამოვიდა ჰოლში და გადაკოცნა მისის ნორმან ნაიტი, სწორედ ამ დროს უცნაურ ნარინჯისფერ პალტოს რომ იხდიდა. პალტოს კალთებზე სასაცილოდ ხტოდნენ შავი მაიმუნები.

– რატომ? რატომ? რატომ არის ხალხი ასე პირქუში, ყოველგვარ იუმორს მოკლებული? ჩემო კარგო, მხოლოდ ბედნიერ შემთხვევას უნდა უმადლოდეთ, რომ თქვენამდე მოვაღწიე. ეს ბედნიერი შემთხვევა-მფარველი

ნორმანი გახლავთ. ჩემმა თავხედმა მაიმუნებმა ისე ააწრიალა მთელი ვაგონი, რომ მგზავრები ადგილებიდან წამოცვივდნენ და კინაღამ თვალებით შემჭამეს. არც იცინოდნენ, არც განცვიფრებას გამოხატავდნენ. განცვიფრება რომ გამოეხატათ, ეგ კიდევ მესიამოვნებოდა, მაგრამ ისინი უბრალოდ მომჩერებოდნენ, თვალს არ მაშორებდნენ. აღარ ვიცოდი, სად წავსულიყავი.

— ყველაზე გადასარევი, იცით, რა იყო? — თქვა ნორმანმა და კუს ბაკნის ჩარჩოიანი მონოკლი გაისწორა, — დრუნჩა, ხომ არ გეწყინება, რომ მოვყვე (შინაურ წრეში ისინი ერთმანეთს დრუნჩასა და დინგას ეძახდნენ)? ყველაზე გადასარევი ის იყო, რომ, როდესაც დრუნჩას მოთმინების ფიალა აევსო, გვერდით მჯდომ ქალს მიმართა: „თქვენ რა, მაიმუნი არასოდეს გინახავთ?“

— დიახ, დიახ, სწორედ ასე იყო, — მისის ნორმანმა სხვებთან ერთად გადაიხარხარა, — განა, ეს მართლა გადასარევი არ არის?

საოცარი იყო, რომ უპალტოოდ მისის ნორმანი თავად ჰგავდა საზრიან მაიმუნს, მაიმუნს, რომელსაც ისიც კი მოეხერხებინა, რომ ეს ყვითელი აბრეშუმის კაბა ბანანის ქერქისაგან შეეკერა. მისი ქარვის საყურეები პატარა თხილებივით ირხეოდნენ.

— როგორც კი ჰოლში აკვანი გაჩნდება, — გამოთქმით წამოიწყო დინგამ და პატარა ბის ეტლთან შეჩერდა, — მხიარულებას ბოლო მოელება... — აღარ დაამთავრა ლექსი.

ვილაცამ ზარი დარეკა. გამხდარი, ფერმკრთალი ედი უორენი შემოვიდა. როგორც ყოველთვის, ახლაც დარდიანად იყო იგი.

— სახლი ხომ არ შემეშალა შემთხვევით? — იკითხა მან.

— ვფიქრობ, რომ ასეა, — სიცილით უპასუხა ბერტამ.

— საშინელი მძღოლი შემხვდა... საშინელი! ვერაფრით გავაჩერებინე მანქანა. რაც უფრო მეტს ვუბრახუნებდი და ვეხვეწებოდი, გააჩერე-მეთქი, მით უფრო სწრაფად მიაქანებდა. წარმოიდგინეთ, მთვარის შუქზე რაღაც უცნაური, ბრტყელთავიანი არსება საჭეს ჩაფრენია... — ედის შეაკრჭოლა. მან აბრეშუმის უშველებელი თეთრი შარფი მოიხსნა. ბერტამ შეამჩნია, რომ ედის წინდებიც თეთრი ეცვა — საუცხოო წინდები.

— რა შემზარავია! — წამოიძახა ბერტამ.

— ძალიან, — დაუმოწმა ედიმ და სასტუმრო ოთახში შეჰყვა მას. — მე ისეთი გრძნობა მქონდა, თითქოს მარადისობაში მიმაქროლებდა მარადიული ტაქსი.

ედი იცნობდა ნაიტებს. პიესის დაწერასაც კი დაპირდა ნორმანს, როდესაც იგი საკუთარ თეატრს გახსნიდა.

— რას იტყვით, უორენ, როგორ მიდის პიესის საქმე, — ჰკითხა ნორმან ნაიტმა. მან ერთი წუთით მოიხსნა მონოკლი და კვლავ გაიკეთა.

— ო, მისტერ უორენ, რა საუცხოო წინდები გაცვიათ, — წამოიძახა მისის ნორმან ნაიტმა.

— ძალიან მიხარია, რომ მოგეწონათ, — თქვა ედიმ და თავის წინდებს დახედა, — მას შემდეგ, რაც მთვარე ამოვიდა, ისინი თითქოს უფრო გათეთრდნენ. — მან ბერტას მიაპყრო თავისი გამხდარი, სევდიანი, ახალგაზრდული პირისახე. — მთვარე მართლა ანათებს, იცით?

ბერტას უნდოდა ეყვირა: „დიახ, ვიცი, რომ ანათებს და საკმაოდ ხშირადაც“.

ედი ნამდვილად მიმზიდველი კაცი იყო, მაგრამ არანაკლებ მიმზიდველნი იყვნენ სხვებიც — „ბანანის“ კაბაში გამოწყობილი დრუნჩა, ბუხრის წინ რომ იყო ჩაცუცქული, დინგაც, სიგარეტს რომ ქაჩავდა. მან ფერფლი ჩამობერტყა და იკითხა: — სიძე რატომ იგვიანებს?

— აი, ისიც.

შემოსასვლელი კარი ხმაურით გაიღო და ისევ დაიხურა. ჰარიმ ჰოლიდან შემოსძახა:

— გამარჯობათ, მეგობრებო, ხუთ წუთში თქვენთან ვიქნები.

ბერტას ესმოდა, როგორ არბოდა ის კიბეებზე და უნებურად გაეღიმა. ასეთი ფეთიანი არისო. ხუთი წუთი გინდა აქეთ ყოფილა, გინდა იქით; ქვეყანა ხომ არ დაიქცევა? მაგრამ ჰარის უნდა დაარწმუნოს თავისი თავი, რომ ამ ხუთ წუთს რაღაც გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს, სასტუმრო ოთახში კი საოცრად დინჯად, აუღელვებლად შემოვა.

ჰარის უსაზღვროდ უყვარს სიცოცხლე! ოჰ, როგორ აფასებს ბერტა ამ სიყვარულს! ჰარის დაუოკებელი სურვილი ბრძოლისა, სურვილი იმისა, რომ ყოველ წუთს გამოსცადოს თავისი ძალა და ვაჟკაცობა — ბერტას ძალიან კარგად ესმის. და თუ იმ ადამიანებს, ვინც ჰარის კარგად არ იცნობს, ის ზოგჯერ სასაცილოდ ეჩვენებათ, მხოლოდ იმიტომ, რომ იგი ხშირად ებმება არარსებულ ბრძოლაში...

ბერტა სტუმრებთან საუბრობდა და იცინოდა. პერლ ფულტონი მხოლოდ მაშინ გაახსენდა, როცა ჰარი შემოვიდა ოთახში (სწორედ ისეთი გამომეტყველება ჰქონდა, როგორც ბერტა ფიქრობდა).

— საინტერესოა, მის ფულტონი არ მოვა?

— შესაძლებელია, — უპასუხა ჰარიმ. — ტელეფონი არა აქვს?

— აი, ტაქსიც, — ბერტამ მესაკუთრის ღიმილით გაიღიმა. ის ყოველთვის ასე იღიმებოდა, სანამ მის „აღმოჩენილ“ ქალებს კარგად არ იცნობდნენ. სანამ ისინი საიდუმლოებით იყვნენ სხვებისთვის მოცულნი, — ეს ქალი, მგონი, მთელ თავის სიცოცხლეს ტაქსში ატარებს.

— ესე იგი მალე ქონი მოერევა, — ციავად თქვა ჰარიმ და ზარი დარეკა, რომ სადილი შემოეტანათ, — ეს ძალიან საშიშია ქერა ქალებისათვის.

— კარგი, ჰარი, გეყოფა! — გაიცინა ბერტამ, კიდეე ერთ-ორ წუთს იცდიდნენ, თან იცინოდნენ და ცოტა გადაჭარბებული ძალდაუტანებლობითა და დაუდევრობით მუსაიფობდნენ. მერე კი ღიმილით შემოვიდა მის ფულტონი: თავი ოდნავ გვერდზე დაეხარა, ვერცხლისფერი კაბა ეცვა და ვერცხლისფერივე სალტე ჰქონდა ქერა თმაზე გადაჭერილი.

— დავაგვიანე?

— არა, სულაც არა, — უპასუხა ბერტამ, — მობრძანდით.

ბერტამ ხელი გამოსდო მის ფულტონს და ისინი სასადილო ოთახში შეეიდნენ.

მაგრამ ბერტას რატომ გაუღვივა გულში ამ გრილი ხელის შეხებამ ნეტარების ცეცხლი, ვერაფერს რომ ვერ უხერხებდა იგი?

მის ფულტონი ბერტას არ უყურებდა, ის საერთოდ ძალიან იშვიათად უყურებდა ადამიანს თვალებში. მძიმე ქუთუთოები ოდნავ დაეხარა და ხანდახან რაღაც უცნაური, ძლიეს შესამჩნევი ღიმილი თუ გამოუკრთებოდა ბაგეზე. თითქოს გარემოს სმენით უფრო აღიქვამსო, ვიდრე თვალით. მაგრამ ბერტას უცებ მოეჩვენა, რომ ერთმანეთს ხანგრძლივი, გულითადი ღიმილით შეხედეს და ჰკითხეს: „შენც“? თითქოს პერლ ფულტონი, ნაცრისფერ მათლაფაზე დასხმულ მშვენიერ წითელ წვნიანს რომ ურევდა, შეპყრობილი იყო იმავე გრძნობით, რაც თვითონ ბერტას დაუფლებოდა.

სხვები? დრუნჩა და დინგა, ედი და ჰარი წვნიანს მიირთმევდნენ. ხელსახოცით იწმენდნენ პირს. პურს ანამცეცებდნენ, ატრიალებდნენ ხელში ჩანგლებსა თუ ჭიქებს და საუბრობდნენ.

— მე ის გავიცანი თეატრ „ალფაში“. მეტისმეტად უცნაური არსებაა! ეტყობა, მან მარტო თმა კი არა, ხელები, ფეხები, კისერი და, თქვენ წარმოიდგინეთ, საბრალო ცხვირიც კი კარგა რიგიანად დაიმოკლა.

— მართალია, რომ ის ძალიან დაახლოებულია მაიკ ოუტომთან?

— ეს ის ოუტომია, „სიყვარული და ხელოვნური კბილები“ რომ დაწერა?

— ის ჩემთვისაც აპირებს ერთმოქმედებიანი პიესის დაწერას. პიესაში ერთი მოქმედი პირი იქნება. გმირი გადაწყვეტს თავის მოკვლას. მას მოჰყავს მთელი რიგი დამამტკიცებელი საბუთები თვითმკვლელობის გასამართლებლად და დასაგმობად. და სწორედ მაშინ, როდესაც რაღაც გადაწყვეტილებას მიიღებს — ფარდა ეშვება. შესანიშნავია, არა?

— რა უნდა დაარქვას ამ პიესას — „კუჭის აშლილობა“?

— მე მგონი, რაღაც ამდაგვარი ერთ პატარა ფრანგულ ჟურნალში წამიკითხავს. ეს ჟურნალი მთლად უცნობია ინგლისში.

არა. ისინი სრულებით არ იზიარებენ ბერტას აღტაცებას. ყველანი ძალიან, ძალიან საყვარლები არიან. ბერტას სიამოვნებს, რომ ხედავს მათ თავის სახლში, სუფრასთან მსხდომთ, და უხარია, რომ ათასნაირი გემრიელი საჭმელ-სასმელით უმასპინძლდება. ბერტას სურს უთხრას მათ, როგორი კარგები არიან, როგორ უხდებიან, როგორ ავსებენ ერთმანეთს და თან ჩეხოვის რომელიღაც პიესის პერსონაჟებს ჰგვანან.

ჰარი განცხრომით შეექცეოდა სადილს. მას დიდ სიამოვნებას ანიჭებდა ხოლმე ჭამა-სმაზე ლაპარაკი. უყვარდა ტრაბახი, რომ უსირცხვილო ლტოლვას განიცდიდა ასთაკეის თეთრი სხეულის მიმართ, რომ გიჟდებოდა ფსტის ნაყინზე, ეგვიპტელი მოცეკვავე ქალის ქუთუთოებივით მწვანე და გრილი რომ არის.

როდესაც ჰარიმ შეხედა ბერტას და უთხრა: „სუფლე შესანიშნავიაო“, ბერტას ცოტა დააკლდა, რომ სიხარულისაგან პატარა გოგოსავით არ ატირებულიყო.

რატომ გრძნობს ბერტა დღეს ყველას მიმართ ასეთ სინაზეს? ყველაფერი კარგადაა, ყველაფერი თავის რიგზეა, მაგრამ დღეს ყოველი წვრილმანი თითქოს თითო წვეთს უმატებს მის ისედაც პირთამდე სავსე ნეტარების ფიალას.

მის გონებაში კვლავ ცოცხლობდა აყვავებული მსხლის ხე. ახლა, ალბათ, ვერცხლისფერი იქნება იგი, საბრალო, სულელი ედის მთვარით განათებული; ვერცხლისფერი, როგორც მის ფულტონი, თავისი ფერმკრთალი, გამჭვირვალე, თხელი თითებით რომ ათამაშებს ახლა მანდარინს.

მაინც რა საოცარია, რომ ბერტამ ასე სწრაფად და ზუსტად გამოიცნო მის ფულტონის განწყობილება! ერთი წუთითაც არ შეჰპარვია ეჭვი, რომ შეიძლება შემცდარიყო. მაგრამ რა საფუძველი აქვს მის ასეთ ვარაუდს? არავითარი.

„ვფიქრობ, რომ ქალებს ეს ძალიან, ძალიან იშვიათად ემართებათ. მამაკაცებს კი არასოდეს, – ფიქრობდა ბერტა, – მაგრამ როცა ყავას მოვამზადებ სასტუმრო ოთახში, იქნებ მაშინ „მომცეს ნიშანი“.

ბერტას თვითონაც არ ესმოდა, რა „ნიშანი“ უნდა მიეცა მის ფულტონს. მან საერთოდ არ იცოდა, რას ნიშნავდა ყოველივე ეს და ვერ წარმოედგინა, რით დამთავრდებოდა იგი.

ამას რომ ფიქრობდა, თან გაუთავებლად იცინოდა და ლაპარაკობდა.

სიცილის დასაოკებლად მას ძალაუნებურად უნდა ელაპარაკა.

„გულიანად თუ არ გავიცინე, მოეკვდები“.

მაგრამ ამ დროს ბერტამ შეამჩნია, რომ დრუნჩამ მკერდზე მიიდო ხელი და კაბა ჩაბღუჯა, თითქოს უბეში მუჭა თხილი დამალაო. – ასეთი სულელი ჩვევა ჰქონდა დრუნჩას. ბერტამ ისე მაგრად დამუშტა ხელები, არ გამეცინოსო, რომ ფრჩხილები ხორცში ჩაერჭო.

როგორც იქნა, ყველანი წამოიშალნენ სუფრიდან.

– წამოდით, ჩემს ახალ ყავადანს გაჩვენებთ, – თქვა ბერტამ.

– ჩვენ მხოლოდ ორ კვირაში ერთხელ ვყიდულობთ ყავადანს, – შენიშნა ჰარიმ.

ამჯერად ბერტას დრუნჩამ გამოსდო მკლავი. მის ფულტონი კი უკან მიჰყვებოდა მათ თავდახრილი.

სასტუმრო ოთახის ბუხარში ცეცხლი ჩაქრა.

– წითელი ნაკვერცხლები ღვივიან. ფენიქსის[1] ბარტყებს ჰგვანან. – თქვა დრუნჩამ.

– ცოტა ხანს სინათლეს ნუ აანთებთ, ასე სჯობია, – დაუმატა მან და კვლავ ბუხართან ჩაცუცქდა. „დრუნჩას ყოველთვის სცივა, როდესაც წითელი ფლანელის ჟილეტი არ აცვია“, – გაიფიქრა ბერტამ.

სწორედ ამ დროს მის ფულტონმა „ნიშანი მისცა“.

– ბაღი გაქვთ? – მოისმა მშვიდი, მოთენთილი ხმა. ეს ისე მომხიბვლელად ითქვა, რომ ბერტა უნებურად დაემორჩილა. ოთახის მეორე ბოლოსაკენ გაემართა, ფარდები გადასწია და ყურთამდე გამოაღო დიდი ფანჯრები.

– აი, – ჩურჩულით თქვა მან.

---

[1] ფენიქსი – ფანტასტიკური ფრინველი, საუკუნეობით რომ ცხოვრობს უდაბნოში და კოცონზე დაწვის შემდეგ თავისი ფერფლიდან აღდგება

ორივენი ერთმანეთის გვერდით იდგნენ და ტანწერწეტა, აყვავებულ მსხლის ხეს უყურებდნენ. თუმცა ხე უძრავად იყო, კაცს ეგონებოდა, ის სანთლის ალივით ირხევა ნიავზე, იწელება და თანდათან გრძელდებაო. ხე თვალსა და ხელს შუა იზრდება და სადაცაა კენწეროთი შეეხება მრგვალ, ვერცხლისფერ მთვარეს.

დიდხანს იდგნენ ისინი აქ, ამ ზეციური შუქით მოცულნი? მათ კარგად ესმოდათ ერთმანეთის. სხვა სამყაროს არსებებად წარმოედგინათ თავი, უკვირდათ, რატომ ვდგავართო აქ, და არ იცოდნენ, რა მოეხერხებინათ ამ სანუკვარი ბედნიერებისათვის, გულში რომ ენთოთ და ვერცხლის ფიფქებივით ეცემოდა მათ თმასა და ხელებზე.

რამდენ ხანს იდგნენ ასე – მთელი საუკუნე თუ ერთი წუთი? ან მის ფულტონმა ნამდვილად წაიჩურჩულა: „დიახ, სწორედ ეს არის“, თუ ბერტას მოეჩვენა?

მერე უცებ ვიღაცამ სინათლე აანთო და დრუნჩა ყავის მომზადებას შეუდგა. ამ დროს მოისმა ჰარის ხმა.

– ძვირფასო მისის ნაიტ, ტყუილად მეკითხებით ჩემი გოგონას ამბავს. დღეები გავა ხოლმე ისე, რომ არ ვნახულობ. მხოლოდ მაშინ მივაქცევ ყურადღებას, როცა გაიზრდება და ვინმე შეუყვარდება. – დინგამ ერთი წუთით მოიხსნა მონოკლი და კვლავ გაიკეთა. ედი უორენმა ყავის სმა დაამთავრა და ისე შეშინებულმა გადადგა ჭიქა, თითქოს მის ფსკერზე ობობა დაინახაო.

– მე იმაზე ვზრუნავ, რომ ახალგაზრდებს სამუშაო გავუჩინო. დარწმუნებული ვარ, ლონდონში ბევრი შესანიშნავი დაუწერელი პიესა არის, მინდა წავაქეზო მათი ავტორები: „აი, თქვენი თეატრი! ახლა თქვენ იცით, წერეთ პიესები!“

– იცით, ძვირფასო, მე ჯეკობ ნათანსის ოთახი უნდა გავაფორმო. ოჰ, როგორ მინდა, ჩემი გეგმა განვახორციელო და ოთახი „შემწვარი თევზის“ ყაიდაზე მოვაწყო. სკამების საზურგეებს ტაფის ფორმა ექნება, ხოლო ფარდებზე თხლად დაჭრილი კარტოფილის ნაჭრები იქნება ამოქარგული.

– ახალგაზრდა მწერლების უბედურება იმაშია, რომ ისინი ჯერ კიდევ ძალიან რომანტიკულები არიან. როდესაც თქვენ გემში სხდებით, ზღვის ავადმყოფობა გეწყებათ და გჭირდებათ ტაშტი. რატომ არ ყოფნით მათ გამბედაობა, ტაშტებზე ილაპარაკონ?

— საშინელი ლექსი გოგონაზე, უცხვირო მათხოვარი რომ გააუპატიურებს ბაღში...

მის ფულტონი ღრმა სავარძელში ჩაჯდა. ჰარი ყველას სიგარეტებს სთავაზობდა.

როცა მის ფულტონის წინ მდგომი ჰარი დაინახა ვერცხლის კოლოფით ხელში, სიგარეტებს რომ უწვდიდა მას და ეუბნებოდა: „ეგვიპტური? თურქული? ვირჯინიული? ყველა ერთმანეთში არის არეული“, — ბერტა მიხვდა, რომ ჰარის არა მარტო არ აინტერესებს მის ფულტონი, არამედ ძალიან არ მოსწონს იგი. ხოლო როცა მის ფულტონმა უპასუხა: „გმადლობთ, არ მინდა“. — ბერტამ დაიჯერა, რომ მის ფულტონმაც იგრძნო ეს და განაწყენდა.

„ოჰ, ჰარი, რატომ გეჯავრება ასე მის ფულტონი! არა ხარ მართალი. მის ფულტონი საოცარი, საოცარი ქალია, და, გარდა ამისა, როგორ შეგიძლია ცუდად ექცეოდე იმას, ვინც ასე მიყვარს. როცა მარტონი დავრჩებით, ვეცდები აგიხსნა, როგორ გაიბა უხილავი ძაფები ჩემსა და მის ფულტონს შორის ამ საღამოს და რა განვიცადეთ ერთად“.

ვერც კი მოასწრო ბერტამ ამის გაფიქრება, რომ უცნაური, თითქმის საშინელი რამ შეიჭრა მის გონებაში, ბრმა და მომღიმარი. იგი მაცდურად ჩასჩურჩულებდა: „ისინი მალე წავლენ, სახლში სიჩუმე დაისადგურებს. სინათლეები ჩაქრება და შენ დარჩები მასთან მარტო ბნელ ოთახში... თბილ ლოგინში!..“

ბერტა წამოვარდა სავარძლიდან და როიალთან მივიდა.

— რა ცუდია, რომ არავინ არ იცის დაკერა! — წამოიძახა მან, — რა ცუდია!

რაც გათხოვდა, ბერტამ პირველად იგრძნო ქმრის მიმართ ლტოლვა. მას, რა თქმა უნდა, უყვარდა ჰარი, შეყვარებული იყო მასზე. მაგრამ ასე კი არა. რასაკვირველია, ბერტა მშვენივრად ხედავდა, რომ ჰარის სულ სხვა გრძნობები ჰქონდა მის მიმართ. რამდენჯერ უმსჯელიათ მათ ამ საკითხზე! პირველად ბერტა საშინლად განიცდიდა, ცივი ვარო, მაგრამ მერე ამას უკვე ყურადღებას აღარ აქცევდა. ისინი ხომ გულახდილი მეგობრები იყვნენ! აი, ეს არის თანამედროვე შეხედულებების უპირატესობა.

მაგრამ ახლა — როგორი მხურვალეა, როგორი მხურვალე! ეს სიტყვა თითქოს ცეცხლივით შემოენთო მის ისედაც აღგზნებულ სხეულს. ნუთუ ბედნიერების გრძნობას აქამდე უნდა მოეყვანა? მაგრამ თუ ეს ასეა, მაშინ... მაშინ...

— ჩემო საყვარელო, თქვენ ხომ იცით, რომ, ჩვენდა სასირცხვილოდ, — მიმართა მისის ნორმან ნაიტმა ბერტას, — დროის და მატარებლის მსხვერპლნი ვართ. ჩვენ ხომ ჰემფსთედში ვცხოვრობთ. რა საამურად გავატარეთ საღამო!

— ჰოლში გამოგყვებით, — უთხრა ბერტამ, — რა კარგია, რომ გვინახულეთ! მაგრამ არ უნდა დაიგვიანოთ ბოლო მატარებელზე. ეს საშინელება იქნება.

— ვისკის ხომ არ დალევ წასვლის წინ, ნაიტ! — დაუძახა ჰარიმ.

— გმადლობთ, არ მინდა, ბერიკაცო.

ბერტამ გამომშვიდობებისას მადლობის ნიშნად მაგრად ჩამოართვა ხელი მისტერ ნაიტს.

— ნახვამდის! ღამე მშვიდობისა! — გადმოსძახა მათ ბერტამ ზედა საფეხურიდან. ის გრძნობდა, რომ ვეღარასოდეს აუვსებდა გულს ის სინაზე და სიყვარული, რასაც დღეს განიცდიდა მათდამი.

როდესაც ბერტა სასტუმრო ოთახში დაბრუნდა, მის ფულტონი და ედიც ემზადებოდნენ წასასვლელად.

— ...შეგიძლიათ ჩემთან ერთად წამოხვიდეთ ტაქსით.

— მადლობელი ვარ თქვენი, რომ მარტო არ მომიწევს მგზავრობა იმ საშინელი ამბის შემდეგ, რაც მე შემემთხვა გზაში აქეთობისას.

— გაჩერება ძალიან ახლოა, ქუჩის ბოლოს, სულ რამდენიმე ნაბიჯია იქამდე.

— ძალიან კარგი! მაშ წავალ, პალტოს ჩავიცვამ.

მის ფულტონი ჰოლისკენ გაემართა. ბერტაც უნდა გაჰყოლოდა, მაგრამ ჰარიმ დაასწრო, ლამის სირბილით მიჰყვა მის ფულტონს.

— ნება მომეცით მოგეხმაროთ!

ბერტა მიხვდა, რომ ჰარის სურს დანაშაული გამოისყიდოს იმის გამო, რომ ასე უხეშად მოექცა მის ფულტონს, და ისინი მარტო დატოვა. როგორი ბავშვია ჰარი, როგორი გულწრფელი და უშუალო!

ედი ბუხართან იდგა. ბერტაც გვერდით ამოუდგა.

— თქვენ არ წაგიკითხავთ ბილქსის ახალი ლექსი? — რბილად შეეკითხა ედი, — მას ჰქვია „საერთო სუფრასთან“. შესანიშნავი ლექსია. ანთოლოგიის უკანასკნელ გამოცემაში არის დაბეჭდილი. თქვენ გაქვთ ანთოლოგია? ძალიან მინდა გაჩვენოთ ეს ლექსი. იგი საოცრად ლამაზი სიტყვებით იწყება: „რატომ მოგვართმევენ ყოველთვის პამიდვრის წვნიანს?“

— მაქვს, — თქვა ბერტამ და უხმაუროდ მივიდა მაგიდასთან, ჰოლში გამავალი კარის პირდაპირ რომ იდგა. ედიც უხმაუროდ მიჰყვა მას. ბერტამ აიღო პატარა კრებული და მას მიაწოდა. სიტყვა არ დაუძრავს არც ერთს.

სანამ ედი წიგნს ფურცლავდა, ბერტას კარისაკენ გაექცა თვალი და დაინახა... ჰარის, მის ფულტონის პალტო რომ ამოეღლიავებინა, და მის ფულტონი, თავდახრილი რომ იდგა ზურგით ჰარისაკენ. ჰარიმ პალტო გვერდზე მოისროლა, ხელები მხრებზე დაადო მის ფულტონს და თავისკენ შემოატრიალა. „გაღმერთებ“, ჩურჩულით უთხრა მას. მის ფულტონმა ოდნავ შეახო ლოყაზე გამჭვირვალე თითები და ზანტად გაიღიმა. ჰარის ნესტოები უთრთოდა. საზიზღარმა ღიმილმა გადაურბინა ტუჩებზე და მის ფულტონს წასჩურჩულა: „ხვალ“. მან თანხმობის ნიშნად თვალები დახარა.

— ვიპოვე! — წამოიძახა ედიმ. — „რატომ მოგვართმევენ ყოველთვის პამიდვრის წვნიანს?“ რა ღრმა აზრია, რა სწორად არის ნათქვამი, არა? პამიდვრის წვნიანი საუკუნეებია არ ასვენებს კაცობრიობას.

— თუ გნებავთ, ტელეფონით გამოვიძახებ ტაქსის, — ჰოლიდან მოისმა ჰარის ხმამაღლა ნათქვამი სიტყვები.

— არა, არა! საჭირო არ არის, — უპასუხა მის ფულტონმა. ის სასტუმრო ოთახში შეეიდა და ბერტას თავისი ნატიფი ხელი გაუწოდა.

— ნახვამდის, ძალიან დიდი მადლობა!

— ნახვამდის, — უპასუხა ბერტამ.

მის ფულტონმა ბერტას ხელი წუთით შეაყოვნა თავის ხელში.

— თქვენი მშვენიერი, აყვავებული მსხლის ხე! — თქვა მან მიბნედილი ხმით, მერე წავიდა და ედიც თან გაჰყვა, თითქოს ნაცრისფერ კატას შავი კატა მიაცილებსო.

— წავალ, კარს დავკეტავ. — თქვა ჰარიმ რაღაც უჩვეულო, ციები, თავშეკავებული ხმით.

„თქვენი მშვენიერი მსხლის ხე, მსხლის ხე, მსხლის ხე!“ — ბერტა მიეარდა მაღალ ფანჯარას.

— რა იქნება ხვალ? — წამოიძახა მან.

მაგრამ აყვავებული მსხლის ხე, როგორც ყოველთვის მშვენიერი და უძრავი იყო.

თარგმნეს ელენე გეგელაშვილმა და ლია აბულაძემ

ფსევდონიმია გამოხენილი პოლონელი მწერლისა, რომლის ნამდვილი სახელი და გვარია ალექსანდრ გლოვაცკი; დაიბადა გაღარიბებული შლიახტინის ოჯახში; მონაწილეობდა პოლონეთის 1863-64 წლების აჯანყებაში; სწავლობდა ვარშავის მთავარი სკოლის ფიზიკა-მათემატიკის ფაკულტეტზე; ნაწარმოებების გამოქვეყნება დაიწყო 1872 წლიდან. პრუსის ლიტერატურულ-კრიტიკულმა სტატიებმა ხელი შეუწყო ხელოვნების რეალისტური კონცეფციის ნამოყალიბებას პოლონურ კრიტიკაში. იუმორისტული მოთხრობების შემდეგ პრუსი აქვეყნებს სოციალურ ნოველებს, პოპულარული ხდება მისი მოთხრობები ბავშვებზე: „ობოლის წილი" (1876), „სტასის თავგადასავალი" (1879), „ბავშვობის შეცოდებანი" (1883); მკითხველთა მოწონებას იმსახურებს 1880 წელს დაწერილი ნოველები: „მიხალკო", „ანელიკა", „მოქცეული ტალღა" მნიშვნელოვანია 1885 წელს დაწერილი მოთხრობა „ფორპოსტი". 1887-89 წლებში პრუსი ქმნის ახალი ტიპის სოციალურ-ფსიქოლოგიურ რომანს პოლონურ ლიტერატურაში „თოჯინა"; რომანი „ემანსიპირებული ქალები" (1891-93), ვარშავისა და პროვინციის ცხოვრების ფართო სურათს წარმოსახავს; ისტორიულ რომანში „ფარაონი" (1895-96), ძველი ეგვიპტის ცხოვრება თანამედროვე პრობლემების შუქზეა წარმოდგენილი; რომანი „ბავშვები" (1908), 1905-07 წლების რევოლუციის გავლენით დაიწერა. იმ დროის პროგრესული შეხედულებები აისახა რომანში „ცვლილებები" (1911). მსოფლიოს მრავალ ენაზე თარგმნილ ნაწარმოებთა ავტორი ბოლესლავ პრუსი პოლონური ლიტერატურის დიდი კლასიკოსია.

ᲬᲐᲠᲡᲣᲚᲘᲡ ᲮᲛᲔᲑᲘ



მის ბიოგრაფიაში მეხუთე კამპანიიდან მრთელი და უვნებელი რომ დაბრუნდა, 1871 წლის მიწურულს, პოლკოვნიკი თადარიგში გავიდა და ლიონში დასახლდა. სამოცდახუთი წლისა ისეთი ჯანმრთელი და მხნე იყო, რომ მეგობრები შეუჩნდნენ ცოლი შეირთეო, მაგრამ პოლკოვნიკს დაოჯახების გაგონებაც არ უნდოდა. მართალია, ჯერაც ფეხზე მყარად ვდგავარო – ამბობდა, დროა ჩემებთან, სამშობლოში დავბრუნდე, ეს გულმოწყალე საფრანგეთი ყელში ამომივიდა, ამხელა გზაზე დედაკაცთან ერთად ხეტიალი კი ვერაფერი ბედენაა.

გადადება არ უნდოდა, მაშინვე წასვლას ეშურებოდა და თავისი ბაღჩა-ბაღიანი კარმიდამოს მყიდველს ეძებდა. იმხანად ლიონში პოლკოვნიკის სამი თანამოძმე ჩამოვიდა, რომლებიც ჯერ კიდევ პირველი კამპანიიდან მის გვერდით იყვნენ. ბებერ მეომრებს არც ერთმანეთის მოძებნა გასჭირ-ვებიათ და, მით უმეტეს, არც ურთიერთობის აღდგენა. აქედან მოყოლებული ყველგან ოთხივე ერთად ჩნდებოდა. მოილაპარაკებდნენ და პოლონურ კაფეში შავ ყავას ერთად მიირთმევდნენ. რა თქმა უნდა, სადილსაც რომელიმე რესტორანში ერთად შეექცეოდნენ. სადილის შემდეგ, გული ვისაც საით გაუწევდა, იქით მიდიოდა, იმ პირობით, რომ საღამოს ვისტის სათამაშოდ

ისევ ერთად უნდა შეკრებილიყვნენ. ბუნებრივია, ხანდახან რომელიმე მათგანი იგვიანებდა, ამიტომ, წესრიგი რომ არ დაერღვიათ, ერთმანეთის „მწყემსვა“ დაიწყეს – ჰოდა, გამოდიოდა, რომ მთელი დღე დადიოდნენ ასე ერთად, ხან წყვილ-წყვილად, ხან ერთიმეორის მიყოლებით, უფრო ხშირად კი ოთხივე ერთ მწკრივად ჩამორიგებული.

დროს გარდასულ დღეთა მოგონებებში და მიმდინარე პოლიტიკაზე საუბარში კლავდნენ. პირველი წელი კოშუტის, მაკმაგონის, ბაზენისა და სხვა მხედართმთავრების შეცდომების განსჯა-ანალიზში გალიეს. მომდევნო წელს ახალი კამპანია დაგეგმეს, თან ისე წარმატებულად, მათი გეგმა რომ განხორციელებულიყო, სამყარო ახლა სულ სხვანაირი იქნებოდა.

მესამე წელს მათი ერთი ამხანაგი გარდაიცვალა, დანარჩენებმა ძმასავით დაიტირეს, მაგრამ დასაფლავებიდან ერთი თვის შემდეგ მივიდნენ დასკვნამდე, რომ გარდაცვლილი პოლიტიკაში ცუდად ერკვეოდა: ვინაიდან ბისმარკი, მართალია, გერმანელია, მაგრამ გენიალური ადამიანია და მომავალშიც შეიძლება სასარგებლო იყოს.

ერთი წელიც მიილია და ცოცხლად დარჩენილთათვის სრულიად მოულოდნელად კიდევ ერთი მათგანი გარდაიცვალა. დარდისგან პოლკოვნიკი ერთი ხანობა ლოგინად ჩავარდა. აქედან მოყოლებული დარჩენილ მეგობართან უკვე ვისტს კი არა მარიაჟს თამაშობდა. უკვე ნაკლებს ლაპარაკობდნენ და მეტ დროს გაზეთების კითხვას ანდომებდნენ. ინგლისური პრესის მასალების, დროდადრო გერმანულ გაზეთებში ამოკითხულთან შედარებისა და ანალიზის საფუძველზე დაასკვნეს, რომ ბისმარკი არც ისე ცუდია, როგორც ერთი შეხედვით ჩანს, უბრალოდ იძულებულია ფრთხილად მოიქცეს.

– პოლიტიკაში, ჩემო კეთილო კაპიტანო, სიფრთხილე ძალზე მნიშვნელოვანია, – ამბობდა პოლკოვნიკი – ამას გვერდს ვერ აუვლი.

– მეც მუდამ მაგ აზრზე ვიყავი, ძვირფასო პოლკოვნიკო – პასუხობდა კაპიტანი – თუ გახსოვს, ბისმარკს ხშირად ვიცავდი.

– დავუშვათ, უფრო ხშირად ამბობდი, რომ არამზადაა.

– მეე? გეშლება, პოლკოვნიკო! მე კი არა, ნეტარხსენებული კიტელსკი, უფრო მეტად კი – დომეიკო, ღმერთმა ორივე წარსულში ამყოფოს!.. მართალია, კარგი ოფიცრები იყვნენ, მაგრამ პოლიტიკისა არაფერი გაეგებოდათ– მიცვალებულებზე ასეთი საუბარი არ გვარგებს, მათ საქციელს ღმერთი განსჯის, – დაამატა კაპიტანმა.

ერთ ზამთარს კი კაპიტანიც გარდაიცვალა.

ერთი ხანობა პოლკოვნიკი დარდს არ ამჟღავნებდა; დაკრძალვის ორგანიზება ითავა და მეგობარი უკანასკნელ გზაზე ისე გააცილა, როგორც ორი ომის მონაწილე გულად ოფიცერს ეკადრებოდა. ერთი ცრემლიც არ დასდენია, მაგრამ, როგორც კი საფლავის თავზე თოფები დააქუხეს – ასე ეთხოვებოდნენ ჯარისკაცები ოფიცერს, – პოლკოვნიკი ერთი შექანდა და მოწყვეტით დაეცა, გეგონებოდა, იმ თოფებიდან გასროლილმა ყველა ტყვიამ მის მკერდში გაიარაო.

ძლივს მოასულიერეს. რამდენიმე წუთით სული მოითქვა, სხვათა დაუხმარებლად ფიაკრში ჩაჯდა და ბრძანა სახლში მიეყვანათ.

მეორე დღეს ლიონის გაზეთებში მისი სახლის გაყიდვის მაუწყებელი განცხადება გამოქვეყნდა. მყიდველიც უმალ გამოჩნდა და ერთ კვირაში მოხუცი პოლკოვნიკი სტუმართმოყვარე საფრანგეთთან გამოსათხოვებლად ემზადებოდა.

– პოლკოვნიკო, ჩვენი მიტოვება არ გენანებათ? – ჰკითხა ნოტარიუსმა, რომელმაც ყიდვა-გაყიდვის აქტი გააფორმა.

– მენანება და არც მენანება – უპასუხა პოლკოვნიკმა – მენანება, რადგან თქვენ ფრანგები კარგი და ღირსეული ხალხი ხართ, თქვენთვის სისხლის დაღვრა ალალად ღირდა. არ მენანება იმიტომ, რომ საფრანგეთში ბევრი რამ შეიცვალა... ფრანგები ახლა ყიდვა-გაყიდვაზე, ფულზე, საჭმელზე და გართობაზე საუბრობენ; აჯობებს ჩემს თოვლიან სამშობლოს დავუბრუნდე... იქ სხვანაირი ხალხია. ჩემიანები, ისინი მე გამიგებენ, მე – მათ. აქ კი ჩემს ირგვლივ სიცარიელეა...

ნოტარიუსმა თავი გადააქნია, მაგრამ მოხუცი პოლკოვნიკი ისეთი აღტყინებით საუბრობდა, გადარწმუნება არც უცდია. მიხვდა, რომ სევდა ხანდახან ადამიანს ქარაშოტივით შემოენთება, ხიდან მოწყვეტილი ფოთოლივით გააქროლებს – და ფოთოლს ფიქრი რომ შეძლებოდა, ალბათ იფიქრებდა, მშობლიურ ხესთან ვბრუნდები და ისევ მას შევეზრდებიო.

ამრიგად, პოლკოვნიკი პარიზს გაემგზავრა, პენსიის საკითხი მოაგვარა, საელჩოში თავისი დოკუმენტები წარადგინა და პასპორტი აიღო. პარიზში ბევრი ნაცნობ-მეგობარი შეხვდა, ყველა ურჩევდა, დაისვენე, ზაფხულამდე მაინც მოიცადეო. ამაოდ: მას შემდეგ, რაც მოხუცმა სამშობლოში დაბრუნება გადაწყვიტა, ისეთი მოუსვენრობა შეეყარა, რომ ადგილს ვერ პოულობდა.

საუბარში დაბნეულობა დაეტყო, ადამიანებთან ურთიერთობაში კი – სიფიცხე. როდესაც საკუთარ ფიქრებს გაქცეული გაზეთს კითხულობდა, ეჩვენებოდა, რომ ტექსტი პოლონურად იყო დაბეჭდილი. მუდმივად ვიღაცას ელოდებოდა, თითქოს ყოველ წამს შეიძლებოდა გამოჩენილიყო უცნობი, მაგრამ ნანატრი ვინმე. პარიზის ბულვარებში, ათასფრად აელვარებულ შუქჩრდილებში, ხმაურიან, ჭიანჭველებივით მოფუსფუსე ადამიანთა ზღვის გადაღმა, წყნარი დათოვლილი მდელოები, ჰორიზონტზე ჩაშავებული ტყე, აქა-იქ ისლით გადახურული ქოხმახები, ან გზის პირას ჩამორიგებული ძველი ჯვარცმები ელანდებოდა.

გეგონებოდა, მასში ორი სული ჩაბუდებულაო. ერთი – მშობლიური პოლონეთიდან ჩამოიყოლა, მეორე აქ, უცხოობაში დაიბადა და ორმოცი წელი თავის ნებას კარნახობდა. ახლა, მოულოდნელად ძველმა, მოგონებებითა და სურვილებით დახუნძლულმა ახალგაზრდა სულმა გაიღვიძა. ლიონი ევიწროებოდა, პარიზი არ ეპიტნავებოდა, თეატრში იწყენდა, მატარებელში ვერ ისვენებდა. დღე ფიქრის საშუალებას სევდა არ აძლევდა, ღამღამობით კი პოლკოვნიკს ეჩვენებოდა, თითქოს ვიღაც ლოგინიდან ექაჩებოდა, ოთახიდან აგდებდა, მასში ვიღაც ტიროდა და გამგმირავი ხმით კიოდა:

– წამიყვანე, ჩემიანებთან წამიყვანე!

მოხუცმა პარიზი ისე დატოვა, ბევრს არც გამომშვიდობებია. დღედაღამ სამშობლოში მიეშურებოდა. მისმა მხედრულმა გამართულობამ, გარეგნობასა და მოძრაობებზეც რომ ეტყობოდა, გერმანელების ყურადღება მიიქცია და მისი შავგვრემანი, ჩამოთლილი პირისახის, ჭაღარა მოკლედ შეკრეჭილი წვერ-ულვაშის შემხედვარე იფიქრეს, ალბათ, ვინმე გენერალი, ან სულაც საფრანგეთის მარშალიაო.

– ეტყობა, მნიშვნელოვანი მისიით პეტერბურგს მიემგზავრება! – ჩურჩულებდნენ გერმანელები. და რადგან მოხუცი მუდმივად ფანჯარაში იყურებოდა, დაასკვნეს გერმანიის რკინიგზას იკვლევს და ორ ფრონტზე ომი არ აგვცდებაო.

გამთენიისას მატარებელი საზღვარს მიუახლოვდა. საბუთების შემოწმებაში რამდენიმე საათი მიილია. მგზავრები ჭამდნენ ან თვლემდნენ. პოლკოვნიკს არც ჭამა შეეძლო და არც ძილი და ვაგზალზე სასეირნოდ გამოვიდა.

ლიანდაგებზე ასე ერთი ვერსი, ან ცოტა მეტი გაიარა. თენდებოდა. აღმოსავლეთის ნათელი ამოისვეტა და მალე შეშისფრად მომწვანო ცა ნაცრისფერი, თეთრი და ღია ვარდისფერი ღრუბლის ქულებით დაიფარა.

ბუფეტის დახუთული ჰაერის მერე ხალასმა ნიავმა გამოაფხიზლა, მაგრამ მოუსვენრობა არ ქრებოდა. პოლკოვნიკს ეჩვენებოდა, რომ როდესაც ღია მინდორში, მშობლიურ მინდორში აღმოჩნდებოდა, სევდა გულში ველარ ჩაეტეოდა, თავისუფლად გაინავარდებდა და გალიიდან გამოშვებული მტრედივით სადღაც გაფრინდებოდა. მაგრამ სხვაგვარად კი მოხდა. სიმშვიდის მაგიერ გაოცებას გრძნობდა. მოგონებებში ასეთი ფართე ჰორიზონტი ვიწრო ეჩვენებოდა. ტყეები არსად ჩანდა. აქა-იქ ქარხნის მხრჩოლავ მილებს ხედავდა. ბაღში ჩაფლული ხატების მაგიერ, დათოვლილ გორაკებზე, შეუხედავი აგურის სახლები ილანდებოდა. ქარი, იმის მაგიერ ახალგაზრდა ვერხვების ფოთლებში ეშრიალა, გაუთავებელ რიგად ჩამწკრივებულ ტელეგრაფის ბოძებს ეხეთქებოდა და მინდორში ჩაკარგული ობოლი ბავშვივით ტიროდა.

არა, ნუთუ ნახევარი საუკუნის წინ ეს ქვეყანა დატოვა!

ვაგზლიდან ზარის ხმა მოისმა. ვაგონში ავიდა თუ არა, მატარებელი დაიძრა.

მთელი გზა მოხუცი მიდამოს ათვალიერებდა და ცდილობდა, სინამდვილე ამდენი ხნის მოგონებებთან შეეჯერებინა. სულ ტყუილად! მისი სულის ფსკერზე სხვა მხარე შემონახულიყო, არა ის, მის თვალწინ, რომ იშლებოდა. გლეხები სუკმანების გარეშე, არც ებრაელებს ეხურათ მელიის ტყავის ქუდები, ხეებშემოძარცული სახლები, უტყეო მიწები! პოლკოვნიკი დარწმუნებით ვერც იმას იტყოდა, ჩიტებმა იგივე ხმები თუ შეინარჩუნეს.

ვარშავაში გვიან ღამე ჩავიდა. და დაბინავდა მეორეხარისხოვან სასტუმროში, ადრინდელ „ფუნდუკს“ რომ მოგაგონებდათ, თუმცა აქაც იმედი გაუცრუვდა, მისი დროინდელი უბრალო ტყავგადაკრული, ან წნული სკამსავარძლების მაგიერ – თანამედროვე ავეჯი, კედლებზე მთელ ქვეყნიერებაში მოარული ქალის ფოტოები, გაფუჭებული ელექტროზარები, დალაქავებულ ფრაკებში გამოწყობილი ლაქიები. არა, ეს ძველი ფუნდუკი კი არა, პატარა მდარე ხარისხის საზღვარგარეთული სასტუმრო იყო.

ღამე როგორღაც გაათენა და დილით პოლკოვნიკი ქალაქში გავიდა. ეტლი დაიქირავა და ოდესღაც ნაცნობი ქუჩების მონახულება მოისურვა. მის თვალწინ საოცარი სახეცვლილება გადაიშალა. მაღალი თეთრ-წითელ

ზოლებიანი ლამპიონები აღარსად ჩანდა,გამქრალი ეზოებისა და ბაღების ადგილას უგემოვნო და უგერგილო უშველებელი სახლები წამოჭიმულიყვნენ; სადაც ადრე იხვებზე ნადირობდნენ, იქაც დიდი ხმაურიანი და რაღაც ახალი, სხვა ქალაქი დახვდა.

პოლკოვნიკმა ვერც ხალხი იცნო – სხვა ჩაცმულობა, სხვა სახეები... ყველაზე მეტად კი იმან გააკვირვა, რომ არსაიდან არ ისმოდა ფრანგული სიტყვა, რომელსაც მისი ყური ნახევარი საუკუნის მანძილზე ასე შეეჩვია.

ქალაქში გასეირნების შემდეგ სულში უფრო მეტი სიცარიელე იგრძნო, ვიდრე უცხოობაში და ხალხთან გასაუბრება გადაწყვიტა. ვარშავაში ნაცნობები ჰყავდა, – ზოგს პარიზში ხვდებოდა, სხვებს – წყლებზე დასვენებისას.

რამდენიმე გვარი ჩამოწერა და სასტუმროს შვეიცარს მათი მისამართების გაგება დაავალა. მეორე დღეს მხოლოდ ერთი შეძლებული ბატონის მისამართი მოუტანეს, რომელიც ათიოდე წლის წინ ვიშიში გაიცნო.

პოლკოვნიკი მაშინვე აღნიშნულ მისამართზე გაემართა და, თავისდა გასაოცრად, მასპინძელი შინ დახვდა, რომელმაც ჯერ ვერ იცნო, მაგრამ როდესაც გაიხსენა – აშკარად შეცბუნდა. სტუმარს მხურვალედ გადაეხვია და გამოკითხვა დაუწყო, პასპორტის აღება როგორ მოახერხეთო. როდესაც პოლკოვნიკის პასუხმა დაამშვიდა, ახლა იმის გარკვევას შეეცადა, პოლკოვნიკი ვარშავაში რამდენ ხანს გაჩერდებოდა.

– აქ დარჩენას ვაპირებ, – თუ, რა თქმა უნდა, ნაცნობობის გაბმა მოვახერხე... – უპასუხა პოლკოვნიკმა.

– ო, ნაცნობების გაჩენა ჩვენთან იოლია. შესაძლოა, თქვენი ძველი ამხანაგიც არის...

– მაინც ვინ? – სულწასულმა შეაწყვეტინა პოლკოვნიკმა.

– საფრანგეთის არმიის ყოფილი ოფიცერია. საბრალო, ჯიბეგახვრეტილი ჩამოვიდა და სამსახური ძლივს იშოვა... ახლა ნანობს, საფრანგეთიდან რომ წამოვიდა. ძნელია, ძალიან ძნელია აქ სამსახურის შოვნა... ათასობით ახალგაზრდა უშედეგოდ ცდილობს...

– სამსახური არ მჭირდება, – შეაწყვეტინა სტუმარმა და უკანასკნელი თვეების მანძილზე პირველად გაიცინა, – ცოტაოდენი დანაზოგი და პოლკოვნიკის პენსია მაქვს.

ეტყობა, ღიმილმა მისი მკაცრი სახე იმდენად შეარბილა, რომ მასპინძელი, მოხუცს საკმაოდ ცივად რომ შეხვდა, მოულოდნელად დატკბა.

ერთი ათჯერ მაინც გადაეხვია სტუმარს, მიმართვითაც პირდაპირ – პოლკოვნიკოო, თან ვიშიში გატარებულ სასიამოვნო წუთებს ახსენებდა, მერე ოჯახის წევრები გააცნო, თავს იკლავდა, როგორც საკუთარ ოჯახში, ისე მოიქეციოთო, ბოლოს კი მეორე დღის საღამოს დაპატიჟა.

– საინტერესო ხალხი შეიკრიბება, – აღტაცებული ამბობდა, – რომლებიც მოხარულები იქნებიან გმირს მიესალმონ...

– გადამდგარ!.. – შეუსწორა პოლკოვნიკმა.

უცნაური მიღების მიუხედავად, პოლკოვნიკი საღამოზე მივიდა. წინკარში მასპინძელი შეეგება. მზად იყო, კალოშების გახდაში მიშველებოდა და დარბაზშიც დიდი პომპეზურობით შეაცილა.

იმ დღეს საცეკვაო საღამო იმართებოდა, ამიტომ რამდენიმე ათეული ადამიანი შეკრებილიყო. პოლკოვნიკმა ყველა ქალბატონი უმალ გაიცნო. ერთი მათგანი უმტკიცებდა იტალიური კამპანია მახსოვსო (პრინციპში უნგრულიც უნდა ხსომებოდა). მეორე გაოცებული იყო, „საოცნებო პარიზი“ როგორ დატოვეთო, ყველაზე ახალგაზრდამ კი მორიდებულად იკითხა: პან პოლკოვნიკი კადრილს მაინც თუ ცეკვავსო, მაგრამ ვინაიდან ჩვენი ვეტერანი სამოცდაათს იყო გადაცილებული და არ ცეკვავდა, მიუხედავად მისდამი პატივისცემისა, დარბაზში მუსიკის ხმა გაისმა თუ არა, სტუმარი უმალ მიაეწყდა. სოლფერონოსა და გრაველოტის ბრძოლების მონაწილე იძულებული შეიქნა გზა ვალსისა და კადრილის ჩემპიონებისთვის დაეთმო. ასე იყო საფრანგეთში, ასე მოხდა მის სამშობლოშიც.

მეზობელ სასტუმრო ოთახს რომ მიაშურა, ბანქოს მოთამაშეები დახვდნენ. გულმხურვალე მასპინძელმა მაშინვე შესთავაზა ვისტის მოთამაშეებს შეეგროვებო და პოლკოვნიკს ორი მრჩეველი და ერთი თავმჯდომარე წარუდგინა. პოლკოვნიკმა მადლობა გადაუხადა და ვისტზე უარი თქვა – იქნებ თავისი მეგობრებისადმი პატივისცემის გამო, რომლებთანაც ბოლო წლებში ლიონში თამაშობდა.

აქაც მალევე მიივიწყეს და ამან გაახარა კიდეც. ახლა თავისუფლად შეეძლო ხალხს დაკვირვებოდა. ირგვლივ მყოფთა საუბარი ესმოდა. ერთ კუთხეში კარნავალზე საუბრობდნენ, მეორეში – ბირჟის კურსზე, მესამეში – ქალებზე, მეოთხეში – პოლიტიკაზე, კერძოდ კი, ამბობდნენ – საბოლოოდ გერმანელების ლუკმა გავხდებითო.

პოლკოვნიკი სწორედ ამ ჯგუფს მიუჯდა, თუმცა ბევრი არ უსაუბრია. ერთი საკითხიდან მეორეზე გადადიოდნენ და საბოლოოდ გაიგო, რომ

რეალური პოლიტიკის მომხრეები ომს უნდა განიხილავდნენ, როგორც სამრეწველო საქმეს და მხოლოდ შარახვეტია ნაპოლეონ მესამეს შეეძლო იდეის გამო სხვისი ინტერესებისათვის ებრძოლა.

ეს ყველაფერი პოლკოვნიკს საფრანგეთშიც არაერთგზის მოუსმენია. და ნეტავ იქიდან რატომ წამოვედიო, საკუთარ თავს ეკითხებოდა.

მეჯლისი შეუმჩნეველად მიატოვა და სასტუმროში დაბრუნდა. ღამე უცნაურ ხილვებსა და ფიქრებში გაატარა. როგორც კი ჩაეძინებოდა, ეჩვენებოდა, რომ ადამიანი კი არა, მისი მეგობრების საფლავზე ჩარჭობილი ჯვარი იყო. გამოიფხიზლებდა და ჩურჩულებდა:

– აქ რისთვის დავბრუნდი?

სულში კი უკვე საფრანგეთი ენატრებოდა.

მეორე დღე კვირა იყო. მოხუცი პოლკოვნიკი გვიან ადგა, აუჩქარებლად იცმევდა და თან გეგმებს აწყობდა, საფრანგეთში როდის დაბრუნებულიყო – დღესვე თუ ხვალ? საკუთარ თავს ეუბნებოდა – „აქ ყველასთვის უცხო ვარ და მეც ყველა მეუცხოვება“.

სასტუმროში მისი ოთახი პირველ სართულზე იყო და როდესაც ათ საათზე ფარდა გადაწია, ღარიბად ჩაცმული კაცი და ბავშვი დაინახა, მის ფანჯარასთან წინ და უკან რომ დადიოდნენ.

იმ დილით ყინვამ ძალიან მოუჭირა, რომ გამთბარიყო ღატაკი ადგილზე ხტოდა და ხელებს მხრებზე იტყაპუნებდა, მერე ბავშვს, უჩვეულოდ გრძელ პიჯაკში გამოწყობილ და ჩალისქუდიან, სიცივისგან გალურჯებულ ხელებს უზელდა. ცხვირმოუხოცავ ბიჭუნას ყურები ჭუჭყიანი ნაჭრით ჰქონდა ახვეული.

ქუჩაში აქეთ-იქით მოსიარულე კაცი ისე ხშირად იხედებოდა პოლ-კოვნიკის ფანჯარაში, რომ უნებურად ყურადღება მიაქცია და გამოსვლისას მიმტანს ჰკითხა, ხომ არ იცი, ვინ არისო.

მიმტანმა ჩაიცინა და უპასუხა:

მეწაღეა, ჩვენს სახლში, სახურავის ქვეშ ცხოვრობს და უნდოდა, მის ბიჭუნას თქვენ ენახეთ, პან პოლკოვნიკო.

– მე ვენახე? საიდან იცის, ვინ ვარ?

– მოახლეებისგან გაიგო.

პოლკოვნიკი ჩაფიქრდა. ამასობაში მეწაღე მისი ფანჯრის წინ მიდი-მოდიოდა და ბიჭუნას გათოშილ თითებს უზელდა.

პოლკოვნიკი სასაუზმოდ ქალაქში წასვლას აპირებდა. ახლა უკვე ნაჩქარევად ჩაიცვა და ცნობისმოყვარეობამოძალებული ეზოში გამოვიდა.

მის დანახვაზე მამაკაცი და ბავშვი სარგადაყლაპულებივით გაქვავდნენ. უფროსმა ქუდი გვერდზე გადაიწია, წარბები შეიჭმუხნა, წელში გაიმართა და მუშტები მოკუმა. ისეთი იერი ჰქონდა, გეგონება სადაცაა პოლკოვნიკს თავს დაესხმებაო, თუმცა თავად ეგონა, გმირს პატივს სწორედ ამგვარად მიაგებენო.

ბიჭუნა კი, იქნებ როგორმე ხელები გამითბესო, გამეტებით სულს უბერავდა. ყურადღება რომ მიექცია, კაცმა ბავშვს კეფაზე მუშტი გაჰკრა, თავად კი პოლკოვნიკს ისე უყურებდა, როგორც მონადირე მგელს, თან დარწმუნებული იყო, რომ სამხედრო ეტიკეტის ყველა წესს იცავდა.

მოხუცი პოლკოვნიკი ადგილიდან არ დაძრულა. საბრალოსთვის რაღაცის თქმა უნდოდა, მაგრამ სიტყვებს ვერ პოულობდა. თან ეზოში ხალხი ირეოდა... ორივემ – პოლკოვნიკმა და მეწაღემ ერთმანეთს თვალებში ჩახედეს და პოლკოვნიკი ნელი ნაბიჯით ქუჩაში გავიდა.

მეწაღე შვილს მაშინღა მიუბრუნდა:

– ვოიტუს!

– რა?

– გამოხვალ ასეთი, ყალთაბანდი?

– გამოვალ, რატომაც არა? უჰუ! – სრუტუნით უპასუხა ბიჭმა.

– დაიმახსოვრე! არ გამოხვალ და, რომ გაიზრდები, ცხვირპირს ამოგინაყავ!

საუზმეზე პოლკოვნიკს ბევრი არ უჭამია. ცოტა გაისეირნა და მალე ბინაც დაიქირავა.

უგერგილო ახალი სახლები და შეცვლილი ხალხი აღარ აღიზიანებდა. როდესაც ქუჩაში სეირნობისას ვისლა დაინახა, მის თვალწინ ისევ ის ფართე ჰორიზონტი გადაიშალა, ისევ იმ ტყეებს ხედავდა და ორმოცდაათი წლის მონატრებული სამშობლოს ჰაერს სუნთქავდა.

„აქ დავრჩები!“ – თავისთვის ჩაილაპარაკა.

თარგმნა თამაზ ჩიქვანაიამ

ავგუსტ სტრინდბერგი

22.01.1849 – 14.05.1912

დიდი შვედი მწერალი, დრამატურგი, პუბლიცისტი; 1867 წელს უპსალის უნივერსიტეტში სწავლობდა ფილოლოგიას, ფილოსოფიას, ქიმიას; ერთი წლის შემდეგ, მ. მასთან განხეთქილების გამო, მიატოვა უნივერსიტეტი; გატაცებული იყო მედიცინით, სცენით, ფერწერითა და სკულპტურით; იყო მასწავლებელი, კერძო რეპეტიტორი, ჟურნალისტი. 1874-82 წლებში, სამეფო საჯარო ბიბლიოთეკაში მუშაობისას, სერიოზულად მოჰკიდა ხელი ისტორიის, ლიტერატურის შესწავლას, გაუღრმავდა თეატრისადმი ინტერესი. მოდერნიზმით, სიმბოლიზმითა და ექსპრესიონიზმით გაცებული მწერალი ყოველთვის რჩებოდა დიდ შემოქმედად, რომლის გაელენა, როგორც ნაციონალურ, ისე მსოფლიო ლიტერატურაზე აშკარა იყო. სტრინდბერგის შემოქმედება მდიდარი და მრავალფეროვანია: სოციალურ და ეთიკურ პრობლემებს ეხმაურება იგი პიესებში: „თავისუფლად მოაზროვნე" (1870), „ჰერმიონე" (1871), „განკიცხული" (1876); რუსოისტულ იდეებს ქადაგებდა პირობით-ისტორიულ პიესებში: „ზნაურ ბენგტის ცოლი" (1882), „იღბლიანი პერის ხეტიალი" (1882); შვედურ ლიტერატურაში ახალი რეალისტური მიმართულების თავისებური მანიფესტი იყო სტრინდბერგის ისტორიული დრამა „მესტერ ულუფი" (პროზაული რედაქცია 1872, სასცენო – 1874, პოეტური – 1877); მასვე ეკუთვნის ნოველების კრებული „ფიერდინგენი და სვერტბეკენი" (1877), ეთნოგრაფიული წიგნი „შვედი ხალხი" (1882): რომანები „წითელი ოთახი" (1879), „კუნძულ ჰემსეს მკვიდრნი" (1887), ავტობიოგრაფიული წიგნები: „მოახლის ვაჟიშვილი" (1886-87), „ჯოჯოხეთი" (1897), „ლეგენდები" (1898), „მარტოხელა" (1903) და სხვ. 80-იანი წლების მეორე ნახევარში დაწერილ პიესებს ხშირად უწოდებენ „ნატურალისტურს", მაგრამ მათგან საუკეთესონი – „მამა" (1887) და „ფრეკენ იულია" (1888), აგრეთვე „ამხანაგები" (1888) და „კრედიტორები" (1889) – უფრო სწორი იქნება სოციალურ-ფსიქოლოგიური დრამების რიცხვს მივაკუთვნოთ. აღსანიშნავია, აგრეთვე, მისი დრამები: „ფოლკუნგების საგა"(1899), „გუსტავ ვასა" (1899), „ვიტენბერგის ბულბული" (1903) და სხვ. მრავალი რომანის, მოთხრობისა და პიესის, პუბლიცისტური და ესთეტიკური შრომების ავტორი ავგუსტ სტრინდბერგი სამართლიანად ითვლება სკანდინავიური ლიტერატურის ერთ-ერთ უდიდეს წარმომადგენლად.

საპატიო ყარაული



– ტყლუპ! თითქოს ტალახში ქვა ჩავარდაო და დიადი ცხოვრებაც დასრულდა, მეთორმეტე კარლოსი გარდაიცვალა! ღმერთო გვიშველე და შეგვიწყალე.

ლეიტენანტი კარლბერგი ალბათ მეათედ უყვებოდა, მომხდარ უბედურებას კარის ექიმ ნოიმანს ტისტედალენის გლეხურ ქოხში, სადაც მეფის ორი ერთგული მსახური საპატიო ყარაულში იდგა.

– გენერალი მეგრე კი ამბობს: „La piece est finie. Alons souper"[1], – წაიბუტბუტა კარის ექიმმა, – სწორედაც რომ alons souper! ახლა ვნახოთ, მუსიკის ფულს ვინ გადაიხდის. გუშინ სამხედრო სალაროში ჰერცისგან შემოსული ასი ათასი ვერცხლის ტალერი მემკვიდრე პრინცმა მაღალი ჩინის ოფიცრებს დაურიგა. ყველაფერი მათზეა დამოკიდებული, ისინიც დროს უქმად არ დაკარგავენ!

კარის ექიმს ცხენის ფლოქვების თქარუნი შემოესმა, სანთელი აიღო და, გეგონება ვიღაცას ეგებებაო, წინკარში გავიდა. გარეთ ყიამეთი სიბნელე იდგა: თოვლი გაყინულ მიწას დაედებოდა თუ არა, მაშინვე შავდებოდა. თუმცა მოშორებით ფიჭვნარს გადაღმა ცისკიდური თითქოს ჩრდილოეთის ნათებას გაეცისკროვნებინა. მოზეიმე მტერი ფრედრიკსტენის გორაკებზე კოცონებს აბრიალებდა.

[1] სპექტაკლი დამთავრებულია. ეახშმის დროა. – (ფრანგ.)

თქარუნის ხმა მოახლოედა და ცხენის ფლოქვების მყისიერი გაკრთომის ფონზე მალემსრბოლის ყვითელი, დომბის ტყავის ქურთუკმა გაიელვა. მათრახმა პისტოლეტივით გაიტკაცუნა.

– ტახტის მემკვიდრისგან სტოკჰოლმში! კარის ექიმმა წინკარში მის უკან მდგომ ლეიტენანტს გადაულაპარაკა.

ისევ ათქარუნდა ცხენის ფლოქვები, დაშნამ გაიუღარუნა, ცისფერ, ყვითელლილებიან შინელზე, მყისიერად გაიელვა ტყავის ჩანთამ და მალევე გაუჩინარდა.

– ნიძლავს დავდებ გოლშტეინელია – უდევალში მიეჩქარება! მალე კიდევ ვიღაც მიყვება, ნაღდია! აი, ისიც! თანაც ერთი არა!

სამმა იალქანივით მოფრიალე შავმა წამოსასხამმა ჩაიქროლა, ზედაც სამჯერ ორი მცველის დაშნა მიჰყვა.

– სიკვდილის ჰუსარები, ნოიმანი არ ვიყო, თუ სტრიომსტადში ჰერცთან არ მიიჩქაროდნენ. ვიღაც უნდა მოკვდეს ხალხისთვის, ეს საკმარისი არ არის – მასზე ხელის აწევა ვერ გაბედეს, მიცვალებულსაც კი უფრთხიან. განა, ეს სამართალია? ჰოო, ბევრს მოვესწარით, და უფრო მეტს ვნახავთ. აი, ასეთი დროება დაგვიდგა, ლეიტენანტო კარლბერგ, ასეთი დროება...

– ყოველთვის რაღაც დროება დგება, ბატონო კარის ექიმო და სიცოცხლეში რამდენიც უნდა ლანძღონ, მიცვალებულის გაცოცხლებას ყოველთვის ცდილობენ, მაგრამ ამჯერად როგორღაც...

– რაშია საქმე! – ხმას აუწია კარის ექიმმა, მაგრამ თითქოს გადაიფიქრაო და მიჩუმდა.

ხელით სანთლის ალს მიუჩრდილა და ოთახში დაბრუნდა. უკან მოსალოდნელი კამათისთვის შემზადებული ლეიტენანტი კარლბერგი მოჰყვა.

თუმცა, სადაც ყარაულობა უწევდათ, იმ ოთახში დარჩენის მაგიერ, კარის ექიმმა ნოიმანმა მომდევნო ოთახის კარი გამოაღო და თითქოს მძინარის გაღვიძებას ერიდებიანო, კარის რიდეს ფეხის წვერებზე გადააბიჯეს. ოთხი ჩამოღვენთილი სასანთლე ოთახს სანახევროდაც ვერ ანათებდა. ჭვარტლის კვამლში კედლებზე ჩამოკიდებული უხეირო გრავიურები მოჩანდა: ენერგიული, შთაგონებული პეტრე პირველი და გვერდით თვალებდაჭყეტილი, მგრძნობიარე ნიკაპიანი მეფე ავგუსტის დაბიჟვინებული სახე. მათ ქვემოთ მერხზე უნტერ-ოფიცრის გრძელი დაშნა იდო.

კარის ექიმმა ნამწვი მოაცილა; ლურჯ ლაბადაგადაფარებული საკაციდან კავალერისტის მოღრეცილი ჩექმები მოჩანდა, რომლის ძირებსაც ახლადჩამოფხეკილი თიხის კვალი ისევ ეტყობოდა.

განათებას თვალი რომ შეაჩვიეს, სველი ლაბადის ქვეშ მოკლეფეხება, თეძოგანიერი ადამიანის ფიგურა გამოიკვეთა, დახრილი მხრებითა და დიდი ცხვირით. ლაბადა ისე ეხურა, რომ ძნელად თუ მიხვდებოდი, უჩვეულოდ მაღალი შუბლი სად მთავრდებოდა.

ოთახში გამეფებული ნიშადურის, შედედებული სისხლისა და ნესტიანი ტყავის აშმორებული სუნი ყველაფერი ამქვეყნიურის ხრწნადობასა და დღემოკლეობას გახსენებდა და გაღვივებული ვნებები უმალ მიანელა.

კარის ექიმმა მერხზე ჩამოჯდომა დააპირა, მაგრამ მონარქის დაშნის დანახვაზე თითქოს გაახსენდა, რომ მეფეთა თანდასწრებით არ სხედან. გაუბედავად გაჩერდა, გეგონება განკარგულებას, ან გასვლის ნებართვას ელოდებაო. თვალებით მუქ ლაბადაგადაფარებულ სხეულს მიჩერებოდა.

— უფალო, იესო, გაინძრა! — ქირურგის ზურგსუკან ლეიტენანტის მოგუდული ხმა გაისმა.

იმავე წამს კარლბერგი დაიხარა და უჩვეულო მოვლენას თვალებდაჭყეტილი უყურებდა: გეგონებოდა მიცვალებული იზმორებაო. სინამდვილეში საბოლოო გაფშეკამდე მყესები და სახსრები მოდუნდა.

— სახსრები მოეშვა, სულ ეგ არის — აუხსნა კარის ექიმმა — ეტყობა დილისკენ ყინვა მოუჭერს... მკვდარია; წყალი არ გაუვა! და არა მგონია... — ცოტა შეკრთა — არა მგონია, სიკვდილის შემდეგ სიარული შეძლოს. ერთხელ მეტად წინასწარმეტყველება არ ახდენია.

— იქნებ მაინც შეგემოწმებინათ! — შეეხვეწა ლეიტენანტი, მის ხმაში შიში იგრძნობოდა, ვაითუ მიცვალებული საკაციდან ადგესო — მართალია, იმ საბედისწერო გასროლისას მეც სანგარში ვიყავი და ორივემ დავინახეთ, ტყვია სადაც მოხვდა, მაგრამ ხომ ხდება, რომ...

— ო, არა, ჩემო ბატონო, არასოდეს არ მინახავს საფეთქელში ტყვიამოხვედრილი ადამიანი ცოცხალი გადარჩენილიყოს! — დააბოლოვა ქირურგმა, მაგრამ ოთახიდან მაინც გამოვიდა.

— ჩვეულებრივი ადამიანი არ იყო, რაც მართალია, მართალია — უკვე საწოლში ჩაწოლილმა, რულთან მებრძოლმა გააგრძელა საუბარი — ჭეშმარიტად, ეტყობა სულიერი თვისებები, სათნოება და ნაკლოვანება მატერიის სუბსტრატების მეშვეობით თავისუფლად გადაეცემა. ძველი ეგვიპტელები ამას მეტაფსიქოზს, ანუ, სულის გარდასახვას ეძახდნენ. ხანდახან მემკვი-

დრეობით მიდრეკილებებზე ვსაუბრობთ... თუმცა ბუნებისთვის დამახასიათებელი Lex contradictionis ანუ წინააღმდეგობის კანონით უარყოფით თვისებებს დადებითი რამდენად ხშირად ჩაენაცვლება... განა მისი პაპა კარლოს მეათე ლოთი, მექალთანე და ჩხუბისთავი არ იყო?! მაგრამ კარლოს მეათემ ქვეყნად სასმელისა და ქალების მოძულე კარლოს მეთერთმეტე მოავლინა... აი, წინააღმდეგობაც, თუმცა ჩხუბისთავობაც გამოყვა, მაგრამ სახელმწიფოს უდიდესი ეკონომისტი ამავდროულად საოცრად ძუნწი იყო. შემდეგ: – კარლოს მეთერთმეტემ შვა კარლოს მეთორმეტე. ბუნებამ ქალთმოძულეობა და სასმელისადმი ზიზღი შეუნარჩუნა, მაგრამ ერთი თაობით უკან გადაიხედა და პაპის დარი ჩხუბისთავი გააცოცხლა, ამავე დროს, სიძუნწე ჩაკლა და ახალ უკიდურესობაში გადავარდა – ჩამოყალიბებული მფლანგველი შექმნა... აი, ვინ აპნია ფულები... უფალო იესო, ტიმურტაშში... მდა-ა! „ეს რა ჯანდაბაო, – წამოიძახა ბუნებამ, – ვაუკაცი შექმნა და ახლა ისე მოიღვენთა, როგორც Beischlaf[1]-ის შემდეგ იცის ხოლმე, მუშაობის ყველანაირი სურვილი გაქრა“. არისტოტელე იტყოდა – ბუნება სრულყოფილებას ვერაფერში აღწევსო. სამი თაობა დასჭირდა, რომ რაღაც დიდი მოეზილა, იმდენად დიდი, რომ ცომი არ ეყო. ჭეშმარიტად არ ეყო, რადგან, თუ ჩავუფიქრდებით, ამ ბუმბერაზსაც ჰქონდა სუსტი წერტილი პირდაპირ nodus vitalis – ანუ სიცოცხლის წნულში, ისევე როგორც დიდ პაპას – ფრედერიკ მესამე დანიელს. ნათესაურ მსგავსებას დააკვირდით! მკაცრი ბატონი იყო, ეშმაკი და ცრუმორწმუნე, ერთდროულად ძლიერი და სუსტი, ბრძენი და ახლომხედველი. ახლა ჩვენს გმირს შეხედეთ: ხალხის თვალწინ ლომივით მამაცი, მაგრამ აი, უბედურება, დაღამდება და მარტო ვერ იძინებს! ეძებს, ვინ მოუალერსებს, მაგრამ ვერ მოგართვეს, ბოლოსდაბოლოს თუნდაც მოხუც პიტერს მიუწვებოდა გვერდში, მერე ლოცვების კითხვა... წარმოიდგინეთ, გარშემო მყოფთ, როგორც მოისურვებდა, ისე განკარგავდა, საკუთარ თავს კი ვერაფერი მოუხერხა. აბა, ძალა ჰქვია, ბალტიისპირეთში რუსები რომ აბატონა და თვითონ საკუთარი თავიცა და ჩვენც პოლონეთში კინაღამ დაგვღუპა? არა, ეს იყო tetanus, ანუ კრუნჩხვები... ან თურქეთი გაიხსენეთ. რას მივეთრეოდით?.. სისუსტე, ჩემო ბატონო, სისუსტე! სტოკჰოლმში დაბრუნება რომ ვერ გაბედა? სიმხდალე, ნამდვილი სიმხდალე, სწორედ ამან დაღუპა. ან კიდევ, ყველაფერი ჰერცს

[1] სასიყვარულო სიამოვნება. – (გერმ.)

რომ აჰკიდა. ეგ რაღა იყო?... იმ საცოდავს კარგი დღე არ დაადგება, ყველაფერს მაგას მოჰკითხავენ! დიახ, სისუსტე, და თან გვარიანიც.

— და მაინც, გმირი იყო, ეშმაკმა დალახვროს! — მეტი რომ ვეღარ მოითმინა, წამოიყვირა ლეიტენანტმა.

— გმირი — ბრძოლის ველზე! Ganz zecht[1], ლეიტენანტო კარლბერგ. მგონი უფრო გენერალი იყო, ვიდრე ჯარისკაცი — ამაში ვერ ვერკვევი. მისი ღირსებები კარგად მოგვეხსენებოდა. აი, სისუსტეებზე კი დღემდე თვალს ვხუჭავდით. ჰოდა, სანამ არავის ესმის, ამაზე ვილაპარაკოთ, რადგან, მართალია, გვამებს ვკვეთ, მათთვის ხოტბის შესხმას არ ვაპირებ. იმას ვამბობდი, მასში რაღაც სისუსტეა-მეთქი. როდესაც მოდგმა გადაშენების პირასაა, ნაკლი მაშინვე თავს იჩენს. განა, საქვეყნოდ ცნობილი არ იყო, რომ მამამისს კანონიერი მეუღლე ეზიზღებოდა! ჰოდა, შთამომავლობასაც დაეტყო. მამის მთელი პოტენციალი ჩვენს მეფეს მოხმარდა. მართალია, და მისი — ჰედვიგ სოფია გათხოვდა, მაგრამ ქვეყანას მახინჯად მოეელინა, დიახ, დიახ, აღნაგობით ნაკლული იყო, მცირედით, მაგრამ იყო. შეიძლება თქვენ ეს არ მოგეხსენებათ, მაგრამ ცერა თითები გაორებული ჰქონდა. ვაჟიც უდღეური და ენაბლუ გაუჩნდა, იმასაც ამბობდნენ, მუნჯიაო. ახლა ჩვენი უსათნოესი ქალბატონი ულრიკა ელეონორა ავიღოთ. Unter uns[2], გამორჩეული გვამებისთვის დამახასიათებელი სულიერების ნატამალიც არ გააჩნია...

— დიდებული ნათქვამია!

— ერთი სიტყვით, ყველაფერ ამას თუ მივუმატებთ, რომ ჩვენი კეთილისმყოფელი ბატონი და მეფე სულაც არ ცდილა ქვეყნისთვის ტახტის მემკვიდრე დაეტოვებინა, გამოდის, რომ რაღაც იდუმალმა ძალამ ყველა ღონე იხმარა, რათა ამ მოდგმის აღსასრული დამდგარიყო. ბუნებამ თავისი საქმე გააკეთა და დაიღალა. მობეზრდა ეს კარლოსები... და კარლოსებიც აღარ არიან! არა, ჩვენი კეთილისმყოფელი პატრონისა და მეფის შემხედვარე ვერ იტყვი, რომ ბუნებამ რაღაც შედეური შექმნა! წონადი, მაგრამ მოუხეშავი! არავითარი სინატიფე. წარმოიდგინეთ, რომ ხელი, რომელიც ასე მოხერხებულად ხმარობდა დაშნას, სიფრიფანა ქაღალდზე მსუბუქ კალამს ვერ ატარებდა... აი, ეს ნამდვილად არ გამოსდიოდა, კალამი ისე ვაგლახად ჯღაბნიდა, გეგონება, თეთრი ფურცლის დანახვაზე ხელმწიფე სადაცაა

---

[1] გეთანხმებით. — (გერმ.)

[2] ჩვენში დარჩეს. — (გერმ.)

შეღონდებაო. თავადაც ჩიოდა, წერისგან თავბრუ მეხვევაო. განა მარტო ხელშია საქმე? აზრები? თითქოს მწყობრი ნაბიჯით ლარიევით მწკრივებად უნდა ჩამოლაგებულიყვნენ, ისინი კი ერთმანეთს ფეხს უდებდნენ და ქუსლებზე აბიჯებდნენ. ერთხელ დასთან გასაგზავნი წერილი წავიკითხე, — მთხოვა, შემისწორეო. სიტყვები გაუგებარ გროვად იყო დახვავებული, გეგონება, ტვინიდან პირდაპირ გადმოყარა... როგორც მოხვდა, ყოველგვარი წესისა და რიგის გარეშე. აი, სინატიფეზე ხომ ლაპარაკიც ზედმეტია! თუნდაც სუფთა წინდებისადმი ზიზღი ავიღოთ... თფუ! ღორი ღორობას ვერ მოიშლის, ჩვენ მაინც ხომ ვიცით, და კმარა ამაზე საუბარი.

— ეშმაკმა დალახვროს, როგორ დაწერილმანდით, კარის ექიმო! ამას კი თქვენგან არ მოველოდი, — გააწყვეტინა ლეიტენანტმა და თავის დაგლეჯილ ჩექმებს დახედა — გაორებული თითებიო, ჭუჭყიანი წინდებიო — ეგ რა შუაშია?!

— Tzes bien[1], ლეიტენანტო კარლბერგ, პრინციპში თქვენ არ მოგმართავდით, რადგან მოსაუბრის დონეზე დაშვების ჩემეულ, შესაშურ თვისებას თუ გავითვალისწინებთ, სხვაგვარად ვიტყოდი... თუ მოისურვებთ, გამოწვევას მივიღებ, ოღონდ ხვალ და არა ამ ღამით! გაუმართლებელი ეჭვით გაგანაწყენეთ. ვიფიქრე, ის ადამიანია, ვისაც ცხოვრებისეული წვრილმანების სილამაზისა და მიმზიდველობის შეფასება შეუძლია-მეთქი. რულმორეულმა გადავწყვიტე, რომ წვრილმანები მხოლოდ იმ ტილოს ვნებენ, რომელიც ნათელ ფერებსაა მოკლებული (ვერ გაიგო, ვერაფერიც ვერ გაიგო! — თავისთვის ჩაიჩურჩულა კარის ექიმმა). თუ გნებავთ, ჩვენი გმირის ძირეულ ნაკლოვანებებზე მოგახსენებთ, რადგან დღეს ღამით უნდა ვილაპარაკო, ყველაფერი უნდა ვთქვა, უნდა განვაგდო სული, ამდენი წელი რომ მტანჯავდა. ვთქვა ის, რაზეც დიდხანს, ძალიან დიდხანს მხოლოდ გულში ვფიქრობდი, რადგან ხმამაღლა ვერ ვბედავდი. განვაგდო სული, რომელმაც, იმიტომ რომ მასზე საუბარს ვერ ვბედავდით, ვერც შეიცნო, სინამდვილეში როგორია... და თუ ამის მერეც ხვალ ჩემთან ბრძოლას მოინდომებთ — თქვენს განკარგულებაში მიგულეთ! ვიყავი პოლტავაში; მრავალ კამპანიაში მივიღე მონაწილეობა, სანამ თქვენ ამ ქვეყანას მოევლინებოდით. არც ერთი წუთით, ათას შვიდას სამი წლიდან, როცა მეფის სამსახურში მოვედი, სული ჩემი მე არ მეკუთვნოდა, დიახ, იგი, ისევე როგორც ჩემი ცოდნა, ჩემი პური, ჩემი ცხოვრება — ხელმწიფის საკუთრება იყო. აი, რატომ მაქვს

[1] კარგი. — (ფრანგ.)

ისეთი შეგრძნება, თითქოს ჯურღმულიდან გამოვედი, ისევ ესუნთქავ, ისევ ვიპოვე ძველი მეგობარი, საკუთარი მე, რომელიც ხავსის, თოვლის, ქვების უკან იყო მიმალული. მე მიყვარდა ეს ადამიანი, როგორც მწევარს უყვარს პატრონი, რომელმაც ლუკმა და თავშესაფარი მისცა და ვერ ვიტანდი, როგორც მწევარი თავის პატრონს, რომელსაც თავისი ნება და თავისუფლება დაუმორჩილა. მაშ, მოისმინეთ ჩემი აზრები დიად ადამიანზე... ჩვენ ხვალ ვიბრძოლებთ, ლეიტენანტო კარლბერგ და არამც და არამც ამ ღამით! გამაგრდით, რა დაგემართათ, ეს უბრალოდ ვირთხები დახტიან საკუჭნაოში!

— საქმე ისაა, რომ — დაიწყო კარის ექიმმა თავისი ენებიანი მონოლოგი — ზოგი დიდი ადამიანი სანთელივითაა: მაღალ მაგიდაზე თუ დადგამ, მის ალს ყველა დაინახავს, მაგიდის ქვეშ თუ შეინახავ, წინანდებურადაც რომ იწვოდეს, შუქი გაქრება. სხვა სიტყვებით რომ გითხრათ: ტახტზე ვირი რომ დასვათ, რა თქმა უნდა, თავისი მოდგმის ყველაზე უღირსი წარმომადგენელი თუ არ არის — გამორჩეულ პიროვნებად იქცევა. Bien! იშვიათად თუ შეხვდებით განსვენებულ მეფისდარ უმეცარს. სახელმწიფო მმართველობასა და საზოგადოებრივ მოწყობაზე ბუნდოვანი წარმოდგენა ჰქონდა, და, საერთოდ, არანაირი თავის ეპოქასა და იმ იდუმალ ძლევამოსილ ძალებზე, ისტორიას რომ ქმნიან. მთელი მისი ცხოვრება შეცდომებისა და უაზრობების ჯაჭვი იყო.

— ეშმაკმა დალახვროს, კარის ექიმო ნოიმან, ჩვენ ხვალ ვიბრძოლებთ! — შეაწყვეტინა ლეიტენანტმა. — ახლა კი განაგრძეთ, მიწა გამისკდეს, ძალიან სასეიროდ ყვებით.

— როგორც ყველაფრის ამქვეყნად, ამის მიზეზების მოძებნაც შეიძლება და თუ მათ ჩამოთვლას დავიწყებ. უნებურად მის გამართლებას შეეეცდები! მე გერმანელი ვარ, გერმანელი იყო ჩვენი ხელმწიფეც, რადგან განეკუთვნება პფალცსის დინასტიას, რომელიც შვედური არასოდეს არ ყოფილა. ერთი მისი ბებია — ჰედვიგა ელეონორა გოლშტეინ-ჰოტორპელია, მეორე — სოფია ამალია ბრაუნშვეიგ-ლუნებურგელი, დედა — ულრიკა ელეონორა, ზემოთ ნახსენები სოფიასა და ოლდენბურგელი ფრედერიკ მესამის ქალიშვილი იყო.

— ჯანდაბა და დოზანა! როგორ — კარლოს მეთორმეტე გერმანელი იყო?

— ეგ ისეთივე სიმართლეა, როგორც ის, რომ მოდგმის დამაარსებელი იოჰან კაზიმირის ცოლი კარლოს მეცხრის ქალიშვილი მარია პფალცელი გახლდათ. რა თქმა უნდა, ლეიტენანტო კარლბერგ,ტყუილად არ უთქვამთ

თესლისთვის მეზობელს უნდა მიაკითხოო, მაგრამ ოლდენბურგები და პფალცები დიდგვაროვნობით ვერ დაიკვეხნიდნენ. ამასთან, ხდება ხოლმე თესლი შორიდან მოგაქვს, მაგრამ მოსავალს სარეველა გადაჭამს, რადგან ამ სიშორიდან მოტანილი თესლი ძალას კარგავს. გუსტავ პირველმა კატარინა საქსენ-ლაუენბურგელით დაიწყო და ქვეყანას მოსულელო ერიკი მოეელინა, მერე, როცა თავისი მოდგმის პატივსაცემად, ლეიონ-ჰუვუდებს დაუმოყვრდა, გვარი ათი გოგო-ბიჭით გამდიდრდა და არც სამოქალაქო ომები გახსენებიათ და არც ნათელ-მირონი. მოდით, ჩვენს გმირს სიმართლეს ნუ დავუკარგავთ: მის ქცევებში შვედურიც ბლომად ერია. იქნებ ლეიტენანტმა არც იცის, შვედები სხვათაგან რითი განსხვავდებიან, მაშინ მისმინეთ. როდესაც პირველყოფილი ტომები საუკეთესო მიწების ძიებისას ამქვეყნად მომთაბარეობდნენ და ზღვის ნაპირის გამო დიდი დაკა-დაკა ატყდა – საუკეთესო მიწებს ეგულისხმობ – სუსტები ჩრდილოეთისკენ განდევნეს, გემრიელი ლუკმა კი გამორჩეულებს შეხვდათ. ერთი სიტყვით, რაც უფრო ჩრდილოეთით მივდივართ, მით უფრო უგვანი ხალხი გვხვდება. დედამიწის სითბოს ერთადერთი წყარო მზეა, ევროპელების განვითარებასაც ადამიანთა ერთად თავმოყრა განაპირობებდა: ელადა, მერე რომი, მერე პარიზი. ვინაიდან სითბო მანძილის კვადრატის უკუპროპორციულად ვრცელდება, ამიტომაც იგი, მატერიალური იქნება თუ სულიერი, პოლარულ მხარეებს სულ ბოლოს და გვარიანად შეთხელებული უწევს. ამის ბრალია, რომ ჩრდილოეთში ბარბაროსთა ტომები გვიანობამდე არსებობდნენ. როდესაც სამხრეთში აყვავებული სახელმწიფოები შეიქმნა, ნორმანები და ვიკინგები თავიანთი ბუნაგებიდან გამოძვრენ და ველურებივით ხელი ძარცვას მიყვეს. მათ ხან გოთებს ეძახდნენ, ხან ლანგობარდებს, ხან სვევებს, ხან ოცდაათწლიანი ომის ჯარისკაცებს, ბოლო დროს კი – კარლოს მეთორმეტის მეომრებს. ამიტომაც, კარლოს მეთორმეტე მეფეთა შორის ყველაზე მეტად იყო შვედი.

ყველა ეულ, განკიცხულ და დამცირებულ ადამიანს, საკუთარ თავზე გადაჭარბებული წარმოდგენა რაიმე როლის თამაშის მოთხოვნილებასთან უიგივდება. ასე ემართება ნებისმიერ დამოკიდებულ პიროვნებას. იცის ლეიტენანტმა, კარლოს მეთორმეტემ თავისთვის რა როლი აირჩია? არა? შეხედეთ წიგნს, რომელიც ახლახანს მის უკანა ჯიბეში აღმოვაჩინე. კურციუსი, „De rebus gestis Alexandri Magni“, ანუ „ალექსანდრე დიდის გმირობათა ისტორია“. უნიჭო ისტორიკოსმა დაწერა ალექსანდრეზე ისევე, როგორც, ალბათ, მრავალი საუკუნის მანძილზე კარლოს მეთორმეტეზეც

დაწერენ. სწორედ ამაზე ოცნებობდა ჩვენი გმირი, რომ ევროპის წინაშე თოთხმეტი ასწლეულის წინანდელი სახით წარმდგარიყო. გნებავთ, რამდენიმე პარალელს შემოგთავაზებთ, შეიძლება ყველა ერთნაირად დამაჯერებელი არ იყოს... როდესაც ალექსანდრე დაიბადა, ეფესის ტაძარი დაიწვა. კარლოს მეთორმეტის სრულწლოვანების აღნიშვნისას სტოკჰოლმის სასახლე ცეცხლის ალში იყო გახვეული. კარლოს მეთორმეტის მსგავსად ალექსანდრემაც ადრეულ ასაკში გამოამჟღავნა სიამაყე და პატივმოყვარეობა. ოლიმპიურ თამაშებში მონაწილეობა არ მიიღო, რადგან მოწინააღმდეგეთა შორის მეფეები არ იყვნენ; უშურველად აბნევდა ქონებას, უხვად აჯილდოებდა მეგობრებს; როდესაც ვერ გახსნა, გორდიას კვანძი – გაჭრა; დაიპყრო ბევრი ქვეყანა, თუმცა მათი მართვა არ შეეძლო. მუდმივი ეკალი თვალში – სპარსელები ერთისთვის და რუსები მეორისთვის. ამავე დროს, დარიოსს შეგვიძლია არა მარტო პეტრე ვუწოდოთ, არამედ ავგუსტიც. სამაგიეროდ, ცხენ ბრანდკლიპარს ბერძნულად ბუცეფალი ერქვა, თურქები თავისუფლად შეიძლება სპარსები ყოფილიყვნენ, რომელთაც ალექსანდრე, საჭიროების შემთხვევაში, მოკავშირეებად იყენებდა; ბესს დავარქვათ მაზეპა,ბაბილონს ან დრეზდენი ან მოსკოვი; მდინარე გიპასის – პოლტავა; ორივე გმირი ოცდაათს გადაშორებული დაიღუპა, ერთი ოცდაცამეტის იყო, მეორე ოცდათხუთმეტის, ასე შემდეგ და ასე შემდეგ.

ამ გმირთა შორის, მაკედონელის აღვირახსნილობის გარდა, სხვა განსხვავებაც არის. კერძოდ: ალექსანდრე არისტოტელეს მოწაფე იყო და ბარბაროსებში განათლებას თესავდა, მაშინ, როცა ჩვენი უწვერულვაშო ლანგობარდი ჩვეულებრივ მძარცველურ ლაშქრობებს აწყობდა და, ბოლოსდაბოლოს, თავისი დროშის ქვეშ ძაღლი თურქების მოწვევას არ მოერიდა და ისევ შემოათესლა ევროპაში ეს ნაგავი, რომელიც იქიდან ერთხელ დიდი წვალებით გამოდევნეს.

საქმე ისაა, ლეიტენანტო კარლბერგ, რომ როდესაც ევროპაში მიწის დამუშავება დაიწყეს, დასახლებები საწყალოსნო მიმოსვლაზე გათვლით, ძირითადად, შიდა ზღვის ნაპირებზე განლაგდა, რადგან სახმელეთო გზები არ არსებობდა. ამიტომაც განათლება ხმელთაშუა ზღვის აუზში ჩაისახა და მისი ნაპირების გასწვრივ გავრცელდა – ესპანეთსა და საფრანგეთში, მაშინ, როცა გერმანია უსიერი ტყეებით იყო დაფარული. შვეცია და დანია ქიშპობდნენ, რომელს გადაექცია ბალტიის ზღვა ჩრდილოეთის ხმელთაშუა ზღვად. და ამიტომაც სანაპირო ზოლზე ბატონობისთვის მუდმივად ერთმანეთს ებრძოდნენ. კარლოს მეთერთმეტის სიკვდილისას

შვეციას სამი ზღვა ესაზღვრებოდა და შეეძლო კმაყოფილი ყოფილიყო. არც ერთი ქვეყანა, მომავალში კარლოს მეთორმეტის მტრად რომ იქცა, შვეციის ბუნებრივ საზღვრებს არ ემუქრებოდა. დანია გოლშტეინ-გოტარპის შემოერთებას ცდილობდა, რომელიც შვეციის დაინტერესების სფეროს არ წარმოადგენდა. გაიხსენეთ, ლეიტენანტო, მაშინ კარლოს მეთორმეტემ დანიელთა ძლევა ინგლისელების, ჰოლანდიელებისა და ჰანოვერელების დახმარებით შეძლო — ვერაფერი შვილი დიდებაა. საქსონია რიგის დაპყრობას ლამობდა, რომ ზღვაზე გასასვლელი მოეპოვებინა. ნამდვილად სამართლიანი სურვილი იყო, ისევე როგორც მეფე პეტრეს მიერ ინგერმანლანდიის დაკავება. მაგრამ კარლოს მეთორმეტეს დაავიწყდა, უფრო სწორად გაუნათლებლობის გამო არც არასოდეს ესმოდა, რომ აღმოსავლელი ურდოებისგან პოლონეთის საზღვრების დაცვა სულაც არ იყო საჭირო, რადგან ეს მისია, მიხეილისა და ალექსეის რუდუნებით, ცივილიზებულ სამყაროში ჩაწერილმა რუსეთმა ითავა. ყოველმხრივ მასზე მაღლა მდგომი პეტრეს სიძულვილი პოლიტიკურად და ისტორიულადაც იმდენად გაუმართლებელი იყო, რომ მისი პიროვნული ხასიათი თვალნათლივ ჩანდა, მანამდეც, სანამ ყველაზე საშინელ დანაშაულს ჩაიდენდა, როცა თურქები მოიმხრო. სიველურის ნარჩენებთან მებრძოლ რუსეთს ოქსფორდის უნივერსიტეტის დოქტორი და პარიზის აკადემიის წევრი მისი მეფე ევროპულ სახელმწიფოდ აყალიბებდა. ველური გამოვიდა კარლოსი, რომელმაც თავისი სამფლობელო საძოვრებად აქცია, მაშინ როცა რუსი თავის მიწაზე ხნულებს აელებდა.

ბალტიისპირეთს მონღოლებისგან თავის დასაცავად შვედები არ სჭირდებოდა, ამიტომაც ბალტიისპირა პროვინციების დაკარგვა ისტორიული კანონზომიერება იყო. პოლონეთსა და გოლშტეინ-გოტორპშიც არაფერი ესაქმებოდა და იქიდან ამიტომაც გამოაძევეს. კარლოს მეთორმეტე ჰუნების სამარხებიდან ამდგარი მოჩვენება იყო, იყო გოთი, რომელიც სიამოვნებით ხელახლა გადაწვავდა რომს, დონ კიხოტი იყო, რომელიც დაპყრობილებს ათავისუფლებდა, ამავდროულად კი, თავის მოქალაქეებს ბორკილებს ადებდა. და ის ტყვია წუხელ დასავლეთიდან რომ არ მოფრენილიყო, ადრე თუ გვიან აღმოსავლეთიდან მოფრინდებოდა, თუმცა ეშმაკმა უწყის, საიდან მოფრინდა.

ლეიტენანტი დაფუფქულივით ფეხზე წამოვარდა:

— სწორედაც, კარის ექიმო. საიდან მოფრინდა? მართლა —საიდან?

— იქნებ ლეიტენანტ კარლბერგს ამ საკითხზე თავისი მოსაზრება აქვს? — შეეკითხა ქირურგი და ლეიტენანტს სკალპელივით ბასრი მზერა ესროლა.

— არა, არავითარი! — მოკლედ და გაბედულად უპასუხა ლეიტენანტმა.

— ასეთ შემთხვევაში გეტყვით, რომ — დაასკვნა ქირურგმა, — შეიძლება ტყვია იქიდან არ მოფრენილა, მაგრამ უნდა მოფრენილიყო.

— კმარა, ეშმაკმა დალახეროს, ახლა ჩვენ... დაველევთ!.. წამოიძახა ლეიტენანტმა და ჩანთიდან ბოთლი ამოიღო.

— როგორ! განა, ჯერ არ უნდა ვიბრძოლოთ, ლეიტენანტო?

— არა, ჯარა-ექიმო! ექიმბაშო! ჩვენ არასოდეს არ ვიბრძოლებთ. თქვენ მიცვალებულთა გამოშიგვნის ოსტატი ხართ. ისე გაუსწორდით იმ ალექსანდრეს, რომ თურქსაც კი შეშურდებოდა. აი, ჩემი ხელი, და გმადლობ, რომ ამდენმა ლაპარაკმა მე არ მომიწია!

— უქნარა, მთელი ღამე მალაყბა! დაველიოთ, ძველი შვეციისა დაველიოთ — და ახლისაც!

— მეფე მოკვდა! დედოფალს გაუმარჯოს!

— ან ლანდგრაფს!

— ოღონდ ჰერცოგი არა!

— ყველაფერს კი თავისუფლება სჯობია!

* * *

სახლიდან, სადაც მიცვალებული ესვენა, მთვრალი შეძახილები ისევ მოისმოდა, როცა დეკემბრის მოყვითალო-მონაცრისფრო დილა ზარბაზნებისა და ურმების თავზე ამოიწვერა. ლაფიან გზაზე, ცოტა ხნის წინ ენჩეპინგისა და სამეფო პოლკის ჯარისკაცები რომ ერქვათ, შიგნეულისა და ძონძების უცნაურ მასაზე მიაბიჯებდნენ. აქა-იქ ხან ფეხსაცმლიანი ფეხი გამოჩნდებოდა, ხან ორ-სამთითიანი ხელთათმანი, ხანაც თმის კულულიანი ყური... საზღვრისკენ მიმავალი დაბლობიდან ლაფეტების ღრჭიალი, ფლოქვების თქარუნი და ქვეითთა მძიმე ნაბიჯების ხმა მოისმოდა. მინდვრის, ხევისა და ქარაფების გადაღმა კი მალემსრბოლები დაქროდნენ — მეფის მემკვიდრეობისთვის ბრძოლა დაიწყო: ბრძოლა ხალხისა და ქვეყნისათვის.

თარგმნა თამაზ ჩიქვანაიამ

ივან ბუნინი

22.10.1870 – 8.11.1953

გამორჩენილი რუსი მწერალი, პოეტი, პუბლიცისტი, მთარგმნელი, დაიბადა გაღარიბებული აზნაურის ოჯახში, ხელმოკლეობის გამო ადრე მოეკიდა დამოუკიდებელ ცხოვრებას. 1887 წელს პირველად გამოაქვეყნა ლექსი „ნადსონის საფლავზე", 1891 წელს კი გამოსცა კრებული „ლექსები". 1901 წელს პოემისათვის „ფოთოლცვენა" პუშკინის სახელობის პრემია მიენიჭა. ადრეული პერიოდის თხზულებებში ბუნინი ყურადღებას ამახვილებდა გლეხობის მძიმე მდგომარეობაზე („ნეფედკა", „ტანკა", „ცნობები სამშობლოდან", „ცხრა მთას იქით" და სხვ.). იმ ხანებში გაიცნო მაქსიმ გორკი, მისი მეშვეობით დაუახლოვდა გამომცემლობა „ზნანიეს" გარშემო შეკრებილ დემოკრატ მწერლებს. 90-იან წლებში ყალიბდებოდა მწერლის იდეურ-მხატვრული პრინციპები, მზადდებოდა ნიადაგი მისი შემდგომი მკაცრი რეალიზმისათვის; ბუნინი მტკივნეულად განიცდიდა თავადაზნაურული ბუდეების ნგრევას, კაპიტალისტურ ურთიერთობათა საბოლოო დამკვიდრებას (მოთხრობები: „ახალი გზა", „ეპიტაფია", „ანტონოვის ვაშლები" და სხვ.). მომდევნო წლების ნაწარმოებთაგან უნდა აღინიშნოს ცნობილი მთხრობები „სოფელი" (1910) და „სუხოდოლი" (1911); მწერალმა დახატა რუსული ცხოვრების შავბნელი სურათები, დაბეჩავებული ხალხის ტრაგედია, მისი უმეცრება, ჩამორჩენილობა („იგნატი", „ღამის საუბარი", „ძველი კაცი", „მხიარული ეზო" და სხვ.). ამასთან ერთად, ნათელი ფერებითაა დახატული რუსი ადამიანის სულიერი სილამაზეც, ნიჭიერება, მრომისმოყვარეობა („ზახარ ვორობიოვი", „ქნარზე დამკვრელი როდიონი", „ჭრიჭინა" და სხვ.). 1909 წელს ბუნინი პეტერბურგის მეცნიერებათა აკადემიამ საპატიო აკადემიკოსად აირჩია. I მსოფლიო ომის წლებში ბუნინმა შექმნა შედევრები – მოთხრობები „ძმები" (1914), „სან-ფრანცისკოელი ბატონი" (1915), რომლებშიც განსაკუთრებული სიმკვეთრით გამოხატა პროტესტი ბურჟუაზიული ცივილიზაციის სიყალბისა და ანტიჰუმანურობის წინააღმდეგ. მწერალი მტრულად შეხვდა ოქტომბრის რევოლუციას, 1920 წელს ემიგრაციაში წავიდა საფრანგეთში და შემდგომ, უმთავრესად, საზღვარგარეთ აქვეყნებდა თავის ნაწარმოებებს – „მიტიას სიყვარული" (1925), „კორნეტ ელაგინის საქმე" (1927), რომანი „არსენიევის ცხოვრება" (1930, ნოველების ციკლი „ბნელი ხეივნები" (1943) და სხვ. ბუნინმა დაწერა, აგრეთვე, წიგნი „ტოლსტოის განთავისუფლება" (1937), „მოგონებები" (1950) და სხვ. მსოფლიო აღიარების მქონე მწერალს, 1933 წელს მიენიჭა ნობელის პრემია „რუსული კლასიკური პროზის განვითარებისათვის".

პატარა რომანი

I

მე და ის საღამოს რკინიგზის სადგურში შევხვდით ერთმანეთს.

იგი ვიღაცას ელოდა და ეტყობოდა, დაბნეული იყო.

მალე მატარებელი ჩამოდგა, ბაქანზე ბლომად ხალხი აირია. იდგა ქვანახშირისა და ნაწვიმარი ტყის სურნელი. ირგვლივ იმდენი ნაცნობი იყო, კაცი თავის დაკერას ძლივს ასწრებდა, ის კი, ვისაც იგი თავისი დიდი, ლურჯი თვალებით მღელვარედ ეძებდა — არ ჩანდა.

მატარებელი დაიძრა. იგი შედგა და ბაქნის სიგრძეზე გაჭიმული ვაგონების ფანჯრებს თვალი გაადევნა. ფანჯრებიცა და ვაგონის წინა ბაქანიც ხალხით იყო სავსე — სახეები, სახეები, სახეები... ის სახე კი, რომელსაც ქალი ასე დაჟინებით ეძებდა — არ ჩანდა.

ბოლოს ვაგონების კედელი ჩასრიალდა, უკანა ბუფერმა წუთით გაიელვა და მატარებელმა მწვანედ ტანაყრილ ხეებს შორის ჩაიქროლა. დაცარიელებულ, ნაწვიმარ ბაქანზე პატარა, ცისფერი ნაკადულები მიწანწკარებდა.

მზე სადგურის ფარდულს იქით იყო გადასული, მთელ ბაქანს ჩრდილი ეფინა, ჩვენს უკან, ტყეში გაბნეული აგარაკები კი ჯერ ისევ ვარდისფრად იყო გაცისკროვნებული, მინებს ხალისიანი ელრიალი გაჰქონდა. სადღაც დაჟინებით, უამურად დუდღუნებდა გრამოფონი, საიდანღაც კროკეტების ბურთების ტკაცატკუცი და ბიჭების ჟივილ-ხივილი ისმოდა.

— გავიაროთ...

ჩემთვის არ შემოუხედავს, მითხრა მოკლედ და მეც გავყევი.

ფარდულის უკან რომ გავედით, თვალებში საღამოს ბრიალა მზემ შემოგვანათა. აქედან გრილი, მწვანედ დაბურული ტყე იწყებოდა. დიდხანს მივუყვებოდით ტყის ვიწრო განაკაფს. დიდხანს, დიდხანს ვიარეთ ატალახებული გზის დაყოლებით მწვანე ლიმანებს, ვერხვებსა და თხილნარს შორის გატკეპნილ ბილიკზე, ხავერდივით ხასხასა ფოთლები სახეში გვედებოდა. იგი წინ მიაბიჯებდა და თვალწინ ერთთავად მისი უჯრებიანი კოფთა, გრძელი ქვედა კაბა და კეფაზე მოხვეული მსხვილი ნაწნავი მიტრიალებდა. იგი მარჯვედ ირჩევდა შედარებით მშრალ ადგილს, ერთობ მოხდენილად იხრებოდა, გაბმულ ბუწკნარსა და ხის ტოტებს მოხერხებულად ერიდებოდა...

— რაზე ფიქრობთ? — მითხრა უცებ, ისე, რომ ჩემკენ არც ახლა შემობრუნებულა.

— რაზე და თქვენს ფეხსაცმელზე, აი, იმაზე, ფრანგულ ქუსლებზე რომ არ დგახართ, ფრანგულქუსლებიანი ქალებისა არაფერი მწამს.

— მერედა, ჩემი გწამთ?

— მწამს.

მალე ნაკაფი ჩათავდა და ჩვენ ერთ მოშიშვლებულ, მზით განათებულ ბექობზე აღმოვჩნდით. იგი უცებ შეჩერდა:

— რა საყვარელი ხართ! მოდიხართ ასე თქვენთვის და ხმას არ იღებთ... ვერ წარმოიდგენთ, გული რა სითბოთი და სინაზით ამივსეთ...

ამაზე თავშეკავებულად ვუპასუხე:

— ხდება, მით უმეტეს, როცა კაცს რაიმე გაწუხებს.

გაოცებულმა შემომხედა:

— მაწუხებს? კი მაგრამ, რა უნდა მაწუხებდეს?

— ვიცი, ვიღაცას ელოდით... ისიც ვიცი, საცაა შემომთავაზებთ, მე გავიქცევი, თქვენ დამეწიეთო.

— გამოიცანით... თანახმა ხართ?

ამ სიტყვებზე ახლოს მივედი, ხელში ხელი მოვკიდე და ოდნავ ჩემკენ რომ მოვიზიდე, უკან გადაიწია:

— არა, — თქვა ჩურჩულით, — არა... ღვთის გულისათვის...

მერე ერთხანს იყუჩა, ბოლოს ხელიდან მარჯვედ დამისხლტა, კაბის კალთა აიკრიფა და ბექობიდან მწვანე ტაფობისაკენ სირბილით დაეშვა.

ტაფობს აქეთ-იქით ტყით დაფარული ხეები ჩაუდიოდა, წინ მოზრდილი, ბალახმოთიბული ზოლებით დასერილი, უმზეო, ჩრდილით ჩახურული ღარტაფი იყო. ტაფობზე რომ ჩავიდა, ღელის პირას, ჩამავალი მზის შუქჩრდილის მიჯნაზე გაჩერდა, მაგრამ, ერთ ნაბიჯზე მივუახლოვდი თუ არა, რუზე ისკუპა და ახლა ხევ-ხევ გაიქცა. ის იყო, იმ რუზე გადავხტი, რომ ციდან ხმელი ფოთლების შრიალის მაგვარი მსუბუქი ჩქამი წამოვიდა, მალე ხმაურს შხაპუნა წვიმა მოჰყვა და მარცხნივ, ბორცვის თავზე, ოდნავი ნისლით შებურული შვიდფერი ცისარტყელა გადაიჭიმა.

— წვიმს! — წამოიძახა წკრიალა ხმით და წვიმისგან გადაღაღანებულ მინდორზე კიდევ უფრო სწრაფად გაიქცა.

წვიმის ოქროსფრად მობიბინე ბადურის ქვეშ კრთოდა და ზიმზიმებდა ჯერ ისევ მზით განათებული მინდვრის ნახევარი, ზევიდან ხმაურით, შხაპაშხუპით ცვიოდა მსხვილი, მეჩხერი წვეთები. ჩანდა, მოკრიალებულ ცაზე გუმბათივით აზიდული ერთადერთი კვამლისფერი ღრუბლიდან ნემსებივით გრძელი, პრიალა წვეთები როგორ მოსრიალებდა... მერე წვიმა თანდათან შეთხელდა, ბორცვის თავზე გადმომდგარი ცისარტყელა თანდათან გაუფერულდა და ხმაური ერთბაშად მიწყდა.

მან ამ დროს თივის ზვინთან მიირბინა, ზედ ზურგით გადაწვა და ხმამაღლა აკისკისდა. სუნთქვის დროს მკერდი აუდ-ჩამოუდიოდა, თმაში წვიმის წვეთები უბრწყინავდა.

— ნახეთ, გული როგორ მიცემს, — თქვა და ჩემი ხელი ხელში აიღო.

მხრებზე ხელი მოეხვიე და მისი ნახევრად გახსნილი ბაგეებისკენ ფრთხილად რომ დავიხარე, ახლა უკვე წინააღმდეგობა აღარ გაუწევია.

მერე წყნარად მომიშორა და წითლად ატკრეცილი სახე გვერდზე მიაბრუნა. გამხმარი ბალახის ღეროს კვნეტდა და მოკრიალებული თვალებით სივრცეს დაბნეული გასცქეროდა.

— ეს პირველი და უკანასკნელი იყოს, კარგით?

— კარგი-მეთქი, — ვუპასუხე.

მერე თვალებში დაჟინებით შემომხედა:

— ნეტავი, ოდნავ მაინც თუ გიყვარვართ? მე კი ისე ბედნიერი ვარ, თავს ისე შესანიშნავად ვგრძნობ!.. იცით, ნურავისზე ეჭვიანობთ, იმას, რომ ვიღაცას ველოდი, არავითარი მნიშვნელობა არა აქვს, თუმცა იგი ჩემი ოფიციალური საქმრო და მალე მეც გრაფინია ელ-მამუნა გავხდები... რატომ? არ ვიცი... ალბათ, იმიტომ, რომ მეშინია...

ასადგომად ხელები რომ გამომიწოდა, ჯერ ერთ ხელზე ვაკოცე, მერე – მეორეზე.

ახლა კი წავიდეთო.

სად-მეთქი?

ცოტა გავიაროთო.

ფეხზე რომ წამოვაყენე, მორცხვად გაიღიმა, მერე მომხიბლავი ქალური მოძრაობით თმა შეისწორა და ხევის სუფთა ჰაერი ღრმად ჩაისუნთქა. დროდადრო ტყიდან გუგულის ყრუ, შორეული ძახილი ისმოდა... ნაწვიმარი ცის სიღრმეში მდოვრედ მიცურავდა, ნელა იცრიცებოდა კიდეებშეწითლებული, თბილი, კვამლისფერი ღრუბელი.

უკან დაბრუნებისას გზა აგვებნა, მაგრამ, იქაურობას ალღო მალე აუღო და წინ გაბედულად გამიძღვა.

თხოვნაზე უარი ვეღარ მითხრა, გზაში თავისი ამბავი მოკლედ, გადაკრულად მიამბო, თან საშინლად ღელავდა. მოყოლა რომ დაამთავრა, კარგა ხანს გაჩუმებულებმა ვიარეთ.

ტყეს ჩრდილოური მწუხრი დასწოლოდა. ირგვლივ რამდენიმე კილომეტრზე გაჭიმული, ხშირი, მდუმარედ გარინდული ტყე უშფოთველად ელოდა იდუმალებით მოცული ღამის მობრძანებას. საღამოს მკრთალი, მოცახცახე შუქი თანდათან ილეოდა, ცას თვლემა ეპარებოდა. პატარა ჭანჭრობი ტბა, რომლის ნაპირ-ნაპირ ახლა მე და ის მივაბიჯებდით, ჯერ ისევ თეთრად კრთოდა ხეებს შორის, მაგრამ ტბაც ისეთივე უხალისო და მოწყენილი ჩანდა, როგორც ტყე... მალე ცა შავმა ღრუბლებმა დაფარა, საღამოს ბინდში გაყუჩებული ტყის თავზე შავად ჩამოწვა, თბილი, ჭაობის ბალახითა და წიწვის საამო სურნელით გაჟღენთილი მთვლემარე ჰაერი თანდათან ჩატკბა. ოქროგადაკრულ ზურმუხტისფრად ციმციმებდნენ ჭრიჭინობლების იდუმალი ჟრუნით მითვლემილ ბუჩქებს შესეული ციცინათელები... გზა რომ შეგვემოკლებინა, ტყიდან გადავუხვიეთ და ასწლოვანი ფიჭვების გრძელსა და ფართო დერეფანს გავუყევით. ბილიკს უკვე ძლივს ვამჩნევდით, სილაში გზას ძლივს მივიკვლევდით. უცბად ფიჭვის ხმელ, დაბურულ ტოტებში რაღაცამ გაიფაჩუნა, მალე იქიდან ტრიალ-ტრიალით უშველებელი დიდთავა ბუ ამოყურყუმელავდა, პირდაპირ ზედ შემოგვეფეთა და თავისი მრგვალი, ფართო ფრთებით ჰაერში კვლავ ტრიალით აიჭრა... იგი შეკრთა, უკან დაიხია, ბუმ კი წრე უხმაუროდ მოხაზა, ისევ დაბლადაბლა დაეშვა და ტყის სიბნელეში მდოვრედ ჩაიძირა.

– კარგის ნიშანი როდია, – თქვა და თავი გადააქნია.

ამ სიტყვებზე გავიღიმე.

— მერწმუნეთ, კარგის ნიშანი არ არის, — გაიმეორა უბრალოდ და დაჟინებით.

— მაინც, რა იქნება?

— რა ვიცი... ისე, ჩემთვის სულ ერთია, თქვენს გვერდით გატარებული ეს დღე და ეს საღამო არასდროს დამავიწყდება. მოდით, გამომშვიდობების ნიშნად...

სიტყვა არ დაუმთავრებია, კისერზე მკლავები შემომხვია, სახეში ნაზად და სევდიანად ჩამხედა, ოდნავ დაფიქრდა და ჯერ ერთი თვალი დამიკოცნა, მერე — მეორე... მერე მინდორ-მინდორ გეზი ხეებს გაღმა შუქნიშნის მწვანედ მოციმციმე სინათლისაკენ ავიღეთ. უკვე ბნელოდა, მალე ფოთლებზე წვეთების წკაპაწკუპი გაისმა და, ის იყო, კარავივით გადახურული აგარაკის აივანზე, თალფაქიანი სანთლებით განათებულ, ჩაის ჭურჭელით გაწყობილ მაგიდასთან მივირბინეთ, რომ გარეთ ისევ კოკისპირულმა წვიმამ დასცხო.

ტანსაცმელიდან წვიმის წვეთებს ვიბერტყავდით, თან თვალთმაქცურად ვყვებოდით, ტყეში როგორ დავიბენით და გზის ძებნაში როგორ შემოგვაღამდა, რომ უცებ ორივე ხელნაკრავებივით გავჩუმდით — აივნის ბნელ კუთხეში, სარწეველა სავარძლიდან საოცრად მაღალი, გამხდარი, ფართო მხარბეჭიანი, შავწვერიანი, მელოტი, თვალებმოელვარე ოცდაათიოდე წლის ახალგაზრდა კაცი წამოდგა. მოხუცები შეცბნენ, ჩემს თანამგზავრს სახეზე მკვდრისფერი დაედო, მე კი ხელი მაგრად ჩამოვართვი და ხუმრობის კილოთი ვუთხარი:

— ღმერთო, ეს რამსიმაღლე ხართ? შუა საუკუნეებში რომ გეცხოვრათ, შეუდარებელი აბჯროსანი იქნებოდით.

— მართლა? — თქვა და მკვირცხლად დასძინა: — ადვილი შესაძლებელია... მე გრაფი მამუნა გახლავართ.

მალე საიდანღაც ძველი, უშველებელი ქოლგა გამომიძებნეს, დამარიგეს, წასვლა რა გზით უფრო ჯობდა და აივნის სველი საფეხურებიდან პირდაპირ უკუნეთ სიბნელეში შევაბიჯე.

იგი კარვისებური საჩეხის განათებულ სამკუთხედში, კარის ზღურბლთან იდგა. კუტიკართან რომ მივედი, ხმისათვის არ აუწევია, წყნარად მომაძახა:

— მშვიდობით.

ეს იყო და ეს, ამის მეტი მისი პირიდან არასოდეს აღარაფერი გამიგონია – ჩემდამი ნათქვამი ეს მისი უკანასკნელი სიტყვა იყო.

II

„ჩემო ძვირფასო, – მწერდა იგი და ამ ამბიდან ოთხი თვის შემდეგ, – ნუ დამადანაშაულებთ, ასე ჩუმად, გაუფრთხილებლად რომ გაგეპარეთ. ყოველგვარი ძალა და მეუფება დავკარგე ჩემს თავზე, ხელიდან გავუშვი საუკეთესო მომენტი, როდესაც ჯერ ისევ შემეძლო, კავშირი გამეწყვიტა მასთან. ახლა უკვე აღარავითარი იმედი აღარა მაქვს. არა მგონია, ოდესმე კიდევ შევხვდეთ ერთმანეთს (ან კი რა პირით უნდა შეგხვდეთ?)! არც ის მგონია, ვცდებოდე ჩემდამი თქვენს დამოკიდებულებაში, ან ოდნავ მაინც თავს ვიტყუებდე. თქვენთვის ეს მხოლოდ შემთხვევითი, პატარა რომანი იყო, ეგ არის და ეგ... მიუხედავად ამისა, თქვენს თავს ვფიცავარ, მთელს ჩემს ცხოვრებაში თქვენს გარდა, არასოდეს არავინ მყვარებია...

მაინც რა არის ან რას წარმოადგენს ადამიანის მიერ, ვინ იცის, რამდენჯერ ნაქები და ხოტბაშესხმული სიყვარული? ან, იქნებ, სიყვარული არაფერ შუაშია? ამას წინათ ერთი აწ გარდაცვლილი მწერლის წერილებში ამოვიკითხე, სიყვარული არარსებულისაკენ სწრაფვააო. რა ვიცი, იქნებ, ასეც იყოს, მიუხედავად ამისა, მიყვარხართ, მიყვარდით, მეყვარებით...

რატომღაც ყველაზე ხშირად საღამოობით მაგონდებით. გახსოვთ, უკვე გვიანი საღამო იყო, ერთმანეთს რომ გამოვემშვიდობეთ. ამ პირველსა და, ალბათ, უკანასკნელ წერილსაც, სწორედ საღამო ჟამს გწერთ. და იცით, ღმერთმა უწყის, საიდან?! ვზივარ ალპებში, ღრუბლებს ზემოთ ამაღლებულ ცივსა და უკაცრიელ სასტუმროში, გარეთ ოქტომბრის უამური, სუსხიანი საღამოა. მას უკვე ჭლექის ნიშნები აქვს, მე კი ბოროტად დავცინი ადამიანის სიცოცხლეს, არათუ ვაკავებ ამ ჯანღსა და უამინდობაში, სად აღარ დავატარებ, თოვლიან მთებსა თუ ნესტიან ტბებსა და ხევ-ხუვებში. ვერ წარმოიდგენთ, რა დამჯერე და მორჩილი გახდა, ბავშვივით უკან დამდევს მთელი დღეები პირუჩუმრა, თვალები უელავს, საყვედურით კი არაფერს ამბობს. დღესაც კარგა ხანს ვიარეთ ასე გაჩუმებულებმა. სასტუმროში რომ შევედით, მოსამსახურე ქალმა, რომელიც თავისი სიცოცხლის უკანასკნელ დღეებს გლეხურ სამზარეულოში ატარებს, სტუმრებიც ამას ჰქვიაო, – გაოცებულმა შემოგვხედა და მძიმედ ამოიოხრა. ვინ იცის, იქნებ,

ისიც გაუკვირდა, იგი სიკვდილივით ფერმკრთალი და ჩონჩხივით აწოწილი რომ იყო.

მე კი უკაცრიელ, ღვთისა და კაცისაგან მთებს შორის მიტოვებულ ამ სასტუმროში მხოლოდ იმიტომ წამოვედი, რათა მდუმარებასა და უსასრულობაში სულ თქვენზე მეფიქრა.

ამ გვიან შემოდგომაზე, რომ იცოდეთ, როგორი სევდიანი იდუმალებითაა მოცული მთისაკენ ერთმანეთის მიყოლებით გაქცეული, ლურჯი მწუხრით ჩაბინდული ხეობები. მძიმედ ჩამოწოლილი ზეცა გულგრილად დასდგომია ნისლიან მთებში ჩაბეჭდილ, ტყვიისფრად გარინდულ ტბებს. მუდამ, როცა კი ღრუბლიან ცას შეეყურებ, მინდა, ამ ნისლებში ჩავიძირო, ღამე მთის რომელიმე ყრუ, უკაცრიელ სასტუმროში გავათიო... ო, რა სიამოვნებით გავცემდი მთელი ჩემი სიცოცხლის ნახევარს, ახლა აქ, ჩემს გვერდით რომ მეგულებოდეთ...

იმ დღეს ჩვენი გემი პორტიდან ისე ადრე გამოვიდა, ნაშუადღევს უკვე მთაში მივაბიჯებდით. ო, რა სევდიანი იყო ის გზა! ფერდობებზე შეფენილ, ტანმორჩილ, მეჩხერ ტყეში ჩამიჩუმი არ ისმოდა, ხანდახან ხევიდან თითო-ოროლად ჩამოვარდნილი პატარა ყვითელი ფოთლის შრიალი თუ დაარღვევდა ირგვლივ გამეფებულ სამარისებურ მყუდროებას. ზოგჯერ ხეებს შუა დიდი, წითელი ძროხები სველ დრუნჩებს გამოყოფდნენ, თავიანთ უაზრო, მარდ თვალებს შემოგვაფეთებდნენ... ხანდახან ფიჩხზე წამოსული პატარა მწყემსი ბიჭები ჩიტებს სტვენაში თუ გაეჯიბრებოდნენ და ისინი თუ აახმაურებდნენ შემოდგომის რულმორეულ ტყეს. მივაბიჯებდით ზევითა და ზევით, მთელემარე მდუმარებაში, იქიდან კი, მთის მწვერვალებითა და კბოდეებით, ლურჯად ჩაბინდული ფიჭვის ტყე-ტყე რუხი, ნაცრისფერი კვამლივით ეშვებოდა ზამთარი. ზოგჯერ, სულის მოსათქმელად რომ შეეჩერდებოდი, დიდხანს, დიდხანს ჩავყურებდი შორს, ქვეითი, ტყით დაფარულ, იისფერი ნისლით ჩაბურულ ხეობას. ვიდექი და ვუსმენდი, როგორ ცვიოდა ფოთოლი, ჩუმად, ჩუმად როგორ იცრემლებოდნენ სველი ბუჩქები...

ნისლში შავად პირდაღებული გვირაბის გადასწვრივ რაღაც ახალშენი, ფერდობებზე შეფენილი ხუთი თუ ექვსი დუმილით მოცული ქოხი შე-მოგვხვდა. ციცაბო აღმართზე ნელა, ნაბიჯ-ნაბიჯ მივუყვებოდით სველ, მოლინჭყულ შპალებს, მაგრამ სულ მალე იმ სოფლის ადგილას მხოლოდ შავი ლაქაღა დარჩა და მთიდან შემოდგომის ცივმა, თოვლიანმა სიომ დაბერა.

იგი უცებ შედგა, მთხოვა, უკან დაებრუნებულიყავი, მე კი ჯინაზე უარი ვუთხარი.

ეგ პასუხი არცთუ ისე მახვილგონიერულიაო, — ჩუმად ჩაილაპარაკა, ერთხანს ჩაფიქრდა და ისევ გზა განაგრძო.

ჯანღი თანდათან ხშირდებოდა, სულ უფრო ქვევითა და ქვევით მოიწევდა. ჩვენ კი მივდიოდით, მივდიოდით... აი, შავად გამურულ, მოგუგუნე ხვრელს ავუარეთ, გადავიარეთ ნისლებით მხრჩოლავი უძირო ხეობის თავზე გაკიდული, თითქმის ცაში გამოდებული ხიდი... საკმარისი იყო, ჩემი იძულებითი თანამგზავრი ოდნავ უკან ჩამომრჩენოდა, მაშინვე ნისლში ჩაინთქმებოდა და თვალთაგან მეკარგებოდა. ერთმანეთს რომ დაეუძახებ-დით, ჩვენი ხმა თითქოს სადღაც, ცხრა მთას იქიდან ისმოდა.

ერთხელაც არის, დამიძახა — სიარული უჭირდა და მუდამ უკან მრჩებოდა — როდესაც შევჩერდი, ხელი გამომიწოდა და გაუბედავად მითხრა:

— იყავი ცოტა გულთბილი, სახელოში ხელი შემიყავი და პერანგი ჩამომიწიე.

უცებ გული საშინლად დამეწვა. შემეცოდა, მან ეს შემატყო, თვალები დახარა და თითქმის ჩურჩულით დასძინა:

— იცი რა, იქნებ სადმე ისეთ ადგილას წავიდეთ, სადაც ცოტა უფრო ეთბილება, თორემ ეს საქორწილო მოგზაურობა კი არა, ნამდვილი ჯოჯოხეთია.

— უნდა დავცილდეთ-მეთქი, — ვუპასუხე.

ცოტა ხანს იყუჩა და მერე წარბშეკრულმა მითხრა:

— ძნელია.

— შენს ახირებულ სიყვარულს ხომ არ შევეწირები, რა უფლება გაქვს-მეთქი, — ვუთხარი.

მე ყველაფრის უფლება მაქვს, დასაკარგავი აღარაფერი დამრჩაო, — მიპასუხა და ჯიუტად შემომხედა.

ამ სიტყვებზე გავტრიალდი და წავედი.

სველი, გამლღვალი თოვლით დაფარული რელსები მთისაკენ მისრიალებდა, მთის დამრეც ფერდობებსა და ციცაბო ფლატეებზე გად-მოკიდებული ნაძვისა და ფიჭვის ტყეები მთიდან ხევებისაკენ მოცურავდა და ბურუსით მოცულ მწუხრში კაცი უფრო შეიგრძნობდი, ვიდრე ხედავდი ფერდობებზე იისფერ ლაქებად გაბნეულ ნაძვისა და ფიჭვის ხშირ ტყეებს. იმ პირქუშ მთებს ზემოთ კი, ღრუბლების იმიერ სამფლობელოში, ისეთი

სამარისებური მდუმარება სუფევდა, სიცოცხლის ნიშანწყალიც არ იგრძნობოდა. უცბად გზის პირას, ბებერ ნაძვის ხეზე, რაღაც შეფართხალდა. გახსოვთ ის ბუ? იმ წუთას მეც სწორედ ის ბუ გამახსენდა და ამ წერილის მოწერაც სწორედ იმ წუთას გადავწყვიტე. თუმცა, ბუ კი არა, რამდენადაც ჩემთვის ცნობილია, იგი მთელი დედამიწის ზურგზე ყველაზე პაწია ფრინველი – ნარჩიტა იყო. ნაძვის სველი, ჯანღში განთხეული ტოტიდან, ნალევი, უღიმღამო ჩიტი წუთით გზაზე დასკუპდა, მაშინვე მარცხნივ, ხევისაკენ უხმაუროდ გადაფრინდა და ნისლში გაუჩინარდა.

შეგიძლიათ წარმოიდგინოთ ის საღამო? ბურუსში გახვეული, კედელივით აღმართული წიწვოვანი ტყე, შემლღვალი თოვლით დაფარული გზის პირები, შავად ჩაჯანღული უძირო უფსკრულების თავზე ღრუბლებად გადმოკიდებული ხშირი, იასპისფერი ნისლი... ჩიტი კი არის თავისთვის არხეინად და სულაც არ აწუხებს მთაში ჩამოწოლილი ზამთრის ეს პირქუში, ქურუხი ღამე – ვიღაცის უზეშთაეს მფარველობას მინდობილი, ამ ღამესაც იქ გაითენებს, სადაც ბინდი წამოეწევა. მე კი ამ მფარველობის არც რწმენა მაქვს, არც იმედი...

დავწვები უკაცრიელ, ყინულივით ცივ, ფიჭვის სურნელით სავსე ნომერში და, სინათლეს რომ ჩავაქრობ, ასე მგონია, ღრუბლებს ზემოთ, სიკვდილის სამეფოში ვიმყოფები. ის კი წევს გვერდითა ოთახში და ყრუდ ახველებს. კაცი კი არა, ნამდვილი სამარეა, რომ იცოდეთ, როგორ მძულს!

თუ ოდესმე თავისუფალი ვიქნები, თუ ოდესმე შეხვედრა კიდევ გვიწერია, სიხარულით ხელებს დაგიკოცნით, თქვენ კი... თქვენ... როგორც გენებოთ...“

III

მაგრამ, ეს წერილი, ღმერთმა უწყის, როდის მოვიდა ჩემამდის. მოსკოვიდან ჯერ სოფელში გაეგზავნათ, სამი თვე თურმე იმ სოფელში ეგდო, მერე თითქმის მთელი სამხრეთი მოეტარებინათ. მე რომ მივიღე, უკვე მარტის დამდეგი იყო და ყირიმიდან წამოსასვლელად ვემზადებოდი.

წერილი რომ წავიკითხე, ვერ წარმოიდგენთ, როგორ ავღელდი.

რა მექნა, როგორ მოვქცეულიყავი, რა მიმეწერა? დიდხანს, დიდხანს ვიმტვრიე თავი ამაზე და, შემინდე უფალო, ბოლოს ესღა მოვიფიქრე:

ავდგები და, მეც ცხენით გადავალ ასე მთა-მთა-მეთქი.

ყირიმის მთებშიაც ხშირი ჯანღი იწვა, მაგრამ გაზაფხული იყო და მეც მხოლოდ ოცდარვა წლის ყმაწვილი კაცი ვიყავი...

ლაი-ლაის უღელტეხილზე, ვიდრე სამცხენაში ცხენებს შეაბამდნენ, ერთ ბინძურ დუქანში ვიჯექი და თავს დამუავებული წითელი ღვინით ვიქცევდი. ირგვლივ ყოველივე ნისლში იყო ჩაძირული. გარეთ ქარი ქროდა, ნისლის ნაცრისფერ ნაფლეთებს აქეთ-იქით დააფრიალებდა... წერილი ამოვიღე და გულის კანკალით ერთხელ კიდევ გადავიკითხე...

ძვირფასო, საყვარელო, რა ვქნა, რა ვიღონო, როგორ მოვიქცე?

დუქანში ჯდომა უკვე აუტანელი გახდა, ავდექი და ჰაერზე გამოვედი.

ნისლი თანდათან ვარდისფრად იცრიცებოდა, თანდათან ილეოდა... ბოლოს ჯანღიან მთებს ზემოთ თანდათან აიშუქა, ჰაერში სითბოს სუნი დატრიალდა. შავი ღრუბლებით შემოსილი ცა თანდათან გადაიწმინდა და მალე ოქროსფრად გასხივოსნებული ლაჟვარდისფრად გამობრწყინდა.

უნდა მივწერო, აუცილებლად უნდა მივწერო-მეთქი, — გადავწყვიტე, მაგრამ სად ან რა უნდა მიმეწერა, წარმოდგენა არ მქონდა.

უდაბურ მთებს ახლა უკვე გამჭვირვალე, ლურჯად მოკრიალებული ცარგვალი დაჰყურებდა, მაგრამ კიდევ დიდხანს, დიდხანს ბოლავდნენ პირდაღებული უფსკრულების თავზე წამომდგარი ფრიალო კლდეები, ვიდრე მზემ არ გამოანათა და ქედნისფერი ნისლები პირწმინდად არ წამოკრიფა. მალე მთებს ზემოთ გადმომდგარი, თვალშეუდგამი ზეცა მთელი თავისი უსაზღვროებით გადაიხსნა, შორს, გამჭვირვალე ჰაერში მწვანედ დატალღული ზეგანი აღაღანდა. დაჰბერა ჩრდილოეთის, თუმცაღა ნაზმა, ალერსიანმა ნიავმა და ამ ნიავით თავბრუდახვეული ნელა დაეუყევი ციცაბო კლდისაკენ, რათა ერთხელ კიდევ დამეხედა ლურჯად მოკრიალებული ცის ქვეშ წყნარად მოლიელივე ზღვისათვის.

აი, ჩემი უზარმაზარი, კვამლისფერი ჩრდილი წყლის თავზე მოცახცახე ბორს დაეცა და შიგ უკვალოდ ჩაიკარგა. ჩემს წინ უკიდეგანო, სქლად ჩაწოლილი ნისლის ღრუბლებით გადათხრილი ხეობა — თეთრი, ალქატი მთების მთელი სამყარო იყო გადაშლილი. ჩემს ფერხთით, ჰორიზონტამდე, ზღვაზე უშველებელი თეთრი ზეწარივით განფენილიყო ნისლის თეთრი მთაგრეხილები. და აი, მთელი ჩემი სულიერი ძალა, მთელი ჩემი დარდი და სიხარული — დარდი იმ მშვენიერი ქალის გამო, რომელიც მაშინ მიყვარდა და ამ პირველი გაზაფხულისა და სიჭაბუკის გაუცნობიერებელი სიხარული, ყველაფერი, ყველაფერი იქ ჩაიმარხა, იქ, იმ ღრუბელთა ხეობის

სამხრეთ კიდესთან, სადაც ზღვა გრძელი, პრიალა ზონარივით გაჰკროდა ფირუზისფერ ჰორიზონტს....

ზანზალაკების ერთფეროვანი სიმღერა მოსაწყენად ჰყვებოდა გრძელი გზისა და იმ ამბავს, რომ წარსულმა უკვე თავისი დრო მოჭამა, და რომ ამიერიდან ჩემთვის უკვე სხვა, ახალი ცხოვრება იწყებოდა. და აი, ძველი საგზაო ეტლი, ძველი საფოსტო სამცხენა, შეკრული ჩემოდნების გვერდით მაღალ კოფოზე შემომჯდარი დიდყურება თათარი მეეტლე, ფლოქვების თქარა-თქურს შეწყობილი ზანზალაკების სევდიანი მგზავრული და შორს, შორს გაჭიმული გრძელი, უსასრულო შარაგზა... ხშირად, ხშირად მიებრუნდებოდი უკან და დიდხანს, დიდხანს გავსცქეროდი ლაინისფერ ცის ფონზე გამოკვეთილ პიტალო კლდეთა მტრედისფერ ქონგურებს! ტროიკა კი მიქროდა და მიქროდა ზანზალაკების ერთფეროვან წკარუნსა და ფლოქვების თქარათქურში, ქვევითა და ქვევით, სულ უფრო უკან და უკან იტოვებდა ახლა უკვე სადღაც, ცაში გამოკიდებულ უღელტეხილს.

იდგა ადრეული გაზაფხულის თავანკარა სიჩუმე, მდუმარებას მოეცვა მაღალი, ნისლიანი მთები და შორს გაჭიმული ხეობები. იყო შავად გაშიშვლებული ხეების, ბუჩქებქვეშ მიყრილი გამხმარი ფოთლების, მორცხვად თავწამოყოფილი პირველი იებისა და ველური ტიტების საოცარ მშვენიერებათა სუფევა.

ეს-ეს არის მწვანედ იმოსებოდა თოვლისა და ზამთრის ყინვისაგან ახლად სულმოთქმული მთის ფერდობები, ბროლივით მჭვირვალებდა პირველი გაზაფხულის ცინცხალი ჰაერი.

მაშინ ასე მეგონა, ცხოვრებაში კაცისათვის სხვა არა იყო რა საჭირო, ბედნიერებაზე ოცნებისა და ამ მშვენიერი გაზაფხულის გარდა.

მაგრამ, აი, მარტის ბოლოს სრულიად მოულოდნელად ჟენევიდან დეპეშა მივიღე:

„ვასრულებ რა განსვენებულის უკანასკნელ სურვილს, გაცნობებთ, რომ იგი ამა წლის ჩვიდმეტ მარტს გარდაიცვალა. ელ-მამუნა“.

თარგმნა ლილი მჭედლიშვილმა

ჯეიმს ჯოისი

2.02.1882 – 13.01.194

მეოცე საუკუნის ერთ-ერთი ყველაზე გავლენიანი მწერალი ჯეიმს ჯოისი რატგარში, დუბლინის გარეუბანში დაიბადა. მიუხედავად იმისა, რომ ნახევარი ცხოვრება სახლეარგარეთ გაატარა, მისი მთელი შინაგანი სამყარო მშობლიურ ქალაქს უკავშირდება. ჯოისი ირლანდიის საუკეთესო კათოლიკურ სკოლაში სწავლობდა. იქ გატარებული წლები მოგვიანებით „ახალგაზრდა მხატვრის პორტრეტში“ აღწერა. მას შემდეგ, რაც სამსახური დაკარგა, ჯოისის მამა იძულებული გახდა, შვილი ნაკლებად პრესტიჟულ სკოლაში გადაეყვანა. 1891 წელს, ირლანდიის გამათავისუფლებელი მოძრაობის ლიდერის ჩარლზ პარნელის სიკვდილის შემდეგ, ჯოისმა თავისი პირველი ლექსი დაწერა სახელწოდებით „პარნელი“,რომელიც არ შემონახულა. უნივერსიტეტში ჯოისი წერს ესსეს ჰენრიკ იბსენის შემოქმედების შესახებ „დრამა და ცხოვრება“. ამის შემდგომ მწერალი თანდათან ქმნის მოთხრობებს, რომლებიც მოგვიანებით მის კრებულში „დუბლინელებში“ შეეიდა.

1914 წლის პირველ მარტს ჯოისმა მუშაობა დაიწყო თავის ყველაზე გახმაურებულ ნაწარმოებზე. ეს არის „ოდისეა“ ორ დუბლინელზე, რომლებიც ეროი დღის განმავლობაში მთელ ქალაქში დადიან და არანაირი განსაკუთრებული მიზანი არ აქვთ. „ულისე“ შეფასებულია თანამედროვე ეპოსად, რომელმაც გადატრიალება მოახდინა მსოფლიო ლიტერატურაში. „ულისეს“ ბეჭდვა ამერიკულმა „Little Review“-მ 1918 წელს დაიწყო, თუმცა მხოლოდ 14 ეპიზოდის დაბეჭდვა მოახერხა. რომანი ძალიან გამომწვევად ჩათვალეს, სასამართლო პროცესის შემდეგ ამერიკაში მისი გამოქვეყნება აიკრძალა. „ულისე“ 1922 წელს პარიზში გამოიცა, ხოლო დიდ ბრიტანეთში მისი გავრცელება აკრძალეს. ეს წიგნი ლონდონში მხოლოდ 1936 წელს დაბრუნდა, ხოლო მის მშობლიურ ირლანდიაში – 60-იან წლებში. „ულისეს“ მიხედვით გადაღებული ფილმი ირლანდიელებმა მხოლოდ 21-ე საუკუნეში ნახეს. თანამემამულეებმა, რომელთაც ნაციონალიზმის გამძაფრებული გრძნობა აქვთ, ჯოისს ირლანდიელების მიმართ მკვეთრი გამონათქვამები ვერ აპატიეს, რასაც ერის შეურაცხყოფად მიიჩნევდნენ.

ჯეიმს ჯოისი: „არ შემიძლია ეწერო ისე, რომ შეურაცხყოფა არ მივაყენო ადამიანებს!“

უბედური შემთხვევა

მისტერ ჯეიმს დაფი ჩეპელაიზოდში ცხოვრობდა, იმიტომ რომ, სურდა, რამდენადაც შეიძლებოდა, შორს ყოფილიყო ქალაქიდან, რომლის მოქალაქედაც ითვლებოდა და კიდევ იმიტომ, რომ დუბლინის სხვა გარეუბნები უხეირო, მეტისმეტად თანამედროვე და პრეტენციოზული ეჩვენებოდა. იგი ძველ, პირქუშ სახლში ცხოვრობდა, რომლის ფანჯრები გაუქმებულ არყის სახდელ ქარხანასა და იმ წყალმარჩხ მდინარეს გადასცქეროდა, რომელზედაც დუბლინია გაშენებული. მისი მაღალჭერიანი ოთახის კედლებზე არც ერთი სურათი არ ეკიდა. არც იატაკზე ეგო ფარდაგი. მთელი ავეჯი თვითონვე ჰქონდა ნაყიდი. შავი რკინის საწოლი, რკინის პირსაბანი, ჩალის ოთხი სკამი, ტანისამოსის საკიდი, ნახშირის ყუთი, მაშა და აქანდაზი, და ოთხკუთხა მაგიდა, რომელზეც ორმაგი პიუპიტრი იდგა. წიგნის კარადის მაგივრობას წალოში ჩადგმული გარანდული ფიცრის თაროები სწევდა. საწოლზე თეთრი გადასაფარებელი ეფარა, ფეხთით შავ-წითელი პლედი იდო. პირსაბანთან ხელის პატარა სარკე ეკიდა, ბუხრის თავის ერთადერთ სამკაულს კი თეთრშუქფარიანი ლამპა წარმოადგენდა, ისიც მხოლოდ დღისით. გარანდული ფიცრის თაროებზე წიგნები სიმაღლისდა მიხედვით იყო განლაგებული. სულ ქვედა თაროს ერთ კუთხეში მთელი უორდსუორთი

მოჩანდა, ზედა თაროს საპირისპირო კუთხე კი უბის წიგნაკის კოლენკორის ყდაში ჩასმულ მეინუთისეულ კატეხიზმოს დაეკავებინა. პიუპიტრზე ყოველთვის ნახავდით საწერ მოწყობილობას. უჯრაში კი ჰაუპტმანის „მიქაელ კრამერის“ თარგმანის ხელნაწერი ინახებოდა. სასცენო რემარკები წითელი მელნით იყო მიწერილი. იქვე იყო საწერი ქაღალდის პატარა დასტაც, თითბრის სამაგრით შეკრული. ამ ფურცლებზე ხანდახან თითო-ოროლა წინადადება გაჩნდებოდა ხოლმე. ირონიული განწყობილების ჟამს თავფურცელზე ღვიძლის წამლის რეკლამა დაეწებებინათ. ხოლო თუ პიუპიტრის სახურავს ახდიდით, ცხვირში ოდნავ საგრძნობი სურნელი გეცემოდათ: კედრის ახალთახალი ფანქრების, წებოსი თუ უჯრაში დავიწყებული გადამწიფებული ვაშლის სურნელი.

მისტერ დაფის ეზიზღებოდა ყველაფერი, რაც სულიერ თუ ფიზიკურ მოუწესრიგებლობაზე მეტყველებდა. შუასაუკუნეების ბრძენი მას, ალბათ, სატურნის ნიშნის ქვეშ დაბადებულად ჩათვლიდა. სახეზე განვლილი წლების აშკარა კვალი აჩნდა და დუბლინის ქუჩების მუქი ფერი დაჰკრავდა. მოგრძო, კარგა მოზრდილი თავი ხეშეში შავი თმით ჰქონდა შემოსილი, ულაული ულვაშები ძლივს უფარავდა გაუცინარ პირს. წინწამოწეული ყვრიმალები მკაცრ გამომეტყველებას აძლევდა მის სახეს. მაგრამ ულაული წარბების ქვემოდან მომზირალ თვალებში სიმკაცრე აღარ ეტყობოდა. ეს თვალები ისეთნაირად უცქერდნენ სამყაროს, რომ იფიქრებდით, მათი პატრონი სიხარულით მიესალმებოდა, ვინმესთვის ცოდვათა გამოსყიდვის სურვილი რომ შეემჩნია, მაგრამ ხშირად დარჩენილა იმედგაცრუებულიო. საკუთარ თავს გარეშე კაცის თვალით ზომავდა, ეჭვით უყურებდა თავის საქციელს. უცნაური ჩვეულება ჰქონდა, დროდადრო გუნებაში შეთხზავდა ხოლმე მოკლე ფრაზას საკუთარ თავზე, ოღონდ ქვემდებარე ამ ფრაზაში ყოველთვის მესამე პირით იყო წარმოდგენილი, შემასმენელი კი ნამყო დროს გამოხატავდა. მოწყალებას არასოდეს გასცემდა, კაკლის მაგარ ჯოხზე დაყრდნობილი ყოველთვის მტკიცედ მიაბიჯებდა.

მრავალი წლის განმავლობაში კერძო ბანკის მოლარედ მუშაობდა ბეგოტ-სტრიტზე. ყოველ დილით ჩეპელაიზოდიდან ტრამვაის მოჰყვებოდა. შუადღისას დენ ბერკთან საუზმობდა – ერთი ბოთლი ლუდითა და ორცხობილით ნაყრდებოდა. ოთხ საათზე სამსახურს ათავებდა. სადილად ჯორჯ-სტრიტზე, პატარა სასადილოში დაიარებოდა, სადაც, თავს მშვიდად გრძნობდა და არ ეშინოდა, რომ დუბლინის ოქროს ახალგაზრდობის

წარმომადგენლებს გადაეყრებოდა. აქ კარგადაც აჭმევდნენ და იაფიც უჯდებოდა. საღამოებს ან თავისი დიასახლისის როიალთან ატარებდა, ანდა ქალაქის მიდამოებში დაეხეტებოდა. მოცარტის სიყვარულს ზოგჯერ ოპერაში ან კონცერტზე მიჰყავდა ხოლმე: ეს იყო ერთადერთი გასართობი მის ცხოვრებაში.

არც მეგობარი ჰყავდა, არც ამხანაგი, არც რწმენა ჰქონდა, არც რელიგია. საკუთარი შინაგანი ცხოვრებით ცხოვრობდა, არავის ეკარებოდა, არავის იკარებდა. ნათესავებს მხოლოდ შობის დღეებში თუ მოინახულებდა, ანდა სასაფლაოზე მიაცილებდა. ამ ორ სოციალურ ვალდებულებას მხოლოდ ტრადიციების ხათრით ასრულებდა. სხვაში კი არაფერში ემორჩილებოდა იმ პირობითობას, რომელიც ადამიანთა საზოგადოებას განაგებს. სავსებით ბუნებრივად მიაჩნდა ის აზრი, რომ თუ დასჭირდებოდა, თავისი ბანკის გაძარცვაც შეეძლო. მაგრამ რაკი ამის საჭიროებას ჯერჯერობით ვერ ხედავდა, მისი ცხოვრება ერთფეროვნად მიედინებოდა – იმ მოთხრობასავით, სადაც მოულოდნელი არაფერი ხდება.

ერთ საღამოს, როტონდაში ორი ქალბატონის გვერდით აღმოჩნდა. დარბაზი ნახევრად ცარიელი იყო და მდუმარებდა. ეს კი ჩავარდნას მოასწავებდა. მის გვერდით მჯდომმა ქალმა თვალი მოავლო ცარიელ დარბაზს და თქვა:

– რა სამწუხაროა, რომ დღეს ასე ცოტა ხალხია. ცარიელი სკამების წინაშე სიმღერა არც ისე სასიამოვნოა.

ეს შენიშვნა კაცმა ლაპარაკში გამოწვევად ჩათვალა. ქალს თავისუფლად ეჭირა თავი და ამან ძალზე გააოცა. ვიდრე საუბრობდნენ, ცდილობდა, კარგად აღებეჭდა მეხსიერებაში მისი ნაკვთები. როცა გაიგო, რომ ქალის გვერდით მჯდარი გოგონა მისი ქალიშვილი იყო, გაიფიქრა, ერთი ან ორი წლით თუ იქნება ჩემზე უმცროსიო. ქალის ოდესღაც ლამაზ სახეს ჯერ კიდევ შერჩენოდა მიმზიდველობა. მოგრძო სახე ჰქონდა, ნაკვთები – მკვეთრად გამოხატული,თვალები კი მუქი ლურჯი, უშიშარი. ამ თვალთა მზერა თავდაპირველად გამომწვევი გეჩვენებოდათ, მერე კი ენისლებოდა, იფიქრებდით, თვალის კაკალი ფერად გარსს შეერწყაო. ეს ერთის წამით ააშკარავებდა მის მგრძნობიარე ბუნებას. მაგრამ თვალი ისევ ჩქარა ეწმინდებოდა, სანახევროდ გამეღავნებული ტემპერამენტი ისევ სიფრთხილესა და კეთილგონიერებას ემორჩილებოდა, და მაღალ მკერდზე

შემოტმასნილი კრაველის ქურქი მის გამომწვევ მზერას კიდევ უფრო შესამჩნევს ხდიდა.

რამდენიმე კვირის შემდეგ ხელახლა შეხვდა იმ ქალს. ერლსფორტ-ტერესში გამართულ კონცერტზე. და როცა ქალიშვილის ყურადღება რაღაცამ მიიპყრო, დრო იხელთა და დედას უფრო ახლოს გაეცნო. ერთიორ-ჯერ ქალმა ქმარი ახსენა, მაგრამ მის ტონში გაფრთხილება (ან თავდაცვის სურვილი) არ იგრძნობოდა. ქალს მისის სინიკო ერქვა. მისი ქმრის პაპის პაპა წარმოშობით ლივორნოდან ყოფილიყო. ქმარი სავაჭრო გემის კაპი-ტანი აღმოჩნდა. ჰოლანდია-დუბლინის ხაზზე დაცურავდა. მხოლოდ ერთი შვილი ჰყავდათ.

მესამედაც რომ შეხვდა შემთხვევით, იმდენი გამბედაობა გამოიჩინა, – პაემანი დაუნიშნა. ქალი მოვიდა. იმ პირველ შეხვედრას კიდევ მრავალი მოჰყვა. ყოველთვის საღამოობით ხვდებოდნენ ხოლმე ერთმანეთს და წყნარ ქუჩებს ირჩევდნენ სასეირნოდ. მაგრამ მისტერ დაფის თვალთმაქცობა ძალიან ეჯავრებოდა და როცა მიხვდა, რომ ერთმანეთის ნახვა მხოლოდ მალულად შეეძლოთ, აიძულა ქალი შინ მიეწვია. კაპიტან სინიკოს ეგონა, მისტერ დაფი ჩემი ქალიშვილის ხელზე ოცნებობსო და გულღიად ხვდე-ბოდა სტუმარს. მას ისე გულწრფელად ამოეშალა ცოლი საკუთარ გასარ-თობთა სიიდან, რომ ვერც კი წარმოედგინა, თუ სხვა ვინმეს შეეძლო ამ ქალით დაინტერესებულიყო. რაკი ქმარი ხშირად ზღვაში იყო, ქალიშვილი კი მუსიკის გაკვეთილებზე დაიარებოდა, მისტერ დაფის ხშირად ეძლეოდა შემთხვევა მარტო დარჩენილიყო ქალთან. აქამდე არც ერთს არ გამოეცადა მსგავსი რამ და ამ შეხვედრებში ცუდს არაფერს ხედავდნენ. თანდათანობით კაცმა თავის სულში ჩაახედა ქალი. წიგნებით ამარაგებდა, გონებას უვითარებდა, საკუთარ ფიქრებსა და აზრებს უზიარებდა. ქალი ყოველივეს გულისყურით ისმენდა.

ზოგჯერ, კაცის მსჯელობის საპასუხოდ, თავისი ცხოვრებიდან მოი-ყვანდა ხოლმე მაგალითს. თითქმის დედობრივი მზრუნველობით აქეზებდა მთლიანად გადმოეშალა თავისი გულის ნადები. მისი სულის მესაიდუმლე გახდა. კაცმა უამბო, რომ ერთი ხანობა ირლანდიის სოციალისტური პარტიის კრებებზე დადიოდა, მაგრამ თავს უცხოდ გრძნობდა გამჭვარტ-ლული ნავთის ლამპით განათებულ სხვენზე, პირქუშ მუშებს შორის. მერე კი, როცა პარტია სამ ფრაქციად დაიშალა, და თითოეულმა საკუთარი ლიდერი და სხვენი იშოვნა, კრებებზე სიარულს თავი დაანება. მუშათა

მსჯელობა ძალზე უსუსური ეჩვენებოდა. მეტისმეტად დიდ ინტერესს იჩენდნენ ხელფასის მიმართო, ამბობდა. გრძნობდა, რომ ისინი უხეში მატერიალისტები იყვნენ და აღშფოთებით უყურებდნენ ყოველგვარ დახვეწილობას და სიფაქიზეს, რაც, თავისუფალი დროის უქონლობის გამო პირადად მათთვის მიუღწეველი იყო. ვინ იცის, კიდევ რამდენი საუკუნე გავა, ვიდრე დუბლინში სოციალური რევოლუცია მოხდებოდესო, ეუბნებოდა იგი ქალს.

მისის სინიკომ ჰკითხა, რატომ თქვენს აზრებს ქაღალდზე არ გადაიტანთო.

— რა საჭიროა, — უპასუხა კაცმა ზიზღით, — იმ ყბედებს ხომ არ გავეჯიბრები, ოცდაათი საუკუნის განმავლობაში რომ არ შეუძლიათ თანმიმდევრულად იაზროვნონ? რისთვის ჩავიწერო? იმისათვის, ხომ არა, რომ მერე ვიგერიო თავდასხმები ბრიყვ მდაბიოთა, რომელნიც თავიანთ მორალს პოლიციას ანდობენ, ხელოვნებას კი — იმპრესარიოს.

მისტერ დაფი ხშირად დადიოდა ქალთან მის პატარა კოტეჯში, დუბლინის მახლობლად და არც ისე იშვიათი იყო შემთხვევა, როცა საღამოობით მარტონი რჩებოდნენ.

რაც უფრო მეტად ეთვისებოდნენ ერთმანეთს, მათი საუბარიც მით უფრო ინტიმურ ხასიათს იღებდა. ქალის მეგობრობა მისტერ დაფისთვის იგივე იყო, რაც სათბურის ჰავა ეგზოტიკური მცენარისათვის. ბევრჯერ კიდეც შემოჰღამებიათ, მაგრამ ქალი ლამპის ანთებას არ ჩქარობდა. ბნელი, მყუდრო ოთახი, მარტოობა, მუსიკა, რომელიც ჯერ კიდევ ჩაესმოდათ ყურში — ყველაფერი ეს მათ ერთმანეთთან აახლოებდა. ეს სიახლოვე აღაფრთოვანებდა კაცს, ხასიათს უფაქიზებდა, უფრო მგრძნობიარეს ხდიდა მის შინაგან სამყაროს. ზოგჯერ თავის თავს იმაზეც კი წაასწრებდა ხოლმე, რომ საკუთარი ხმის ჟღერას უსმენდა. ასე ეგონა, ქალის თვალში თვით ანგელოზის რანგამდე ავმაღლდიო, და რაც უფრო მეტად ეუფლებოდა თავისი ქალბატონის მგზნებარე გულს, მით უფრო ცხადად ჩაესმოდა ყურში უცნაური იდუმალი ხმა, რომელიც საკუთარ ხმად ეჩვენებოდა. ეს ხმა ჯიუტად ჩასძახოდა, უკურნებელიაო მარტოობა სულისა. „ჩვენ არ ძალგვიძს ჩვენი თავის გაცემა“, — ამბობდა ხმა, — მხოლოდ ჩვენსავე თავს ვეკუთვნითო. მათ საუბრებს მოულოდნელად მოეღო ბოლო. ერთ საღამოს, მისის სინიკომ, რომელიც უჩვეულო მღელვარებას ამჟღავნებდა, ენებიანად აიტაცა მისი ხელი და ლოყაზე მიიკრა.

მისტერ დაფის გაოცებას საზღვარი არ ჰქონდა. აი, თურმე, როგორ გაუგიათ მისი სიტყვები, ერთბაშად აეხილა თვალი, ილუზიები გაუქრა. მთელი კვირა ისე გავიდა, ქალი აღარ უნახავს. მერე ბარათი მისწერა, შეხვედრას სთხოვდა. და რაკი არ სურდა, რომ მათი უკანასკნელი პაემანი დანგრეულ საალმსარებლოზე ფიქრს ჩაემწარებინა, ერთმანეთს პარკის ჭიშკართან, პატარა საკონდიტროში შეხვდნენ. შემოდგომის ცივი დღე იყო, მაგრამ, სიცივის მიუხედავად, მთელ სამ საათს დახეტიალობდნენ პარკში. გადაწყვიტეს, ერთმანეთს აღარ შეხვედროდნენ: ყოველგვარ კავშირს მწუხარება მოსდევსო, — თქვა მისტერ დაფიმ. პარკიდან გამოსულებმა ხმის ამოუღებლად გასწიეს ტრამვაის გაჩერებისაკენ, მაგრამ მისის სინიკოს უეცრად ისეთი კანკალი აუტყდა, რომ მისტერ დაფის შეეშინდა, კიდევ არაფერი დაემართოსო და სასწრაფოდ გამოემშვიდობა. რამდენიმე დღის შემდეგ ამანათი მიიღო. შიგ მისი წიგნები და ნოტები ეწყო.

მას შემდეგ ოთხი წელი გავიდა. მისტერ დაფი თავის ჩვეულებრივ ცხოვრებას დაუბრუნდა. მისი ოთახი ძველებურად წესრიგისა და სისუფთავის ნიმუში იყო. ძირს, სასტუმრო ოთახში, სანოტე თარო ახალ ნოტებს გაევსო. წიგნის თაროზე კი ნიცშეს ორი ტომი გაჩნდა: „ასე ამბობდა ზარათუსტრა“ და „მხიარული მეცნიერება“. იშვიათად თუ დაწერდა რამეს იმ ქალალდებზე, უჯრაში რომ ეწყო. ერთი ფრაზა, რომელიც მისის სინიკოსთან უკანასკნელი შეხვედრის ორი თვის თავზე დაეწერა, ასე იკითხებოდა: „ორ მამაკაცს შორის სიყვარული შეუძლებელია, რადგან სქესობრივი კავშირი დაუშვებელია. ქალსა და მამაკაცს შორის მეგობრობა შეუძლებელია, რადგან სქესობრივი ლტოლვა გარდაუვალია“.

კონცერტებზე სიარულს თავი ანება, რომ მისის სინიკოს აღარ შეხვედროდა. მამა მოუკვდა. საბანკო ფირმის უმცროსი კომპანიონი საქმიდან გავიდა. ის კი, ძველებურად, ყოველ დილით ტრამვაის მიჰყვებოდა ქალაქამდე, ხოლო საღამოობით ფეხით ბრუნდებოდა შინ, ოღონდ ჯერ ჯორჯსტრიტზე ზომიერად ისადილებდა და დესერტად საღამოს გაზეთს გადაათვალიერებდა.

ერთ დღეს, ის იყო პირთან მიჰქონდა ლორიანი კომბოსტოს ნაჭერი, რომ ხელი უეცრად გაუშეშდა. თვალები ერთ სტატიას დააშტერა საღამოს გაზეთში, რომელიც წყლიან სურაზე მიეყუდებინა, კომბოსტო ისევ თეფშზე დადო და სტატია ყურადღებით წაიკითხა. მერე მთელი ჭიქა წყალი დალია. თეფში გვერდზე გასწია, გაზეთი მაგიდაზე გაშალა, იდაყვებით

დაეყრდნო და სტატია რამდენჯერმე გადაიკითხა. გაციებული ქონი თეთრ აპკად გადაეკრა კომბოსტოს. ოფიციანტი გოგონა მიუახლოვდა და ჰკითხა, საჭმელი ცუდად მომზადებული ხომ არ იყოო. მისტერ დაფიმ უპასუხა, ძალზე გემრიელიაო და ორი-სამი ლუკმა ძლივს გადაყლაპა. მერე ფული გადაიხადა და გავიდა.

სწრაფად მიაბიჯებდა ნოემბრის საღამოს ბინდში. კაკლის მაგარი ჯოხი რიტმულად კაკუნობდა ტროტუარზე. ვიწრო, ორბორტიანი პალტოს ჯიბიდან გაზეთის მოყვითალო წვერი ამოსჩროდა. პარკიდან ჩეპელაი-ზოდისაკენ მიმავალ უკაცურ გზაზე ფეხი შეანელა. ახლა ჯოხს ისე მაგრად აღარ ურტყამდა ტროტუარს. უთანაბრო სუნთქვის ხმას თითქოს კვნესაც ერთვოდა და ყინვიან ჰაერში იკარგებოდა. სახლამდე რომ მიაღწია, მაშინვე თავის ოთახში ავიდა, ჯიბიდან გაზეთი ამოიღო და ფანჯრის წინ, დაისის მქრქალ შუქზე, კიდევ ერთხელ წაიკითხა სტატია. უხმოდ კითხულობდა, მაგრამ ტუჩებს ისე აცმაცუნებდა, როგორც მღვდელი, რომელიც თავისთვის ჩუმად კითხულობს ლოცვას. აი, რა ეწერა სტატიაში.

ძალის სიკვდილი სიდნეი-პერედზე

უბედური შემთხვევა

დღეს დუბლინის საქალაქო საავადმყოფოში გამომძიებლის თანაშემწემ (მისტერ ლეევერეტის არყოფნის გამო) გასინჯა გვამი ორმოცდასამი წლის მისის სინიკოსი, რომელიც მოკლულ იქნა გუშინ სიდნეი-პერედის სადგურზე. მოწმეთა ჩვენებით დადასტურდა,რომ ქალი ლიანდაგზე გადასვლას ცდილობდა, როცა მას დაეჯახა კინგსტაუნიდან მომავალი ათი საათის მატარებელი. ამ დაჯახების შედეგად ქალს დაუზიანდა თავი და მარჯვენა ფერდი, რამაც სიკვდილი გამოიწვია.

მემანქანე ჯეიმს ლენონის ჩვენებით, იგი თხუთმეტი წლის მანძილზე ემსახურება სარკინიგზო კომპანიას. კონდუქტორის სასტვენის შემდეგ მან დაძრა მატარებელი, მაგრამ თითქმის მაშინვე შეაჩერა, რადგან ხმამაღლა ყვირილი შემოესმა. მატარებელი ნელა მიდიოდა.

მებარგულ პ. დანის ჩვენებით, ის იყო მატარებელი უნდა დაძრულიყო, რომ მან შეამჩნია ქალი, რომელიც ლიანდაგზე გადასვლას ცდილობდა. მაშინვე მისკენ გაიქცა ყვირილით, მაგრამ ვეღარ მიუსწრო. ქალი ორთქლ-მავლის ბუფერმა ძირს დასცა.

ნაფიცი მსაჯული: — თქვენი თვალით ნახეთ, რომ ქალი დაეცა?

მოწმე: — დიახ.

პოლიციის სერჟანტმა კროლიმ აჩვენა, როცა ადგილზე მივედი, ქალი ბაქანზე იწვა და ეტყობოდა, უკვე მკვდარი იყოო. მაშინვე განკარგულება გაუცია სანიტარული მანქანის მოსვლამდე დარბაზში გადაეტანათ.

კონსტებლმა 57-მა ეს ჩვენება დაადასტურა.

ექიმმა პელპინმა, დუბლინის საქალაქო საავადმყოფოს ქირურგმა, ჩვენების მიცემისას განაცხადა, რომ დაშავებულს აღმოაჩნდა ორი ქვედა ნეკნის მოტეხილობა და მარჯვენა მხრის მძიმე დაჟეჟილობა. თავის მარცხენა მხარე დაცემის დროს ჰქონდა დაზიანებული. ეს დაზიანებები, თავისთავად, ნორმალურ მდგომარეობაში მყოფი ადამიანისათვის სასიკვდილო არ უნდა ყოფილიყო, განაცხადა ქირურგმა. სიკვდილი, მისი აზრით, გამოიწვია შოკმა და გულის უეცარმა დამბლამ.

მისტერ პ. ბ. პეტერსენ-ფინლეიმ, სარკინიგზო კომპანიის სახელით, დიდი მწუხარება გამოთქვა უბედური შემთხვევის გამო. კომპანია ყოველგვარ ზომებს ხმარობდა, რომ ხალხს მხოლოდ ხიდებზე ეევლო და ამ მიზნით ყოველ სადგურზე მაჩვენებლებს ჰკიდებდა, ყოველ გადასასვლელთან კი ავტომატურ შლაგბაუმებს დგამდა. მიცვალებულს ჩვეულებად ჰქონია გვიან საღამოს ბაქნიდან ბაქანზე გადასვლა, ამას გარდა, კომპანია მხედველობაში ღებულობს ამ საქმის ზოგიერთ სხვა გარემოებასაც და სარკინიგზო კომპანიის მოსამსახურენი დამნაშავედ არ მიაჩნია.

ჩვენება ჩამოართვეს, აგრეთვე, გარდაცვლილის ქმარს, კაპიტან სინიკოს, რომელიც ლეოვილში ცხოვრობს, სიდნეი-პერედზე. მან დაადასტურა, რომ დაშავებული ნამდვილად მისი ცოლი იყო. უბედური შემთხვევის დროს იგი დუბლინში არ ყოფილა და მხოლოდ დღეს დილით დაბრუნებულა როტერდამიდან. ოცდაორი წლის წინათ შეუღლებულან და ბედნიერად უცხოვრიათ მანამდე, სანამ, ორიოდე წლის წინათ, მის ცოლს ერთგვარი თავშეუკავებლობა არ დასჩემდა.

მის მერი სინიკომ განაცხადა, რომ უკანასკნელ ხანს დედამისს ჩვეულებად ჰქონდა გვიან საღამოს შინიდან გასვლა სპირტიანი სასმელების საყიდლად. მოწმე არაერთხელ ცდილა, ზეგავლენა მოეხდინა დედაზე და ემუდარებოდა, სმას თავი ანებეო. უბედური შემთხვევის დროს იგი შინ არ ყოფილა, მხოლოდ ერთი საათის შემდეგ დაბრუნებულა.

ნაფიცმა მსაჯულებმა სამედიცინო ექსპერტიზაზე დაყრდნობით განაჩენი გამოიტანეს, რომლის თანახმად ლენონი პასუხისგებისაგან თავისუფლდება.

გამომძიებლის თანაშემწემ განაცხადა, რომ ეს შემთხვევა მეტად სამწუხაროა და უღრმესი სამძიმარი უთხრა კაპიტან სინიკოსა და მის ქალიშვილს. სარკინიგზო კომპანიას კი ურჩია, გადამჭრელი ზომები მიიღონ, რომ მსგავსი შემთხვევა მომავალში აღარ განმეორდეს. ამჟამად დამნაშავე არავინ აღმოჩნდა.

მისტერ დაფიმ თვალი მოსწყვიტა გაზეთს და ფანჯრიდან გახედა საღამოს მოწყენილ პეიზაჟს. მდინარე ზანტად მიედინებოდა უკაცური ქარხნის გასწვრივ. დროდადრო ლუკენის გზაზე რომელიმე სახლში შუქი აკიაფდებოდა ხოლმე. როგორი ბოლო ჰქონია! მისი სიკვდილის გარემოებათა ასეთმა აღწერამ ძალზე აღაშფოთა. აღაშფოთა ამაზე ფიქრმა, რომ ოდესღაც ამ ქალს თავისი გულის წმიდათა წმიდა ხვაშიადს ანდობდა. გაცვეთილი ფრაზები, ყალბი თანაგრძნობის სიტყვები, ფრთხილი გამოთქმები რეპორტიორისა, რომელიც აიძულეს დაემალა ამ ეულგარული სიკვდილის დეტალები – ყოველივე ეს გულს ურევდა. ამ ქალმა მარტო თავისი თავი როდი შეურაცხყო. ისიც, მისტერ დაფიც, ლაფში ამოსვარა. ნათლად ხედავდა იმ სამარცხვინო, უწმინდურ გზას, რომლითაც მისმა ბიწიერებამ იარა. ნუთუ ეს ქალი მისი სულის სწორი იყო! ის უბედურები გაახსენდა, ფეხარეულნი ბარბაცით რომ მიათრევენ ცარიელ ბოთლებსა და დოქებს ბარისაკენ. ღმერთო, როგორი ბოლო ჰქონია. ალბათ, მართლა არ გააჩნდა სიცოცხლის უნარი, უნიათო და უნდილი იყო, ჩვეულებათა მონა, ერთი იმათგანი, ვის ძვლებზედაც შენობს ცივილიზაცია. მაგრამ, როგორ დაეცა ასე დაბლა? ნუთუ შეიძლებოდა, ამ ხნის კაცი ასე მწარედ მოტყუებულიყო ადამიანის ცნობაში? გაახსენდა იმღამინდელი მისი საქციელი და ახლა უფრო მკაცრად განსაჯა, ვიდრე ოდესმე. ხელს აღარაფერი უშლიდა, რომ საკუთარ სიმართლეში კიდევ ერთხელ დარწმუნებულიყო.

რაც უფრო მეტად ბინდდებოდა, მისტერ დაფის წარმოსახვა მით უფრო ფრთებს ისხამდა: ეჩვენებოდა, თითქოს ქალის ხელის შეხებას გრძნობდა. უეცარმა ელდამ წეღან გული აურია, ახლა კი ნერეული აგზნება გამოიწვია. სწრაფად ჩაიცვა პალტო, ქუდი დაიხურა და ქუჩაში გავიდა. ცივი ქარი კარის ზღურბლზევე ეძგერა, პალტოს სახელოებში

შეუძერა. ჩეპელაიზოდ-ბრიჯამდე რომ მიაღწია, ბარში შევიდა და ცხელი პუნში შეუკვეთა.

ბარის პატრონი მიელაქუცა, მაგრამ დალაპარაკება ვერ გაუბედა. დარბაზში ხუთი თუ ექვსი მუშა იყო, კილდერის საგრაფოს რომელიღაც მამულის ღირებულებაზე დავობდნენ. ნელ-ნელა წრუპავდნენ სასმელს ვეება ტოლჩებიდან, თამბაქოს ეწეოდნენ და პირდაპირ იატაკზე აფურთხებდნენ, მერე კი მძიმე ჩექმებით ნახერხს ხვეტავდნენ და ნაფურთხებს ზედ აყრიდნენ. მისტერ დაფი თავის სკამზე იჯდა და მუშებს შესცქეროდა, მაგრამ ვერც ვერაფერს ხედავდა და არც არაფერი ესმოდა. მუშები ჩქარა წავიდნენ, მან კი მეორე ჭიქა პუნში შეუკვეთა. კარგა ხანს შერჩა სასმელს. ბარში სიწყნარე იყო. მეპატრონე დახლს მიყრდნობოდა. „ჰერალდს“ კითხულობდა და თან ამთქნარებდა. დროდადრო ტრამვაი თუ გაიქროლებდა ქუჩაში.

ასე იჯდა, იხსენებდა მისის სინიკოსთან ერთად გატარებულ დღეებს და რიგრიგობით იწვევდა გონების თვალწინ იმ ორ ხატებას, რომლითაც ახლა ევლინებოდა ქალი. და უცებ ნათლად შეიგრძნო, რომ ის მოკვდა. არსებობა შეწყვიტა და მოგონებად იქცა. გული დაუმძიმდა. საკუთარ თავს ეკითხებოდა, სხვანაირად როგორ უნდა მოექცეულიყავიო. მეტ თვალთმაქცობას ვეღარ შეძლებდა. მასთან აშკარად ვერ იცხოვრებდა. ისე მოიქცა, როგორც უკეთესად ეჩვენებოდა. მაშ, რაღა იყო მისი დანაშაული? ახლა, როცა მისის სინიკო მკვდარი იყო, იგი მიხვდა, რა აუტანელი უნდა ყოფილიყო ქალის ცხოვრება, რა სიმარტოვე უნდა განეცადა დაუსრულებელი საღამოების განმავლობაში იმ ოთახში გამომწყვდეულს. თვითონაც მარტოობაში გალევს თავის წუთისოფელს, ვიდრე მასავით არ მოკვდება, არ შესწყვეტს არსებობას და მოგონებად არ გადაიქცევა, თუკი მომგონებელი მაინც ეყოლება.

უკვე მეათე საათი იყო, ბარიდან რომ გამოვიდა. ცივი ღამე იყო, მოქუფრული. პარკში შევიდა პირველივე ჭიშკრით და შიშველ ხეებქვეშ ხეტიალს მოჰყვა. დადიოდა გაძარცვულ ხეივნებში, სადაც ოთხი წლის წინ ერთად დასეირნობდნენ. სიბნელეში მის სიახლოვეს გრძნობდა. თითქოს ქალის ხმაც სწვდებოდა ყურს, ხელზე მისი ხელის შეხებას გრძნობდა. გაჩერდა და ყური მიუგდო. რატომ წაართვა სიცოცხლე? რატომ მიუსაჯა სიკვდილი? იგრძნო, რომ ემსხვრეოდა თავისი მორალური პრინციპები.

მეგეზინ-ჰილის წვერზე რომ ავიდა, შედგა და მდინარეს გადახედა. მდინარე დუბლინისკენ მიიზლაზნებოდა. ქალაქის სინათლეები თბილად და გულღიად კიაფობდნენ ციე წყვდიადში. ქვემოთ ჩაიხედა და ბორცვის ძირას, პარკის კედლის ჩრდილში მწოლარე არსებანი შენიშნა. ამ ცოდვილი, ნაპარავი სიყვარულის ხილვამ სასოწარკვეთილებაში ჩააგდო. საკუთარმა პატიოსნებამ შეზარა. ცხოვრების ფერხულიდან გაძევებულად იგრძნო თავი. ერთადერთმა ადამიანმა გაუხსნა გული, შეიყვარა, მან კი იმას სიცოცხლე და ბედნიერება მოუსწრაფა. შერცხვენა, სამარცხვინო სიკვდილი მიუსაჯა. იცოდა, რომ ძირს, კედლის ჩრდილში გართხმული არსებანი თვალს ადევნებდნენ და მის წასვლას ნატრობდნენ. არავის სჭირდებოდა იგი, ცხოვრების ფერხულიდან გაძევებული იყო. მზერა ისევ რუხ, მოლაპლაპე მდინარეზე გადაიტანა, დუბლინისკენ რომ მიიკლაკნებოდა. მდინარის გაღმა საბარგო მატარებელი შენიშნა, კინგს-ბრიჯის სადგურიდან მომავალი, გეგონებოდათ, სიბნელეში ცეცხლისთავიანი ჭიაყელა მოცოცავსო ნელ-ნელა და დაჟინებით.

მატარებელი თვალს მიეფარა, მას კი კარგა ხანს ესმოდა კიდევ ორთქლმავლის ქშენა, რომელიც ქალის სახელს იმეორებდა.

იმავე გზით გამობრუნდა უკან, რომლითაც აქ მოვიდა. მატარებლის რიტმული ხმაური ისევ ყურში ედგა. უეცრად ეჭვი შეეპარა ყოველივე იმის რეალობაში, რასაც მეხსიერება ინახავდა. ხის ქვეშ შეჩერდა და იქამდე იდგა, ვიდრე რიტმული ხმაური არ მიწყდა. ახლა აღარც ქალის სიახლოვეს გრძნობდა სიბნელეში, აღარც მისი ხმა სწვდებოდა ყურს. რამდენიმე წუთს იცდიდა, ყურგამახვილებული. აღარაფერი გაუგონია. მდუმარებდა ღამე. ისევ მიუგდო ყური – სრული მდუმარება სუფევდა ირგვლივ და იგრძნო, რომ მარტოდმარტო იყო ქვეყანაზე.

თარგმნა ლია იმერლიშვილმა

ანატოლ ფრანსი

16.04.1844 – 12.10.1924

დიდი ფრანგი მწერალი, რომლის ნამდვილი სახელი და გვარია ანატოლ ფრანსუა ტიბო. დაიბადა და აღიზარდა პარიზში, ბუკინისტის ოჯახში; სწავლობდა წმ. სტანისლავის კოლეჯში, ხედმიწევნით იცოდა კლასიკური ენები, ანტიკური და ფრანგული ლიტერატურა, მუშაობდა ბიბლიოგრაფიულ გამოცემებზე, წერდა რეცენზიებსა და წინასიტყვაობებს. მიუხედავად იმისა, რომ 15 წლისამ გამოსცა პირველი წიგნი „ალფრედ დე ვინის პოეზია", ფრანსმა მაშინვე ვერ მიაგნო თავის სამწერლო გზას, ლიტერატურულ თემას, მხატვრულ სტილს („მოოქრული ლექსები", 1873; დრამატული პოემა „კორინთული ქორწილი", 1876); ფრანსის პირველი პროზაული ნაწარმოებია რომანი „უან სერვიენის სურვილი" (1872), რომელშიც პარიზის კომუნა გააკრიტიკა. მაგრამ სახელი მას 1881 წელს გამოქვეყნებულმა რომანმა „სილვესტრ ბონარის დანაშაულმა" მოუტანა. რომანის ჟანრში ფართოდ გაიშალა ფრანსის შემოქმედებითი შესაძლებლობები. ამის დასტურია რომანები: „თაისი" (1890), „ბატისფეხა დედოფლის დუქანი" (1893), „ბატონ ჟერომ კუანიარის მრწამსი" (1893) და სხვ. მწერლის რეალისტური ხელოვნების მწვერვალადაა მიჩნეული ტეტრალოგია „თანამედროვე ისტორია", რომელიც შეიცავს რომანებს – „გზისპირა თელის ქვეშ" (1897), „ტირიფის მანეკენი" (1897), „ამეთვისტოს ბეჭედი" (1899), „ბატონი ბერჟერე პარიზში" (1901); უნდა აღინიშნოს, აგრეთვე, სოციალურ-ფილოსოფიური რომანი „თეთრი ქვაზე" (1905), სატირული რომანი „პინგვინთა კუნძული" (1908) და ისტორიული რომანის კლასიკური ნიმუში „ღმერთებს სწყურიათ" (1972), ზღაპრულ-ფანტასტიკური რომანი „ანგელოზთა ამბოხი" (1914), ისტორიული თხზულება „ჟანა დ'არკის ცხოვრება" (1908) და სხვ. მრავალ პიესასა და სტატიასთან ერთად, ფრანსი ავტორია ნოველების რამდენიმე კრებულისა – „ბალთაზარი" (1889), „კლიო" (1901) და სხვ. ანატოლ ფრანსმა გაამდიდრა და სრულყოფილებამდე მიიყვანა ინტელექტუალური, ფილოსოფიური რომანის ჟანრი, შექმნა ისტორიულ-ფილოსოფიური, ფილოსოფიურ-პუბლიცისტური, ფილოსოფიურ-სატირული რომანების საუკეთესო ნიმუშები. ნათელი აზროვნების, სტილის უბადლო ოსტატს, საფრანგეთის აკადემიის წევრს (1896), 1921 წელს მიენიჭა ნობელის პრემია „ბრწყინვალე ლიტერატურული მიღწევებისათვის, დახვეწილი სტილისათვის, ღრმად გამოხატული ჰუმანიზმისა და ჭეშმარიტი გალური ტემპერამენტისათვის".

ბალთაზარი

ძღვნად ეჟენ მელქიორ დე ვოგუეს

Magos reges fere habuit Oriens[1]

ტერტელიუსი

ეთიოპიას მეფედ ჯდა ბალთაზარ, რომელს ბერძენნი სარკინოზს უხმობდნენ. შავკანიანი იყო, მაგრამ პირმშვენიერი. გონება მარტივი ჰქონდა, და გული კეთილი. მეფობის მესამე წელს, როს სიცოცხლის ოცდაორი წელი უსრულდებოდა, გადაწყვიტა სტუმრად სწვეოდა საბეველთა დედოფალ ბალკისს. მოგვი სემბობიტისი და საჭურისი მენკერა თან ახლდნენ. უკან მოსდევდა სამოცდათხუთმეტი აქლემი, დატვირთული დარიჩინით, მურით, ოქროს სილითა და სპილოს ეშვებით. მიჰყვებოდნენ გრძელ გზას და სემბობიტისი ბალთაზარს განუმარტავდა, რა ძალით არიან აღჭურვილნი პლანეტები, ან რა თილისმა აქვს პატიოსან თვლებსო. ხოლო მენკერა მბრძანებელს საგალობლებით ატკბობდა. ბალთაზარი სულაც არ უსმენდა მათ. მიშტერებოდა ყურდაცქვეტილ პაწია ტურებს, ქვიშიანი ველის დასალიერზე რომ დაყუნცულიყვნენ. მხოლოდ მათი მზერით გართულიყო მეფე.

---

[1] აღმოსავლეთში მოგვები მეფობდნენ (ლათ.)

თორმეტი დღის მოგზაურობის შემდეგ ბალთაზარს და მის მხლებლებს ვარდის სურნელმა მოჰბერა და მალე მათ თვალთა წინაშე საბეველთა ქალაქის ბაღნარი გადაიშალა.

მგზავრებს აყვავებული ბროწეულების ქვეშ მოცეკვავე ნორჩი ასულნი შემოეყარნენ.

— როკვა ლოცვაა,— წარმოთქვა ბრძენმა სემბობიტისმა.

— ეს ქალწულნი ძვირად გაიყიდებოდნენ, — ჩაურთო საჭურისმა მენკერამ.

ეთიოპიელები დიდად გააოცა ქალაქის ნაირ-ნაირმა დუქნებმა, ფარდულებმა, ხე-ტყის საწყობებმა და დახროვილმა უამრავმა საქონელმა. მიჰყვებოდნენ ურმებით, მებარგულებით, ვირებითა და გამყოლებით სავსე ქუჩებს. და უეცრად მათ წინ აღიმართა ბალკისის სრა-სასახლის მარმარილოს კედლები, ძოწეულის კარვები, ოქროს გუმბათები.

საბეველთა დედოფალმა სტუმრები მიიღო ეზოში, სადაც სურნელოვანი შადრევნები საამო სიგრილეს ჰფენდნენ და კრიალა მარგალიტებად იფანტებოდნენ.

პატიოსანი თვლებით მოოჭვილი კაბა ემოსა დედოფალს და ბაგეზე ღიმილი უციაგებდა.

ბალკისის ხილვამ ბალთაზარს გული აუჩქროლა; ასე მოეჩვენა, ოცნებაზე უფრო ნაზია და ნატვრაზე მეტად წარმტაციო.

— მბრძანებელო, — ჩასჩურჩულა მეფეს სემბობიტისმა, — ეცადეთ, დედოფალთან ხელსაყრელი სავაჭრო გარიგება მოახდინოთ.

— გაფრთხილდით, მეფეო, — დასძინა მენკერამ, — მაგაზე ამბობენ, გრძნეულია და მამაკაცებს ჯადოთი აყვარებს თავსო.

მოგვი და საჭურისი მეფე-დედოფლის ფერხთა წინაშე განერთხნენ, თაყვანი სცეს და განშორდნენ.

ბალთაზარი მარტო დარჩა ბალკისთან. ხმის ამოღება სცადა, პირიც გააღო, მაგრამ სიტყვის თქმა ვერ მოახერხა. თავის თავს უთხრა, დუმილი ჩემს დედოფალს განარისხებსო.

ხოლო დედოფალი ისევ იღიმებოდა და ჩანდა, სულაც არ ჯავრობდა.

მან პირველმა დაარღვია დუმილი და ხმა მისი იყო უფრო ნარნარი, ვიდრე უნატიფესი მუსიკის ჰანგი.

– კეთილი იყოს შენი მობრძანება. მომიჯექ გვერდით.

და სინათლის სხივისდარი ქათქათა თითით ძირს დაყრილ ძოწეულ ბალიშებზე ანიშნა.

ბალთაზარი ფეხმორთხმით დაჯდა, ღრმად ამოიოხრა, ორთავე ხელით ბალიშები ჩაბღუჯა და ხმამაღლა წამოიძახა:

– დედოფალო, ნეტავ ეს ორი ბალიში შენდამი მტრულად განწყობილ ორ დევად გადაიქცეოდეს. ო, როგორ მოვუგრეხდი კისერს!

ამ სიტყვების წარმოთქმისას ისე მაგრად მოუჭირა ხელები ბალიშებს, რომ ქსოვილი გაიხა და თეთრი ბუმბული ღრუბელივით გადმოიფანტა. ერთი პაწია ბუმბული წამით ჰაერში დატრიალდა და დედოფლის მკერდზე დაეცა.

– ხელმწიფეო, – შეეკითხა ღაწვებშეფაკლული ბალკისი, – მერედა, რატომ მოგისურვებია დევების ამოჟლეტა?

– იმიტომ, რომ მიყვარხარ, – მიუგო ბალთაზარმა.

– ისიც მსურს გავიგო, – განაგრძო ბალკისმა, – ეთიოპიაში როგორ ამზადებენ დაშაქრული ხილის ჩირს?

მეფემ არ იცოდა, რა ეპასუხა.

ქალს კი აეჩემებინა.

– მითხარი, თუ გსურს მასიამოვნო, მითხარი.

მაშინ ბალთაზარმა თავს ძალა დაატანა, გონება მოიკრიბა და უამბო, ეთიოპიელი მზარეულები როგორ ხარშავენ კომშს თაფლში. ბალკისი აღარ უსმენდა. უცბად ბალთაზარს სიტყვა გააწყვეტინა:

– ხელმწიფეო, ამბობენ, თითქოს შენს მეზობელს, დედოფალ კანდაკიას ეტრფოდე. ნუ მომატყუებ, მითხარი, ჩემზე ლამაზია თუ არა?

– შენზე ლამაზიო, დედოფალო? – შეჰყვირა ბათაზარმა და ბალკისის ფეხებთან დაემხო, – ნუთუ ეს შესაძლებელია?

დედოფალი განაგრძობდა:

– ჩემს თვალებზე მშვენიერია მისი თვალები? ბაგეები? სახე? მკერდი?

ბალთაზარმა ხელები გაიწოდა ქალისკენ და შეჰღაღადა:

– ოღონდ ნება დამრთე შენს მკერდზე მიკრული ბუმბული ავიღო და ჩემი სამეფოს ნახევარი შენი იყოს, ბრძენ სემბობიტისისა და საჭურის მენკერასთან ერთად.

ბალკისი წამოხტა და კისკისით გაიქცა.

როს მოგვი და საჭურისი მეფეს ეახლნენ, ღრმად ჩაფიქრებული იხილეს იგი, ხოლო ბალთაზარს არა სჩვეოდა ასე ჩაფიქრება.

— მეფეო, სარფიანი სავაჭრო, ხელშეკრულება ხომ არ დადეთ? — ჰკითხა სემბობიტისმა.

იმ დღეს ბალთაზარმა საბეველთა დედოფალთან ივახშმა და პალმის ღვინო შესვა.

— ნუთუ მართალია, — ჰკითხა მას ბალკისმა ვახშმობისას, — რომ დედოფალი კანდაკია ჩემსავით ლამაზი არ არის?

— დედოფალი კანდაკია შავია, — უპასუხა ბალთაზარმა.

ბალკისმა მკვირცხლად შეავლო მას თვალი და უთხრა:

— შეიძლება იყო შავი და არ იყო გონჯი...

— ბალკის, — შეჰყვირა მეფემ...

მეტი არაფერი უთქვამს. მკლავებში მოიმწყვდია ბალკისი და შუბლზე დაეკონა. შენიშნა, ტიროდა ქალი. მაშინ ალერსიანი ჩურჩულით, ტკბილი ღიღინით დაუწყო დამშვიდება, როგორც ძიძებს სჩვევიათ. თავის ნორჩ ყვავილს, პაწია ვარსკვლავს უწოდებდა ბალთაზარი ბალკისს.

— რა გატირებს? — ჰკითხა მან. — როგორ მოვიქცე იმისათვის, რომ აღარ იტირო? მითხარი, რა გსურს და შეგისრულებ საწადელს.

ბალკისი აღარ ტიროდა, ოცნებას გაეტაცა. დიდხანს სთხოვდა ბალთაზარი, ემუდარებოდა, გამიმჟღავნე გულის წადილიო.

დაბოლოს, ქალმა წარმოთქვა:

— მინდა შიშის გრძნობა განვიცადო.

ბალთაზარმა ვერაფერი გაიგო. სატრფომ აუხსნა, დიდი ხანია ვნატრობ ჯერ განუცდელ ფათერაკს გადავეყარო და ოცნება ვერ ავისრულე, რადგან საბეველი ვაუკაცები და ღმერთები ნიადაგ ზრუნვით თავს დამტრიალებენო.

— მსურს, — ოხვრით დასძინა მან, — განვიცადო, ღამით ჩემს სისხლსა და ხორცში როგორ შეიჭრება სანუკვარი შიშის სიცივე. ვიგრძნო, თმა ყალყზე როგორ დამიდგება. ალბათ, დიადია შიშის განცდა!

მკლავი კისერზე შემოაჭდო შავ მეფეს და ბალღივით ატიტინდა:

— ღამეც ჩამოწვა. წამო, მდაბიურად გადავიცვათ და ქალაქში სახეტიალოდ გავწიოთ. ხომ თანახმა ხარ?

თანახმა იყო ბალთაზარი. ბალკისმა მაშინვე მიირბინა სარკმელთან და რიკულებიდან ქალაქის მოედანს გადახედა.

– სასახლის კედელთან მათხოვარი წევს, – უთხრა ქალმა, – გაუცვალე ტანსაცმელი, გამოართვი აქლემის ბეწვის ჩალმა და ჯვალო, ტანზე რომ ახვევია. აბა, იჩქარე, მეც ახლავე ჩავიცვამ.

ბალკისმა სიხარულით ტაში შემოჰკრა და დარბაზიდან გაიჭრა.

ბალთაზარმა ოქრომკედით ნაქარგი ფაქიზი ტილოს ტუნიკა გაიხადა და თეძოებზე მათხოვრის ძონძები შემოიხვია. ამგვარად ჩაცმული ნამდვილ მონას დაემსგავსა. დედოფალი უმალ შემოცქრიალდა; ცისფერი ტილოს უცნაური კაბა ჩაეცვა, სწორედ ისეთი, მინდორში მომუშავე დედაკაცები რომ იცვამენ.

– წავიდეთ, – მიმართა ბალთაზარს.

ვიწრო ტალანებში წინ გაუძღვა და ბოლოს ორივენი მინდორში გამავალ პატარა კარს მიადგნენ.

უკუნეთი ღამე იყო. ბალკისი სიბნელეში ერთი ციცქნა მოჩანდა. მან ბალთაზარი მიიყვანა ერთ-ერთ სამიკიტნოში, სადაც ქალაქის მებარგულები და ქურდბაცაცები მეძავებთან ერთად ღრეობდნენ. მეფე და დედოფალი მაგიდას მიუსხდნენ. გამჭვარტლული ლამპის შუქზე თვალი მიაპყრეს აყროლებულ მატანტალებს, რომლებიც მუშტებითა და დანებით ერთმანეთს გამხეცებულნი დარეოდნენ ერთი ჭიქა არყისა თუ დედაკაცის გამო. ზოგიერთი მაგიდის ქვეშ ხვრინავდა ღრმა ძილში წასული. ტომრებზე გაშხლართული მიკიტანი ლოთების აყალმაყალს ცერად გასცქეროდა.

ბალკისმა კოჭზე ჩამოკიდებულ დამარილებულ თევზს თვალი მოჰკრა და მეგობარს უთხრა:

– ძალიან მინდა გემო გაეუსინჯო დანაყილი ხახვით შეზავებულ თევზს.

ბალთაზარმა თევზი მოატანინა. როცა ბალკისმა შეჭამა, ბალთაზარს გაახსენდა, რომ ფული არ წამოეღო. ეს არაფრად ჩააგდო და დანახარჯის გადაუხდელად დააპირა სამიკიტნოდან გასელა. მიკიტანმა მათ გზა გადაუღობა, ბალთაზარს ბინძური მონა უწოდა, ხოლო ბალკისს უტვინო ვირი. ბალთაზარმა მედუქნე მუშტის ერთი დარტყმით ძირს დაანარცხა. სამიკიტნოს მუდმივმა მუშტრებმა დანები იშიშვლეს და უცნობებს შეუტიეს. შავკანიანმა ხელი დასტაცა ფილთაქვას,რითაც ეგვიპტეში ხახვს ნაყავენ,

იერიშზე გადმოსულ ორ კაცს იქვე სული გააფრთხობინა, დანარჩენებს კი უკან დაახევინა. ბალთაზარი გრძნობდა გვერდით ბალკისის სითბოს და ამიტომაც მისი დამარცხება არავის შეეძლო. მიკიტნის ამფსონებმა ვეღარ გაბედეს პირდაპირ შებმოდნენ ბალთაზარს და დუქნის სიღრმიდან ზეთის ქოთნებს, მოკალულ თეფშებს, ანთებულ ლამპებს ესროდნენ. ბოლოს სპილენძის ვეებერთელა ქვაბიც კი სთხლიშეს. ქვაბი, რომელშიაც მთელ ცხვარს ხარშავდნენ ხოლმე, საშინელი გრუხუნით დაეცა მეფეს და თავი გაუხეთქა. ერთხანს გამოთაყვანებული იდგა, მერე ღონე მოიკრიბა და ისეთი ძალით ისროლა ქვაბი, რომ გაათკეცებული სიმძიმით ძირს დაახეთქა. სპილენძის ჟღრიალი ენით გამოუთქმელ ღმუილსა და მომაკვდავთა ხრიალს შეერია. ცოცხლად გადარჩენილებს თავზარი დაეცათ. ბალთაზარს შეეშინდა, ბალკისს არაფერი დაუშავდესო, საერთო ღრიანცელით ისარგებლა, სატრფო ხელში აიტაცა და სირბილით გაჰყვა ბნელ, უკაცრიელ ქუჩებს. გამოქცეულთ შორიდანღა მოესმოდათ მინელებული კივილი მოქეიფეთა და დედაკაცთა, რომელნიც ალალბედზე მოსდევდნენ. მალე სულ აღარაფერი ისმოდა, გარდა სისხლის წვეთების წკაპუნისა. ბალთაზარს შუბლზე ჩამოსდიოდა სისხლი და ბალკისს მკერდზე ეცემოდა.

— მიყვარხარ, — წაჩურჩულა დედოფალმა.

და მთვარემ ღრუბლებიდან გამოანათა, ბალკისის მილულულ თვალებში ათრთოლებული, სველი და თეთრი სხივი დაანახვა მეფეს.

დალმართზე ჩამოდიოდნენ. დაშრეტილი მდინარის კალაპოტს მიჰყვებოდნენ. უეცრად ბალთაზარს ხავსზე ფეხი დაუცურდა. ჩახუტებულნი ძირს დაეცნენ. ისე ეგონათ, ტკბილს არარაობაში უსასრულოდ იძირებოდნენ; ცოცხალმა სამყარომ მათთვის არსებობა შეწყვიტა. წარმტაცი თავდავიწყებით ტკბებოდნენ, აღარ ახსოვდათ არც დრო, არც სივრცე. როს ირიყრაუა, ქურციკნი მობაკუნდნენ, რათა ქვიან ღრმულებში ჩამდგარი გუბიდან წყალი შეესვათ.

სწორედ ამ დროს ყაჩაღებმა ჩამოიარეს და ხავსში მონებივრე ორ მიჯნურს თვალი მოჰკრეს.

— ღარიბები არიან, — გადაულაპარაკეს ერთამანეთს ყაჩაღებმა, — მაინც ძვირად გაიყიდებიან, რადგან ახალგაზრდები არიან და თვალადნი.

ყაჩაღები მიუახლოვდნენ მათ, ხელები გაუკრეს, ვირის კუდს გამოაბეს და გზა განაგრძეს.

ხელებგაკრული შავკანიანი სიკვდილით ემუქრებოდა ავაზაკებს, ხოლო განთიადის სიგრილით აკანკალებული ბალკისი რაღაც უხილავს უღიმოდა.

სანამ დღის სიცხე ჩამოწვებოდა, შემზარავად მიყრუებულ, უკაცრიელ ადგილას მიაბიჯებდნენ. მზე კარგად აიწვერა, როცა ყაჩაღებმა ტყვეებს ხელები შეუხსნეს და თავიანთ მახლობლად, კლდის ჩრდილში დასვეს. თითო ნატეხი დაობებული პური მიუგდეს. მისი აღება არ იკადრა ბალთაზარმა, ბალკისი კი ხარბად დააცხრა.

იცინოდა დედოფალი, ყაჩაღთა ბელადი შეეკითხა, რა გაცინებსო.

– ვიცინი, რადგან დარწმუნებული ვარ, ყველას ჩამოგახრჩობთ, – უპასუხა მან.

– მართლა?! – შეჰყვირა ყაჩაღმა, – ძალიან უცნაურად ჟღერს ეგ სიტყვები ჭურჭლის მრეცხავის პირიდან, ჩემო ტურფავ! ალბათ შენი შავტუხა კუროს დახმარებით აპირებ ჩვენს ჩამოხრჩობას.

ამ შეურაცხმყოფელი სიტყვების გაგონებაზე ბალთაზარს ცეცხლი წაეკიდა, ყაჩაღს ეცა და ისე მძლავრად წაუჭირა კისერში ხელები, რომ კინაღამ დაახრჩო. ყაჩაღთა ბელადმა დაასწრო და დანა ვადამდე ჩასცა ბალთაზარს მუცელში. საცოდავი მიწაზე გაგორდა, ბალკისს მომაკვდავის მზერა მიაპყრო და თვალის ჩინი ჩაუქრა.

ამ დროს მოესმათ ადამიანების შეძახილები, ცხენების თქარა-თქური, იარაღის ჟღარუნი. ბალკისმა იცნო მამაცი აბნერი, რომელიც მცველთა რაზმეულს მოუძღოდა, რათა დაეხსნა დედოფალი, ვისი საიდუმლო დაკარგვის ამბავიც წინა დღეს გაეგო.

აბნერი ბალკისის ფერხთა წინაშე დაემხო, მერე ბრძანა, დედოფლისთვის ტახტრევანი მოერთმიათ. ამასობაში მცველები ყაჩაღებს ხელებს უკრაჟდნენ. დედოფალი ბელადს მიუბრუნდა და ალერსიანად უთხრა:

– ხომ დაგპირდით, ჩამოხრჩობა არ აგცდებათ-მეთქი; ახლა ვეღარ მისაყვედურებთ, სიტყვა გატეხეო.

აბნერს მოგვი სემბობიტისი და საჭურისი მენკერა მიუახლოვდნენ, თვალი მოჰკრეს მიწაზე გაშოტილ, გულწასულ მბრძანებელს, რომელსაც მუცელში დანა ჰქონდა გარჭობილი და ერთი ვაი-ვიში ატეხეს. ციმციმ

ასწიეს ხელმწიფე. საექიმო ხელოვნებაში განსწავლულმა სემბობიტისმა შენიშნა, ბალთაზარი ჯერ კიდევ სუნთქავდა. მოგვმა ჭრილობები შეუხვია, მენკერამ ტუჩზე მომდგარი დუჟი მოუწმინდა. შემდეგ დიდი სიფრთხილით ცხენზე შესვეს და ტაატით დედოფლის სასახლეში მიიყვანეს.

ორ კვირას ბოდავდა ბალთაზარი, სულ მდუღარე ქვაბსა და ხავსიან ხევს ახსენებდა. ყვიროდა, უხმობდა ბალკისს. ბოლოს, მეთექვსმეტე დღეს, როგორც იყო, თვალი აახილა და თავის სასთუმალთან სემბობიტისი და მენკერა დაინახა, ხოლო ვერსად შენიშნა დედოფალი.

— სად არის? რას აკეთებს?

— ხელმწიფეო, — მოახსენა მენკერამ, — კომაგენელ მეფესთან ერთად ჩაიკეტა.

— ალბათ, მოლაპარაკებას აწარმოებენ საქონლის გაცვლა-გამოცვლაზე, — დასძინა ბრძენმა სემბობიტისმა, — ასე ნუ აღელდებით, მბრძანებელო, ციებ-ცხელება გაგიახლდებათ.

— მისი ნახვა მსურს! — შეჰყვირა ბალთაზარმა.

და გაიჭრა დედოფლის პალატებისკენ. მისი შეჩერება ვერ შეძლო ვერც ბერიკაცმა, ვერც საჭურისმა. საწოლ დარბაზთან მისულმა დაინახა კომაგენელი მეფე, რომელიც იქიდან გამოდიოდა, თავით ფეხთამდე მზესავით მოელვარე ოქროში ჩამჯდარი.

ძოწეულ სარეცელზე ნებივრად მიწოლილიყო ბალკისი, თვალმილულული იღიმებოდა.

ბალთაზარი მიუახლოვდა, დასწვდა მის ხელს, მაგრამ ბალკისმა მსწრაფლ გამოსტაცა ხელი და ჰკითხა:

— რა გსურს ჩემგან?

— მე მეკითხები მაგას? — მიმართა შავკანიანმა მეფემ და ცრემლები გადმოაფრქვია.

ქალმა გულგრილი და მკაცრი მზერა მიაპყრო.

კაცი მიხვდა, დედოფალს დავიწყებოდა ყოველივე და ხევში გატარებული ღამე მოაგონა.

ბალკისმა მიუგო:

— მართალი გითხრა, ვერ გამიგია, რისი თქმა გინდა, ხელმწიფეო. ჩანს პალმის ღვინომ გაწყინა. უთუოდ სიზმარში გინახავს ეგ ამბავი.

– რაო? – წამოიყვირა უბედურმა მეფემ და ხელების ფშვნეტას მოჰყვა. – განა სიზმარი იყო შენი კოცნა, ან დანით მოყენებული ჭრილობები, რომლებიც ჯერაც არ შემხორცებია?

დედოფალი წამოდგა. მის კაბაზე ასხმული ძვირფასი ქვები სეტყვასავით აჩხრიალდა და ელვასავით აკიაფდა.

– ხელმწიფეო, – უთხრა, – ჩამოჰკრა ჟამმა, როცა თავს იყრის ჩემი საბჭო. სად მცალია აგიხსნა სიზმრები, რაც შენს ავადმყოფურ გონებას მოსჩვენებია. გირჩევ, დაისვენო. მშვიდობით ბრძანდებოდე!

ბალთაზარმა იგრძნო, საცაა გული შემიღონდებაო. თავს ძალა დაატანა, რათა ამ ბოროტი დედაკაცის წინაშე სისუსტე არ გამოემჟღავნებინა და გაიქცა თავის დარბაზისკენ, სადაც გრძნობადაკარგული დაეცა. ჭრილობა გაეხსნა.

სამი კვირა მკვდარივით უგონოდ იწვა. ოცდამეორე დღეს გონს მოვიდა, ხელი ჩაავლო სემბობიტისს, რომელიც მენკერასთან ერთად თავზე ადგა და ტირილი წასკდა.

– ოჰ! ჩემო მეგობრებო, – შეჰყვირა მან, – რა ბედნიერები ხართ ორთავენი: შენ იმიტომ, რომ მოხუცი ხარ, სემბობიტის, ხოლო შენ, მენკერა, იმიტომ, რომ მოხუცს ედარები... ოჰ, არა! არ არსებობს ბედნიერება ამქვეყნად! ყოველი საზარელია, ვინაიდან სიყვარული მწარეა, ბალკისი კი ბოროტი!

– მხოლოდ სიბრძნე მოუპოვებს ადამიანს ბედნიერებას, – წარმოთქვა სემბობიტისმა.

– მე მსურს სიბრძნით აღვიჭურვო, – მიუგო ბალთაზარმა, – ოღონდ ახლავე უნდა დავბრუნდეთ ეთიოპიას.

ვინაიდან დაკარგა ის, ვინც უყვარდა, გადაწყვიტა, სიბრძნის დაუფლებისათვის შეეწირა სიცოცხლე თვისი და მოგვი გამხდარიყო. ამ გადაწყვეტილებამ სიამოვნება თუ არა, ოდნავი სიმშვიდე მაინც მოუპოვა. ყოველ საღამოს მოგვი სემბობიტისისა და საჭურის მენკერას თანხლებით თავისი კოშკის ბანზე ადიოდა. იჯდა იქ და გასცქეროდა ცის დასალიერზე გამოკვეთილ პალმის ხეებს, ან კიდევ მთვარის შუქზე უმზერდა ხის მორების მსგავს ნიანგებს, რომელნიც ნილოსზე მოცურავდნენ.

– ადამიანი არ იღლება ბუნების მშვენიერების ჭვრეტით, – იტყოდა სემბობიტისი.

– მართალი ბრძანებაა, – უპასუხებდა ბალთაზარი, – თუმცა ბუნებაში არსებობს სხვა რამ, უფრო მშვენიერი, ვიდრე პალმები და ნიანგებია.

ბალკისი აგონდებოდა ბალთაზარს.

ხოლო ხანდაზმული სემბობიტისი ისევ ეტყოდა:

– არსებობს ბუნების საოცრება – ნილოსის ადიდება; მე ავხსენი ამის მიზეზი. ადამიანი გაჩენილია, რათა შეიცნოს.

– ადამიანი გაჩენილია, რათა უყვარდეს, – ოხვრით აღმოხდებოდა ბალთაზარს. – არსებობს ისეთი რამ, რისი ახსნაც შეუძლებელია.

– რა? – იკითხა სემბობიტისმა.

– ქალის ღალატი, – მიუგო მეფემ.

ასე ფიქრობდა ბალთაზარი, მაგრამ რაკი გადაწყვიტა, მოგვი უნდა გავხდეო, ააგებინა კოშკი, რომლის სიმაღლიდან უამრავი სამეფო და ცის მთელი თაღი მოჩანდა. ორ წელიწადს აგურით აშენებდნენ ამ ყველა კოშკზე მაღალ კოშკს. ბალთაზარმა მას მამის მთელი ხაზინა შეალია. ყოველღამ ადიოდა კოშკის წვერზე და იქიდან ბრძენი სემბობიტისის ხელმძღვანელობით აკვირდებოდა ცის თაღს.

– ციური სხეულები ჩვენი ბედისწერის ნიშნებია, – ეუბნებოდა სემბობიტისი.

და მიუგებდა ბალთაზარი:

– უნდა ვაღიარო, ნიშნები ბნელითაა მოცული, მაგრამ სწავლა ბალკისს მაეიწყებს და ეს დიდი ნუგეშია ჩემთვის.

მრავალი მნიშვნელოვანი ჭეშმარიტება გააცნო სემბობიტისმა ბალთაზარს. ისიც ასწავლა, რომ ვარსკვლავები ცის თაღზე ლურსმნებივით არიან მიჭედილნი, რომ არსებობს ხუთი პლანეტა; ბელ, მეროდაქ და ნებო მამრობით სქესს განეკუთვნებიან, ხოლო სინ და მილიტა მდედრობითს.

მოგვი იმასაც იტყოდა:

– ვერცხლი შეეფარდება სინს, რაიც იგივე მთოვარეა; რკინა შეეფარდება მეროდაქს, კალა – ბელს.

და კეთილი ბალთაზარი მიუგებდა:

– ამგვარი ცოდნის შეძენა მწყურია. იმ დროს, როდესაც ვსწავლობ, არ ვფიქრობ ბალკისზე, არც სხვა რამეზე. მეცნიერება კეთილისმყოფელია, ხელს უშლის ადამიანს იფიქროს. სემბობიტის, მასწავლე ისეთი სიბრძნე, რაც გრძნობებსაც ჩამიკლავს და მაშინ აღგაზევებ ჩემს ხალხსა ზედა.

ამიტომ ასწავლიდა სემბობიტისი ყოველგვარ სიბრძნეს მეფეს.

ასწავლა აპოტელეზმატიკა ასტროფსიქოზის, ჰობრიასის და პაზატასის პრინციპების მიხედვით. რამდენადაც მეტს უკვირდებოდა ბალთაზარი ცის თაღს, სწავლობდა ზოდიაქოს ნიშნებს, სულ უფრო ნაკლებად ფიქრობდა ბალკისზე.

მენკერამ შენიშნა ეს და გულით გაიხარა.

— გულახდილად მითხარი, მბრძანებელო, — უთხრა ერთ დღეს, — დედოფალი ბალკისი თავისი ოქროს სამოსლის ქვეშ მართლა მალავს ორად გაპობილ ჩლიქებს, სწორედ ისეთს, როგორიც თხებსა აქვთ?

— ვინ მოჩმახა ეგ სისულელე? — ჰკითხა მეფემ.

— ხალხში ასეთი ხმაა გავარდნილი, ხელმწიფეო, — მიუგო საჭურისმა, — საბაშიაც და ეთიოპიაშიაც, ვისაც უნდა ჰკითხო, მაშინვე გეტყვის, დედოფალ ბალკისს ფეხები ბალნითა აქვს შემოსილი და ტერფების ნაცვლად შავი ჩლიქები აბიაო.

ბალთაზარმა მხრები აიჩეჩა. მან იცოდა, რომ ბალკისს ჩვეულებრივი ქალის წვივები, ტერფები და ბარძაყები ჰქონდა, ოღონდ გაცილებით უფრო მშვენიერი, უზადო და ნატიფი. და მაინც, ხალხში გავრცელებულმა აზრმა შეუბღალა მოგონება იმისა, ვინც ეგზომ უყვარდა. გული დაწყდა ბალკისის გამო, რაკი მისი სილამაზე სრულყოფილი არ იყო იმათ წარმოდგენაში, ვისაც არ ენახა იგი. როცა გაიფიქრა, რომ მას ეკუთვნოდა მართლაც უტურფესი ქალი, რომელიც ხალხის თვალში მახინჯად ითვლებოდა, ჭეშმარიტი ზიზღი აღეძრა ბალკისის მიმართ და მისი ნახვის სურვილი გაუქრა. ბალთაზარი მარტივად აზროვნებდა, ხოლო სიყვარული მეტად რთული გრძნობაა.

ამ დღიდან მეფემ დიდ წარმატებას მიაღწია მოგვთა სიბრძნესა და ასტროლოგიაში. გულისყურით აკვირდებოდა მნათობთა თანადამთხვევას და ისევე ზუსტად ადგენდა ჰოროსკოპებს, როგორც თვით ბრძენი სემბობიტისი.

— სემბობიტის, — მიმართავდა იგი მოგვს, — შეგიძლია დაიფიცო, რომ ჩემი ჰოროსკოპები ზუსტია?

ბრძენი სემბობიტისი მიუგებდა:

— მეფეო, მეცნიერება შეუცდომელია, მაგრამ მეცნიერები ხშირად ცდებიან.

ბალთაზარს ბუნებრივი ნიჭი ჰქონდა მომადლებული. იგი ამბობდა:

— ჭეშმარიტი მხოლოდ ისაა, რაც ღვთაებრივია, ხოლო ღვთაებრივი ჩვენთვის მიუწვდომელია. ამაოდ ვეძიებთ ჭეშმარიტებას, თუმცა მე აღმოვაჩინე ერთი ახალი ვარსკვლავი. იგი ლამაზია, თითქოს ცოცხალია და როცა ციმციმებს, იტყვი, ალერსით გვესალმება ეს ციური თვალიო. თითქოს მესმის, როგორ მიხმობს იგი, ნეტარ იქნება ის, ვინც ამ ვარსკვლავზე დაიბადება! სემბობიტის, შეხედე, როგორ დაგვნათის ეს თვალწარმტაცი, მომხიბვლელი მნათობი!

მაგრამ სემბობიტისი ვერ ხედავდა ვარსკვლავს, რამეთუ არ სურდა დანახვა მისი; ხანდაზმული და განსწავლული იყო და არ უყვარდა არავითარი სიახლე.

ხოლო ბალთაზარი, ღამის მდუმარებაში მარტოდ შთენილი, იმეორებდა:

— ნეტარ იქნება, ნეტარ იქნება იგი, ვინც ამ ვარსკვლავზე დაიბადება!

მთელს ეთიოპიასა და მეზობლად მდებარე სამეფოებში დაირხა ხმა, მეფე ბალთაზარს ბალკისი აღარ უყვარსო.

როს ამ ახალმა ამბავმა საბეველთა ქვეყანას მიაღწია, ბალკისი აღშფოთდა, თითქოს მისთვის ვინმეს ეღალატოს. მიირბინა კომაგენელ მეფესთან, რომელსაც საკუთარი სახელმწიფო დაეკისრებინა და საბეველთა ქვეყანაში დამკვიდრებულიყო, და შესჩივლა:

— ჩემო კარგო, იცი რა გავიგე? თურმე ბალთაზარს აღარ ვყვარებივარ!

— მერე, რა მოხდა! — უპასუხა კომაგენელმა მეფემ, — ჩვენ ხომ გვიყვარს ერთმანეთი.

— ნუთუ ვერა გრძნობ, რა შეურაცხყოფა მომაყენა იმ შაეტუხამ?

— ვერა, ვერა ვგრძნობ, — მიუგო მეფემ.

მაშინ ქალმა იგი სამარცხვინოდ გააძევა სასახლიდან და თავის დიდვეზირს უბრძანა, დაუყოვნებლივ ყველაფერი მოემზადებინა ეთიოპიას გასამგზავრებლად.

— ამაღამვე გავეშურებით, — უთხრა მან, — თავს მოგკვეთ, თუ მზის ჩასვლამდე ყველაფერი მზად არ იქნება.

მერე მარტო დარჩა და აქვითინდა.

— მე მიყვარს იგი! მას აღარ ვუყვარვარ, მე კი მიყვარს, — გულწრფელად მოთქვამდა ბალკისი.

და აი, ერთ ღამეს, ოდეს კოშკის წვერზე ასული ბალთაზარი ჯადოსნურ ვარსკვლავს აკვირდებოდა, თვალი მიწისკენ დახარა და დაინახა შორს, უდაბნოს ქვიშაზე ჭიანჭველათა ლაშქარივით მოიკლაკნებოდა გრძელი, შავი ზოლი. ნელ-ნელა ის, რაც ჭიანჭველებსა ჰგავდა, გაიზარდა, გამოიკვეთა და მეფემ გაარჩია ცხენები, აქლემები და სპილოები.

ქარავანი ქალაქს მიუახლოვდა თუ არა, ბალთაზარმა საბეველთა დედოფლის მცველთა მოელვარე შუბები და ყორნისფერი რაშები იცნო. იცნო თვით დედოფალიც. უსაზღვრო მღელვარება დაეუფლა. ბალკისისადმი სიყვარულმა კვლავ იფეთქა მის გულში. ზემოთ ჯადოსნური ელვარებით კიაფობდა ვარსკვლავი, ქვემოთ, ტახტრევანზე წამოწოლილი, ძოწეულში გახვეული პაწია ბალკისი ვარსკვლავივით ციმციმებდა.

ბალთაზარს საოცარი ძალა იზიდავდა ქალისკენ. სასოწარკვეთილებამ შეიპყრო მეფე. მერე გონება მოიკრიბა, თვალი აარიდა ბალკისს, ცისკენ აღაპყრო მზერა და კვლავ იხილა ვარსკვლავი, რომელიც იტყოდა:

— დიდება ღმერთსა ცათა შინა, მშვიდობა კეთილ ადამიანებს მიწასა ზედა!

აიღე ერთი საწყაო მური, უწყინარო ბალთაზარ, და გამომყევი. მე მიგიყვან ფეხთა წინაშე ჩვილი ყრმისა, ვინც იშვა ბოსელში და წევს ბაგაზე ვირსა და ხარს შორის.

და ყრმა იგი არს მეფეთა მეფე. ის ანუგეშებს მას, ვისაც ნუგეში სწყურია.

იგი თავისთან გიხმობს შენ, ო, ბალთაზარ, ვისი სული ისევე ბნელია, როგორც სახე, მაგრამ ვისი გული ისევ უბრყვილოა, ვითარც გული ჩვილისა.

მან აგირჩია შენ, რამეთუ განიცადე ტანჯვა და იგი გიბოძებს სიმდიდრეს, სიხარულსა და სიყვარულს.

იგი გეტყვის შენ: „იყავ ღარიბი და გიხაროდეს. ესე არს ჭეშმარიტი სიმდიდრე“. იგი კვლავ გეტყვის: „ჭეშმარიტი სიყვარული არს უარყოფა სიხარულისა. შემიყვარე მე და შეიყვარე მოყვასი ჩემში, რამეთუ მარტოოდენ მე ვარ სიყვარული!“

ამ სიტყვებზე ღვთაებრივი შარავანდედი მოეფინა მეფის ბნელ სახეს.

აღტყინებული ბალთაზარი უსმენდა ვარსკვლავს და გრძნობდა, სულ სხვა კაცად გადაიქცა თვითონ. მის გვერდით სემბობიტისი და მენკერა პირქვე დამხობილიყვნენ მიწაზე და ილოცვიდნენ.

დედოფალი ბალკისი თვალს არ სწყვეტდა მეფეს. მიხვდა, მისდამი სიყვარული ბალთაზარის გულში აღარაოდეს აღინთებოდა, რადგან იგი აღვსილიყო ღვთიური სიყვარულით. მწუხარებისგან ფერი წაერთვა ბალკისს და ბრძანა, ქარავანს დაუყოვნებლივ პირი ებრუნებინა საბეველთა ქვეყნისაკენ.

როს ვარსკვლავი დადუმდა, მეფე და მისი ორი მხლებელი კოშკიდან ძირს ჩამოვიდნენ. ერთი საწყაო მური განამზადეს, შეკაზმეს ქარავანი და გაუდგნენ იმ გზას, საითაც მიჰყავდა ვარსკვლავს. დიდხანს იმოგზაურეს უცხო მხარეში და ვარსკვლავი იგი მარად მიუძღოდა წინ.

ერთ დღეს მიადგნენ ადგილს, სად სამი გზა ერთად იყრებოდა და იხილეს ორი მეფე, რომელნიც მრავალრიცხოვანი ამალით მათკენ მოემართებოდნენ. ერთი მათგანი ჭაბუკი იყო და თეთრი პირისახე ჰქონდა.

მიესალმა იგი ბალთაზარს და უთხრა:

– გასპარი მქვია, მეფე ვარ და ოქრო მიმაქვს ყრმასთან, რომელიც იშვა ბეთლემს, ჰურიასტანში.

მეორე მეფეც მიუახლოვდა მათ. მოხუცი იყო და მკერდს თეთრი წვერი ეფინა.

– ჩემი სახელია მელქიორ, – თქვა მან. – მეფე ვარ და გუნდრუკი მიმაქვს ღვთაებრივ ყრმასთან, ვინც მოწოდებულია კაცთ აუწყოს ჭეშმარიტება.

– მეც იქ მივდივარ, – მიუგო ბალთაზარმა, – დავთრგუნე ჩემში ავხორცობა და ამიტომ მეტყოდა ვარსკვლავი.

– მე, – განაცხადა მელქიორმა, – დავამარცხე ჩემში მზვაობა და ამიტომაც მომიხმეს.

– მე კი, – უთხრა გასპარმა, – საკუთარ გულქვაობას ვძლიე და ამიტომაც ვარ თქვენთან.

და სამნი მოგვნი წარვიდნენ... „და, აჰა, ვარსკვლავი იგი, რომელი იხილეს აღმოსავალით, წინაუძღოდა მათ, ვიდრემდე მოვიდა და დაადგრა ადგილსა მას, რომელსა იყო ყრმა იგი.

ხოლო მათ, ვითარცა იხილეს ვარსკულავი იგი, განიხარეს სიხარულითა დიდითა ფრიად.

და ვითარცა შევიდეს სახლსა მას, იხილეს ყრმა იგი მარიამის თანა, დედისა თ სისა, და დავარდეს და თაყუანის-სცეს მას; და აღაღეს საუნჯეთა მათთა, და შეწირეს მისა ძღუენი: ოქრო , გუნდრუკი და მური", ვითარცა ნათქვამია სახარებაში.

თარგმნა რუსუდან დოდაშვილმა

ანა ბრაზილიელი

1894.09.12 – 1964.20.01

ცნობილი ბრაზილიელი მწერალი, პოპულარული ნოველისტი, განათლებით იურისტი; ერთხანს მუშაობდა პროკურორის თანამდებობაზე, შემდეგ მასწავლებლობდა; ანიბალ მაშადო ბრაზილიური ლიტერატურის თვალსაჩინო წარმომადგენელია. საინტერესო ფსიქოლოგი, უაღრესად ფაქიზი და გამომსახველობითი სტილით გამორჩეული. მი-სი შემოქმედებითი მემკვიდრეობა არც თუ დიდია. გამოქვეყნებული აქვს მოთხრობების კრებული „ბედნიერი ქალაქი", მრავალი წლის განმავლობაში წერდა რომანს „ეოან ტერნურა", რომელიც მწერლის გარდაცვალების შემდეგ გამოქვეყნდა.

როიალი

– როზალია! – ყვიროდა ჟოან დე ოლივეირა. – გავაგდე ის კაცი, გესმის! ტუტუცი!.. წარმოგიდგენია, რა ფასი თქვა – ხუთასი კრუზეიროო...

– აწყობაში? – გამოეპასუხა ქალი საიდანღაც ზემოდან.

– არა, ქალო, როიალში! უყურე იმას, სასაცილოდაც გვიგდებდა...

– საინტერესოა... ეს ხომ თაღლითობაა, ნუთუ ვერ ხედავ: ჩალის ფასად უნდა ჩაიგდოს ხელში როიალი, მერე კი ძვირად გაყიდოს... ასე ისქელებენ ჯიბეს ჩვენისთანების ხარჯზე...

როზალია და სარა აღშფოთებულნი ჩამოვიდნენ ქვემოთ. და ყველანი კრძალვით შემოეხვივნენ ძველ როიალს, თითქოსდა იმისთვის, რათა მისდამი თანაგრძნობა გამოეხატათ.

– კიდევ გავყიდით ამას კაი ფასად, აი, ნახავ, ზეიმურად წარმოთქვა ოლივეირამ, თან ფარული სინაზით შეჰყურებდა ინსტრუმენტს. – ვინ აკეთებს ახლა ამნაირს.

– განცხადება მიეცი – და სახლში თაგვი კუდს ველარ მოაბრუნებს, იმდენი მუშტარი მოვა, – თქვა როზალიამ და ფიქრიანად დაუმატა, თან ხელებს ისრესდა: – მენანება კი მაგის გაყიდვა...

– ჰო, დიდებული რამაა. შეხედავ და – თითქოს მუსიკა გესმის, – ჩაილაპარაკა ოლივეირამ და როიალის ნახშირივით შავ ზურგს ხელი გადაუსვა.

— ბარემ მივცეთ განცხადება, ჟოან.

სხვა რა გზა იყო: მზითევი უნდა ეყიდათ და ოთახი გაეწყოთ სარასა და მისი მომავალი მეუღლისათვის.

— სამი დღე გავიდა... ყვავილებით დამშვენებული ძველი როიალი, როგორც ზვარაკი სამსხვერპლოს წინ, თავისი ბედის განჩინებას ელოდებოდა საგულდაგულოდ დალაგებულ ოთახში.

სულ მალე გამოჩნდა პირველი მუშტარი — უკვე ხანში შესული მანდილოსანი ქალიშვილითურთ. გოგონამ, შენიშნა თუ არა როიალი, მყისვე მისკენ გასწია, სახურავი ახადა და მსუბუქად გადაატარა თითები კლავიატურაზე.

— აჰ, დედი, მთლად აშლილია...

ქალი ინსტრუმენტთან მივიდა და გაუბედურებულ კლავიშებს დახედა. აღშფოთდა. ქალიშვილს ხელი ჩააელო და კარს მიაშურა ბუზღუნით:

— ასეთი ოინიც არ გამიგია: ამოდენა გზა გამოგვატარეს ან ნაგვის გულისთვის...

ოლივეირების ოჯახმა შეურაცხყოფის გამო განაწყენება დააპირა, მაგრამ ველარ მოასწრო, რადგან მანდილოსნისა და ქალიშვილის გასვლისთანავე ახალი მუშტრები მოვიდნენ: ხნიერი სენიორა, მთლად სუნამოში გაელებული, მდიდარი მიცვალებულივით, გამხდარი ქალიშვილი, მუქი სათვალითა და ნოტების ჩანთით და წითური ებრაელი, რომელსაც გაცვეთილი კოსტიუმი ეცვა. მოხუც სენიორასა და ქალიშვილს მოსელისთანავე ცხარე დავა შეექნათ.

— სულაც არ მიმდის სული ამაზე, — თავს იცავდა ქალიშვილი. — მე მხოლოდ იმიტომ მოვედი, რომ დედაჩემმა მთხოვა. სწორეა, მარტო ეს არ იყიდება, სხვებიც არის. მაგას არ ვამბობ, მხოლოდ მინდა შეგახსენოთ, სენიორა, რომ მე უკვე კარზე ვაკაკუნებდი, თქვენ კი ჯერაც ავტობუსიდან ჩამოდიოდით! დიახ, ერთ ავტობუსს მოვყევით, მაგრამ მე თქვენზე წინ შემოვედი.

ოლივეირების ოჯახისათვის დიდად სასიამოვნო იყო, მათი როიალის გამო ასეთი დისკუსია რომ გაიმართა: მაგრამ მასპინძლებმა გონივრულად მიიჩნიეს შეერიგებინათ მოდავენი, ამიტომ თავაზიან ღიმილს აფრქვევდნენ ირგელივ და თითო ფინჯანი ყავაც შესთავაზეს ყველას. ქალიშვილმა მაშინვე როიალს მიაშურა და გვერდით ჩაუარა ებრაელს, რომელიც შორიდან აკვირდებოდა ინსტრუმენტს ჩამქრალი მზერით. ამასობაში იქ

მყოფთ კიდევ შემოემატა ვიღაც ქალი, მოსწავლე გოგონასთან ხელჩაკიდებული. ორივენი უნდობლად ჩამოსხდნენ სკამის კიდეზე. და უცებ ყველამ თავი შემართა. ქალიშვილმა ხმა ამოუდგა ძველ როიალს და დაირხა პირველი ბგერები. აშლილი, ციცი, ხრიალა... გამოცდა შთამბეჭდავი იყო... მოსწავლის დედამ ხელი მოუჭირა თავის გოგონას და უკმაყოფილოდ შეიჭმუხნა, სუნამოიანი ქალბატონი კი უფრო თავაზიანი აღმოჩნდა და მხოლოდ ის შეიმჩნია, რომ სიბრალულის გამომხატველი ნაღელიანი მზერა შეავლო როიალს. ოლივეირები ხარბად აკვირდებოდნენ დანარჩენებს და ცდილობდნენ ამოეკითხათ მათ სახეებზე, თუ რას ფიქრობდნენ. ებრაელი აღუშფოთრად დუმდა. ყველა ერთიმეორისაკენ აპარებდა მზერას.

ეს იყო ძველი როიალის გასამართლება. ქალიშვილი დაკვრას არ წყვეტდა. თითქოს ინსტრუმენტს თავის ყველა ცოდვაში გამოტყდომას აიძულებდა. ბევრი აკორდი ყალბად ჟღერდა, რამდენიმე კლავიში აკლდა, სხვები ჩავარდნილი იყო. როიალს ბზარი ჰქონდა ხმაში, როგორც ძველ მომღერალს, ქოშინით გატანჯულსა და კარგა ხანია სცენიდან წასულს. როცა დოლი ხმამაღლა ყეფით შემოვარდა ოთახში, მან თითქოს განაჩენი აუწყა ბრალდებულს. ლმობიერებაზე ფიქრიც აღარ შეიძლებოდა. თითქოს შხამიანმა სიცილმა დაუარა ოთახს, თუმცა არავის გაუცინია. ქალიშვილი ახლა განზრახ ხმამაღლა უკრავდა, გამეტებით ატყაპუნებდა თითებს უსიცოცხლო კლავიშებზე, თითქოს კაკაფონიით ტკბებაო: უხერხული მდგომარეობა შეიქმნა.

– აქ იცით, ისა, სხვა ამბავია, – სცადა განმარტება ჟოან დე ოლივეირამ,. – როიალი ნამეტანი გრძნობიერია, ძალიან ენებს ტემპერატურა...

უცებ ქალიშვილი წამოხტა, ჯავრიანად გადმოახეთქა სახურავი, ფაცაფუცით მიისვა-მოისვა ტუჩებზე პომადა და თავისი ნოტების ჩანთას დაავლო ხელი.

– პირდაპირ არ მესმის, სენიორ, როგორ გაბედეთ განცხადების გამოქვეყნება ამ ჯაბახანის გამო, – მიახალა ოლივეირას და როზალიას გახედა ცერად, თითქოს უკანასკნელი განსაზღვრება მისი მისამართით არის ნათქვამიო.

და გავიდა.

ჟოან დე ოლივეირა მდუმარედ იტანდა ამდენ წყენას. მას კი არ შეურაცხყოფდნენ, არამედ ძველ როიალს... მაგრამ მაინც აუცილებლად მიიჩნია განემარტა, რომ ეს ინსტრუმენტი – საგვარეულო განძი იყო.

— ჩვენს დროში აღარ აკეთებენ ასეთებს, — ხაზგასმით ამბობდა იგი. — ასეთ როიალს ვეღარსად იშოვით.

ამის პასუხი იყო დუმილი, რომელიც უეცრად დაარღვია ებრაელის შეკითხვამ სწორედ იმ მომენტში, როცა უკვე მთლად შელახული იყო ძველი როიალის რეპუტაცია:

— მაინც რამდენს ითხოვთ მაგაში?

ყოველივე იმის შემდეგ, რაც აქ მოხდა, ჟოან დე ოლივეირამ ვეღარ გაბედა იმ ფასის თქმა, რასაც ადრე ფიქრობდა.

— ხუთ კონტოს, — გაუბედავად წარმოთქვა მან.

და ოთახში მყოფთ მოავლო თვალი, უნდოდა მათ სახეებზე ამოეკითხა, რა შთაბეჭდილება მოახდინა მისმა სიტყვებმა, არც არავის გაუგონია, არც არავის კრინტი არ დაუძრავს. მაგრამ ოთახში თითქოს კვლავ დაირხა შხამიანი სიცილი...

უცებ მუშტრები წამოდგნენ და გასასვლელს მიაშურეს. ასეთი იყო მათი მდუმარე პასუხი მასპინძელის წინადადებაზე. ოლივეირა გაშრა. განა, რაღაც წარმოუდგენელი ფასი მოითხოვა?.. ყველანი გასასვლელისაკენ იჩქაროდნენ; მხოლოდ მოხუცი მანდილოსანი შედგა წამით და თქვა, — მოვიფიქრებო; მაგრამ რანაირი სიბრალული და თანაგრძნობა ეხატა სახეზე, ამას რომ ამბობდა! პირდაპირ ვერ გამიმხილა როიალის შესახებ თავისი ნამდვილი აზრი და მხოლოდ ამით მაგრძნობინაო, — გაიფიქრა ოლივეირამ.

მიმავლები ვიღაც მამაკაცს შეეფეთნენ კარში.

— თქვენც როიალისთვის გარჯილხართ? — ჰკითხეს, — იცოცხლეთ, კარგი გართობა გელით...

მაგრამ ოლივეირას თავაზიანმა ხმამ შეწყვიტა ეს დიალოგი:

— მობრძანდით! აქა დგას. უკვე ბევრმა ნახა...

ახალი მუშტარი შუახნის მამაკაცი იყო, ჭაღარა ბურჩხთმიანი. მან სახურავი ახადა როიალს, დიდხანს და გულდასმით ათვალიერებდა სიმებს. ალბათ, მუსიკის მასწავლებელი თუ იყო. ფასი არც უკითხავს, თქვა, — მოვიფიქრებო და მაშინვე აჩქარდა წასასვლელად.

— მერე მოვილაპარაკოთ...

სახლი დაცარიელდა. მასპინძლები ნირწამხდარნი შეჰყურებდნენ ერთმანეთს.

— ვერავინ ხვდება ამის ნამდვილ ფასს, — ნაღვლიანად შენიშნა ჟოან დე ოლივეირამ. — ჩალის ფასად გაყიდვას სჯობს ისევ თავის ადგილას იდგეს.

— მერე სარიტას მზითევი? — შეედავა როზალია.

— სამსახურში ვთხოვ, ეგებ სესხი მომცენ.

— ახლა თუ ხელფასიდანაც ფული დაგიქვითეს ყოველ თვეში...

— გადავდოთ ქორწილი.

— კი, მაგრამ ამ საწყლებს რომ ძალიან უყვართ ერთმანეთი, ჟოან?! სული კბილით უჭირავთ, ისე უნდათ დაქორწინება...

ამ დროს მეზობელი ოთახიდან სარიტას ხმა მოისმა. ქალიშვილი ყვიროდა, არაფერიც არ მინდა, გარდა კომბინაციისა და მთლად აუცილებელი თეთრეულისაო.

— უბედურება ისაა, — განაგრძობდა როზალია, — რომ ეს ჩვენი ბინა ასანთის კოლოფივითაა. სად უნდა დავაბინაოთ ყმაწვილები? გვინდა არ გვინდა, უნდა შეველიოთ ამ როიალს, ნამეტანი დიდი ადგილი აქვს მოკავებული. ღმერთო ჩემო! ყველა სივიწროვეს უჩივის ახლა, ყველას ხალვათობა უნდა.

— არა, არა, — დაიყვირა ქალიშვილმა კარს იქიდან, — თავი დაანებეთ ჩვენს როიალს. იდგეს მანდ. ისე სასიამოვნოა მაგის ყურება...

— აღარ გამაგონო... — გააწყვეტინა დედამ. — შენ ახლა აღარც ეკარები მაგას, პატეფონით ხარ გატაცებული.

და როზალია მეზობელ ოთახში გავიდა, რათა პირისპირ მოლაპარაკებოდა ქალიშვილს. იგი გააკვირვა სარას ესოდენ მოულოდნელმა თვინიერებამ. დედამ მკაცრად ჰკითხა ქალიშვილს.

— ქმარი თუ როიალი? — ამოირჩიე.

— აჰ, ცხადია, ქმარი, — უპასუხა სარიტამ განაზებითა და ენებიანად: — უ-სიკვ-დი-ლოდ... — მერე ბალიში ჩაიხუტა და: — ჩემი ქმარი, უ-უჰ!

— ჰოდა, ესე იგი...

— შენც მისი მოძულე ხარ, როზალია? — მოისმა ჟოან დე ოლივეირას ბრაზიანი ხმა.

— ვისი მოძულე, ჟოან?

— ჩვენი როიალის მოძულე.

— აბა, რად ამბობ მაგას, ჟოან!..

მეორე დღეს, სამსახურიდან მოსვლისთანავე, ჟოან დე ოლიეეირამ ჩაძიებით დაიწყო ამბის გამოკითხვა:

– ბევრმა მოაკითხა, როზალია?

– ჰო, რამდენჯერმე ტელეფონით დარეკეს, ვიღაც სენიორი კი თვითონ მოვიდა და დიდხანს ჩაჰკირკიტებდა ინსტრუმენტს. ჰოდა, კიდევ იმ გუშინდელმა ებრაელმაც შემოიარა.

– არაფერი უთქვამთ? – ჰკითხა ქმარმა.

– არაფერი.

– არაფერს შეგპირდნენ?

– არა. მაგრამ დიდხანს კი ჩაჰკირკიტებდნენ, ნამეტანი დიდხანს, ღმერთმანი...

– აჰა, ჩაჰკირკიტებდნენ, ხომ? ინტერესით? აღტაცებით?

– აბა, როგორ გითხრა...

– კი, დედა, ჩაჰკირკიტებდნენ, – ჩაერია სარიტა. – განსაკუთრებით მოხუცი. პირდაპირ თვალებით ჭამდა.

ჟოან დე ოლიეეირას გული აუჩვილდა. უკვე აღარ ფიქრობდა ფასზე. მხოლოდ ის უნდოდა, მის როიალს პატივისცემით მოჰქცეოდნენ. სხვა არაფერი. შესაძლოა, იმდენი არც ღირდეს, მაგრამ პატივისცემის ღირსი კი უთუოდ არის. კარგი იყო თვითონ დახვედროდა შინ ამ ხალხს, მაგრამ იმ ამბავმა, რომ მოხუცი, სარიტას თქმით, თურმე თვალს ვერ აცილებდა როიალს, ნაწილობრივ გაუნელა გუშინდელი დღის მძიმე შთაბეჭდილება. ეს მოხუცი, ეტყობა, ჭკვიანი კაცია და იხედება ძველებური ნივთების სულში...

მისამართი არ დაუტოვებია იმ მოხუცს, სარიტა? არა? ჰო-ო... მაგრამ არა უშავს, ისევ მოვა... უსათუოდ მოვა...

და ჟოანი ინსტრუმენტთან მივიდა. რამდენჯერმე შემოუარა გარშემო და დიდხანს შეჰყურებდა სიყვარულით.

– ჩემი როიალი! – წყნარად ჩაილაპარაკა და ალერსიანად გადაატარა ხელი გალაქულ ხეზე, თითქოს საყვარელ ცხოველს ეფერებაო.

მეორე დღეს აღარავინ მოსულა. მხოლოდ ერთხელ დარეკეს ტელეფონით და ვიღაცამ უცხოური აქცენტით იკითხა, ახალი თუა როიალიო. როზალიამ უპასუხა, ახალი არ არის, მაგრამ მთლად ახალივითაა, ისე კარგად არის შენახულიო.

„ხვალ შაბათია, – გაიფიქრა ოლივეირამ, – ალბათ, ბევრი ხალხი მოაკითხავს“.

მეორე დილით კუტიკართან ლიმუზინი მოგრიალდა და იქიდან ვიღაც მამაკაცი გადმოვიდა ქალიშვილთან ერთად. ღარიბული სახლი რომ დაინახა, რომელშიც ოლივეირების ოჯახი ცხოვრობდა, აშკარად გაუქრა შიგ შესვლის სურვილი, ცალყბად იკითხა კარებშივე როიალის ფირმა და სიძველე, და მაშინვე გაბრუნდა, ასე რომ, თვალიც არ შეუვლია ინსტრუმენტისათვის.

– გმადლობთ. რა საჭიროა, – მოიბოდიშა დაბეჯითებით მოპატიჟე მასპინძელთან, – მეგონა, რაღაც უფრო თანამედროვეს ეხებოდა საქმე. კარგად ბრძანდებოდეთ...

ჟოან დე ოლივეირას გულს სტკენდა მისი როიალისადმი ასეთი უპატივცემულობა. მას შემდეგ, რაც ეს საგვარეულო მემკვიდრეობა მის ოჯახს ერგო, ფაქიზად უფრთხილდებოდა და არც ფიქრობდა, თუ ოდესმე ისე გაუჭირდებოდა, რომ მასთან განშორება მოუწევდა. ჰოდა, რატომ არავის უნდა ახლა გამოტეხილად თქვას, რომ როიალი ძვირფასი და კარგია? არავის...

მაშ, აბა იმ კაცზე რაღა თქვას, გასულ ოთხშაბათს რომ შემოიარა? ის ხომ ასე თავგამოდებით აქებდა ინსტრუმენტს, ამბობდა, ეს ნამდვილი საოცრებაა და მხოლოდ ის მაიძულებს უარი ვთქვა ყიდვაზე, მერე სინდისის ქენჯნა აღარ მომასვენებს, ასე იაფად რომ შევიძინოო. თანაც ირწმუნებოდა, თითქოს ჟოანი და დონა როზალია ნამდვილ დანაშაულს ჩადიოდნენ, ასეთ ძვირფას ნივთს რომ ჰყიდდნენ... ოლივეირამ ხეირიანად ვერც გაიგო, რა უნდოდა ამ სუბიექტს.

– ნეტავ, რა ჰქონდა გუნებაში, დაგვცინოდა თუ სერიოზულად გვეუბნებოდა? – ჰკითხა ცოლს.

– ვიღაც მასხარა იყო, – შენიშნა მან.

– ან, იქნებ, ჩვენ ვცდებით, როზალია...

როზალიას უფრო ადრე გადაელია იმედი, ვიდრე მის ქმარს. ქალის მთავარი საზრუნავი ახლა ისღა იყო, დაემალა მეუღლისაგან საქმის ნამდვილი ვითარება, რათა ზედმეტი ტკივილი არ მიეყენებინა მისთვის.

– დღეს რამდენმა ნახა? – იკითხავდა ხოლმე ოლივეირა მაშინვე, როგორც კი ზღურბლზე გადმოდგამდა ფეხს.

– არავინ მოსულა, ორჯერ დარეკეს. – მშვიდად მიუგებდა ცოლი და საჩქაროდ დაურთავდა: – ვინაობა არ უთქვამთ, მაგრამ დაგვპირდნენ მოვალთო...

– ებრაელი?

– ის ებრაელი მოგვაკითხავს, როცა იქნება, აი, ნახავ...

დღეები გადიოდა. თითქოს ყველას გადააავიწყდა როიალი. ჟოან დე ოლივეირა ფარულ სიხარულს გრძნობდა იმ კაცივით, რომლის საყვარელმა მეგობარმაც მატარებელზე დააგვიანა და ძალაუნებურად კიდევ ერთხანს დარჩებოდა მასთან. ჟოანი როიალს მიუჯდებოდა ხოლმე და ტკბებოდა ამ მეგობრული სიახლოვის ბოლო წუთებით, იხიბლებოდა მისი კეთილშობილური შესახედაობით, მესაიდუმლესავით ეჩურჩულებოდა რაღაცრაღაცეებს. სამი თაობა უკრავდა ძველ როიალზე. რამდენი ადამიანი აოცნება და აცეკვა მან თავდავიწყებით! ყველაფერმა ჩაიარა, მაგრამ როიალი კი დარჩა, ერთადერთი, ვინც მოაგონებდა ამ ქვეყნიდან უკვე გარდასულთ, აგრძელებდა მათ არსებობას შთამომავალთა ცხოვრებაში, როგორც მუდმივი მოწმე და შუამავალი, ვით საოჯახო სალოცავი.

– მოდი აქ, სარიტა. აბა ერთი გაიხსენე ის ადგილი შოპენიდან, იცი რომელი?

– ა, მამა, შეუძლებელს ნუ მეუბნები! აბა, რა უნდა დავუკრა მაგაზე? ეგ დიდი ხანია გადასაგდებია.

– ნუ ამბობ მაგას, – უჩურჩულა როზალიამ, – განა, ვერ ხედავ, რა დღეშია მამაშენი...

ყოველთვის, როცა კი სარიტა როიალს შეავლებდა თვალს, გონება ებინდებოდა, ინსტრუმენტი ნისლივით ატორტმანდებოდა და ნელ-ნელა გარდაისახებოდა ორსაწოლიან სარეცელად, რომელზედაც ცხადლივ ხედავდა არტილერიის ლეიტენანტის მკლავებში განაბულ საკუთარ თავს.

დღე დღეს მისდევდა, ახალი მუშტრები კი აღარსად ჩანდნენ, მხოლოდ ებრაელი რეკავდა ხოლმე დროდადრო და აუჩქარებლად კითხულობდა, რა და როგორაა, თითქოს უკანასკნელ დღეში მყოფი მომაკვდავის ამბავი აინტერესებსო.

განცხადება ჩამოიღეს. როზალია ყოველნაირად ცდილობდა ეგრძნობინებინა მეუღლისათვის, რომ ჯვრისწერის კიდევ გადადება აღარ შეიძლებოდა.

– მაშ, როგორ გადავწყვიტოთ, ჟოან?

— რა როგორ გადავწყვიტოთ, როზალია?

— როიალის ამბავი!..

— აღარ ვყიდი, მორჩა და გათავდა! — უცებ დაიღრიალა ჟოანმა, თითქოს ერთბაშად მოაფიქრდა ეს უეცარი გადაწყვეტილებაო. — ამ ვიგინდარებს ჩვენი გაძარცვა უნდათ, აი, რა! მირჩევნია, მთლად მუქთად მივცე ვინმეს, ოღონდ კარგ ადამიანს, რომელიც ღირსეულად დააფასებს მას, გაუფრთხილდება.

იგი აღელვებული დააბიჯებდა ოთახში წინ და უკან. რაღაც ახალი გამომეტყველება დააჩნდა სახეზე.

— გეყურება, როზალია, ერთი ტიჟუკაში დარეკე, ჩემ ბიძაშვილს ან ვინმე მათგანს მინდა დაველაპარაკო...

როზალიას გაეხარდა: მიხვდა, რასაც აპირებდა ქმარი, ჟოან დე ოლივეირამ ტელეფონთან მიირბინა.

— მესიასს სთხოვეთ. საჩქაროდ! უკვე წავიდა? ა, ეს შენა ხარ, ჩემო რძალო? მომისმინე: მინდა ჩვენი როიალი გაჩუქოთ... ჰო, რა თქმა უნდა, გაჩუქოთ... არა, ჭკუაზე არ გადავმცდარვარ... ჰო, მართალს გეუბნები, მართალს... საქმე ისაა... აი, სწორედ ეგ უნდა მეთქვა... ყველაზე სამართლიანია... ჩვენს ოჯახში დარჩება... რაო? ჰო, ცხადია, საშინელი სივიწროვეა, რაღა თქმა უნდა. მაშ გამოგზავნით წამღებს, ხომ? ოდნავაც არა... აჰ!.. — მან ყურმილი დაკიდა და ცოლს მიუბრუნდა: — წარმოგიდგენია! იმას ეგონა, პირველი აპრილი იყო დღეს. არ დაიჯერა.

როზალია ფეხზე აღარ იდგა სიხარულისაგან, რაკი ასე იღბლიანად ადგებოდა საშველი ამ ამბავს. ჟოანი დაფიქრებული მივიდა ძველ როიალთან, თითქოს რჩევა უნდა ჰკითხოს, სწორად მოვიქეცი თუ არაო. „ახლა კი სინდისი აღარ შემაწუხებს, — გაიფიქრა. — შენ არ გაგდებენ სახლიდან, ოჯახშივე რჩები, შენიანებში. ჩემი ბიძაშვილის ქალიშვილები პატივისცემით მოგეპყრობიან, შენ კიდევ დაუკრავ მათთვისაც. სულაც არ გწყინს, ხომ მართალია, მესიასთან რომ გაგზავნით; გინდ იქ ყოფილხარ და გინდ ჩვენთან, შენსავე სახლში...“

— რა თქვა, როდის წავიღებთო, ჟოან? — შეაწყვეტინა ფიქრი როზალიამ, რომელსაც ერთი სული ჰქონდა, ოთახი მოეწესრიგებინა და ყველაფერი მოემზადებინა სარიტას ქორწილისათვის.

მეორე დღეს მესიასმა იპანემიდან დაურეკა თავის ნათესავებს ტელეფონით. ამ ამბის დადასტურებას ითხოვდა. როიალი — მეტისმეტად

ძვირფასი საჩუქარია, წარმოუდგენლად ძვირფასიო. გაოგნებული ვარ ასეთი გულუხვობით და უსაზღვროდ მადლიერი ვარ თქვენიო. გუშინ, როცა ეს ამბავი შემატყობინეს, არც დავიჯერეო.

— ოჰ, არა, მართალია, მესიას, მართალი. შენ ხომ იცი, ჩვენი ბინა — თხილის ნაჭუჭივითაა. უკვე ვეღარ ვტევულვართ და აღარ ვიცით, რა მოვუხერხოთ ამ როიალს, ჟოანს კი არ უნდა, უცხო ხალხს ჩაუგდოს ხელში. თუ თქვენ წაიღებთ — ამას რაღა აჯობებს, თქვენ ხომ ჩვენიანი ხართ. შეგიძლიათ გამოგზავნოთ ვინმე და წაიღოთ, როცა გსურდეთ, კარგი?!

რამდენიმე დღე გავიდა. ბიძაშვილი არავის გზავნიდა როიალის წასაღებად. ცოლ-ქმარ ოლივეირებს აკვირვებდა ტიუუკელი ნათესავების სრული მდუმარება.

— რაღაც ამბავია. ერთი დაურეკე იმათ, როზალია...

ტელეფონთან რძალი მოვიდა. ის რაღაც გაუგებარს ლუღლუღებდა. წამოღებაში უსაშველო ფასი მოითხოვესო...

— წარმოგიდგენიათ... ბენზინიც ვერ გვიშოვია სამყოფად და... კიდევ რამდენიმე დღე მოითმინეთ, მანამდე მესიასი მოელაპარაკება ვინმეს. ისე კმაყოფილი ვართ, სულ ეგ როიალი გვაქვს სალაპარაკოდ, როზალია...

ბოლო ფრაზა ყალბად გაისმა... კვირის მიწურულს ჟოან დე ოლივეირამ თვითონ დაურეკა ბიძაშვილს და მიუკიბ-მიუკიბავად ჰკითხა:

— მესიას, მიგაქვს როიალი თუ არა?

მავთულის მეორე ბოლოდან შეყოვნებით უპასუხეს:

— აჰ, ძვირფასო, ვერც წარმოიდგენ, როგორ ვწუხვართ ყველანი. ასეთი საჩუქრით დაგვაფასეთ, ჩვენ კი წამოღებაც ვერ მოგვიხერხებია. ტრანსპორტში აუარება ფულს ითხოვენ. მერე კიდევ, მართალი გითხრა, არც ჩვენა ვართ მაინცდამაინც ხალვათად სახლში. შეაჩვენოს ღმერთმა, რამდენ უხერხულობაში გაყენებს კაცს ეს წყეული სივიწროვე, ასე არ არის? მაშინ რატომღაც არ მიფიქრია ამაზე. ჩემი დედაკაცი პირდაპირ სასოწარკვეთილია.

— ესე იგი, არ მიგაქვს როიალი, როგორც გეტყობა?

— ოჰ, არა მიმაქვს... თუმცა, ისა, არ მიმაქვს, მაგრამ...

ჟოან დე ოლივეირამ ყურმილი დააგდო. უკვე ხვდებოდა ყველაფერს...

— ხედავ, როზალია: მუქთადაც არ მიაქვთ ჩვენი როიალი, მუქთადაც კი!

— რას იზამ, ჟოან. ყველაფერს თავისი ბოლო აქვს.

ორივენი დანაღელიანდნენ. სარიტა უცებ ასლუკუნდა, დედამ ფერებით უთხრა:

– აბა, რა გატირებს, შვილო? ნუ ნაღელობ, მაინც მიეყიდით ვინმეს, თუნდ ჩალის ფასი შემოგვაძლიოს.

– ჰოდა, მალე მოგვაშორონ აქედან, დედაჩემო, რაც შეიძლება მალე. ქორწილამდე სულ რამდენიმე დღეღა დარჩა, ჩვენ კი ჯერ ოთახიც არ დაგვილაგებია. და, უამისოდაც, რით გინდათ გამათხოვოთ? არაფერი არ მაბადია, არაფერი! მარტო ეს საზიზღარი როიალი მიგდია, სიცოცხლეს რომ მიმწარებს! კაციშვილს რომ არაფრად უნდა!

– ჩუმად, გოგო, მამაშენს ყველაფერი ესმის.

– ჰოდა, გაიგონოს, მეც სწორედ იმიტომ ვამბობ, – აზლუქუნდა ტირილით მთლად გაგუდული სარიტა, თან თვალებს იმშრალებდა.

ჟოან დე ოლივეირამ ღამე თეთრად გაათენა: წუთისოფელზე ფიქრებმა არ მოასვენა. ბუნდოვანი იყო ეს ფიქრები და უპირატესად სევდიანი. მეორე დილით გაბოროტებული იყო ყველაფერზე ამ ქვეყნად და თავის როიალზეც. ადრევე გავიდა შინიდან და მეზობელ კაფეში დიდხანს საუბრობდა ვიღაც უცნობებთან რაღაც საქმეზე. „ნეტა, რა უნდა იქ შენს ქმარს მთელი დღე?“ – საკუთარ თავს ეკითხებოდა როზალია. ამნაირი უცნაურობები არასდროს სჩვეოდა ჟოანს...

მათი სახლიდან ოთხი კვარტლის მერე პლაჟი იწყებოდა. ფანჯრებიდან არ ჩანდა ზღვა, მაგრამ მისი ბუბუნი ისმოდა და ზღვაურის არომატი იგრძნობოდა. სანაპირო ბულვარს ზღვისკენ დაქანებული ფართო ქვიშიანი ზოლი გასდევდა.

ჟოან დე ოლივეირას ვიღაც ზანგი და სამუშაო ხალათიანი ორი ტანადი პორტუგალიელი მოჰყვა შინ. მოსელისთანავე როიალი დაანახვა მათ. უცნობებმა გამოუცხადეს, მეტისმეტად დიდიაო. აწევა სცადეს. ამას კიდევ სამი კაცი მაინც დასჭირდებაო... ცოლსა და ქალიშვილს არაფერი ესმოდათ. როზალიამ ჰკითხა:

– გამოჩნდა მყიდველი?

– არა, დედაკაცო, ამ როიალს არ ჰყავს მყიდველი.

– მუქთად აძლევ ვინმეს?

– არა, დედაკაცო, ეს როიალი მუქთადაც არავის მიაქვს.

– მაშ, აბა, რას აპირებ, ჟოან, რას აპირებ? – შეეშინდა როზალიას, რომელსაც რაღაც ცუდი უგრძნო გულმა.

ჟოან დე ოლივეირამ მკაცრად მოკუმა ტუჩები, თუმცა თვალებში ცრემლები უციმციმებდა.

— ზღვაში გინდა გადააგდო, როიალი?

— ჰო, დედაკაცო, ზღვაში მინდა გადავაგდო.

— ოჰ, მამა, ეგ არა ქნა! მაგას ნუ იზამ! ეგ რაღაც სიგიჟეა! — წამოიძახა სარიტამ.

მტვირთავები ელოდნენ.

— ძნელი ასატანია ეგ, ჟოან! განა, არ არის სხვა გამოსავალი? — ჩაერია როზალია. — კარგად დაფიქრდი. ზღვაში როიალის გადაგდება... საშინელებაა.

— მაშ, აბა რა ვქნათ, როზალია! განა, არ იძირებიან გემები? რამდენი გემია ჩაძირული!..

ქმრის პასუხმა აიძულა როზალია, გაჩუმებულიყო. ჟოანი მუშებს მიუბრუნდა:

— აბა, ბიჭებო, შეეუდგეთ საქმეს. ასწიეთ ბარემ. ცოცხლად!

ერთ-ერთი პორტუგალიელი წინ წამოდგა და დარცხვენით თქვა, არ შეგვიძლიაო. დაე, გვაპატიოს პატივცემულმა, როგორღაც უხერხულია: ასეთი ნივთი — და უცებ ზღვაში გადაუძახო. არ ივარგებსო.

— თქვენ, პატივცემულო, განცხადება რომ მიგეცათ, რა იქნებოდა? როიალი ხომ, ეტყობა, ჯერაც კარგია...

— დიახ, დიახ, დიდად გმადლობთ, — სიმწრით უპასუხა ოლივეირამ. — შეგიძლიათ წახვიდეთ.

მუშები წავიდნენ, ერთი მათგანი, ზანგი, დახეული კომბინეზონი რომ ეცვა, უცნაურმა სურვილმა აიტანა, მოდი მე თვითონ წავიღებ როიალსო. არავინ ცდილობს მის დაპატრონებას, ვისაც გინდა, იმას მისცემენო... გარეთ რომ გამოდიოდა, სულ როიალისკენ იყურებოდა, იმ ფიქრით მოხიბლული, რომ ამ ლამაზ ნივთს დაუფლებოდა. საშინლად მოუნდა, თვითონაც ყოფილიყო რაღაცის მფლობელი, რადგან არაფერი გააჩნდა საკუთარი, გარდა გიტარისა. ეს იყო ოცნება და ადვილად ასახდენიც! დიახ, მაგრამ კვლავაც ის იყო საკითხავი — სად დაედგა როიალი? და, კაცმა რომ თქვას, რა თავში იხლიდა? მას ხომ არც სახლი ჰქონდა და არც როიალზე დაკვრა შეეძლო...

აცრემლებული როზალია მხარზე მიეყრდნო ქმარს. ჟოან დე ოლივეირას თვალებში რაღაც სისასტიკე ჩაუდგა.

– ოჰ, ჟოან! რა საშინელება გადაწყვიტე!

– მაგრამ, თუკი ის არავის უნდა, ხოლო აქ კი აღარ ედგომება...

– ეგ ეგრეა, ჟოან, მაგრამ ცოდოა. მუდამ ჩვენთან იყო, ჩვენს ოჯახში. რაღაც უცნაურიც კია, ხომ მართალია? ამდენი წელიწადი იდგა – და უცებ ზღვაში გადავაგდოთ... უყურე, დგას თავისთვის და არც იცის, რა დღე მოელის. თითქმის ოცი წელი გაატარა ამ კუთხეში, არავისთვის არაფერი დაუშავებია...

– ჰო, ახლა კი აგიჩვილდა გული, როზალია?!

ცოლმა ქმარს შეხედა:

– კეთილი, ჟოან. როგორც გინდა, ისე მოიქეცი.

პინტოს პლაჟზე და ლატოლანდიის გორაზე ერთიერთმანეთზეა მიხუხულავებული საცოდავი ქოხმახები, რომელთა წიაღიდანაც ლაშქრავენ მდიდართა კვარტალებს ჩამოკონკილი შავკანიანი ბიჭუნების მხიარული ბანდები. ისინი მუდამ ფეხებში ებლანდებიან გამელელ-გამომველელთ, ხან ნაყინის გროშებისათვის იწედიან ხელს, ხან კინოს შესასვლელთან წრიალებენ და აღტაცებით აჭყეტენ თვალებს ფილმების რეკლამებს, ხანაც პლაჟის ლაპლაპა ქვიშაზე კოტრიალობენ.

ამ დღეს ატლანტიკის ოკეანემ ზვირთების ღრიალით გამოიღვიძა. როიალი თავის კუთხეში იდგა, მშვიდი, როგორც ყოველთვის, დიდებული და დარბაისლურად კეთილშობილი.

გამოსვენების სამზადისში იყვნენ.

ჟოან დე ოლივეირამ ცოლსა და ქალიშვილს სთხოვა, – ყველა ნაწილი, რომლებიც შეიძლება გამოგვადგეს, გადაინახეთო. ჩამოხსნეს ბრინჯაოს შანდლები, მოაგლიჯეს ლითონის სამკაულები, მოაძრეს სატერფულები, ახადეს ნახშირივით შავი სახურავი.

– ნეტავი ხელი არ გვეხლო, – ფიქრიანად წარმოთქვა როზალიამ.

– რაღა დროსია, – ეგ უკვე აღარცა ჰგავს თავის თავს, – თქვა სარამ.

ზანგი ბიჭები, რომლებიც ცოლისა და ქალიშვილისგან მალულად დაიქირავა ჟოან დე ოლივეირამ, კარს უკან იდგნენ და მოუთმენლად ელოდნენ, თუ როდის დაუძახებდნენ. ოლივეირამ გააფრთხილა ისინი, პირველად ყველაზე ღონიერნი შემოდითო.

დაახლოებით ხუთის ნახევარი იქნებოდა, გამოსვენება რომ დაიწყო. ქუჩაში მთელი ბრბო შეკრებილიყო და ორი უზარმაზარი ფრთა წარმოექმნა სახლის წინ. როიალი ტორტმანითა და ჯახირით მიჰქონდათ.

ცნობისმოყვარენი ახლოს მიდიოდნენ მასთან, რათა უკეთ შეეთვალიერებინათ. როზალია და მისი ქალიშვილი ზედა აივნიდან იყურებოდნენ, ხელიხელგადახვეულნი, დანაღვლიანებულნი. ძალა აღარ ეყოთ. უკანასკნელ გზაზე გაეცილებინათ თავიანთი როიალი. მზარეული ქალი წინსაფრით იმშრალებდა თვალებს.

როცა პროცესიამ გზაჯვარედინამდე მიაღწია, პაწია მუშებმა იკითხეს:

— ახლა საით?

ისინი ერთმანეთს ასწრებდნენ მხარის შეშველებას, თითქოს კუბო მოაქვთო, და კინაღამ დაუვარდათ როიალი.

— ახლა საით? — კვლავ გაისმა ბიჭების შეძახილი.

— ზღვისკენ! — მჭახედ, თითქოს გემის კაპიტანიაო, — ბრძანა ოლივეირამ.

და ატლანტიკის ოკეანისაკენ გაიშვირა ხელი.

— ზღვისკენ! ზღვისკენ! — გაიმეორა ბიჭების ქორომ.

ამ მომენტიდან პაწია მუშებმა როიალისადმი ყოველგვარი პატივისცემა დაკარგეს. რაკი მიხვდნენ, ისეთი ნივთი მიგვაქვს, რომელსაც პატრონები გადაგდებას უპირებენო, ერთბაშად მოედოთ უდარდელი მხიარულება და თავშეუკავებლად ახმაურდნენ. უკვე აღარ იცოდნენ, კიდევ როგორ გამოეჯავრებინათ პროცესიას ადევნებული დოლი, რომელიც გახელებული ჰყეფდა და ჯიუტად ცდილობდა როიალზე შეხტომას.

მოსეირნეებით ავსებული აივნებიდან ქალიშვილების მფრთხალი შეძახილები მოისმოდა:

— ეს რა არის, წმიდაო მარიამ? როიალი?

მას უკვე ბოლო საცხოვრებელ კვარტალებში მიატარებდნენ: სილიანი პლაჟი, სადაც ზიუდ-ვესტი ქროდა, უკვე ახლოს იყო.

— ეგა ოთხმოცდათერთმეტიდან გამოიტანეს! — დაიყვირა ერთ-ერთმა ზანგმა ბიჭუნამ ცნობისმოყვარეთა საყურადღებოდ.

— უი, სარას სახლიდან...

— დიახ, დიახ, ჟოან დე ოლივეირას სახლიდან.

ერთი ნაცნობთაგანი ქუჩაში გავიდა და გაოცებით ჰკითხა ოლივეირას:

— რა მოხდა, ჟოან? რას აკეთებ?

— არაფერი არ მომხდარა, არაფერი! თავად ვიცი, რასაც ვაკეთებ. ხელს ნუ მიშლით!

— კი, მაგრამ რატომ ვინმეს არ მიჰყიდი?

— ჰოდა, ვყიდი, სწორედ მაგისთვის მიმაქვს... აი, ხედავ იქ, შორს... ზღვა მოჩანს... მას უნდა მივყიდო...

და, როგორც გულცივმა ჯალათმა, კვლავ დაიწყო მბრძანებლობა:

— ოდნავ მარცხნივ, ბიჭებო... ფრთხილად, არ დაგივარდეთ... მხოლოდ ყველაზე ღონიერებმა ზიდეთ...

როიალი ტორტმანით მიჰქონდათ და ყრუდ კვნესოდა. დროდადრო რომელიმე ბიჭუნათაგანი ჩხირებისა და ჩაქუჩების დახლართულ ლაბირინთში ჰყოფდა ხელს, სიმებს ეხებოდა და უკნასკნელად ახრიალებდა ინსტრუმენტს.

ვიღაც ქალმა აივნიდან გადმოსძახა ჟოან დე ოლივეირას:

— შემთხვევით, ხომ არ ჰყიდით მაგას, სენიორ?

— არა, სენიორა, არ ვყიდი. მუქთად ვიძლევი. გნებავთ?..

ქალი წამოწითლდა, განაწყენდა და აივნიდან გავიდა. დროდადრო ჟოან დე ოლივეირა ეკითხებოდა ცნობისმოყვარეებს:

— სურს ვინმე თქვენგანს ამ როიალის წაღება?

მოულოდნელად ორმოცდამესამე სახლის ბინადარმა, ემიგრანტი პოლონელების ოჯახმა გაბედა ეს. გაბედა, მაგრამ როგორღაც შიშით.

— მაშ, წაიღეთ ახლავე, — ასძახა ჟოან დე ოლივეირამ.

პოლონელები ქვემოთ ჩამოვიდნენ, ძველ ინსტრუმენტთან მივიდნენ და ყოყმანით დაიწყეს:

— წავიღებთ... აუცილებლად წავიღებთ, ოღონდ... ძალიან ვიწროდ ვართ, ერთხანს თუ...

— ან ახლა ან აღარასოდეს! — ამბობდა ოლივეირა, — ხედავთ, უკვე გამოტანილია სახლიდან. არ მიგაქვთ? ბიჭებო, აბა ჰე, გავსწიოთ!..

მუშებმა ადრინდელზე უფრო მეტად გამოიდეს თავი.

და როიალი ჯიუტად უახლოვდებოდა ზღვას ნელი ტორტმანით, როგორც ჭიანჭველების მიერ ათრეული მკვდარი ხოჭო.

ჟოან დე ოლივეირამდე არ აღწევდა ყრუ წამოძახილები, ხალხით გამოჭედილი ფანჯრებიდან და შესასვლელებიდან რომ მოისმოდა.

— მაგრამ ეს ხომ სიგიჟეა! — დაიყვირა ვიღაცამ ერთ-ერთი მახლობელი აივნიდან.

— სიგიჟეა? — მობრუნდა ჟოან დე ოლივეირა და გაბოროტებული მზერა მიაპყრო აივანს. — მაშ, წაიღეთ ბარემ, წაიღეთ...

მერე სხვა აივნებსაც ჩაუარეს, სხვა ფანჯრებსაც, და ყველგან ერთი სურათი მეორდებოდა, ყველას სიგიჟედ მიაჩნდა ეს, ყველას უნდოდა როიალის შინ წაღება, მაგრამ საკმარისი იყო პატრონს უსასყიდლოდ შეეთავაზებინა იგი, რომ ყველანი უკან იხევდნენ შეცბუნებულნი. ვის შეეძლო, ასე უცაბედად შეეგორებინა სახლში როიალი? როგორღაც მაინც ხომ უნდა შემზადებულიყო საამისოდ...

ჟოან დე ოლივეირა უკვე აღარავის აქცევდა ყურადღებას და მტკიცედ განაგრძობდა თავის გზას, უკან კი წამოძახილები და ოხვრა-ვიშვიში მიაცილებდა.

მაგრამ უცებ მკვახე შეძახილი გაისმა და პროცესია შეჩერდა. როიალს მოტოციკლისტი პოლიციელები შემოადგნენ გარშემო. ჟოან დე ოლივეირას დაწერილებითი ჩვენება ჩამოართვეს. დოკუმენტები მოსთხოვეს. იგი შინ გაიქცა საბუთების მოსატანად. ოლივეირამ კანონიერად მიიჩნია პოლიციის მოთხოვნა, ახლა ომია და სავსებით გასაგებია თქვენი სიფრთხილეო, მაგრამ რაც შეეხებოდა მის მოქმედებას, განაცხადა, ოჯახში ასე გადავწყვიტეთ, ეს ჩემი პირადი საქმეა და ვალდებული არა ვარ, ახსნა-განმარტება მივცე ვინმეს ამის თაობაზეო. ყველას აქვს უფლება, გადააგდოს თავისი სახლიდან ყველაფერი, რაც მოესურვებათო. ეს რომ თქვა, ხელი დაადო თავის როიალს, თითქოს მიცვალებულ მეგობარს უალერსებს თავზეო, გრძნობა მოერია და მისი ამბავი წამოიწყო:

— ეს ძველი ნივთია, ახლა ასეთს იშვიათად შეხვდები.

ინსტრუმენტი ხომ ჯერ კიდევ ბაბუამისის ოჯახს ეკუთვნოდა, ბაბუა კი თვალსაჩინო ადამიანი იყო, საკმაოდ ნამოღვაწეი იმპერიის საკეთილ-დღეოდ.

— კარგი როიალია, შეგიძლიათ მენდოთ, გამოჩენილი მუსიკოსები უკრავდნენ ამაზე. ამბობენ, შოპენის შესასრულებლად უკეთესი როიალი არც იყო სადმეო. მაგრამ რის მაქნისია ახლა ამის ლაპარაკი? უკვე აღარავინ არ აფასებს მას... ახლა სხვა დროა, სარა, ჩემი ქალიშვილი, თხოვდება, ჯვარდაწერილები ჩვენთან იცხოვრებენ. ბინაში კი სივიწროვეა... რა უნდა გვექნა? ამის წამღები არავინ გამოჩნდა. სხვა გამოსავალი არ არის.

და ზღვისკენ იშვერდა ხელს.

იგი დათრგუნვილი იყო. პატარა მუშები უკმაყოფილოდ ბუზღუნებდნენ — რა წარამარა გვაჩერებთო. ერთი სული ჰქონდათ, დაენახათ, როგორ ჩაიძირებოდა როიალი წყალში.

პროცესიის ბოლოში ურიკებიანი მეფუნთუშეები, გაზეთებისა და წიგნების დამტარებლები, ფოსტალიონები, ქალები და ბავშვები მოდიოდნენ.

პოლიციამ კარგა ხანს უკირკიტა როიალს გარედანაც და შიგნიდანაც, საეჭვო ვერაფერი შენიშნა და დოკუმენტები დაუბრუნა ოლივეირას, თან დაბეჯითებით ურჩია, რაც შეიძლება მალე მორჩენილიყო ამ ამბავს და ტრანსპორტი არ დაებრკოლებინა.

სანამ ასე თავშეყრილნი იდგნენ, ვიღაც ფოტოგრაფმა აპარატი გააჩხაკუნა. ჟოან დე ოლივეირა თავისი როიალის გვერდით „ნაღველიანად მდგომი“ გადაიღეს. უკვე ჟოანსაც თავს აბეზრებდა ეს შეჩერებები, მისი როიალის სასიკვდილი აგონიას რომ ახანგრძლივებდა.

სწრაფად ჩამობნელდა. გუშაგმა პოლიციელმა გამოაცხადა, თვრამეტი საათის შემდეგ მოძრაობა აკრძალულიაო, ხვალამდე უნდა მოითმინოთო. და ზღვაც ხვალის მოლოდინში დარჩა.

ზანგი ბიჭუნები აქეთ-იქით მიმოიფანტნენ — თავ-თავიანთ სახლებში. მათ შეჰპირდნენ — გასამრჯელოს ხვალ მიიღებთო.

უცნაური სანახავი იყო იმ საღამოს ახლომახლო კვარტალების ქუჩებში მოკუნტრუშე ბიჭუნები, რომლებსაც სათამაშოებივით ეჭირათ ხელში კლავიშები — სამუდამოდ დადუმებული როიალის ძვლები.

ის ქუჩაში დარჩა, როგორც დატოვეს, — ტროტუარის კიდესა და ასფალტს შორის დაყირავებული. უცნაური დასანახი იყო. მაშინვე დაეხვივნენ გამვლელ-გამომვლელნი. ბულვარში მოყიალე ახალგაზრდა წყვილები ჩერდებოდნენ და ენამახვილობდნენ მისი მისამართით. ჟოან დე ოლივეირა გაგულისებული დაბრუნდა შინ. სარას მისმა ამხანაგებმა მოაკითხეს, უნდოდათ გაეგოთ, როგორ იყო საქმე.

გამთენიისას ოლივეირა და მისი ცოლი ავდრის ხმაურმა გამოაღვიძა. ქარის წივილი და წვიმის შხაპუნი ზვირთების ბუბუნს ერთვოდა. შუქი აანთეს. ერთმანეთს გადახედეს.

— იმაზე ვფიქრობდი ახლა, როზალია.

— მეც, ჟოან. საცოდავი! თავახდილი გდია წვიმაში... ასეთ სიცივეში!

— წყალი კი შიგ ჩადის, აფუჭებს ყველაფერს... სიმებს, ნატს... რა საშინელებაა, ჰა, როზალია?

— უმადურები ვართ, აი რა, ჟოან.

— ფიქრიც კი მიმძიმს, როზალია.

ქარი ხეებს არბევდა და ელვა უეცრად აშუქებდა ფოთლებს. ჟოან დე ოლივეირამ კვლავ ჩასთვლიმა მოუსვენარი ძილით. მაგრამ რამდენიმე წუთში ისევ გაიღვიძა და ცოლს გამოელაპარაკა. ეს-ეს არის მესმოდა ყველა მელოდია, რომლებიც კი ვინმეს ოდესმე დაუკრავს ძველ როიალზეო...

– ძილში ხელები ვნახე, როზალია... ქალების ხელები, ბევრი იყო. სულ ნაირ-ნაირი! ბებიაჩემის ხელები, დედაჩემისა, შენი, ჩემი დეიდებისა და მამიდების ხელები, სარას ხელები, ოც წყვილზე მეტი ხელი, ასზე მეტი ბროლივით თითი ეხებოდა კლავიშებს... არასოდეს მომისმენია ასეთი მუსიკა! რა ნეტარება იყო, როზალია! ზოგჯერ მკვდარი ხელები უფრო ლამაზ აკორდებს იღებდნენ, ვინემ ცოცხლები. ჩვენ წინაპართა ბევრი ქალიშვილიც იქვე იჯდა, მუსიკას ისმენდნენ. ჩვენს მშობლებს ვხედავდი, ახალგაზრდები იყვნენ, შეყვარებულები. მამა რაღაცას ეჩურჩულებოდა დედაჩემს, მგონი, ცოლობას სთხოვდა... არ ვიცი, რატომ, მაგრამ ყველანი ზიზღით შემომყურებდნენ. და უცებ თითები კლავიშებიდან გაქრნენ, სამგლოვიარო მარში გაისმა: როიალი თავისით დაიხურა... რაღაც დინებას გაჰყვა, ოკეანეში ჩაცურდა... მივყვიროდი უკან, დაბრუნდი-მეთქი, მაგრამ უკვე გვიანღა იყო, ვერ გავაგონე ჩემი ძახილი, მომეჩვენა, თითქოს ნაწყენი წავიდა, როზალია!.. მარტოდმარტო დავრჩი ქუჩაში, ტირილი მომინდა...

ჟოან დე ოლივეირას სუნთქვა ეკვროდა. იდუმალმა კონცერტმა უკანასკნელი ძალ-ღონე გამოაცალა. სინდისის ქენჯნით იტანჯებოდა. გათენებას დაელოდა და, წვიმამ გადაიღო თუ არა, მაშინვე ახალი მუშების დასაქირავებლად გასწია. ახლა მხოლოდ ერთი სურვილი ჰქონდა – ყველაფერი რაც შეიძლება მალე დამთავრებულიყო.

ქარი მეტეოროლოგიური საგუშაგოს პაწია წითელ დროშას ფხრეწდა და ოკეანის წიაღი დრტვინავდა, თითქოს გუშინდელ გრიგალს ინელებსო. დღეს ბიჭები იმდენნი აღარ იყვნენ, რამდენიმე მოზრდილიც გამორეოდათ... ჟოან დე ოლივეირამ ყრუდ წარმოთქვა, საქმეს შევუდგეთო. სილაზე როიალის თრევა უფრო გაჭირდა... აი, უკვე ცოტაღა დარჩა... ტალღის გრძელი ენა მისწვდა განწირულს...

ტროტუარზე ხალხი შეჯგუფდა და შორიდან ადევნებდა თვალს ამ ამბავს. ბიჭები იძულებულნი შეიქნენ ცოტაზე კიდეე წაეჩოჩებინათ როიალი, რათა დინების ძალა მორეოდა და სიღრმისაკენ გაექანებინა. ორი უზარმაზარი ტალღა ზედ მოასკდა და ისე გაიფრქვა, ვერც კი დასძრა ადგილიდან; მესამემ შეაბარბაცა; მეოთხემ კი სამუდამოდ გაიტაცა.

ჟოან დე ოლივეირა გახევებული იყო. პირი დაეღო და ისე დიდხანს იდგა იქვე ნაპირზე. საკვირველია, ისიც როგორ არ გაიტაცა დინებამ. ზღვის უკიდეგანო დუმილს უსმენდა. კაციშვილს არ შეუმჩნევია, რომ ტიროდა, რადგან სახეზე ჩამომდინარე ცრემლები და ზღვის შხეფები ერთმანეთში არეოდა.

შორიდან დაინახა, როგორ მიეყრდნო სარა თავისი ლეიტენანტის მხარს. დოლი პატრონის გვერდით იდგა, თავჩაქინდრული. მას როიალის ფეხთან მოკუნტვა და ისე ძილი უყვარდა. კიდევ კარგი, რომ როზალია არ მოვიდა...

მალე პლაჟზე ხალხი შეიყარა, კითხულობდნენ, რა მოხდაო. ჯერ იძახდნენ, პოლონელების მთელი ოჯახი დაიხრჩო ზღვაშიო, მერე – ბავშვი დაიხრჩოო. ზოგიერთები ირწმუნებოდნენ, რის პოლონელები ან რის ბავშვი – ქალმა დაიხრჩო თავი უბედური სიყვარულის ნიადაგზეო. მხოლოდ მოგვიანებით გამოირკვა, რომ თურმე როიალის გამო ამტყდარა ეს ამბავი.

მეზობლები ფანჯრებიდან ჰყოფდნენ თავს – უნდოდათ, შინ მობრუნებული ჟოან დე ოლივეირა დაენახათ.

– აი, ისიც მოდის! – წამოიძახა ვიღაცამ.

ჟოან დე ოლივეირა მიწაზე თვალებდაშტერებული მოაბიჯებდა, ყველანი თანამგრძნობელი მზერით მოაცილებდნენ.

– მორჩა, აღარ არის ის, როზალია, ახლა – უკვე სამუდამოდ! – თქვა მან, როგორც კი ზღურბლს გადმოაბიჯა.

– წადი, ჯერ ტანისამოსი გამოიცვალე, ჟოან.

– ჩვენი როიალი უკვე აღარასოდეს დაგვიბრუნდება, როზალია.

– რა თქმა უნდა, ჟოან, სწორედ მაგიტომაც ჩააგდე ზღვაში.

– ვინ იცის, იქნებ კიდევ მიადგეს რომელიმე ნაპირს? – სარას ხმა ფიქრიანად გაისმა.

– ნულარ ეფიქრობთ ამაზე, რა საჭიროა! აღარ არის – და მორჩა. ახლა შენი ოთახის გაწყობაზე უნდა ვიზრუნოთ, სარა.

დუმილი ჩამოდგა. ჟოან დე ოლივეირა ვერა და ვერ მშვიდდებოდა.

– ეხედავდი, როგორ ჩაითრიეს ტალღებმა...

– კმარა, კაცო! გესმის? კმარა...

– ...კიდევ ამოცურდა ზემოთ, ერთხელ, მეორედ!

– გეყოფა! ნულარ ფიქრობ იმაზე, ჟოან.

— ...აღარ ვაპირებდი ამის თქმას, გიჟი არ ვეგონო-მეთქი ხალხს... ახლა ყველას გიჟი ვგონივარ. მე კი, მგონი, ყველაზე ნორმალური ადამიანი უნდა ვიყო მთელ ამ კვარტალში... მაგრამ, დამიჯერე, იმ წუთებში, როცა წყალში იძირებოდა, მკაფიოდ მესმოდა, რომ მისი სიმები „სამგლოვიარო მარშს“ უკრავდნენ.

— ეგ შენ სიზმრად ნახე დღეს, — შეახსენა როზალიამ.

— არა, მკაფიოდ მესმოდა იქ, ნაპირზე, სულ ახლახან, დღისით-მზისით... შენ, განა, არ გესმოდა, სარა? მერე... მერე... სულ ერთიანად დაფარა ქაფმა... ქაფის ვეება ხალიჩამ...

ჟოანმა თავი ჩაქინდრა. მორჩა, გათავდა ყველაფერი. მაგრამ ფიქრები მაინც არ ასვენებდა. „ახლა, ალბათ, უკვე შორს მიცურავს, წყალქვეშ, ცხადია... ირგვლივ ათასნაირი საოცრება ახვევია. ჩაძირული გემები. წყალქვეშა ნავები. თევზები. ადრე კი არასოდეს დაუტოვებია ეს ოთახი... ხუთიოდე წუთის შემდეგ რომელიმე კუნძულს მიადგება. და როცა მე, როზალია და სარაც კი აღარ ვიქნებით ამ ქვეყნად, მას კვლავ ისევ ემახსოვრება მუსიკა, აქ რომ ჟღერდა ხოლმე, ჩვენს სახლში. ის მაინც იჟღერებს. რომელ ზღვაში? რომელ ნაპირას?“

სარიტა აუჩქარებლად ავლებდა თვალს ცარიელ ოთახს და, ფიქრში წასული, დიდხანს აშტერდებოდა იატაკზე იმ ადგილს, სადაც თითქმის ოცი წელი იდგა როიალი. ყოველთვის, როცა მზერას ამ ადგილს აპყრობდა, ძველი როიალი ნისლივით ატორტმანდებოდა და ახალ, მოხერხებულ სარეცელად გარდაისახებოდა. სარიტა სწორედ ამ მოჩვენებით ნეტარებდა, როცა უცებ კარზე დააკაკუნეს. ვიღაც სუბიექტმა პოლიციის უწყება მოიტანა. ეჭვი აქვთ, რომ ჩაძირულ როიალში საიდუმლო რადიოგადამცემი იყო დამალული და მამამისმა მისი მოსპობა გადაწყიტაო. დაე, პოლიციის განყოფილებაში გამოცხადდეს და გაარკვიოს ეს ამბავიო. ამგვარი ღონისძიებები საომარი მდგომარეობით არის გამოწვეული, რას იზამ, უნდა შეეურიგდეთო.

მთელი დღე ამის შემდეგ ოლივეირამ პოლიციაში გაატარა, ჩვენებას აძლევდა. შინ გვიან დაბრუნდა.

— რა ცხოვრება გვაქვს, როზალია! — შესძახა მან და ღონემიხდილი ჩაეშვა სავარძელში. — რა ცხოვრება გვაქვს! კაცს უფლება არა აქვს, თავისი საკუთარი ნივთი გადააგდოს.

გაყუჩდა, ამდენი მღელვარებისაგან მთლად გატანჯული. სახლში მდუმარება ჩამოდგა. ერთხანს ფიქრში იყო, მერე კელავ წამოიწყო:

– თუ შეამჩნიე, როზალია, რა ძნელი ყოფილა ძველ ნივთებთან განშორება? ფესვები ჰქონიათ!

– მარტო ძველ ნივთებთან კი არა, – სერიოზულად შენიშნა როზალიამ, – ძველ შეხედულებებთანაც.

დოლი იატაკს ყნოსავდა იმ ადგილზე, სადაც წინათ როიალი იდგა. მერე ყრუდ დაიყმუვლა, წამოწვა და დაიძინა. კელავ აყღრიალდა კარის ზარი. ოთახში ვიღაც მამაკაცი შემოვიდა, თან გზადაგზა რაღაც ქაღალდებს იღებდა პორტფელიდან. თქვა, ნავსადგურის სამმართველოდან ვარო.

– ჟოან დე ოლივეირა თქვენა ხართ?

– დიახ. მე გახლავართ.

– მითხარით, სენიორ. რა გადააგდეთ თქვენ ამ დილით ზღვაში?

ოლივეირა გაშტერდა.

– მაგრამ აქ ნავსადგური არ არის, სენიორ, აქ ოკეანეა.

– თქვენ, როგორც ვატყობ, გინდათ ჭკუა მასწავლოთ?

კაცი კელავ მის გამოკითხვას შეუდგა და, დამსწრენი რომ გარკვეული ყოფილიყვნენ საქმის მდგომარეობაში, გააფრთხილა ისინი:

– ახლანდელი ვითარება ისეთია, რომ არ შეიძლება ზღვაში ყველაფრის გადაყრა, რაც ხელში მოგხვდებათ. ზღვა თქვენი საკუთრება როდია. ნებართვა გაქვთ, სენიორ?

ოლივეირამ გაუბედავად ჰკითხა: განა რამე ცუდი ჩავიდინეო?

– ხომ არ დაგავიწყდათ, სენიორ, რომ ახლა ომია? რომ ჩვენი ქვეყნის ნაპირები დაცული უნდა იყოს? რომ ნაცისტებს არ სძინავთ?

– კი, მაგრამ, ძვირფასო სენიორ, ის ხომ მხოლოდ როიალი იყო!

– მაგას რა მნიშვნელობა აქვს, მერე კიდევ, ისიც საკითხავია, მართლა როიალი იყო? თქვენ მთლად დარწმუნებული ხართ ამაში, სენიორ?

– დიახ, მგონი დარწმუნებული ვარ, – მიუგო ოლივეირამ, რომელსაც უკვე ყველაფრისადმი ეჭვის გრძნობა ეუფლებოდა, და შიშით გადახედა ცოლსა და ქალიშვილს. – როიალი იყო, ხომ მართალია, როზალია, ხომ მართალია, სარა?

– რა მოგდის, ჟოან? – წამოიძახა როზალიამ. – შენ თვითონ განა არ იცი, რომ როიალი იყო?

მოულოდნელმა დაეჭვებამ, რაც ოჯახის უფროსს შეეტყო, ყველა გააკვირვა. ოლივეირა ღრმად ჩაფიქრდა. მერე თქვა:

– მეგონა, ზღვაში ყველაფრის ჩაგდება შეიძლებოდა.

– რასა ბრძანებთ, სენიორ! ეგრე შორს შეეტოპავთ...

ოლივეირა წელში გაიმართა, თვალები უცნაურად აუელვარდა.

– ვთქვათ და, მე თვითონ მდომებოდა ზღვაში გადაყარდნა, ეს ნებადართულია?

– დამოკიდებულია იმაზე... – დაიწყო ნავსადგურის სამმართველოს მოსამსახურემ.

მაგრამ ოლივეირამ აღარ დააცალა:

– ვისზე? მხოლოდ ჩემზეა დამოკიდებული, გესმით! მე თავისუფალი ვარ, რასაც ვინდომებ, იმას ვუზამ საკუთარ თავს...

– არც ისეთი თავისუფალი, როგორც წარმოგიდგენიათ, – გამოედავა მოსამსახურე.

სარიტას უცებ ღიმილით გაებადრა სახე, სწორედ ამ დროს შემოსწრებული ლეიტენანტის შესაგებებლად გაიქცა და გულში ჩაეკრა:

– ნახე, აი, ეს ოთახი იქნება ჩვენი, ძვირფასო. ასე მეტი ხალვათობაა აქ, ხომ მართალია, ლუის? კარგია, ხომ?

– ჰო, ასე კარგია. ოღონდ სად უნდა დავდგათ ახალი?

– ახალი?

– ცხადია; განა არ აპირებთ ახლის ყიდვას?

სარამ და როზალიამ თავზარდაცემულებმა გადახედეს ერთმანეთს.

– სულ იმაზე ვოცნებობ, როიალი მქონდეს, – გამოტყდა სასიძო. – ვერც წარმოიდგენთ, რანაირად მიტკბობს სმენას მუსიკა. თორემ სულ ზარბაზნები და ზარბაზნები, ლამის დავყრუვდე, მომბეზრდა უკვე.

სარას ხველა აუტყდა. ჟოან დე ოლივეირამ ნირწამხდარმა დაუქნია თავი მომავალ სიძეს და მაშინვე კარს მიაშურა. გრძნობდა, რომ სული ეხუთებოდა. მისთვის აუცილებელი იყო ღამის ჰაერზე გასვლა.

ნეტა, კიდევ ვინ მოელინება ღამის წიაღიდან, რომ ახალი დაკითხვებით გააბეზროს თავი? როგორ იფიქრებდა, თუ მისი როიალი, – რომელიც, მთელ ქვეყნიერებას გარიდებული უწყინრად ცხოვრობდა თავისთვის, – საზოგადოებრივი ფასეულობა იქნებოდა და პოლიცია და ქალაქის ხელისუფალნი ეყოლებოდა დამცველად!..

რად ახლო ხელი, რას ერჩოდა? ახლა ის შორსაა, უსასრულო მანძილებს კეცავს და ისე მიცურავს... შორსაა... სამხრეთის ზღვებისკენ მიიკელეეს გზას... თავისუფალი, ვინემ თვითონ, ვინემ სარა, ვინემ როზალია. მარტოდ-მარტოა როიალი კი არა, მარტოდმარტოა ის, ჟოან დე ოლივეირა და მისი ოჯახი. ხოლო როიალი არ არის მარტოდმარტო. ის თავის ბედის შესახვედრად გაემართა. გარემო გამოიცვალა... სხვად იქცა... ადრე საშინაო იყო, საოჯახო. ახლა კი აღარავისია. ერთია მთელი ქვეყნიერების პირისპირ. სიცოცხლით სავსე, ამაყი... დაე, იცუროს წყალქვეშ ზღვიდან ზღვებამდე. დაე, იყღეროს... მსოფლიოს ყველა წყლები უალერსებენ და შეუძლია საითაც სურს, იქით იცუროს.

რად ახლო ხელი, რას ერჩოდა?

ჩრდილში ხეებქვეშ, სახლის გასწვრივ, ზანგი ბიჭუნები დამატებით გასამრჯელოს ელოდებოდნენ. ისინი ცუდად არ გარჯილან დღეს. სიბნელეში ძლივს გასარჩევად მოჩანდა მათი შავი, თმახუჭუჭა თავები. უეცრად მათ ვიღაცის სილუეტი გამოეყო, ბუნდოვნად ნაცნობი სილუეტი... მერე ვიღაცამ კუტიკარი შემოაღო და შემოსვლის ნებართვა ითხოვა.

ჟოან დე ოლივეირამ ძლივს იცნო ამასწინანდელი ებრაელი და ვერ გაიგო, რა უნდოდა ამ კაცს, რაღაც გარიგებას რომ სთავაზობდა და ხშირ-ხშირად ახსენებდა როიალს.

— როიალი? რომელი როიალი?!

თარგმნა თამარ ტურიაშვილმა

ოლდოს ჰაქსლი

26.07.1894 – 22.11.1963

გამოჩენილი ინგლისელი მწერალი, დაიბადა არისტოკრატიულ ოჯახში, სწავლობდა იტონისა და ბელიოლის კოლეჯებში, დაამთავრა ოქსფორდის უნივერსიტეტი (1921); ბევრს მოგზაურობდა, 1923-30 წლებში ცხოვრობდა იტალიაში, 1937 წელს დასახლდა ლოს-ანჯელესში. თავდაპირველად იყო ლიტერატურული და თეატრალური კრიტიკოსი, 1918-23 წლებში გამოაქვეყნა ლექსების კრებულები. 20-იან წლებში იდეური პოზიციით ახლოს იდგა „დაკარგული თაობის" მწერლებთან. ეკუთვნის მრავალი რომანი, ისტორიული ბიოგრაფია, მოთხრობა, ესსე, მოგზაურობის ჩანაწერი, ფილოსოფიური ტრაქტატი და სხვ. სახელი გაუთქვა 20-30-იან წლებში შექმნილმა რომანებმა: „ყვითელი ქრომი" (1921), „მასხრული ფერხული" (1923), „ის უნაყოფო ფოთლები" (1925), „კონტრაპუნქტი" (1928), „ბრმა გზაში" (1936), „მშვენიერი ახალი ქვეყანა" (1932), რომლებშიც მთელი ძალითაა გამოვლენილი ჰაქსლის სატირიკოსის, კომედიოგრაფის, დაკვირვებული რეალისტის მაღალი ოსტატობა. ამ პერიოდში ჰაქსლის შემოქმედება, ტრადიციული უანრული ფორმის მიუხედავად, მაინც ნოვატორულად აღიქმებოდა და დიდ დავასაც იწვევდა. აზრთა სხვადასხვაობის საბაბი იყო ჰაქსლის პერსონაჟთა ერთგვარი სქემატურობა, სიუჟეტის ქაოსურობა, ჟანრთა აღრევა (ჩართული ესსეისტური ეპიზოდები და სხვ.); ნაწარმოების გმირი, პერსონაჟი, უმეტესწილად, არის იდეა და არა ხორცშესხმული ადამიანი; ამ მხატვრული ხერხებით მწერალი საკმაო განზოგადებას აღწევს და მთელი სისავსით გამოხატავს ომის შემდგომი პერიოდის ინტელიგენციის სულიერ და ზნეობრივ განწყობილებას, ეპოქის პრობლემებს. ეს მიჩნეულია ე. წ. ინტელექტუალურ რომანად, იდეების რომანად. გარკვეულ პერიოდში, ცხოვრების აზრისა და პოზიტიური ფასეულობის ძიების გზაზე, რამდენადმე თითქოს შესუსტდა მწერლის სატირა, მომძლავრდა მისტიციზმი, ნატურალიზმის ელემენტები, ფილოსოფიური დეკლარაცია. ამ ეტაპზე ჰაქსლიმ შექმნა რომანები – „მრავალი ზაფხულის შემდეგ კვდება გედი" (1939), „დრო უნდა განსრდეს" (1945), „გენიოსი და ქალღმერთი" (1955), „კუნძული" (1962), „გრეთვე – მრავალი ესსე, ფილოსოფიური ტრაქტატი და სხვ.

ოლდოს ჰაქსლის სახელი მოიხსენიება XX საუკუნის ლიტერატურის ისეთი დიდი წარმომადგენლების გვერდით, როგორებიც არიან: ჯოისი, კაფკა და პრუსტი.

პორტრეტი

– სურათების ნახვა გინდათ? – იკითხა მისტერ ბიგერმა, – თანამედროვე ხელოვნების ძალიან საინტერესო ნიმუშები გვაქვს, სულ ფრანგული და ინგლისური მხატვრობაა.

მყიდველმა ხელები გაასავსავა და თავი გააქნია უარის ნიშნად.

– არა, თანამედროვე არაფერი მაინტერესებს, – წარმოთქვა მან სასიამოვნო ჩრდილოური კილოთი, – ნამდვილ სურათებს ვეძებ, ძველ სურათებს – რემბრანდტს, სერ ჯოშუა რეინოლდსს და სხვა ამგვარებს.

– კარგი არჩევანია. – მოუწონა მისტერ ბიგერმა. – ესე იგი, ძველი ოსტატები გაინტერესებთ, არა? დიახ, ჩვენ ძველ ოსტატთა ნამუშევრებითაც ვვაჭრობთ.

– მოხდა ისე, – თქვა მყიდველმა, – რომ ამ ცოტა ხნის წინ მამულისა და ძველებური სახლის მფლობელი გავხდი. – ბოლო სიტყვებს მან ხაზი გაუსვა.

მისტერ ბიგერმა გაიცინა. საოცარი გულუბრყვილობა ეტყობოდა ამ უეშმაკო, მიმზიდველ კაცს. გასაკვირია, როგორ მოახერხა გამდიდრება. „მამულის მფლობელი“. ამ სიტყვების წარმოთქმის მანერა პირდაპირ მომხიბლავი იყო, უბრალო გლეხი მემამულედ იქცა და ფეოდალური პირამიდის განიერი ფუძიდან მწვერვალს მიაღწია. მისი საკუთარი ისტორია და კლასთა მთელი ისტორიაც ამ მოკრძალებული სიამაყით წარმო-

თქმულ „მამულში“ გამოიხატა. უცნობი საუბარს განაგრძობდა და მისტერ ბიგერის ფიქრებს უფრო შორს წასვლის საშუალება არ მიეცა.

– ამ სტილის სახლისათვის, – ამბობდა ის, – და მდგომარეობის განსამტკიცებლად კაცმა სურათები უნდა შეიძინოს. ძველი ოსტატები – რემბრანდტი და სხვები, რა ვიცი, ვინც არიან.

– მართალია, – დაეთანხმა მისტერ ბიგერი, – ძველი ოსტატი სოციალური უპირატესობის სიმბოლოა.

– ნამდვილად ასეა. – წამოიძახა თვალებგაბრწყინებულმა მყიდველმა. – თქვენ სწორედ ჩემი სათქმელი თქვით.

მისტერ ბიგერმა თავი დახარა და გაიცინა. კარგია, როცა ნახავ კაცს, რომელიც შეფარულ ირონიას სერიოზულად ღებულობს.

– ძველ ოსტატებს, რა თქმა უნდა, ქვევით, შემოსასვლელში დაეკიდებდი. ზედმეტი ფუფუნება იქნებოდა მათი საწოლ ოთახში მოთავსება.

– საერთოდ, ეს ზედმეტი ფუფუნებაა, – აღნიშნა მისტერ ბიგერმა.

– სხვათა შორის, – განაგრძო მამულის მფლობელმა, – ჩემი ქალიშვილი ცოტას ხატავს და გვარიანადაც გამოუდის. მისი რამდენიმე ნამუშევარი ჩარჩოში ჩავასმევინე და საწოლ ოთახში დასაკიდებლად მაქვს გამზადებული. ერთი მხატვარი ოჯახში აუცილებელია, თუ არ გინდა საქმე საყიდლად გაგიხდეს. შემოსასვლელში კი მაინც საჭიროა ძველ ოსტატთა ნამუშევრების დაკიდება.

– მე მგონი, თქვენი სურვილის შესაფერი ერთი სურათი უნდა მქონდეს. – მისტერ ბიგერი წამოდგა და ზარი დარეკა.

– „ჩემი ქალიშვილი ცოტას ხატავს...“ – გაიფიქრა და თვალწინ წარმოუდგა ქერათმიანი, მებუფეტის ტიპის ოცდათერთმეტი წლის შინაბერა. ამ დროს კარში მისი მდივანი გამოჩნდა.

– მის პრეტ, მომიტანეთ ის ვენეციური პორტრეტი, უკანა ოთახში რომ ჰკიდია. იცით, რომელსაც ვგულისხმობ.

– ძალიან მყუდროდა ხართ მოწყობილი, – თქვა მამულის მფლობელმა. – ალბათ, საქმეებიც კარგად მიგდით.

– კრიზისია, – უპასუხა მისტერ ბიგერმა და ამოიოხრა. – სურათებით მოვაჭრენი ყველაზე მწვავედ ვგრძნობთ ამას.

– აჰ, კრიზისი. – ჩაიქირქილა მამულის მფლობელმა. – ხომ ვიცოდი, რომ ასე მოხდებოდა. ზოგიერთებს ეგონათ, სამუდამოდ მწვერვალზე

დავრჩებოდით. სულელები! ყველაფერი მაშინ გავყიდე, როცა ზენიტზე ვიმყოფებოდით. აი, ამიტომ მაქვს ახლა სურათების შეძენის საშუალება.

მისტერ ბიგერმაც გაიცინა – რომ უნდოდა, ისეთი მყიდველი შეხვდა.

– კარგი იქნებოდა, მეც მქონოდა რამე გასაყიდი ბუმის დროს.

მამულის მფლობელმა იმდენი იცინა, რომ თვალებიდან ცრემლები გადმოსცვივდა. იგი მაშინაც იცინოდა, როცა მის პრეტმა კარი შემოაღო. მდივანს ორივე ხელში ფარივით ეჭირა სურათი.

– მოლბერტზე დადგით, მის პრეტ, – სთხოვა მისტერ ბიგერმა და ისევ მამულის მფლობელს მიუბრუნდა. – აბა, რას იტყვით ამაზე?

მოლბერტიდან იყურებოდა მეთვრამეტე საუკუნის შუა ხანების იტალიელის ტიპი, ღრმად გულამოჭრილ ცისფერ აბრეშუმის კაბაში გამოწყობილი პირმსუქანი თეთრი ქალი. მის გაბუშტულ ტუჩებს კმაყოფილების გამომხატველი ღიმილი დასთამაშებდა, ხელში კი შავი ნიღაბი ეჭირა. ისეთი შთაბეჭდილება იქმნებოდა, თითქოს კარნავალის დამთავრების შემდეგ ეს-ესაა მოეხსნას იგი.

– კარგი სურათია, – თქვა მემამულემ და მერე დაეჭვებით დაუმატა, – სულ არ ჰგავს რემბრანდტს, არა? ყველაფერი ისე ნათელი და ბრწყინვალეა. ძველ მხატვრებთან ამგვარს ვერაფერს ნახავთ, მათი სურათები ისე ჩამუქებული და დანისლულია.

– სწორია, – უპასუხა მისტერ ბიგერმა, – მაგრამ ყველა ძველი ოსტატი კი არ ჰგავს რემბრანდტს.

– მეც ასე მგონია, – მემამულე მთლად დარწმუნებული არ ჩანდა.

– ამისი ავტორი მეთვრამეტე საუკუნის ვენეციელი მხატვარია. ვენეციელთა ფერები კი ყოველთვის ნათელია. ჯიანგოლინი ფერმწერი იყო, ახალგაზრდა გარდაიცვალა და მხოლოდ ექვსიოდე სურათითაა ცნობილი. ეს ერთ-ერთია.

მამულის მფლობელმა თავი დახარა. მას შეეძლო იშვიათობის დაფასება.

– კაცი ერთი შეხედვითაც კი შეამჩნევს ლონჯის გავლენას,– ვითომ სხვათა შორის აღნიშნა მისტერ ბიგერმა, – თან ის სიფაქიზეც ეტყობა, რასაც როზალბა პირისახის ხატვისას აღწევდა ხოლმე.

მამულის მფლობელი უკმაყოფილო გამომეტყველებით ხან მისტერ ბიგერს შესქცეროდა და ხან სურათს. იმაზე შემაწუხებელი არაფერია,

როცა თქვენზე მცოდნე კაცი გელაპარაკებათ. მისტერ ბიგერი აშკარად სარგებლობდა თავისი უპირატესობით.

– უცნაურია, – განაგრძო მან, – რომ ვერავინ ხედავს ტიეპოლოს მანერას ამ სურათში. ასე არ არის?

მამულის მფლობელმა თავი დაუქნია, მოიღუშა და ბავშვური ტუჩები გადმოებერა, გეგონებოდათ, სატირლად ემზადებაო.

– სასიამოვნოა ისეთ კაცთან საუბარი, – თქვა მისტერ ბიგერმა და ბოლოს და ბოლოს მოლბა, – რომელსაც ნამდვილად ესმის მხატვრობა. ასეთები ცოტანი არიან.

– ფერწერა მაინცდამაინც ღრმად არ მესმის, – თავი დაიმდაბლა მამულის მფლობელმა, – მაგრამ, როცა სურათს ვუყურებ, ვიცი, მომწონს თუ არა. – მას ისევ გაუბრწყინდა სახე, რადგან მყარ ნიადაგზე იგრძნო თავი.

– ბუნებრივი ინსტინქტია, – თქვა მისტერ ბიგერმა. – შესანიშნავი ნიჭია. თქვენ სახეზე გაწერიათ, რომ გაქვთ ეს ნიჭი, როგორც კი დარბაზში შემოხვედით, მაშინვე შეგატყვეთ.

მამულის მფლობელი ნასიამოვნები დარჩა. – მართლაც, – დაეთანხმა იგი და იგრძნო, როგორ ამაღლდა საკუთარ თვალში, – მართლაც – მან ცალი თვალით კრიტიკულად გახედა სურათს. – უნდა ითქვას, რომ მართლაც მშვენიერი ფერწერაა. ძალიან კარგია, მაგრამ მე მაინც მერჩივნა, რაიმე ისტორიული მნიშვნელობის ტილო შემეძინა, ალბათ, გესმით, რასაც ვგულისხმობ. მინდოდა მეყიდა სურათი, რომლის შინაარსი წარსულთან იქნებოდა დაკავშირებული. ვინმე საინტერესო პიროვნების, ეთქვათ, ანა ბოლეინის, ნელ გვინის, ველინგტონის ჰერცოგის ანდა სხვა ამის მსგავსის პორტრეტი.

– ჩემო ძვირფასო სერ, მე სწორედ ახლა ვაპირებდი ერთი ამბის მოყოლას. ამ სურათს ისტორია აქვს, – მისტერ ბიგერი წინ გადაიხარა და მამულის მფლობელს მუხლზე ხელი დაადო. თვალები ლმობიერად აუციმციმცდა და დაფანჩულ წარბებქვეშ კმაყოფილებით გაუბრწყინდა. მის ეშმაკურ ღიმილშიც სათნოება გამოსჭვიოდა. – ამ სურათთან ერთი შესანიშნავი ამბავია დაკავშირებული.

– მართლა? – მამულის მფლობელმა წარბები აზიდა.

მისტერ ბიგერი სავარძელში მოეწყო.

— აი, ეს ქალი, — დაიწყო მან და ხელი პორტრეტისაკენ გაიშვირა, — ჰარტმორის მეოთხე გრაფის ცოლი იყო. ჰარტმორების გვარი ახლა აღარ არსებობს — მეცხრე გრაფი შარშან გარდაიცვალა. ეს პორტრეტი მე საჯარო ვაჭრობაზე შევიძინე საგვარეულო სახლის გაყიდვის დროს. მეტად სამწუხარო მოვლენაა ასეთი ძველი ოჯახების გადაშენება. — მისტერ ბიგერმა ამოიოხრა. მამულის მფლობელი ისე იყო გაჭიმული, კაცს ეგონებოდა ეკლესიაში ზისო. ერთი წუთით დუმილი დამყარდა. შემდეგ მისტერ ბიგერმა შეცვლილი ხმით განაგრძო. — მის რამდენიმე პორტრეტს თუ ვენდობით, მეოთხე გრაფი პირგრძელი, წარბშეკრული კაცი უნდა ყოფილიყო. ასეთები ყოველთვის ორმოცდაათი წლისად გამოიყურებიან და ამიტომ მათი ახალგაზრდობის წარმოდგენა შეუძლებელია. გრაფის ცხოვრების მთავარ ინტერესს შეადგენდა მუსიკა და რომაული ძეგლები. არსებობს ერთი პორტრეტი, სადაც მას ცალ ხელში სპილოს ძვლის ფლეიტა უჭირავს, მეორე ხელით კი რომაული ჩუქურთმის ფრაგმენტზეა დაყრდნობილი. თავისი ცხოვრების ნახევარი იტალიაში მოგზაურობას შეალია — ეძებდა ანტიკური ხელოვნების ნიმუშებს და ტკბებოდა მუსიკით. ორმოცდათხუთმეტი წლისამ უეცრად ცოლის შერთვა გადაწყვიტა და აი, ეს ქალი აირჩია, — მისტერ ბიგერმა სურათზე მიუთითა. — მის ფულებსა და ტიტულს ბევრი ნაკლის დაფარვა შეეძლო, ხოლო ლედი ჰარტმორის გარეგნობა არ გვაფიქრებინებს, რომ დიდად დაინტრესებული ყოფილიყოს რომაული ძეგლებით. არც მეცნიერებისა და მუსიკის ისტორიისთვის იტკიებდა, ალბათ, თავს. უყვარდა კარგი ჩაცმა, საზოგადოებაში ტრიალი, აზარტული თამაშობანი, ფლირტი და ყოველგვარი სიამოვნება. როგორც ჩანს, ახლად შეუღლებული წყვილი მთლად ვერ ეწყობოდა ერთმანეთს, მაგრამ აშკარა განხეთქილებას ერიდებოდნენ. ქორწინებიდან ერთი წლის გასვლის შემდეგ ლორდმა ჰარტმორმა მოინდომა ერთხელ კიდევ სტუმრებოდა იტალიას. ადრე შემოდგომაზე ისინი ვენეციას ეწვივნენ. ლორდ ჰარტმორისათვის ვენეცია ნიშნავდა მუსიკას განუსაზღვრელი რაოდენობით — გალუპის ყოველგვარ კონცერტებს მიზერიკორდიის ობოლთა თავშესაფარში, პიცინის — სანტა მარიაში, ახალ ოპერებს — სან მოიზეში, შესანიშნავ კანტატებს — ასობით ეკლესიაში, მოყვარულთა შინაურულ კონცერტებს, პორპორის და ევროპის საუკეთესო მომღერლებს, ტარტინის და სახელგანთქმულ მევიოლინეებს. ლედი ჰარტმორისათვის ვენეცია სულ სხვა რამ იყო. მისთვის ეს გახლდათ აზარტული თამაშობანი

რიდოტოზე, ნიღბოსანთა საცეკვაო სალამოები, მხიარული ვახშმები და ყველა ის სიამოვნება, რომელსაც მსოფლიოს უმხიარულესი ქალაქი იძლევა. ისინი საკუთარი ცხოვრებით ტკბებოდნენ და სხვადასხვაგვარად ბედნიერად გრძნობდნენ თავს ვენეციაში, ვიდრე ერთხელ ლორდ ჰარტმორს არ გაუჩნდა საბედისწერო აზრი – დაეხატვინებინა ცოლის პორტრეტი. მას წარუდგინეს ახალგაზრდა ჯიანგოლინი, როგორც დიდი მომავლის მქონე ნიჭიერი მხატვარი. ლედი ჰარტმორმა სეანსებზე სიარული დაიწყო. ჯიანგოლინი ლამაზი და ელეგანტური იყო. ჯიანგოლინი ახალგაზრდა იყო. სასიყვარულო ტექნიკა ისევე დახვეწილი ჰქონდა, როგორც ფერწერის ხელოვნება. ლედი ჰარტმორი უბრალო მოკვდავი არ უნდა ყოფილიყო, რომ წინააღმდეგობის გაწევა შესძლებოდა. იგი ჩვეულებრივი მოკვდავი გახლდათ.

– ჩვენ ყველანი მოკვდავები ვართ, არა? – მამულის მფლობელმა თითი ლამის ნეკნებში გაურჭო მისტერ ბიგერს და გაიცინა.

მისტერ ბიგერმა თავაზიანად გაიზიარა მისი მხიარულება დამ როგორც კი მამულის მფლობელი დაწყნარდა, საუბარი განაგრძო.

– ჰოდა, ბოლოს გაქცევა განიზრახეს. გადაწყვიტეს ჰარტმორების საგვარეულო ძვირფასეულობით ვენაში ეცხოვრათ. ძვირფასეულობის წაღებას ლედი მალულად აპირებდა. ის კი ოცი ათასზე მეტი ღირდა.

სამზადისი მალე დამთავრდა. ჯიანგოლინის ჰყავდა მეგობარი, რომელმაც ყველაფერი მოაწყო – სხვის სახელზე პასპორტები აუღო, დაუქირავა ცხენები, რომლებსაც კონტინენტზე დაახვედრებდნენ, ათხოვა თავისი გონდოლა. შეყვარებულები ბოლო სეანსის შემდეგ აპირებდნენ გაქცევას. იმ დღეს ლორდმა ჰარტმორმა ცოლი ჩვეულებრივ ჯიანგოლინის სახელოსნოში გონდოლით მიიყვანა და მოდელისათვის განკუთვნილ სავარძელში ჩასვა. თვითონ კი მიზერიკორდიაში გალუპის კონცერტის მოსასმენად წავიდა. შუაგული კარნავალი იყო. ხალხი დღისითაც კი ნიღბებით დადიოდა. ლედი ჰარტმორს შავი აბრეშუმის ნიღაბი ეკეთა – ხედავთ, ამ პორტრეტზე ხელში უჭირავს. თუმცა გრაფი მხიარულების მოყვარული კაცი არ იყო და არც კარნავალის ღრეობები მოსწონდა, მაგრამ მეზობლების გროტესკულ მოდას მაინც აჰყვა. არ უნდოდა, სხვებისგან გამორჩეულიყო და ვინმეს ყურადღება მიექცია.

გრძელი შავი წამოსასხამი, უზარმაზარი შავი სამკუთხა ქუდი და თეთრი ქაღალდის გრძელცხვირა ნიღაბი კარნავალის დღეებში ყოველი

ვენეციელის ჩვეულებრივ მორთულობას წარმოადგენდა. ლორდი ჰარტმორი სულაც არ ისწრაფვოდა, თვალში მოხვედროდა ვინმეს. მასაც ისევე ეცვა, როგორც ყველას. ადვილი მისახვედრია, რა აბსურდული და შეუფერებელი იქნებოდა მხიარული ვენეციელი ნიღბოსნის ჩაცმულობა პირქუში და გაფუყული ინგლისელი მილორდის ტანზე. „პანტალონე ჰულჩინელას ტანსაცმელში“ – ასე მონათლეს შეყვარებულებმა გრაფი. ტრადიციული კომედიის გამოჩერჩეტებული მოხუცი მხიარული კლოუნის ფორმაში.

როგორც უკვე მოგახსენეთ, იმ დილით ლორდმა ჰარტმორმა ცოლი დაქირავებული გონდოლით სახელოსნოში მოიყვანა. ქალს თან მოჰქონდა განიერ წამოსასხამში დამალული ტყავის პატარა ყუთი, რომელშიც აბრეშუმებზე მშვიდად ესვენა ჰარტმორის ძვირფასეულობა. ჰარტმორები გონდოლის ვიწრო, ჩაბნელებულ კაბინაში ისხდნენ. მათ თვალწინ მიცურავდა ეკლესიები, ჩუქურთმებით დახუნძლული სასახლეები და დროისაგან შელახული მრავალსართულიანი სახლები. კლოუნის მხიარული ნიღბიდან ლორდ ჰარტმორის ხმა მკაცრად, მშვიდად, დინჯად მოედინებოდა.

– უგანათლებულესი მეცნიერი მამა მარტინი, – თქვა მან, – დაპირებულია, ხვალ პატივი დაგვდოს და სადილად გვეწვიოს. საეჭვოა, ვინმემ მასზე უკეთ იცოდეს მუსიკის ისტორია. გთხოვთ, ეცადოთ და განსაკუთრებული პატივისცემა გამოიჩინოთ მის მიმართ.

– გქონდეთ ჩემი იმედი, მილორდ. – ქალი ძლივს იკავებდა სიცილს. ხვალ სადილობისას ისინი შორს იქნებიან. გორიციას გაცილებულნი, საზღვარს იქით, ვენის გზაზე გააჭენებენ ცხენებს. საწყალი ბებერი პანტალონე. თუმცა, რატომ არის საწყალი. ბოლოსდაბოლოს, მას თავისი მუსიკა რჩება, რჩება თავისი მარმარილოს ნამტვრევები. მოსასხამის ქვეშ ქალმა უფრო მაგრად ჩაბღუჯა ძვირფასეულობის ყუთი. რა თავბრუდამხვევ სიამოვნებას ანიჭებდა თავისი საიდუმლო!

მისტერ ბიგერმა ხელი გულთან მიიტანა. იგი საკუთარი საუბრით ტკბებოდა. გრძელი, მელიისებური ცხვირი მამულის მფლობელისაკენ მიაბრუნა და ტკბილად გაუღიმა. მამულის მფლობელი თავის მხრივ მთლად ყურადღებად იყო ქცეული.

– შემდეგ? – იკითხა მან.

მისტერ ბიგერმა ხელები მუხლებზე დაუშვა.

– შემდეგ, – თქვა მან, – გონდოლა ჯიანგოლინის კართან მიცურდა. ლორდი ჰარტმორი ცოლს გადმოსვლაში ეხმარება, აცილებს მხატვრის სახელოსნომდე მეორე სართულზე, ჩვეულებრივი თავაზიანი ფრაზებით აბარებს ცოლს მხატვარს, თვითონ კი მიზერიკორდიაში გალუპის კონცერტის მოსასმენად მიეშურება. შეყვარებულებს ორი საათი რჩებათ საბოლოო სამზადისის ჩასატარებლად.

როგორც კი ბებერი პანტალონე თვალს მიეფარება, გამოჩნდება მხატვრის გაჭირვების ტალკვესი, მეგობარი, რომელიც ისევეა შენიღბული, როგორც ყველა მამაკაცი ქუჩაში თუ არხებზე ან ვენეციური კარნავალის დღეებში. დაიწყება ხელის ჩამორთმევა, ხვევნა-კოცნა და სიცილი. ყველაფერი ისე კარგად მოეწყო, არავის ეჭვი არ გასჩენია. ლედი ჰარტმორის მოსასხამიდან თავს გამოჰყოფს ძვირფასეულობის ყუთი. ქალი ყუთს ხსნის. ამას მოსდევს გაკვირვებისა და აღტაცების გამომხატველი იტალიური შეძახილები, ბრილიანტები, ჰარტმორების მსხვილ-მსხვილი ზურმუხტები, ლალის შესაკრავები, იაგუნდის საყურეები – მთელი ეს ბრჭყვიალა ნივთები სიყვარულით დაათვალიერეს, მცოდნე ხელით მოსინჯეს. მეგობარი ახლა თითქმის ხუთი ათას ცეხინად ფასობს. შეყვარებულები გიჟებივით გადაეხვივნენ ერთმანეთს.

მეგობარი აჩერებს მათ. ცოტა რამ კიდევ დარჩა გასაკეთებელი. უბრალო, მაგრამ აუცილებელი ფორმალობაა – ხელი უნდა მოაწერონ პასპორტებს პოლიციაში. ისიც იმათთან ერთად გავა და ერთ ცალ ბრილიანტს გაყიდის, სამგზავრო ფულს უშოვის.

მისტერ ბიგერი სიგარეტის მოსაკიდებლად შეჩერდა. მერე ერთი გააბოლა და განაგრძო.

– ასე გამოვიდნენ ისინი, ნიღბებსა და მოსასხამებში გამოწყობილები. მეგობარი ერთი მიმართულებით წავიდა. მხატვარი და მისი სატრფო – მეორე მიმართულებით. აჰ, სიყვარული ვენეციაში! – ექსტაზში შესულმა მისტერ ბიგერმა თვალები გადაატრიალა. – ყოფილხართ როდისმე ვენეციაში და თანაც შეყვარებული, სერ? – ჰკითხა მან მამულის მფლობელს.

– დიეპს არ გავცილებივარ, – უპასუხა მამულის მფლობელმა და თავი გააქნია უარის ნიშნად.

– აჰ, მაშინ თქვენ არ განგიცდიათ ცხოვრების უდიდესი სიტკბოება და ვერ შეძლებთ ბოლომდე გაიგოთ,რას გრძნობდნენ პატარა ლედი ჰარტმორი

და მხატვარი, არხებზე ცურვისას. ისინი თვალს არ აშორებდნენ და ხანდახან, რა თქმა უდნა, ჰკოცნიდნენ კიდეც ერთმანეთს: ნიღბები ცოტას უშლიდათ, მაგრამ უნიღბოდ საშიში იყო, ვინმეს არ ეცნო, საერთოდ კი, – დაასკვნა მისტერ ბიგერმა დაფიქრებით, – ვინ იცის, იქნებ მხოლოდ ერთმანეთის ცქერით კმაყოფილდებოდნენ. ვენეციაში, არხებზე ცურვით მოთენთილები ერთმანეთის შეხედვითაც კმაყოფილდებიან ხოლმე, მხოლოდ შეხედვით.

მისტერ ბიგერმა ხმას დაუწია და ორჯერ-სამჯერ სიგარეტი მოქაჩა უსიტყვოდ. მერე განაგრძო, მისი ხმა ისევ მშვიდად და თანაბრად ჟღერდა.

– ნახევარი საათის შემდეგ ჯიანგოლინის სახლს გონდოლა მოადგა. ქაღალდისნიღბიანი, შავ მოსასხამში გახვეული, სამკუთხედქუდიანი კაცი გონდოლიდან გადმოვიდა და მხატვრის სახელოსნოში შევიდა. ოთახი ცარიელი დახვდა. პორტრეტი ტკბილად და ოდნავ სულელურად იღიმებოდა მოლბერტიდან. არც მხატვარი იდგა მოლბერტის წინ და არც მოდელის სავარძელზე იჯდა ვინმე. გრძელცხვირა ნიღაბმა გარშემო მიმოიხედა ფარული ინტერესით. ცნობისმოყვარე თვალი ბოლოსდაბოლოს შეჩერდა ძვირფასეულობის ყუთზე, რომელიც შეყვარებულებს თავახდილი მიეტოვებინათ მაგიდაზე დაუდევრად. გარინდებული და ამოღამებული თვალები გროტესკული ნიღბიდან დაკვირვებით დააცქერდა ამ საგანს. გრძელცხვირა პულჩინელა თითქოს ფიქრებმა შეიპყრო.

რამდენიმე წუთის შემდეგ კიბეებზე გაისმა ორი ადამიანის ხარხარი და ფეხის ხმა. ნიღბოსანი, ვითომ ქუჩაში გადასახედად, ფანჯრისკენ მიტრიალდა. მის უკან ხმაურით გაიღო კარი. აღგზნებული, მხიარულებისა და უზრუნველობისაგან მთვრალი შეყვარებულები ოთახში შემოცვივდნენ.

– აჰა, Caro amico![1] უკვე დაბრუნდი? როგორ გაასაღე ბრილიანტი?

ფანჯარასთან მდგომი მოსასხამიანი ფიგურა არ შერხეულა. ჯიანგოლინიმ მხიარული ყბედობა განაგრძო. ხელისმოწერის დროს დაბრკოლება არ შეხვედრიათ და ზედმეტიც არაფერი უკითხავთ. ჯიბეში პასპორტები ედო და თუნდაც ახლავე შეეძლოთ გამგზავრება.

ლედი ჰარტმორს მოულოდნელად სიცილი აუტყდა. ვერა და ვერ გაჩერდა.

– რა მოხდა? – იკითხა ჯიანგოლინიმ. ისიც იცინოდა.

– გამახსენდა, – ძლივს ამოიგმინა სიცილისაგან სუნთქვაშეკრულმა ქალმა, – გამახსენდა ბებერი პანტალონე, რომელიც ახლა გაფუყული ზის

[1] ძვირფასო მეგობარო (იტალ.)

მიზერიკორდიაში და უსმენს... – იგი იხრჩობოდა, სიტყვები ყელში ეჩხირებოდა, თითქოს ტიროდა, – უსმენს გალუპის ადამისდროინდელ მოსაწყენ კანტატებს.

ფანჯარასთან მდგომი მობრუნდა.

– სამწუხაროდ, ქალბატონო, – წარმოთქვა მან, – უგანათლებულესი მაესტრო ამ დილით შეუძლოდ გრძნობდა თავს და კონცერტი ჩაიშალა. – მან ნიღაბი მოიხსნა. – ამიტომ ჩვეულებრივზე ადრე დავბრუნდი. – მათ წინაშე წარსდგა ლორდ ჰარტმორის გრძელი, ნაცრისფერი, გაუცინარი სახე.

შეყვარებულები ერთ წუთს უხმოდ მიშტერებოდნენ მას. ლედი ჰარტმორმა ხელი გულზე მიიდო – საშინლად უცემდა. გულის კოვზს ქვეშაც უსიამოვნო შეგრძნება გაუჩნდა. საწყალ ჯიანგოლინის თავისი ნიღაბივით თეთრი ფერი დაედო. ამ cicisbei[1]-სა და ოფიციალური საყვარლების ხანაშიც იყო შემთხვევები, როცა შეურაცხყოფილი და ეჭვიანი ქმრები მკვლელობას არ ერიდებოდნენ. უიარაღო ჩანს, მაგრამ ვინ იცის, რა აქვს დამალული ამ საიდუმლოებით მოცული შავი მოსასხამის ქვეშ. ლორდ ჰარტმორს არაფერი მხეცური ანდა ღირსების შემლახველი არ ჩაუდენია. ჩვეულებისამებრ დინჯად, წარბგაუხსნელად მიუახლოვდა მაგიდას, ძვირფასეულობის ყუთი ხელში აიღო, დიდი სიფრთხილით დაკეტა და წარმოთქვა: „ეს ჩემი საკუთრება უნდა იყოს“, მერე ყუთი ჯიბეში ჩაიდო და ოთახიდან გავიდა. შეყვარებულები გაკვირვებით შეჰყურებდნენ ერთმანეთს.

ჩამოვარდა დუმილი.

– შემდეგ რაღა მოხდა? – იკითხა მამულის მფლობელმა.

– საოცარი რამ მოხდა. – უპასუხა მისტერ ბიგერმა და თავი ნაღვლიანად გააქნია. – ჯიანგოლინი მზად იყო, გაქცეულიყო, ორმოცდაათი ცეხინის ამარა. ლედი ჰარტმორმა კი, დაფიქრების შემდეგ, აღარ ისურვა ეგემნა სიყვარული სიღარიბეში. ქალს, გადაწყვიტა მან, სჭირდება ოჯახური კერა და საგვარეულო ძვირფასეულობა. მაგრამ შეხედავს თუ არა ლორდი ჰარტმორი ასეთივე თვალით ამ ამბავს? ეს იყო შემაშფოთებელი, სიმშვიდის დამარღვეველი კითხვა. გადაწყვიტა, ქმართან დაბრუნებულიყო და თვითონვე გაერკვია ყველაფერი.

სწორედ სადილობისას მივიდა.

---

[1] ჩიჩისბეი (იტალ.) – იტალიაში (XVI-XVIII ს.ს.-ში) დიდგვაროვანი, მდიდარი გათხოვილი ქალის მუდმივი თანამგზავრი მამაკაცი სეირნობის დროს

– მისი უმაღლესობა სასადილო ოთახში გელოდებათ. – მოახსენა მაჟორდომმა.

მაღალი კარი გაიღო. ქალი ამაყად თავაწეული შეცურდა ოთახში, მაგრამ შიშისაგან სული მისდიოდა. ქმარი ბუხართან იდგა, ცოლი რომ დაინახა, მის შესახვედრად გამოემართა.

– მე თქვენ გელოდით, ქალბატონო, – უთხრა და სასადილო მაგიდასთან თავის ადგილამდის მიაცილა.

მომხდარ ამბავთან დაკავშირებით მეტი არაფერი თქმულა. ნასადილევს კი მსახური მხატვრის სახელოსნოში გაგზავნეს პორტრეტის წამოსაღებად. ეს პორტრეტი ბარგს გააყოლეს, როცა ერთი თვის შემდეგ ინგლისისკენ მიემგზავრებოდნენ. ეს ისტორია პორტრეტთან ერთად თაობიდან თაობას გადაეცა, მე კი ჰარტმორების ოჯახის ძველი მეგობრისგან გავიგე, როცა საგვარეულო სახლის გაყიდვის შემდეგ ეს პორტრეტი შეეიძინე.

მისტერ ბიგერმა სიგარტის ნამწვი ბუხარში შეაგდო. თვითონვე მოეწონა, ისე ლამაზად გადმოსცა ამბავი.

– ძალიან საინტერესოა, – თქვა მამულის მფლობელმა, – მართლაც ძალიან საინტერესოა. ნამდვილად ისტორიულია, არა? ამაზე უკეთესი ხომ არც ნელ გვინისა და ანა ბოლეინის ამბავი იქნებოდა?

მისტერ ბიგერმა გაურკვევლად, თითქოს შორიდან გაიღიმა. გაახსენდა ვენეცია, რუსი გრაფინია, რომელიც იმავე პანსიონში ცხოვრობდა გვერდით ოთახში. გაახსენდა ტოტებგაშლილი ხე, მისი საწოლი ოთახის ფანჯრიდან რომ მოჩანდა; გაახსენდა იმ ქალის ნელსაცხებლის მძაფრი სურნელი (პირველ შესუნთქვაზე სულს არ მოგათქმევინებდათ), ბანაობა ლიდოზე, ფეიერვერკები ნისლიან ცაში და ყველაფერი იმგვარად წარმოუდგა თვალწინ, როგორც გარდის სურათებშია დახატული. რა შორეულად ეჩვენა ყველაფერი ახლა! მაშინ სულ ახალგაზრდა იყო და ეს გახლდათ მისი პირველი მნიშვნელოვანი თავგადასავალი. უეცრად ოცნებიდან გამოარკვიეს.

მამულის მფლობელი ლაპარაკობდა.

– რას აფასებთ სურათს? – იკითხა მან უცერემონიოდ. იშვიათი ტიპის საქმოსანი ჩანდა.

– აჰ, დიახ, – წარმოთქვა მისტერ ბიგერმა და უხალისოდ შეწყვიტა ფიქრი რუს გრაფინიაზე და ოცდახუთი წლის წინანდელ, საოცნებო

ვენეციაზე. – ამაზე უარეს სურათებში ათასს ვთხოულობ ხოლმე, ამას კი შვიდასორმოცდაათზე ნაკლებად არ გავყიდი.

მამულის მფლობელმა დაუსტვინა – შვიდასორმოცდაათი? – გაიმეორა, – ძალიან ძვირია.

– მაგრამ, ჩემო ძვირფასო სერ, – უპასუხა მისტერ ბიგერმა, – წარმოიდგინეთ, რა უნდა გადაგეხადათ ასეთივე ზომისა და ხარისხის რემბრანდტში. შვიდასორმოცდაათი სულაც არ არის ძვირი. თუ მხედველობაში მივიღებთ ამ სურათის ისტორიულობას, ცოტაც კია, ხომ თქვენი თვალით ხედავთ, რა შესანიშნავი ნაწარმოებია.

– არ უარვყოფ, – თქვა მამულის მფლობელმა, – მე მხოლოდ იმის თქმა მინდოდა, რომ შვიდასორმოცდაათი დიდი თანხაა. რა კარგია, რომ ჩემმა ქალიშვილმა ხატვა იცის. წარმოიდგინეთ, საწოლი ოთახი სულ შვიდასორმოცდაათიანი სურათებით რომ მომერთო. – გაიცინა მან.

მისტერ ბიგერმა გაიღიმა.

– გაიხსენეთ, – თქვა მან, – რომ ეს არის ფულის შენახვის საიმედო საშუალება. გვიანდელი ვენეციელების ფასი მაღლა იწევს, მე რომ დაუბანდებელი ფული მქონდეს... – ამ დროს კარი გაიღო და გამოჩნდა მის პრეტის ქერაკულულებიანი თავი.

– მისტერ კროულის აინტერესებს, შეგიძლიათ თუ არა მისი მიღება, მისტერ ბიგერ?

– სთხოვეთ, დამელოდოს, – უპასუხა გაღიზიანებული ტონით მისტერ ბიგერმა. მერე ჩაახველა და ისევ მამულის მფლობელს მიუბრუნდა. – მე რომ დაუბანდებელი ფული მქონდეს, სულ გვიანდელ ვენეციელებს შევიძენდი.

ამის თქმაზე თვითონვე გაუკვირდა, როგორ ახერხებდა ემეორებინა სულ ერთიდაიგივე. წინათ ამბობდა, რომ მთელ კაპიტალს დააბანდებდა პრიმიტივისტებისა და კუბისტების ნამუშევრებში, ზანგურ სკულპტურასა და იაპონურ გრავიურებში.

საბოლოოდ მამულის მფლობელმა ექვსას ოთხმოცის ქვითარზე მოუწერა ხელი.

– ამ ამბის მანქანაზე გადაბეჭდილი ერთი პირიც რომ გამოგეყოლებინათ... – თქვა მან, როცა ქუდი დაიხურა, – სასიამოვნო მოსაყოლი იქნება სადილზე სტუმრებისათვის, არა? მინდა ყველა დეტალი ზუსტად ვიცოდე.

– რა თქმა უნდა, რა თქმა უნდა. – უპასუხა მისტერ ბიგერმა. – დეტალებს განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს.

მან კარებამდე მიაცილა ტანმორჩილი, ჩამრგვალებული კაცი.

– ნახვამდის, ნახვამდის, – წარმოთქვა მისტერ ბიგერმა. მამულის მფლობელი წავიდა.

ახლა კარებში გამოჩნდა მაღალი, ფერმკრთალი, ბაკენბარდებიანი ახალგაზრდა მუქი, ნაღვლიანი თვალები ჰქონდა, გამომეტყველება და ჩაცმულობა რომანტიული და ამავე დროს საცოდაევი. ეს იყო ახალგაზრდა კროული, მხატვარი.

– მაპატიეთ, რომ გაცდევინეთ, – ბოდიში მოუხადა მისტერ ბიგერმა, – რისთვის შეწუხებულხართ?

მისტერ კროული დარცხვენილი ჩანდა და ორჭოფობდა. როგორ ეზიზღება ასეთი რამეები!

– მაპატიეთ, – თქვა ბოლოს, – მაგრამ ძალიან მჭირდება ფული. ვიფიქრე, იქნებ გადაგეხადათ იმ სურათის საფასური, რომელიც ამ დღეებში გაგიკეთეთ. ძალიან ვწუხვარ, რომ თაეს გაბეზრებთ.

– სულაც არა, ჩემო კარგო. – მისტერ ბიგერი დაანაღვლიანა ამ საცოდაემა არსებამ, რომელმაც არ იცოდა, როგორ მოეევლო თავისი თავისათვის. საწყალი კროული ბავშვივით უმწეო ჩანდა, – რამდენზე შეეთანხმდით.

– მე მგონი, ოც გირვანქაზე, – უპასუხა მისტერ კროულიმ გაუბედავად.

მისტერ ბიგერმა ქვითარი ამოიღო.

– ოცდახუთს მოგცემთ, – უთხრა მან.

– არა, რას ბრძანებთ, დიდი მადლობა. – მისტერ კროული გოგოსავით გაწითლდა. – მე მგონი, თქვენ ჩემი პეიზაჟების შეძენაც გინდოდათ? – იკითხა მისტერ ბიგერის გულუხვობით გათამამებულმა.

– არა, არა, თქვენი საკუთარი შემოქმედება არ მაინტერესებს, – შეუბრალებლად გააქნია თავი მისტერ ბიგერმა. – თანამედროვე მხატვრობაზე მოთხოვნილება არ არის, მაგრამ ძველ ოსტატთა ასლებს კი მივიღებთ. – მან თითი მიუკაკუნა ლედი ჰარტმორის სრიალა მხრებს. – გააკეთეთ კიდევ ერთი ვენეციელი. – დაუმატა მისტერ ბიგერმა. – ამან დიდი მოწონება დაიმსახურა.

თარგმნა ნანი წერეთელმა

ფიცჯერალდი სკოტ

24.09.1896 – 21.12.1940

გამოჩენილი ამერიკელი პროზაიკოსი, სწავლობდა პრინსტონის უნივერსიტეტში, პირველი მსოფლიო ომის დროს ალაბამაში განლაგებული სამხედრო ნაწილის ლეიტენანტი იყო. აღიარება მოუტანა პირველივე რომანმა „სამოთხის ეს მხარე“ (1920), რომელშიც დიდი ფსიქოლოგიური დამაჯერებლობით აისახა ომის შემდგომი პერიოდის ახალგაზრდობის მსოფლშეგრძნება. იმდროინდელი საუკეთესო მოთხრობათა კრებულებია: „თავქარიანები და ფილოსოფოსები“ (1922), „ჯაზის საუკუნის მოთხრობები“ (1922), რომანი „მშვენიერი და შეჩვენებული“ (1922) და, განსაკუთრებით, რომანი „დიდი გეტსბი“ (1925), რომელშიც აშკარად გამოჩნდა ე. წ. „ამერიკული ილუზიების“ მსხვრევის მძიმე განცდა. ეს მოტივი ისმის, აგრეთვე, მოთხრობების კრებულში „ეს მოწყენილი ახალგაზრდები“ (1926). ევროპაში ამერიკელთა ცხოვრების საინტერესო ეპიზოდებია აღწერილი რომანში „წყნარია დამე“ (1934). ფიცჯერალდის გარდაცვალების შემდეგ, 1941 წელს, გამოქვეყნდა ჰოლივუდის ცხოვრების ამსახველი დაუმთავრებელი რომანი „უკანასკნელი მაგნატი“, ხოლო 1945 წელს – კრებული „მსხვრევა“ (დაიწერა 1936 წ.). ეხმაურებოდა რა თავისი დროის უმწვავეს წინააღმდეგობებს, მწერალი მათგან გარკვეულწილად დათრგუნული იყო, თუმცა მისდამი მტრულად მოქცეული ბედისადმი ერთგვარი მორჩილების მიუხედავად, როგორც მხატვარი, მაინც ახერხებდა ამაღლებულიყო თანამდევ ცხოვრებისეულ დრამებზე და შეენარჩუნებინა გარკვეული სულიერი და ფიზიკური სიმტკიცე. ამის დამადასტურებელია ფიცჯერალდის შესანიშნავი ნაწარმოებები, რომლებიც გამოირჩევა დახვეწილი სტილით, ღრმა ფსიქოლოგიზმითა და რომანტიკით.

ხანგრძლივი მოლოდინი

ძველებურ ფრანგულ ციხე-სიმაგრეებზე ესაუბრობდით, მერე შუა საუკუნეების საშინელებებზე გადავედით, მაგალითად, რკინის გალიაზე, რომელშიც ლუდოვიკო XI-ს კარდინალი ბალიუ ექვსი წელი ჰყავდა გამომწყვედული. გაიხსენეთ ქვის ტომრები, რომლებიც ჩემი თვალით მაქვს ნანახი – უბრალოდ ოცდაათი, ორმოცი ფუტის სიღრმის დამშრალი ჭებია; პატიმარს შიგ ჩააგდებდნენ და უბედურსაც აღარაფრის იმედი აღარა აქვს. იმ ჯურღმულების შთაბეჭდილება დღემდე გამომყვა და არც არის გასაკვირი. კლაუსტროფობიისკენ მიდრეკილების გამო საძინებელი ვაგონის კუპეშიც კი თავს უხერხულად ვგრძნობ. ამიტომაც იყო ექიმის მონათხრობმა შვება რომ მომგვარა, – უფრო სწორად გამიხარდა, როცა ექიმმა მოყოლა დაიწყო, რადგან თავიდან მომეჩვენა, რომ ამბავს, ცოცხლად დამარხულებთან არანაირი კავშირი არ ჰქონდა.

ცხოვრობდა ამქვეყნად ახალგაზრდა ქალი, ვინმე მისის კინგი, რომელიც ქმართან თავს ძალიან ბედნიერად გრძნობდა. ჰქონდა ფული, ერთმანეთი უყვარდათ, მაგრამ მოხდა ისე, რომ მეორე ბავშვზე მშობიარობისას მისის კინგი დიდი ხნით კომაში ჩავარდა, გონზე მოსვლისას, მშობიარობის შემდგომი, შიზოფრენიისთვის დამახასიათებელი პიროვნების გაორების

სიმპტომები გამოეკვეთა. მისი ნაბოდვარი რაღაცით დამოუკიდებლობის დეკლარაციას უკავშირდებოდა, მაგრამ მონათხრობთან ამას არანაირი კავშირი არ აქვს. მშობიარობის შემდგომ გამოჯანმრთელებასთან ერთად სულიერი აშლილობის ნიშნებიც თანდათან უჩინარდებოდა. მკურნალობიდან მეათე თვეზე თავს სრულიად ჯანმრთელად გრძნობდა და კლინიკიდან გაწერას სულმოუთქმელად ელოდა.

ოცდაერთი წელი ახლახან შესრულებოდა, მის ყმაწვილქალურ იერში იყო რაღაც მგრძნობიარე და მთელი მედპერსონალი განსაკუთრებული სიმპათიით ექცეოდა. როდესაც იმდენად მომჯობინდა, რომ ექიმებმა ქმართან ერთად პატარა მოგზაურობაში წასვლის ნება დართეს, სიახლე მაშინვე მთავარ სალაპარაკო თემად იქცა. ერთი მედდა ფილადელფიაში ახალი კაბის საყიდლად გაჰყვა, მეორემ მექსიკაში მოგზაურობისას მეუღლესთან გაცნობის რომანტიკული ისტორია იცოდა, მის ორ პატარას კი, რომლებიც დროდადრო სანახავად მოჰყავდათ, ყველა იცნობდა. ვირჯინია-ბიჩში მოგზაურობა ხუთდღიანი იყო.

მისი სამგზავრო ფაცი-ფუცი სასიამოვნო სანახავი იყო: როგორ ზედმიწევნით აკურატულად ალაგებდა ჩემოდანს, სარკის წინ კოხტაობდა, თმას იხვეედა, მოკლედ ამ წვრილმანებში მთელი არსებით იყო ჩართული. დათქმულ დრომდე ნახევარი საათით ადრე უკვე მზად იყო და სართულის მეზობლებს ემშვიდობებოდა; მის ახალ ჯაბას ზღვის ტალღის ფერი დაჰკრავდა, ქუდი აპრილის ელ-ჭექის შემდგომ ღრუბლის ქულას მიაგავდა. თხელი, სასიამოვნო სახე, რომელზედაც ავადმყოფობას სევდიანი, ოდნავ შეშინებული გამომეტყველება დაეტოვებინა, ბედნიერების მოლოდინში ბრწყინავდა.

— არაფერი არ ვაკეთო — აი, ჩემი ოცნება. მთელი სამი დღე აედგები, როცა მომესურვება და შუაღამის შემდეგ დავწვები. რაც მთავარია, საცურაო კოსტიუმს თავად ვიყიდი და სადილსაც თავად შევუკვეთავო, — ამბობდა.

გამგზავრების დრო რომ მოვიდა, მისის კინგმა გადაწყვიტა, ქმარს პალატაში არ დალოდებოდა და ვესტიბიულში შეხვედროდა; სანიტრის თანხლებით, რომელსაც ჩემოდანი მოჰქონდა, დერეფანი გაიარა და ქვევით დაეშვა. გზად შემხვედრ პაციენტებს ხელს უქნევდა და წუხდა, რომ მათ სამოგზაურდ წასვლა არ შეეძლოთ. მთავარმა ექიმმა გზა მშვიდობისა

უსურვა, ორი მომვლელი ქალი რაღაც მიზეზით მიუახლოვდა. იმდენად გადამდები იყო მისი სიხარული, რომ არაფრით არ ეთმობოდათ.

– გარუჯვა ძალიან მოგიხდებათ, მისის კინგ.

– ბარათის მოწერა არ დაგავიწყდეთ.

თითქმის იმავე დროს, როდესაც მისის კინგი პალატიდან გამოდიოდა, კლინიკისკენ მომავალი მისი ქმრის მანქანას სატვირთო ავტომობილი დაეჯახა. ქმარმა მძიმე შინაგანი დაზიანებები მიიღო და, ექიმების აზრით, მალე შეიძლება მომკვდარიყო. უბედურების შესახებ კლინიკაში დარეკეს. ამბავი პირველმა, ვესტიბიულიდან შუშის ტიხრით გამოყოფილ პატარა ოთახში, მორიგე გოგონამ შეიტყო. გოგონა მინის მიღმა მისის კინგს ხედავდა, იაზრა, შეიძლება რაიმე გაიგოსო და უფროს მედდას სთხოვა, სასწრაფოდ ქვევით ჩამოსულიყო. შეშფოთებულმა მედდამ ექიმს მიაშურა, რომელმაც გადაწყვიტა: სანამ ქმარი ცოცხალია, ავადმყოფმა არაფერი არ უნდა გაიგოს; უბრალოდ უნდა ვუთხრათ, რომ ქმარი დღეს ვერ მოვა.

მისის კინგმა იმედგაცრუება ვერ დამალა.

– თავადაც მესმის, რომ განაწყენება უადგილოა, – თქვა მან – ამდენი თვე ვიცადე, ერთი დღეც მოვითმენ. ხვალ ხომ აუცილებლად მოვა?

უფროსმა მედდამ არ იცოდა, რა ეპასუხა, მაგრამ როგორღაც მოახერხა თავის დაძვრენა და მისის კინგი თავის პალატაში დაბრუნდა. შემდეგ ყველაზე გამოცდილი და მიუკერძოებელი ექთანი გამოიძახეს და დაავალეს, რომ მისის კინგს დილამდე არც გაზეთი უნდა წაეკითხა და არც პაციენტებს გამოლაპარაკებოდა, დანარჩენი მერე გამოჩნდებოდა.

გამთენიისას ქმარი ისევე ცოცხალი იყო, ექიმებმა ისევე ლოდინი ამჯობინეს. შუადღისას ერთ-ერთ მედდას დერეფანში მისის კინგი შემოხვდა, ზუსტად ისევე ეცვა, როგორც წინა დღეს, ოღონდ ჩემოდანი თავად მოჰქონდა.

– ახლა ჩემი ქმარი მოვა – აუხსნა მისის კინგმა – გუშინ საქმეებმა შეაფერხა, დღეს კი აუცილებლად, ზუსტად იმავე დროს მოვა.

ექთანმა გადაწყვიტა გაეცილებინა. მისის კინგს კლინიკაში სრული თავისუფლება ჰქონდა მინიჭებული და მომვლელმა ძალით პალატაში მისი დაბრუნება ვერ გაბედა. ახსნა-განმარტებებსაც მოერიდა, ვაითუ, რამე ზედმეტი წამომცდესო. ვესტიბიულში ჩასვლისთანავე ექთანმა ტელეფონისტ გოგონას ანიშნა და ისიც მაშინვე ყველაფერს მიხვდა.

მისის კინგმა თავი სარკეში შეათვალიერა და თქვა:

– მინდა, ყოველთვის ასეთი ქუდი მქონდეს და მუდამ ასეთი ბედნიერი ვიყო.

ცოტა ხანში შუბლშეჭმუხნული უფროსი მედდაც გამოჩნდა.

– როგორ?! ჯორჯი დღესაც არ მოვა?

– ეწუხვარ, მაგრამ რა გაეწყობა – უნდა მოითმინოთ.

შეწუხებულმა მისის კინგმა გაიღიმა.

– როგორ მინდოდა, ჯორჯს ახალ ტანსაცმელში ვენახე.

– შესანიშნავად გამოიყურებით.

– მგონი კაბას ხვალამდე არაფერი მოუვა. ისეთი ბედნიერი ვარ, ერთი დღის გამო დარდი სირცხვილიც კია.

– მართალი ბრძანდებით.

ღამე ქმარი მოკვდა, დილით ექიმთა თათბირზე კამათი გაიმართა, რა ელონათ – ეთქვათ ყველაფერი, თუ არაფერი არ გაემხილათ – ერთნაირად სახიფათო იყო. ბოლოს გადაწყვიტეს, ქმარი ხანგრძლივ მივლინებაში გაეგზავნათ და მალე შეხვედრის იმედი მოესპოთ. როდესაც დროის გადაწევას შეეგუებოდა, სიმართლეს მაშინ ეტყოდნენ.

ექიმები იშლებოდნენ, როდესაც ერთმა მათგანმა კოლეგები შეაჩერა და დერეფნის ბოლოსკენ გაახედა.

მისის კინგი ჩემოდნით ხელში ვესტიბიულისკენ მიემართებოდა.

მისმა მკურნალმა ექიმმა პირიმ ხმაურიანად ამოიხვნეშა.

– ამაზე უარესის წარმოდგენა შეუძლებელია. ხომ არ აჯობებს ახლავე ყველაფერი ვუთხრათ? რა აზრი აქვს მის მივლინებაზე საუბარს, როცა ყოველ კვირა ქმრისგან ორ-ორ წერილს ღებულობდა. ვუთხრათ, რომ ავად არის – კიდევ უარესი – მის ნახვას მოიწადინებს. ვინმეს სხვა აზრი ხომ არ აქვს?

თათბირის დამთავრებისთანავე ერთ-ერთი ექიმი შვებულებაში გაემგზავრა. ორი კვირის მერე ზუსტად იმავე დროს, იგივე დერეფანში აღმოჩნდა. მოახლოებული პროცესიის შემხედვარე გახევდა – ჩემოდნიანი სანიტარი, ექთანი და საგაზაფხულო ქუდითა და ზღვის ტალღისფერ კაბაში გამოწყობილი მისის კინგი.

— გამარჯობათ ექიმო — მიმართა მისის კინგმა — აი, მიეემგზავრები, ახლა ჩემი ქმარი გამომივლის და ვირჯინია-ბიჩში წამიყვანს, რომ არ მელოდოს, დაბლა მინდა დავხვდე.

ექიმმა სახეში შეხედა, ქალს ბავშვივით სუფთა და ბედნიერი თვალები ჰქონდა. ექთანი ანიშნებდა, რომ ყველაფერი ნორმალურადაა, ამიტომ ექიმმა უბრალოდ თავი დაუკრა და თქვა მშვენიერი ამინდიაო.

— დიახ, მართლაც დიდებული ამინდია — უპასუხა მისის კინგმა — მაგრამ თუნდაც თავსხმა წვიმა იყოს, დღევანდელი დღე ჩემთვის საუკეთესო იქნებოდა.

შეცბუნებულმა ექიმმა ნაღვლანი მზერა გააყოლა. რა საჭირო იყო ტყუილის ასე გაჭიანურებაო, — თავისთვის გაიფიქრა.

რისი იმედი აქვთ?

ექიმი პირი რომ ნახა, სწორედ ეს შეკითხვა დაუსვა.

— სიმართლის თქმა ვცადეთ, მაგრამ გაიცინა და დაგვადანაშაულა, ისევ მამოწმებთ ჯანმრთელად ვარ თუ არაო — უპასუხა ექიმმა. ეს ის შემთხვევაა, როცა სიტყვა „წარმოუდგენელი" პირდაპირი მნიშვნელობით უნდა იხმარო — მისი ტვინი ქმრის სიკვდილზე ფიქრზეც კი უარს ამბობს.

— ასე უსასრულოდ ხომ არ გაგრძელდება?

— თეორიულად არა. რამდენიმე დღის წინ, როდესაც ჩემოდანი ჩვეულებრივ ჩაალაგა, მომველელი ქალი მის შეჩერებას შეეცადა. დერეფნიდან მის სახეს ვაკვირდებოდი — ცოტაც და იფეთქებდა, ასეთი რამ მკურნალობის მთელი კურსის მანძილზე არ მოსვლია. სახის კუნთები დაეძაბა, თვალებში შუშის ელვარება ჩაუდგა, ხმა გაუმკაცრდა და ხრინწი გაერია. მომველელ ქალს ცივად მიახალა, რომ ტყუოდა.

მდგომარეობა კრიტიკული ხდებოდა, წუთიც და დამჯერი პაციენტის მაგიერ შეგვრჩებოდა ავადმყოფი, მწვავე აღგზნების შეტევით. მაშინვე ჩავერიე და მომველელს ვუბრძანე ვესტიბიულში გაეცილებინა.

ექიმი გაჩუმდა, რადგან კიბეზე ამომავალი იგივე პროცესია შენიშნა, რომელიც პალატაში ბრუნდებოდა. მისის კინგი გაჩერდა და ექიმ პირის გამოელაპარაკა:

— ჩემს ქმარს საქმე გამოუჩნდა. რა თქმა უნდა, საწყენია, თუმცა შემოთვალა ხვალ მოვალო, როდესაც ამდენ ხანს ელოდები, ერთი დღის გამო განაწყენება სასაცილოა.

— სავსებით გეთანხმებით, მისის კინგ.

— წავალ, გამოვიცველი. ჩემი მორთულობა ხვალაც ცინცხლად უნდა გამოიყურებოდეს — ქუდი მოიხადა და ყურადღებით შეათვალიერა — შეხედეთ, ლაქა; იმედია ამოვიყვან. იქნებ ვერ შეამჩნიოს?

— პირობას გაძლევთ, ვერ შეამჩნევს.

— თქვენ წარმოიდგინეთ, ექიმო, სრულებითაც არ ვნაღვლობ, რომ ხვალამდე ლოდინი მომიწევს. დრო ძალიან სწრაფად გარბის.

როდესაც ექიმები მარტო დარჩნენ, ახალგაზრდამ თქვა:

— იქნებ შვილები... მგონი, ორი ჰყავს.

— არა მგონია, ბავშვებმა უშველონ. როდესაც ჭკუაზე შეიშალა, ეს მოგზაურობა განკურნების სიმბოლოდ იქცა. თუ ამ იმედს წავართმევთ, მისი გონება საბოლოოდ დაიბინდება და ყველაფრის თავიდან დაწყება მოგვიწევს.

— იმედი თუ არის?

— ამის წინასწარმეტყველება ყოვლად შეუძლებელია. უბრალოდ, შევეცადე ამეხსნა, დღეს ქვემოთ ჩასვლის ნება რატომ დართეს.

— ხვალ და ზეგ რა იქნება?

— რა გითხრათ, — უპასუხა ექიმმა პირიმ — იმედი ვიქონიოთ, რომ ერთ მშვენიერ დღეს ის იქ დახვდება...

მოულოდნელად ექიმმა თხრობა შეწყვიტა. მიუხედავად ჩვენი დაჟინებული თხოვნისა, განაცხადა, რომ ამის შემდეგ საინტერესო არაფერი მომხდარა — ყველანაირ თანაგრძნობას აქვს დასასრული, ავადმყოფთა უცნაურობებით კი სამედიცინო პერსონალს ვერ გააკვირვებ.

— დღემდე ასე დადის და ქმარს ელოდება?

— დიახ, არავითარი ცვლილება, პაციენტებიც კი, რა თქმა უნდა ახლების გარდა, ყურადღებას აღარ აქცევენ. ყოველწლიურად ქუდს, უჩუმრად, ზუსტად ისეთივე ახლით უცვლიან, კაბა კი იგივე აცვია. ყოველთვის ოდნავ განაწყენებულია, მაგრამ ცდილობს არ შეიმჩნიოს და თავს იმშვიდებს. რამდენადაც შეგვიძლია ვიმსჯელოთ, თავს უბედურად არ თვლის, სხვა პაცი-

ენტებზე კი, რაოდენ უცნაურადაც უნდა მოგეჩვენოთ, მისი მაგალითი დამამშვიდებლად მოქმედებს. ღმერთმანი, გვეყოფა ამაზე საუბარი – აჯობებს ქვის ტომრებს დავუბრუნდეთ.

თარგმნა თამაზ ჩიქვანაიამ

იასუნარი კაბატა

11.06.1899 — 16.04.1972

გამოჩენილი იაპონელი მწერალი, იაპონიის ხელოვნების აკადემიის წევრი (1953); სამწერლო მოღვაწეობა დაიწყო 1921 წლიდან, 20-იან წლებში ემხრობოდა ნეოსენსუალისტების მოდერნისტულ ჯგუფს; მისი პირველი მნიშვნელოვანი ნაწარმოებია ლირიული მოთხრობა „იძულელი მოცეკვავე გოგონა“ (1926); ჯეიმს ჯოისის „ულისეს“ გავლენით შექმნილ მოთხრობაში „კრისტალური ფანტაზია“ (1931), მწერალმა მოგონებათა ფრაგმენტების საშუალებით წარმოსახა მარტოხელა ქალის ცხოვრება. მისი მოთხრობა „თოვლიანი მხარე“ (1937). პოეტური ასოციაციებით მდიდარ ურთიერთდაკავშირებულ ნოველებს შეიცავს. რომანს „ათასფრთიანი წერო“ (1951, იაპონიის ხელოვნების აკადემიის პრემია), საფუძვლად უდევს ჩაის კულტთან დაკავშირებული ძველი იაპონური წეს-ნეფულება. შინაგანი ლირიზმითაა გამსჭვალული რომანები „მთის კენესა“ (1953), „ძველი დედაქალაქი“ (1961) და სხვ., კავაბატას შემოქმედებისათვის დამახასიათებელი ფსიქოლოგიური ანალიზისაკენ სწრაფვა, ქვეცნობიერისადმი ინტერესი, ნატიფი სტილი გამოჩნდა მის პირველსავე ნაწარმოებში „იძულელი მოცეკვავე გოგონა“, რომელმაც მიიპყრო კრიტიკოსთა ყურადღება და მოიპოვა მკითხველთა შორის პოპულარობა. მოგვითხრობს რა ყმაწვილი კაცის ლირიულ განცდათა შესახებ, მწერალი ახერხებს არამარტო მის სულიერ მოძრაობათა ახსნას, პირველი სიყვარულის სიწმინდისა და სიფაქიზის გადმოცემას, ამასთანავე ქმნის უაღრესად მომხიბლავ,წარმტაც ქალთა სახეებს იაპონურ ლიტერატურაში.

1968 წელს იასუნარი კაბატას მიენიჭა ნობელის პრემია „მწერლური ხელოვნებისათვის, რომელიც გადმოსცემს იაპონური გონიერების არსს“.

იპუელი მოცეკვავე გოგონა

მიხვეულ-მოხვეული გზა აღმართს აუყვა. მეგონა მალე ამაგის უღელტეხილთან ვიქნებოდი, რომ უცებ შხაპუნა წვიმა წამოვიდა, მთის ძირას ტანაყრილი კრიპტომერიის ტყე თეთრ ბურში გაახვია და ფეხდაფეხ მომყვა.

მაშინ ოცი წლის ჭაბუკი ვიყავი. სამგზავროდ გამოწყობილს თავზე უმაღლესი სკოლის ფორმის ქუდი მეხურა, მეცვა ბამბის ლურჯი, მოჩითული კიმონო, ჰაკამა[1] და წიგნების სტუდენტურ ჩანთამოკიდებული მარტოდმარტო მივაბიჯებდი იძუზე. უკვე მეოთხე დღე იყო გზას ვადექი. პირველი ღამე სიუძენძის, დანარჩენი ორი – იუგასიმას ცხელ წყლებზე გაეატარე, მერე იაფფასიანი მაღალძირიანი გეტები ჩავიცვი და ამაგის უღელტეხილისაკენ მიმავალ აღმართს შევუყევი.

ერთმანეთს წაწყობილი მთები, ხშირი დაბინდული ტყეები, ღრმა, ბინდით მოცული ხეობები თუ მთის ფერდობებზე დავანებული შემოდგომა გრძნებით მკრავდა, მაგრამ გზას ვეჩქარებოდი და იმედით აფორიაქებული გული წინ მისწრებდა.

შხაპუნით წამოსულმა წვიმამ სეტყვასავით რომ დასცხო, მთისაკენ მიმავალ მიხვეულ-მოხვეულ ბილიკზე სირბილს ვუმატე, ჩრდილოეთ მხარეს, მთის კენწეროზე პატარა საჩაიეში შეეედი, ერთი ღრმად ამოვისუნთქე და

[1] ჰაკამა – გრძელი, ფართონაკეცებიანი შარვალი

გავშეშდი... ალბათ არ დაიჯერებთ, მაგრამ ოცნება ამიხდა — მოხეტიალე მსახიობთა დასიც სწორედ იმ საჩაიეში ისვენებდა, სადაც მე ასე გულამოვარდნილი შევვარდი.

კარის ზღურბლთან გაშეშებული რომ დამინახა, მოცეკვავე გოგონა მაშინვე წამოდგა, ბალიში, რომელზეც იჯდა, გადააბრუნა და ჩემკენ მოაცურა.

— ეე-ეე!...

აღმომხდა ჩემდაუნებურად ბალიშზე რომ დავეშვი და სუნთქვაშეკრულმა მადლობის თქმაც ვეღარ მოვახერხე.

მოცეკვავე გოგონა ჩემს წინ ზის, თანაც სულ ახლოს-მეთქი, დაბნეულმა სახელოში[1] სიგარეტს ძებნა რომ დავუწყე, გოგონამ მეზობლად მჯდარი ქალის წინ დადგმული საფერფლე მომიცურა, მე კი მადლობის სათქმელად სიტყვა ვერც ამჯერად დავძარი.

შესახედად, ასე, ჩვიდმეტი წლის იქნებოდა. ძველებურ ყაიდაზე დავარცხნილი, მსხვილ, უცნაურ ხვეულებად დაწყობილი თმა ლამაზად შემოსდგომოდა მის ნატიფ, მოგრძო სახეს. სახე თითქოს პატარა გეჩვენებოდა, მაგრამ, ო, რა საყვარლად ეხამებოდა ამ ვარცხნილობას! იმის გამო, რომ ასე დავარცხნილი თმა არასოდეს მენახა, მის დანახვაზე თავზე ბულულივით თმააფუმფულებული ის ქალიშვილები გამახსენდნენ, რომელთა გამოსახვაც უძველესი რომანების ფურცლებზე უყვარდათ[2]. დასი, გარდა მოცეკვავისა, ორმოციოდე წლის ქალის, ორი სრულიად ახალგაზრდა ქალიშვილისა და ოციოდე წლის მამაკაცისგან შედგებოდა. ჰაპიში გამოწყობილ მამაკაცს ქურთუკის ზურგზე სასტუმრო ნაგაოკას ემბლემა ჰქონდა ამოქარგული[3].

მოცეკვავესაც და მთელ ამ დასსაც გზაზე მე უკვე მეორედ ვხვდებოდი. პირველად იუგასიმას გზაზე შევხვდი, მოცეკვავე გოგონას გვერდით ორი ახალგაზრდა ქალი მოჰყვებოდა, ხელში უზარმაზარი დოლი ეჭირა. სიუძენთან ახლოს მე მათ ხიდზე გადავასწარი, მივდიოდი და ყოველ წუთს უკან ვიყურებოდი, თვალს არ ვაცილებდი. და, აი, პირველად სწორედ მაშინ შევიგრძენი მოგზაურობის მთელი ის ხიბლი და სილამაზე.

უკვე ორი დღეა იუგასიმაში ვიყავი, რომ საღამო ხანს სასტუმროში დაბრუნებულმა უცებ მოცეკვავე გოგონა დავინახე.

იგი სასტუმროს შესასვლელში ფიცრის იატაკზე ცეკვავდა. მაშინვე კიბეზე ჩამოვჯექი და მოცეკვავეს თვალმოუცილებლად ყურება დავუწყე.

---

[1] იაპონური სამოსის ფართო სახელოებს ჯიბეები აქვს

[2] იგულისხმება ტოკუგავას ეპოქის XVII-XVIII საუკუნეების ილუსტრირებული რომანები

[3] ჰაპი — ღერბიანი მოკლე სამუშაო ქურთუკი

„გუშინ სიუძენძში იყვნენ, დღეს იუგასიმაში არიან, ხვალ, ალბათ, ამაგის უღელტეხილით იუგანოს ცხელ წყლებზე გადავლენ, ამაგის მთიანი გზა სულ რაღაც შვიდი რია, აბა, შვიდი რი[1] რა ისეთი დიდი გზაა, უსათუოდ სადმე დაევწევი-მეთქი“, – გავიფიქრე.

ამ იმედით სავსე ლამის სირბილით მივუყვებოდი გზას,ვიდრე თავსხმა წვიმა არ წამომეწია და საჩაიეში არ შემაგდო. მიუხედავად ამისა, მათთან შეხვედრა ჩემთვის იქ მეტად მოულოდნელი აღმოჩნდა, ამიტომაც იყო, რომ დაბნეულობისაგან მაშინ ასე ადგილზე გავშეშდი.

ასეთი გაშეშებული რომ ვიდექი, დიასახლისმა იმ ოთახში შემიპატიჟა, რომელსაც, როგორც ჩანს, იშვიათად ხმარობდნენ, ვინაიდან ოთახს არც ფანჯრები ჰქონდა, არც კარი და გაფრიალებულ, უკარფანჯრებო ოთახებს მგზავრები, ეტყობა, დიდად არ ეტანებოდნენ. შორს, ქვემოთ, უძირო, თვალჩაუწვდენელი ულამაზესი ხეობა იყო გადაშლილი.

დიასახლისმა ჩაი რომ შემომიტანა, მთელ ტანში სიცივისაგან ჭიანჭველები მივლიდა, კბილს კბილზე ვაცემინებდი, ვკანკალებდი, ეუთხარი, ძალიან მცივა-მეთქი.

– ოი, ბატონო, სულ გალუმპულხართ! აქეთ მობრძანდით, ტანისამოსი გაიშრეთ, გათბით... მობრძანდით, მობრძანდით!.. – მითხრა დიასახლისმა და თითქმის ძალად წამიყვანა თავისი ოთახისაკენ. კერიაზე ცეცხლი წითლად ღუდღუდებდა, ღია კარიდან სახეში თბილი, სასიამოვნო ჰაერი რომ მეცა, წუთით ზღურბლზე შევდექი. ცეცხლის პირას დამხრჩვალივით სახეგალურჯებული, მუცელგაბერილი მოხუცი იყო ჩაცუცქული, ირგვლივ გაყვითლებული კონვერტების გორები ედგა და ქაღალდის იმ გორებში თითქმის აღარ ჩანდა – შეხედავდი და კაცი კი არა, მთის ურჩხული გეგონებოდა... მოხუცმა თავი რომ ასწია, ჩამქრალი, ყვითლად ჩაშრეტილი თვალები რომ მომანათა, ადგილიდან ფეხი ვეღარ მოვიცვალე.

– ბოდიშს გიხდით, – თქვა დიასახლისმა, – ნუ შეგეშინდებათ, ჩემი მოხუცია; მართალია, საყურებლად გულმიუსველელია, მაგრამ, რა უნდა ქნას, ზის ასე გაუნძრეველად და იტანჯება... ჰქენით სიკეთე, იყავით გულმოწყალე, მოითმინეთ...

– აი, უკვე რამდენი წელია, დამბლა აქვს, – განაგრძო დიასახლისმა, – ადგილიდან ვერ იძვრის. ეს ქაღალდის გორები წერილებია, დამბლის სამკურნალო რჩევა-დარიგებებს ვინ აღარ გვთავაზობს... კონვერტში წამლებიც აწყვია. წერილებს და წამლებს პროვინციებიდან გვიგზავნიან...

---

[1] რი – სიგრძის ერთეული, უდრის დაახლოებით 4 კმ-ს

უღელტეხილზე გადმოსული მგზავრების რჩევა-დარიგებასაც ყურადღებით უსმენს, არც გაზეთებს ტოვებს ყურადღების გარეშე... მიმოწერა თითქმის ყველგანა აქვს, შინაურ წამლებს საიდან არ ეღებულობთ, იაპონიის შორეული კუთხეებიდანაც კი... აი, ამ ქაღალდების გადაყრის უფლებას კი არ მაძლევს, შემოიწყობს გარშემო, ათვალიერებს და ეს არის, მთელი მაგის ცხოვრება...

არ ვიცოდი, რა პასუხი გამეცა, რით მენუგეშებინა, ვიჯექი და გაშტერებული ცეცხლს ჩავჩერებოდი.

უცებ გვერდით ავტომობილმა ჩაიარა, სახლმა ზანზარი დაიწყო და გუნებაში გავიფიქრე:

„ჯერ შემოდგომაა, აქ კი უკვე ძალიან ცივა, ცოტა ხანში ყველაფერი, ალბათ, თოვლში ჩაინთქმება, ნეტავი, ამ ბერიკაცს ამ უღელტეხილზე რა ანერებს, რატომ ბარში არ ჩაჰყავთ?“

კერიაზე ცეცხლი ისე ცხარობდა, ჩემს ტანსაცმელს წუთში ოხშივარი აუვიდა, თავი საშინლად ამტკივდა.

მალე დიასახლისი სტუმრების ოთახში გავიდა და მოხეტიალე დასის წევრ ქალებს ლაპარაკი გაუბა:

— ნუთუ ეს ის გოგონაა, ამას წინათ თქვენთან რომ იყო? არ უყურებ, როგორ გაზრდილა! თან არ იტყვი, რა მშვენიერია! რას იზამ, სწრაფად იზრდებიან გოგოები... შენ კი უკვე ნამდვილი ქალიშვილი ხარ!.. კარგია, ძალიან კარგია, შესანიშნავია! — მიუბრუნდა ახლა გოგონას.

მალე გვერდითა ოთახიდან ხმაური მოისმა — მსახიობები, ეტყობა, წასასვლელად ემზადებოდნენ. დრო აღარ ითმენდა, უნდა მეჩქარა. გულს ბაგაბუგი გაჰქონდა. მინდოდა წამოვმხტარიყავი, უკან გავდევნებოდი, მაგრამ ვერ გავბედე, გამბედაობა არ მეყო.

მართალია, ეს ქალები სიარულს მიჩვეულები არიან, მაგრამ სწრაფად ვერ დადიან. ვთქვათ, ათი, ან თუნდაც ოცი ტიუთი[1] ჩამოვრჩი, რა უჭირს, მაინც დავეწევი-მეთქი, — ვიჯექი კერიის წინ და მოუთმენლობისაგან გული მეწურებოდა.

მსახიობები მოცეკვავე გოგონასთან ერთად რომ წავიდნენ, ჩემმა წარმოსახვამაც აიწყვიტა, აცეკვდა, მოცეკვავეს უკან ქროლვით გაჰყვა.

დიასახლისმა ისინი გააცილა და უკან შემობრუნდა.

ეკითხე, ამ ხალხმა ამაღამ სად უნდა გაათენოს-მეთქი?

---

[1] ტიუ — სიგრძის ერთეული, უდრის დაახლოებით 110 მ-ს

— აბა რა ვიცი, ბატონო... მოხეტიალეები არ არიან, ამათ ამბავს რას გაიგებ? თვითონაც არ იციან, სად უღამდებათ და სად უთენდებათ. გამოუჩნდებათ ვინმე კლიენტი და მოეწყობიან იმასთან, მათთვის სულერთია.

დიასახლისის ამ აგდებულმა სიტყვებმა, პირიქით, უფრო გამამხნევა, გული იმედით ამევსო, მისი ეს სიტყვები ჩემთვის ცეცხლზე ნავთის დასხმასავით იყო — „ძალიანაც კარგი, თუ ასეა, მოცეკვავე გოგონას ჩემს ნომერში დავპატიჟებ, ამ ღამეს ერთად გავატარებთ-მეთქი“, — გავიფიქრე.

წვიმა შეთხელდა, უღელტეხილზე აიქუშა, მთებს ზემოთ ცამ გადაიკარა, დიასახლისი კი, ცოტაც მოიცადეთ, საცაა გამოიდარებსო, არა და არ მიშვებდა, მაგრამ მე უკვე ერთ ადგილას ვეღარ ვისვენებდი.

— ბაბუ, თავს გაუფრთხილდით, დიდი სიცივეებია, არ გაცივდეთ, — ვუთხარი მთელი გულითა და სულით და წამოვდექი.

მოხუცმა ჩაყვითლებული თვალები ძლივს ასწია და თავი ოდნავ დააქნია.

გავედი თუ არა, დიასახლისი უკან ყვირილით გამომყვა, თავს მიკრავდა და მომძახოდა:

— ბატონო, ბატონო, ასე ბევრი ფული რატომ დამიტოვეთ?! არ შეიძლება, ვერ ავიღებ, ჩემი სინდისი უფლებას არ მომცემს!..

ამ სიტყვებით ჩემს ჩანთას ჩაებღაუჭა, ცდილობდა არ გავეშვი, რამდენი არ ვეხვეწე, რამდენი არ ვიუარე, მაგრამ, ის მაინც მოდიოდა, მოკელაობდა, — არა, არ გაგიშვებთ, არ გაგიშვებთო, — მიმეორებდა. უკვე კარგა დიდი მანძილი გავიარეთ, ის კი მაინც მომდევდა და ბუტბუტებდა:

— არა, არ მეკუთვნის ამხელა გასამრჯელო, სირცხვილია!.. სხვა დროს მაინც შემოიარეთ, სიკეთეს სიკეთით გადაგიხდით... გთხოვთ, ძალიან, ძალიან გთხოვთ!..

ეს ამხელა ამბავი, ეს ამდენი მადლობა ამ ერთი ორმოცდაათსენიანი[1] მონეტის გამო-მეთქი, ისეთი გაოცებული ვიყავი, გული ისე ამიჩუყდა, ლამის ავტირდი... მაგრამ, მინდოდა, მოცეკვავე გოგონას დავწეოდი, ეს დედაბერი კი ძლივს მოლასლასებდა და ხელს მიშლიდა. ბოლოს, უღელტეხილზე გვირაბთან მივედით.

— გმადლობთ, დიდი მადლობა, ძალიან გთხოვთ, დაბრუნდით, განა შეიძლება ბერიკაცის ასე მარტოდმარტო მიტოვება, — ვუთხარი დიასახლისს და იმანაც, როგორც იქნა, გაუშვა ჩანთას ხელი.

---

[1] სენი — ფულის ერთეული, იენის ერთი მეასედი

ბნელ გვირაბში რომ შევედი, წყლის ცივი წვეთები თაღებიდან ტკაპატკუპით ცვიოდა, ნახევარკუნძულ იძუსაკენ გასასვლელი წინ პატარა ნათელი წრესავით ჩანდა.

II

მთიდან მიმავალი გზა გვირაბიდან ქვევით ელვასავით მიიკლაკნება. გზას უფსკრულის მხარეს თეთრად შეღებილი ქვის ჯებირი მიუყვება. მაკეტის მსგავსი პანორამის ჩასწვრივ, სადღაც შორს, ქვევით, წერტილის ოდენად მოჩანან მსახიობები. გავლილი ექვსი ტიუც არ მქონდა, რომ ქალებს წამოვეწიე, მაგრამ უცებ ნაბიჯის შენელება, მათ გვერდით სიარული მეუხერხულა, მოჩვენებითი გულგრილობით წინ გადავუსწარი და ოდნავ დაწინაურებულ კაცს დავეწიე.

კაცმა დამინახა და გაჩერდა.

— სწრაფი სიარული გცოდნიათ... აი, ამინდი კი, საბედნიეროდ, გამოკეთდა, — მეუბნება კაცი.

როგორც იქნა, შვებით ამოვისუნთქე და გვერდით გავყევი. რას არ მეკითხება, კითხვას კითხვაზე მისვამს... ქალებმა რომ დაგვინახეს, საუბრობენო, სირბილით წამოგვეწივნენ.

კაცს ზურგზე წნელის დიდი კალათი აქვს მოკიდებული. ორმოცი წლის ქალს ხელში ლეკვი უჭირავს, ქალიშვილებს მძიმე ტვირთი მოაქვთ: — შედარებით უფროსს — ფუთა, მეორეს — დაფნის კალათი, მოცეკვავე გოგონას ზურგზე დოლი და დოლის სადგარი ჰკიდია.

ხანშიშესული ქალი ჩვენს გვერდით მოდის და ხანდახან საუბარში გვერთვება.

— ეს ბატონი უმაღლესი სკოლის სტუდენტია, — ეუბნება უფროსი ქალიშვილი მოცეკვავე გოგონას ჩურჩულით.

ამის გაგონებაზე მათკენ რომ შევტრიალდი, ქალიშვილმა გაიცინა:

— ხომ მართალია? მე ამას მაშინვე ვხვდები. სტუდენტები ზოგჯერ ჩვენთან კუნძულზეც ჩამოდიან.

ჩემმა თანამგზავრმა მითხრა, რომ ყველანი კუნძულ ოსიმადან[1] საფოსტო ქალაქ ხაბუდან არიან. დატოვებენ კუნძულს ადრეულ გაზაფხულზე და მთელ ამ დროს ხეტიალში ატარებენ. აი, ახლაც საცაა წვიმები დაიწყება,

---

[1] ოსიმა — არქიპელაგის შვიდ კუნძულს შორის დიდი კუნძული, მდებარეობს ნახევარკუნძულ იძუს სამხრეთ-აღმოსავლეთით

აცივდება, მათ კი ზამთრის ტანსაცმელი თან არაფერი აქვთ წამოღებული. ათიოდე დღე სიმოდაში[1] დარჩებიან, სამხრეთით, მერე კი იტოს[2] ნავსადგურიდან გზას ისევ შინისკენ – კუნძულისკენ გაუდგებიან.

რომ გავიგე, მოცეკვავე გოგონა კუნძულ ოსიმადან არისო, პოეზიის სიომ დაჰბერა და საოცარი პოეტური გრძნობით შეპყრობილმა მის უმშვენიერეს თმას შევხედე. მინდოდა ყველაფერი გამეგო კუნძულის შესახებ და ჩემს თანამგზავრს გამოკითხვა დავუწყე.

– ჩვენთან საბანაოდ ბევრი სტუდენტი ჩამოდის, – ეუბნება მოცეკვავე გოგონა მის გვერდით მიმავალ ქალიშვილს.

მე მისკენ ვბრუნდები და ვეკითხები:

– ალბათ, ზაფხულში, არა?

გოგონამ დაიმორცხვა, – არა, ზამთარშიცო, – ჩუმად ჩაიბუტბუტა.

– ზამთარშიც-მეთქი? – ვეკითხები.

მოცეკვავემ ქალიშვილს შეხედა და გადაიკისკისა.

– ესე იგი, თქვენთან ზამთარშიც შეიძლება ბანაობა? – ვეკითხები ისევ გოგონას.

ჩემ სიტყვებზე სახე წითლად ეღებება, უცებ ძალიან სერიოზულ სახეს იღებს და თავს მიქნევს.

– ოი, რა სულელი გოგოა, ნამდვილი ბავშვია! – გაიცინა ორმოცი წლის ქალმა.

იუგრომდე დაახლოებით სამ რიზე მეტი იყო დარჩენილი. გზა ქვევით, მდინარე კავაძუს ნაპირ-ნაპირ მიიკლაკნებოდა. უღელტეხილი რომ ჩათავდა, მთიდან გრილმა სიომ დაჰბერა და თავი უკვე სამხრეთში ვიგრძენით – ცამ ფერი იცვალა, ჩვენს ირგვლივ აზიდული მთებიც უკვე სხვაგვარად იმზირებოდნენ.

მე და ჩემი ის ახალგაზრდა თანამგზავრი კაცი მალე დავმეგობრდით. მთელი გზა ენა არ გამიჩერებია. სოფელი აგინერო რომ ჩამოვიტოვეთ, ქვევით, ხეობაში იუგანოს ჩალით დახურული სახლები რომ გამოჩნდა, ჩემს ახალ მეგობარს მტკიცედ განვუცხადე, რომ მგზავრობას სიმოდამდე მათთან ერთად ვაპირებდი.

იუგანოში ერთი ძალიან იაფფასიანი სასტუმროს წინ ორმოცი წლის ქალმა ჩემთან გამომშვიდობება დააპირა, მაგრამ ჩემმა თანამგზაერმა მაშინვე შეაჩერა:

---

[1] სიმოდა – ნახევარკუნძულ იძუს სამხრეთ-აღმოსავლეთით მდებარე საპორტო ქალაქი

[2] იტო – ნავსადგური და საკურორტო ქალაქი ნახევარკუნძულ იძუზე

— ბატონ სტუდენტს უნდა ჩვენთან ერთად იმგზავროს.

— ოი, რა სასიამოვნოა! — წამოიძახა გულწრფელად ქალმა, — ამბობენ, ადამიანისთვის თანამგზავრი იგივეა, რაც ცხოვრებაში ჭირ-ვარამის გამზიარებელი. ჩვენ უბრალო, უსწავლელი ხალხი ვართ, ეს, ცხადია, ასეა, მაგრამ, გზაში ერთმანეთს სევდას ვუმსუბუქებთ... — ბატონო სტუდენტო, პატივი დაგვდეთ, შემობრძანდით, ცოტა დაისვენეთ, — თქვა ქალმა და თავი ალერსიანად დამიკრა.

ქალიშვილებს ხმა არ ამოუღიათ — იდგნენ და მორცხვად შემომყურებდნენ.

კიბით ყველანი მეორე სართულზე სტუმრებისთვის განკუთვნილ ოთახში ავედით და ბარგი იქვე იატაკზე დავაწყეთ. ოთახში ცინოვკებიცა[1] და ფუსუმაც[2] ძველი და ჭუჭყიანი იყო.

მოცეკავე გოგონა მაშინვე ქვედა სართულზე ჩავიდა, ჩაი ამოიტანა, ჩემს წინ ჩაიმუხლა, სახეზე წითლად წამოენთო და აცახცახებული ხელიდან ფინჯანი რომ არ გავარდნოდა, ცინოვკაზე სწრაფად დადგა, თუმცა ჩაი მაინც დაეღვარა. ისე იყო დაბნეული, ისე იყო აღელვებული, მართალი გითხრათ, ძალიან გავეოცდი.

— ესეც ახალი ამბავი! ერთი ამას არ უყურებთ! გოგო უკვე გაიზარდა, თვალი უკვე ბიჭებისკენ უჭირავს!.. — ორმოცი წლის ქალმა წარბი ნაწყენმა ასწია და მოცეკავე გოგონას პირსახოცი გადაუგდო.

გოგონამ პირსახოცს ხელი წამოავლო და შეცბუნებულმა ტატამს[3] წმენდა დაუწყო.

ქალის ამ მოულოდნელ ნათქვამზე უცებ გონს მოვეგე, საჩაიეს დიასახლისის მიერ დაუდევრად ნათქვამი ის სიტყვები გამახსენდა და ჩემი ფარული ოცნების ათასფერადი ბუშტი თვალის დახამხამებაში გაქრა.

— ბატონ სტუდენტს ძალიან ლამაზი კიმონო აცვია, მართლაც შესანიშნავი კასურია[4] — თქვა ხანდაზმულმა ქალმა.

— ნახატიც ზუსტად ისეთი აქვს, როგორიც ჩემი ტამიძისას... ხომ გახსოვთ ტამიძის კიმონო? ზუსტად ისეთი სახე აქვს და ისეთივე ჭრელია... — მიუბრუნდა იგი ქალიშვილებს.

— იქ, ჩემთან, სამშობლოში, შვილი მყავს, უკვე სკოლაში დადის. თქვენს კიმონოს რომ შევხედე, ჩემი ბიჭი გამახსენდა. ეჰ, ახლა ყველაფერს ცეცხლი

---

[1] ცინოვკა — იატაკზე დასაჯდომი ბალიში

[2] ფუსუმა — გარეთა გასაწევი კედელი იაპონურ სახლში

[3] ტატამი — იატაკზე დასაფენი ჭილოფი 15 კვ. მეტრი

[4] კასური — ბამბის ქსოვილი

ეკიდება, აი, ამ ლურჯი კონგასურის ქსოვილსაც კი... უბედურებაა, პირდაპირ უბედურებაა...

თქვენი შვილი სად სწავლობს-მეთქი, – ვკითხე.

დაწყებით სკოლაშია, მეხუთე კლასშიო.

ოო, უკვე მეხუთე კლასშია-მეთქი?! – გავიკვირვე.

– დიახ, კოფუში სწავლობს... მართალია, დიდი ხანია კუნძულ ოსიმაზე ვცხოვრობთ, მაგრამ ჩვენი სამშობლო კოფუა, კოფუელები ვართ, კაის[1] პროვინციიდან.

ცოტა რომ შევისვენეთ, დაახლოებით ერთი საათის შემდეგ ჩემმა გზაში შეძენილმა ახალმა მეგობარმა აქედან სხვა სასტუმროში წამიყვანა, მე კი მეგონა ამ ღამეს მათთან ერთად ამ იაფფასიან სასტუმროში გავათევდი.

მალე მთავარი გზიდან გადავუხვიეთ, დაღმართ გზაზე ქვის საფეხურებს დავუყევით და ცხელი წყლის ნიაღვარივით მოჩქაფჩქაფე მდინარეზე გადებული ხიდი გადავჭერით. ხიდის მოპირდაპირე მხარეს, ფერდობზე, სასტუმროს ბაღი იყო შეფენილი.

მე მაშინვე საბანაოდ წავედი. მალე წყალში ჩემმა ახალმა მეგობარმაც ჩამოყვინთა და თავისი ამბის მოყოლა დაიწყო:

ოცდაოთხი წლისა ვარ, ცოლიანი, ჩემს ცოლს პირველი მუცელი მოეშალა, მეორედ ნაადრევი მშობიარობა ჰქონდა, ბავშვი დაიღუპაო.

იმის გამო, რომ ჩემი ახალი ნაცნობი ნაგაუკას სასტუმროს ღერბიან ქურთუკს ატარებდა, მე ის რატომღაც იქაური მეგონა. მისი გარეგნობისა და საუბრის მანერით, აშკარა იყო, განათლებაზე არცთუ მწყრალად უნდა ყოფილიყო. ვიფიქრე, ალბათ, რაღაც ახირების გამო მოგზაურობს ამ მთებში, ანდა ამ მოხეტიალე ახალგაზრდა ქალზეა შეყვარებული და ამას დაჰყვება ასე ამ მძიმე ტვირთით ხელში-მეთქი.

აუზიდან ამოვედი თუ არა, მაშინვე სასადილოდ გავწიე. იუგასამადან დილის რვა საათზე გამოვედით, ახლა კი უკვე სამი საათი იყო. ბაღში ჩასულმა ჩემმა თანამგზავრმა ამომხედა და, მშვიდობითო, – დამიძახა.

– ამ ფულით რაიმე იყიდეთ... თუნდ ცოტაოდენი ხურმა მაინც. უკაცრავად, ასე ფანჯრიდან რომ გიგდებთ... – ეუთხარი და ქაღალდში გახვეული ფული გადავუგდე.

---

[1] კაი – კუნძული ბონსიუს აღმოსავლეთით მდებარე ძველი პროვინციის (ამჟამად იამანასის პრეფექტურის ნაწილი) სახელწოდება. კოფუ – ქალაქი, ამავე დროს ადგილი იამანასის პრეფექტურის ცენტრში

ის იყო, უარი უნდა ეთქვა, რომ ფული მის ფეხებთან მიწაზე დაეცა, ჩემი თანამგზავრი მოტრიალდა, ქაღალდში გახვეული ფული აიღო და უკანვე ამომიგდო.

— ძალიან გთხოვთ, არ გინდათ!

ქაღალდის შეკვრა ჩალის სახურავზე დაეცა, მაგრამ, მე ისევ ჩავუგდე და ამჯერად საჩუქარზე უარი აღარ უთქვამს.

იმ საღამოს წამოსულმა თავსხმა წვიმამ მთების სილუეტი წაშალა, ყველაფერი სითეთრეში ჩაინთქა, თვალსაწიერი დაიკარგა, სასტუმროს წინ მოჩუხჩუხე მდინარე რუხ-მოყვითალო ნიაღვარად იქცა. ასეთ წვიმაში მოხეტიალე მსახიობები ვერ მოვლენ-მეთქი, ერთ ადგილზე ვერ ვისვენებ. მერე რამოდენიმეჯერ საბანაოდ წავედი. ოთახში ბნელოდა. ნათურა ოთახის კუთხეში ოთხკუთხედად ამოჭრილი ღიობის ზემოთ — ფუსუმას კადონზე ეკიდა და ორ ოთახს კარგად ვერ ანათებდა.

— დონ-დონ-დონ!.. — გაისმა წვიმის შხაპუნში დოლის ყრუ ბრაგუნი. ფანჯარას მაშინვე გადარეულივით ვეცი, რაც ძალი და ღონე მქონდა, დარაბას ხელი ვკარი და თავი გარეთ გავყავი. სახეში ძლიერმა ქარმა დამიბერა, წვიმამ თავ-პირზე ნიაღვარივით ჩამიარა. თვალები დავხუჭე, მივაყურე. ის იყო, გავიფიქრე, ნეტავი საიდან ისმის, აქეთ ხომ არ მოდიან-მეთქი, რომ ყურში სიამისენის[1] ხმა ჩამესმა და მალე ამას ქალების მხიარული სიცილი და ყიჟინაც მოჰყვა.

ესე იგი, მოხეტიალე მსახიობები ქუჩის მეორე მხარეს, სასტუმროს მოპირდაპირედ მდებარე პატარა რესტორანში დაპატიჟეს... სასტუმროდან კაცებისა და ქალების ხმაური ისმოდა. მე კი მაინც იმედს არ ვკარგავდი — „ვახშამს, ალბათ, მალე დაამთავრებენ, მალე წამოვლენ...“ მაგრამ ვახშამი, ჩანს, ჩვეულებრივი მხიარულების საზღვრებს გასცდა და საცაა თავაწყვეტილ ღრეობაში გადაიზრდებოდა. ქალების ხმაწკრიალა შეძახილი ოთახში ჩამოწოლილ სიჩუმეს დროდადრო ელვასავით ჰკვეთდა.

ნერვები უკვე დაწყვეტაზე მქონდა, ისევ ღია ფანჯარასთან ვიჯექი და დარაბებს განგებ არ ვხურავდი. ყოველთვის, როცა კი წვიმის ხმაურს დოლის ხმაური შეერეოდა, შვებით ამოვისუნთქავდი, გულზე ნათელი მომეფინებოდა:

— ა-ა, ესე იგი, მოცეკვავე ისევ სტუმრებთან ზის, ისევ დოლს ურტყამს...

---

[1] სიამისენი — მანდოლინის მგავსი სიმებიანი საკრავი

მაგრამ, როცა დოლის ხმა მიწყდებოდა, როცა ჩემი ყურთასმენა მის ნაწყვეტ-ნაწყვეტ ბუბუნს ვეღარ იჭერდა, როცა წვიმის ხმაურის უძირო მორევში ვინთქმებოდით, გულზე ბოღმა ისევ ლოდივით შემომაწვებოდა.

უცებ არეული ნაბიჯის უწესრიგო ბრაგუნი გაისმა. „ნეტავი რას აკეთებენ, ერთმანეთს დასდევენ თუ ცეკვავენ?“ მალე სამარისებური სიჩუმე ჩამოწვა და იქნებ რაიმე გავარჩიო ამ წყვდიადის მიღმა-მეთქი, თვალებანთებული სიბნელეს მივაჩერდი, ტკივილმა გულში ელვასავით გამიარა – „ნუთუ საშინელებად იქცევა ეს ღამე პატარა მოცეკვავე გოგონასთვის, ნუთუ ვინმე წაბილწავს ამაღამ მის სიწმინდეს?“

დარაბები მიეხურე და ლოგინში შევწექი. გული ისევ ყრუდ მჩხვლეტს, ისევ ცხელ წყლებზე საბანაოდ მივდივარ და დიდხანს, გაშმაგებული ვჭყუმპალაობ. მალე წვიმამ გადაიღო, ღრუბლებიდან მთვარემ გამოანათა, ცის კაბადონს ვერცხლისფერი შუქი შეეფინა – მშვიდად, მშვიდად ფშვენდა წვიმით განბანილი, მთვარის თეთრ შუქში გახვეული კამკამა, მთვარიანი ღამე. მინდოდა წყლიდან ამოვმხტარიყავი, ეგრევე ფეხშიშველა გავქცეულიყავი მოცეკვავე გოგონასთან, მაგრამ, რა უნდა მექნა, რით უნდა მეშველა?

უკვე ღამის მესამე საათი იყო.

III

დილის ცხრა საათზე ჩემმა ახალმა ნაცნობმა ნომერში მომაკითხა. ისაა ახალი ამდგარი ვიყავი და ვთხოვე, ერთად წავსულიყავით ცხელ წყლებზე საბანაოდ. გვიანი შემოდგომის მზიანი, იძუს სამხრეთული დილაა. ფანჯრებს იქით, საბანაოს გასწვრივ, ახლახან გადავლილი თავსხმა წვიმისგან ადიდებული მდინარე ლივლივებს, წყალი ხალისით ისრუტავს მზის სხივებს, მოწმენდილ ცას კრიალი გააქვს. ჩემი წუხანდელი ტანჯვა და ტკივილი ახლა მხოლოდ ცუდ სიზმრად მეჩვენება, მაგრამ ჩემს ახალ მეგობარს მაინც ვეუბნები:

– წუხელ კარგად იმხიარულეთ, თან ძალიან გვიანამდე.

– როგორ?! გესმოდათ?

– მესმოდა კი არადა!..

– აჰ, ეს აქაურები ხომ... ერთი თუ აუშვეს... სვამენ და გიჟებივით უაზროდ ყვირიან, – ისე თქვა, თითქოს ეს მისთვის სრულიად ჩვეულებრივია, გუშინდელ ღრეობას აინუნშიც არ აგდებსო და მეც უკვე აღარაფერი მითქვამს.

— ხედავ? აგერ, მდინარის მეორე ნაპირას არიან, ეტყობა საბანაოდ მოვიდნენ. აი, მგონი დაგვინახეს კიდეეაც, ხედავ, იცინიან!..

თქვა ჩემმა ახალმა მეგობარმა და მდინარის მეორე ნაპირას თითით იმ ადგილისკენ მიმანიშნა, სადაც საბანაო იყო მოწყობილი — ცხელი წყლის სქლად ჩამდგარ ბუღში ათიოდე შიშველი სხეული თეთრად კრთოდა.

უცებ საბანაოს ჩაბინდული სიღრმიდან მოცეკვავე გოგონამ გამოირბინა, თავზე ხელები შემოიწყო და წყალში ჩასახტომად ფიცარნაგთან წუთით გაირინდა. იდგა სრულიად დედიშობილა და ხმამაღლა რაღაცას გვეძახდა... მის შიშველ, გრძელ, ჩამოქნილ კანჭებს, ხებუერას ახალგაზრდა ხესავით ზეაზიდულ მის თეთრ, ქათქათა სხეულს შევყურებდი, რომ უცებ შევცბი, გულზე თითქოს ცივი, ანკარა წყლის ნაკადი გადამესხა, ღრმად, შეებით ამოვისუნთქე და მთელი გულით, ხალისიანად გავიცინე: ბავშვია... არა, ნამდვილი ბავშვია! დაგვინახა, სიხარულისგან ყველაფერი დაავიწყდა, პირდაპირ ამ კაშკაშა მზეზე გამოვარდა და დგას ახლა ასე ფეხისწვერებზე შემდგარი... გული უსაზღვრო სიხარულით მევსება, გონება მეწმინდება, ბაგიდან მშვიდი, ბედნიერი ღიმილი არ მცილდება:

— არა, ნამდვილი სულელი ვარ, მეგონა ჩვიდმეტისა, ის კი არა, თვრამეტისაც იყო... და ეს სულ იმ უცნაური ვარცხნილობის გამო — გამოპრანჭავენ და აუბულულებენ თმას ქალიშვილივით!

მე და ჩემი ის ახალი ნაცნობი ჯერ ჩემ ოთახში შესულებიც არ ვიყავით, რომ ქრიზანთემების დასათვალიერებლად ეზოში მოხეტიალე დასის წევრი — უფროსი ქალიშვილი შემოვიდა. როცა გოგონამ ეს ქალიშვილი შუაფიცარნაგამდე მოაცილა, საერთო საბანაოდან ორმოცი წლის ხანდაზმული ქალი გამოვიდა, ორივეს მკაცრად გადახედა და მოცკვავე გოგონამ, იმის ნიშნად, მეტს ვეღარ წამოვალო, მხარი შეათამაშა, უკან გატრიალდა და გაიქცა.

ხანშიშესული ქალი ფიცარნაგთან მოდგა და ხმამაღლა გამომძახა:

— გთხოვთ, სტუმრად გვეწვიოთ!..

— გთხოვთ, სტუმრად გვეწვიოთ! — ექოსავით გაიმეორა უფროსმა ქალიშვილმა და სამივემ ერთად შინისაკენ გასწია.

კაცი შებინდებამდე ჩემს ოთახში ფეხმოუცველელად იჯდა.

გვიან საღამოს ქაღალდით ნარდად მოვაჭრესთან იაპონურ შაშს ვთამაშობდი, რომ სასტუმროს ბაღიდან დოლის ნაცნობი ბრაგუნი მომესმა.

— მუსიკოსები... მუსიკოსები მოვიდნენ!.. — ვთქვი და წამოხტომა დავაპირე.

მაგრამ, შაშის თამაშში გართულმა ქაღალდით მოვაჭრემ ძელის კოჭი დაფაზე ხმაურით გადაადგილა და თავიც არ აუწევია, ისე მითხრა:

— ჰმ, მსახიობებიო! მსახიობები კი არა, ნამდვილი მათხოვრები არიან... აბა, ახლა თქვენი სვლაა, ეს ქვა მე უკვე გავითამაშე...

ვიდრე მე ამ ტანჯვასა და ყოყმანში ვიყავი, მუსიკოსები უკვე სახლისაკენ წამოვიდნენ.

— საღამო მშვიდობისა!

ამომძახა ქვევიდან ჩემმა ახალმა მეგობარმა.

გალერეაში გაედი, მუსიკოსებს ხელი დავუქნიე, ერთხანს მათ რაღაცაზე იჩურჩულეს და სახლისკენ წამოვიდნენ. წინ კაცი მოუძღოდათ, კაცს უკან სამი ქალიშვილი მოჰყვებოდა... ქალიშვილებმა, ისე, როგორც ეს გეიშებს სჩვევიათ, თავი მდაბლად დამიკრეს, თითებით იატაკს შეეხნენ და სამივემ ერთხმად გაიმეორა:

— საღამო მშვიდობისა!

ამასობაში დაფაზე რთული სიტუაცია შეიქმნა.

— ეჰ, ესე იგი, წავაგე, გნებდებით...

— არა, რას ბრძანებთ, შეუძლებელია! მე ხომ თქვენზე გაცილებით სუსტი მოთამაშე ვარ, — არ ცხრება ჩემი მოწინააღმდეგე, — ვნახოთ, თუ ნებას მომცემთ, ცოტას კიდევ დაეფიქრდები.

ქაღალდით მოვაჭრეს მსახიობებისთვის არც კი შეუხედავს, დაფაზე თავწახრილი თითოეულ უჯრას ითვლიდა და სვლის ყოველ ვარიანტს არჩევდა.

ქალიშვილებმა დოლი და სიამისენი კუთხეში მიალაგეს, შაშის დაფას შემოუსხდნენ და გობანგის[1] თამაში დაიწყეს. — მე კი ამასობაში ქაღალდით მოვაჭრესთან თითქმის მოგებული ხელი წავაგე.

— ერთი, კიდევ ერთი ხელი ვითამაშოთ, მხოლოდ ერთი ხელი, — არ მეშვება ქაღალდით მოვაჭრე.

მე ორჭოფულად ვიღიმები, არც ჰოს ვეუბნები, არც არას. ბოლოს, როგორც იქნა, თავი დამანება, ადგა და წავიდა.

ქალიშვილებმა სათამაშო დაფასთან ჩემკენ ახლოს მოიწიეს.

— დღეს საღამოს ისევ აპირებთ სამუშაოდ წასვლას? — ვეკითხები ქალიშვილებს.

— ჰო, ალბათ წავალთ, — იტყვის მოხეტიალე მსახიობი კაცი და ქალიშვილებს შეხედავს.

---

[1] გობანგი — ხუთკოჭიანი თამაში მრავალუჯრიან დაფაზე

— იცით რა, არსადაც არ წახვიდეთ, დღეს ჩემთან დარჩით სტუმრად.

— ვაი, რა კარგიაა!..

— მერედა არ მოგვხვდება ამის გამო?

— ეჰ, რა აზრი აქვს, ვიარეთ, ვიარეთ, მაგრამ არავინ გვიქირავა.

გობანგის თამაშში გართულ ქალიშვილებს ღამის პირველ საათამდე ადგილიდან ფეხი არ მოუცელიათ. ბოლოს მოცეკვავე გოგონა წავიდა, მე კი თვალზე რული არ მეკარება, გონება ისევ საათივით მუშაობს. დერეფანში გავედი და ქაღალდით მოვაჭრეს ძახილი დაეუწყე:

— ბატონო კომერსანტო, ბატონო კომერსანტო!

— ჰო, ჰო, მესმის! — და ბერიკაცი, რომელიც ჰა და ჰა, სამოც წელს მიუკაკუნებს, საბრძოლო ჟინით ანთებული თავისი ოთახიდან გამოდის.

— ესე იგი, ვთამაშობთ! თუ თამაშია, თამაში იყოს, გათენებამდე, მზის ამოსვლამდე!

და, მეც უკვე აზარტში შევდივარ.

IV

შევთანხმდით, იუგანოდან დილის რვა საათისათვის გავსულიყავით. თავზე ის მონადირის ქუდი დავიხურე, რომელიც გუშინ საღამოს საბანაოს მახლობლად ჯიხურში ვიყიდე, ჩემი სტუდენტური ქუდი ჩანთაში ჩავტენე და ღამის იმ გასათევი სახლისაკენ გავწიე, სადაც ჩემი თანამგზავრები იყვნენ გაჩერებულები. დიდხანს არ მიყოყმანია, კიბეზე ავირბინე და გაოცებისაგან გავშეშდი — მოხეტიალე მსახიობებს ჯერ ისევ ეძინათ.

ზუსტად ჩემს ფეხებთან, უმცროსი ქალიშვილის გვერდით, მოცეკვავე გოგონა იწვა და სირცხვილისაგან ალეწილ სახეზე, რომელზეც ჯერ ისევ გუშინდელი ფერუმარილის ნაკვალევი აჩნდა, ხელები აეფარებინა. ტუჩებსა და თვალის კუთხეებში წითელი საღებავი წადღაბნოდა. მისმა სულისწამღებმა სილამაზემ ხიბლით შემკრა. გოგონა უცებ მეორე გვერდზე გადაბრუნდა, საბნიდან გამოსხლტა და ისევ ისე სახეზე ხელაფარებული იატაკზე გეიშასავით გაპრანჭულად დაეშვა.

— გმადლობთ გუშინდელი საღამოსთვის, — თქვა და ჩემს წინ თავი ლამაზად დახარა.

ახლა უკვე საბოლოოდ დავიბენი. სირცხვილისაგან თავი სად წამეღო, არ ვიცოდი.

ჩემი მეგობარი მოხეტიალე მსახიობი უფროსი ქალიშვილის გვერდით იწვა. აქამდეც ვფიქრობდი, ალბათ, ცოლ-ქმარნი არიან-მეთქი, მაგრამ, ახლა უკვე ეჭვი აღარ მეპარებოდა.

— გთხოვთ, მოგვიტევოთ, ძალიან გვერიდება, — მოიბოდიშა ხანდაზმულმა ქალმა და ლოგინში წამოჯდა, — მოვილაპარაკეთ, გზას დილით ადრე გავდგომოდით, მაგრამ, გუშინ საღამოს გავიგეთ, წვეულების გამართვას აპირებენო და გადავწყვიტყეთ, ერთი დღე კიდევ დავრჩენილიყავით. თუ თქვენ ჩვენი დალოდება ხელს არ გაძლევთ, სიმოდაში შევხვდებით. ყოველთვის სასტუმრო კოსიუში ვჩერდებით, ადვილად მოგვაგნებთ.

ვიფიქრე, ალბათ, თავს თუ მარიდებენ-მეთქი.

— იქნებ დარჩენილიყავით ხვალამდე? მეტს ვეღარც ჩვენ დავრჩებით, დედა უფლებას არ მოგვცემს... მარტო სიარულს, აბა, რა აზრი აქვს, ხვალ დილით ადრე მოდით, გზას ერთად გავუდგეთ, — თქვა მოხეტიალე მსახიობმა და მისი თხოვნა ხანდაზმულმა ქალმაც აიტაცა:

— რა თქმა უნდა!.. თქვენ ასეთი პატივი დაგვდეთ, მგზავრობა ჩვენთან ერთად ისურვეთ, ჩვენ კი თითქოს თავპატიჟსაც ვიდებთ... ქვეყანაც რომ დაიქცეს, ხვალ უსათუოდ წამოვალთ. ხვალზეით ორმოცდაცხრა დღე ხდება, რაც ჩვენ ის პატარა დაგვეღუპა. ჯერ კიდევ მაშინ გადავწყვიტეთ, ყოველ ამ დღეს სიმოდაში ბავშვისთვის მოკრძალებული პანაშვიდი გადაგვეხადა. ამიტომაც ვჩქარობთ. ზეგ უსათუოდ სიმოდაში უნდა ვიყოთ. ბოდიშს გიხდით ამ გამბედაობისთვის, მაგრამ, ბედმა, ალბათ, ტყუილად არ შეგვახვედრა ერთმანეთს. ზეგ იქნებ თქვენც ჩვენთან ერთად ილოცოთ ჩვენი პატარას სულისათვის?

გადავწყვიტე დავრჩენილიყავი და ვიდრე ქალები ადგებოდნენ, ქვეით ჩავედი, ჭუჭყიან კანტორულაში სასტუმროს ზედამხედველს ლაპარაკი გავუბი.

მალე ჩემი ახალი მეგობარიც მოვიდა, გავისეირნოთო, — შემომთავაზა. მართლაც, დავუყვევით შარაგზას სამხრეთისკენ. ცოტა რომ გავიარეთ, ლამაზი ხიდი შემოგვხვდა. ხიდზე ავედით, მოაჯირს დავეყრდენით და მოხეტიალე მსახიობმა თავისი ამბის მოყოლა დაიწყო:

ტოკიოს ახალმოდური სამსახიობო სკოლის თეატრში დიდხანს ვმუშაობდი მსახიობად. კუნძულ ოსიმაზე ხანდახან ახლაც ვმონაწილეობ სპექტაკლებში, ზოგჯერ ბანკეტებზეც ვმართავ თეატრალურ წარმოდგენებსო... მისი სამგზავრო ბოხჩიდან ბუტაფორული ხმალი ფეხივით იყო ამოჩრილი, დაწნული კალათი ტანსაცმლით და ნაირნაირი ფინჯნებითა და ტაფებით ჰქონდა სავსე.

— ვცხოვრობთ ასე... — თქვა მან ცოტაოდენი დუმილის შემდეგ, — თავი საბოლოოდ დავიღუპე, ფსკერზე დავეშვი. კოფუში ახლა ჩემი ძმაა ოჯახის უფროსი, საქმეს შესანიშნავად უძღვება, მე იქ უკვე საჭირო აღარა ვარ, თავს ზედმეტადაც კი ვგრძნობ...

— მეგონა ნაგაოკადან იყავით, ცხელი წყლებიდან.

— გამოდის, რომ არა! ამ ახალგაზრდა ქალიშვილებს შორის ყველაზე უფროსი ჩემი ცოლია. თქვენზე იგი ერთი წლით არის პატარა — ცხრამეტი წლისაა. ამ დიდ გზაზე ჩვენი ხეტიალისას ორჯერ ნაადრევი მშობიარობა ჰქონდა. ბავშვმა სულ რაღაც ერთი კვირა იცოცხლა... საბრალო, ამ ამბის შემდეგ ჩემი ცოლი ვერ იქნა და ვეღარ გამოკეთდა. აი, ის ხანდაზმული ქალი დედაა იმისი, მოცეკვაეე გოგონა კი ჩემი ღვიძლი დაა.

— დიახ, მახსოვს ამბობდით, თოთხმეტი წლის და მყავსო.

— ჰო, სწორედ ეგ არის. სულ იმის ფიქრში ვიყავი, სულ თავს ვიმტვრევდი, როგორმე ჩემს პატარა დაიკოს არ ეწანწალა ასე ჩემთან ერთად, მაგრამ, აბა, სხვა რა გზა მაქვს... რას იზამ, თუკი ასე უკუღმართად აეწყო ჩემი ცხოვრება.

მითხრა, რომ მას ეიკიტი ჰქვია, მის ცოლს — ტიოკო, მის დას — კაორუ, რომ დასში მათთან ერთად კიდევ ერთი ჩვიდმეტი წლის მოსამსახურე გოგოა, სახელად იურიკო. იგი კუნძულ ოსიმადან არის და ერთადერთია, ვინც მათ ნათესავად არ ეკუთვნის. ამას რომ ყვებოდა, გულაჩუყებულმა მდინარეს ისეთი თვალებით გახედა, გეგონებოდა ჰა და ჰა, საცაა ატირდებაო.

მალე ისევ სასტუმროში დაებრუნდით. სუფთად პირდაბანილი, შეუპუდრავ-შეუღებავი კაორუ გზის პირას ჩაცუცქული იჯდა და ლეკვს ეფერებოდა. სასტუმროში წასვლა რომ დავაპირე, კაორუს ვუთხარი:

— მობრძანდით, სტუმრად მეწვიეთ.

— სიამოვნებით, მაგრამ ჩემი მარტო მოსვლა არ შეიძლება.

— მაშინ ძმასთან ერთად მოდით.

— ახლავე... ახლავე მოვალთ.

მაგრამ ჩემთან მხოლოდ ეიკიტი გამოცხადდა.

სხვები სადღა არიან-მეთქი? — ვკითხე.

მითხრა, დედამ არ გამოუშვაო.

როცა მე და ის გობანგის სათამაშოდ დავსხედით, ქალები პატარა ხიდზე გადმოვიდნენ, კიბეზე სწრაფად ამოირბინეს, თავი დარბაისლურად დაგვიკრეს და იქვე გალერეაში იატაკზე გაუბედავად ჩასხდნენ. პირველი ტიეკო წამოდგა.

— მობრძანდით, არ მოგერიდოთ, ეს ჩემი ოთახია,— შევიპატიჟე ყველა ოთახში.

მოხეტიალე მსახიობებმა ჩემთან დაახლოებით ერთ საათს დაჰყვეს და მერე სასტუმროსთან მდებარე საბანაოში წავიდნენ. მეც დაჟინებით მეპატიჟებოდნენ, მაგრამ, ვუთხარი, ცოტა მოგვიანებით მოვალ-მეთქი — სამ ახალგაზრდა ქალთან გახდისა და ბანაობისა მერიდებოდა. მალე კაორუ ისევ უკან დაბრუნდა, ტიეკოს დანაბარები გადმომცა:

— უფროსმა დამ გთხოვათ, მობრძანდით, ზურგს გაგიხეხავთო.

მაგრამ საბანაოდ წასვლაზე ამჯერადაც უარი ვუთხარი და მასთან ერთად გობანგის სათამაშოდ დავჯექი. ჩემდა გასაკვირად, გოგონა მართლაც ძლიერი მოწინააღმდეგე აღმოჩნდა, ძმასაც ადვილად უგებდა და თავის დაქალებსაც. მართალია, არც მე ვიყავი ცუდი მოთამაშე, ჩემთან მეტოქეობა არც ისე იოლი გახლდათ, მაგრამ მოცეკვავე გოგონა სულ სხვა იყო — ეცდილობდი, ნაკლებ მომგებიანი სვლები გამეკეთებინა და ეს, ვერ წამოიდგენთ, რა სიამოვნებას მგვრიდა.

თავიდან მოცეკვავე ცოტა მორცხვობდა, კოჭის ასაღებად ხელს დინჯად შორიდან იწვდიდა, მაგრამ ჩვენ ხომ მარტონი ვიყავით ერთმანეთის პირის-პირ — მალე თამაშში მთელი სულითა და გულით ჩაერთო, კოჭის ყოველი გადაადგილებისას თავს ლამის დაფამდე ხრიდა და მისი ენითაუწერელი თმა ლამის მკერდზე მეფინებოდა.

სახე უცებ წითლად წამოენთო:

— უკაცრავად... ახლა კი ნამდვილად მომხვდება, — ამ სიტყვებით თამაში მიატოვა და ოთახიდან თავქუდმოგლეჯილი გავარდა.

მდინარის მეორე ნაპირას, საერთო საბანაოს წინ, უფროსი ქალიშვილის დედა — ხანდაზმული ქალი იდგა. ტიეკო და იურიკო მის დანახვაზე სასტუმროს საბანაოდან ისე ფართხა-ფურთხით გაცვივდნენ, ისე გაიქცნენ, მე არც კი გამომშვიდობებიან.

მთელი ის დღე, დილიდან გვიან ღამემდე ეიკიტიმ ჩემს ოთახში გაატარა. სასტუმროს კეთილი, გულუბრყვილო დიასახლისი შემთხვევას ხელიდან არ უშვებდა, ჩემთვის არ შეეხსენებინა, ასეთი კარგი საჭმლით ამ ქარაფშუტა კაცის გამოკვებას რა აზრი აქვსო.

საღამოს მე მათ ღამის გასათევ სახლში მივაკითხე — ორმოცი წლის ქალი კაორუს სიამისენზე დაკვრაში ამეცადინებდა. მე რომ დამინახა, სიამისენი გოგონამ მაშინვე იატაკზე დადო, მაგრამ ქალმა დატუქსა და იძულებული გახდა საკრავი ისევ აეღო.

გოგონა სიამისენს უკრავდა და როცა დაკვრას ჩუმად სიმღერას ააყოლებდა, ქალი მაშინვე შენიშვნას აძლევდა:

– ჩუმად, რამდენჯერ უნდა გითხრა, ნუ მღერი!

ეიკიტი ქუჩის მეორე მხარეს რესტორანში იყო დაპატიჟებული. იგი მეორე სართულის ერთ-ერთ კაბინაში იჯდა და რაღაცას გაბმულად მღეროდა.

– ნეტავი რას მღერის?

– ესა? ეს ხომ უტაია![1].

– უტაი? მართალი გითხრათ, არ ველოდი.

– ჰო, მაგას ყველაფერი ეხერხება, წინასწარ ვერასოდეს მიხვდები, რას გააკეთებს, რა მოუვა თავში აზრად.

ამ დროს სასტუმროში მეზობლად მცხოვრებმა, ასე, ორმოციოდე წლის კაცმა, რომელიც, როგორც გავიგე, ფრინველით ვაჭრობდა, ფუსუმა გასწია, შემოიხედა და ქალიშვილები ვახშამზე მიიპატიჟა. მალე იურიკი და მოცეკვავე მასთან მეორე ოთახში გავიდნენ, თან თავისი ხასებიც გაიყოლეს. ვხედავდი, როგორ ისხდნენ და ტაფაში, რომელიც ფრინველით მოვაჭრეს უკვე კაი გვარიანად ამოეცარიელებინა, ქათმის გემრიელ ნაჭრებს როგორ ეძებდნენ.

ოთახიდან რომ გამოდიოდნენ, ფრინველით მოვაჭრემ მოცეკვავეს ზურგზე ხელი ოდნავ დაჰკრა, რაზეც ხანდაზმულმა ქალმა წარბი მკაცრად შეჰყარა და კაცს გაბრაზებულმა დაუყვირა:

– ეი, თქვენ! არ გაბედოთ, ხელი არ დააკაროთ, ეგ გოგო ჩემი შვილია!

გოგონამ ვაჭარს – „მიტო კომონის მოგზაურობის“[2] წიგნი ხმამაღლა წამიკითხეო, ხვეწნა დაუწყო.

– ძია, წამიკითხეთ, რა! ძია, წამიკითხეთ... – იმეორებდა იგი საყვარლად.

მაგრამ ვაჭარმა მალე თავისი ოთახისკენ გასწია. კაორომ, იმის გამო, რომ შერცხვა და „მოგზაურობის“ წაკითხვა პირდაპირ ვერ მთხოვა, დარწმუნება დამიწყო, კვდება, დედილოს ისე უნდა ამ ამბის მოსმენაო. დაიმედებულმა წიგნი ხელში ავიღე. ეკითხულობდი და მოცეკვავე გოგონა ჩემკენ თანდათან სულ უფრო ახლოს და ახლოს ჩოჩდებოდა. ყურადღებად ქცეულს თავი ლამის ჩემს მხარზე ედო და სერიოზული სახით ისეთი თვალებანთებული მომჩერებოდა, თვალს არ ახამხამებდა. როცა კითხვას

---

[1] უტაი – ნაწყვეტი თეატრ „ნოს“ პიესებიდან, სრულდება განსაკუთრებული მელოდიური რეჩიტატივის სახით

[2] მიტო კომონი (1628–1700) – ისტორიკოსი და კომფუციანელი

უსმენდა, ჩანს, მუდამ ასე იქცეოდა, ასეთი მოსმენა იცოდა. მახსოვს, ფრინველით მოეაჭრე ხმამაღლა რომ უკითხავდა, მაშინაც ასე გაფოთებული უსენდა.

საოცრად ლამაზი, დიდი, შავი,მზესავით მოელვარე თვალები ჰქონდა, ქუთუთოების ლამაზი, სწორი ჭრილი და გასაოცრად მომხიბვლელი ღიმილი. როცა იღიმებოდა, დილის ცვარდაკრულ ყვავილს ჰგავდა.

მალე რესტორნიდან მოსამსახურე ქალმა მოაკითხა და გოგონა თავის ყველაზე ლამაზ კაბაში გამოეწყო:

– ახლავე დავბრუნდები, ძალიან, ძალიან გთხოვთ, არ წახვიდეთ... იცით, ძალიან მინდა, ბოლომდე წამიკითხოთ...

მერე გალერეაში გავიდა, იატაკზე ცალი მუხლი ჩახარა, თავი მდაბლად დამიკრა და მეუბნება:

– ნება მომეცით, ცოტა ხნით დაგტოვოთ.

– იცოდე, სიმღერა არ გაბედო! – გააფრთხილა ხანშიშესულმა ქალმა.

გოგონამ თავი ოდნავ დაუკრა და დოლი რომ აიღო, ქალი ახლა მე მომიტრიალდა:

– ხომ იცით, ისეთ ასაკშია... ხმა ეცვლება.

რესტორანში რომ შევიდა, მოცეკვავე იატაკზე დინჯად დაჯდა, ღირსეული პოზა მიიღო და დაკვრას შეუდგა. მე მას ზურგიდან ისე ახლოს ვხედავდი, თითქოს იქვე მეზობელ ოთახში იყო. ვუსმენდი დოლის ხალისიან ბრაგუნს და ჩემს გულსაც მხიარული ბაგაბუგი გაჰქონდა.

– დოლი სუფრას ყოველთვის ახალისებს, – თქვა ქალმა და – ნეტავი იქ რა ხდებაო, – მოპირდაპირე სახლისკენ გაიხედა.

მალე რესტორანში ტიეკო და იურიკოც წავიდნენ, მაგრამ, ორიოდე საათიც არ იყო გასული, რომ სამივენი უკანვე დაბრუნდნენ.

– აი, მხოლოდ ეს არის, – მოცეკვავემ მუჭა გაშალა და ხანშიშესულ ქალს, ვისაც დედილოს ეძახდა, ხელისგულზე ორმოცდაათსენიანი მონეტა დაუდო.

„მიტო კომონოს მოგზაურობა“ ერთხანს კიდევ ვუკითხე ხმამაღლა. მერე ქალებმა გზაში გარდაცვლილი ბავშვის ამბის მოყოლა დაიწყეს – წყალივით გამჭვირვალე დაიბადა, ტირილის თავიც არა ჰქონდა, ერთ კვირასაც არ გაევლო, რომ სუნთქვა შეწყვიტაო.

ეს ადამიანები მოხეტიალე მსახიობები იყვნენ, ყველაზე დაბალი ფენის წარმომადგენლები, მაგრამ მე ამაზე არ ვფიქრობდი და მათ გულებს, ჩანს,

სწორედ ჩემი წრფელი კეთილმოსურნეობით ვინადირებდი, რომელშიც ცნობისმოყვარეობის, ქედმაღლური შემწყნარებლობის ნატამალიც არ იყო.

შევპირდი, კუნძულზე მე მათ უსათუოდ ვესტუმრებოდი.

— პაპის სახლში დავაბინაოთ, ხალვათი ბინაა, პაპას ცოტა ხნით სადმე გადავიყვანთ, არავინ შეაწუხებს, თავს მშვიდად და თავისუფლად იგრძნობს, როცა მოუნდება, მაშინ იმეცადინებს, — ლაპარაკობდნენ ერთმანეთში ქალები.

მერე ერთხანს კიდევ ისაუბრეს, გადმომხედავდნენ დროდადრო და აზრებს მიზიარებდნენ.

ორი პატარა სახლი გვაქვს, ერთი მთაშია, ძალიან ნათელიაო, — მითხრეს ბოლოს.

დავპირდი, რომ მე მათთან ახალი წლის დღესასწაულებზე უსათუოდ ჩავიდოდი, ზღვისპირა სოფელ ხაბუში, კუნძულ ოსიმაზე წარმოდგენის გამართვაში დავეხმარებოდი.

აღმოჩნდა, მოხეტიალე მსახიობებს არც ისეთი მძიმე ცხოვრება ჰქონდათ, როგორც მე ამას თავიდან ვფიქრობდი. ეს იყო ლაღი,უზრუნველი ცხოვრება, რომელსაც მინდვრებისა და ყვავილების სურნელი ახლდა. ყველანი ერთმანეთს შესანიშნავად ეწყობოდნენ, ერთმანეთთან ნათესაური სიახლოვე და სიყვარული აკავშირებდათ — დედა, თავისი ქალიშვილით, სიძე, სიძის უმცროსი და... ერთადერთი ადამიანი, ვინც ნათესავად არ ერგებოდათ, იურიკო იყო, რაც იგრძნობოდა კიდევაც. არ ვიცი, შეიძლება ეს იმ გოგოს სიმორცხვის ბრალიც იყო, მაგრამ თავი სულ განზე ეჭირა და სულ კოპებშეკრული დადიოდა.

მათგან რომ წამოვედი, შუაღამე უკვე გადასული იყო. ქალიშვილებმა კარის ზღურბლამდე მომაცილეს, ადვილად რომ ჩამეცვა, კაორუმ ჩემი გეტები ცხვირით გასასვლელისაკენ შეაბრუნა, მერე კარში თავი გაყო და მოკრიალებულ ცას ახედა:

— ვაი, რა საესე, რა კაშკაშა მთვარეა!.. რა ბედნიერებაა, ხვალ უკვე სიმოდაში ვიქნებით!.. ბავშვს პანაშვიდს გადავუხდით, ვილოცებთ, მერე დედილო ახალ სავარცხელს მიყიდის, კიდევ ბევრი, ბევრი სასიამოვნო რამ იქნება... მერე თქვენ კინოშიც წამიყვანთ!

ამ ხალხისთვის საპორტო ქალაქი სიმოდა სანუკვარი თავშესაფარი, აღთქმული ქვეყანა იყო. დაეხეტებოდნენ იძუსა და საგამის მთებში და ისეთი მონატრება ჰქონდათ მისი, როგორც დიდი ხნით მიტოვებული მშობლიური კერისა.

V

თითოეულმა მოხეტიალე მსახიობმა თავისი ის ბარგი მოიკიდა, რომელიც ამაგის უღელტეხილზე გადმოსვლისას მოჰქონდა. ისე, როგორც მაშინ, ხანდაზმულ ქალს ხელში გოშია ეჭირა. ლეკვს თათები წინ გადმოეწყო და გამოცდილი მოგზაურის სიფათით არხეინად მოკალათებულიყო მის მკლავზე.

იუგანოდან თავი ისევ შუა მთებში ამოვყავით. ახლად ამოსულ მზის სხივებში ზღვის ზედაპირს ლაპლაპი გაჰქონდა, მზე ოქროსფრად იღვრებოდა ხეობის გადამწვანებულ წიაღში. მდინარე კავაძუს შესართავთან მზით გაბრწყინებული სანაპირო ჩანდა.

— აი იქ, ჩვენი კუნძული ოსიმაა! ხედავთ, რამხელა კუნძულია!.. ჩამოდით, რა, ჩვენთან, — მთხოვა კაორუმ, — ხომ ჩამოხვალთ?

არ ვიცი, იმიტომ, რომ შემოდგომის ცა უჩვეულოდ სუფთა და ნათელი იყო, ზღვის თავზე, იქ, სადაც მზის დისკო ასე გგონია, წყლის ზედაპირზე ესვენა, ისეთი ნისლი ირეოდა, ახლად გაკვირტული გაზაფხული გეგონებოდა.

სიმოდამდე კიდევ ხუთი რი იყო დარჩენილი. ზღვა ერთხანს მთებს უკან მიიმალა და ტიეკომ რაღაც სევდიანი, გულისგამაწვრილებელი სიმღერა წამოიწყო.

მალე გზა ორად გაიყო. მსახიობებმა მკითხეს, საით წავსულიყავით. ხეების ჩრდილ-ჩრდილ მიმავალი ვიწრო, ფლატესავით დაქანებული ბილიკი, ცოტა არ იყოს, შიშს მგვრიდა, სამაგიეროდ, მთებზე პირდაპირ და მოკლედ გადადიოდა. მეორე გრძელი, შემოვლითი გზა, მართალია, სწორი და ადვილი სავალი იყო, მაგრამ მე მაინც მოკლე გზა ვირჩიე.

ჩამოცვენილი პრიალა ფოთლებით მოფენილი დაკლაკნილი ბილიკი ისე აღმართ-აღმართ მიდიოდა, ისეთი ციცაბო იყო, ფეხი უკან მრჩებოდა, ტანი კი წინ მისწრებდა. უკვე ვეღარ ვსუნთქავდი, სულს ვეღარ ვითქვამდი, მაგრამ ძალიან ვჩქარობდი და საკუთარი თავისთვის რომ მეჯობნა, ყოველი ნაბიჯის გადადგმაზე მუხლებს ხელებს ვაშველიებდი. მალე ყველას გავუსწარი. მხოლოდ კაორუ მომყვებოდა ფეხდაფეხ. კიმონოს კალთები ზევითამდე აეკალთაებინა და ჩემს უკან ორ-სამ ნაბიჯზე ლამის მოფოფხავდა.

საკმარისი იყო მიმეხედა, გამოვლაპარაკებოდი, რომ მაშინვე გაჩერდებოდა, შემკრთალ-შეშინებულ სახეს ღიმილი გაუნათებდა და ისიც გამომელაპარაკებოდა. იმ იმედით, იქნებ დამეწიოს, ახლოს მოვიდეს-მეთქი,

გავჩერდებოდი, მაგრამ ისიც გაჩერდებოდა და ვიდრე გზას არ გავაგრძელებდი, მელოდა. მალე დაღმართის მაგივრად ჩვენს წინ ციცაბო ბილიკი აღიმართა და ნაცვლად შენელებისა, ნაბიჯს კიდევ უფრო ავუჩქარე. მოცეკვავე გოგონა უკან ისევ ჯიუტად მომყვებოდა, ჩვენ შორის მანძილს ისევ ჯიუტად იცავდა. დანარჩენი მსახიობები კი ისე შორს ჩამოგვრჩნენ, უკვე მათი ხმაც აღარ აღწევდა ჩვენამდე.

— თქვენი სახლი რა ადგილას არის ტოკიოში? — მკითხა გოგონამ.

რაზეც ვუპასუხე, რომ მე იქ სტუდენტთა საერთო საცხოვრებელში ვცხოვრობდი.

ასე მითხრა, ერთხელ უკვე ვიყავი ტოკიოში, საკურას ყვავილების დღესასწაულზე ცეკვა უნდა შეგვესრულებინა, თუმცა მაშინ პატარა ვიყავი, ახლა აღარაფერი მახსოვსო.

რას არ მეკითხებოდა:

— მამა თუ გყავთო? კოფუში თუ ყოფილხართო?

მერე იმაზე დამიწყო ლაპარაკი, წავიყვანდი თუ არა კინოში და უცებ ისევ გარდაცვლილ ბავშვზე ჩამოაგდო ლაპარაკი.

აი, როგორც იქნა, ავედით მთის მწვერვალზე. მოცეკვავე გოგონამ დოლი გამხმარ ბალახებში ჩადგმულ სკამზე დადო, ცხვირსახოცით ოფლიანი სახე მოიწმინდა, ფეხები დაიბერტყა, უცებ ჩემს წინ ჩაიმუხლა და ჩემი გრძელი ჰაკამის კალთებიდან მტვრის ჩამობერტყვა დაიწყო. ამაზე უკან ისე გავხტი, მოცეკვავემ თავი ვეღარ შეიკავა, მუხლებზე დაეცა, მაგრამ, ვითომც არაფერი, ეგრევე წაკუზული ჩემკენ მოჩოჩდა, ჩემი სამოსიდან მტვრის ჩამობერტყვა გააგრძელა, წამოდგა, კიმონოს აკეცილი კალთები ჩამოუშვა და სული ოდნავ რომ მოითქვა, მითხრა:

— დამჯდარიყავით, ცოტა დაგესვენათ...

ამ დროს ჩიტების გუნდმა ჩაიქროლა. ირგვლივ ისეთი მდუმარება სუფევდა, ტოტიდან ტოტზე ჩიტის გადაფრენისას გამხმარი ფოთლების შრიალი ისმოდა.

— ასე სწრაფად რატომ მოდიოდით? — მითხრა კაორუმ, ეტყობოდა ძალიან სცხელოდა.

დოლს ხელი მსუბუქად დავკარი და შეშინებული ჩიტები ფრთხიალით აიშალნენ ტოტებიდან.

— უჰ, როგორ მწყურია-მეთქი, — თავი ვეღარ შევიკავე.

ერთ წუთს დამიცადეთ, წავალ, წყალს მოვძებნიო.

მაგრამ მოცეკვავე გოგონა მალე ფოთლებგადაყვითლებული კორომიდან ხელცარიელი დაბრუნდა.

ვკითხე:

ოსიმაში ყოფნისას რას აკეთებდა, დაკაეებული რით იყო?

მაგრამ, ნაცვლად პასუხისა, სრულიად უადგილოდ ვიღაც ორი-სამი გოგოს სახელი ახსენა და რაღაც ჩემთვის სრულიად გაუგებარი ამბის ტიკტიკს მოჰყვა. როგორც აღმოჩნდა, მის მიერ მოყოლილი ამბავი კუნძულ სიმოდაზე კი არა, კოფუში ხდებოდა და მის იქაურ ამხანაგ გოგოებს შეეხებოდა – დაწყებით სკოლაში ორი წელი ერთად ვსწავლობდითო. რაც გაახსენდებოდა, არეულ-დარეულად, დაბნეულად ყვებოდა.

ვიდრე ჩვენი ახალგაზრდა თანამგზავრები მწვერვალზე ამოვიდოდნენ, კარგა ხანს ვიცადეთ. ამის შემდეგ მალე დედილოც წამოგვეწია.

დაღმართს რომ დავუყევით, უკვე აღარ ვჩქარობდი, ეიკიტისთან ერთად უკან განგებაც კი ჩამოვრჩი – მივდიოდით და მშვიდად ემასლაათობდით.

მაგრამ ჯერ ორი ტიოც არ გექონდა გაელილი, რომ გოგონამ აღმართზე ბილიკ-ბილიკ სწრაფად ამოირბინა:

– აგერ, იქ, ქვევით წყაროა, ჩქარა, ჩქარა, წამოდით! ყველას ძალიან გეწყურია, მაგრამ არ ვსვამთ, თქვენ გელოდებით.

წყლის გაგონებაზე ქვევით ისე თავპირისმტვრევით დავეშვი, უკან არ მიმიხედავს. ხეების ჩრდილში კლდიდან კამკამა წყარო მოჩუხჩუხებდა. ქალები წყაროსთან იდგნენ და მიცდიდნენ.

– მოდით, ჯერ თქვენ დალიეთ, თორემ, ჩავყოფთ წყალში ხელს და ვეღარ იქნება ასეთი კამკამა, შეიძლება შეგეზაროთ, – თქვა დედილომ.

ყინულივით ცივი წყალი პეშვით ამოვიღე და დავლიე. ქალებს წამოსელა აღარ უნდოდათ, წყალს ვეღარ სცილდებოდნენ, სველი პირსახოცებით შეხურებულ სახეებს იგრილებდნენ და მუჭებით პირზე წყალს ისხამდნენ.

მთიდან რომ ჩამოვივაკეთ, სიმოდასკენ მიმავალ შარაგზას გავუყევით. ადგილ-ადგილ კვამლი ამოდიოდა, ეტყობა, მენახშირეები ნახშირს წვავდნენ... ცოტა რომ დაგვესვენა, გზის პირას დაყრილ მორებზე ჩამოვსხედით და შუა გზაზე ჩაცუცქულმა გოგონამ თავისი ახალი ვარდისფერი სავარცხლით ლეკვის აბურძგნულ ბალანს ვარცხნა დაუწყო.

– სავარცხელს გააფუჭებ! – გააფრთხილა დედილომ.

– რა უჭირს, სიმოდაში ახალს ვიყიდით.

ჯერ კიდევ იოგანოში რა ხანია გუნებაში მქონდა, ვიდრე დავცილდებით, თმაში დასაბნევი ეს სავარცხელი იქნებ მე მაჩუქოს-მეთქი, მაგრამ, ვაი, რომ იმ სავარცხლით ახლა ძაღლს ფხანდა და ბალანს უსწორებდა.

გზის მეორე მხარეს ბამბუკის შეკრული კონები ელაგა.

— კარგი ჯოხებია, გზაში გამოგვადგება, სიარულს გაგვიადვილებს, — ვთქვი მე, როცა ეიკიტისთან ერთად გზას პირველები გავუდექით.

მალე მოცეკვავე გოგონა სირბილით წამოგვეწია, ხელში ბამბუკის დიდი, თავისზე მაღალი ჯოხი ეჭირა.

— ეს ამხელა კეტი რად გინდა? — ჰკითხა ეიკიტიმ.

გოგონამ თავი უხერხულად იგრძნო და ბამბუკის ჯოხი მორცხვად გამომიწოდა.

— არა, არ შეიძლება! როგორც კი ამ ჯოხს ხელში დაგვინახავენ, მოპარულიაო, მაშინვე მიხვდებიან...

ჩემ სიტყვებზე გოგონამ ბამბუკის ჯოხი ისევ იმ კონებთან მიიტანა, მაშინვე უკან გამობრუნდა, ახალი, თითის სიმსხო ჯოხი გამომიწოდა, ბრინჯის მინდვრებს შორის მიჯნაზე მოცელილივით პირაღმა დაეცა, სული ძლივს მოითქვა და დანარჩენებს ლოდინი დაუწყო.

მე და ეიკიტიმ ამის შემდეგ ხუთი-ექვსი კენი[1] შეუსვენებლივ ვიარეთ.

— დიდი ამბავი, ამოიღებს და ოქროსას ჩაისვამს, — მომესმა უცებ კაორუს ხმა.

მე მათკენ შევტრიალდი და ვხედავ, მოცეკვავე გოგონა ტიეკოს გვერდით მოაბიჯებს, ცოტა უკან დედილო და იურიკო მოდიან, მაგრამ მე რომ მათ ეუსმენ და ვუყურებ, ვერ მამჩნევენ.

— ჰო, მართალია! ისე, კარგი იქნებოდა, თვითონ მას თუ ვურჩევდით, — აიტაცა გოგონას ნათქვამი იურიკომ.

ჩანს, ჩემზე ლაპარაკობდნენ, ტიეკომ, როგორც ჩანს, ჩემი ოღროჩოღრო კბილები ახსენა, მაგრამ მისი ეს ნათქვამი კაორუმ არაფრად ჩააგდო — დიდი ამბავი, ოქროსას ჩაისვამსო... ის, რომ ისინი ჩემს გარეგნობაზე მსჯელობდნენ, სულაც არ მწყენია, პირიქით, მათ მიმართ კიდევ უფრო მეტი სითბო და სიახლოვე ვიგრძენი.

ერთხანს ჩუმად, ხმადაბლა ლაპარაკობდნენ.

— კარგი ადამიანია!

მომესმა უცებ კაორუს ნათქვამი.

— ჰო, მგონი, მართლაც კარგი ადამიანია!

---

[1] კენი — სიგრძის ერთეული 1.81 მ.

— დიახ, კარგი ადამიანია, ძალიან, ძალიან, კარგი ადამიანია!

თქვა კაორუმ და რა პირუთვნელად, რა წრფელად ჟღერდა მისი ხმა!.. სულ რაღაც ორიოდე სიტყვით მთელი თავისი გული და სული როგორ გადმოშალა, რა ბავშვური, როგორი უშუალო იყო... მეც როგორ მინდობილად ვირწმუნე — რა თქმა უნდა, კარგი ადამიანი ვარ-მეთქი!.. ვიდექი და გარსმოჯარულ, მზის შუქში განბანილ მთებს აღტაცებული გავცქეროდი. თუმცა, ცოტა არ იყოს, გული მეთანაღრებოდა, თავს არც თუ ისე მშვიდად ვგრძნობდი.

ოცი წლის ასაკში ჩემი თავი ულმობლად რომ განვჩხრიკე, ულმობლად რომ გავაანალიზე, დასკვნამდე მივედი, რომ სულიერად სამუდამოდ დამახინჯებული ვიყავი. ობლობა გულსა და გონებას მიწამლავდა, ვინ მოთვლის, რამდენი ტკივილი, რამდენი ტანჯვა განვიცადე და ამ ტკივილს რომ ვეღარ გავუძელი, დავადე თავი და სამოგზაუროდ იძუს მთებისაკენ გამოვწიე. და, აი, ამ ადამიანების მიმართ, რომელთაც კარგ ადამიანად, კარგ ყმაწვილკაცად ჩამთვალეს, გული ახლა უდიდესი მადლიერებით მქონდა სავსე. მაშასადამე, ჩვეულებრივი ცხოვრებისეული მნიშვნელობით ხალხს კარგ ადამიანად მივაჩნივარ-მეთქი. ამიტომ ვიყავი ახლა ასეთი ბედნიერი! ო,რა ლამაზი,რა დიდებული,რა გასაოცარი შუქით იყო მოსილი ეს მთები! იგრძნობოდა, უკვე ახლოს, სულ ახლოს იყო სიმოდას ყურე.

ბამბუკის ჯოხი მოვიქნიე და შემოდგომის ყვავილებს თავები წავაცალე.

„მათხოვრებისა და მოხეტიალე მსახიობებისათვის სოფელში შესვლა სასტიკად აკრძალულია“, — გვხვდებოდა ზოგიერთი სოფლის შესასვლელში ამგვარწარწერიანი ფირნიშები.

VI

იაფფასიანი სასტუმრო „კოსიუ“ სიმოდას ჩრდილოეთ გარეუბანში... მოხეტიალე მსახიობებთან ერთად მეორე სართულზე სასტუმროს სახურავქვეშ ავდივარ. სართულს ჭერი არა აქვს, ამიტომაც ფანჯარასთან დაჯდომისას თავი ლამის სახურავს ავკარი.

— მხარი ხომ არ დაგეღალა? — ჰკითხა დედილომ რამოდენიმეჯერ თბილად მოცეკვავე გოგონას.

— არა, ხელები სულ არ მტკივა.

თქვა კაორუმ, ხელები მაღლა ასწია და ისე, როგორც დოლის დაკვრისას, ძირს ისევე ნარნარად დაუშვა:

— შემიძლია დავუკრა კიდევაც.

დოლს ხელი მოეკიდე და აკვნიე:

– ოო, რა მძიმეა!

– ჰო, იმაზე მძიმეა, თქვენ რომ გეგონათ – თქვენს ჩანთაზე გაცილებით მძიმეა, – გაიცინა კაორუმ.

ჩემი თანამგზავრები ხალისიანი ჟრიამულით ესალმებოდნენ სასტუმროს მდგმურებს. თავი აქ ზუსტად მათი ყაიდის ხალხს მოეყარა – მოხეტიალე მსახიობებსა და მოხეტიალე ცირკის ჯამბაზებს – ეს მათი წრე, მათი გარემო გახლდათ. ამ გადამფრენი ჩიტებისთვის სიმოდა, ჩანს, ნამდვილი ნავსაყუდელი იყო. ოთახში ვიღაცის პატარა, მუხლგაუმაგრებელი ბავშვი შემობაჯბაჯდა. ფეხი შემოდგა თუ არა, კაორუმ ხელში სპილენძის ბრჭყვიალა მონეტა ჩაუდო.

სასტუმროდან გასვლა რომ დავაპირე, გოგონამ წინკარში გამასწრო, ზღურბლთან დატოვებული ჩემი გეტები ცხვირით გასასვლელისკენ შეაბრუნა და ჩუმად, თითქოს თავისთვის წაიჩურჩულა:

– წამიყვანეთ, რა, კინოში.

გზაში ვიღაც კაცი ამეტორღიალა, შუა გზამდე მომყვა, რომ შეხედავდი, პირწავარდნილი მძარცველი გეგონებოდა. მერე მე და ეიკიტი ქალაქის ყოფილი განმგებლის კუთვნილ სასტუმროში წავედით, აბაზანა მივიღეთ და ახალი თეკზი გეახელით.

გამომშვიდობებისას ეიკიტის ცოტაოდენი ფული გავუწოდე და ვუთხარი:

– ბავშვის სულის მოსახსენიებლად ჩემს სახელზე ხვალ ყვავილები იყიდეთ, საკურთხეველზე დადეთ.

მეორე დილას გემით უნდა წავსულიყავი, იმის გამო, რომ ფული უკვე მითავდებოდა, როგორმე ტოკიომდე უნდა ჩამეღწია, მსახიობებს კი ვუთხარი, მართალია, არ მინდა, მაგრამ ტოკიოში იმიტომ მივდივარ, სწავლა მეწყება-მეთქი.

ორი საათის შემდეგ ვივახშმე და ხიდით ქალაქის ჩრდილოეთ გარეუბანში გადავედი, სადაც სიმოდა-ფუძის მთიდან ერთხანს ნავსადგურის ხედების მზერით ვტკბებოდი.

უკან დაბრუნებისას სასტუმრო კოსიუიში შევიარე. მოხეტიალე მსახიობებს წინ ქათმის ხორცით სავსე ტაფა ედგათ და ვახშმობდნენ.

– მიირთვით, გემო მაინც გაუსინჯეთ, – დამიწყო ხვეწნა ხანშიშესულმა ქალმა, – მართალია, ტაფაში ჩვენს ხასებს ვურევთ, საჭმელი ისეთი სუფთა აღარ არის, მაგრამ, არა უშავს, გაეიცინებთ მაინც, - თქვა ქალმა, კალათიდან ფიალა და ხასები ამოიღო და იურიკოს უბრძანა გაერეცხა.

მეორე დღეს ბავშვის გარდაცვალების ორმოცდამეცხრე დღე იყო. ყველა ერთად მეხვეწებოდა, როგორმე ერთი დღე კიდეე დავრჩენილიყავ, მაგრამ სწავლის დაწყება მოვიმიზეზე და უარი ეუთხარი.

ხანდაზმული ქალი დაბეჯითებით მიმეორებდა:

— თუ ასეა, ზამთრის არდადეგებზე უსათუოდ ჩამოდით, ყველანი მოვალთ და გემს ყველანი დავხვდებით. ოღონდ, წამოსვლას რომ დააპირებთ, წინასწარ შეგვატყობინეთ. იცოდეთ, სასტუმროში თუ გაჩერდებით, ძალიან გვაწყენინებთ. ჩამოდით, უსათუოდ ჩამოდით, დაგიხვდებით...

მოგვიანებით, როცა ოთახში მხოლოდ ტიეკო და იურიკო დარჩნენ, მე ისინი კინოში დავპატიჟე, მაგრამ ტიეკომ მუცელზე ხელები მიიჭირა და მითხრა:

— თავს ძალიან ცუდად ვგრძნობ, ამ გრძელმა გზამ და სიარულმა ძალიან დამღალა.

გაფითრებულ სახეზე აშკარად ეტყობოდა, რომ მართლაც ძალიან იყო დაღლილი. იურიკო გაქვავებული სახით მიწას ჩასჩერებოდა.

მოცეკვავე ამ დროს დაბლა ბავშვს ეთამაშებოდა. მე რომ დამინახა, დედილოს კისერზე ჩამოეკიდა და ხვეწნა დაუწყო, ბატონ სტუდენტთან ერთად კინოში გამიშვიო, მაგრამ უარი რომ მიიღო, დაბნეული და აღელვებული მალე უკანვე ამობრუნდა და ჩემი გეტები ცხვირით კარისკენ შეაბრუნა.

— ვითომ რა დაშავდება, კინოში მასთან ერთად მარტო რომ წავიდეს? — ეიკიტი ჩემთვის სიტყვის შეწევნას შეეცადა, მაგრამ დედილო მკაცრი და გაუტეხელი იყო.

მართლაცდა, რატომ არ შეიძლება, ჩემთან ერთად კინოში მარტო წამოვიდეს-მეთქი? — ვფიქრობდი გაოგნებული. წინკარში რომ გავედი, ვხედავ, კაორუ ლეკვს თავზე ხელს უსვამს და ეფერება. ჩემთვის არც კი შეუხედავს, თავიც არ აუწევია, ისეთი გულჩათხრობილი, გამტკნარებული სახე აქვს, გამოლაპარაკება ვერ გავბედე.

რა უნდა მექნა, ავდექი და მარტო წავედი კინოში. მთხრობელი[1] ქალი პატარა ნათურის შუქზე განმარტებით ტექსტს კითხულობდა. ცოტა ხანს ვუსმინე, მაგრამ მალე ფილმის ყურება მომწყინდა და ისევ სასტუმროში წამოვედი. დიდხანს ვიდექი ფანჯრის რაფაზე დაყრდნობილი, დიდხანს, დიდხანს გავყურებდი ღამეულ ქალაქს. ქუჩა ჩაბნელებული იყო. უცებ

[1] მთხრობელი — იმ დროს ზოგიერთ კინოფილმს იაპონიაში ახმოვანებდნენ არა მუსიკის, ზეპირი თხრობის თანხლებით

შორიდან თითქოს დოლის ხმა მომესმა და თვალებიდან სრულიად უმიზეზოდ ცრემლებმა იწვიმა.

VII

მეორე დღეს, ვიდრე გავემგზავრებოდი, დილის რვა საათზე ვიჯექი და ვსაუზმობდი, რომ ქუჩიდან ეიკიტომ ამომძახა. ტანზე შავი, ღერბამოქარგული ჰაორი[1] ეცვა, ეტყობა, ჩემს გასაცილებლად იყო ასე გამოწყობილი. რომ დავინახე არავინ ახლდა, გული საშინლად შემეკუმშა, მარტოობის სევდამ მომიცვა.

მალე ეიკიტი ჩემთან, ზევით ამოვიდა: ჩვენებს ყველას ძალიან უნდოდა თქვენი გაცილება, მაგრამ წუხელ ძალზე გვიან დაწვნენ, ისე იყვნენ დაღლილები, თავის წამოწევის ძალა არა ჰქონდათ. მთხოვეს, მათ მაგივრად ბოდიში მოგიხადოთ. ასე შემოგითვალეს, ზამთარში აუცილებლად ჩამობრძანდით, იცოდეთ, გელოდებითო.

ადრიანი დილა იყო. ქუჩაში შემოდგომის ცივი ქარი ქროდა. გზაში ეიკიტიმ ოთხი კოლოფი სიგარეტი „სიკისიმა“, ცოტაოდენი ხურმა და პირში გამოსავლები გამაგრილებელი „კაორუ“[2] მიყიდა.

— ჩემს დას ხომ კაორუ ჰქვია... იცით, გემზე მანდარინის ჭამა არ ვარგა, ხურმა კი სასარგებლოა, ზღვის ავადმყოფობას შველის, — თქვა მან ღიმილით.

— რას იტყვით, გამოგადგებათ ასეთი საჩუქარი?

ამ სიტყვებით ჩემი მონადირის ქუდი მოვიძრე, ეიკიტის თავზე ჩამოვაფხატე, ჩანთიდან დაჭმუჭნული სტუდენტური ქუდი ამოვიღე, ხელით გავასწორე და დავიხურე, რაზეც ორივეს ხმამაღლა გაგვეცინა.

ნავსადგურში რომ მივედი, ვხედავ, სანაპიროზე მოცეკვავე გოგონა ზის და თავი მიწამდე აქვს წახრილი. ამის დანახვაზე გული თითქოს შუაზე გამეპო, მისი სახე თითქოს ჩიტივით შემოფრთხიალდა ჩემს გულში. ვიდრე ახლოს არ მივედი, არც კი შერხეულა. მერე მხოლოდ თავი დამიქნია ოდნავ, მდუმარედ. სახეზე გუშინდელი გრიმის ნაკვალევი აჩნდა, თვალის კუთხეებში დარჩენილი პატარა წითელი ლაქები თითქოს გულისწყრომის ანარეკლიაო, მის სახეს ბავშვური სიამაყის, ყმაწვილური ღირსების გამომეტყველებას აძლევდა.

— დანარჩენებიც მოვლენ? — ჰკითხა ეიკიტიმ.

---

[1] ჰაორი — საპარადო მოსასხამი

[2] „კაორუ“ — იაპონურად მისი ზუსტი თარგმანია „სურნელი“. ქალის სახელია

მოცეკვავემ უარყოფის ნიშნად თავი გააქნია.

— რაო, ისევ სძინავთ?

პასუხის ნიშნად ახლა თავი დააქნია გოგონამ.

ვიდრე ეიკიტი ჩემთვის გემისა და ორჩხომელის (რომლითაც გემამდე უნდა გადავსულიყავი) ბილეთების საყიდლად იყო, მოცეკვავე გოგონასთან საუბარი ვცადე, რა აღარ ვუთხარი, საიდან არ მოვუარე, მაგრამ ხმა ვერ ამოვაღებინე, იდგა და იქ, სადაც არხი ზღვას უერთდებოდა, ერთ წერტილს ჯიუტად მისჩერებოდა. ჩემთვის ბოლომდე არც კი მოუსმენია, თითქოს სიზმარშიაო, მექანიკურად თავის ქნევას მოჰყვა.

და, აი, ყურში უცებ ეს სიტყვები ჩამესმა:

— ბებო, ეს კაცი, ეტყობა, კეთილი ადამიანია.

ამ სიტყვებით, იმავე წუთს, ვიღაც უცნობი კაცი მომიახლოვდა, რომელიც შესახედავად მიწის მთხრელს ჰგავდა.

— ბატონო სტუდენტო, ტოკიოში მიდიხართ? ჰქენით სიკეთე, ამ მოხუცს გზაში ყურადღება მიაქციეთ. საბრალოს, თავს დიდი უბედურება დაატყდა, ძალიან მეცოდება. ამის შვილი რენდაიძის[1] ვერცხლის მაღაროში მუშაობდა. ეპიდემიების[2] დროს შვილი და რძალი დაეღუპა. ხელზე სამი პატარა ბავშვი დარჩა. აბა რა შეგვეძლო, რა უნდა გვექნა? მოვითათბირეთ და გადავწყვიტეთ, ეს დედაბერიცა და ეს ბავშვებიც თავიანთ სამშობლოში, მიტოში გაგვეგზავნა. თვითონ ბებიას თითქმის აღარაფერი ესმის, ისეა დაუძლურებული, აღარაფრის თავი აღარა აქვს. გემი რეიგანისიმოს[3] ნავსადგურში რომ შევა, უენოს სადგურისკენ მიმავალ ტრამვაიში ჩასვით. მართალია, სახათაბალო საქმეა, ვიცი, წვალება მოგიწევთ, მაგრამ ძალიან, ძალიან გთხოვთ, ნუ დაგვზარდებით! აი, თავად შეხედეთ და ნახავთ, როგორი საცოდავები არიან.

დედაბერი ფეხზე ძლივს იდგა და აქეთ-იქით დაბნეული იყურებოდა. ზურგზე ძუძუთა ბავშვი ჰყავდა მოკიდებული. მარცხენა ხელში ერთი სამი და ერთიც ხუთი წლის გოგონა ჩაფრენოდა. ჭუჭყიან ფუროსიკიში ბრინჯის გუფთები და დამარილებული ქლიავი ჰქონდა გამოკრული.

მოხუცის გასაცილებლად სადგურში მეშახატეების მთელი ჯგუფი ტრიალებდა. მე მათ, რა თქმა უნდა, სიამოვნებით დავთანხმდი, რაზეც ყველა ცალ-ცალკე მიხდიდა მადლობას:

---

[1] რენდაიძი — ადგილი სიმოდას მახლობლად, სადაც არის ცხელი წყლები და ვერცხლის მაღაროები

[2] 1919 წ. იაპონიაში ესპანური ინფლუენცას ეპიდემიით დაიღუპა 150 ადამიანი

[3] რეიგანისიმო — ნაემისადგომი მდ. სუმიდას მარჯვენა ნაპირზე

— ეტყობა, საიმედო კაცი ხართ, თქვენი დიდი იმედი გვაქვს.

— დიდი მადლობა, პირდაპირ გაჭირვებიდან გვიხსენით. წესით, ჩვენ უნდა გაგვეცილებინა, მაგრამ...

ორჩხომელი მძიმედ ირწეოდა ტალღებზე. კაორუ ისევ ისე ტუჩებმოკუმული იდგა და სადღაც გვერდზე იყურებოდა. თოკის ტრაპს რომ ჩავეჭიდე, უკან რომ მივიხედე, გოგონამ პირი ისე გააღო, თითქოს უნდა გამომემშვიდობოს, უნდა მითხრას, მშვიდობითო, მაგრამ ნაცვლად ამისა, თავი კიდევ უფრო ძირს დახარა. ეიკიტიც იქვე იდგა და ჩემს მიერ ნაჩუქარ მონადირის ქუდს დიდის მონდომებით მიქნევდა. უკვე კარგა შორს ვიყავი, როცა მოცეკვავე გოგონამ რაღაც თეთრი ნაჭერი ააფრიალა.

აი, გემმა უკვე დატოვა სიმოდას ყურე. ვიდრე ნახევარკუნძულ იძუს სამხრეთ ნაპირი გემის კიჩოს მიეფარებოდა, ვიდექი თოკის ტრაპს ხელჩაკიდებული და ღია ზღვაში იმ მხარეს ვიყურებოდი, საითაც კუნძული ოსიმა მეგულებოდა. ისეთი გრძნობა მქონდა, თითქოს პატარა მოცეკვავე გოგონა იქ, სადღაც შორეულ წარსულში დარჩა.

მერე იმ მოხუცი ქალის დასახედად მეზობელ კაიუტაში შევიხედე, მაგრამ მის გარშემო უკვე ბლომად ხალხი იყო მოგროვილი და, რაც შეეძლოთ ამშვიდებდნენ. ამაზე მეც დავმშვიდდი და ისევ ჩემს კაიუტაში შევბრუნდი.

საგამას ზღვაში ძლიერი ქარიშხალი ამოვარდა, ზღვა ძალიან ღელავდა. ვიჯექი იატაკზე და ხან იქით ვეხეთქებოდი, ხან აქეთ. მეზღვაურმა მგზავრებს პატარა ჯამები ჩამოურიგა. მე იატაკზე გავწექი და ბალიშის მაგივრად თავქვეშ ჩანთა ამოვიდე. თავი გამოცარიელებული მქონდა, დრო თითქოს წაიშალა. თვალებიდან ცრემლი ღაპაღუპით მდიოდა. იმის გამო, რომ ლოყებზე სიცივე ვიგრძენი, თავქვეშამოდებული ჩანთა მეორე მხარეს გადავატრიალე და ისევ თავქვეშ ამოვიდე.

ჩემს გვერდით ვიღაც ბიჭი იწვა, ფაბრიკანტის შვილი. უმაღლეს სკოლაში ჩასაბარებლად ტოკიოში მივდივარ, უნდა მოვემზადოო. თავზე სტუდენტური ქუდი რომ დამინახა, ჩემს მიმართ მაშინვე სიმპათიით განეწყო, — მკითხა:

— რაიმე უბედურება ხომ არ შეგემთხვათ, რატომ ტირით?

უბედურება კი არა, ეს-ესაა ერთ ქალიშვილს დავცილდი-მეთქი, — ვუპასუხე ძალიან გულღიად.

ხალხი მიყურებდა, როგორ ვტიროდი, მაგრამ ჩემი ცრემლებისა არ მრცხვენოდა. სრულიად არაფერზე ვფიქრობდი. თვალი მივლულე, მშვიდ

ბურანში ჩავიძირე, თითქოს რაღაც სასიამოვნო სიმშვიდეც ვიგრძენი და ვერ გავიგე, ზღვაზე ბინდი როგორ ჩამოწვა. მალე აძიროსა და ატამიში სინათლეები აბდღვრიალდა.

მციოდა და მშიოდა კიდევაც. ბიჭმა ბამბუკის ხრალის შეკრულა გახსნა. მე მაშინვე ნორიმაკას[1] ვეცი და ჭამა ისე დავიწყე, არც კი გამხსენებია, ჩემი რომ არ იყო. ჭამას რომ მოვრჩი, ბიჭის სასკოლო ლაბადაში გავეხვიე და თავი ისეთ თბილ, მეგობრულ გარემოში ვიგრძენი, როცა ყველაფერი უბრალო, ყველაფერი ბუნებრივი გეჩვენება.

ხვალ დილით ადრე მოხუცს სადგურ უენოში მივაცილებ, მიტოში გასამგზავრებელ ბილეთს ვუყიდი, ეს, რა თქმა უნდა, თავისთავად იგულისხმება, მთელი ქვეყნიერება ჩემთვის ახლა ერთიანი და განუყოფელია-მეთქი, — ვფიქრობდი.

კაიუტაში სინათლე ჩაქრა. გემზე ცოცხალი თევზისა და ზღვის ძლიერმა სურნელმა დაქროლა.

ღამის უკუნეთ სიბნელეში ჩემს გვერდით მძინარე ყმაწვილის ადამიანური სითბოთი გამთბარმა ცრემლი ნებაზე მივუშვი. ისეთი გრძნობა მქონდა, თითქოს ჩემი თავის ქალა ანკარა წყაროდ იყო ქცეული და წვეთ-წვეთად მოედინებოდა. მერე თითქოს აღარც ტკივილი იყო, აღარც ცრემლი და იყო მხოლოდ ტკბილი, ნეტარი სიმშვიდე.

თარგმნა ლილი მჭედლიშვილმა

---

[1] ნორიმაკა — ბრინჯის გუფთები ან უმი თევზის ნაჭრები ზღვის კომბოსტოს ფოთლებში გახვეული

იუჰან ბორგენი

28.04.1902 – 16.10.1979

გამოჩენილი ნორვეგიელი მწერალი, დაიბადა ადვოკატის ოჯახში, 30-იან წლებში ლიტერატურული მოღვაწეობა დაიწყო როგორც ჟურნალისტმა, წერდა ნარკვევებს მუმლე გოსეგის ფსევდონიმით, (კრებულები – „დაკვირვებანი და შეკამაოებანი", 1932 და „60 მუმლე გოსეგი", 1936). თავის პირველ რომანში, „შეჯამება" (1934), მწერალი გვიხატავს რეფლექსურ ბურჟუაზიულ ინტელიგენტს, ამავე პერიოდში დაწერილ პიესებში „კონტორშეფლი" (1936), „სანამ ველოდებით" (1938) და სხვ. ბორგენი ფსიქოლოგიური ანალიზის ოსტატად გვეველინება. მეორე მსოფლიო ომის დროს მწერალი შვეციაში მიდის ემიგრაციაში, სადაც წერს რომანს „ზაფხული არ არის და არც იქნება" (1944), რომელშიც ასახულია ოკუპაციის დროს პროგრესულ ნორვეგიელ ინტელიგენტთა განწყობილება, 1946 წელს დაწერილ რომანში „სიყვარულის ბილიკი", გაკიცხულია ფაშიზმისადმი მტრულად განწყობილი ინტელიგენციის ნაწილის პასიურობა. მომდევნო წლებში ბორგენი ქმნის თავის საუკეთესო რომანებს, რომლებიც ერთიანდება ტრილოგიაში: „პატარა ლორდი" (1955),„მღვრიე წყლები" (1956) და „ახლა ის ჩვენს ხელთაა" (1957); ტრილოგიის გმირია ბურჟუაზიული ინტელიგენტი, ვილფრედ საგენი, რომელიც ომის დროს განუდგება პროგრესისა და დემოკრატიის საქმეს. რომანში, „მე" (1954), მწერალი ერთგვარ ხარკს უხდის ფროიდის ფსიქოანალიზს, ადამიანთა მორალური პასუხისმგებლობა ჩადენილი დანაშაულის მიმართ, თუნდაც ეს დანაშაული იურიდიულად სასჯელს არ იმსახურებდეს, დასმულია „ცნობიერების ნაკადის" რომანში „წითელი ნისლი" (1967); თანამედროვე ადამიანის ჭეშმარიტ ცხოვრებისეულ ფასეულობათა სულიერი ძიების რწმენითაა გამსჭვალული ბორგენის 70-იან წლებში დაწერილი რომანები: „ჩემი ხელი, ჩემი კუჭი" (1972), „შაბლონები" (1974) და სხვ.

იუჰან ბორგენის შემოქმედებაში განსაკუთრებული ადგილი უჭირავს ნოველას, იგი ავტორია ნოველების რამდენიმე კრებულისა: „ბავშვის სული" (1937), „თაფლობის თვე" (1948), „ნოველები სიყვარულზე" (1952), „გზა მშვიდობისა" (1974) და სხვ. მწერლის აზრით, „ნოველა ვულკანის ამოფრქვევას ემსგავსება, რადგან წარმოადგენს მწერლის შინაგანი მე-ს სპონტანურ გამოვლენას"; ამასთანავე, იგი აღნიშნავდა ნოველის სიახლოვეს მუსიკასთან – „რა თქმა უნდა, სონატასთან და არა სიმფონიასთან".

მოთხრობა „ბედნიერება" შედის 1948 წელს გამოქვეყნებულ კრებულში „თაფლობის თვე".

ბედნიერება

კვირაში ერთხელ მოხუცი დედაკაცი ლიზა მთიდან ბარში ჩამოდიოდა, საფოსტო ყუთს მოაკითხავდა. ძველ თხილამურებზე მოჰქროდა ზამთრობით. ამ თხილამურებს თავ-ბოლო მოცვეთილი ჰქონდა, მაგრამ სამაგრს ვერ დაუწუნებდით. დედაბერს იონის გაპოხილი და გემივით ვეება ჩექმები ეცვა და რომ გამხმარი ფეხები შიგ არ ჩაჰკარგოდა, ბლომად აფენდა ქაღალდს. როცა თხილამურის ჯოხს მინდობილი ბილიკზე მოექანებოდა და თოკლის ბუქს აშლიდა, ნამდვილად მთიდან დაქანებულ კუდიანს ჰგავდა.

შემოდგომით,როდესაც ჭაობთა კოლბოხებს წყალი დაფარავდა, ლიზა ძლივს მოაბიჯებდა, დიდი გაჭირვებით მოიკელევდა გზას. ფეხთ მძიმე, ფორმადაკარგული რეზინის ჩექმები ეცვა.

სამაგიეროდ, ზაფხულობით არ უჭირდა გზის გაგნება მოთიბულ მინდორზე, მტკიცედ მოაბიჯებდა სანახევროდ წყლით დაფარულ კოლბოხებზე. როცა ლიზა გამოჩნდებოდა ხოლმე სოფელში,იქაურები ფანჯრებს მოაწყდებოდნენ და ამბობდნენ: „საკვირველია სწორედ, რა ყოჩაღადაა ლიზა, არ ბერდება“, და ბავშეს მიუგზავნიდნენ ხოლმე, ჭიქა ყავაზე ეპატიჟებოდნენ. ლიზა ბავშვს დაეთანხმებოდა, იცოდა ბავშვებთან მოქცევა, პატარებს უყვარდათ ლიზას სახის ცქერა. დედაბერის სახე ისე იყო დასერილი ნაოჭებით, როგორც გეოგრაფიული რუკა. რამდენი ბავშეი

შიშითა და აღტაცებით მიჰკარებია ლიზას ხელების დაბერილ ძარღვებს, რომელთაც ყვითელი, სპილოს ძვლისფერი კანი ფარავდა და რომლებიც დიდი მინდვრებით დაყოფილ მთაგრეხილებს მიუგავდა.

დაღმართზე, სადაც ვიწრო, საცალფეხო ბილიკი დიდ შარაგზას ერთვოდა, სამი საფოსტო ყუთი ეკიდა – ლურჯი, წითელი და ყვითელი. ვინ იცის, რამდენმა ათეულმა წელმა განვლო, რაც იმ ბოძების გარშემო ზღუდე მოიშალა, მაგრამ სახელმწიფომ მთლად წესრიგში შეინარჩუნა სამი ბოძი. ისინი სახელმწიფო ბოძები იყო!

ლიზასი იყო ყვითელი ყუთი. ოდესღაც ამ ყუთს შავი ასოებით ეწერა ერთი მთაში მივარდნილი ადგილის სახელი, მაგრამ ასოები რა ხანია წაიშალა, თუმცა ამას არავითარი მნიშვნელობა არა ჰქონდა. ფოსტალიონმა ყველა ყუთის მფლობელი იცოდა. იგი ისევე ბებერი იყო, როგორც ეს ყუთები, როგორც ლიზა.

ლიზას ცხოვრებაში სამი ღირსსაცნაური მოვლენა მოხდა: „ტიტანიკის“ დაღუპვა,იონის სიკვდილი ომში და ლატარიის მოგება. ორი უკანასკნელი ამბავი მან ფოსტის მეოხებით გაიგო. „ტიტანიკის“ დაღუპვამ შემთხვევით მოაღწია მის ყურამდე. ერთხელ ლიზასთან მგზავრმა შემოიარა. მას გაზეთი ჰქონდა და იმ გაზეთში იყო ცნობა. მაშინ ლიზას ჯერ ჩვეულებად არა ჰქონდა გაზეთის კითხვა და სულ მარტოდმარტო ცხოვრობდა, როგორც ახლა ცხოვრობს. მაგრამ, აი, ქალმა წაიკითხა ცნობა, სადღაც ზღვაში უზარმაზარი გემი ყინულის მთას დაეჯახაო. ამან თავზარდამცემი შთაბეჭდილება მოახდინა ქალზე. ამის შემდეგ ეს ამბავი მეხსიერებიდან ვერ ამოეშალა. იგი მისი ცხოვრების გარკვეული მიჯნა შეიქნა.

მერე ლიზამ მრავალი საყოველთაო, მსოფლიო უბედურება იგრძნო, მაგრამ ყველა ის კნინად უჩნდა „ტიტანიკის“ დაღუპვასთან შედარებით.

ის გამვლელი კაცი იონის მამა გახდა. იგი ტყიდან მოვიდა და ლიზასთან ღამე გაითია, როგორც ბევრი სხვა მოსულა ტყიდან და ბევრ სხვას გაუთევია ლიზასთან ღამე. იგი დილაადრიან ადგა და ღამის გათევის ფული გადაიხადა, მადლობა უთხრა ლიზას და გამოემშვიდობა. ლიზა ვერც კი იცნობდა იმ კაცს, მეორე დღეს რომ არ ენახა.

ეს ლიზას ერთადერთი შეცოდება იყო. ცოდვით სული მაშინ დაიმძიმა, როდესაც უკვე ასაკოვანი გახლდათ და ამას მნიშვნელობა არ მიანიჭა. ლიზას იონი ზაფხულს ეყოლა, დილა უთენიაზე. მაშინ მასთან არავინ

იყო, მხოლოდ გუგულის ხმა მოისმოდა ტყიდან. როგორც კი მშობიარე მომჯობინდა, სათიბისკენ გაემართა.

იონი წამოიზარდა, სკოლაში დაიწყო სიარული. გონებაგახსნილი ყმაწვილი დადგა. კარგად სწავლობდა, მექანიკის ავანჩავანი გაიგო და მალე დედას ამოუდგა მხარში. ლიზამ მეორე ძროხის ყიდვა შეძლო. როცა გერმანელები მოვიდნენ, იონმა და სოფლის სხვა ყმაწვილმა კაცებმა შარაგზაზე გერმანელთა ავტომობილი ჩაიგდეს ხელში. იონი ერთ სოფელში მოკლეს ქალაქის მახლობლად. როცა ოკუპანტებმა რადიომიმღები აკრძალეს, ლიზამ ერთი ძროხა გაჰყიდა და რადიო იყიდა. მორჩენილი ფულით ლატარიის ბილეთი შეიძინა. ერთხელ ამ ბილეთს მოგება ხვდა წილად. ლიზამ ფული სარდაფში შეინახა. ეს ფული ხომ იონს გამოადგება, იგი ისწავლის, საღამოს სკოლაში შევა, მერე ინჟინერი გამოვა. და ყოველთვის, როცა კი ფულს გადაითვლიდა და ისევ სარდაფის კუთხეში მდგომ რკინის ყუთში ჩადებდა, ლიზას გაახსენდებოდა, რომ იონი აღარ არის. მაშინ ქალი ოთახში შედიოდა, მსოფლიოში დატრიალებულ ამბებს უსმენდა და „ტიტანიკის“ დაღუპვაზე ფიქრობდა.

კვირაში ერთხელ ლიზა სოფელში ჩამოვიდოდა,მოაკითხავდა საფოსტო ყუთს, რომელიც შარაგზის ბოძზე ეკიდა. იგი წერილებს ელოდა. გზად შემოხვედრილი ადამიანები გამოელაპარაკებოდნენ ხოლმე. იმათ ისე ეგონათ, რაღაც ბრალი მიგვიძღვის ლიზას წინაშეო. უნდოდათ, რითიმე დახმარებოდნენ დედაბერს. გულშემატკივრები ერთმანეთს ეტყოდნენ ხოლმე: „ძალიან ცუდია, რომ ლიზა მარტოდმარტოა, რაიმე რომ მოუვიდეს!“

უნდოდათ, როგორმე ხელი გაემართათ ლიზასთვის. ხშირად ბავშვს მიუგზავნიდნენ და სთხოვდნენ, ჩვენსა შემოიარეო. ქალი მაშინვე თავის გაუხეშებულ ბებერ ხელს ჩაავლებდა ბავშვის სათუთ ხელს. ასე ხელიხელჩაკიდებულნი შედიოდნენ სახლში ლიზა და ის ბავშვი. უყვარდათ ლიზა. ეგონათ, ლიზა რაღაც სხვა სამყაროს ეკუთვნისო. უყურებდნენ, როგორ უთამაშებდა ნაოჭები დედაბერს სახეზე, რომელიც მათ ბევრი სხვა სახის ნაკერები ეგონათ. ბავშვები დარწმუნებული იყვნენ, ლიზამ ამქვეყნად ყველაფერი იცისო.

მოზრდილებსაც ეხალისებოდათ ლიზასთან საუბარი. იმათაც ეგონათ, რომ ლიზამ სხვებზე მეტი იცის. პირდაპირ არა ჰკითხავდნენ მოხუც ქალს, გაქვს თუ არა რადიო, მაგრამ ცდილობდნენ, მისგან ამოექაჩათ

ქვეყნის ამბები. ყველაზე საკვირველი ის იყო, რომ ლიზას მართლაც შეეძლო მომხდარი ამბები გადმოეცა არა ზოგად სახეებში, როგორც ეს მოხუცებმა იციან, არა, მან იცოდა, ყველა სოფლისა და ქალაქის ურთულესი და უგრძესი სახელწოდებანი. და როცა წინ რუკას დაუდებდნენ ხოლმე, მას ზუსტად შეეძლო ეჩვენებინა, სად ადიოდა ფრონტის ხაზი. რუკაზე მიმოატარებდა თითებს. დაგრეხილი თითები ფრინველის ნისკარტს მიუგავდა, თუმცა ხელები ლამაზი ფორმისა ჰქონდა. სოფელში ცოტა ვინმეს თუ შერჩა რადიო და კიდევ უფრო ცოტანი იყვნენ ისეთები, რომლებიც გაგონილის სხვისათვის გადმოცემას გაბედავდნენ. ასეთი დანაშაულისათვის ხომ სიკვდილი მოელოდათ! გარდა ამისა, ყველას თავისი საქმე, თავისი საზრუნავი აწვა ტვირთად და ხშირად ავიწყდებოდა, რა ორომტრიალი იყო ქვეყნად.

ლიზას ისეთი საქმე არაფერი ჰქონდა, რაიც დიდ ფიქრს მოითხოვდა. მას ჰყავდა ერთი ძროხა და ჰქონდა ერთი პატარა საყანე ადგილი. ყანას კეთილი ადამიანები უხნავ-უფარცხავდნენ. სათიბსაც თვითონ უვლიდა. თვითონ თიბავდა, თვითონვე აშრობდა თივას. ზამთრობით ჭისაკენ თოვლს გაკვალავდა და ეზოს მოასუფთავებდა. შეშის დახერხვა კარგად იცოდა, შეშა კი მისთვის სოფლის მცხოვრებლებს მოჰქონდათ.

ლიზას საფიქრალი სხვა არა ჰქონდა რა, ამიტომაც იმახსოვრებდა ძნელ-ძნელ სახელებს, რაიც სხვებს ვერ დაემახსოვრებინათ. ასე, ამრიგად, გახდა მთიდან ჩამოსული ლიზა მაცნე დიდი, უკიდეგანო მსოფლიოსი. როცა ადამიანები წარმოიდგენდნენ ამქვეყნად დატრიალებულ საშინელებას – ათასობით მკვდრებს, გაპარტახებულ ველ-მინდვრებს, ნაცარტუტად ქცეულ ქალაქებს – და გაოგნებულები პირჯვარს იწერდნენ, ლიზა „ტიტანიკის“ დაღუპვაზე ფიქრობდა და სადღაც შორს იყურებოდა, ისე, რომ არც არაფერს ხედავდა და არც არაფერი ესმოდა. მან ერთხელ და სამუდამოდ გამოიმუშავა თავისათვის საშინელებათა საზომი. მილიონობით მოკლული ადამიანი ვერ დააჭარბებს იმ ათას კაცს, რაიც „ტიტანიკმა“ ჩაიტანა. ოდესღაც გაიგო ქალმა ეს საშინელება და მან ისე შეაძრწუნა, რომ თითქოს მის გულს შეეზარდა და იქ განაგრძო არსებობა. იმ დროიდან მოკიდებული უსაზარლესი ამბები თითქოს ლიზას არ ეხებოდა, ისე უბრალოდ, სადღაც ხდებოდა.

საღამოობით, როდესაც ქარი არხევდა არყის ხეებს და მათი ფოთლები ფანჯრის მინებს ეალერსებოდა, სასიკვდილო საფრთხის არდამრიდი ლიზა რადიოს უსმენდა და ორკესტრის ხმა ავსებდა მის პატარა ოთახს. ლონდონში სამასი კაცი უკრავდა ლიზასათვის. მერე დედაბერი ხმას აუმაღლებდა და ოთახში ზვავად წამოვიდოდა ბეთჰოვენის მუსიკა, ხმათა ჩანჩქერი წალეკავდა ფაიფურის ძაღლით დამშვენებულ კარადასა და ოთახის ყვავილებით მორთულ რაფას. და მაშინ ქალის სულში ისევ აღორძინდებოდა „ტიტანიკის“ ტრაგედია. ქალი ხედავდა გემის წაფერდებულ ბანს, ესმოდა სიკვდილის შიშით სასოწარკვეთილი მამაკაცების, ბავშვებისა და ქალების კივილი. ეს კივილი ჰკვეთდა ღამეს და ზღვისაკენ მიექანებოდა. და თითქოს ზღვის ყინულოვანი, ცისფერი და მაღალი ტალღები თავს ეელებოდნენ ლიზას ოთახს და დედაბრის გულს უსასრულობის სიცივით ავსებდნენ. მერე კი, როდესაც მუსიკა იყუჩებდა, იგი დიდხანს უჯდა ხელსაქმეს, ქსოვდა... იონისათვის.

არცთუ იშვიათად ტყიდან მომავალი კაცები შეივლიდნენ ლიზასთან, ძველი ჩვეულებისამებრ ოდესღაც ეს ქალისათვის შემოსავლის წყარო იყო. იგი მგზავრებს ყავას ალევინებდა და ღამეს ათევინებდა. მაშინ ისინი ხშირად მოდიოდნენ, თვეში რამდენჯერმე, თუკი ამინდიც ხელსაყრელი იყო.

ახლაც კი, ომის დროს, როცა ხალხი მაინცდამაინც არ ეტანება ტყეს, თუკი ძალიან არ სჭირია, ლიზასთან ზოგი ვინმე მაინც შემოივლიდა ხოლმე. ხანდახან მგზავრები ჯერ რადიოს ხმას გაიგონებდნენ და მერე დაინახავდნენ დედაბერის სახლს. სხვა დროს მათ მბჟუტავი სინათლე მოიზიდავდა. ბრძანების მიუხედავად, ლიზა თავის ფანჯრებს არ აბნელებდა. ხშირად შუაღამემდე იჯდა და უსმენდა მსოფლიო სიმფონიის ხმებს, მის ოთახს რომ ავსებდნენ. იგი ისმენდა უცხო ლაპარაკს, რომელიც არ ესმოდა და ამიტომაც მსოფლიოში დატრიალებული უბედურება უფრო მძიმე და უფრო იდუმალი ეჩვენებოდა. ლიზასთან მოსულნი შიშით უსმენდნენ მსოფლიოს ხმას და არასოდეს არავისთან არ დასცდებოდათ, რაც მოისმინეს, ბევრმა იცოდა, რომ დედაბერს შვილი მოუკლეს და ფიქრობდა, ალბათ, ლიზა ჭკუიდან შეცდაო.

ერთხელ იმ კაცმა ჩაუარა ლიზას სახლს. ცალ ფეხს ძლივს მიათრევდა, სწორედ ამან გაუნათა მეხსიერება ლიზას. ძალიან დაღლილი ჩანდა გრძელი გზის გამო. ლიზა შესცქეროდა მის გრუზა, შუბლზე ჩამოშლილ თმას და ფიქრობდა – ნეტავი თუ ვახსოვარ, ნეტავი თუ მიცნობს? მან ყავა მოუხარშა სტუმარს, სამზარეულოში მუშამბაგადაფარებულ მაგიდაზე დაუდო, თვითონ მეორე ოთახში საწოლის გაშლას შეუდგა, თან ელაპარაკებოდა, რადგან კარი ღია ჰქონდა. მაშინაც ასე იყო. ეს ოცდაათი წლის წინათ მოხდა. მომავალ წელს ლიზა სამოცდაათისა გახდება. სოფელში უკვე ამბობდნენ, მოხუცებულთა თავშესაფარში ხომ არ გავ-გზავნოთო. მაგრამ ლიზას ამის გაგონებაც არ უნდოდა.

კაცი იჯდა, სუროგატის ყავას სვამდა, ომის ამბებს ჰყვებოდა და ზოგი რამ თავის თავის შესახებაც თქვა. იგი საკერავი მანქანის გასაღების აგენტი იყო. ახლა ქალს ეს ამბავიც გაახსენდა! ის კაცი სოფელ-სოფელ დადიოდა და ფულს აგროვებდა. მან რაღაც გაუმჯობესება გამოიგონა საკერავი მანქანისათვის, მაგრამ აქედან არაფერი არ გამოვიდა.

მაშინაც ეგრე იყო. ახლა ლიზას ყველაფერი გაახსენდა, ყველაფერი... მაშინაც ამბობდა, საქმე მოგვარდებოდა, ცოტაოდენი ფული რომ მქონე-ბოდაო... ჰო, ყველაფერი მოგვარდებოდა, ცოტაოდენი ფული რომ ჰქონებოდა.

მერე... ყოველთვის ასეა, სულ ფულის ნაკლებობა!... ჰო, ჰო! ისევ ჩაესმა ის უცნაური სიტყვები, რომელთა აზრი მაშინ ვერ გაიგო. ქალი იდგა ოთახში და ბალიშიდან თივას ბერტყავდა. იგი ბალიშში ახალ თივას ჩაყრიდა, რომ სცოდნოდა, ვინ იქნებოდა დღეს მისი სტუმარი...

„დრო არ მყოფნის, რომ გულისყური მოვიკრიბო“.

„გულისყური მოვიკრიბო“. სწორედ ეს სიტყვები იყო. ქალს ხშირად უცდია მათი მოგონება. მაშინ ვერ გაიგო, მაგრამ დრო გავიდა და ლიზამ ბევრი ისწავლა, დაბრძენდა, დაბერდა.

იონი ოცდაშვიდი წლისა იყო, როდესაც იგი მოჰკლეს. ქალი საწოლთან იდგა და ამ საფიქრალს ფიქრობდა, მერე სამზარეულოში დაბრუნდა. მაგიდაზე ლამპა ენთო, მაგიდას ის კაცი უჯდა, ლიზა ხედავდა მის ფართო ზურგს, გაშლილ მხრებს. მაშინაც ასე იჯდა. ორი წელი გავიდა, რაც იონი ომში მოუკლეს.

– ეს დაწყეველილი გერმანელები, – ამბობდა შორი გზიდან მოსული. იგი ძლივს ღეჭავდა გამხმარ ბუტერბროდებს და გერმანელებს აბრალებდა, რომ თავისი გამოგონება არ გაუმართლდა. ლიზა ღუმელს მიუახლოვდა, ყავადანი ჩამოიღო და ისევ დაუსხა სტუმარს ყავა.

...აი, ეგრე დაწანწალებს წლითი წლობით, ხალხს ძველ მანქანებში ფულსა სთხოვს, მაგრამ ახლა მას იქითა მხარეს საქმე აღარაფერი აქვს, ამიტომაც წამოვიდა აქეთ...

ლიზამ ცეცხლს შეუკეთა. გარეთ ციოდა და ქარი ქროდა. შემოდგომის დამდეგი იყო. ახლა ლიზამ პირველად გაიფიქრა ეს, შემოდგომა დგებოდა და სოფლელებს უნდოდათ მისი მოხუცთა თავშესაფარში გაგზავნა. მასთან რომ ლენსმანი მოსულიყო, დედაბერს ციხეში ჩასვამდნენ რადიოს გამო.

ქალი ამას ფიქრობდა და საიდანღაც, ცნობიერების სიღრმიდან ერთი აზრი ამოუტივტიედა: ეგების ამ კაცს ვახსოვარ? ასეთ კაცებს ბევრი უვლიათ ტყე-ტყე, ვინ მოთვლის, რამდენ ქალთან წოლილან, მოხუცებთან თუ ახალგაზრდასთან, ეგების სულაც არ ვახსოვარ?

ლიზამ რადიოს ჩართვა სცადა, მაგრამ ვერაფრით ვერ მოახერხა, ვეღარ დაიჭირა მოკლე ტალღები. მაშინ სტუმარმა რადიო გახსნა და ნათურათა შორის რაღაცის ძებნა დაიწყო. ქალი მის წვრილ, ლამაზ თითებს უყურებდა. სწორედ ასე მარდად დაუტრიალდა მაშინ ლიზას ტანისამოსის ღილებსა და დუგმებს. მაგას ისეთი მგრძნობიარე თითები აქვს! ეს ხელები რომ არ ჰქონოდა, მაშინ, ალბათ, მარტოს მოუხდებოდა წოლა. პირველი ხომ არ იყო ტყის მხრიდან მოსულთა შორის, ვინაც ლიზას ლოგინში დათრევას ცდილობდა.

ქალი თვალს არ აშორებდა ძლიერ ხელებს, რომლებიც ცდილობდნენ რაღაც მოეწესრიგებინათ. მალე ყველაფერი რიგზე იყო. კაცმა მიმღები დახურა და თავის ადგილზე დადო. ახლა ისინი ერთად ისხდნენ და ისმენდნენ გადმოცემას სხვადასხვა უბედურებათა შესახებ. „ჰო, – ფიქრობდა ლიზა, – მაგას ყველაფერი შეუძლია“. ამ აზრმა გონებაში გაურბინა და მოსვენება დაუკარგა. „მაგას ყველაფერი შეუძლია“, – და ქალს ისევ გაახსენდა „ტიტანიკის“ დაღუპვა.

ლიზას თვალწინ დაუდგა უზარმაზარი დაყირავებული გემბანი „ტიტანიკისა“. გემი თანდათან წყვდიადში შთაინთქა. ქალი ხედავდა გემის

სინათლეს, რომელიც ზღვის სიბნელეს ერთვოდა. და როცა მუსიკის ხმა გაისმა, დედაბერს მოეჩვენა, რომ მას ესმოდა ზღვის მსხვერპლთა ხმა.

დილით, როდესაც კაცმა ღამის გათევისა და ყავის ფული გადაიხადა, ლიზამ ყუთი გაუწოდა. დედაბერი ჯერ კიდევ უთენია ჩაძვრა სარდაფში, იქიდან ამოიღო ფული, უკანასკნელად გადათვალა. იონი მოკვდა.

ჯერ სტუმარს არ უნდოდა ფულის აღება, მაგრამ მერე აიღო. ქალი უცქეროდა, როგორ მიუყვებოდა იგი ტყის ბილიკს და როგორ ეჭირა ხელში ყუთი. წინათ იგი ასე ძალიან არა კოჭლობდა. ალბათ, უკვე სამოცდახუთი წლისაა.

კაცი დაჰპირდა ლიზას, მოგწერ, თუკი გამოგონებამ გამიმართლაო. როცა ის გზას გაუდგა, ჟიუმატი წვიმა მოდიოდა. ლიზამ თვალი გააყოლა, სანამ ტყის სიხშირემ არ დაფარა იგი, და სულ ერთს ფიქრობდა: ვახსოვარ თუ არა? ვერ გაბედა ეკითხა მისთვის. ქალს მთელი ღამე არ ეძინა და მისი ფიქრი „ტიტანიკს“, ორ ომს და იონს დასტრიალებდა თავს. ახლა რადიო მოწესრიგებული ჰქონდა. ამ აგენტმა დიდი სამსახური გაუწია. მაშინ მოაფიქრდა: ლიზას შეუძლია ამ კაცს სამაგიერო მიუზღოს.

კაცი ტყის სიხშირემ დაჰფარა, ქალი ისევ ქვის წინკარში იდგა და მის გზას გაჰყურებდა. მერე ბოსელში შეეიდა და თან ვედრო შეიტანა. იგი დაჰპირდა, წერილს მოგწერ, როდესაც მუშაობას დავიწყებ, როდესაც გულისყურს მოვიკრებო.

ყოველ კვირას ჩადიოდა სოფელში და ყვითელ ყუთში წერილს ეძებდა. ერთიც იქნება და წერილი მოვა. მაშინ ქალი გაიგებს, რომ წაღმა მოტრიალდა საქმე და თუკი მეზობელი სოფლიდან ბავშვს მოუგზავნიან, ლიზა შეიძლება გაჰყვეს მას და თავისი ნაცნობები მოინახულოს.

ეს მოლოდინი ლიზასათვის დიდი იმედი იყო. თითქოს იცავდა მას მოხუცთა თავშესაფრიდან, ლენსმანისაგან, იმ უბედურებისაგან, რაიც მსოფლიოში ხდება, იცავდა იონის ჯავრისაგან. კვლავინდებურად რადიოს უჯდა და იონისათვის ქსოვდა. იგი ომში მოჰკლეს, მაგრამ ისა და აგენტი ერთი ტანისანი არიან, მამა და შვილი. ორივეს მარდი ხელები აქვთ. ყველაფერი გამოუდით ხელში.

შარაგზაზე, საფოსტო ყუთთან მდგომი ლიზა გრძნობდა, რომ ეს მოლოდინი ყოველგვარ ბოროტს ააცილებდა. ეს მოლოდინი აკავშირებდა

შორეულ წარსულთან – იმ დროსთან, როდესაც მან „ტიტანიკის“ დაღუპვა გაიგო, იმ დროსთან, რომელიც დავიწყებული ეგონა.

ჰო, ეს ამბავი მანამდე მოხდა, სანამ ამ ქვეყნის უბედურება ისე საშინლად არ გაბევრდა, რომ მისი აღნუსხვა შეუძლებელი შეიქმნა. ეს ომიც... შემდეგ იონი და ყველაფერი ეს ერთ მთლიანობად იქცა დედაბერისათვის, რადგან ეს მისი ცხოვრების ყველაზე დიდი მოვლენა იყო.

ყოველ კვირაობით აკითხავდა თავის ცარიელ საფოსტო ყუთს მოლოდინითა და ბედნიერებით ფრთაშესხმული ლიზა.

თარგმნა თინათინ კოპლატაძემ

ჰაინრიხ ბიოლი

21.12.1917 – 16.07.1985

გამოჩენილი გერმანელი მწერალი; სასწავლებლის დამთავრების შემდეგ წიგნის მაღაზიაში დაიწყო მუშაობა, 1939 წელს არმიაში გაიწვიეს, 1945 წლამდე ჰიტლერის არმიის ჯარისკაცი იყო, ტყვედ ჩაუვარდა ამერიკელებს. სამშობლოში დაბრუნების შემდეგ სწავლობდა გერმანისტიკას, წერდა მოთხრობებს, ნაწილს მათგან, როგორც ბიოლი აღნიშნავდა, სასწავლო-საწერთნელი, ექსპერიმენტალური ხასიათი ჰქონდა. 1946 წლის ბოლოდან იგი იწყებს მოთხრობების გამოქვეყნებას, ხოლო 1949 წელს, ერთად შეკრებილს, ცალკე წიგნად სცემს. ბიოლის შემოქმედება განეკუთვნება ე. წ. „ომის, ომიდან დაბრუნებისა და ნანგრევების ლიტერატურას". მის შემოქმედებაში სოციალური კრიტიციზმი და პოლიტიკური სატირა შერწყმულია ფილოსოფიურ სიღრმესთან და სიმბოლიკასთან. მწერლის რომანებსა და მცირე ზომის პროზაულ ნაწარმოებთა (ე წ. „კურცგეშიხტე") ძირითადი თემაა II მსოფლიო ომის მიერ ფსიქიკურად და ფიზიკურად გათელილი თაობის განწირული ცდა ცხოვრებაში ფეხის მოკიდებისა. ბიოლი ზომიერად იყენებს თანამედროვე დასავლური პროზის გამომსახველობით საშუალებებს, სტილურ ფორმებსა და ხერხებს, – „ცნობიერების ნაკადის" მეთოდი, მონტაჟის ტექნიკა, სათხრობი პერსპექტივების ცვლა, სიმბოლოთა სიჭარბე და ა. შ. მისი უმნიშვნელოვანესი ნაწარმოებებია: რომანები – „სად იყავი, ადამ?" (1951), „და არ უთქვამს არც ერთი სიტყვა" (1953), „უპატრონო სახლი" (1954), „ბილიარდი ათის ნახევარზე" (1959), „კლოუნის თვალთახედვით" (1963), „ერთი მივლინების დასასრული" (1966), „ჯგუფური პორტრეტი ქალითურთ" (1971), ვრცელი მოთხრობები – „მატარებელს არ დაუგვიანია" (1949), „ადრეული წლების პური" (1955), „მოულოდნელი სტუმრები" (1956), „დოქტორი მურკე აგროვებს... დუმილს" (1958) და სხვ. მცირე მოცულობის მოთხრობათა შორის („ლოენგრინის სიკვდილი", „დანიანი კაცი", „უკვდავი თეოდორა" და სხვ.). ერთ-ერთი საუკეთესოა ჩვენს კრებულში წარმოდგენილი ომისადმი პროტესტის სულისკვეთებით აღსავსე დიდი მხატვრული ძალის მოთხრობა „მგზავრო, როს ჩახვალ სპა..." (1950).

1972 წელს ჰაინრიხ ბიოლს მიენიჭა ნობელის პრემია გერმანული ლიტერატურის აღორძინებასა და განვითარებაში შეტანილი მნიშვნელოვანი წვლილისათვის.

მგზავრო, როს ჩახვალ სპა...[1]

როდესაც მანქანა გაჩერდა, ძრაცა ერთ ხანს კიდევ თუხთუხებდა ეზოში, სადღაც ჭიშკარი გააღეს. ჩამტვრეული ფანჯრიდან მანქანაში სინათლემ შემოაღწია და ახლადა დავინახე, რომ ზევით, ჭერში ნათურა გატეხილი იყო; მხოლოდ ნათურის ჩასახრახნი ქანაობდა, რამდენიმე მავთული და შუშის ნარჩენები ბზინავდა მასრაში. შემდეგ გავიგონე, როგორ შეწყვიტა ძრავამ თუხთუხი. ამ დროს გარედან ვიღაცამ დაიყვირა: „მკვდრები აქეთ, გყავთ მკვდრები მანდ?“ „დალახვროს ღმერთმა, – დაიყვირა მძღოლმა, – თქვენ რა, უკვე აღარ საჭიროებთ შუქშენიღბვას?“

„აბა რაღა საჭიროა შუქშენიღბვა, როდესაც მთელი ქალაქი ჩირაღ-დანივით ანთია, – დაიძახა უცხო ხმამ. – მკვდრები თუ გყავთ-მეთქი, გეკითხებით“.

„არ ვიცი“.

„მკვდრები აქეთ, გესმის? დანარჩენები კი კიბით ზევით აიყვანეთ, ხატვის ოთახში, გასაგებია?“

---

[1] ავტორმა ამ მოთხრობის სათაურად გამოიყენა ნაწყვეტი ბერძნული მემორიალური წარწერიდან, რომელიც ამოკვეთილია საფლავის ქვაზე თერმოპილის ხეობაში სპარსელების წინააღმდეგ სამშობლოსათვის ბრძოლაში დაღუპული სამასი მამაცი სპარტელის პატივსაცემად: „მგზავრო, როს ჩახვალ სპარტაში, აუწყე ყველას, რომ ჩვენ აწ განვისვენებთ კანონის ნებით“.

„ჰო, ჰო“.

ვინაიდან ჯერ კიდევ ცოცხლებში ვეწერე და იმ დანარჩენებს ვეკუთვნოდი, ზევით ამიყვანეს. ჯერ გამატარეს გრძელ, სუსტად განათებულ დერეფანში, რომლის კედლები მწვანე ზეთის საღებავით იყო შეღებილი; კედლებზე მოღუნული, შავი, ძველებური ტანსაცმლის საკიდები მიეჭედებინათ; საკლასო ოთახის კარებზე მინანქრის პატარა ფირფიტები იყო მიმაგრებული: VI^ა და VI^ბ და ამ ორ კარს შორის შავ ჩარჩოში შუშის ქვეშ ფოიერბახის ნაზად მოელვარე „მედეა“ ეკიდა და სადღაც შორს იცქირებოდა. შემდეგ გამოჩნდა V^ა და V^ბ-ს კარები; მათ შორის ეკიდა სურათი „ეკლის ამომღები ბიჭუნას“ ქანდაკებიდან. ეს იყო ყავისფერ ჩარჩოში ჩასმული წითლად მოციმციმე შესანიშნავი ფოტოსურათი.

აქვე, კიბის ბაქნის შუაში, დიდი სვეტი აღმართულიყო და მის უკან იდგა პართენონის ტაძრის ბრწყინვალედ შესრულებული, ყვითლად მოელვარე, ნამდვილი, ანტიკური, გრძელი და ვიწრო თაბაშირის პართენონის ტაძრის ფრიზის ასლი; შემდეგ კი, როგორც ეს მიღებული იყო, მამალივით გაფხორილი, ჭრელტანსაცმლიანი ბერძენი მებრძოლი, ზედ კიბის თავზე, კედელთან, რომელიც აქ უკვე ყვითელი ზეთის საღებავით იყო შეღებილი, რიგის მიხედვით ჩაემწკრივებინათ სურათები, დაწყებული დიდი კურფიურსტიდან ჰიტლერამდე...

და აქ, ვიწრო პატარა დერეფანში, სადაც ბოლოს და ბოლოს რამდენიმე წამით დადგეს საკაცე, რომელზედაც მე ვიწექი, დავინახე წარმოუდგენლად ლამაზი, უჩვეულოდ დიდი, ზღაპრულ ფერებში შესრულებული სურათი, ცისფერ მუნდირში გამოწყობილი, თვალებგაბრწყინებული მკერდზე დიდი, ოქროსფრად მობრჭყვიალე ვარსკვლავიანი მოხუცი ფრიდრიხისა.

საკაცეზე კვლავ გვერდულად ვიწექი, რასიული სახეების წინ რომ ჩამატარეს. ეს იყო ჩრდილოეთელი კაპიტანი არწივისებური გამოხედვითა და სულელური ტუჩებით, დასავლეთ მოზელელი ქალი, ოდნავ გამხდარი და გაძვალტყავებული ოსტზეელი ლაზღანდარა და ხახვისცხვირა, ჩამოგრძელებული პროფილით, წინწამოწეული ხვანჩით, კინოსურათში რომ გვინახავს ისეთი, და შემდეგ ისევ დერეფანი იწყებოდა, კვლავ რამდენიმე წამით დადგეს საკაცე და ვიდრე სანიტრები მეორე სართულზე ასვლას დაიწყებდნენ, სწორედ ამ დროს თვალი მოეკარი მებრძოლის ძეგლს, დიდი მოოქრული რკინის ჯვრით და ქვის დაფნის გვირგვინით.

ყველაფერი ეს ელვისებურად მიეფარა თვალს: მძიმე არ ვიყავი და სანიტრებსაც ციმციმით მივყავდი. ის, რაც დავინახე, შესაძლებელია, ყველაფერი ზმანება ყოფილიყო; მაღალი სიცხე მქონდა, ყველაფერი მტკიოდა: თავი, ხელები და ფეხები, გულიც გამალებით მიცემდა, რა არ მოგელანდება ასეთ სიცხიანს!

მაგრამ, როდესაც რასიულ სახეებს ჩავცილდი, გამოჩნდა სამი ბიუსტი, კეისრის, ციცერონისა და მარკუს ავრელიუსისა. ისინი ერთმანეთის გვერდით ჩაემწკრივებინათ კედლის გასწვრივ. ეს იყო შესანიშნავი ასლები, ერთიანად ყვითელი, ნამდვილი ანტიკური და ღირსეული; ხოლო როდესაც კუთხეში შევუხვიეთ, გამოჩნდა ჰერმესის კოლონა, აქ კი გამახსენდა, რომ დერეფნის ბოლოში – დერეფანი აქ მუქ-მოწითალოდ იყო შეღებილი, – ხატვის ოთახის შესასვლელის თავზე ზევსის დიდი ნიღაბი ეკიდა; მაგრამ ზევსის ნიღბამდის ჯერ კიდევ შორს იყო. მარჯვნივ, ფანჯარაში ცეცხლის ალი დავინახე, მთელი ცა წითელი იყო, კვამლის შავი, სქელი ღრუბლები ზევით მიცურავდა. კვლავ მარცხნივ გავიხედე და კარზე დავინახე მომცრო ფირფიტები X^ა და X^ბ, და ამ მოყავისფრო ტყავის კარებს შორის ოქროსფერ ჩარჩოში ჩასმული ნიცშეს ულვაშები და ცხვირის წვერი, სურათის მეორე ნახევარზე ქაღალდის ფარატინი მიეკრათ, რომელზედაც ეწერა: „მსუბუქი ქირურგია“.

„ახლა რომ – გამიელვა უცებ... – ახლა რომ“... – მაგრამ ამ ფიქრში უკვე ისიც გამოჩნდა: ტოგოს სურათი: ჭრელი და დიდი, ბრტყელი, როგორც ძველი გრავიურა, მშვენიერი ოლეოგრაფია; სურათის წინა პლანზე, ახალშენთა სახლების წინ, თოფებს, უაზროდ დაყრდნობილი ზანგებისა და ჯარისკაცების წინ, სულ წინა პლანზე, გამოსახული იყო ნატურალური სიდიდის ბანანების კონა; მარცხნივ ერთი კონა იდო, მარჯვნივ მეორე, ხოლო მარჯვენა კონის შუა ბანანზე რაღაც იყო ამოკაწრული. ეს, მგონი, ჩემი დაწერილი უნდა ყოფილიყო.

მაგრამ აი, გაიღო ხატვის ოთახის კარები და თვალებდახუჭულმა ზევსის ნიღბის ქვეშ გავცურე. მეტი არაფრის დანახვა არ მსურდა. ხატვის ოთახში იდგა იოდის, განავლის, სახვევის, თუთუნის სუნი და ხმაური. ჩემი საკაცე დადგეს და სანიტრებს ვთხოვე: „სიგარეტი ჩამიდეთ პირში, მარცხენა ზედა ჯიბეში მაქვს“.

ვიგრძენი, ერთ-ერთმა მათგანმა როგორ ააფათურა ჩემს ჯიბეში ხელი, შემდეგ ასანთს გაჰკრეს და ანთებული პაპიროსი უკვე პირში მედო. პაპიროსი მოვქაჩე, სანიტრებს მადლობა გადავუხადე.

„ყველაფერი ეს, – ვფიქრობდი მე, – საბუთად არ გამომადგება. ბოლოს და ბოლოს, ყველა გიმნაზიაში არის ხატვის ოთახი, დერეფნები, სადაც მწვანე და ყვითლად შეღებილ კედლებზე ტანსაცმლის მოღუნული საკიდებია მიჭედებული. ბოლოს და ბოლოს, არც ესაა საბუთი, რადგან „მედეა“ VI^ა^ და VI^ბ^ კლასებს შორის ჰკიდია და ნიცშეს ულვაშები X^ა^ და X^ბ^ კლასებს შორის, რომ ვიფიქრო, თითქოს ჩემს ყოფილ სკოლაში ვარ. უდავოა, არსებობს საერთო წესი, რომელიც ითვალისწინებს, რომ იგი სწორედ იქ უნდა ეკიდოს. შინაგანაწესი პრუსიის კლასიკური გიმნაზიისათვის ასეთია. „მედეა“ VI^ა^ და VI^ბ^ შორის, იქვე უნდა იყოს „ეკლის ამომღები ბიჭის“ სურათი, კეისარი, მარკუს ავრელიუსი და ციცერონი დერეფანში, ხოლო ნიცშე ზევით, სადაც მოსწავლეები უკვე ფილოსოფიას სწავლობენ. პართენონის ტაძრის ფრიზი და ტოგო, „ეკლის ამომღები ბიჭის“ სურათი და პართეონის ტაძრის ფრიზი, ბოლოს და ბოლოს, კარგი, ძველი შთამომავლობის მიერ დაცული სასკოლო რეკვიზიტი იყო, და, რასაკვირველია, არც მე ვიქნებოდი ერთადერთი, რომელსაც აზრად მოუვიდოდა ბანანზე დამეწერა: გაუმარჯოს ტოგოს! ოინები, რასაც ბავშვები სკოლაში სჩადიან, ყოველთვის ერთი და იგივეა. გარდა ამისა, ისიც – შესაძლებელია, რომ მე სიცხე მქონდეს და ყველაფერი მეჩვენებოდეს„.

ტკივილებს ახლა უკვე აღარ ვგრძნობდი. მანქანაში უფრო ცუდად ვიყავი, როგორც კი მანქანა პატარა ნაჯაოში ჩავარდებოდა, მაშინვე ყვირილს მოვრთავდი. დიდი ნარვალები ბევრად უკეთესი იყო: მანქანა ისე ადის და ჩადის, როგორც გემი ზღვის ტალღებზე. შეიძლება ნემსმაც იმოქმედა, სადღაც, სიბნელეში მკლავზე რომ გამიკეთეს: ვიგრძენი, როგორ გახვრიტა ნემსმა კანი და როგორ შემიხურდა ფეხი.

„დაუჯერებელი ამბავია, – ვფიქრობდი მე, – მანქანას ამდენი კილომეტრი გაევლო: თითქმის ოცდაათი და გარდა ამისა: არაფერი მეგრძნო: არაფერს გრძნობ, მხოლოდ თვალები ხვდებიან რაღაცას. არც ერთი გრძნობა არ გეუბნება, რომ შენ საკუთარ სკოლაში ხარ, სკოლაში, რომელიც რაღაც სამი თვის წინ დაეტოვე. რვა წელი ხუმრობა საქმე როდია, ნუთუ რვა წლის შემდეგაც ყოველივეს ასე თვალნათლივ იცნობდი?“

თვალდახუჭულს ერთხელ კიდევ კინოლენტივით თვალწინ ჩამიქროლა: მწვანეთ შეღებილმა ქვედა დერეფანმა, ერთი სართულით ზევით ყვითლად შეღებილმა დერეფანმა, მეომრის ქანდაკება, შემდეგ, ისევ დერეფანი, სართულით ზევით კეისარი, ციცერონი, მარკუს ავრელიუსი... ჰერმესი, ნიცშეს ულვაშები, ტოგო, ზევსის ნიღაბი...

სიგარეტი გავაფურთხე და ყვირილი მოვრთე; ყვირილი ყოველთვის კარგია, საჭიროა მხოლოდ ხმამაღლა იყვირო, ყვირილი შვების მომგვრელია. ვყვიროდი შეშლილივით. ვიღაც ჩემს თავზე დაიხარა, მაგრამ თვალები მაინც არ გავახილე; უცხოს თბილი სუნთქვა ვიგრძენი, თუთუნისა და ხახვის სუნი მეცა, შემდეგ ვიღაცა წყნარად შემეკითხა: „რა მოგივიდა?"

„რამე დამალევინეთ, – ვუთხარი მე, – ერთი სიგარეტიც, ზევითა ჯიბეში".

კვლავ აფათურდა ვიღაცის ხელი ჩემს ჯიბეში, კვლავ გაჰკრეს ასანთს და ანთებული სიგარეტი პირში ჩამჩარეს.

„სად ვიმყოფებით?" – ვიკითხე მე.

„ბენდორფში".

„გმადლობთ", – წარმოვთქვი და სიგარეტი მოვქაჩე.

ჩანდა, მართლაც ბენდორფში ვიყავი, ე. ი. სახლში, და ასეთი განსაკუთრებული მაღალი სიცხე რომ არ მქონოდა, ნამდვილად ვიფიქრებდი, რომელიღაც კლასიკურ გიმნაზიაში ვართ-მეთქი. „სხვები ხატვის ოთახშიო!" იმ სხვებში მეც ვითვლებოდი, მე ცოცხალი ვიყავი, სხვებიო, სწორედ ცოცხლებზე თქვეს. მაშასადამე, ეს ხატვის ოთახია და თუკი სწორად გავიგონე, მაშინ რატომ არ უნდა დამენახა სწორად. ამას ისიც ადასტურებდა, რომ კეისარი, ციცერონი და მარკუს ავრელიუსი ვიცანი, და ეს მხოლოდ კლასიკურ გიმნაზიაში შეიძლება ყოფილიყო. მეეჭვებოდა, რომ სხვა სკოლის დერეფნის კედლებსაც ამშვენებდნენ ეს პიროვნებები.

როგორც იყო, წყალი მომიტანეს: კვლავ თუთუნისა და ხახვის სუნი მეცა. ჩემდა უნებურად თვალი გავახილე: თავზე მადგა დაღლილი, მოხუცებული, გაუპარსავი, მეხანძრის ფორმაში გამოწყობილი კაცი. მოხუცმა წყნარად მომმართა: „დალიე, ძმობილო".

მოვსვი: წყალი იყო. ასეთ დროს ხომ შესანიშნავია წყალი, ტუჩებზე ლითონის კარდალის გემოს ვგრძნობდი, გემო მართლაც კარგა შესამჩნევი იყო. წყალი კიდევ მინდოდა დამელია, მაგრამ მეხანძრემ კარდალი ტუჩიდან მომაცილა და წავიდა: დავუყვირე, მაგრამ უკანაც არ მოიხედა, მხრები

უნიათოდ აიჩენა და გზა განაგრძო; ჩემს გვერდით მწოლიარე ერთმა კაცმა წყნარად მითხრა: „ყვირილს რა აზრი აქვს, სულერთია, მათ წყალი არ აქვთ, ხომ ხედავ, ქალაქი ცეცხლშია გახვეული“.

მიუხედავად იმისა, რომ ფარდები იყო ჩამოფარებული, ყველაფერს ვხედავდი, შავი ფარდების იქით ისე ვარვარებდა და ბობოქრობდა ცეცხლის შავი და წითელი სტიქიონი, თითქოს ღუმელში ახალი ქვანახშირი ჩაჰ-ყარესო, ვხედავდი: დიახ, ქალაქი იწვოდა.

„რა ჰქვია ქალაქს?“ – ვკითხე ჩემს გვერდით მწოლიარეს.

„ბენდორფი“, – მიპასუხა მან.

„გმადლობთ“.

ჩემს წინ გამწკრივებულ ფანჯრებს გავცქეროდი და ხანდახან ჭერს შევავლებდი თვალს, ჭერი ჯერ კიდევ საუცხოო იყო: თეთრი და კრიალა, ვიწრო კლასიცისტური ლავგარდანი გასდევდა მას, მაგრამ ასეთი კლასი-ცისტური ლავგარდანები ხომ ყველა სკოლის, განსაკუთრებით კარგი, ძველი კლასიკური გიმნაზიის ხატვის ოთახის ჭერს აქვს შემოვლებული. ეს ხომ ჭეშმარიტებაა.

ახლა შემეძლო დავრწმუნებულიყავი, რომ ბენდორფის ერთ-ერთი კლასიკური გიმნაზიის ხატვის ოთახში ვიწექი. ბენდორფში სამი კლასიკური გიმნაზია იყო: „ფრიდრიხ დიდის“ სკოლა, „ალბერტუსის სკოლა“ და უკეთესი იქნება თუ მესამის სახელს არ ვახსენებთ – უკანასკნელი, მესამე – ადოლფ ჰიტლერის სახელობისა იყო. განა „ფრიდრიხ დიდის“ სკოლაში კიბის თავში არ ეკიდა მოხუცი ფრიცის ზღაპრულად ელვარე, წარმოუდგენლად ლამაზი და უჩვეულოდ დიდი სურათი? ამ სკოლაში რვა წელიწადი დავყავი. მაგრამ რატომ არ შეიძლება სხვა სკოლებშიც სწორედ ისეთივე სურათი იმავე ადგილას (როგორც კი პირველი სართულის კიბეებს აათავებდით) – ყოფილიყო ჩამოკიდებული, ისე ნათლად და თვალსაჩინოდ, რომ ყველას მზერა მიეპყრო?

გარედან ისმოდა მძიმე არტილერიის სროლის ხმა, ჩვეულებრივ კი, თითქმის სიწყნარე იყო; მხოლოდ ხანგამოშვებით ამოიჭრებოდნენ ცეცხლის ენები და სადღაც სიბნელეში კედელი ჩამოიქცეოდა. არტილერია წყნარად და თანაბრად ისროდა და მე ვფიქრობდი: კარგი არტილერიაა. ვიცი, ასეთი ფიქრი საძაგლობაა, მაგრამ მაინც ვფიქრობდი. ღმერთო ჩემო, რარიგ დამამშვიდებელია არტილერია, როგორი სასიამოვნო; ყრუ და

ხრინწიანი, ნაზი, თითქმის სათუთი, ორღანის ხმასავით. ამაში რაღაც კეთილშობილურიც იყო. მე მგონია, არტილერიას აქვს რაღაც კეთილ-შობილური, მაშინაც კი, როდესაც იგი ისვრის, ეს ისე რიგიანად ისმის, როგორც სურათებიან წიგნში ნანახი ომი... შემდეგ იმაზე დავიწყე ფიქრი, თუ რამდენი სახელი იქნება წარწერილი მეომრის ძეგლზე, თუკი ხელახლა დადგამენ, კიდევ უფრო დიდი მოოქრული რკინის ჯვრითა და კიდევ უფრო დიდი ქვის დაფნის გვირგვინით, და უცებ გავიფიქრე: თუკი ნამ-დვილად ჩემს სკოლაში ვიმყოფები, ჩემი სახელიც იქნება მასზე წარწერილი, ქვაზე ამოკვეთილი, და სასკოლო კალენდარში ჩემი სახელის ქვევით მიწერილი — „სკოლიდან ბრძოლის ველზე წავიდა და დაეცა ...სთვის“.

მაგრამ ჯერ კიდევ არ ვიცოდი, რისთვის, და არც ის ვიცოდი, ნამდვილად ვიმყოფებოდი თუ არა ჩემს ძველ სკოლაში. მსურდა აუცილებლად ახლავე გამომერკვია ეს. მეომრის ძეგლიც განსაკუთრებულს არაფერს ნიშნავდა, ეს იყო მეომრის ისეთი სტანდარტული ძეგლები, როგორიც ყველგან დგას, დიახ, ის მიიღეს რომელიღაც ცენტრალური სამმართველოდან...

ხატვის ოთახი მოვათვალიერე, მაგრამ სურათები ჩამოეხსნათ და კუთხეში მიყრილი ორიოდე მერხით ან კიდევ ვიწრო და მაღალი, ერთმანეთის მიჯრით ჩამწკრივებული ფანჯრებით აბა რას მიხვდები, ასეთ ფანჯრებს ჩვეულებრივ ხატვის ოთახებისათვის აკეთებენ, რათა მეტი სინათლე შემოვიდეს დარბაზში. გული არაფერს მეუბნებოდა, განა გული არაფერს მეტყოდა, იმ ოთახში რომ ვყოფილიყავი, სადაც რვა წლის განმავლობაში ლარნაკებს ვიხატავდი, ეს იყო მოხდენილი, ნაზი, მშვენიერი, რომაული ლარნაკები, რომლებსაც ხატვის მასწავლებელი ქვესადგამზე დაგვიდგამდა ხოლმე. აქვე ვვარჯიშობდი აგრეთვე ყველა სახის შრიფტების: რონდოსი, ლათინური, რომაული, იტალიურის გამოყვანაზე. არაფერი ისე არ მეჯავ-რებოდა, როგორც ეს გაკვეთილები. საათობით ვიჯექი მოწყენილი და არასოდეს არ მომიხერხებია ლარნაკის დახატვა, ანდა შრიფტის გამოყვანა. მაგრამ ახლა სად გაქრა ჩემი მაშინდელი წყველა-კრულვა, სად გაქრა ჩემი სიძულვილი ამ ყრუ და მოსაწყენი კედლებისადმი? ვერაფერს ვგრძნობდი, მხოლოდ უსიტყვოდ ვაქნევდი თავს.

კვლავ და კვლავ ვაკეთებდი გრავიურას, ფანქარს წვეტს ვუთლიდი, ისევ გრავიურას ვაკეთებდი... არაფერი გამოდიოდა...

აღარ მახსოვს, როგორ დამჭრეს, ვიცოდი, რომ ხელებისა და მარჯვენა ფეხის განძრევა არ შემეძლო, მხოლოდ მარცხენა ფეხს ვამოძრავებდი ოდნავ. ვფიქრობდი, ალბათ ხელები ისე მაგრად მიაკრეს სხეულს, რომ ვერ ვამოძრავებ-მეთქი.

მეორე სიგარეტიც ფურთხს გავაყოლე ნამჯის ტომრებს შორის და ხელის განძრევა ვცადე, მაგრამ ისე მეტკინა, ყვირილი მოერთე; ვყვიროდი და ვგრძნობდი,რა კარგი იყო ყვირილი,თან სიბრაზემაც შემიპყრო, ხელის განძრევა რომ არ შემეძლო.

შემდეგ ჩემს წინ ექიმი დავინახე; მას სათვალე მოეხსნა და თვალებს ახამხამებდა; არაფერს ამბობდა, მის უკან მეხანძრე იდგა, რომელმაც წყალი მომაწოდა. მან ექიმს ყურში რაღაც ჩასჩურჩულა და ექიმმა სათვალე გაიკეთა: სათვალის სქელი შუშიდან გარკვევით დავინახე დიდი თვალები და ოდნავ მოცახცახე გუგები. ექიმი დიდხანს დამაცქერდა, ისე დიდხანს, რომ თვალი მოვარიდე. მან წყნარად თქვა: „წუთიც მოითმინეთ და თქვენი რიგიც მოვა...“

შემდეგ ამათ ჩემს გვერდით საკაცეზე მწოლიარე ასწიეს და საკლასო დაფის უკან წაიღეს; თვალი გავაყოლე. დაფა გვერდზე გაეწიათ და განდაგან დაედგათ, ხოლო კედელსა და დაფას შორის ცარიელ ადგილას ზეწარი ჩამოეფარებინათ; ზეწრის იქით თვალისმომჭრელი სინათლე ენთო.

არაფერი ისმოდა, ვიდრე ზეწარი კვლავ არ გადასწიეს და ჩემს გვერდით მწოლიარე უკან არ გამოიყვანეს; სანიტრები დაღლილი, გულგრილი გამომეტყველებით მიათრევდნენ კარისაკენ საკაცეს.

თვალები კვლავ დავხუჭე და გავიფიქრე: „შენ ხომ უნდა გაიგო, რა ჭრილობა გაქვს და ხარ თუ არა შენს ძველ სკოლაში?“

არაფერი არ მაღელვებდა და ისეთი გულგრილი ვიყავი ყველაფ-რისადმი, თითქოს მკვდარი ქალაქის მუზეუმში გამატარეს. იმ სამყაროსი, რომელიც ჩემთვის იმდენად უცხო იყო, რამდენადაც მხოლოდ ჩემი თვალებისთვის. შეუძლებელია ყველაფერი ეს სინამდვილე ყოფილიყო, ის რომ, სამი თვის წინ ჯერ კიდევ აქ ვიჯექი, ლარნაკებს ვხატავდი და შრიფტი გამომყავდა, რომ შესვენების დროს ქვევით ჩავდიოდი მარმელადის ბუტერბროდით, ჩავუელიდი ნიცშეს, ჰერმესს, ტოგოს, კეისარს, ციცერონს, მარკუს ავრელიუსს, წყნარად დავეშვებოდი ქვევითა დერეფანში, სადაც „მედეა“ ეკიდა, შემდეგ დარაჯ ბირგელერთან შევიელიდი, რათა რძე დამელია,

იმ ნახევრად ჩაბნელებულ პატარა ოთახში, აქვე შეიძლებოდა გაგებედათ და ერთი სიგარეტიც მოგეწიათ, რადგანაც სიგარეტის მოწევა აკრძალული იყო. შესაძლებელია მათ ჩემს გვერდში მწოლიარე ქვევით ჩაიტანეს, სადაც მკვდრები აწყვია. მკვდრები ნამდვილად ბირგელერის ჩაბნელებულ პატარა ოთახში ეწყო, სადაც თბილი რძის, მტერისა და ბირგელერის ცუდი თუთუნის სუნი იდგა...

ბოლოს სანიტრები დარბაზში დაბრუნდნენ. ახლა ჩემი საკაცე ასწიეს და დაფის უკან გამიტანეს. წარმოდგენით კვლავ გაეცურდი კარს უკან და მაშინ მივხედი, რომ ჩემი ეარაუდი გამართლდა: კარს ზევით ერთხელ ჯვარი დაჰკიდეს; მაშინ სკოლა ჯერ კიდევ წმინდა თომას სკოლად იწოდებოდა, შემდეგ ჯვარი მოხსნეს, მაგრამ იმ ადგილას კედელზე დარჩა ჯვრის ფორმის მუქმომწვანო ლაქა,მკაფიო და ნათელი,რომელიც თითქმის უფრო ნათლად მოჩანდა, ვიდრე მათ მიერ მოხსნილი ძველი, გაცვეთილი, პატარა ჯვარი, კირით შელესილ გადახუნებულ კედელზე სუფთად და ლამაზად დარჩა ჯვრის გამოსახულება. მაშინ ბრაზმორეულებმა მთელი კედელი ხელახლა შეღებეს, მაგრამ მაინც ვერაფერს გახდნენ: მღებავმა ფერი ვერ მიუყენა: ჯვრის გამოსახულება მოყავისფრო და ნათელი დარჩა, ხოლო კედელი მთლიანად ვარდისფერი იყო. ისინი დაბადების დღეს იწყეველიდნენ, მაგრამ ვერაფერს გახდნენ: ჯვრის გამოსახულება იმავე ადგილას რჩებოდა ყავისფრად და ნათლად ვარდისფერ კედელზე. ვფიქრობ, საღებავებისთვის დიდძალი თანხა დახარჯეს და ჯვრის გამოსახულებასთან მაინც ვერაფერი გააწყეს. ჯვარი ისევ იმავე ადგილას იყო და ვინც ყურადღებით დააკვირდებოდა, მაშინვე შეეძლო ნათლად დაენახა მარჯვენა დირეზე ალმაცერი კვალი, სადაც წლების განმავლობაში წიფლის ტოტი ეკიდა; ეს წიფლის ტოტი დარაჯმა ბირგელერმა ჯვრის ქვევით მიამაგრა, მაშინ, როდესაც ნებადართული იყო სკოლაში ჯვრების ჩამოკიდება...

ყველაფერი ეს ერთ წამში გამახსენდა, როდესაც კარებთან ჩამატარეს და დაფის უკან გამიტანეს, სადაც თვალისმომჭრელი სინათლე ენთო.

მე საოპერაციო მაგიდაზე ვიწექი და ზევით ელექტრონის კრიალა შუშაში ნათლად ვხედავდი ჩემს თავს... ძლიერ პატარა ეჩანდი — მოკლე, პაწაწკინტელა, თეთრი მარლის სახვევის კონვერტისოდენა. როგორც ჩვეულებრივი სათუთი ჩანასახი: ეს მე ვიყავი იქ, ზევით გამოსახული.

ექიმი შებრუნდა და მაგიდასთან გაჩერდა, სადაც იგი ხელსაწყოებს ეძებდა: განიერბეჭებიანი მოხუცი მეხანძრე დაფის წინ იდგა და მიღიმოდა. იღიმებოდა დაღლილად და ნაღვლიანად; წვერმოშვებული, ჭუჭყიანი სახე მძინარე ადამიანის სახეს მიუგავდა; მეხანძრის მხარს ზევით დაფაზე რაღაცა წარწერას მოეკარი თვალი. მას შემდეგ, რაც ამ მკვდარ სახლში შემომიყვანეს, პირველად მხოლოდ ახლა მიყო გულმა რეჩხი. სადღაც, გულის რომელიღაცა კუნჭულში შიშმა გამკრა და შემაკრთო, გულიც მაგრად მიცემდა: დაფაზე ჩემი ხელწერა ვიცანი, ზევით, სულ ზევითა ხაზზე. მე ვცნობ ჩემს ხელწერას. ეს უფრო უარესია, ვიდრე საკუთარი თავის სარკეში დანახვა. არავითარი საფუძველი არ მქონდა, ჩემი ხელწერის ჭეშმარიტებაში დავეჭვებულიყავი. სხვა დანარჩენი საბუთად არ გამომადგებოდა, არც მედეა და ნიცშე, არც მთიელის პროფილი კინოსურათიდან, არც ტოგოს ბანანი, არც კარის თავზე დარჩენილი ჯვრის კვალი: ყველაფერი ეს ყველა სკოლაში ერთნაირი იყო, მაგრამ შეუძლებელია მეფიქრა, რომ სხვა სკოლებშიც ჩემი ხელწერით წერდნენ დაფაზე. წაუშლელი დარჩენილიყო გამოთქმა, რომელიც მაშინ სულ რაღაც სამიოდე თვის წინ იმ დაწყევლილი ცხოვრების დროს უნდა ყოფილიყო დაწერილი. „მგზავრო, როს ჩახვალ სპა...“

ჰო, გამახსენდა, დაფა ვიწრო აღმოჩნდა და ხატვის მასწავლებელი გამიჯავრდა, დაფა რომ სწორად ვერ დავეყავი და შრიფტიც დიდი ავირჩიე, მაშინ მასწავლებელი თვითონ მოვიდა თავის კანტურით და იმავე დიდი ასოებით ჩემს ნაწერს ქვევით მიაწერა: „მგზავრო, როს ჩახვალ სპა...“

ჩემი ხელწერით შვიდჯერ იყო გამეორებული; ლათინურად,კურსივით, რომაულად, ძველ-იტალიურად და მრგვლოვანი; შვიდჯერ ნათლად და გარკვევით ეწერა: „მგზავრო, როს ჩახვალ სპა...“

მეხანძრე ახლა ექიმის წყნარ დაძახებაზე გვერდით გაიწია, მე მთელი სტრიქონი დავინახე; სტრიქონი ოდნავ დამახინჯებული იყო, რადგან დიდი შრიფტი ავირჩიე, დიდი ასოებით დავწერე.

უცებ შევხტი, რადგან მარცხენა ბარძაყში ნემსის ჩხვლეტა ვიგრძენი, მსურდა ნიდაყვზე წამოვწეულიყავი, მაგრამ ვერ შევძელი: ზევიდან ქვევით ჩავათვალიერე საკუთარი თავი და რა დავინახე: სახვევი შემოეხსნათ, ხელები არ მქონდა და არც მარჯვენა ფეხი, თავი ვერ შევიმაგრე და უცებ, სრულიად მოულოდნელად ზურგზე დავეცი. ყვირილი აღმომხდა; ექიმმა

და მეხანძრემ შეძრწუნებულებმა შემომხედეს. შემდეგ ექიმმა მხრები აიჩეჩა და შპრიცის დგუშს დააწვა, რომელიც ნელა და წყნარად მიიწევდა ქვევით; კვლავ დაფისთვის მსურდა შემეხედა, მაგრამ მეხანძრე ძალიან ახლოს იდგა ჩემთან და მეფარებოდა, იგი მხრებში მაგრად ჩამფრენოდა. მცემდა მისი გათხუპნული, ჭუჭყიანი მუნდირის სუნი, ვხედავდი მის დაღლილ, ნაღვლიან სახეს, და ახლაღა ვიცანი იგი: ეს ბირგელერი იყო.

„რძე", — წამოვიძახე წყნარად...

თარგმნა ნოდარ რუხაძემ

ეჟენ იონესკო

26.11.1909 – 28.0 .1994

რუმინელი წარმოშობის ცნობილი ფრანგი დრამატურგი, ესეისტი, ფილოსოფოსი, ავანგარდისტული „აბსურდული თეატრის“ ერთ-ერთი ფუძემდებელი, საფრანგეთის აკადემიის წევრი (1970). დაიბადა სლატინში (რუმინეთი), ბავშვობა გაატარა საფრანგეთში, ყრმობა და სიჭაბუკე – რუმინეთში, სადაც 1929 წლიდან ფრანგულს ასწავლიდა და პირველი ნაბიჯები გადადგა ლიტერატურულ სარბიელზე. 1938 წლიდან იონესკო საბოლოოდ გადადის საფრანგეთში; სორბონაში იცავს ფილოსოფიის დოქტორის ხარისხს თემაზე – „შიშისა და სიკვდილის მოტივების შესახებ ბოდლერის შემდგომ ფრანგულ პოეზიაში“; 1950 წლის 11 მაისს გაიმართა პრემიერა მისი პირველი პიესისა – „მელოტი მომღერალი ქალი“, სადაც წარმოდგენილია რეალობადაკარგული შეშლილი სამყარო,და რომლითაც იხსნება ე. წ. „ანტიპიესების“ ციკლი, როგორც მას თვითონ ავტორი უწოდებს: „გაკვეთილი“ (1951), „სკამები“ (1952), „მოვალეობის მსხვერპლნი“ (1953), „ახალი მდგმური“ (1957), „უანგარო მკვლელი“ და „მარტორქები“ (1959), „მეფე კვდება“ (1962), „ჰაეროვანი ქვეითი“ (1963), „წყურვილი და შიმშილი“ (1965) და მრავალი სხვ. ექსცენტრულ-გროტესკულ ჟანრის პიესებში იონესკო არღვევს ტრადიციული დრამატურგიისათვის დამახასიათებელ ლოგიკურ სტრუქტურას, ქმნის მეტყველების თავისებურ სტილს, რომელიც აზროვნების ალოგიზმსეა დაფუძნებული. თანამედროვეთათვის, როგორც ამას კრიტიკა აღნიშნავდა, იონესკო იყო „გესლიანი მოთვალთვალე, ადამიანთა უგუნურობების ულმობელი კოლექციონერი და სამაგალითო სულელთმცოდნე“.

მოთხრობა „ირიფლამა“ ეჟენ იონესკოს ამ ჟანრის პირველი ნაწარმოებია, რომელიც 1954 წელს ერთ-ერთ ფრანგულ ჟურნალში დაიბეჭდა და შევიდა 1962 წელს გამოქვეყნებულ მოთხრობათა ერთადერთ კრებულში „პოლკოვნიკის ფოტოგრაფია“.

ორიფლამა[1]

– რატომ, – მკითხა მადლენმა, – რატომ დროზე არ განაცხადე მისი სიკვდილის შესახებ? ან გვამი მაინც მოგეცილებინა თავიდან, სანამ ამის გაკეთება უფრო იოლი იყო?

აჰ, რა მცონარა, აპათიური და ფუქსავატი ვარ. თან, ისე დავიღალე, არაფრის თავი არა მაქვს. არასდროს არ მახსოვს, სად შევჩურთავ ხოლმე ხემს ნივთებს. სულ რაღაცის ძებნაში ვარ და ამაზე უამრავ დროს ვხარჯავ, ვწრიალებ, ნერვებს ვითხრი, ყუთებში ვიქექები, საწოლქვეშ ვძვრები, საკუჭნაოებში დავფორთხიალობ და კარი მუდამ გარედან მეკეტება. უამრავ საქმეს ვიწყებ და ვერცერთს ვერ ვამთავრებ, პროექტებს შუა გზაზე ვატოვებ, ყველა გეგმას შეუსრულებლად მივაგდებ... არც ნამდვილი მიზანი მაქვს და არც ნებისყოფა!.. რომ არა ჩემი ცოლის მზითევი და მწირი შემოსავლები!..

– უკვე ათი წელი გავიდა!.. უკვე სახლი ყარს. მეზობლები ღელავენ, აინტერესებთ, საიდან მოდის ეს სუნი. ადრე თუ გვიან, ყველაფერს შეიტყობენ... და ეს შენი დოყლაპიობის გამო. ახლა ყველაფრის პოლი-

[1] ორიფლამა – თავდაპირველად სენ-დენის სააბატოს წითელ აბრეშუმის დროშას წარმოადგენდა, რომელიც ომში გამგზავრების წინ საფრანგეთის მეფეებს გადაეცემოდა. ერთ ხანს იყო სახელმწიფო დროშაც. ერთი ლეგენდის მიხედვით, სენ-დენის სააბატოში ორიფლამა ანგელოზს ჩამოუტანია ციდან

ციისთვის ჩაკაკვლა მოგვიწევს. ერთი ამბავი ატყდება! იმას მაინც დავამტკიცებთ, რომ მართლაც ათი წლის წინათ მოკვდა: ათი წელი, ეს ხანდაზმულობის ვადას ნიშნავს!.. მისი სიკვდილის შესახებ დროზე რომ განგეცხადებინა, დღეს უკვე აღარაფერი არ დაგვემუქრებოდა!.. რამე არც სანერვიულო გვექნებოდა!.. მეზობლებსაც არ დავემალებოდით, სხვებივით სტუმრებსაც მივიღებდით!..

„ჰო, მაგრამ, მადლენ, მისმინე, მაშინ ხანდაზმულობის ვადა გასული არ იყო. ათი წლის წინათ დაგვიჭერდნენ, ციხეში ჩაგვსვამდნენ ან გილიოტინაზე გაგვგზავნიდნენ. ეს ხომ დღესავით ნათელია!“ – მინდოდა ასე მეპასუხა, მაგრამ სცადეთ და,აუხსენით ქალს,რა არის ლოგიკა. სიტყვას ამიტომაც არ ვაწყვეტინებდი და ვცდილობდი, მისთვის ყური ამერიდებინა.

– სულ მისი ბრალია, რაც გვჭირს! არაფერი რომ არ გამოგვდის! – წიოკობდა მადლენი.

– ეს შენი ვარაუდებია.

– თანაც, ბინაში საუკეთესო ოთახი უჭირავს, – ჩვენი საძინებელი, სადაც თაფლობის თვე გავატარეთ.

ალბათ, უკვე მეათიათასჯერ ისეთი სახე მივიღე, თითქოს ტუალეტში მივდიოდი. დერეფანში მარცხნივ შევუხვიე, რომ ოთახში მიცვალებულისთვის შემეხედა.

კარი გავაღე. სულ ტყუილად ვოცნებობდი: იგი თავისით არასდროს არ გაქრება. კიდევ უფრო გაზრდილიყო. მალე მეორე დივანიც დასჭირდება. წვერი მუხლებამდე სცემს. ფრჩხილების საქმეს არა უშავს – მადლენი აჭრის.

ფეხის ხმა მოისმა. ამდენი ხანია, გვამთან მარტო დარჩენა ვერა და ვერ მოვახერხე. რა ხრიკებს არ მივმართე, მაგრამ მადლენი ყოველთვის მოულოდნელად თავზე წამომადგებოდა ხოლმე. ეჭვიანობდა, მითვალთვალებდა, განძრევის საშუალებას არ მაძლევდა, მეძახდა, კუდში დამდევდა, მუდამ ჩემს გვერდით იყო.

მე უძილობა მტანჯავს, მადლენს – არა. ჩვენს თავს დატეხილი ვაინაჩრობის მიუხედავად, მშვენივრად ძინავს.

ხანდახან, შუაღამისას, სიბნელისა და მადლენის ძილის იმედად, საწოლიდან ისე ფრთხილად ჩამოვძვრები, ერთი ზამბარაც არ დაიჭრიალებს, სუნთქვაშეკრული კარამდე მივაღწევ, მაგრამ სახელურს შევეხები თუ არა, საწოლთან ტუმბოზე ნათურა ინთება. მადლენი უკვე წამომჯდარა, საწოლიდან ფეხები ჩამოუშვია და დამჩხავის: „საით გაგიწევია? იმასთან, არა? დამიცადე!“

სხვა დროს, როცა სამზარეულოში ფუსფუსებს, მიცვალებულის ოთახში გავქცეულვარ, დიდი იმედით, რომ მასთან უმოწმეებოდ რამდენიმე წამს მაინც დავრჩებოდი. ის კი უკვე იქ მხვდება – დივანზე წამოსკუპულა, ცხედრისთვის ხელი მოუხვევია და ჩემს გამოჩენას ელოდება.

ამიტომ არც ახლა გამკვირვებია, როცა დავინახე, რომ მადლენი ფეხ-დაფეხ მომდევდა და ჩვეულებისამებრ, მზად იყო საყვედურებში ჩავეხრჩვე. როცა ეუთხარი, ნახე, ოთახის ბინდ-ბუნდში მიცვალებულის თვალები როგორ ბრწყინავენ-მეთქი, იგი ამ მართლაც ჯადოსნურად უცნაური სანახაობისადმი სავსებით უგრძნობი დარჩა და წამოიკივლა:

– ათი წელიწადია, მისთვის თვალების დასახუჭადაც ვერ მოიცალე!

– მართალია, – დავუდასტურე საბრალო სახით.

– როგორ ხარ ასეთი ქარაფშუტა, – გააბა მადლენმა, – იმას ხომ ვერ იტყვი, დრო არ მქონდაო – მთელი დღეები უსაქმურობ.

– ყველაფერზე ხომ ვერ ვიფიქრებ!

– შენ არაფერზე არ ფიქრობ!

– კარგი. გასაგებია. ეს ჩემთვის ასი ათასჯერ მაინც გითქვამს!

– თუ გასაგებია, რატომ არ გამოსწორდები?

– სხვათა შორის, მისთვის თვალების დახუჭვა შენც შეგეძლო!

– მეტი საქმე არა მაქვს, გდიო და ის საქმეები წამოვიწყო, რის გაგრძელებასაც შენ არ აპირებ, ის დავამთავრო, რასაც შენ თავი ვერ მოაბი, ყველგან წესრიგი დავამყარო. ჩემს კისერზეა მთელი სახლი, სამზარეულო; ერეცხავ, სადილს ვამზადებ, პარკეტს ვაპრიალებ, შენც და იმასაც თეთრეულს გიცვლით, მტვერს ვწმენდ, ჭურჭელს ვრეცხავ, ლექსებს ვწერ, რომ მერე გავყიდო და იმ ფულით ჩვენი საცოდავი ბიუჯეტი შევავსო; მეზობლების გასაგონად გაღებულ ფანჯარაში ვმღერი, ვინმემ არ იფიქროს, რომ ჩვენთან რაღაც ისე ვერ არის, – მშვენივრად მოგეხსენება, რომ მოსამსახურე არ გვყავს. ხოლო რასაც შენ შოულობ... მე რომ არ ვიყო...

– კარგი, კარგი, – მიეუგე გულდამძიმებულმა და ოთახიდან გასვლა დავაპირე.

– სად მიდიხარ? მისთვის თვალების დახუჭვა ისევ დაგავიწყდა!

უკან დავბრუნდი და ცხედარს მივუახლოვდი. რა ბებერია, სულ მთლად მიხრწნილი! მკვდრები ცოცხლებზე სწრაფად ბერდებიან. სადღაა ის ლამაზი ახალგაზრდა ბიჭი, ათი წლის წინათ ერთ საღამოს რომ გვესტუმრა, ჩემი ცოლი ელვის სისწრაფით შეიყვარა, მერე ჩემი ხუთწუთიანი არყოფნით ისარგებლა და ლოგინში შეუწვა კიდეც?!

– ხომ ხედავ, თქვა მადლენმა, – მკვლელობიდან მეორე დღესვე პოლიციაში რომ მისულიყავი და გეთქვა, ეჭვიანობის გამო სულიერი აღელვების დროს მოვკალიო, – და ეს, სხვათა შორის, წმინდა წყლის სიმართლეა, – გამოძიება არც დაიწყებოდა, რადგან ეს იქნებოდა ვნებათა ღელვის ნიადაგზე ჩადენილი დანაშაული. ერთ პატარა განცხადებას დაგაწერინებდნენ, სადღაც ოქმში ჩააკერებდნენ და შინ გაგიშვებდნენ. საქმე ახლა დიდი ხნის დახურული და დავიწყებული იქნებოდა. შენი ჯამიტლეკიობის გამო კი ამ დღეში ჩავვარდით. რამდენჯერაც გითხარი, წადი, განაცხადე-მეთქი, იმდენჯერ, „ხვალე, ხვალე, ხვალეო“, იძახე. ათი წელიწადია, ხვალისთვის დებ – და, აჰა!.. ყველაფერი შენი ბრალია, შენი ბრალი!..

– ხვალ წავალ! – ვუთხარი იმ იმედით, რომ დამეხსნებოდა.

– ოოო, გიცნობ მე შენ, არსადაც არ წახვალ. თანაც, ახლა რატომ უნდა წახვიდე? ძალიან გვიანაა. ათი წლის შემდეგ არავინ არ დაგიჯერებს, რომ ძლიერი სულიერი აღელვების დროს შემოგაკვდა! როცა ათი წელი იცდიან, მერე ეს მართლაც წინასწარ განზრახულ მკვლელობას ემსგავსება. არ ვიცი, იმათ რა ვუთხრა, თუ ამ ისტორიის დამთავრებას გადავწყვეტთ!.. ის დაბერდა; იქნებ სჯობს ვთქვათ, რომ ეს მამაშენია და გუშინ მოკალი. თუმცა, ალბათ, დიდი ბედენა არც ეს იქნება.

– არ დაგვიჯერებენ. ამას არ დაგვიჯერებენ, – ჩავილუღლუღე მე.

ბუნებით რეალისტი გახლავართ. იქნებ ნებისყოფა მღალატობს, მაგრამ განსჯა შემიძლია. ამიტომ ვერ ვიტან მადლენის ულოგიკობას, მის უსაბუთო მტკიცებებს.

– ვნახოთ, იქნებ რამე მოვიფიქროთ, – ვთქვი და ორიოდე ნაბიჯი გადავდგი.

– ახლა ერთხელ კიდევ დაგავიწყდება მისთვის თვალების დახუჭვა! რასაც გეუბნებიან, იმაზე ცოტა მაინც იფიქრე! – დაიწივლა მადლენმა.

ორი კვირა გავიდა. იგი ბერდებოდა და უფროდაუფრო სწრაფად იზრდებოდა. როგორც ჩანს, მასში ჩაბუდებული მკვდრების უკურნებელი სენი გეომეტრიული პროგრესიით ვითარდებოდა. ჩვენს სახლში ეს დაავადება საიდან უნდა შეყროდა?

დიანზე აღარ ეტეოდა. იძულებული გავხდით, იატაკზე გადმოგვეთრია. სამაგიეროდ, დიანი, რომელიც სასადილოში გადავიტანეთ, ისევ ჩემს განკარგულებაში იყო. ბოლო ათი წლის განმავლობაში პირველად შემეძლო საუზმის შემდეგ ფეხი გამეშალა და წამეძინა, მაგრამ მადლენის კრიახი მაშინვე მაღვიძებდა.

— შენ რა, დაყრუედი? თავს არ უჭირვებ, არა? მთელი დღე გძინავს...

— იმიტომ, რომ მთელი ღამე არ მძინავს!

— ...თითქოს სახლში არაფერი არ ხდებოდეს. ყური დაუგდე!

მიცვალებულის ოთახიდან რაღაც ზრიალი ისმოდა, თითქოს ჭერიდან ბათქაში ჩამოცვივდა. რაღაც უძლეველი ძალით დახეთქილი კედლები კვნესოდა. მთელ სახლში, სამზარეულოშიც კი იატაკი ხომალდის გემბანივით ცახცახებდა და ირყეოდა. ფანჯარა ჩაიმტვრა და მინა წვრილ ნამსხვრევებად გაიფანტა. კიდევ კარგი, ეს ფანჯარა სახლის შიდა ეზოში გადიოდა.

— რას იფიქრებენ მეზობლები! — თითებს იმტვრევდა მადლენი.

— წამოდი, ენახოთ!

ოთახისკენ ორიოდე ნაბიჯის გადადგმა ძლივს მოვასწარით, რომ კარმა ვეღარ გაუძლო, ზათქით და გრიალით გასკდა და ძირს დაენარცხა. ღიობში გამოჩნდა იატაკზე მწოლიარე მოხუცის უზარმაზარი თავი, რომელიც ჭერს მისჩერებოდა.

— თვალები ღია აქვს, — დაიჩურჩულა მადლენმა.

თვალები მართლაც ღია ჰქონდა. ფარებივით ენთო და მთელ დერეფანს ცივი, თეთრი შუქით ანათებდა.

— კარგია, რომ კარი გამოამტვრია, — ვთქვი მადლენის დასამშვიდებლად, — ახლა დიდი ადგილი აქვს. დერეფანი გრძელია.

— ყელში ამომივიდა შენი ოპტიმიზმი! ნახე!

სანახაობა მართლაც შემაშფოთებელი იყო. იგი თვალდათვალ იზრდებოდა. მისი თავიდან რამდენიმე სანტიმეტრის დაშორებით იატაკზე ცარცით ხაზი გავავლე. მალე თავმა ამ ხაზს მიაღწია და გზა გააგრძელა.

— უნდა ვიმოქმედოთ, — ვთქვი მე, — მეტი ლოდინი მართლაც აღარ შეიძლება.

— როგორც იქნა, მგონი, გაიღვიძე და რაღაცას მიხვდი. უკვე დიდი ხანია უნდა გვემოქმედა, ჩემო საბრალო მეგობარო.

— იქნებ ჯერ კიდევ გვიან არ არის!

მივხვდი, რომ შევცდი. მთელი ტანით ავკანკალდი და ბოდიშის მოხდა ვცადე.

— იდიოტო! — ისე მიპასუხა მადლენმა, თითქოს მეტი გამბედაობისკენ მიბიძგებდა.

დაღამებამდე ვერაფერს ვიღონებდი. ივნისი იყო, კიდევ რამდენიმე საათს უნდა მომეცადა. რამდენიმე საათი ძალიან დიდი დროა. ჩვეულებრივზე მეტად აღელვებული მადლენი რომ არა, დასვენებასაც მოვასწრებდი,

ოცნებასაც და წათვლემასაც. თვითონ წარმოიდგინეთ — არცერთი წუთით მოსვენება, განუწყვეტელი დარიგებები, მუდმივი „ხომ გეუბნებოდი!“ ოჰ, ეს მისი მარადიულად მართლის მანია!

მიცვალებულის თავი კი სულ უფრო გვიახლოვდებოდა. აი, უკვე ჰოლშია — სასადილოსთან ახლოს. მალე იძულებული გავხდი, სასადილოს კარიც გაგვეღო. ცაზე ვარსკვლავები ძლივს აჭიატდნენ, რომ მისი თავი უკვე კარის ზღურბლს მიებჯინა. ქუჩაში ხალხის შეთხელებას უნდა დავლოდებოდით. ვახშმობამაც მოაწია, მაგრამ ჭამა არ მინდოდა. დალევით რამეს დავლევდი, მაგრამ ჭიქისთვის სამზარეულოში უნდა შევსულიყავი და გვამზე გადამებიჯებინა. ამის ძალა კი არ შემწევდა.

სინათლე არ აგვინთია. მისი თვალები ოთახს საკმარისად ანათებდა.

— დარაბები დახურე, — მირჩია მადლენმა, — ახლა ყველაფერი თავდაყირა დაგვიდგება.

— თავმა უკვე ფარდაგამდე მიაღწია, გვერდზე გადაწია და დაჭმუჭნა. თავი წამოვუწიე: „ასე ხომ ფარდაგს გააფუჭებს“.

თავს მაინც დათრგუნულად ვგრძნობდი. ეს ისტორია ამდენი წელიწადია გრძელდება. თანაც, დღეს იმადაც ვერა ვარ გუნებაზე, რომ უნდა „ვიმოქმედო“. დროდადრო ზურგზე ოფლის ჭვლები მოდიოდა. ვთრთოდი.

— ბოლოსდაბოლოს, ეს რაღაც უბედურებაა, — ზიზღით წამოიძახა მადლენმა, — ასეთი რამ მხოლოდ ჩვენ თუ შეგვემთხვეოდა! შევხედე მის ფერწასულ, დაღრეჯილ სახეს და შემებრალა. ახლოს მივედი და ალერსიანად ვუთხარი:

— ერთმანეთი რომ მართლა გვყვარებოდა, ყველაფერი ეს უმნიშვნელო იქნებოდა. — გულზე ხელები მავედრებელივით დავიწყე. — მოდი, მადლენ, გვიყვარდეს ერთმანეთი, გთხოვ. ვიცი, სიყვარული ყველაფერს დაამარცხებს, ჩვენს ცხოვრებას შეცვლის. გესმის ჩემი?

ვცადე მეკოცნა. თავი ამარიდა. გამოხედვა კუშტი ჰქონდა. პირი მაგრად მოეკუმა.

— ამაში დარწმუნებული ვარ, — ჩავილუღლუღე მე. მერე კი გავუტიე და გავუტიე, — ოდესღაც მზის ყოველი ამოსვლა ახალ გამარჯვებას გვიქადდა! ჩვენ სამყაროს კარიბჭესთან ვიდექით. გახსოვს? ხომ გახსოვს? სამყარო იყო და თითქოს არც იყო; თითქოს რაღაც გამჭვირვალე ქსოვილად ქცეულიყო და ირგვლივ, ყოველი მხრიდან თვალისმომჭრელი ნათელი, დიდებული ნათელი, მრავალი მზის ნათელი შემომდგარიყო. სიმძიმედაკარგულ სამყაროში თავს უზომოდ მსუბუქად ვგრძნობდით, გვაოცებდა საკუთარი არსებობა და ვტკბებოდით საკუთარი ყოფით. ეს არის სწორედ

სიყვარული და ეს არის ახალგაზრდობა. თუ რამე მოგვინდებოდა – სულითა და გულით მოგვინდებოდა. ჩვენ ყოველისშემძლე ვიყავით, ჩვენ სიხარულის საგალობელს ვაგუგუნებდით...

– სისულელეებს ნუ როშავ, – მითხრა მადლენმა, – სიყვარულს არ შეუძლია ამ ცხედრისგან გვიხსნას. არც სიძულვილს. სხვათა შორის, აქ გრძნობები არაფერ შუაშია.

– ცხედარს მე მოგაშორებ, – ვთქვი და ხელები უმწეოდ ჩამოვუშვი.

ჩემს კუთხეს დავუბრუნდი და სავარძელში ჩავიკარგე. პირზე კლიტე დავიდე. შუბლშეკრული მადლენი რაღაცას კემსავდა.

ცხედრის თავს მოპირდაპირე კედლიდან ნახევარი მეტრიღა აშორებდა. მიცვალებული კიდევ უფრო დაბერებულიყო. იქნებ უცნაურად გეჩვენოთ, მაგრამ, ყველაფრის მიუხედავად, ჩვენ მას მივეჩვიეთ. უცებ იმასაც მივხვდი, რომ მასთან გამოთხოვება გამიჭირდებოდა, – ალალი გულით გეუბნებით. თავისთვის წყნარად რომ წოლილიყო, კიდევ დიდხანს შევინახავდით, ვინ იცის, იქნებ – სამუდამოდაც. რაც უნდა იყოს, ჩვენს სახლში, ჩვენს გვერდით გაიზარდა და მოხუცდა. ამაზე თვალის დახუჭვა არ შეიძლება! ამქვეყნად ყველაფერს ეგუები – ასეთია ადამიანის ბუნება... ის რომ აღარ იქნება, სახლი სულ მთლად ცარიელი მოგვეჩვენება-მეთქი, – გამკრა გულში. რამდენ მოგონებას აღგვიძრავს! იგი ხომ მთელი ჩვენი, ბუნებრივია, არცთუ მუდამ საამური ცხოვრების უტყვი მოწმე იყო. კაცმა რომ თქვას, ჩვენი ცხოვრების გაუკუმურებაში წვლილი მასაც მიუძღოდა. თუმცა, ცხოვრება ერთი უსასრულო ლხინი როდი ყოფილა!.. ახლა ძლივს თუ მახსოვდა, რომ ოდესღაც, წამიერი მრისხანების თუ აღელვების ჟამს, იგი მე მოვკალი, უფრო ზუსტად, – მე დაესაჯე... ჩვენ დიდი ხანია უსიტყვოდ შევუნდეთ ერთმანეთს... თუ საქმეს სერიოზულად განვიხილავთ, დანაშაული ორივეს მიგვიძღოდა. ნუთუ, მას არ შეუძლია ყველაფრის დავიწყება?

ჩემი ფიქრების ძაფი მადლენმა გაწყვიტა:

– შუბლით კედელს მიებჯინა. დროა, ვიმოქმედოთ!

– ჰო! – გავბედე მეც.

წამოვდექი. დარაბები გავაღე. ფანჯარაში გადავიხედე. რა მშვენიერია ზაფხულის ღამე. ასე, ნაშუაღამევის ორი სააათი იქნებოდა. ქუჩაში არავინ ჩანდა. ყველა სახლის ფანჯარა ჩაბნელებული იყო. ცაზე ეკიდა მრგვალი, მბრწყინავი მთვარე – ცოცხალი ვარსკვლავი. ირმის ნახტომი. ნისლეულები, უამრავი ნისლეული, ცის ბილიკები, ნაკადულები, გამდნარი ვერცხლი, ხავერდოვანი თოვლი, სინათლეს ხელით ეხები. თეთრი ვარდები, თაიგულები,

თაიგულები, ციური ბაღები, მოციმციმე ტყეები, პრერიები... და სივრცეები, სივრცეები, თვალშეუდგამი სივრცეები!..

— აბა, რაღას ფიქრობ? — მკითხა მადლენმა, — არავინ არ უნდა შეგვნიშნოს. მე ქუჩას გავაკონტროლებ.

ფანჯრიდან გადაძერა. ქუჩის კუთხემდე მიირბინა, მარცხნივ გაიხედა, მერე — მარჯვნივ და ხელი დამიქნია: „მიდი!“

მდინარე სახლიდან სამასიოდე მეტრში ჩამოგვიდიოდა. მასთან მისვლამდე, ორი ქუჩა და T.-ს პატარა მოედანი უნდა გადაგვეჭრა. სწორედ აქ შეიძლება გადავყროდით ჩვენი სახლის პატრონის კუთვნილი ბარიდან და საროსკიპოდან გამოხეტებულ შეზარხოშებულ ამერიკელ ჯარისკაცებს. სიბნელეში, ნაპირზე გამოთრეულ ნავს ვერ მოვიტაცებდი: ამისთვის შესაფერისი კაუჭი უნდა მეშოვა. ეს კიდევ უფრო გაართულებდა ჩვენს ჩანაფიქრს, მაგრამ სხვა გზა არ იყო. რისკი უნდა გამეწია.

ქუჩას უკანასკნელად გავხედე, ცხედარს თმებში ჩავეჭიდე, ძლივ-ძლივობით წამოვწიე, თავი ფანჯრის რაფაზე ჩამოვადებინე და ტროტუარზე ჩავხტი (ნეტავ, ყვავილის ქოთნები არ გადმოყაროს-მეთქი, გავიფიქრე უნებურად). გარეთ გადავათრიე. მომეჩვენა, თითქოს საძინებელი, დერეფანი, სასადილო, მთელი ბინა, მთელი სახლი, ყველაფერი ერთად ზურგზე მეკიდა; მერე — თითქოს პირიდან ამოვანთხიე საკუთარი შიგნეული, ფილტვები, გული, ბუნდოვანი გრძნობების გუნდა, აუსრულებელი სურვილები, მყრალი აზრები, დამპალი და აშმორებული სახეები, გარყვნილი იდეოლოგია, დამყაყებული მორალი, მოწამლული მეტაფორები, ჩვენს ორგანოებზე მცენარეპარაზიტებივით მიკრული გამხრწნელი გაზები. საშინლად ვიტანჯებოდი, მეტი აღარ შემეძლო; ცრემლებისგან და სისხლისგან ვიცლებოდი. უნდა მომეთმინა, მაგრამ ეს ძალიან ძნელი აღმოჩნდა! და კიდევ, შიში — ხომ შეიძლება ვინმემ შემნიშნოს!

ფანჯრიდან რიგრიგობით გადმოვათრიე მისი თავი, გრძელი წვერი, კისერი, ტანი... მეზობელი სახლის ჭიშკრამდე მივედი, მისი ფეხები კი ისევ ჩემი ბინის დერეფანში იყო. შიშისგან აკანკალებული მადლენი მომიახლოვდა. მთელი ძალ-ღონით ვექაჩებოდი. სული კბილით მეჭირა, რომ ტკივილებისგან არ დამეყვირა. ქუჩის კუთხემდე ფორთხვით მივაღწიე („ქუჩაში არავინ არ ჩანს, ყველა ფანჯარა ჩაბნელებულია“, — ჩამჩურჩულებდა მადლენი). შევუხვიე, ქუჩა გადავკვეთე, კიდევ შევუხვიე, კიდევ გადავკვეთე. როგორც იქნა, ცხედარი ფანჯრიდან მთლიანად გადმოვათრიე და პირდაპირ T.-ს პატარა მოედნის დღესავით განათებულ ცენტრში

აღმოჩნდით. შევჩერდი. შორიდან სატვირთოს ხმა მოისმა. სადღაც ძაღლი აყმუვლდა. მადლენს მეტი აღარ შეეძლო: „დააგდე და შინ დაებრუნდეთ!“

— ეს წინდაუხედაობა იქნება! თუ გინდა, შენ დაბრუნდი. თვითონაც გავუმკლავდები.

მარტო დავრჩი. ცხედარი საოცრად გამსუბუქდა. მართალია, ძალიან გაიზარდა, მაგრამ მთლად გამოიფიტა, მას ხომ ამ ათი წლის განმავლობაში პირში ხემსი არ ჩასვლია. ადგილზე ტრიალი დავიწყე. ცხედარი ტანზე მაქმანიანით შემომეხვია. გავიფიქრე, მდინარემდე ასე უფრო იოლად მივიტანმეთქი. ნურას უკაცრავად! — როცა თავი ჩემს თეძოსთან აღმოჩნდა, უეცრად მკვდრულად, ხანგრძლივად და გამყინავად დაუსტვინა. ეს სტვენა სხვაში არასდროს არ აგერევა.

ამ ხმას ყოველი მხრიდან პოლიციელების სასტვენები გამოეხმაურა! აყეფდნენ ძაღლები, დაიძრნენ მატარებლები, მოედანზე გამომავალ ფანჯრებში სინათლეები აინთო და იქიდან ვიღაცეების სახეები გადმოდგნენ, ბარიდან ფორმიანი ამერიკელები და გოგოები გამოლაგდნენ.

ქუჩის კუთხეში ორი პოლიციელი გამოჩნდა. ჩემკენ მორბოდნენ, უკვე ორ ნაბიჯზე იყვნენ. დავიღუპე.

უეცრად ცხედრის წვერი პარაშუტივით გაიშალა და ზემოთ ამიტაცა. ერთი პოლიციელი, რაც ძალა ჰქონდა, ახტა, მაგრამ უკვე გვიან იყო. მხოლოდ ჩემი მარცხენა ფეხიდან ფეხსაცმლის წაძრობა მოასწრო. მეორე თვითონ ჩავუგდე. აღფრთოვანებული ამერიკელი ჯარისკაცები ფოტოაპარატებს აჩხაკუნებდნენ. ძალიან სწრაფად მივიწევდი მაღლა. პოლიციელები მუშტებს მიღერებდნენ და ყვიროდნენ: „თაღლითო, შე თაღლითო!“ ფანჯრებიდან გადმომდგრები ტაშს მიკრავდნენ. მადლენმა კი, თავის ფანჯარაში რომ იდგა, ერთი შემომხედა და ზიზღით ჩაილაპარაკა: „შენ ხომ სერიოზულობა არ შეგიძლია. ახლა იქნებ აფრინდე კიდეც, მაგრამ ჩემს თვალში მაინც ვერ ამაღლდები“.

კიდევ გავიგონე, როგორ მესალმებოდნენ ამერიკელები: „ჰელო, ბოი!“ — ეტყობა, ეგონათ, რომ რაღაც სპორტული მიღწევის მოწმე გახდნენ. დაბლა ჩემი ტანსაცმელი და სიგარეტები ჩავყარე — პოლიციელები გაიყოფენ.

მერე გიგანტურ ორიფლამად ჩავუქროლე ირმის ნახტომს:

— საშინელი სისწრაფით, საშინელი სისწრაფით!

თარგმნა თეიმურაზ ქორიძემ

ჯონ ჩივერი

27.05.1912 — 18.06.1982

ცნობილი ამერიკელი მწერალი, დაიბადა კომივოიაჟერის ოჯახში; 30-იანი წლების ბოლოდან თანამშრომლობდა ჟურნალ „ნიუ-იორკერში“, სადაც გამოქვეყნდა რეალისტური მანერით დაწერილი მისი მოთხრობათა უმეტესობა, რომელშიც შერწყმული იყო სოციალურ-ფსიქოლოგიური და სატირული საწყისები. ანვითარებს რა შერვუდ ანდერსონის, რინგ ლარდნერისა და სინკლერ ლუისის ტრადიციებს, ჩივერი ილაშქრებს ამერიკული ცხოვრების წესის წინააღმდეგ, დიდების შარავანდს ხდის ბურჟუაზიული წარმატების ამორალობას. ჩივერის, როგორც მწერლის პოპულარობა, პირველ რიგში, განაპირობა მისმა მოთხრობებმა, მის თავისებურ ნიჭს ეს ჟანრი ორგანულად მიესადაგა, რაც დაადასტურა მწერლის მოთხრობების პირველმა კრებულმა „როგორ ცხოვრობს ზოგიერთი ხალხი“ (1943), რომელშიც შევიდა შემოქმედების პირველ ათწლეულში გამოქვეყნებული 30 მოთხრობა, ხოლო 1953 წელს, მეორე კრებულში „ვეებერთელა რადიო“, შევიდა „ნიუ-იორკერში“ ადრე გამოქვეყნებული მხოლოდ 14 მოთხრობა. ამ მოთხრობებისათვის დამახასიათებელია ცხოვრებისეული უბრალო ფაქტებისა და ადამიანის ქცევათა სიმბოლისტური ინტერპრეტაცია, სიუჟეტის განვითარებაში ფანტასტიკის ელემენტების გამოყენება, რაც ჩივერის მოთხრობათა პოეტიკის განუყოფელი მომენტი ხდება, შემდგომ მწერალმა ეს ხელოვნება უმაღლეს ხარისხში განავითარა. ჯონ ჩივერის, როგორც მოთხრობის დიდოსტატის მწვერვალებად მიჩნეულია კრებულები „შეიდი – ჰილელი ქურდი“ (1958) და „ბრიგადირი და გოლფ-კლუბის ქვრივი“ (1964). ჰუმანისტური და სოციალურ-კრიტიკული ჟღერადობა დამახასიათებელია მწერლის რომანებისთვისაც: „უოპშოტების საოჯახო ქრონიკა“ (1957), „სკანდალი უოპშოტების ოჯახში“ (1964) და „ბულეტ-პარკი“ (1969); ჩივერის უკანასკნელი რომანია „ფოლკონერი“ (1977), რომელიც, როგორც კრიტიკოსები აღნიშნავენ, იდეურ-თემატური თვალსაზრისით აგრძელებს ე. წ. „ჩივერისეულ“ ტრადიციას.

მოთხრობა „მონტრალდო“, რომელიც ეხება სიყვარულ-სიძულვილის რთული კომპლექსით ერთმანეთთან დაკავშირებული ორი ქალის უცნაურ ბედს, შედის მწერლის ბოლო კრებულში „კიდევ ერთი ცხოვრებისეული ისტორია“ (1979), რომლისთვისაც მას პულიტცერის პრემია მიენიჭა.

მონტრალდო

„ტიფანი“-ში პირველად რომ ვიქურდე, წვიმდა. ერთ-ერთ მეორმოცე ქუჩაზე, ქალის სამკაულის მაღაზიაში ყალბი ბრილიანტიანი ბეჭედი ვიყიდე. შემდეგ, წვიმაში „ტიფანი“-მდე მივედი და ბეჭდების ჩვენება ვთხოვე. გამყიდველს საოცრად ქედმაღლური იერი ჰქონდა. ექვსი თუ რვა ბრილიანტიანი ბეჭედი შევარჩიე. მათი ღირებულება რვაასიდან ცხრა ათასამდე მერყეობდა. ერთი მათგანი, სამი ათასი რომ ღირდა, ჩემს ყალბთვლიან ბეჭედს წააგავდა და მის თვალიერებას მოვყევი. ამ დროს შუახნის ქალი, ეტყობა იქაურობის ხშირი სტუმარი, დახლის საპირისპირო ბოლოს მიადგა. გამყიდველი მისკენ გაეშურა, ბეჭედი უმალ შევცვალე და შევძახე: „დიდი მადლობა, მოვიფიქრებ!“ როგორც გენებოთო, ქედმაღლურად მომაძახა გამყიდველმა და მაღაზიიდან გამოვედი. ყველაფერი იოლად გამომივიდა. იქვე, მეორმოცე ქუჩაზე, ბრილიანტების ბაზარს მივაშურე და ბეჭედი ათას რვაასად გავყიდე. არავის არაფერი არ უკითხავს. შემდეგ „კუკ“-ის სააგენტოში გავიგე, რომ „კონტე დე სალვინი“ ხუთ საათზე გენუისკენ მიცურავდა. აგვისტოს თვე იდგა და აღმოსავლეთით, ოკეანისგაღმა მიმავალ გემზე თავისუფალი ადგილები ბლომად იყო. პირველი კლასის კაიუტაში მოვეწყვე და გემი რომ დაიძრა, უკვე ბარში ვიყავი მოკალათებული. რა თქმა უნდა, ბარი ოფიციალურად ჯერ გახსნილი არ

იყო, მაგრამ ახალგაზრდა ბარმენმა ერთი ჭიქა მარტინი მაინც მომაწოდა, რათა სანამ გემი ღია ზღვაში გავიდოდა, თავი შედარებით უკეთ მეგრძნო. „სალვინი“-ს ისეთი გამკივანი საყვირი ჰქონდა, უეჭველია ცენტრშიც გაიგებდნენ, ოღონდ აგვისტოში, დღის ხუთ საათზე ცენტრში ვინ იქნებოდა.

საღამოს, მორბენალ ცხენებიან სათამაშო ავტომატთან მისის უინუორი და მისი ხანშიშესული მეუღლე გავიცანი. ქმარს მალე ზღვის ავადმყოფობა შეეყარა, მე და მისის უინუორი მაშინვე უკანონო სიყვარულით ტკბობის მორევში გადავეშვით. საიდუმლო ბარათები, სხვისი სახელით ტელეფონზე დარეკვა, მოჩვენებითი გულგრილობა. ბრილიანტის ბეჭდის მოპარვა იმასთან შედარებით, რაც ჩემს კარჩაკეტილ კაიუტაში ხდებოდა, ბავშვურ გართობას წააგავდა. გიბრალტარის გავლის შემდეგ მისტერ უინუორი გონს მოეგო, მაგრამ ჩვენთვის ეს გამოწვევად იქცა და ფლირტი მის ცხვირწინ განვაგრძეთ. ერთმანეთს გენუაში დავცილდით; იქ ნახმარი „ფიატი“ ვიყიდე და ზღვის სანაპიროს სამხრეთისკენ დავუყევი.

მონტრალდოში რამოდენიმე დღეში, საღამო ხანს ჩავედი. იქ იმიტომ გავჩერდი, რომ მანქანის ტარებით დავიღალე. ნახევრად მომრგვალებულ ყურეს ორი მხრიდან მაღალი, სალი კლდეები დაჰყურებდა. პლაჟის გაყოლებით კაფეები და ტანსაცმლის გამოსაცვლელი ჯიხურები ჩამორიგებულიყო. დაბაში ორი სასტუმრო იყო – „გრანდ ოტელი“ და „ნაციონალი“. მაგრამ, რატომღაც, არცერთი მათგანი არ მომეწონა და კაფეს ოფიციანტმა მირჩია ოთახი კლდის წვერზე, ვილაში მექირავა. იქამდე მისვლა ან მიხვეულ-მოხვეული გზით, ანაც ქვის კიბით შეიძლებოდა. როგორც შემდეგ გავარკვიე, დაბიდან ვილის უკანა ეზომდე ასასვლელად ას ოცდაშვიდი საფეხურის ავლა იყო საჭირო. მანქანაში ჩავჯექი და მიხვეულ-მოხვეულ გზას ავუყევი. კლდეებს როზმარინი მოდებოდა და მთელი სოფლის თეთრეული ამ როზმარინებზე შრებოდა. ვილის შესასვლელთან პატარა აბრა ხუთ ენაზე იუწყებოდა, რომ იქ ოთახები ქირავდებოდა. ზარი დავრეკე და კარი მხედრული იერის ენერგიულმა ქალმა გააღო. როგორც გავიგე ასუნტა ერქვა და იქ ცხოვრების მთელი ხნის მანძილზე ასეთი შემართული იერი ჰქონდა. მაგალითად, ეკლესიაში ზიარების მისაღებად მიმავალს ისეთი სახე ჰქონდა, იფიქრებდი, აი, ახლა დასცხებს მუშტს მღვდელს და ღვთის მსახურს ლავაშივით გააბრტყელებსო. მოკლედ, გამომიცხადა, თუ ერთი კვირის საფასურს წინასწარ გადავიხდიდი, ოთახს

მომაქირავებდა. ჯიბის შეთხელება მომიწია, რადგან სხვაგვარად ვილაში არ შემიშვებდა.

სახლი საეალალო მდგომარეობაში იყო, მაგრამ კოშკში მდებარე შეთეთრებული ოთახის გატეხილი ფანჯრიდან, სადაც ასუნტამ ამიყვანა, ზღვის ხედი იშლებოდა. ფუფუნების ერთადერთი საგანი ერთკამფორიანი გაზქურა იყო. არც ტუალეტი ჰქონდათ და არც წყალგაყვანილობა. პირის დასაბანად ჭიდან მარმელადის გახვრეტილი ქილით ამოღებულ წყალს ვხმარობდი. აშკარად, ერთადერთი დამქირავებელი ვიყავი. ვილაში მისვლის პირველივე წუთებიდან, სანამ ასუნტა ზღვის ჰაერის სამკურნალო თვისებებზე მელაპარაკებოდა, ეზოდან ბუზღუნა, არისტოკრატული ხმა გვეხმოდა. კიბეზე მოსამსახურეზე ადრე ჩავედი და ჭასთან მდგომ მოხუც ქალბატონს გავეცანი. პატარა, გამხდარი და ცოცხალი, ძველი რომაელი არისტოკრატებივით, მაღალფარდოვნად საუბრობდა. უნებურად გავიფიქრე: თავისი კულტურულობითა და საზოგადოებრივი მდგომარეობით თავგზას ხომ არ მიბნევს, რომ დახეულ და ჭუჭყიან კაბას ყურადღება არ მივაქციო-მეთქი.

— ოქროს საათი გქონიათ — მითხრა მოხუცმა — მეც მასეთი მაქვს — ოქროსი. ხედავთ რაღაც საერთო უკვე გამოვძებნეთ.

მოსამსახურე მიუბრუნდა და უთხრა:

— რას მიედ-მოედები, სულელო ქალო!

— ეს ხომ სიმართლეა. ამ ჯენტლმენსაც და მეც — ორივეს ოქროს საათი გვაქვს — შეეპასუხა მოხუცი — ამან შეიძლება ჩვენს შორის გარკვეული სიმპათია წარმოქმნას.

— უჰ, რა მომაბეზრებელი ხარ, — თქვა მოსამსახურემ — ჯოჯოხეთის ცეცხლშია თქვენი ადგილი.

— გმადლობ, დიდი მადლობა, ჩემო თვალისჩინო, ჩემო საუნჯეო, — თქვა მოხუცმა და სახლის კარისკენ გაემართა.

დოინჯშემოყრილმა მოსამსახურემ უკან ქოქოლა მიაყოლა:

— კუდიანო! გომბეშო! ღორო!

— გმადლობ! დიდი მადლობა — უპასუხა მოხუცმა და კარი შეაღო.

* * *

საღამოს კაფეში სინიორასა და მოსამსახურეზე ცნობების შეკრება გადავწყვიტე. ოფიციანტი საკმაოდ გათვითცნობიერებული აღმოჩნდა.

სინიორინა, – მითხრა მან, კეთილშობილი რომაული ოჯახიდანაა, საიდანაც დაბალი ფენის მამაკაცთან რომანისთვის გამოდევნეს. ორმოცდაათი წელია მონტრალდოში კარჩაკეტილ ცხოვრებას ეწევა. ასუნტა რომიდან სინიორას მოსაველელად ჩამოიყვანეს. თუმცა ახლა მისი სამსახური იმაში გამოიხატება, რომ სოფლიდან მოხუცისთვის ცოტაოდენი პური და ღვინო ჩამოაქვს. ასუნტამ ქალბატონი პირწმინდად გაძარცვა – მისი ოთახიდან საწოლიც კი გამოათრია. ქალი ვილაში ტყვესავით ჰყავს. სოფელში ორივე სასტუმრო („გრანდ ოტელი“ და „ნაციონალი“) საკმაოდ მოსახერხებელი და კომფორტული იყო. რატომ იქ არ გადავედი, რატომ დავრჩი ამ უბადრუკ სახლში?

ხედის გამო დავრჩი, თან მოხუცმა ქალბატონმა და მოსულელო მოსამსახურემ ცნობისმოყვარეობა გამიღვიძეს. ჩხუბს გამთენიიდან იწყებდნენ. ასუნტა უხეში სიტყვებით ლანძღავდა ქალბატონს. სინიორინა გამორჩეული სარკაზმით პასუხობდა. საკმაოდ დამთრგუნველ შთაბეჭდილებას ახდენდა. გადავწყვიტე გამერკვია, მოხუცი მართლა ტყვე იყო თუ არა, და შუადღისას ეზოში მარტო რომ დავინახე, ვკითხე, სანაპიროზე, უახლოეს დაბა ტამბურუში ჩემთან ერთად ხომ არ გამოისეირნებთ-მეთქი. თავისი ნატიფი რომაული აქცენტით მიპასუხა – დიდი სიამოვნებით დაგემგზავრებითო. საათის შეკეთება უნდა – იმ ოქროს საათის. საათი ძვირფასი და ლამაზია და მხოლოდ ერთ ადამიანს ანდობს. ის კი ტამბურუში ცხოვრობს. სანამ ვლაპარაკობდით, ასუნტა მოგვიახლოვდა.

– ტამბურუში წასვლა რისთვის მოგეპრიანათ? – შეეკითხა მოხუცს.

– ჩემი ოქროს საათი უნდა შევაკეთო – უპასუხა ქალბატონმა.

– არანაირი ოქროს საათი არ გაქვთ – გამოაცხადა ასუნტამ.

– მართალია, – თქვა მოხუცმა – ოქროს საათი აღარ მაქვს, თუმცა მქონდა. ოქროს საათიც მქონდა და ოქროს ფანქარიც.

– ტამბურუში რიღასთვის მიდიხართ? თუ საათი არ გაქვთ, შესაკეთებელიც არაფერია – თქვა ასუნტამ.

– მართალი ხარ, ჩემო თვალისჩინო, ჩემო საუნჯეო. – უპასუხა მოხუცმა და შინ შევიდა.

* * *

დროის უმეტეს ნაწილს პლაჟზე და კაფეში ვატარებდი. კურორტს აშკარად ცუდი დროება ედგა. ოფიციანტები ჩიოდნენ საქმეები ცუდად მიდისო, მაგრამ ისინი ხომ მუდამ ასე იძახიან. ზღვიდან ბადეებისა და რაღაც აყროლებულის სუნი მოდიოდა. ჩემი სამშობლოს ბრწყინვალე ველური პლაჟები მახსენდებოდა. გეი-ჰედი, რამდენადაც ვიცი, ზღვაში ეშვება. მონტრალდოც ეშვება, ოღონდ სულიერად: ზღვის ტალღები სოფელს სასიცოცხლო ძალას აცლიდა. ზღვა თითქოს გაუფერულდაო, სინათლე კაშკაშა კი იყო, მაგრამ ელვარება აკლდა. მონტრალდო მარტოობისა და სიცარიელის შეგრძნებას იწვევდა, ასეთი ატმოსფერო მეჯავრება, განა ადამიანის სული ბრილიანტივით არ უნდა ბრწყინავდეს? ტალღები ფრანგულად და იტალიურად რაღაცას ეჩურჩულებოდნენ – შიგადაშიგ უხალისოდ დიალექტიც გამოერეოდა.

ერთ დღეს პლაჟზე საოცრად ლამაზი ქალი გამოჩნდა, დაახლოებით რვა წლის ბიჭთან და შავებში გამოწყობილ, სავარაუდოდ იტალიელ მოსამსახურესთან ერთად. ბუტერბროდებისთვის გრანდ ოტელის ნიშნიანი ჩანთა მოჰქონდათ. ბავშვი, ალბათ, სულ სასტუმროებში ცხოვრობს-მეთქი, გავიფიქრე. საცოდავი შესახედი იყო. მოსამსახურემ ბადურიდან სათამაშოები ამოიღო, რომლებიც ბიჭის ასაკს აშკარად არ შეეფერებოდა. სათლი ქვიშისთვის, ნიჩაბი, რამდენიმე ფორმა, გასაბერი ბურთი და ორიოდე ძველებური წყლის ფრთები. ამერიკული რომანით ხელში, ლეიბზე წამოწოლილი დედიკო, ალბათ, ქმართან გაყრილია და, იმედია, მალე კოქტეილით ხელში კაფეში ჩემს გვერდით იჯდება-მეთქი, გავიფიქრე.

მიზანი დავისახე თუ არა, წამოვდექი და ბიჭს ბურთის თამაში შევთავაზე. ბავშვი სიხარულით მეცხრე ცაზე იყო კომპანიონი რომ იპოვა, მაგრამ არც ბურთის სროლა შეეძლო და არც დაჭერა ეხერხებოდა. ცალი თვალით დედას გავხედე, თან ვფიქრობდი ბავშვი რითი დამეინტერესებინა და ვკითხე, ხომ არ გინდა ქვიშის სასახლე ავაშენოთ-მეთქი. მიპასუხა კი, მინდაო. წყლიანი თხრილი გავიყვანე, შიგნით უცნაურკიბიანი ციხის ქონგურები ამოვიყვანე სათოფურებით, რამდენიმე პარაპეტიანი კოშკიც დავუმატე. ისეთი გულმოდგინებით ვშრომობდი, გეგონება მართლა მიუდგომელ ციხე-სიმაგრეს ვაშენებდი. როგორც კი „საქმე“ დავასრულე, კამფეტებს ქაღალდი შემოვაცალე და ყველა კოშკზე დროშებად აღვმართე.

რატომღაც, ბიჭის არ იყოს, ჩავთვალე, რომ რაღაც არაჩვეულებრივი გავაკეთე, მაგრამ როგორც კი დავაპირე ჩემი ქმნილებისთვის დედიკოს ყურადღება მიმექცია, ქალი ადგა და თქვა „Andiamo“ (წავედით). მოსამსახურემ სათამაშოები წამოკრიფა და წავიდნენ. ეს მოზრდილი მამაკაცი, ქვიშის ულაზათო ციხე-კოშკის გვერდით მარტო დავრჩი, უცხო ქვეყანაში.

მონტრალდოში დღის ყველაზე მნიშვნელოვანი მოვლენა მუნიციპალიტეტის ინიციატივით ოთხ საათზე გამართული საორკესტრო კონცერტები იყო, რომელიც თურქულ სტილში გაკეთებულ, ზღვიდან მონაბერი ქარისგან გვარიანად შელახულ ხის ნიჟარაში იმართებოდა. მუსიკოსებს ხან კოსტიუმები ეცვათ, ხანაც საცურაო ტრუსები; მათი რაოდენობა იცვლებოდა, მაგრამ რეპერტუარი ყოველთვის ერთი და იგივე ჰქონდათ, ძირითადად ძველი ამერიკული ჯაზის მელოდიებს უკრავდნენ. არა მგონია ჯაზის ისტორიაზე დიდი წარმოდგენა ჰქონოდათ, ალბათ, სადმე ძველ სკივრში ნოტებს წააწყდნენ და გამოიყენეს.

სასაცილოდ უკრავდნენ, აჩქარებულ ტემპში, თითქოს ხალხის აცეკვება უნდოდათ. „მარმელადის საყვირი“, „ვეფხვის რეგი“, „ჩინელი ბიჭუნა“, „წუთიერი სიყვარული“ – როგორ ესალბუნებოდა გულს ეს ძველისძველი ჯაზური მელოდიები, რომლებიც მარილით გაჯერებულ ჰაერში გაისმოდა. კონცერტი ხუთზე მთავრდებოდა, რის შემდეგაც მუსიკოსთა უმრავლესობა ინსტრუმენტებს ყუთებში აწყობდა და ზღვაში სარდინების დასაჭერად გადიოდა, მოცურავეები კი კაფეებსა და სოფელში ბრუნდებოდნენ. მამაკაცები, ქალები და ბავშვები ნაპირზე, ჯაზური მელოდიები, ზღვის ბალახისგან დაწნული კალათები და სურსათით სავსე ჩანთები ბევრად უფრო მაახლოებდა ლეგენდარულ სამოთხეს,ვიდრე იტალიის კლასიკური პეიზაჟები. ამრიგად,სხვებთან ერთად დავდიოდი კაფეში და ერთხელ იქ ლორდი და ლედი როკუელები გავიცანი, რომლებმაც თავისთან კოქტეილზე მიმიპატიჟეს. იქნებ გაგიკვირდეთ,მათ ასეთი მოწიწებით რომ მოვიხსენიებ, ყველაფერი ძალიან მარტივია, საქმე ისაა, რომ მამაჩემი ოფიციანტი იყო.

ჩვეულებრივი ოფიციანტი არ იყო – დიდ ოტელში მსახურობდა, დარბაზში, სადაც ვახშამზე ცეკვები იმართებოდა, ერთ ღამეს მთვრალმა ნაძირალამ მოთმინება დააკარგვინა, მამამ თავი მაკარონიან თეფშში ჩააყოფინა და შინ დაბრუნდა. პროფკავშირმა სამი თვით სამუშაოს ჩამოაშორა, სამაგიეროდ, დაბრუნდა როგორც გმირი და ბანკეტების მომსახურედ გადაიყვანეს, სადაც მეფეებსა და პრეზიდენტებს სოკოს აწვდიდა.

მთელი მსოფლიო ნახა, მაგრამ ხანდახან ეჭვი მეპარება მსოფლიომ თუ შეამჩნია იგი – ალბათ, მხოლოდ მისი წითელი ფრაკის სახელო და ქვემოდან სანთლის შუქით განათებული, მაგიდისკენ დახრილი ნათელი, ლამაზი სახე. მგონი ცხოვრება ცალმხრივად გამჭვირვალე შუშის კედლის მიღმა გაატარა, ხანდახან შექსპირის რომელიმე პიესის ყურებისას გამახსენდება, როდესაც პაუები და გუშაგები მარცხნიდან გამოდიან და კართან აეყუდებიან, როგორც კოსტიუმირებული მოწმე იმისა, რომ მოქმედება ვენეციაში ან არდენის ტყეში მიმდინარეობს. მათი სახეები არც კი ჩანს, ხმას არ იღებენ, როგორც მამაჩემი, რომელიც წვეულების ბოლოს, სიტყვით გამოსვლა რომ იწყებოდა, პაუების მსგავსად სცენიდან უჩინარდებოდა. ჩვეულებრივ ვამბობ, რომ სასტუმროების სისტემაში ადმინისტრაციული ხაზით მუშაობდა, სინამდვილეში კი ოფიციანტი იყო, ოფიციანტი, რომელიც ბანკეტებს ემსახურებოდა.

როკუელებთან ბევრი ხალხი იყო და ათი საათისთვის იქიდან წამოვედი. ზღვიდან ცხელი ქარი უბერავდა. მერე ვიღაცამ მითხრა სიროკოაო. ქარი უდაბნოდან უბერავდა და ეს იმდენად დამთრგუნველად მოქმედებდა, რომ მინერალური წყლის დასალევად ღამე რამდენჯერმე ვდგებოდი. ზღვიდან გემი საყვირით მიანიშნებდა, რომ ნისლში მოყვა. დილაც ნისლიანი და დახუთული გათენდა. სანამ ყავას ვამზადებდი, ასუნტა და სინიორინა დილის ლანძღვა-გინებით იყვნენ გართული. ასუნტამ ჩვეულებისამებრ ჩართო: „ღორო! ძაღლისშვილო! კუდიანო! ქუჩის ნაგავო!“ ულვაშიანი მოხუცი ქალბატონი ღია ფანჯრიდან პასუხობდა: „ძვირფასო! საყვარელო! ღმერთი იყოს შენი მფარველი! გმადლობ, დიდი მადლობა“. ყავის ფინჯანით ხელში კარებში ვიდექი და გულით მეწადა ეს სიტყვიერი შეხლა-შემოხლა დღის სხვა დროისთვის გადაედოთ, სანამ სინიორინა დაბლიდან პურსა და ღვინოს ამოიტანდა სიტყვების უსაზღვრო კორიანტელი დროებით შეწყდა, მერე ყველაფერი თავიდან დაიწყო: „კუდიანო! გომბეშო! წყეულო კუდიანო! უგომბეშოესო! და ასე შემდეგ. მოხუცი ქალბატონი ჩვეულად პასუხობდა: „ჩემო საუნჯეო! ჩემო თვალის ჩინო! უძვირფასესო! ჩემო ცხოვრების სანთელო!“ – და ასე შემდეგ. ამას ლუკმა პურისთვის ნამდვილი ჩხუბი მოჰყვა. დავინახე ასუნტამ მტკივნეულად როგორ ჩაარტყა მოხუცს. ქალი კიბეზე წაიქცა და დაიკვნესა: „აი! აი!“ კვნესაც კი მაღალფარდოვანი გამოუვიდა. ეზო სირბილით გადავჭერი და გაშხლართულ ქალთან მივიჭერი. ყურში ასუნტას მოთქმა მესმოდა:

— ჩემი ბრალი არ არის! ჩემი ბრალი არ არის!

მოხუც ქალს ეტყობა ძალიან სტკიოდა.

— გთხოვთ, სინიორ, — მე მომმართა, — გთხოვთ, გემუდარებით, მღვდელი მომიყვანეთ! ხელში ავიყვანე. ბავშვის წონა თუ იქნებოდა, ტანსაცმელს მიწის სუნი სდიოდა. კიბეზე ავედი და მაღალჭერიან, ობობას ქსელებით სავსე ოთახში ქალი დივანზე დავაწვინე. ასუნტა კუდში მომდევდა და გაჰკიოდა:

— ჩემი ბრალი არ არის!

სახლიდან გამოვედი და ასოცდაშვიდსაფეხურიანი კიბით სოფლისკენ დავეშვი.

ჰაერში ბურუსის ნაფლეთები ირეოდა. აფრიკიდან მონაბერი ქარი ისეთივე ცხელი იყო, როგორც გახურებულ ღუმელში. მღვდელი სახლში არ აღმოჩნდა, თუმცა, ეკლესიაში მივაკვლიე, ცოცხით ხელში იატაკს რომ გვიდა. ვნერვიულობდი, ლოდინი აღარ შემეძლო, მაგრამ რაც მეტს ვღელავდი, მღვდელი მით უფრო ნელა ირჯებოდა. ჯერ ცოცხი შეიტანა საკუჭნაოში, რომლის კარიც ისე გამომშრალიყო, დახურვა არაფრით არ უნდოდა, ამაზეც უამრავი დრო დაიკარგა. განერვიულებული გარეთ გამოვედი, მომზადებას ნახევარი საათი მოანდომა და იმის მაგივრად, ვილისკენ დაეძრულიყავით, სოფლისკენ სტიქაროსანის საძებნელად წავედით. როგორც იქნა, რომელიღაც ბიჭი გამოვიდა ხელში ჭუჭყიანი, მაქმანებიანი სტიქარით და აღმართს შევუდექით. ყოველი ათი საფეხურის შემდეგ მღვდელი იმდენ ხანს ისვენებდა, სიგარეტის მოწევას ვასწრებდი. კიდევ ათი საფეხური და ისევ დასვენება. სადღაც შუაგზაზე ეჭვი შემეპარა, საერთოდ, ავაღწევდით კი ვილამდე? მღვდელს წითელი სახე ერთიანად აელეწა, ნაწყვეტ-ნაწყვეტი სუნთქვა მკერდიდან ქშუილით ამოდიოდა. როგორც იქნა ვილის შესასვლელს მივაღწიეთ. სტიქაროსანმა საკმეველს მოუკიდა და ნახევრად დანგრეულ სახლში შევედით. ყველა ფანჯარა ღია იყო. ჰაერი ზღვის ბურუსს გაეჟღინთა. მოხუცი ქალი ძალიან იტანჯებოდა, მაგრამ როგორც კი დაილაპარაკა, ძველებური რბილი ხმა გაისმა — ეტყობა, სხვაგვარად არ შეეძლო.

— ეს ხომ ჩემი ქალიშვილია, — თქვა მან — ასუნტა — ჩემი შვილია, ჩემი პირმშო.

ასუნტამ იკივლა:

— მატყუარა! მატყუარა!

– არა, არა, – თქვა მოხუცმა ქალმა – შენ ჩემი პირმშო, ჩემი ერთადერთი შვილი ხარ. ამიტომაც მთელი ცხოვრება მიყვარდი.

ასუნტა აქვითინდა და ფეხსაცმლის ბრახა-ბრუხით დაბლა ჩავიდა. ფანჯრიდან დავინახე ეზო როგორ გადაჭრა. როდესაც მღვდელმა სულთა-თანა წამოიწყო, მეც გამოვედი.

კაფეში ვიჯექი და ველოდი. სამ საათზე ზარების რეკვა გაისმა. ცოტა ხანში ხმა დაირხა სინიორინა გარდაიცვალაო. კაფეში მსხდომთაგან, ეტყობა, არავინ იცოდა, რომ ექსცენტრული მოხუცი ქალბატონი და მისი შეშლილი მოსამსახურე ერთმანეთისთვის მხოლოდ ქალბატონი და მსახური არ იყვნენ. ოთხ საათზე ორკესტრმა კონცერტი „ვეფხვის რეგით“ გახსნა. საღამოს, ვილიდან სასტუმრო „ნაციონალში“ გადავბარგდი. დილით კი სამუდამოდ დავტოვე მონტრალდო.

თარგმნა თამაზ ჩიქვანაიამ

ბორის ფალავანდიშვილი

5.01.1921 – 14.12.199

გერმანულენოვანი გამოჩენილი შვეიცარიელი მწერალი, დრამატურგი, დაიბადა პროფესორის ოჯახში, 40-იან წლებში ციურიხისა და ბერლინის უნივერსიტეტებში სწავლობდა ფილოლოგიას, ფილოსოფიას, საბუნებისმეტყველო მეცნიერებებს, გატაცებული იყო ხელოვნების ისტორიითა და ფერწერით; ციურიხსა და შემდეგ ჟენევაში სამხედრო სამსახურში ყოფნისას იგი წერს თავის პირველ მოთხრობას. დიურენმატის ადრეული შემოქმედება შეიქმნა სასოწარკვეთისა და პროტესტისგან, ვინაიდან ეს იყო ომის პერიოდი და, მიუხედავად იმისა, რომ შვეიცარია ნეიტრალური ქვეყანა იყო, შვეიცარიელები, როგორც ამას თვით დიურენმატი აღნიშნავს, ცხოვრობდნენ „ავის მომასწავებელ სიმშვიდეში, როგორც ტაიფუნის ცენტრში“. შეიძლება ეს იყო განმსაზღვრელი მწერლის პირველი მოთხრობებისა, რომლებიც უცნაურ, პირქუშ, ფანტასტიკურ სურათებს წარმოადგენს („შობა“, „ძაღლი“ და სხვ.). დიურენმატის შემოქმედება დიდაქტიკურ-მორალისტური ხასიათისაა, პიესებში იგი უხვად იყენებს პარაბოლურ მოდელებს, „გაუცხოების“ ეფექტს, პაროდიას. მისი დებიუტი, როგორც დრამატურგის, შედგა პიესით „საღვთო წერილი გვაუწყებს“ (1947), შემდეგ ამას მოჰყვა „ბრმა“ (1948), „რომულის დიდი“ (1949), „ბატონ მისისიპის ქორწინება“ (1952), მსოფლიო აღიარება მოუტანა ავტორს პიესებმა „მოხუცი ბანოვანის სტუმრობა“ (1956), „ფიზიკოსები“ (1961), უნდა აღინიშნოს, აგრეთვე პიესები „მეტეორი“ (1966), „მეფე იოანე“ (1968), მოთხრობათა კრებული „ქალაქი“ (1952), პროზად დაწერილი კომედია „ბერძენი მამაკაცი ეძებს ბერძენ ქალს“ (1955). რომანები: „მოსამართლე და მისი ჯალათი“ (1950), „დაპირება“ (1958), „მართლმსაჯულება“ (1985), „უასრობათა ველი“ (1989). „ეჭვი“ (1951), დიურემანტი ავტორია მრავალი მოთხრობისა – „ავარია“ (1956), „სამთრის ზღაპარი ტიბეტში“ (1981) და სხვ., რადიოპიესის, კრიტიკული წერილისა და სხვ. მას სხვადასხვა დროს მიენიჭა მოლიერის (1957), შილერის (1959), ნიუ-იორკის კრიტიკოსთა (1959) და სხვ. საერთაშორისო პრემიები.

მოთხრობა „გვირაბი“ დაწერილია 1952 წელს. კრიტიკოსთა აზრით, ეს არის ლიტერატურაში ცნობილი ლაბირინთის ერთ-ერთი მოდიფიკაცია თავის თავში ჩაკეტილი სივრცისა – ამ შემთხვევაში მიწისქვეშა გასასვლელისა და ავტორი ამ პატარა მოთხრობაში აღწევს თავისუფლებასაც მასალასთან მიმართებით, ობიექტურობასაც და იუმორსაც.

გვირაბი

ახალგაზრდა, ოცდაოთხი წლის უნივერსიტეტის სტუდენტი, ზაფხულის ნათელ დღეს ციურიხისკენ მიმავალ სამგზავრო მატარებელს ელოდებოდა. სტუდენტი ძალიან მსუქანი იყო, ყოველთვის ცდილობდა ნებისმიერ მოსალოდნელ ხიფათს არიდებოდა და თავის სიმსუქნეს ისე იფარებდა, თითქოს კელისებს მიღმა იმალებაო. მეორე დღეს სემინარი ჰქონდა, რომლის გაცდენაც აღარ შეიძლებოდა. მატარებლის გასვლა 15.50, ჩასვლა – 19.27. ულრუბლო ციდან მზე უხვად ანათებდა, როდესაც ახალგაზრდა კაცი მშობლიურ ქალაქს ტოვებდა. მატარებელი თვალწარმტაცი სოფლებისა და პატარა ქალაქების გვერდის ავლით ალპებში მიდიოდა და ბურგდორფის შემდეგ გვირაბში შევიდა. სტუდენტი გადაჭედილ ვაგონში ძლივს შეეკვეხა და თავისი ადგილისკენ მიმავალი, გარშემომყოფთა უტყვ უკმაყოფილებას გრძნობდა. მგზავრები ერთმანეთს მიტმასნილნი ისხდნენ, მხოლოდ პირველი კლასის ვაგონში თუ ამოისუნთქავდი თავისუფლად. როდესაც ახალგაზრდა სტუდენტი ახალწვეულებს, სტუდენტებს, შეყვარებულებსა და ჩვეულებრივ ადამიანებში გზას მიიკვლევდა, ვაგონი აქეთ-იქით ქანაობდა, ბიჭი მუცლებსა და ბიუსტებს შორის იკლაკნებოდა და ხან ვის ეჯახებოდა და ხან ვის. ბოლოს და ბოლოს, თავის ადგილს რომ მიაღწია, გაოცდა. მესამე კლასის ვაგონში ასეთი რამ იშვიათად ხდება –

მთელი მერხი ცარიელი იყო. მოპირდაპირე მხარეს ჩასუქებული კაცი (სტუდენტზე უფრო მსუქანი) თავის თავს ჭადრაკს ეთამაშებოდა. დერეფანში კუთხის სკამზე, ულალთმიანი გოგონა რომანს კითხულობდა. ის იყო ახალგაზრდა კაცი ფანჯარასთან მოკალათდა, ჯიბიდან სიგარებიანი კოლოფი „ორმონდბრაზილ-10“ ამოიღო და გვირაბიც დაიწყო. მთელი წელიწადი თითქმის ყოველ შაბათ-კვირას ამ მიწისქვეშა გასასვლელში გადიოდა, მაგრამ ყურადღება არასოდეს არ მიუქცევია, ზოგჯერ უნდოდა დაკვირვებოდა, მაგრამ რაღაცაზე ჩაფიქრდებოდა და წამიერ ჩაბნელებაზე არანაირი რეაქცია არ ჰქონდა. ამჯერად მზისგან დამცავი სათვალეც კი არ მოიხსნა, გვირაბზე საერთოდ არ ფიქრობდა. მზე კაშკაშა სინათლეს აფრქვევდა და ფანჯრისმიღმა პეიზაჟი გორაკები და ტყეები, იურიის შორეული მთაგრეხილი და პატარა ქალაქების სახლები ოქროსფრად მოჩანდნენ, მაგრამ უეცრად ჩამოწოლილი სიბნელე მოსალოდნელზე მეტხანს გაგრძელდა, კუპეში ყიამეთი სიბნელე იყო, შუქს არ ანთებდნენ, რამდენიმე წამში სინათლის სხივი უნდა შემოჭრილიყო და თან კაშკაშა დღის ოქროსფერი ნათება მოეყოლებინა, თუმცა ჯერ ისევ ბნელოდა. სტუდენტმა მუქი სათვალე მოიხსნა, წიგნის კითხვას მოწყვეტილმა, აშკარად უკმაყოფილო გოგონამ სიგარეტს მოუკიდა. ახალგაზრდამაც ასანთი გაჰკრა და მაჯის საათის განათებულ ციფერბლატზე თვალი მოჰკრა ციფრებს – 18.10. ფანჯარასთან კუთხეში მყუდროდ მოეწყო და თავის აბნეულ სწავლაზე ჩაფიქრდა, მეორე დღის სემინარი გაახსენდა, რომელზე წასვლაც არ უნდოდა. ეცადა საქმე აეწყო, მაგრამ უშედეგოდ. როდესაც საათზე კიდევ ერთხელ დაიხედა, 18.15 იყო და ისევ გვირაბში იყვნენ, ამან ცოტა დააბნია. ნათურები აინთო და კუპე განათდა. ულალთმიანმა გოგონამ წიგნის კითხვა გააგრძელა. მსუქანმა კაცმა კი თავის თავთან ჭადრაკის თამაში, ფანჯრიდან ისევ გვირაბი მოჩანდა. ახალგაზრდა კაცი დერეფანში გამოვიდა. ღია ფერის ლაბადამოსხმული ვიღაც მამაკაცი წინ და უკან დადიოდა და ჰალსტუხს აწვალებდა. სხვა კუპეებში მგზავრები ან გაზეთებს კითხულობდნენ, ან ერთმანეთში საუბრობდნენ. სტუდენტი თავის კუპეში დაბრუნდა და კუთხეში დაჯდა. გვირაბი ყოველ წუთს, ყოველ წამს უნდა დამთავრებულიყო. საათი 18.20-ს უჩვენებდა. ახალგაზრდა კაცი ამან გააღიზიანა: გვირაბი, რომელსაც ადრე ყურადღებას არ აქცევდა, უკვე

თხუთმეტი წუთი გრძელდებოდა და თუ მატარებლის სიჩქარეს გავითვალისწინებთ, შვეიცარიაში ყველაზე დიდი გვირაბი ყოფილა. ეტყობა, სხვა მატარებელში ჩაჯდა, რადგან ვერაფრით გაეხსენებია, რომ მისი მშობლიური ქალაქიდან ოცი წუთის სავალზე ასეთი დიდი და მნიშვნელოვანი გვირაბი არსებობდა. მსუქან მამაკაცს ჰკითხა, ეს მატარებელი ხომ ციურიხში მიდისო და პასუხად დასტური მიიღო. „არ ვიცოდი გზის ამ მონაკვეთზე ამხელა გვირაბი თუ იყო", – თქვა ახალგაზრდამ, რაზეც მოჭადრაკემ გაღიზიანებულმა, რომ მძიმე ამოცანის ამოხსნას უკვე მეორედ მოსწყვიტეს, უპასუხა, რომ, მართალია, შვეიცარიაში პირველად მოგზაურობს, მაგრამ უკვე შეამჩნია – ამ ქვეყანაში ბევრი, ძალიან ბევრი გვირაბია, ამას გარდა ყოველწლიურ სტატისტიკურ გამოცემაში წაიკითხა, რომ ამდენი გვირაბი მსოფლიოში არსად არ არის, ამასთან წუხს, რადგან მეტ ყურადღებას ვერ დაუთმობს, ვინაიდან ნიმცოვიჩის ვარიანტით არის დაკავებული. მოჭადრაკის თავაზიანმა და დარწმუნებულმა პასუხმა ახალგაზრდა კაცი მიახვედრა – ამისგან მეტს ვერაფერს გამოვრჩებიო და გაუხარდა ფერმკრთალი, გამხდარი და თითქოს ნერვიული შესახედაობის კონდუქტორი რომ დაინახა. როდესაც გოგონას ბილეთს ამოწმებდა, გაირკვა, რომ ოლტენში უნდა გადამჯდარიყო. სტუდენტმა ისევ გაიფიქრა, აშკარად სხვა მატარებელში მოვხვდიო. „ნუ ღელავთ, ყველაფერი რიგზეა", – ბილეთის ნახვისას თქვა კონდუქტორმა. „კი მაგრამ, ჩვენ ისევ გვირაბში მივდივართ!" გაღიზიანებული ხმით წამოიყვირა ახალგაზრდამ, გადაწყვიტა საბოლოოდ გაერკვია ეს დახლართული სიტუაცია და ჯიუტად გაიმეორა – „აგერ უკვე ოცი წუთია გვირაბში ვართ". – კონდუქტორმა აშკარად ვერაფერი ვერ გაიგო. „ეს მატარებელი ციურიხში მიდის – ფანჯარას გახედა და გაიმეორა მან – თვრამეტი საათი და ოცი წუთი – ცოტა შეშფოთებულმა განაგრძო – მალე ოლტენში შევალთ. ჩასვლა თვრამეტი და ოცდაჩვიდმეტი. იქნებ ამინდი შეიცვალა, ქარბორბალა ამოვარდა და იმიტომ ბნელა?" – „სისულელეა. აღშფოთებული ჩაერია ნიმეცოვიჩის ვარიანტით გართული კაცი, რადგან კონდუქტორს ბილეთი დიდხანს ეკავა და მას არავითარ ყურადღებას არ აქცევდა. – სისულელეა, გვირაბში მივდივართ, კლდეების გარჩევაც კი შეიძლება. მგონი გრანიტია. შვეიცარიას გვირაბების რაოდენობით მსოფლიოში პირველი ადგილი უკავია. ყოველწლიურ სტატისტიკურ

გამოცემაში ამოვიკითხე". როგორც იქნა, კონდუქტორმა ბილეთი დაუბრუნა, თან მუდარაგარეული ხმით დაუმატა, მატარებელი ნამდვილად ციურიხში მიდისო. სტუდენტმა მატარებლის უფროსის ნახვა მოისურვა. შემადგენლობის თავშიაო, უპასუხა კონდუქტორმა და თან დაამატა კვირაში სამჯერ ამ მატარებელს დავყვები და ნაღდად ციურიხში მიდისო. ახლა თვრამეტი საათი და ოცდახუთი წუთია. ზაფხულის განრიგის თანახმად თორმეტ წუთში ოლტენში ვიქნებითო. ახალგაზრდა კაცი კონდუქტორს გაჰყვა. გაძეძგილ კუპეებში გავლა ახლა უფრო რთული შეიქნა, რადგან მატარებელი ძალიან ჩქარა მიდიოდა, თან ისეთი ხმაური იყო, საკუთარ ნათქვამს ვერ გაიგონებდი. სტუდენტმა ყურებში ბამბის ტამპონები ჩაილაგა, რომლებსაც ყოველი შემთხვევისათვის მუდამ თან დაატარებდა. ადამიანები, ვის გვერდით გაელაც მოუწია, როგორც ყველა სხვა მატარებელში, მშვიდად იყვნენ და ერთ შეშფოთებულ მზერასაც კი ვერ წააწყდა. მეორე კლასის ერთი ვაგონის დერეფანში, ფანჯარასთან ინგლისელი იდგა, ყალიონს აბოლებდა და თითებს მინაზე უდარდელად აკაკუნებდა. „სიმპლონი"[1] – თქვა მან. ვაგონ-რესტორანშიც ყველაფერი ჩვეულებრივად გამოიყურებოდა: არც ერთი თავისუფალი ადგილი. ნუთუ ვერცერთმა ოფიციანტმა ან მგზავრმა ვერ შეამჩნია, რომ გვირაბი უსაშველოდ გრძელია? მატარებლის უფროსი ახალგაზრდა კაცმა ვაგონ-რესტორნის გასასვლელთან შეამჩნია (სტუდენტმა წითელი ჩანთით იცნო). „რა გნებავთ?" – შეეკითხა მატარებლის უფროსი, მშვიდი, მაღალი ტანის მამაკაცი, სათუთად მოვლილი ულვაშებით. „უკვე ოცდახუთი წუთია, რაც გვირაბში ვართ" – უთხრა სტუდენტმა. ახალგაზრდა კაცმა იფიქრა ახლა ფანჯრისკენ შეტრიალდებაო, მაგრამ კაცმა ოფიციანტს გასძახა: „თუ შეიძლება „შახტელ ორმონდ-10" მომეცით, ეს ბატონი და მე ერთნაირ სიგარებს ვეწევით". ასეთი სიგარები არ აღმოჩნდა. სტუდენტმა იფიქრა დაახლოების მიზეზი ვიშოვეო და მატარებლის უფროსს „ბრაზილი" შესთავაზა. „გმადლობ, მიიღო პასუხად, – არა მგონია ოლტენში სიგარების ყიდვა მოვასწრო, ძალიან დამეხმარეთ. თამბაქოს გარეშე არ შემიძლია, თუ არ შეწუხდებით, იქნებ გამომყვეთ?" კაცმა სტუდენტი საბარგო განყოფილებაში გაიყვანა, რომელიც პირდაპირ ვაგონ-რესტორანს მოსდევდა. „ამის შემდეგ ლოკომოტივია – თქვა მან. – შემადგენლობის თავში

[1] სიმპლონი – 19,5 კილომეტრი სიგრძის გვირაბი, შვეიცარიასა და იტალიას შორის

ვართ“. საბარგო განყოფილებაში სუსტი ყვითელი შუქი ბჟუტავდა, პატარა ფანჯრების რკინის ცხაურებიდან გვირაბის მქროლავი სიბნელე იგრძნობოდა: გარშემო სასტუმროს იარლიყიანი ჩემოდნები,რამოდენიმე ველოსიპედი და ერთი საბავშვო ეტლი იდგა. მატარებლის უფროსმა წითელი ჩანთა საკიდურზე ჩამოკიდა. „მაინც რა გინდოდათ?“ – სტუდენტისთვის არც კი შეუხედავს, ისე ჰკითხა და თან ჩანთიდან ამოღებულ რვეულში ცხრილის შევსება დაიწყო. „ბურგდორფიდან გამოსვლისთანავე გვირაბში ვართ – თქვა ახალგაზრდა კაცმა – ამხელა გვირაბი ამ გზაზე არ არის, ყოველ კვირა აქ დავდივარ და ვიცი“. მატარებლის უფროსმა წერა გააგრძელა. „პატივცემულო ბატონო, – როგორც იქნა უპასუხა და თან ისე მიუახლოვდა, რომ მათი სხეულები ლამის ერთმანეთს შეეხო – პატივცემულო ბატონო, თითქმის ვერაფერს ვერ გეტყვით. რა მოხდა ამ გვირაბში – არ ვიცი. არანაირი ახსნა არ გამაჩნია. თავად განსაჯეთ: რელსებზე მივდივართ, გვირაბი სადმე უნდა დამთავრდეს. არ გამოვრიცხავ, რომ ამ გვირაბს რაღაც სჭირს, გარდა იმისა, რომ არ მთავრდება“. სიგარა ისევ კბილებით ეჭირა, მაგრამ არ ეწეოდა, ძალიან ხმადაბლა საუბრობდა, მაგრამ იმდენად თავდაჯერებულად და მკაფიოდ, რომ ყველა მისი სიტყვა გასაგები იყო, თუმცა საბარგო განყოფილებაში ხმაური უფრო ძლიერი იყო, ვიდრე ვაგონ-რესტორანში. „გთხოვთ, მატარებელი გააჩეროთ – მოუთმენლად განაცხადა ახალგაზრდა კაცმა – თქვენი ნათქვამიდან ვერც ერთი სიტყვა ვერ გავიგე, და თუ გვირაბს რაიმე სჭირს, და ახსნას ვერ პოულობთ, ვალდებული ხართ მატარებელი გააჩეროთ“. – „მატარებელი გავაჩერო? – ნელა გაიმეორა მატარებლის უფროსმა – ამაზე მეც ვიფიქრე“ (რვეული დახურა, საკიდარზე მოქანავე წითელ ჩანთაში ჩადო და სიგარას მოუკიდა). „მაშინ სამუხრუჭე ონკანის გადმოწევა მოგვიწევს“ თქვა სტუდენტმა და სამუხრუჭე ონკანის გადაწევა დააპირა, მაგრამ წონასწორობა დაკარგა და ვაგონის კედელს მიენარცხა. საბავშვო ეტლი დაიძრა და ჩემოდნებიც ერთმანეთის მიყოლებით ჩამოცურდნენ. წინგაშვერილი ხელებით, უცნაურად მოქანავე მატარებლის უფროსმა საბარგო განყოფილება გაიარა და ვაგონის წინა კედელთან სტუდენტის გვერდით რომ აღმოჩნდა, თქვა: „ქვევით ვეშვებით“. მაგრამ ვაგონები ერთმანეთს არ შეჯახებია. ისეთი შეგრძნება იყო, თითქოს მატარებელი გაჩერდა და ვაგონების გასწვრივ

გვირაბი გარბოდა. საბარგო განყოფილების ბოლოში კარი გაიღო და სანამ მიიხურებოდა, განათებულ ვაგონ-რესტორანში გამოჩნდა ხალხი, რომელიც სვამდა და საუბრობდა. „ლოკომოტივში გადავიდეთ“ – თქვა მატარებლის უფროსმა და სტუდენტს გახედა, მის ხმაში უცნაური მუქარა იგრძნობოდა, შემდეგ კარი გამოაღო, მაგრამ ჰაერის ძლიერმა ტალღამ ისევ კედელზე მიანარცხა. იმავდროულად ორივემ იგრძნო, როგორ უცნაურად შექანდა საბარგო ვაგონი. „სამანქანო ნაწილში უნდა გავაღწიოთ!“ ყურში ჩაყვირა სტუდენტს მატარებლის უფროსმა და კარის მართკუთხა ჭრილში გაუჩინარდა. სტუდენტი მაშინვე უკან მიჰყვა, თუმცა ვერაფრით ვერ გაეგო რა ხდებოდა. რკინის მოაჯირს ჩაჭიდებული, ვაგონის ღია ნაწილში გავიდა. ძლიერი ქარი უკან ექაჩებოდა, საშინელ გვირაბთან სიახლოვეზე რომ არ ეფიქრა, ახალგაზრდა ცდილობდა მთელი ყურადღება ლოკომოტივზე გადაეტანა. ბორბლების ძაგძაგი და ჰაერის სტვენა რომ ესმოდა, ეგონა კოსმოსური სიჩქარით ქვის სამყაროში მივექანებიო. ქვევით ღია პლატფორმასა და ლოკომოტივს შორის ვიწრო გასასვლელს ხედავდა. ლოკომოტივამდე რომ მიეღწია, მისი გამოთვლით ერთ მეტრზე უნდა გადამხტარიყო. გადახტა და რკინის მოაჯირს ჩაბღაუჭებული კედელ-კედელ წინ წავიდა. მატარებლის უფროსმა სამანქანო განყოფილებაში შეათრია. გაწამებული სტუდენტი კედელს მიეყრდნო; სამანქანო განყოფილებაში უჩვეულო სიჩუმე იდგა. უშველებელი ლოკომოტივის ფოლადის კედლები ხმას ახშობდა და როდესაც მატარებლის უფროსმა კარი მიკეტა, ხმაური ძლივსღა მოისმოდა. „სიგარებიც დავკარგეთ, – თქვა მან – თუ კოლოფში არ დევს, ადვილად იმტვრევა“. ახალგაზრდა კაცი, კლდეებთან სარისკო სიახლოვის შემდეგ, მოხარული იყო რამე ისეთს შეხებოდა, რაც დააბრუნებდა ჩვეულ ცხოვრებასთან, სადაც ნახევარი საათის წინ იმყოფებოდა. იმავე დღესა და წელს, მანამ სანამ დედამიწის ცენტრისკენ ვარდნის საშინელებას შეიგრძნობდა. შარვლის მარჯვენა ჯიბიდან ყავისფერი კოლოფი ამოიღო. მატარებლის უფროსს სიგარა კიდევ შესთავაზა და თავადაც მოუკიდა. „მომწონს ეს სიგარები, – თქვა კაცმა – ოღონდ ღრმა ნაფაზი უნდა დაარტყა, ისე გემოს ვერ შეიგრძნობ“. ამ სიტყვებმა სტუდენტს უნდობლობა გაუღვიძა, იგრძნო რომ მატარებლის უფროსი გაურბოდა ფიქრს გვირაბზე, რომელიც მათ გარედან თავს

ახსენებდა. (ჯერაც არსებობდა იმედის ნაპერწკალი, რომ გვირაბი ისევე უცებ დასრულდებოდა, როგორც სიზმარი მთავრდება ხოლმე). „თვრამეტი საათი და ორმოცი წუთი – განათებულ ციფერბლატიან საათს დახედა და თქვა სტუდენტმა – ახლა ოლტენში უნდა ვიყოთ“. – თან კაშკაშა მზით მოოქროვილ გორაკებსა და ტყეებზე გაიფიქრა, რომელთა ხედითაც სულ ცოტა ხნის წინ ტკბებოდა. სამანქანო განყოფილების კედელს მიყუდებული ორი ადამიანი იდგა და ეწეოდა. „კელერი მქვია“ – თქვა მატარებლის უფროსმა და ნაფაზი დაარტყა. ახალგაზრდა კაცი დანებებას არ აპირებდა. „სამანქანო განყოფილებამდე მოღწევა არც თუ ისე უხიფათო იყო, ყოველ შემთხვევაში ჩემთვის – შენიშნა მან – აქ რისთვის მომიყვანეთ?“ კელერმა უპასუხა, რომ თავადაც არ იცის, უბრალოდ, მოფიქრებისთვის დროის მოგებას ცდილობდა. „დრო მოფიქრებისთვის“... გაიმეორა სტუ-დენტმა. „ჰო, – ასეა“, თქვა მატარებლის უფროსმა და მოწევა გააგრძელა. მანქანა თითქოს ისევ დაღმა დაეშვა. „შეგვიძლია მემანქანის კაბინაში შევიდეთ“ – შესთავაზა კელერმა. ახალგაზრდა კაცი დერეფანს გაუყვა, მაგრამ კელერი ადგილიდან არ დაძრულა. როდესაც სტუდენტმა კარი გამოაღო თქვა – „ცარიელია, მემანქანის ადგილი ცარიელია“. კაბინაში შეეიდნენ. იდგნენ და ქანაობდნენ, რადგან ლოკომოტივი საშინელი სისწრაფით მატარებელს გვირაბის სიღრმეში მიაქანებდა. „ა, ბატონო“, – თქვა მატარებლის უფროსმა და რაღაც სახელურს დააწვა, შემდეგ სამუხრუჭე ონკანი გამოსწია. მანქანა არ ემორჩილებოდა. როგორც კი იგუმანეს რაღაც უჩვეულო ხდებაო, ყველაფერი იღონეს, რომ გაეჩერებინათ. მაგრამ მანქანა ვერ დაიმორჩილეს“. „სულ წინ ივლის... – თქვა სტუდენტმა და სიჩქარის საზომს დახედა – ას ორმოცდაათი. ოდესმე მატარებელს ასე ჩქარა უვლია?“ – „ღმერთო ჩემო, – თქვა მატარებლის უფროსმა – ასეთი სიჩქარე წარმოუდგენელია: ას ორმოცდაათი?!“ – „მეტი – თქვა სტუდენტმა – სისწრაფე მატულობს. უკვე ას ორმოცდათვრამეტია. ვვარ-დებით“. ფანჯარასთან მივიდა, მაგრამ თავი ვერ შეიმაგრა და სახით ფანჯრის მინას აეკრა – „ლოკომოტივის მემანქანე სად არის?“ – იყვირა მან და მის გარშემო პროჟექტორების ხასხასა შუქზე მქროლავ კლდეებს მიაშტერდა. „გადახტა“. პასუხად გასძახა მატარებლის უფროსმა და იატაკზე დაეშვა. „როდის?“ – ჰკითხა სტუდენტმა. კელერმა შეიცადა, მერე ისევ

მოწევა განაგრძო. „ხუთი წუთიც არ იყო გასული – უპასუხა მან. – ყველას გადარჩენაზე ფიქრი უაზრობა იყო. საბარგო მატარებლის მორიგეც გადახტა“. – „თქვენ?“ – შეეკითხა სტუდენტი. – „მე მატარებლის უფროსი ვარ – უპასუხა მან, – თან ყოველთვის იმედის გარეშე ვცხოვრობდი“. – „იმედის გარეშე“... უფსკრულის თავზე, შუბლით მინაზე მიჭყლეტილმა გაიმეორა ახალგაზრდა კაცმა. „გამოდის, კუპეებში როცა ვისხედით წარმოდგენაც არ გვქონდა, რომ ჩვენთვის ყველაფერი დამთავრებულია – გაიფიქრა მან – არაფერი არ მიგვანიშნებდა იმაზე, რომ მატარებელი სიღრმეში, უფსკრულისკენ მიექანება“. „უკან უნდა გავბრუნდე – იყვირა მატარებლის უფროსმა – ვაგონებში ხალხი დაბნეული იქნება, შეიძლება არეულობა დაიწყოს“. – „რა თქმა უნდა“ – უპასუხა სტუდენტმა და მსუქანი მოჭადრაკე და ჟღალთმიანი გოგონა გაახსენდა, თავისი წიგნით. კელერს „ორმონდ ბრაზილი-10“-ის კოლოფი გაუწოდა: „აიღეთ, სანამ უკან დაბრუნდებით, სიგარას კიდევ დაკარგავთ“. ახალგაზრდასაც ხომ არ სურს უკან დაბრუნებაო, შეეკითხა მატარებლის უფროსი, მერე ძალ-ღონე მოიკრიბა და დერეფანში გაჭირვებით გააღწია. ახალგაზრდა კაცი უსარგებლო საგნებს უყურებდა, უაზრო სახელურებსა და გამომრთველებს, რომლებიც კაბინის შუქზე ვერცხლისფრად ელვარებდნენ. „ორას ათი – არა მგონია ასეთ სიჩქარეზე ვაგონებამდე მიაღწიოთ“. – „ეს ჩემი მოვალეობაა“. – უპასუხა მატარებლის უფროსმა. „რა თქმა უნდა“. – გამოეპასუხა სტუდენტი, თუმცა, კარგად ესმოდა, რამდენად უნაყოფო იყო ეს მცდელობა“. „უნდა ვეცადო მაინც“. უკვე დერეფნიდან შემოსძახა კელერმა. მუხლებითა და იდაყვებით მეტალის კედელზე დაყრდნობილი მიხოხავდა. ლოკომოტივი თაებრუდამხვევი სისწრაფით ქვევით მიექანებოდა, რათა დედამიწის წიაღამდე ეს უცნაური და საშინელი ვარდნა ყოველივე არსებულის საბოლოო მიზნამდე მიეყვანა. ძლიერმა დარტყმამ კელერი პირდაპირ სტუდენტთან ჩამოაგორა, რომელიც ძალაგამოცლილი წინა საქარე მინის ქვეშ პირქვე იწვა. კელერმა გასისხლიანებული სახე მოიწმინდა, მართვის პულტს დაეყრდნო, რომ წამოწეულიყო. ახალგაზრდა კაცს მხრებზე მოეხვია და მის გვერდით გაიშოტა. „რა უნდა გავაკეთოთ?“ ყურში ჩაჰყვირა ახალგაზრდას. სტუდენტის მსუქანი სხეული უსიცოცხლო და გამოუსადეგარი ეჩვენა, ეს სხული უკვე აღარ იყო ფრთხილი, უფსკ-

რულის პირას გაუნძრეველად იწვა და ამ უფსკრულში ცხოვრებაში პირველად ფართოდ გახელილი თვალებით იყურებოდა. „რა გავაკეთოთ?! – არაფერი“, – უსიცოცხლოდ უპასუხა ახალგაზრდამ ისე, რომ სასიკვდილო სპექტაკლისათვის თვალი არ მოუცილებია. ქარის ძლიერმა ტალღამ დააბზრიალა და მაღლა აიტაცა ბამბის ტამპონები, ცოტა ხნის წინ ყურებში რომ გაიკეთა – მერე გვერდითი ფანჯარა გაიბზარა. – „არაფერია, ღმერთმა მიგვატოვა, მიგვაგდო, ჩვენ კი მაღლა, მისკენ მივემართებით“.

თარგმნა თამაზ ჩიქვანაიამ

ტრუმენ კაპოტე

30.09.1924 — 25.08.1984

ცნობილი ამერიკელი პროზაიკოსი, პუბლიცისტი; ბავშვობის წლები სამხრეთში გააცარა. მშობლები ადრე დაცილდნენ ერთმანეთს, იშვილა მამინაცვალმა, მდიდარმა კაებელმა ბიზნესმენმა და თავისი გვარი მისცა. დაწყებითი განათლება ნიუ-იორკისა და გრინვიჩის სკოლებში მიიღო, წერა ძალიან ადრე დაიწყო — 9 წლისა უკვე აგზავნიდა ნოველებს მოზარდთა ლიტერატურულ კონკურსებზე, 17 წლისა ჟურნალ „ნიუ-იორკერში" იწყებს მუშაობას და მალე პროფესიონალი ლიტერატორი ხდება. მისი პირველი დიდი პუბლიკაცია იყო რომანი „სხვა ხმები, სხვა ოთახები" (1948). შემდგომ გამოდის ნოველების კრებული „ღამის ხე" (1949), ვრცელი მოთხრობები „ტყის არფა" (1951) და „საუზმე ტიფანისთან" (1958), დოკუმენტალური წიგნი „გულ-გრილად" (1966), კრებული „მუსიკა ქამელეონებისათვის" (1980); კეპოტეს წიგნები არაერთგვაროვანია თემებისა და მხატვრულ ხერხთა გამოყენების თვალსაზრისით, მის ადრეულ ნაწარმოებებს განსაკუთრებით ძლიერ ეტყობა ედგარ პოსა და უილიამ ფოლკნერის გავლენა. რომანისათვის „სხვა ხმები, სხვა ოთახები", რომლის ყმაწვილი გმირი შეიცნობს ცხოვრების ტრაგიზმს, მოხვდება რა აჩრდილებითა და საშინელებებით სავსე სახლში, დამახასიათებელია სიურეალისტური ტენდენციები, ფროიდისეული სიმბოლიკა. „სამხრეთული სკოლისათვის" ტიპური გოთიკური მოტივები, გროტესკი და ფანტასმაგორია. როგორც კრიტიკოსები აღნიშნავენ, კეპოტის ყველა გმირი, როგორც წესი, მარტოხელა მეოცნებენი არიან, რომლებიც სულისშემხუთველ რეალობიდან ბავშვობის, ბუნების, ფანტაზიის სამყაროში გარბიან, თუმცა უშედეგოდ, რადგან „საყოველთაო სიყვარული", რომელშიაც მწერალი კაცობრიობის ყველა უბედურებისაგან ხსნას ხედავს, მიუღწეველია ადამიანთა თანამედროვე საზოგადოებისათვის. „ვწერდი იმიტომ, რომ თავი დამეღწია მარტოობის განცდისაგან" — აღიარებდა კეპოტე ერთ ინტერვიუში და ეს მნიშვნელოვანი აღიარებაა: მარტოობა და აღქმის სიმძაფრე, ალბათ ყველაზე მთავარი სიტყვებია კეპოტე რომ გავიგოთ.

მირიამი

მისის ჰ. ტ. მილერი დიდი ხნის ქვრივი იყო. იგი მარტო ცხოვრობდა თავის მყუდრო ოროთახიან ბინაში, ყავისფერი ქვის სახლში, მდინარის ახლოს. ბინის ფანჯრები მდინარეს აღმოსავლეთით გადაჰყურებდა. ქმრის, მისტერ ა.ფ. მილერის, სიკვდილის შემდეგ მისის მილერს საკმაოდ დიდი თანხა დარჩა, მაგრამ ახლა მას დიდად არაფერი აინტერესებდა. არც მეგობრები ჰყავდა, არც ნათესავები. გარეთ იშვიათად გამოდიოდა, და თუ გამოვიდოდა, ქუჩის კუთხეში სურსათის მაღაზიას არ გასცდებოდა, მესობლები კი თითქმის ვერ ამჩნევდნენ. მისის მილერის გარეგნობა მისი ცხოვრების სარკე იყო: ჭაღარა, ოდნავ ტალღისებური თმა სადად ჰქონდა დავარცხნილი და უკან დამაგრებული. მისი მკაცრი სახის ნაკვთები სრულებით არ იპყრობდნენ ყურადღებას. არც ფერუმარილს ხმარობდა. ახლახან მას სამოცდაერთი წელი შეუსრულდა. მისის მილერი თითქმის არასოდეს იყო უსაქმოდ. თავისი ორი ოთახი მუდამ დაკრიალებული და დალაგებული ჰქონდა. სადილს თვითონ იმზადებდა, გულდაგულ უელიდა იადონს და იშვიათად ეწეოდა სიგარეტს.

შემდეგ იგი მირიამს შეხვდა. იმ ღამეს თოვდა, ის იყო ვახშმობის მერე საინების გაშრობა დაამთავრა და გაზეთს ათვალიერებდა, რომ ფილმის რეკლამას მოჰკრა თვალი, სათაური მოეწონა. კინოთეატრი იქვე იყო,

ყურის ძირში. არ დააყოვნა, ბეწვის პალტოში გაეხვია, კალოშები ჩაიცვა, მოსაცდელში სინათლე ანთებული დატოვა და სახლიდან გავიდა. გარეთ, სიბნელის გარდა, ყველაფერი სიამოვნებას გვრიდა.

ფიფქები დათოვლილ ტროტუარზე ჩუმად ეცემოდა და ქრებოდა, მდინარის მხრიდან ცივი ქარი უბერავდა. თავჩაღუნული მისის მილერი ქუჩაში მიიჩქაროდა, წუთით ფარდულთან შეჩერდა, ცოტაოდენი ნამცხვარი იყიდა და გზა განაგრძო.

კინოთეატრის სალაროსთან გრძელი რიგი იდგა. მისის მილერი რიგში ჩადგა.

— ალბათ, დასაჯდომი ადგილები აღარ მოგვიწევს, — ჩაილაპარაკა ვიღაცამ დაღლილი ხმით. მისის მილერმა ხელჩანთა გახსნა და ზუსტად იმდენი ამოიღო, რამდენიც ბილეთს სჭირდებოდა. რიგი ნელ-ნელა მიიწევდა. რომ არ მოეწყინა, მისის მილერი აქეთ-იქით იხედებოდა და გამვლელებს ათვალიერებდა. უცებ იქვე ახლოს, სვეტთან, პატარა გოგონა შეამჩნია.

გოგონას თითქმის თეთრი, ზოლებად ჩამოშლილი თმა სინათლეზე ვერცხლივით უბზინავდა. ნაზი და გამხდარი იყო. ხავერდის საყელოიანი მოხდენილი პალტო ეცვა. პატარა ხელებით დოინჯი შემოეწყო და ოდნავ მოხრილი ცალი ფეხით სვეტს მიყრდნობილი ლამაზად იდგა. მან მისის მილერისაკენ გამოიხედა. ქალმა უცნაური აღელვება იგრძნო და გაუღიმა. გოგონა მისკენ წამოვიდა.

— ხომ არ დამეხმარებით, მე მინდა, რომ...

— სიამოვნებით, თუ შემიძლია, — უპასუხა მისის მილერმა.

— ძალიან მადლობელი ვიქნები, ბილეთს თუ მიყიდით, ხომ იცით, მარტო არ შემიშვებენ. აი, ინებეთ ფული, — თქვა გოგონამ და ორივე ხელით ფული ისე გაუწოდა, თითქოს ღმერთს ევედრებოდა.

კინოთეატრში ერთად შევიდნენ. კონტროლიორმა მათ ბილეთები მოუხია და უთხრა, მოსაცდელ დარბაზში კიდევ ოც წუთს იქნება კინოქრონიკის ჩვენებაო.

— თავს ნამდვილ დამნაშავედ ვგრძნობ, — ღიმილით თქვა მისის მილერმა. — ასეთი რამის გაკეთება კანონით არ შეიძლება. თუმცა დიდი არაფერი მომხდარა. ჰო, მართლა, დედაშენმა ხომ იცის, სადაც ხარ? ა? იცის თუ არა?

გოგონამ არ უპასუხა. პალტოს ღილები შეიხსნა და კალთები გვერდზე გადაიწყო. ლამაზ ყელზე შემოხვეულ ოქროს ძეწკვის რგოლებს პატარა თითებს ისე უთათუნებდა, თითქოს სალამურს უკრავსო.

ახლა მისის მილერმა გოგონა უფრო ყურადღებით შეათვალიერა და მიხვდა, მას თმები კი არ ჰქონდა განსაკუთრებული, არამედ უშველებელი, გონიერი, გამჭრიახი თვალები, რომლებიც ისე გამოიყურებოდნენ მის პატარა სახეზე, რომ არც კი იფიქრებდი, ბავშვი გიცქერისო.

მისის მილერმა გოგონას ნამცხვარი შესთავაზა.

— რა გქვია, გენაცვალე?

— მირიამი, — ისეთი ხმით უპასუხა გოგონამ, თითქოს გაუკვირდა, ჩემი სახელი როგორ არ იცისო.

— ჰმ, რა სასაცილოა, მეც მირიამი მქვია. საერთოდ ეს სახელი არ არის ძალიან გავრცელებული. არ თქვა, ჩემი გვარიც მილერი არისო.

— არა.

— სასაცილოა, ნამდვილად სასაცილოა.

— ნამდვილად! — თქვა მირიამმა და ნამცხვარს უკბიჩა.

მისის მილერი გაწითლდა, წამით აწრიალდა ადგილზე.

— ასე პატარა ხარ და ენა კი კარგად გიჭრის.

— მართლა?!

— დიახ, დიახ, — უთხრა მისის მილერმა და იმწამსვე ყურადღება სხვა რამეზე გადაიტანა. — გიყვარს კინო? — ჰკითხა მირიამს.

— კინოში არასოდეს ვყოფილვარ, — უპასუხა მირიამმა.

— ჰოო... — მისის მილერმა სკამის საყრდენზე თითები აათამაშა. ეკრანზე ბომბები ფეთქდებოდა. მიდიოდა კინოქრონიკა. მისის მილერი ადგა, საფულე იღლიაში ამოიდო და თქვა: — ახლა სჯობს ვიჩქარო, რომ ადგილი ვიშოვნო, ვიდრე ფილმი დაიწყებოდეს. ძალიან მესიამოვნა შენი გაცნობა...

მადლობის ნიშნად მირიამმა ოდნავ დაუკრა თავი.

მთელი კვირა თოვდა. ქუჩაში ავტომობილების და ხალხის ხმაური აღარ ისმოდა, თითქოს საქმიანმა ცხოვრებამ საიდუმლოდ გადაინაცვლა, თხელი, მაგრამ გაუმჭვირვალე ფარდის უკან. თოვლში ცა და დედამიწა ერთმანეთს შერწყმოდა. თოვლის ფიფქები ეფინებოდა ფანჯრებს, აციებდა სახლებს, მარხავდა და არინდებდა ქალაქს.

მისის მილერს შუქი მთელი დღე ენთო ოთახში. ეეღარ გაეგო, დღე იყო თუ ღამე, პარასკევი თუ შაბათი. კვირას მისის მილერი სურსათის მაღაზიაში წავიდა. მაღაზია დაკეტილი დახვდა. საღამოს კვერცხი ათქვიფა, პამიდვრის წვენი დაასხა და მარილი დაუმატა. ფანელის ხალათი მოიხურა, სახეზე გამაგრილებელი კრემი წაისვა, ლოგინში შეწვა და ფეხებთან

ცხელი წყლით სავსე ბოთლი დაიდო. „ტაიმსს“ კითხულობდა, როცა ზარმა დარეკა. ჯერ გაიფიქრა, ალბათ, შეცდომით რეკავენო, მაგრამ ზარის ხმა არ წყდებოდა. ვიღაც დაჟინებით რეკდა. მისის მილერმა საათს დახედა. თორმეტი იყო დაწყებული. ათისთვის კი მას ყოველთვის ეძინა. ნუთუ ასე გვიანია. შეუძლებელია. ნელ-ნელა წამოდგა ლოგინიდან.

— მოითმინეთ, მოითმინეთ, მოვდივარ, — დაიძახა. სასადილო ოთახი ფეხშიშველმა გაიარა და საკეტი გადაატრიალა, ზარი კი წკრიალებდა და წკრიალებდა. — გეყოფათ ამდენი რეკვა, — გასძახა და კარი ოდნავ გამოაღო. — რა მოხდა, ღმერთო ჩემო, რა ამბავია?

— გამარჯობათ, — მიესალმა მირიამი.

— აა, ეს შენა ხარ, — უთხრა მისის მილერმა ხმადაბლა და კარი უფრო ფართოდ გააღო.

— მე კი მეგონა, არ გამიღებდით. ვიცოდი, სახლში იყავით და ზარის ღილაკს თითი არ მოეაშორე. ხომ გაგეხარდათ რომ მოვედი?

მისის მილერი დაიბნა. არ იცოდა, რა ეპასუხნა. შეამჩნია, რომ გოგონას ისევ ის პალტო ეცვა, თავზე ბერეტი ეხურა, ორ პატარა, წნელივით ნაწნავზე თეთრი დიდი ბაფთა კოხტად ეკეთა.

— რამდენი ხანია აქ ვდგავარ, ბოლოს და ბოლოს, შემომიშვებთ თუ არა? — თქვა მირიამმა.

— ახლა რომ ძალიან გვიანია?!

მირიამი სიბნელეში ქალის სახეს თითქმის ვერ ხედავდა.

— მერედა ამას რა მნიშვნელობა აქვს! შემომიშვით, აქ ძალიან ცივა, თანაც აბრეშუმის კაბა მაცვია.

მირიამმა ქალის ხელი მორიდებით გასწია და ოთახში შევიდა. გოგონამ პალტო და ბერეტი სკამზე დაყარა. აბრეშუმის ქათქათა კაბა აშრიალდა. აბრეშუმის კაბა — თებერვალში! გრძელსახელოიანი კაბა ლამაზად იყო შეკერილი. მირიამმა ოთახში გაიარ-გამოიარა:

— ო, როგორ მომწონს თქვენი ბინა. რა კარგი ხალიჩაა, ლურჯი ყველა ფერს მირჩევნია, — თქვა მირიამმა და ყავის მაგიდაზე საყვავილეში ჩადგმულ ქაღალდის ვარდს თითით შეეხო. — ხელოვნურია, — დაუმატა, სავარძელში ჩაჯდა და კაბა გაისწორა.

— რა გინდა, რისთვის მოხვედი? — ჰკითხა მისის მილერმა.

— დაბრძანდით, მისის, ძალიან არ მიყვარს, როცა ვინმე ფეხზე დგას.

– რა გინდა, გეკითხები! – გაიმეორა მისის მილერმა და იქვე რბილ სკამზე ჩამოჯდა.

– თითქოს არ გაგეხარდათ ჩემი მოსვლა.

მისის მილერმა ამჯერადაც არ იცოდა რა ეთქვა. მერე უაზროდ გააქნია ხელი. მირიამი სავარძლის ზურგს მიაწვა და ჩაიხითხითა. მისის მილერმა ახლა შენიშნა, რომ გოგონას არც ისე მკრთალი სახე ჰქონდა.

– საიდან გაიგე, რომ აქ ვცხოვრობ?

– ეგ არაა ძნელი. თქვენც ხომ მირიამი გქვიათ.

– კი, მაგრამ ჩემი გვარი ტელეფონების სააბონენტო წიგნში რომ არ არის?

– ო, მოდით სხვა რამეზე ვილაპარაკოთ.

მისის მილერმა დაიწყო:

– დედაშენი გიჟი თუ არ არის, როგორ გიშვებს მარტოკას ამ შუაღამეში სახეტიალოდ? ისიც ასეთ სასაცილო ტანსაცმელში. ნამდვილად გაგიჟებულა ის საცოდავი.

მირიამი ადგა და ოთახის კუთხისაკენ გაემართა, სადაც ჯაჭვზე დაკიდებულ გალიაში იადონი იყო, ფეხის წვერებზე შედგა და გალიაში შეიხედა.

– იადონი! რა ლამაზია, შეიძლება გავაღვიძო? მისი სიმღერა მინდა მოვისმინო, – თქვა აღტაცებულმა მირიამმა.

– არ გაბედო, ნუ აწუხებ ტომს! – უპასუხა გაჯავრებული ხმით ქალმა.

– ჰო, არ გავაღვიძებ, მაგრამ არ მესმის, რატომ არ შეიძლება მისი სტვენა რომ მოვისმინო? – თქვა და შემდეგ იკითხა: – არაფერი გექნებათ, რომ ვჭამო? ძალიან მშია, თუნდაც რძე იყოს, ან ბუტერბროდი.

– ყური დამიგდე, რა გითხრა, – უთხრა მისის მილერმა და რბილი სკამიდან წამოდგა, – შენ ხომ ჭკვიანი გოგო ხარ, მოგცემ საჭმელს და როგორც კი შეჭამ, შინ გაიქეცი. პირველი საათი დაიწყო.

– ცივა, თოვს, სიბნელეა. აბა, როგორ წავიდე?

– აქ იმისთვის არ უნდა მოსულიყავი, რომ... – აღარ დაამთავრა მისის მილერმა. თავი შეიკავა, არ უნდოდა ძალიან გაელანძღა გოგონა, – მე ხომ ვერ შევცველი ამინდს, თუ გინდა საჭმელი გაჭამო, სიტყვა მომეცი, რომ როგორც კი შეჭამ, მაშინვე შინ წახვალ.

მირიამმა ლოყაზე ჩამოშლილი თმები გაისწორა. ჩაფიქრდა. ისეთი გამომეტყველება ჰქონდა, თითქოს მისის მილერის ნათქვამი აუცილებლად უნდა აეწონ-დაეწონა. შემდეგ სწრაფად მობრუნდა გალიისკენ და თქვა:

— კარგი, პირობას გაძლევთ, რომ წავალ.

რამდენი წლის იქნება? ათის? თერთმეტის? მისის მილერმა სამზარეულოში მურაბის ქილას თავი მოჰხადა, პური მოჭრა. ჭიქაში რძე ჩაასხა და სიგარეტს მოუკიდა. „ნეტა რატომ მოვიდა?“ როცა ასანთი სიგარეტთან მიიტანა, ხელი აუკანკალდა. ასანთი ენთო, ვიდრე ალმა თითები არ დაუწვა. გალიაში იადონი ისე სტვენდა, როგორც დილაობით იცოდა ხოლმე.

— მირიამ, — დაუძახა მისის მილერმა, — ხომ გითხარი, ტომს ხელს ნუ ახლებ-მეთქი! — არავინ უპასუხა. ისევ დაუძახა გოგონას, მაგრამ ოთახიდან მხოლოდ იადონის სტვენა ისმოდა. მისის მილერმა სიგარეტი მოსწია, ღრმად ჩაისუნთქა; ახლაღა მიხვდა, რომ ფილტრიანი სიგარეტი პირუკუ აუნთია. „ო, მოთმინებიდან არ უნდა გამოვიდე“, — თქვა გუნებაში და თავი გააქნია, კერძი ლანგრით შემოიტანა და ყავის მაგიდაზე დადო. იქვე ჩამოჯდა. გალიას გადაფარებული ჰქონდა, მაგრამ ჩიტი მაინც ისევ ისე სტვენდა, როგორც დილაობით. ძალიან გაუკვირდა — გოგონა აღარ იყო ოთახში. მისის მილერი კედელ-კედელ საწოლ ოთახში შევიდა და მძიმედ ამოიხვნეშა.

— აქ რას აკეთებ? — ჰკითხა გაოცებულმა ქალმა.

შეცბუნებულმა გოგონამ ისე შეხედა, თითქოს თვალებით ეეედრებოდა, მაპატიეო. მირიამი კამოდთან იდგა, წინ სამკაულებით სავსე კოლოფი ედო. წამით მისის მილერს თვალებში შეხედა. შემდეგ გაუღიმა და თქვა:

— კარგი ვერაფერი ვიპოვნე ამ სამკაულებში, მაგრამ აი, ეს ძალიან მომწონს. — მირიამს პატარა ხელისგულზე კამეას გულსაბნევი უბრჭყვიალებდა. — რა მშვენიერია, არა? — დაუმატა თვალებგაბრწყინებულმა გოგონამ.

— სჯობს ეს კამეა ისევ კოლოფში ჩადო, — უთხრა მისის მილერმა ისეთი ხმით, თითქოს „მიშველეთო“, დაეყვიროს. კარის ჩარჩოს მიეყრდნო. იგრძნო, რომ წნევამ აუწია, თავი დაუმძიმდა, გულისცემა აუჩქარდა, ოთახი თითქოს დაბნელდა.

— შვილო, გთხოვ, ეს ჩემი ქმრის ნაჩუქარია...

— რა ლამაზია, მინდა, მომეცით, რა იქნება, — თქვა მირიამმა.

მისის მილერმა კარგად იცოდა, მომშველებელი აღარავინ ჰყავდა და ამიტომ ასე მიმართა გოგონას, იქნებ შეევებრალო და კამეა დამიბრუნოსო. თავი ასე მარტოდ არასოდეს უგრძვნია და ეს სიმარტოვე ახლა უფრო აშკარა იყო. ამ განცდამ თავზარი დასცა.

მირიამი ხარბად ილუკმებოდა ბუტერბროდს, სულ შეჭამა, მერე რძეც დააყოლა. წვრილი თითები ნამცეცების ასაღებად ისე აამოძრავა, თითქოს ცარიელ საინზე ობობა დადისო. მის მკერდზე კამეა ციმციმებდა. კამეაზე ქერათმიანი ქალი იყო გამოსახული, რომელიც თითქოს გოგონას ჰგავდა.

— უჰ, რა გემრიელი იყო, — თქვა მირიამმა და ამოიხვნეშა, — ახლა ერთი ლიმონიანი ან ალუბლიანი ნამცხვარი რა კარგი იქნებოდა. კარგი რამაა ტკბილეული, არა?

მისის მილერი სავარძელში იჯდა და სიგარეტს აბოლებდა. თმის დასამაგრებელი გვერდზე მოქცეოდა და თმები სახეზე ჩამოშლოდა. თვალები უაზროდ გაშტერებოდა და სახე ისე ჰქონდა აწითლებული, თითქოს ვიღაცას გაერტყა და ახლა ხელის ანაბეჭდი აჩნდა.

— კიდევ ხომ არ გექნებოდათ ცოტა ნამცხვარი?

მისის მილერმა ნოხზე დაფერფლა სიგარეტი, თავი ოდნავ ასწია, თითქოს რაღაცას აკვირდებაო.

— აკი სიტყვა მომეცი, როგორც კი ბუტერბროდს შეეჭამ, წავალო? — უთხრა გოგონას გაჯავრებულმა მისის მილერმა.

— ვინ, მე?

— სიტყვა სიტყვაა, ესეც არ იყოს, ძალიან დაღლილი ვარ და თავს შეუძლოდ ვგრძნობ.

— ნუ ღელავთ, უბრალოდ გაჯავრებთ, — უთხრა მირიამმა.

გოგონამ პალტო აიღო, მოიხურა, სარკის წინ დადგა და ბერეტი მოირგო. მერე სწრაფად შემობრუნდა, მისის მილერთან მივიდა, თოჯინასავით დაიხარა და ჩურჩულით უთხრა:

— მაკოცეთ, მითხარით ღამე მშვიდობისა.

— არა, არა, ძალიან გთხოვ, — მიუგო ქალმა.

მირიამმა მხრები აიჩეჩა, წარბი აზიდა!

— როგორც გნებავთ! — მერე ყავის მაგიდასთან მივიდა, ქაღალდის ვარდებიან ვაზას დააკლო ხელი და იატაკს დაანარცხა. ნამსხვრევები ოთახში მბზინავ ნამცეცებად გაიფანტა. გოგონამ ხელოვნური ვარდები ფეხით გათელა, შემდეგ კარისაკენ წავიდა და, ვიდრე კარს გაიხურავდა, მისის მილერს თითქოს გულუბრყვილოდ, ცნობისმოყვარეობით შეხედა.

მეორე დღეს მისის მილერმა მთელი დღე ლოგინში გაატარა. მხოლოდ ერთხელ ადგა, ჩიტს საკენკი დაუყარა, ჩაი დალია, სიცხე გაიზომა, მაგრამ არ ჰქონდა. ცივ ოფლში იღვრებოდა. ჯოჯოხეთური სიზმრებიდან მაშინაც

ვერ გამოდიოდა, როცა თვალგახელილი იწვა და ჭერს შესცქეროდა. სიზმარი სიზმარში ისე გადადიოდა, თითქოს გამოუცნობი, მისტერიული რიტმები ერწყმოდნენ ერთმანეთს ურთულეს მუსიკალურ სიმფონიაში. სიზმარში ყველაფერს ისე ცხადად ხედავდა, თითქოს დიდოსტატს დაეხატოს: შავმოსასხამიანი, ფეხშიშველა გოგონა მსუბუქი, პატარა ნაბიჯებით წინ მოუძღოდა მთის ბილიკზე მომავალ პროცესიას. თავზე ყვავილების გვირგვინი ედგა და ყელზე თილისმა ეკიდა. სამარისებური სიჩუმე იდგა. უკან ქალის ხმა გაისმა: „ნეტავ სად მივყავართ?" „ღმერთმა უწყის", – ჩაილაპარაკა ვიღაც ბებერმა ქალმა პროცესიის თავში. „რა მშვენიერი გოგონაა", – ჩაილაპარაკა მესამემ. „გაყინულ ყვავილსა ჰგავს, ისეთი თეთრი და ბრწყინვალეა"...

ხუთშაბათ დილას მისის მილერი თავს უკეთ გრძნობდა. ზამთრის ცივი მზის სხივები ვენური დარაბების ჭუჭრუტანებში ატანდა და ქალს უსიამოვნო ფიქრებს უფანტავდა. ადგა, ფანჯრები გააღო. ძალიან მოუნდა დაენახა, როგორ დნებოდა თოვლი და ყინულის ლოლუები. წლის იმ დროისათვის უჩვეულოდ ლურჯ ცაზე ორიოდე ქათქათა ღრუბელი მიცურავდა. დაბალი სახურავის იქით მდინარეს ხედავდა. შორს, მიმავალი გემიდან ხვეული ბოლი ამოდიოდა, რომელიც თბილ ქარს სადღაც მიჰქონდა. დათოვლილ ქუჩაზე დიდმა ვერცხლისფერმა მანქანამ კვალი გაავლო, ძრავის გუგუნი ოთახში დაირხა და მიყუჩდა.

როცა მისის მილერმა სახლის დალაგება დაამთავრა, სურსათის მაღაზიაში წავიდა, მერე კაფე „სკრაფტში" შევიდა, ისაუზმა, არხეინად ესაუბრა ოფიციანტებს. ო, რა დიდებული დარია, დღესასწაულზე უფრო სასიამოვნო. შინ დაბრუნება სისულელე იქნებოდა.

ლეგსინგტონის ავენიუსკენ მიმავალ ავტობუსში ავიდა, ოთხმოცდამეექვსე ქუჩაზე ჩამოვიდა, რადგან გადაწყვიტა მაღაზიაში გაევლო. არც კი იცოდა რა ეყიდა, რა უნდოდა. უსაქმოდ შესცქეროდა მოფუსფუსე გამვლელებს. გუნება წაუხდა. თავი გარიყულად იგრძნო.

მესამე ავენიუზე გადასვლისას კუთხეში ვიღაც ბებერ, ფეხებმოღრეცილ კაცს მოჰკრა თვალი. იღლიაში ამოჩრილი საყიდლებისაგან წელში მოხრილიყო. გაცვეთილი ყავისფერი პალტო ეცვა, ჭრელი ქუდი ეხურა. მისის მილერმა იგრძნო, რომ მათ ერთმანეთს გაუღიმეს. ეს არ იყო მეგობრული ღიმილი. ეს უბრალოდ ურთიერთცნობის ნიშანი გახლდათ. თუმცა მისის მილერი დარწმუნებული იყო, რომ ამ კაცს არასოდეს შეხვედრია.

ბებერი კაცი ელექტროშუქის სვეტთან იდგა. მისის მილერმა ქუჩა გადაჭრა, კაციც გაჰყვა, თითქმის მხარდამხარ მიდიოდნენ. ქალი ვიტრინის ანარეკლში ხედავდა ამ კაცს. შენობის შუამდე რომ მიაღწია, შეჩერდა და კაცს შეხედა. ისიც შეჩერდა, თავი დაუკრა და გაიღრიჭა. ქალმა არ იცოდა, რა ეთქვა, ან იყო კი საჭირო რაიმეს თქმა აქ, დღისით, მზისით, ოთხმოცდამეექვსე ქუჩაზე. უცებ ბებერი კაცის მიმართ უჩვეულო ზიზღი იგრძნო. წამით თავის უმწეობაზე გაჯავრდა და ნაბიჯს მოუჩქარა.

მეორე ავენიუ ჩიხებითა და შესახვევებით იყო დასერილი. შემდეგ მოსდევდა წყნარი, მოასფალტებული ქუჩა. ხუთიოდე სახლი ისე გაიარა, არავის შეხვედრია. განუწყვეტლივ ესმოდა, როგორ მოაბიჯებდა მოხუცი თოვლში. როცა ყვავილების მაღაზიას მიაღწია, სწრაფად შეეიდა და მინის კარიდან შეხედა, როგორ ჩაიარა მოხუცმა ნაბიჯის შეუნელებლად, მაგრამ მან ერთი უცნაური რამ გააკეთა: ოდნავ მოიხადა ქუდი.

— ექვსი თეთრი ვარდი, არა? — ჰკითხა მეყვავილემ.

— დიახ, ექვსი, — მიუგო ქალმა.

აქედან მისის მილერმა ბროლეულის მაღაზიაში გაიარა და სწორედ ისეთი ვაზა აირჩია, მირიამმა რომ დაუმსხვრია. ვაზა ძალიან ძვირი ღირდა, მაგრამ ეჩვენა, რომ იგი ძალზე უხარისხო იყო. იმდენი რამ დაუგროვდა ნაყიდი, თითქოს საგანგებოდ ამისთვის იყო გამოსული ბინიდან. ყოველივეს მისდაუნებურად, ანგარიშმიუცემლად აკეთებდა. ერთი ჩანთა ალუბალიც იყიდა, ოღონდ იმ ადგილას, რომელსაც „ნიკერბოუკერ ბეიკერს“ ეძახდნენ, ექვსიოდე ღვეზელში ორმოცი ცენტი გადაიხადა.

ცოტა ხნის შემდეგ ისევ აციედა. ცა მოიღუშა და მზეს ზამთრის რუხი ღრუბელი გადაეფარა. ზეცას ბინდის ფერი დაეტყო. ჩამოწვა პირქუში, სქელი ნისლი, რომელიც ქარსა და გორაკზე მოგუნდავე ბავშვების ჟრიამულს ერწყმოდა. მალე პირველი ფიფქიც წამოვიდა და ვიდრე მისის მილერი ყავისფერ შენობას მიაღწევდა, უკვე ისე წამოთოვა, რომ ხალხის ფეხის ნაკვალევი მთლიანად წაიშალა.

* * *

თეთრი ვარდები ლამაზად ეწყო ლარნაკში. თიხის ფინჯანზე ახლადწყალგადავლებული ალუბლები ლაპლაპებდნენ. შაქრის ფხვნილმოყრილი ღვეზელი მჭამელს ელოდა. გალიაში იადონი მხიარულად ფრთხიალებდა და საკენკს კენკავდა.

ზუსტად ხუთ საათზე კარზე ელექტროზარმა დარეკა. მისის მილერი მიხვდა, ვინც რეკავდა და კარისკენ წავიდა.

— ეს შენ ხარ? — გასძახა ქალმა.

— რა თქმა უნდა, — მოისმა კარის იქიდან მირიამის ხმა, — გამიღეთ კარი.

— აქედან დაიკარგე! — შეუტია მისის მილერმა.

— ჩქარა გამიღეთ, მძიმე ტვირთი მაქვს ხელში.

— წადი, წადი! — გასძახა მისის მილერმა და საწოლ ოთახში გაბრუნდა, სიგარეტს მოუკიდა, დაჯდა და ზარის განუწყვეტელ ხმას უსმენდა. ზარი რეკდა და რეკდა. — გირჩევნია შინ დაბრუნდე, სულაც არ ვაპირებ შენს შემოშვებას.

უცებ ზარის ხმა შეწყდა. ათი წუთი მაინც მისის მილერი ასე უძრავად იჯდა. მერე გადაწყვიტა, უკვე წასული იქნებაო, ფეხაკრეფით მივიდა კართან და ოდნავ გამოაღო. კარებში დიდი კოლოფით ხელში მირიამი იდგა. გოგონას დიდი ფრანგული თოჯინა გულში ჩაეხუტებინა.

— მე კი უკვე მეგონა, აღარ გამიღებდით. მომეხმარეთ, თუ შეიძლება, ეს ოხერი ისეთი მძიმეა, რომ ხელები დამაწყვიტა, — თქვა გაღიზიანებულმა მირიამმა.

მისის მილერმა ვეღარაფრის თქმა ვერ მოახერხა, უცნაურმა უძლურებამ შეიპყრო, ყუთი გამოართვა; მირიამი გულში ჩახუტებული თოჯინით ოთახში შემოვიდა. თავი აღარ შეიწუხა პალტოს გასახდელად და ტახტზე წამოსკუპდა. უდარდელად უცქერდა, როგორ დააგდო მისის მილერმა ყუთი და აკანკალებული როგორ შეეცადა აღელვების დაფარვას.

— გმადლობთ,— თქვა გოგონამ. დღის შუქზე გოგონა ლოყააწითლებული ჩანდა. სახე დაღლილი ჰქონდა. თმები ახლა უფრო სუსტად უელვარებდა. გულში ჩახუტებულ თოჯინას სახე გაპუდრული ჰქონდა, მისი უაზრო და სასაცილო თვალები ისე გამოიყურებოდნენ, თითქოს მირიამისაგან ნუგეშს ელიანო.

— მე სიურპრიზი მაქვს თქვენთვის, — განაგრძო მირიამმა, — გახსენით ყუთი და ჩაიხედეთ.

მისის მილერმა დაიჩოქა, ყუთი გახსნა და თოჯინა ამოიღო, შემდეგ ლურჯი კაბა, რომელიც მირიამს იმ ღამით თეატრში ეცვა. სხვა ნივთებიც დაათვალიერა და თქვა:

— სულ ტანსაცმელებია, რატომ?

— იმიტომ, რომ თქვენთან უნდა ვიცხოვრო, — მიუგო მირიამმა და ალუბლის ყუნწი თითებში დააბზრიალა. — რა კარგია, ალუბლები რომ გიყიდიათ ჩემთვის.

— ღმერთო ჩემო, ეს ხომ შეუძლებელია. წადი, თავი დამანებე.

— ვარდები, ტკბილი ღვეზელი. რა მშვენიერია. რა შესანიშნავი ალუბლებია. სულ ბოლოს ერთ მოხუც კაცთან ვცხოვრობდი. ძალიან ღარიბი იყო. არასოდეს არ გვქონდა კარგი საჭმელი. მე მგონია თქვენთან ბედნიერი ვიქნები, — მირიამმა თოჯინა გულში ჩაიკრა და განაგრძო: — ხომ არ მეტყვით, სად დავაწყო ჩემი ნივთები?

მისის მილერს სახე წამოენთო. აქვითინდა, ტიროდა ჩუმად, უცრემლოდ, თვალები დახუჭა, დაბარბაცდა, კარს მიეყრდნო და თავი რომ შეეკავებინა, სახელურს მოჰკიდა ხელი.

წინკარი გაიარა. ქვედა სართულზე მძიმედ ჩავიდა. მეზობლის კარს მიადგა და მორიდებით დააკაკუნა. წითელთმიანმა კაცმა კარი გაუღო. მისის მილერი შევიდა.

— რა მოხდა, რა იყო? — ჰკითხა კაცმა.

— ცუდი ხომ არაფერი მომხდარა, ძვირფასო? — ჰკითხა ქმარს ახალგაზრდა ქალმა, რომელიც სამზარეულოდან გამოვიდა და ხელებს იმშრალებდა.

— მაპატიეთ, რომ გაწუხებთ, ძალიან მერიდება, მაგრამ... მე მისის მილერი ვარ,თქვენს ზემოთ ვცხოვრობ,— მისის მილერი ლოყებს ისრესდა, — კარგად ვიცი, რომ ეს საქციელი...

ახალგაზრდა ქალმა მისის მილერს სკამი მიართვა. კაცმა ხელები ჯიბეში ჩაიწყო და აღელვებულმა ხურდა ფული ააჩხარუნა.

— ჰმ, ჰმ.

— იცით რა?! — თითქმის ტირილით დაიწყო მისის მილერმა. — ჩემთან ერთმა პატარა გოგონამ დაიწყო სიარული. ისე მეშინია მისი. უნდა, რომ ჩემთან იცხოვროს. ეს შეუძლებელია. რა საშინელებაა. ერთხელ კამეა მომპარა, ახლა კიდევ ვინ იცის, რა უნდა... ღმერთო ჩემო, რა საშინელებაა...

კაცმა ჰკითხა:

— თქვენი ნათესავია?

მისის მილერმა თავი გააქნია.

— რა ვიცი, ვინ არის. მირიამი ჰქვია, ისე კი არ ვიცი, ვინ არის.

— ნუ ღელავთ! — ახალგაზრდა ქალი ცდილობდა დაემშვიდებინა და მოწიწებით მკლავზე ხელი მოჰკიდა.

— ჰარი, აბა ერთი ადი და ნახე ის გოგონა, გენაცვალე.

— ჩემი კარი ღიაა, 5ა. — უთხრა მისის მილერმა.

ჰარი გოგონას სანახავად ზევით ავიდა. ახალგაზრდა ქალმა დანამული პირსახოცი მოიტანა და მისის მილერს შუბლი და ლოყები გაუწმინდა.

— გმადლობთ, დიდი მადლობა, — უთხრა მისის მილერმა, — მაპატიეთ, რომ ასე შეგაწუხეთ იმ საძაგელი ბავშვის გამო.

— არა უშავს, — უთხრა ქალმა. — ახლა დამშვიდდით.

იდაყვსმიყრდნობილი მისის მილერი თავჩაღუნული იჯდა. კინაღამ ჩაეძინა. ქალმა რადიო ჩართო. პიანინოსა და სიმღერის ჩახრინწულმა ხმამ სიჩუმე დაარღვია. მისის მილერმა თავი ასწია, გამოფხიზლდა.

— იქნებ სჯობდა, რომ შინ დაბრუნებულიყავით და დაგესვენათ! — უთხრა მეზობელმა ქალმა.

— დანახვაც არ მინდა მისი, ახლოსაც არ უნდა გავიკარო.

— რაღაც უნდა მოგეფიქრათ, ბოლოს და ბოლოს, პოლიციას დავუძახებდი.

კიბეებზე კაცის მძიმე ნაბიჯების ხმა გაისმა. კაცი წარბშეკრული შემოვიდა ოთახში, კეფა მოიქექა.

— იქ არავინაა! — თქვა კაცმა აშკარად შეწუხებული ხმით, — ალბათ, გაიპარა...

— რა სისულელეს ლაპარაკობ,ჰარი?! ჩვენ აქედან ფეხი არ მოგვიცელია, ზევიდან არავინ ჩამოსულა, — კაცმა მკაცრად შეხედა და ქალმა მაშინვე ხმა გაკმინდა.

— ყველგან ვეძებე, ოთახში არავინაა. გესმის თუ არა? არავინაა, არავინ...

მისის მილერი წამოდგა და კაცს ჰკითხა:

— დიდი ყუთი თუ ნახეთ იატაკზე, ან დიდი თოჯინა?!

— არა, მისის!

ახალგაზრდა ქალმა, თითქოს განაჩენი წაიკითხაო, თქვა:

— კი მაგრამ, ასეთი ალიაქოთის ატეხა...

მისის მილერი ფეხაკრეფით შევიდა თავის ოთახში, შუაგულში შეჩერდა და ადგილზე გაქვავდა. ვარდები, ნამცხვარი, ალუბლები თავის ადგილზე იყო. მიუხედავად ამისა, ოთახი დაცარიელებული, ცივი, უსიცოცხლო და მგლოვიარე ეჩვენა. იგრძნო, ახლა სავარძლის სიცარიელე ასე არ შეაძრ-

წუნებდა, იქ რომ მირიამი ყოფილიყო წამოსკუპებული. მისის მილერი იმ ადგილს მიაშტერდა, სადაც ცოტა ხნის წინ მირიამის ყუთს ხსნიდა. მერე ფანჯარაში გაიხედა: მდინარე ნამდვილი იყო, ნამდვილად თოვდა, მაგრამ მაინც არაფერი იყო ცხადი. იგი აშკარად ხედავდა სადღაც მირიამს, მაგრამ სად არის იგი? სად? სად?

თითქოს სიზმარშიაო, ისე ჩაეშვა საკარძელში. ყველაფერი დატრიალდა, ტრიალებდა ოთახი, თვალთ უბნელდებოდა. ძალა აღარ შესწევდა, ხელი აეწია და სინათლე აენთო.

თვალები დახუჭა, ისეთი შეება იგრძნო, როგორც მყვინთავი გრძნობს წყლის ზედაპირზე ამოსვლისას. სასოწარკვეთილებისას და უკიდურესი უძლურებისას არის წამი, როცა რაღაც სასწაულს მოელი და მაშინ გონებას სრული სიმშვიდე იპყრობს, გგონია გძინავს ან ირეალურ სამყაროში ხარ, ამ დროს საოცარ შვებას გრძნობ და სულ სხვაგვარად აზროვნებ: — ვთქვათ, მისის მილერი სრულიად არ შეხვედრია გოგონას, და განა სისულელე არ იყო მაშინ ქუჩაში ბებერი კაცის რომ შეეშინდა? და ბოლოს, ყოველივე ამას რა მნიშვნელობა აქვს? ბოლოს, ისიც ნათელი გახდა მირიამისთვის, რომ აქამდე იგი არ იყო მისის ჰ. ტ. მილერი, რომ მხოლოდ ახლა იპოვა ადამიანი, რომელიც ცხოვრობდა ამ ბინაში, თვითონ იმზადებდა საჭმელს, უვლიდა იადონს, იპოვა ქალი, ვისიც სწამდა და ენდობოდა.

მისის მილერი ფიქრებში იყო გართული, თან ხმაური ესმოდა. ვიღაცამ უჯრა გამოსწია, შესწია, შემდეგ ეს ხმაური აბრეშუმის კაბის შრიალმა შესცვალა, რომელიც ნელ-ნელა ახლოვდებოდა და მთელს ოთახში ირხეოდა: ქალი წამით დაიძაბა, თვალები ოდნავ გაახილა. იგი ბუნდოვნად ხედავდა სახეს, რომელიც მას უყურებდა.

— ჰელლოუ! — თქვა მირიამმა.

თარგმნა ნიკოლოზ კენჭოშვილმა

ᲘᲣᲙᲘᲝ ᲛᲘᲡᲘᲛᲐ

14.01.1925 – 25.11.1970

გამოჩენილი იაპონელი მწერალი და დრამატურგი, რომლის ნამდვილი სახელი და გვარია ხირაოკი კიმიტაკე. დაიბადა მსხვილი სახელმწიფო ჩინოვნიკის ოჯახში, პრივილეგირებული სკოლა წარმატებით დამთავრების შემდეგ, მისიმა ტოკიოს უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის სტუდენტი ხდება და ეუფლება გერმანულ სამართალს. იაპონური ლიტერატურის აღიარებული კლასიკოსის იასუნარი კავაბატას რეკომენდაციით ჟურნალ „ადამიანში“, 1946 წელს იბეჭდება მისიმას პირველი მოთხრობა „სიგარეტი“, 1947 წელს წარმატებით ამთავრებს უნივერსიტეტს. 1948 წლიდან მისიმა მთლიანად ებმება ლიტერატურულ მოღვაწეობაში; 1949 წელს ქვეყნდება რომანი „ნიღბის აღსარება“, რომელიც სენსაციურ აღიარებას პოულობს, 1950 წელს გამოდის „სიყვარულის წყურვილი“, 1951 წელს – „აკრძალული სიამოვნებანი“. მისიმას მრავალრიცხოვან ნაწარმოებთა წარმატებამ იგი ომისშემდგომ იაპონური ლიტერატურის ლიდერად აქცია. ამ პერიოდში მისიმა ინტერესდება კლასიკური იაპონური ლიტერატურული ტრადიციებით, ცვლის თავის ლიტერატურულ სტილს. მწერლის ეს ორმაგი ცვლილება გამოხატულებას პოულობს მორი ოგაისა და თომას მანის ესთეტიკის გავლენით დაწერილ რომანში „ოქროს ტაძარი“ (1956). ეს წლები მისიმას მწერლური დიდების წლებია. 1954 წელს გამოქვეყნებულ რომანს, „ზვირთცემის გუგუნი“ (1954), მოჰყვა „ხანგრძლიეი ზაფხული“ (1956), „შერყეული სათნოება“ (1957) და „ტოკიოს სახლი“ (1959). 60-იანი წლები არანაკლებ ნაყოფიერია მწერლისათვის. ამ წლებშია დაწერილი რომანები, ნოველები, პიესები: „ბანკეტის შემდეგ“, „წითელი ეარსკვლავი“, „აბრეშუმი და გამჭრიახობა“, „სემბეი ათი ათას იენად“, „პატრიოტიზმი“, „ხმალი“, „ვარდები და მეკობრეები“, „ტროპიკული ხეები“, „სიხარულის მომტანი კოტო“ და მრავალი სხვ. რომელთა შორის კრიტიკა განსაკუთრებით გამოარჩევს ტეტრალოგიას „ზღვა ბარაქა“ – „გაზაფხულის თოვლი“ (1968), „გაჭენებული ცხენები“ (1969), „ტაძარი გარიჟრაჟზე“ (1969), „ანგელოზის დაცემა“ (1970), პიესებს – „მარკიზა დე სადი“ (1965), „ჩემი მეგობარი ჰიტლერი“ (1968);

მწერლის შემოქმედებითი მემკვიდრეობა დაახლოებით ას ტომს მოიცავს. იასუნარი კავაბატას აზრით, „იუკიო მისიმა მეოცე საუკუნის მეორე ნახევრის იაპონიის საუკეთესო მწერალია“.

პატრიოტიზმი

I

1936 წლის ოცდარვა თებერვალს, იმ ცნობილი მოვლენებიდან მესამე დღეს, უახლოესი მეგობრების შეთქმულებაში მონაწილეობის ცნობით შეძრწუნებულმა გვარდიული სატრანსპორტო ბატალიონის პორუჩიკმა, სინძი ტაკეიამამ თავისი სახლის ერთ-ერთ ოთახში (აობას ქუჩის ექვსი ნომერი, ეცაკიას რაიონი) საკუთარი ხმლით პარაკირი გაიკეთა – პორუჩიკმა ვერ შეძლო შერიგებოდა ამბოხის ჩახშობაზე ბრძანებას.

რეიკომ, მისმა ცოლმა, სათაყვანო ქმრის მაგალითს მიბაძა და საკუთარი ნებით გამოესალმა სიცოცხლეს. პორუჩიკის გამოსამშვიდობებელ ბარათში ერთადერთი ფრაზა ეწერა: „გაუმარჯოს საიმპერატორო არმიას!“ წერილი დატოვა ცოლმაც – იგი ბოდიშს უხდიდა მშობლებს, მათზე ადრე რომ გადაწყვიტა იმქვეყნად გადაბარგება. წერილს კი ასე ამთავრებდა: „დადგა დღე, რისთვისაც ოფიცრის ცოლი მზად უნდა იყოს“. უმამაცესი წყვილის ცხოვრების უკანასკნელი წუთები ისეთი იყო, თვით ყინულის ლოლუებად ქცეულ გულებსაც რომ გაალღობდა. იმ წელიწადს პორუჩიკი ოცდათერთმეტი წლისა შესრულდებოდა. რეიკო – ოცდასამისა. მათი ქორწინებიდან ნახევარი წელიც არ გასულიყო.

II

ქორწილის მონაწილეები და ისინიც, ვინც საქორწინო ფოტოსურათები მაინც ნახა, აღფრთოვანებული იყვნენ ახალგაზრდა წყვილის სილამაზით. პატარძლის გვერდით მდგომ საააღლუმო მუნდირში გამოწკეპილ პორუჩიკს მხრები ამაყად გაეშალა, მარჯვენა ხმლის ვადაზე დაეყრდნო, მარცხენაში ქუდი ეჭირა. სახე გაემკაცრებინა, ფართოდ გახელილი თვალებიდან ახალგაზრდული სიმამაცე და პირდაპირობა იფრქვეოდა. შეუძლებელია სიტყვებით გადმოიცეს სპეტაკ საქორწინო კიმონოში გამოწყობილი პატარძლის ხიბლი. წარბ-წამწამების მწყობრი ოვალი, დიდი თვალები, თხელი ცხვირი, სავსე ტუჩები გრძნობისა და კეთილშობილების განუმეორებელი შერწყმის ქანდაკება იყო. კიმონოს სახელოდან თვით უბიწოებად მოჩანდა ხელის მტევანი, მარაო რომ ეჭირა; თლილი თითები კომშის ყვავილის უნაზეს ფურცლებს მოგაგონებდათ.

ცოლ-ქმრის თვითმკვლელობის შემდეგ სამახსოვრო ფოტოს მნახველები ოხვრით ამბობდნენ, ერთი შეხედვით ასეთ იდეალურ კავშირს უბედურება მუდამ თან სდევსო. ოქროსვარაყიან შირმასთან სამუდამოდ დარჩენილი ახალგაზრდები თითქოს საკუთარი ნათელი თვალებით ჭვრეტდნენ მოახლოებულ გარდუვალ ბედისწერას.

სახლი ვილა აობას ქუჩაზე ახალდაქორწინებულებს ერთ-ერთმა მაჭანკალმა, გენერალ-ლეიტენანტმა ოძეკიმ მოუძებნა. თუმცა, „ვილა“ მეტისმეტად გადაჭარბებული ნათქვამია – ეს იყო პატარა სახლი მომცრო ბაღით. პირველი სართულის ორ ოთახში მზის სხივი თითქმის ვერ ატანდა, ამიტომ ცოლ-ქმარმა საძინებლის (მისაღების მოვალეობასაც რომ ასრულებდა) მოწყობა ზემოთ გადაწყვიტეს. მსახურები არ ჰყოლიათ, რეიკო მეურნეობას თვითონ უძღვებოდა.

ქვეყანაში შექმნილი მძიმე მდგომარეობის გამო, საქორწინო მოგზაურობაზე უარის თქმა მოუხდათ. ახალგაზრდებმა პირველი ღამე ახალ ჭერქვეშ გაათიეს. ლოგინში ჩაწოლამდე პორუჩიკმა მუხლებზე შიშველი ხმალი დაიდო და რეიკოს მოკლე სიტყვა უთხრა: „ოფიცრის ცოლი მუდამ მზად უნდა იყოს ქმრის დაღუპვისთვის. ეს იქნებ ზეგაც მოხდეს. არ შეშინდები, თუ ეს საბედისწერო დღე დადგება?“

რეიკო წამოდგა, კარადის უჯრა გამოაღო და იქიდან დედის ნაჩუქარი ხანჯალი – ყველაზე ძვირფასი მზითვი ამოიღო. მანაც ქმარივით სიტყვის უთქმელად მუხლებზე დაიდო შიშველი დანის პირი. ცოლ-ქმარს შორის

უსიტყვო შეთანხმება გაფორმდა. ამის შემდეგ, პორუჩიკს ახალგაზრდა ცოლის გამოცდა აღარასოდეს არ უცდია. გათხოვებიდან რამდენიმე თვეში რეიკოს სილამაზე ისე გაბრწყინდა და გაიფურჩქნა, როგორც თავსხმა წვიმის შემდეგ ცის კაბადონზე გამოჩენილი მთვარე.

ორივე ახალგაზრდა იყო, სიცოცხლითა და დაუოკებელი ენებით აღსავსე. სიყვარულისთვის მუდამ მზად იყენენ. სამსახურიდან მობრუნებული პორუჩიკი ხშირად მტვრიანი მუნდირის გახდასაც ვერ ასწრებდა, ისე ეშურებოდა ახალგაზრდა ცოლის მკლავებში მოქცევას. რეიკოც არანაკლები ენებით პასუხობდა. იგი ქორწინების პირველსავე თვეში ჩაწვდა ენით უთქმელი ნეტარების საიდუმლოს. პორუჩიკი მიხვდა ამას. იგი ბედნიერი იყო.

რეიკოს მშვენიერი თეთრი სხეული, უმანკო და მკვრივი ძუძუები, პირველად რომ დაჰყვნენ სიყვარულის ნებას, გრძნობის კოცონად აგიზგიზდნენ. ახალგაზრდები შიშისმომგვრელი სერიოზულობით ეძლეოდნენ ენებას, რომელიც მათ თვით ნეტარების მწვერვალზეც კი არ ტოვებდა.

სამხედრო სწავლებებზე, ხანმოკლე შესვენებისას პორუჩიკი ცოლზე ფიქრობდა. შინ დარჩენილ რეიკოს მუდამ თვალწინ ედგა საყვარელი კაცის სახება. საქორწინო ფოტოსურათის დანახვა არწმუნებდა, რომ მისი ბედნიერება არ იყო ტკბილი სიზმარი. რეიკოს სულაც არ ეჩვენებოდა უცნაურად, რომ რაღაც ორიოდე თვის წინათ მისთვის სრულიად უცხო მამაკაცი, მთელი მისი სამყაროს მანათობელ მზედ გადაიქცა.

მეუღლეების ურთიერთობა მტკიცე ზნეობრივ საფუძველზე იდგა – იმპერატორიც ხომ ამას ბრძანებდა, ცოლი და ქმარი სრულ ჰარმონიაში უნდა ცხოვრობდნენო. რეიკო ქმარს არასდროს და არაფერში არ ეჩხუბებოდა. პორუჩიკსაც ცოლისადმი უკმაყოფილების საბაბი არასდროს არ ჰქონია. პირველი სართულის შემოსასვლელში, საკურთხეველზე საიმპერატორო ოჯახის ფოტოსურათი იდგა. ყოველ დილით, პორუჩიკის სამსახურში წასვლის წინ, ახალგაზრდა წყვილი თაყვანს სცემდა პორტრეტს. რეიკო ყოველდღე რწყავდა საკურთხევლის წინ მდგარ კასრში ჩარგულ წმინდა საკაკას ჯუჯა ხეს. ისიც მუდამ მწვანედ ხასხასებდა.

III

პორუჩიკის სახლი ბეჭდვითი სიტყვის მცველ-მინისტრის[1] სასახლესთან შორიახლოს იდგა. თუმცა, 26 თებერვლის გამთენიისას ცოლ-ქმარს სროლის ხმა არ გაუგონია. ტრაგიკული ეპიზოდი დაახლოებით ათ წუთს გრძელდებოდა, მაგრამ პორუჩიკი სროლამ კი არა საყვირის ხმამ გააღვიძა, შფოთიანი განგაშით რომ ფლეთდა დათოვლილ ბინდბუნდს. ოფიცერი საწოლიდან წამოიჭრა, ფორმა უბრად გადაიცვა, ცოლის მიწოდებულ ხმალს ხელი დააკლო და თოვლით დაფარულ ჯერ კიდევ ბნელ ქუჩაში გავარდა. 28-ის საღამომდე რეიკოს იგი აღარ უნახავს.

რაც მოხდა, მან რადიოს ცნობით შეიტყო. ეს ორი დღე ჩუმად, სრულ მარტოობაში, დაგმანულ კარს მიღმა გაატარა.

თოვლსა და სიბნელეში მიმავალი ქმრის სახეზე რეიკომ ღირსეული სიკვდილისადმი მზადყოფნა ამოიკითხა. თუ ცოცხალი ვერ დაბრუნდებოდა, მზად იყო, მის გზას გაჰყოლოდა. ნივთების მოწესრიგება დაიწყო. გადაწყვიტა, გამოსასვლელი კიმონოები თანაკლასელი დაქალებისთვის დაეტოვებინა. ქაღალდში გაახვია და ზედ მისამართები და სახელები დააწერა. ქმარი ასწავლიდა, ხვალინდელზე არასდროს არ ეფიქრა და მხოლოდ დღევანდელი დღით ეცხოვრა. ამიტომაც დღიურებს არ წერდა და ახლა აღარ შეეძლო, ერთიმეორის მიყოლებით წაეკითხა ბოლო თვეების ბედნიერი მოგონებებით სავსე სტრიქონები და მერე რიგრიგობით ცეცხლისთვის მიეცა ყველა ფურცელი. რადიომიმღებთან რეიკოს პაწაწინა კოლექცია იდგა: ფაიფურის ძაღლი, კურდღელი, თხუნელა, დათუნია, მელაკუდა. კიდევ ლარნაკი და პატარა დოქი. ქალმა გაიფიქრა, რომ ამ ნივთების ვინმესთვის სამახსოვროდ დატოვება უხერხული იქნებოდა. არც მათი მისთვის საფლავში ჩატანების თხოვნა იყარგებდა. რეიკოს მოეჩვენა, რომ ფაიფურის მხეცუნიები საბრალოდ და მოუსვენრად მანჭავდნენ დრუნჩებს.

თხუნელა ხელში აიღო, მაგრამ ბავშვობის საყვარელი გასართობიდან ფიქრით უკვე შორს იყო. მის თვალთა წინ ქმრის ხატებით განსახიერებული დიადი აზრის დამაბრმავებელი ბრწყინვალება აისვეტა. იგი მოხარულია მზიური ეტლით გაექანოს სიკვდილთან შესახვედრად, მაგრამ საყვარელ წვრილმანებთან გამოსათხოვებლად რამდენიმე საათი ჯერ კიდევ რჩება. კაცმა რომ თქვას, ისინი საყვარლები ოდესღაც, შორეულ წარსულში

---

[1] მაკოტო საიტო 1858–1936 წ.წ. პრემიერ მინისტრი 1932-1934 წლებში, მეამბოხეებმა მოკლეს აჯანყების პირველსავე დღეს.

იყვნენ. დღეს რეიკოს მხოლოდ წარსულში დარჩენოდა იმ უმანკო მეგობრობაზე მოგონება. ახლა მის სულს გაცილებით მწველი ვნება შემონთებოდა – ბედნიერების უსამანო გრძნობა. ხორციელებისგან მოგვრილ სიხარულზე, როგორც ჩვეულებრივ სიამოვნებაზე, რეიკოს არასდროს არ უფიქრია. თებერვლის სუსხი და ცივი ფაიფური თლილ თითებს უთოშავდა, მაგრამ ქმრის ღონიერი ხელების გახსენებისთანავე, მძლავრად გულში რომ იკრავდა მის სხეულს, სადღაც ქვემოდან, მოხატული კიმონოს უფაქიზესი ნაოჭების ბოლოებიდან, მთელ მის ტანს ედებოდა მწველი და ბლანტი მოთენთილობა, ისეთი, მთელი ქვეყნიერების თოვლს რომ გაალღობდა.

სადღაც შორიახლოს ჩასაფრებული სიკვდილი რეიკოს არ აშინებდა. საყვარელი ადამიანის მომლოდინეს მტკიცედ სჯეროდა: ყველაფერი, რასაც ახლა ფიქრობს და გრძნობს – ტანჯვაც, ვაებაც და ბედნიერების მომნიჭებელი ქმრის სხეულიც – მიაქანებენ იმ ნეტარებისკენ, რასაც „სიკვდილი“ ჰქვია. გრძნობდა, რომ მისი არსება მზად იყო მთლიანად ჩანთქმულიყო ამ აზრში, ამ აზრის თვით უმცირეს ნაწილშიც კი.

რეიკომ ახალი ამბებიდან უკვე იცოდა, რომ მეამბოხეთა შორის მისი ქმრის საუკეთესო მეგობრებიც აღმოჩნდნენ. ამ ცნობამ მის ყოყმანს უკანასკნელი საფუძველი გამოაცალა. ახლა მოუთმენლად ელოდა იმპერატორის რესკრიპტს. იგი ხედავდა,თანდათანობით როგორ ეკვროდა „ამბოხის“ სამარცხვინო დაღი „ეროვნული აღორძინების“ სახელით დაწყებულ მოძრაობას. პორუჩიკის სამხედრო ნაწილიდან არავითარი ცნობა არ იყო. თოვლით დაფარული ქალაქი გულისფანცქალით ელოდა სამხედრო მოქმედებების დაწყებას.

ოცდარვა თებერვალს, შებინდებისას, რეიკო კარზე ბრახუნმა შეაშინა. შესასვლელში გავარდა და საკეტი ხელის კანკალით გახსნა. მქრქალი მინის მიღმა კაცის ბუნდოვანი სილუეტი მდუმარედ იდგა, მაგრამ რეიკომ ქმარი მაშინვე იცნო. ურდული ასე მძიმე არასდროს არ მოსჩვენებია – არაფრით არ სურდა დანებება.

კარმა გაღება ძლივს მოასწრო, რომ დამცავი ფერის ლაბადაში და დაფიფქულ ჩექმებში გამოწყობილმა პორუჩიკმა შემოსასვლელში შემოაბიჯა. ურდული გასწია და საკეტიც გადაატრიალა. რეიკო ამ ჟესტის მნიშვნელობას მაშინვე ვერ მიხვდა.

– საღამო მშვიდობისა, – ქალმა თავი დაუკრა, მაგრამ პორუჩიკმა მისალმებაზე არ უპასუხა. ხმალი შეიხსნა და გახდა დაიწყო. რეიკო

ეხმარებოდა. შინელი ნოტიო და ცივი იყო; ძველებურად საჯინიბოს სუნი აღარ ასდიოდა. როგორც იმ მშრალ, მზიან ამინდებში. რეიკოს იგი არაბუნებრივად მძიმე ეჩვენა. შინელი საკიდზე ჩამოკიდა, ხმალი და პორტუპეი იღლიაში ამოიჩარა და ქმარს ქვედა სართულის პაწაწინა მისაღებისკენ გაჰყვა.

ნათურის კაშკაშა შუქზე პორუჩიკის ჯაგრით დაფარული სახე ცოლს უცხოდ ეჩვენა. ღაწვები ჩაცვივნოდა და გაშვებოდა. ჩვეულებრივად, სამსახურიდან კარგ გუნებაზე დაბრუნებული, საშინაო ტანსაცმელს გადაიცვამდა და მაშინვე ვახშამს ითხოვდა. ახლა კი ფორმაში გამოწყობილი პორუჩიკი მაგიდას მიჯდომოდა და თავი ღრმად ჩაექინდრა. რეიკოს აღარც უკითხავს, სუფრა ხომ არ გაგიწყოო.

ცოტა ხნის დუმილის შემდეგ, ქმარმა ამოთქვა:

— არაფერი არ ვიცოდი. ჩემთვის არ დაუძახნიათ. ალბათ იმიტომ, ახლახანს ცოლი რომ შევირთე. იქ კანოა, ჰომაც, იამაგუტიც...

რეიკომ ნათლად დაინახა ახალგაზრდა ოფიცრების, ქმრის მეგობრების სახეები. ისინი ხომ ასე ხშირად სტუმრობდნენ მათ ოჯახს.

— ხვალ უზენაეს რესკრიპტს გამოაქვეყნებენ. ყველას მეამბოხეებად გამოაცხადებენ. ვალდებული ვარ ჩემი ჯარისკაცები მათ წინააღმდეგ გავიყვანო... ამას ვერ გავაკეთებ. არ შემიძლია. დღეს დაცვიდან მომხსნეს, — გააგრძელა მცირე პაუზის შემდეგ, — ამაღამდელი ღამის შინ გატარების ნება დამრთეს. ხვალ დილით აუცილებლად უნდა შევუტიოთ. რეიკო, ამის ძალა არ შემწევს.

რეიკო ქმრის პირდაპირ იჯდა და თვალებს მაღლა არ სწევდა. მშვენივრად ესმოდა, რომ ქმარი საკუთარი სიკვდილის შესახებ ელაპარაკებოდა. გადაწყვეტილება უკვე მიღებული იყო. მისი ხმა განსაკუთრებული სიმტკიცით ჟღერდა, ალბათ იმის გამო, რომ მისი ყოველი სიტყვის უკან სიკვდილის პირქუში აჩრდილი იდგა. პორუჩიკი საკუთარ სულიერ განცდებზე ლაპარაკობდა, მაგრამ მისი გული უძრავი იყო.

მისაღებში მთის ნაკადულივით სუფთა და გამჭვირვალე მდუმარება ჩამოწვა. ორდღიანი გამუდმებული წამების შემდეგ, საკუთარ სახლში ახალგაზრდა, ულამაზესი ცოლის პირისპირ მჯდომმა პორუჩიკმა იგრძნო, როგორ ეფინებოდა მის სულს სიმშვიდე. მიხვდა, რომ ასახსნელი აღარაფერი იყო — ერთმანეთისა ისედაც კარგად ესმოდათ.

— აი, ასე— — პორუჩიკმა თვალები ასწია. უძილო ღამეების მიუხედავად, მისი მზერა ძველებურად გამჭოლი იყო. იგი ახლა პირდაპირ რეიკოს მიბჯენოდა.

— ამაღამ ჰარაკირს გავიკეთებ.

რეიკო არ განძრეულა. მისი ფოფინა თვალებიდან ისეთი ძალა მოდიოდა, საცაა მზერით ზარებს დაარისხებსო.

— მე მზად ვარ, — რეიკოს პასუხი მაშინვე არ უთქვამს. — ნება მომეცი, მეც თან გამოგყევ.

პორუჩიკი გრძნობდა, რომ საცაა ეს მზერა ძალას გამოაცლიდა. სიტყვები თავისით მოწყდა, თითქოს სიზმარშიაო.

— ასე იყოს. ესე იგი, ერთად. მაგრამ მინდა ნახო, როგორ მოვკვდები. თანახმა ხარ?

თვითონაც ვერ გაეგო, ასე ადვილად, თითქმის გულგრილად როგორ დაეთანხმა ცოლის ამ საშინელ გადაწყვეტილებას. მაგრამ სათქმელი ითქვა და მათ გულებშიც მაშინვე ბედნიერების ცხელმა ტალღამ იფეთქა. რეიკოს გული აუჩუყა ქმრის მდუმარე ნდობამ. იცოდა, რა მნიშვნელოვანი იყო პორუჩიკისთვის სიკვდილის რიტუალის უზადოდ დაცვა. ჰარაკირს უთუოდ უნდა ჰყავდეს მოწმე და ვინაიდან ამ როლისთვის რეიკო აირჩია, ეს ცოლისადმი მის უსაზღვრო პატივისცემაზე მიუთითებდა. ეს დიდი ნდობის ნიშანიც იყო — პორუჩიკი არ აიძულებდა მას პირველი მომკვდარიყო, ანუ საკუთარი ნებით უარს აცხადებდა ცოლის დანაპირების შემოწმებაზე. ჩვეულებრივი ეჭვიანი ქმარი რომ ყოფილიყო, რეიკო პირველი მოკვდებოდა — ორმაგი თვითმკვლელობისას, როგორც წესი, ასე ხდება-ხოლმე.

პორუჩიკს სწამდა, რომ რეიკოს გადაწყვეტილება, რითაც მან ქორწინების პირველ ღამეს დადებული ფიცი აღასრულა, მისი სინძი ტაკეიამას, აღზრდა-დარიგებების ნაყოფი იყო. ეს აზრი აამაყებდა. საკუთარი თავის უარმყოფელ პორუჩიკს აზრადაც არ მოსვლია, რომ ცოლს თავის მოკვლა მხოლოდ ქმრის უსაზღვრო სიყვარულის გამოც შეეძლო.

ორივეს სულში დაბუდებული სიხარული დიდი და ხალასი იყო. იგი ღიმილით აცისკროვნებდა მეუღლეების სახეებს. რეიკოს ისეთივე გრძნობა გაუჩნდა, როგორც მაშინ, ქორწინების პირველი ღამის დადგომამდე. თითქოს არც ტკივილი ელოდა და არც სიკვდილი — მხოლოდ ლაღი და უსაზღვრო სივრცე.

— აბაზანა გავამზადე. იბანავებ?

— ჰო.

— ვახშამი გინდა?

ეს სიტყვები ისე ჩვეულებრივად, საყველპურად გაისმა, პორუჩიკს წამით გაუელვა, რაც თავს გადამხდა, ჩემი წარმოსახვის ბრალი ხომ არ არისო.

— ჭამაზე რა გითხრა. აი, საკეს დალევა კი არ გვაწყენდა.

— კარგი.

რეიკო ადგა და ქმრის ხალათის გამოსაღებად კარადასთან მივიდა. თან თხოვა, კარადაში მასაც შეეხედა. პორუჩიკი ადგა და უხმოდ წაიკითხა ცოლის საგარეო კაბების ფუთებზე დაწერილი რეიკოს მეგობრების მისამართები. მისი გადაწყვეტილების გააზრებულობის ახალმა საბუთმა ნაღველის ნაცვლად გული სინაზით აუვსო. მის თვალში რეიკო ახლა იმ ახალგაზრდა თავქარიან ცოლს ჰგავდა, ამაყად რომ აჩვენებს ქმარს საკუთარ უმაქნის ნავაჭრს. გულაჩუყებულმა პორუჩიკმა ცოლს ზურგიდან ხელები შემოაჭდო და მაგრად აკოცა.

გაუპარსავმა ჯაგარმა ქალს კისერი დაუჩხვლიტა. რეიკოს, ვისთვისაც ქმრის სიახლოვე სიცოცხლის არსებობას ნიშნავდა, ეს კოცნა უცნაურად ცინცხალი მოეჩვენა — მალე ხომ ყველაფერს წერტილი დაესმება. თითქოს მისი სხეულის ყველა უჯრედმა ერთბაშად გაიღვიძა. ქალი ფეხის წვერებზე აიწია და ყელი ქმრის ტუჩებს შეაგება.

— ჯერ აბაზანა, მერე საკე, მერე კი... საწოლი მაღლა,— ჩასჩურჩულა პორუჩიკმა. რეიკომ თავი დაუქნია.

მუნდირი ერთბაშად მოიშორა და აბაზანაში შევიდა. რეიკომ მისაღებში მაყალი გააჩაღა და ზედ გასაცხელებლად საკე შემოდგა. თან წყლის ჩხრიალს უსმენდა.

მერე აბაზანაში ხალათი, ქამარი და საცვლები შეიტანა. ქმარს ჰკითხა, წყალი ხომ კარგად გაცხელდაო. ორთქლში გახვეული პორუჩიკი იჯდა და წვერს იპარსავდა, მის დევგმირულ ზურგზე კუნთები ხელის მოძრაობის კვალდაკვალ ხტოდნენ.

ყველაფერი ისე იყო, როგორც ყოველად ჩვეულებრივ დღეს. ცოლმა, რაც სახლში მოიძია, იმით სასწრაფოდ წასახემსებელი მოამზადა. ხელები არ უთრთოდა. მარჯვედ მუშაობდა, ჩვეულებრივზე უკეთესადაც კი. მხოლოდ ეგ იყო, რომ ხანდახან, სადღაც გულის სიღრმეში, უცნაურ შფოთვას გრძნობდა. იგი ელვასავით გაჰკრავდა და მაშინვე ქრებოდა. სხვა მხრივ, ყველაფერი ძველებურად მიდიოდა.

პორუჩიკი წვერს იპარსავდა და გრძნობდა, როგორ ქრებოდა მისი გახურებული სხეულიდან ეჭვებითა და სულიერი ტკივილებით ნასაზრდო-

ები დაღლილობა. კარს მომდგარი სიკვდილის მიუხედავად, ოფიცრის არსება ნეტარი მოლოდინით იყო სავსე. ოთახიდან მოფუსფუსე ცოლის ფეხის ხმა ესმოდა და ის ჯანსაღი ფიზიკური ლტოლვის ჟინი ერეოდა, რომელზე ფიქრიც, ბოლო ორი დღის განმაელობაში, დაავიწყდა კიდეც.

პორუჩიკს სწამდა, რომ მათ მიერ მიღებული გადაწყვეტილებით მოგერილი შვება ყალბი არ ყოფილა. ამაზე იმ წუთს არც უფიქრიათ, მაგრამ მაშინვე იგრძნეს, რომ მათ იდუმალ ბედნიერებას უზენაესი სამართლიანობა, ღვთაებრივი ნება და უძლეველი ზნეობა იფარავდა. ერთურთის თვალებში სიკვდილთან ღირსეულად შეყრის მზადყოფნა რომ ამოიკითხეს, ცოლმაც და ქმარმაც კიდევ ერთხელ დაინახეს, რა უმძლავრესი ფოლადის კედელი, ჭეშმარიტების და სილამაზის რა უმტკიცესი ჯავშანი იფარავდა მათ სიყვარულს. ამიტომაც პორუჩიკი ღრმად დარწმუნებული იყო, რომ მისი სხეულის ყივილსა და პატრიოტულ გრძნობას შორის არ იყო არავითარი წინააღმდეგობა – მის არსებაში ორივე ერთმანეთს ბუნებრივად ერწყმოდა.

პორუჩიკი ორთქლისგან დაშაშრულ, ჩაბნელებულ სარკეს მიშტერებოდა და ძალიან ფრთხილად ამოძრავებდა სამართებელს: მალე სიკვდილის ნიღაბი სამუდამოდ აეფარებოდა ამ სახეს და მისი ნაფხაჭნებით დამახინჯება არ ღირდა. ახლადგაპარსული სახე გაახალგაზრდავდა და გაბრწყინდა – თითქოს ძველ სარკესაც ბინდი გადაეცალა – ამ სხივმოსილი ახალგაზრდობისა და სიკვდილის კავშირში რაღაც ენით უთქმელი ელეგანტურობა გამოსჭვიოდა.

პორუჩიკი აბაზანიდან გამოვიდა. სუფთად გაპარსული ღაწვები მტრედისფრად შეფაკლოდა. მაყალთან ჩამოჯდა. რეიკოს უკვე ყველაფერი მოემზადებინა და ნაწილობრივ თავიც მოეწესრიგებინა. ლოყებზე ნაზი სიწითლე გადაჰკრავდა, ნამიანი ტუჩები უბრწყინავდა – პორუჩიკმა ცოლის სახეზე სევდის ნიშანწყალიც კი ვერ შენიშნა. მისი სიმედგრით აღფრთოვანებულმა კიდევ ერთხელ გაიფიქრა, არჩევანში არ შევმცდარვარო.

პორუჩიკმა საკეთი სავსე ფიალა დაცალა, ისევ შეავსო და ცოლს გაუწოდა. რეიკოს სასმელი არასოდეს გაესინჯა, ფიალა მაინც თვინიერად გამოართვა, ტუჩებთან მიიტანა და ფრთხილად მოსვა.

– ჩემთან მოდი, – უთხრა პორუჩიკმა.

რეიკო ქმარს მიუახლოვდა და თავი დახარა. ისიც მაგრად მოეხვია. მაგარი საკეთი შემთბარი გული ერთბაშად აჩქროლდა, სიხარული და სევდა ერთმანეთში აირია და აბობოქრდა. პორუჩიკი ცოლს თვალებში ჩაჰყურებდა. ეს იყო სახე უკანასკნელი ქალისა, უკანასკნელი ადამიანისა,

ვისი ხილვაც ბედისწერამ არგუნა. ისე აუჩქარებლად და ყურადღებით აკვირდებოდა ძვირფას ნაკვთებს, როგორც მოგზაური აკვირდება-ხოლმე თვალწარმტაც უცხო პეიზაჟებს, რომელთა კვლავ ნახვა აღარ უწერია. უცქეროდა და ცქერით ვერ ძღებოდა: რბილი, ძლიერი ბაგეები ათბობდნენ მშვენიერების ცივ არსებობას. დაიხარა და ამ ტუჩებს დაეწაფა. ქალის სახეზე ერთი კუნთიც არ შერხეულა, მაგრამ პორუჩიკმა გრძელი წამწამებით დაბურულ თვალებში აკიაფებული ცრემლი დალანდა.

— საძინებელში ავიდეთ, — შესთავაზა ცოლს. რეიკომ მიუგო, რომ ჯერ შხაპის მიღება სურდა. მაღლა მარტო ავიდა, აირის ღუმელით გამთბარ საძინებელში შევიდა და საწოლზე გაიშხლართა. ყველაფერი ძველებურად იყო. საათიც კი ემთხვეოდა. საღამოობით, ცოლის მოლოდინში რამდენჯერ წოლილა!

პორუჩიკმა ხელები თავქვეშ ამოიწყო და ჭერში ნათურისგან გაჩენილ ჩრდილებს მიაშტერდა. ნეტავ რას ელის — სიკვდილს თუ თავაწყვეტილ ტკბობას? ერთის მოლოდინი მეორეში აითქვიფა — იქნებ სწორედ სიკვდილია მისი ვნების საგანი? პორუჩიკს პასუხი არ ჰქონდა, მაგრამ იცოდა, რომ თავისუფლების ასეთი ყოვლისმომცველი გრძნობა პირველად სწვეოდა.

ფანჯრის მიღმა ავტომობილმა ჩაიგრუხუნა. თოვლიან ქვაფენილზე მოცურებული საბურავების წივილი გაისმა. ფლაკსონის ღმუილი სახლებმა ექოდ დააბრუნეს... ირგვლივ ჩვეულებრივად ბორგავდა და ფუთფუთებდა ცხოვრების ოკეანე. მხოლოდ ეს ოთახი იყო განმარტოებული კუნძული. მის გარეთ კი გადაჭიმულიყო უზარმაზარი ბობოქარი ქვეყანა, რომელსაც პორუჩიკმა თავისი გული უძღვნა, საკუთარი სიცოცხლე მსხვერპლად მიუტანა. არავინ იცის, დაინახავს თუ არა სამშობლო ამ კაცის სიკვდილს, ვინც იდეისთვის თავი გასწირა? ნუ დაინახავს! პორუჩიკი ვეღარ მოიხვეჭს დიდებას ბრძოლის ველზე, ვერ დაამტკიცებს საკუთარ სიმამაცეს, მაგრამ დღეს ფრონტის ხაზი სწორედ მის სულზე გადის.

კიბეებზე ამომავალი რეიკოს ფეხის ხმა მოესმა. ძველი ციცაბო საფეხურები მისი სიმძიმისგან ჭრიალებდა. პორუჩიკს უყვარდა ეს ხმა. ლოგინში მოლოდინად ქცეული, რამდენჯერ დამტკბარა ძველი კიბის ამ მშვენიერი ჰანგით. გაახსენდა, რომ უკანასკნელად ისმენდა ნაცნობ ჭრიალს და გაინაბა — უნდოდა ყოველი წამი სიამოვნებად ექცია. წამებიც ცისარტყელებივით აფერადდნენ და გაბრწყინდნენ. ნახევრად ჩაბნელებულ საძინებელში რეიკოს აბანოს ხალათზე შემორტყმული მეწამული სარტყელი შავად პრიალებდა. პორუჩიკი ბალთას მიეტანა, რეიკოც მიეხმარა

და სარტყელი იატაკზე ჩაცურდა. ხელები ხალათის განიერ სახელოებში შეუცურა. ქალმა მისი ხელისგულები იდაყვებით ტანზე მიიკრა. ცხელი სხეულის შეხებაზე, კაცს ვნებისგან გააჟრჟოლა.

თავადაც ვერ შენიშნეს, ისე აღმოჩნდნენ გაშიშვლებულები ანთებული გაზის ღუმელის გვერდით.

მათი სული და სხეული გაჟღენთილი იყო შეგნებით, რომ ეს უკანასკნელად ხდებოდა. თითქოს უხილავ ფუნჯს მათ სხეულებზე დიდი ასოებით წაეწერა სიტყვა „უკანასკნელად“.

პორუჩიკმა ცოლი მკერდზე მიიკრა. კოცნის მორევში ჩაიძირნენ. კაცის ენა ქალის პირში დასრიალებდა; თავს წამომდგარი უხილავი სიკვდილის აჩრდილი გრძნობებს ამძაფრებდა, ყოველი შეხება გახურებული შანთივით მწველი იყო. მოსალოდნელი აგონია ამ ტკბობას ჯერაც განუცდელ სიწრფელეს და სისპეტაკეს ანიჭებდა.

— დამენახვე. მინდა, შენს ტანს უკანასკნელად მოვეფერო, — წაიჩურჩულა პორუჩიკმა და ნათურის აბაჟური ისე შეაბრუნა, რომ შუქი პირდაპირ საწოლს დასცემოდა.

რეიკოს თვალები დაეხუჭა და გაუნძრეველად იწვა. გვერდიდან მომავალი სინათლის შუქ-ჩრდილები მისი თეთრი, მშვენიერი სხეულის ნაკვთებს იდუმალების ბურუსში ხვევდა. პორუჩიკმა ეგოისტური კმაყოფილებით გაიფიქრა, რა კარგია, პირველი მე რომ მოვკვდები და ამ სილამაზის აღსასრულს ვერ ვნახავო. ცდილობდა, აუჩქარებლად ჩაეჭედა გონებაში ეს საოცარი სანახაობა. თმებზე და სახეზე ეფერებოდა, თვალის უპეებს უკოცნიდა. მაღალი, ნათელი შუბლი... სქელი, ლამაზად მოხაზული ტუჩები... გრძელი წამწამების ჩრდილი გადაკალმული წარბების ქვეშ... სწორი, უნაკლო ცხვირი... თეთრი, ელვარე კბილები... ლოყების უნაზესი სიწითლე და პატარა, დახვეწილი ნიკაპი... პორუჩიკს თვალწინ აელანდა სიკვდილის მოლაპლაპე სახება და ხარბი კოცნით გაავარდისფერა რეიკოს თეთრ-ყირმიზი ყელი, რომელსაც მალე პირბასრი ხანჯალი დაფლეთდა. მერე კვლავ მის ტუჩებს მიუბრუნდა. თვალდახუჭულს ეჩვენებოდა, რომ მთელი სამყარო ვნების ოკეანის ტალღებზე ნანაობდა.

პორუჩიკის ტუჩები მორჩილად ასრულებდა თვალების კარნახს. მაღალ მკერდზე წამომდგარი, კოცნისგან გამაგრებული კერტები მთის ალუბლის გაუშლელ ყვავილებს ჰგავდა. ხელები მხრებიდან ნარნარად ეშვებოდა და მათი მომრგვალებული ხაზები ვიწრო მაჯებთან ერთდებოდა. თლილი თითები, ისინი საქორწინო ფოტოზე რომ მარაო ეჭირა, ხელისგულებში

მორცხვად ემალებოდა პორუჩიკის მხურვალე ტუჩებს. პატარა ღარტაფი მკერდსა და მუცელს შორის მოქნილობასა და დამყოლობას განასახიერებდა. ქვემოთ თეძოს მკვეთრი ხვეულები იწყებოდა; ტანის ეს ნაწილი თითქოს ხაზს უსვამდა მისი პატრონის სათნოებას და სიდარბაისლეს. ლამპის მქრქალ სინათლეზე მუცელი გობში ჩასხმულ რძესავით თვალისმომჭრელად ქათქათებდა; ხოლო მის ცენტრში წვიმის ანკარა წვეთივით პატარა ღრმული ლიცლიცებდა; უფრო ქვემოთ, სადაც ჩრდილები იდუმალად გაწოლილიყვნენ, შავად მოჩანდა თმის რბილი კორომი. ენებით ატანილი მთრთოლვარე სხეული თავბრუდამხვევ სურნელს აფრქვევდა.

— მეც მინდა... უკანასკნელად მინდა... — აკანკალებული ხმით თქვა რეიკომ. ასე გაბედულად ქმარს პირველად მიმართავდა.

ის, რასაც ამდენ ხანს რიდი და კრძალეულობა ცხრაკლიტულში მალავდა, ახლა სამზეოზე გამოიჭრა. პორუჩიკი მორჩილად ზურგზე გადაბრუნდა. ქალის თეთრი სხეული წამოიმართა; ქმრის მსგავსად, რეიკომ თითები ნაზად დააფარა მის ძუძუებზე მიბჯენილ თვალებს.

ენებამორეულმა და სახეალეწილმა მკერდზე მაგრად მიიკრა კაცის ჯარისკაცულად გაკრეჭილი თავი. უხეში თმა კანს დაუნდობლად ფხაჭნიდა. პორუჩიკს ცხვირი ციცი ჰქონდა, სუნთქვა — მხურვალე. სქელი წარბები... მილულული ქუთუთოები... ზორბა ცხვირი... მტკიცედ მოკუმული ლამაზი ტუჩები... სუფთად გაპარსული ლოყები... რეიკომ რიგრიგობით დაკოცნა ქმრის ასე საყვარელი სახის ნაკვთები. მერე — ძლიერი კისერი, განიერი მხრები, ამობურცული, თითქოს კუნთების ორმაგი ფარით დაცული მკერდი. მხრებისა და მკერდის მძლავრი კუნთებით დაჩრდილული იღლიებიდან, თითქოს ახალგაზრდა სხეულის სიკვდილის მაცნეაო, მოტკბო და სევდისმომგვრელი სურნელი იღვრებოდა.

პორუჩიკის კანი მწიფე თავთავისფრად ბზინავდა. მუცელს კუნთების რელიეფური ჯავშანი ფარავდა. რეიკოს თვალწინ წარმოუდგა დაფლეთილდანაკუწებული ქმრის მკვრიეი სხეული და ცრემლი ნაკადულებად წამოუვიდა. იგი დიდხანს კოცნიდა ქმრის მუცელს.

მის კანზე დაცემულმა ცრემლის წვეთებმა პორუჩიკს თითქოს ახალი ძალა შემატა. აღარ ეეჭვებოდა, რომ ყველა მტანჯველ ტკივილს გაუძლებდა. მწარედ ატირებული ქალი გულში მძლავრად ჩაიკრა. მათი ტუჩები თითქოს სამუდამოდ შეეწება ერთმანეთს. ოფლით დაცვარული ორი სხეული განუყოფელ მთლიანობად გადაიქცა. რეიკომ წამოიყვირა — მოეჩვენა, რომ უზარმაზარი სიმაღლიდან უფსკრულისკენ მიექანებოდა, მერე თითქოს

ფრთები შეესხა და კვლავ მწვერვალზე აფრინდა. პორუჩიკს ისე ეკვროდა სუნთქვა, როგორც პოლკის მედროშეს სამხედრო აღლუმზე... ვნებათა ტალღები ერთმანეთს ენაცვლებოდა. ახალ-ახალი მწვერვალების დაპყრობის ჟინით ატანილ ახალგაზრდა მეუღლეებს დაღლილობა არ ეკარებოდა.

IV

ბოლოსდაბოლოს, პორუჩიკი მოწყდა რეიკოს სხეულს. ეს არ ნიშნავდა, რომ ნდომა გაუნელდა – შეეშინდა, ბოლომდე არ დაეხარჯა ის ძალა, რომელიც ჰარაკირის გასაკეთებლად დასჭირდებოდა. თანაც, იფიქრა, სიყვარულის უკანასკნელი უმშვენიერესი წამები ზედმეტი მოყირჭებით არ გაეფერმკრთალებინა.

ქმრის გარიდებისთანავე, რეიკო, როგორც ყოველთვის, ახლაც მის ნებას დაჰყვა. ორივე დედიშობილა გულაღმა იწვა და ხელიხელჩაკიდებული უხმოდ ჭერს შეჰყურებდა. ოფლი მალე შეაშრათ, მაგრამ მოგუგუნე ღუმელი სიცივეს ცოლ-ქმრამდე არ უშვებდა. ღამე წყნარი იყო. ქუჩაში ავტომობილები აღარ მოძრაობდა; ეცუიას სადგურზე მატარებლების და ტრამვაების რახრახს აკასაკის პარკი ახშობდა. ძნელი წარმოსადგენი იყო, რომ ამ წყნარ ღამეს, დედაქალაქის ამ მშვიდობიან უბანში, მტრულად განწყობილი ორი სამხედრო დაჯგუფება ერთმანეთთან საომრად ემზადებოდა.

ცოლ-ქმარი გაუნძრეველად იწვა, ერთმანეთის სხეულებიდან მომდინარე სითბოთი ტკბებოდა და ცდილობდა, თავიდან შეეცნო უკვე განცდილი ღვთაებრივი ნეტარების წუთები: ყოველი გაელვება, ყოველი კოცნის გემო, სხეულების ყოველი შეხება და ბედნიერების გულისშემძერელი განცდა. მაგრამ ჭერის მუქი ფიცრებიდან უკვე იჭვრიტებოდა სიკვდილი. ნეტარება დამთავრდა და მას ვეღარასოდეს დაუბრუნდებოდნენ. და მაინც, ორივემ ერთდროულად გაიფიქრა – ღმერთს რომ მათთვის ხანგრძლივი სიცოცხლე ებოძებინა, ასეთ სიამოვნებას მაინც ვეღარასოდეს იგრძნობდნენ.

მალე მათი გადაჭდობილი თითები განშორდებიან. ჭერზე მიხატული ხის ჯადოსნური ხვეულებიც აღარ იარსებებს. სიკვდილის სუნთქვა სულ უფრო ახლოდან ისმოდა. დრო თითქმის აღარ რჩებოდა. მხნეობა უნდა მოეკრიბათ და თავად გადაედგათ ნაბიჯი სიკვდილისაკენ.

სიჩუმე პორუჩიკმა დაარღვია, – უკვე დროა, უნდა მოვემზადო. – მისი სიტყვები ფოლადივით მტკიცე იყო, თუმცა, რეიკოს მოეჩვენა, რომ ქმრის ხმა არასდროს არ ყოფილა ასე რბილი და ალერსიანი.

წამოდგნენ. წინ კიდევ ბევრი საქმე ელოდათ.

საწოლის ალაგებაში პორუჩიკი ცოლს არასდროს არ მიხმარებია. ახლა სასწრაფოდ გამოაღო კარადის კარი და შიგ გათელილი ფუტონები (ბამბის საბნები) შეტენა. მერე ღუმელი გამორთო, ლამპა ძველ ადგილას დააბრუნა და ჯერ კიდევ დილით რეიკოს დალაგებული ოთახი ძვირფასი სტუმრების მისაღებად გამზადებულს დაემსგავსა.

— ამ ოთახში რამდენი დაგვილეევია! — ამოიოხრა პორუჩიკმა, — კანოსთან, ჰომოსთან, ნოგუტისთან...

— ჰო, ქეიფი უყვარდათ.

— არა უშავს, მალე შევხვდებით. წარმომიდგენია, რამდენს იხუმრებენ ჩემზე, როცა ნახავენ, რომ შენც წაგიყვანე.

დაბლა ჩასვლამდე პორუჩიკი მობრუნდა და კიდევ ერთხელ მოავლო თვალი დალაგებულ, გაჩახჩახებულ ოთახს. კიდევ ერთხელ წარმოუდგა მეგობრების — ახალგაზრდა ოფიცრების სახეები, ნაბახუსევზე მათი ხმაურიანი საუბრები, გულუბრყვილო ბაქიაობა. იმ მხიარული დროსტარებისას რას წარმოიდგენდა, რომ ერთ მშვენიერ დღეს ამავე ოთახში საკუთარი მუცლის გამოღადვრა მოუწევდა.

კიბიდან ჩამოსვლისთანავე საქმეს შეუდგნენ.პორუჩიკი ჯერ ტუალეტში შევიდა, მერე — აბაზანაში. ამასობაში რეიკომ ლამაზად დაკეცა ქმრის საბანაო ხალათი და სამხედრო ფორმასთან და ახალგაკრახმალებულ წელსახვევთან ერთად აბაზანაში შეიტანა. მცირე მისაღებში პატარა მაგიდაზე სიკვდილის წინ დასაწერი ბარათებისთვის სუფთა ფურცლები დადო და თვალებიდან ტუშის მოსაცილებლად დაჯდა. ბარათის დაწერა გულში უკვე გადაწყვეტილი ჰქონდა.

რეიკოს თითები ტუშის ღეროებს ღონივრად ასრესდა სატუშეს მოვარაყებულ კიდეს. სატუშეში წყალი იმღვრეოდა და შავდებოდა.

საკუთარ თავს აუკრძალა იმაზე ფიქრი, რომ თითების თანაბარი მოძრაობა და მონოტონური შარიშური ერთადერთ მიზანს — სიკვდილის მოახლოებას ემსახურებოდა. არა, ეს ყოვლად ჩვეულებრივი ოჯახური საქმიანობაა და სიკვდილთან შეხვედრამდე დარჩენილი დროის გაყვანის საშუალებაა. და მაინც, ტუშის ღეროს თვინიერებაც (უკვე თავისუფლად რომ დასრიალებდა სატუშეზე), ტუშის უფრო და უფრო მძაფრი სუნიც რეიკოს ავისმომასწავებლად ეჩვენებოდა.

პორუჩიკი აბაზანიდან გამოვიდა. მუნდირი პირდაპირ შიშველ ტანზე ჩაეცვა. უხმოდ ჩამოჯდა, პატარა ფუნჯი ხელში აიღო და ცარიელი ფურცელი რაღაც დაბნეულად შეათვალიერა.

რეიკო თეთრ კიმონოში გამოსაწყობად წავიდა. როცა დაბანილი და ზერელედ სახემოხატული ოთახში დაბრუნდა, პორუჩიკის ბარათი უკვე დაწერილი დახვდა:

„გაუმარჯოს საიმპერატორო არმიას! პორუჩიკი სინძი ტაკეიამა“.

რეიკო ქმრის მოპირდაპირედ დაჯდა და თვითონაც წერას შეუდგა. პორუჩიკი სერიოზული სახით და ყურადღებით აკვირდებოდა, როგორ გამოჰყავდა თეთრ თითებს ქაღალდზე იეროგლიფები. სინძიმ ხმალი ჩამოიკიდა, რეიკომ ქამარში ხანჯალი ჩაიჩურთა და მერე გამოსამშვიდობებელი წერილებით ხელში საკურთხეველის წინ თავდახრილმა ცოლ-ქმარმა უხმო ლოცვა აღავლინა. პორუჩიკმა პირველ სართულზე შუქი ჩააქრო და კიბეზე ასვლა დაიწყო. შუა ადგილას მობრუნდა. რეიკოს სილამაზემ თავზარი დასცა — იგი, თეთრად შემოსილი, სიბნელიდან მისკენ მიცურავდა, წერილები ერთად შეინახეს. პორუჩიკს უნდოდა კედლიდან კაკეძიკუ[1] ჩამოეღო, მაგრამ გადაიფიქრა: მასზე გამოყვანილი იყო დიდებული სიტყვა „ერთგულება“ და ამ იეროგლიფების დამწერი, მათი სიყვარულის შუამავალი, გენერალ-ლეიტენანტი ოძეკი უეჭველად მიუტევებდათ, თუ წარწერამდე სისხლის შხეფები მიაღწევდა.

პორუჩიკი იატაკზე ჩაჯდა, ზურგით კედელს მიეყრდნო და ხმალი მუხლებზე დაიდო. რეიკო იქვე ტატამზე დაეშვა. მთლიანად თეთრებში გამოწყობილიყო და მეწამული პომადა მის ტუჩებზე დამაბრმავებლად ბრწყინავდა.

ცოლ-ქმარი გვერდიგვერდ იჯდა და ერთმანეთს თვალებში შეჰყურებდა. რეიკომ ქმრის მუხლებზე დადებულ ხმალს დახედა და, ქორწინების პირველი ღამე გაახსენდა. დარდი უკვე აუტანელი ხდებოდა. პორუჩიკი ყრუ ხმით ალაპარაკდა:

— რადგან სეკუნდანტი არ მყავს, ღრმად გაფატვრა მომიწევს. სასიამოვნო სანახავი არ იქნება, მაგრამ ნუ შეშინდები. საერთოდ, სიკვდილის ცქერა საშინელებაა. ეცადე, ვაუკაცურად გაუძლო. მპირდები?

— გპირდები, — რეიკომ მოწიწებით თავი დახარა.

ცოლის თეთრებში გამოწყობილი მოხდენილი ტანის დანახვაზე პორუჩიკს უცბად რაღაც უცნაური მათრობელა გზნება შემოენთო — რეიკო ახლა სხვანაირ, მეომრული ვალის აღმსრულებელ ქმარს იხილავს. სიკვდილი, მას რომ ელის, ბრძოლის ქარცეცხლში სიკვდილზეც ხომ

---

[1] კაკეძიკუ — ხელნაწერი წარწერა ქაღალდის ან აბრეშუმის მოგრძო ნაჭერზე

არანაკლებ საპატიოა. იგი ცოლს დაანახვებს, როგორ შეეძლო ბრძოლის ველზე მოქცეულიყო.

პორუჩიკის წარმოსახვა წამით წარმტაც ფანტაზიად იქცა. ბრძოლაში მარტოხელად სიკვდილი და თვითმკვლელობა მშვენიერი მეუღლის თვალწინ — თითქოს ერთდროულად ორ განზომილებაში სიკვდილს აპირებდა. ამ შეგრძნებამ ნეტარების მწვერვალზე ააფრინა. — აი, ნამდვილი ბედნიერება, — გაიფიქრა მან. ცოლის თვალწინ სიკვდილი იგივეა, მოკვდე ზღვიდან მონაბერი გრილი სიოს არომატის თანხლებით. მე წილად მხვდა განსაკუთრებული წარმატება, სხვისთვის მიუწვდომელი უპირატესობა. პატარძალივით თეთრი, უძრავი ფიგურა პორუჩიკისთვის განასახიერებდა ყველაფერს, რისთვისაც ამქვეყნად ცხოვრება ღირდა: იმპერატორსაც, სამშობლოსაც, საბრძოლო ალამსაც. ცოლის ნათელ გამოხედვაში ყველა ეს წმინდა სიმბოლო აირეკლებოდა.

რეიკო უყურებდა სიკვდილთან შესახვედრად მზადებაში გართულ ქმარს და ფიქრობდა, რომ სამყაროში ალბათ არ არსებობდა ამაზე მშვენიერი სანახაობა. პორუჩიკს მუნდირი მუდამ უხდებოდა, მაგრამ ახლა, როცა შუბლშეკრული და პირმოკუმული სიკვდილს ტოლ-სწორად თვალებში უყურებდა, მთელი მისი არსება განუმეორებელ ვაჟკაცურ სილამაზეს განასახიერებდა.

— მორჩა, დროა, — თქვა პორუჩიკმა.

რეიკომ თავი მდაბლად დაუკრა. ისე მდაბლად, რომ შუბლით იატაკს შეეხო. უეცრად ძალა გამოეცალა და სასო წარეკვეთა — თითქოს განძრევაც აღარ შეეძლო. საკუთარ თავს ტირილი აუკრძალა (სახე შეღებილი ჰქონდა), მაგრამ ცრემლი დაუკითხავად სდიოდა.

ბოლოსდაბოლოს წელში გაიმართა და ცრემლის ნისლიანი საბურველიდან ქმარი დალანდა — ხმლის პირზე თეთრ ქსოვილს ახვევდა ისე, რომ შიშველი ფოლადის ოცი სანტიმეტრი დარჩენილიყო.

ამას რომ მორჩა, პორუჩიკმა ხმალი იატაკზე დადო, ფეხები გადააჯვარედინა და მუნდირის საყელო შეიხსნა. ცოლისკენ აღარ იყურებოდა. მისი თითები ზედიზედ ხსნიდა სპილენძის ბრტყელ ღილებს. ჯერ შავგვრემანი მკერდი გაიშიშვლა, მერე — მუცელი. პორუჩიკმა ქამარი მოიხსნა და შარვალი ისე ჩაიწია, რომ ქათქათა ქსოვილის წელსაკრავი გამოუჩნდა. შარვალი კიდევ უფრო დაბლა ჩასწია, სხეულის უფრო მეტი ნაწილი გაიშიშვლა და მარჯვენა ხელით თეთრ ქსოვილდახვეული ხმლის პირი

ჩაბღუჯა. საკუთარ შიშველ მუცელს თვალს არ აშორებდა. თან, მარცხენა ხელს ნაზად ისვამდა წელის ოდნავ ქვემოთ.

ეტყობა, შეშინდა, ხმალი ხომ კარგად გალესილიაო, შარვალი მუხლებამდე ჩაიწია და ფეხზე ფოლადი რბილად გადაისვა. ნაჭრილობევი უმალ წითლად შეიღება, სისხლი პატარა ნაკადულებად დაეშვა და ელექტროშუქზე გაბრწყინდა.

რეიკომ ქმრის სისხლი პირველად დაინახა. სუნთქვა შეეკრა. ქმარს სახეზე შეხედა. პორუჩიკი იარას მუშტრის თვალით უყურებდა. რეიკოს მაშინვე გულზე მოეშვა, თუმცა იცოდა, რომ ეს ყალბი შეების გრძნობა იყო.

პორუჩიკმა თავი ასწია და ცოლს მკაცრი, ქორული მზერა მიაბჯინა. წელში გასწორდა. ხმლის წვერი მუცელს გაუსწორა. იმის მიხედვით, თუ როგორ დაეძაბა კუნთები კიტელის ქვეშ, ცხადი იყო, რომ პორუჩიკმა მთელი ძალა მოიკრიბა. იგი ხმლის ჩაცემას მუცლის ქვედა მარცხენა ნაწილში აპირებდა და რაც შეიძლება ღრმად.

ღამის სიჩუმე შემზარავმა ყვირილმა დაფლითა.

პორუჩიკს მოეჩვენა, რომ თითქოს თვითონ კი არ ჩაიცა მახვილი, სხეულში ვიღაცა სხვამ გაუტარა რკინის სქელი წნელი. თვალთ დაუბნელდა და რამდენიმე წამის განმავლობაში თავზე კონტროლის უნარი წაერთვა. შიშველი ფოლადი სხეულში ზედ გადახვეულ ქსოვილამდე შეიჭრა. პორუჩიკის მუშტი, ხმლის პირი რომ ჩაებღუჯა, მუცელს მიაწყდა.

გონება მალე დაუბრუნდა. – ხმლის პირი მუცლის ღრუში შევიდა, ეს უეჭველია, – გაიფიქრა მან. სუნთქვა უჭირდა, მკერდი მძიმედ მოძრაობდა. სადღაც, მისი სხეულიდან ძალიან შორს, ჯოჯოხეთური ტკივილი გაჩნდა, თითქოს მიწამ პირი დააღო და იქიდან ცეცხლოვანი ლავა ამოიფრქვა. ტკივილი საშინელი სისწრაფით უახლოვდებოდა. რომ არ ეყვირა, კბილებით ქვედა ტუჩს ჩააფრინდა. აი, რა ყოფილა ჰარაკირი, თითქოს ცა ჩამოიქცა, მთელი სამყარო შეტორტმანდა და გადაბრუნდა, – გაიფიქრა პორუჩიკმა. საკუთარი ნებისყოფა და სიმამაცე, რაც ამ წუთამდე უძლეველი რამ ეგონა, ახლა ფოლადის უწვრილეს ძაფად დაირთო. ხოლო იმ აზრმა, რომ მთელი ძალით ამ ძაფს უნდა ჩაბღაუჭებოდა, შფოთიანი სევდით აავსო. ხმლიანი მუშტი დაუსველდა. ოფიცერი ხედავდა, როგორ შეიღება სისხლით ხელიც და თეთრი ქსოვილიც. თეძოზე შემოხვეული ნაჭერიც წითლად აღაჟღაჟდა. რა საოცარია, ასე ვიტანჯები და მაინც ყველაფერს ნათლად ვხედავ, სამყაროც ძველებურად არსებობსო, – გაიფიქრა პორუჩიკმა.

მუცელში ხმლის ჩაცემის შემდეგ სახე ისე გაფითრებოდა, თითქოს თეთრი ფარდა ჩამოაფარესო. რეიკო მთელი ძალ-ღონით ეწინააღმდეგებოდა ქმრისკენ გაქცევის დაუძლეველ სურვილს. ამის გაკეთება არ შეიძლებოდა – უნდა მჯდარიყო და ეცქირა. იგი ხომ მოწმე იყო და ეს მოვალეობა ქმარმა დააკისრა. ქმარი კი სულ ახლოს იყო, გვერდითა ტატამზე, ცხადად ხედავდა მის ტკივილისაგან დამახინჯებულ სახეს და მოკვნეტილ ტუჩს, მის აუტანელ ტანჯვას, მაგრამ რეიკომ არ იცოდა, როგორ დახმარებოდა ქმარს.

პორუჩიკის შუბლზე ოფლის წვეთები ბრწყინავდა. თვალები მოხუჭა, მერე ისევ გააღო. მის გამოხედვაში ძველებური ნათელი აღარ იდგა. იგი მხეცის გამოხედვასავით უაზრო და ცარიელი გამხდარიყო.

ქმრის წამება ზაფხულის მზეზე ნათელი იყო. მას არაფერი ჰქონდა საერთო იმ ვაებასთან, რეიკოს რომ სულს უფლეთდა. ტკივილი იზრდებოდა, ძალას იკრებდა. პორუჩიკი სხვა სამყაროს ბინადრად იქცა, მთელმა მისმა ამქვეყნიური ყოფის არსმა თავი მის ტანჯვაში მოიყარა. რეიკოს მოეჩვენა, რომ მისი ქმარი უკვე ტკივილების ტყვედ ქცეულიყო და მას ხელით ველარ მიწვდებოდა. თვითონაც ტკივილები ტანჯავდა, ოღონდ, ეს არ ყოფილა ფიზიკური ტკივილებით გამოწვეული ტანჯვა – იგი ხედავდა, რომ რაღაც უხილავმა ძალამ მასა და მის ქმარს შორის მინის ციცი და უწყალო კედელი აღმართა.

ქორწინების დღიდანვე ქმარი რეიკოს სიცოცხლის აზრად იქცა. მისი სუნთქვა, რეიკოს სუნთქვაც იყო. ახლა კი იგი მხოლოდ თავისთვის, საკუთარი ტანჯვის ტყვეობაში არსებობდა. ამ აღმოჩენით შეძრწუნებულ რეიკოს თითქოს ფეხქვეშ მიწა გამოეცალა...

პორუჩიკი ცდილობდა ჭრილობა მუცლის გასწვრივ გაეფართოებინა, მაგრამ ხმლის პირი რბილ და მოქნილ შიგნეულობაში გაიხლართა. მიხვდა, ფოლადს ორივე ხელით უნდა მოჭიდებოდა და მუცლის ღრუში კიდევ უფრო ღრმად უნდა შეეყვანა. ასეც მოიქცა. ხმლის პირი მოსალოდნელზე უფრო მძიმედ იძვროდა. მარჯვენა ხელში მთელი ძალის მოკრება დასჭირდა. ხმალმა ათიოდე სანტიმეტრით წაიწია.

ტკივილი ნიაღვარივით წამოვიდა და თანდათან ყველაფერს მოედო. მოეჩვენა, რომ მისი მუცელი დედო ზარივით, არა, ათასი დედო ზარივით გუგუნებდა და პულსის ყოველ დარტყმაზე, ყოველ ამოსუნთქვაზე პორუჩიკის მთელ არსებას უმცირეს ნაწილებად ფლეთდა. გმინვის შეკავება უკვე შეუძლებელი იყო.

ჭრილობიდან სისხლი თქრიალით იღვრებოდა. იატაკი წითლად შეიღება. დამცავი ფერის შარვლიდან სისხლის რუები ჩამოედინებოდა. სისხლის ერთი წვეთი მეზობელ ტატამთან ღობემძვრალა ჩიტივით მიფრინდა და რეიკოს თოვლივით სპეტაკ კაბაზე ალისფრად აინთო.

როცა პორუჩიკმა ხმალი მუცლის მარჯვენა კიდემდე მიიყვანა, სისხლით და ქონით გაპოხილი ხმლის პირი ჭრილობიდან თითქმის ამოვარდა. ყელში უეცრად გულისრევა მიაწვა და პორუჩიკმა ხრინწიანი ხმით დაიზმუვლა. სპაზმებისგან ტკივილი კიდევ უფრო აუტანელი გახდა. ჭრილობა გაიშალა და იქიდან შიგნეული ისე გადმოვიდა, თითქოს ნაწლავებს არავითარი საქმე არ ჰქონოდეს პატრონთან – ტყვეობიდან თავდახსნილები, ჯანმრთელები და მოელვარენი მხიარულად სხმარტალებდნენ. პორუჩიკს თავი ჩამოუვარდა, მხრებს ძლივს ამოძრავებდა, თვალები დაუწერილდა და ორ პატარა ხვრელად ექცა, დუელი დაეკიდა.

მუნდირის ეპოლეტები ოქროსფრად ელვარებდა.

ირგელივ ყველაფერი სისხლში ცურავდა; პორუჩიკი წითელ გუბეში იჯდა. სხეული მოურბილდა. ერთი ხელით იატაკს ეყრდნობოდა. ოთახში მყრალი სუნი დატრიალდა – პორუჩიკი ისევ აღებინებდა. მხრები განუწყვეტლივ უთრთოდა. შიგნეულის მიერ მუცლის ღრუდან გაძეებული ხმლის პირი მის უსიცოცხლო ხელში გაყინულიყო.

ოფიცერი მოულოდნელად წამოდგა. მკვეთრი მოძრაობისგან თავი უკან გადაუვარდა და კეფით კედელს მიენარცხა.

რეიკომ, გაშეშებული რომ იჯდა და თვალს ვერ აცილებდა სისხლის ნაკადულებს, რომლებიც იატაკზე მისი მუხლებისკენ მიიკლაკნებოდა, გაოცებულმა თვალები ასწია.

ის ნიღაბი, რაც მან დაინახა, ადამიანის სახეს არ ჰგავდა. თვალები ჩაცვივნოდა, კანი მკვდრულ სიმშრალეს დაეფარა, ოდესღაც ამ ლამაზ პირს და ღაწვებს გამხმარი ტალახის ფერი დასდებოდა. პორუჩიკის მარჯვენა ხელმა ძლივძლივობით ასწია მძიმე ხმალი. დასაქოქ თოჯინასავით ნელა და ტორტმანით მოძრაობდა. პორუჩიკი გაჯიუტებული ხმლის წვერის საკუთარი ყელისთვის დამიზნებას ცდილობდა. რეიკო გაფაციცებით აკვირდებოდა ქმრის ცხოვრებაში უკანასკნელ და წარმოუდგენლად ძნელ მოძრაობას. ხმლის გაპოხილი წვერი, მიზანს ზედიზედ რამდენჯერმე ასცდა. პორუჩუკს ძალა ელეოდა. საყელო გახსნილი იყო, მაგრამ ხმლის წვერს მაინც ეღობებოდა.

რეიკოს ამის ყურება აღარ შეეძლო. უნდოდა, ქმარს მიშველებოდა, მაგრამ წამოსადგომად ძალა არ ეყო. ოთხზე დადგა, სისხლიანი გუბე გატოპა და ქმრის ზურგს უკან მიფორთხდა. თეთრი კიმონო ალისფრად შეიღება. კიტელის საყელი ფართოდ გაუხსნა – ეს იყო ყველაფერი, რითაც ქმრის დახმარება შეძლო. როგორც იქნა, ხმლის წვერი გაშიშვლებულ ყელს მიებჯინა. რეიკოს მოეჩვენა, რომ თვითონ უბიძგა ხელი ქმარს, მაგრამ ასე არ ყოფილა – პორუჩიკმა უკანასკნელი ძალა მოიკრიბა და სამართებლისკენ თვითონ გადაქანდა. ბასრმა ფოლადმა ყელი გაგლიჯა და ზურგის მხარეს გავიდა. სისხლმა იფეთქა. პორუჩიკი აღარ იძვროდა. კისერში გაყრილი ხმალი ნათურის კაშკაშა შუქზე ლურჯად ლაპლაპებდა.

V

რეიკო კიბეზე ნელა დაეშვა. სისხლით გაჟღენთილი კიმონოს კალთები იატაკზე ეთრეოდა. მეორე სართულზე მკვდრული სიჩუმე ჩამოვარდა. რეიკომ შუქი აანთო, აეროღუმელის ონკანი გადაატრიალა და ტაფას წყალი მოაევლო. მერე, პატარა ოთახში სარკის წინ გაჩერდა და კიმონოს კალთები აიკეცა. თეთრი ქსოვილი სისხლს ჯადოსნური ლაქებით მოეხატა. იატაკზე ჩაჯდა და აკანკალდა. გრძნობდა, ქმრის სისხლით სველს, როგორ უციებდებოდა ფეხები. სახეზე ფერუმარილს დიდხანს ისვამდა. ლოყები აიალისფერა, ტუჩები ღაჟღაჟა წითელი პომადით დაიფარა. ეს გრიმი აღარ ეკუთვნოდა საყვარელ კაცს, იმ სამყაროსთვის იყო განკუთვნილი, რომელსაც სულ მალე დატოვებდა. ალბათ ამიტომ, პატარა ფუნჯის მოძრაობაში იყო რაღაც დიდებული. როცა წამოდგა, სარკის წინ დაგებულ ტატამზე სისხლის ლაქა დატოვა, მაგრამ მისთვის არც შეუხედავს.

ახალგაზრდა ქალი ჯერ აბაზანაში შევიდა, ბოლოს მისაღებში გაჩერდა. საღამოს, სასიკვდილოდ რომ ემზადებოდა, პორუჩიკმა სადარბაზო კარი ჩაკეტა. რეიკო ერთ ხანს ამ რთულ დილემაზე ფიქრობდა – კლიტე გახსნას, თუ დაკეტილი დატოვოს? თუ კარი ჩარაზული იქნება, მეზობლები ახალგაზრდა წყვილის სიკვდილს კარგა ხანს ვერ შეიტყობენ. არც ის ივარგებს, თუ ხალხი უკვე გახწრნილ გვამებს აღმოაჩენს. ალბათ, გაღება აჯობებს... რეიკომ გასაღები გადაატრიალა და კარი ოდნავ გამოაღო. გარედან სუსხიანი ქარი შემოვარდა. ღამეული ქუჩა უკაცრიელი ჩანდა. სახლის ირგვლივ შემოჯარული ხეების წვეროებს ვარსკვლავები დასციმციმებდა.

რეიკო მაღლა აბრუნდა. სისხლი ქოშებზე შემხმარიყო და აღარ ცურავდა. შუა კიბეზე ცხვირში რაღაც მძაფრი სუნი ეცა.

პორუჩიკი საკუთარი სისხლის გუბეში პირქვე იწვა. ხმლის წვერი კისრიდან კიდევ უფრო გამოშვერილიყო.

რეიკომ ოთახი მშვიდად გადაიარა. მკვდრის გვერდით დაჯდა, გადაიხარა და ქმარს სახეში შეხედა. პორუჩიკის ფართოდ გახელილი თვალები მოჯადოებულივით ერთ წერტილს მიშტერებოდა. რეიკომ უსიცოცხლო თავი წამოსწია, გასისხლიანებული სახე სახელოთი მოიწმინდა, ქმარს ტუჩებში გამოსათხოვარი კოცნით დაემშვიდობა.

სწრაფად წამოდგა, კარადის კარი გააღო და იქიდან თეთრი ზეწარი და ზონარი გამოიღო. ისე, რომ კიმონო არ დაჭმუჭნულიყო. ზეწარი წელზე გულდასმით შემოიხვია და ზემოდან ზონარი მაგრად შემოუჭირა. მერე პორუჩიკის ცხედრიდან ერთ ნაბიჯზე იატაკზე დაჯდა, სარტყლიდან ხანჯალი ამოიღო, მოლაპლაპე ფოლადს გახედა და ენით ფხა მოუსინჯა. გლუვი ლითონი მოტკბო გემოსი ეჩვენა.

ახალგაზრდა ქალს წამითაც არ უყოყმანია. გაიფიქრა, რომ ის ტანჯვა, რომელიც ცოლ-ქმარს შორის ჩადგა, მალე მის საკუთრებადაც იქცეოდა; რომ ახლოვდებოდა საყვარელთან შეყრის წამი და ამიტომ გული სიხარულით ევსებოდა. პორუჩიკის ტანჯვისგან დამახინჯებული სახე რაღაც აუხსნელი იდუმალებით აღსავსე ეჩვენებოდა. იგი ახლა ამოხსნის ამ საიდუმლოს. რეიკოს მოეჩვენა, რომ მხოლოდ ახლა შეიგრძნო ტკბილი სიმწარე იმ დიადი აზრისა, რომლისაც სწამდა მის ქმარს. თუ ადრე ამ იდუმალი ცოდნის შესახებ მხოლოდ ქმრისგან გაეგონა, ახლა ყველაფერში თვითონ დარწმუნდება.

რეიკომ სატევარი ყელზე მიიბჯინა და დააწვა. ჭრილობა ძალიან უმნიშვნელო გამოდგა. თავში სისხლი აუვარდა, ხელები აუკანკალდა, ხანჯლის წვერი მკვეთრად გვერდზე გასწია. პირი უცებ რაღაც ცხელი მასით აევსო, ირგვლივ ყველაფერი გაწითლდა – ეტყობა, სისხლის ჭავლი თვალებში შეესხა. რეიკომ უკანასკნელი ძალა მოიკრიბა და სატევარი ყელში ტარამდე ჩაიყვანა.

თარგმნა თეიმურაზ ქორიძემ

გაბრიელ გარსია მარკესი

6.03.1928

გამოჩენილი კოლუმბიელი მწერალი-პროზაიკოსი, ჟურნალისტი, გამომცემელი და საზოგადო მოღვაწე. ლიტერატურული მიმართულების, „მაგიური რეალიზმის", წარმომადგენელი, დაიბადა კოლუმბიის პატარა ქალაქ არაკატაკაში, იზრდებოდა ბებიასთან და ბაბუასთან, დედულეთში. სწორედ აქ გაეცნო მომავალი მწერალი ხალხურ თქმულებებსა და ენობრივ თავისებურებებს, რაც მისი მომავალი შემოქმედების ძირითადი ელემენტი გახდა. 1946 წელს ბოგოტის ნაციონალური უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის სტუდენტი ხდება, 1950 წელს სწავლას თავს ანებებს და იწყებს ჟურნალისტურ და ლიტერატურულ საქმიანობას. განსაკუთრებულ გავლენას მასზე ამ დროისათვის ახდენენ ისეთი მწერლები, როგორებიცაა ჰემინგუეი, ფოლკნერი, ჯოისი და ვირჯინია ვულფი. როგორც სერიოზულმა პროზაიკოსმა ყურადღება მიიქცია 1955 წელს გამოქვეყნებული ვრცელი მოთხრობით „ჩამოცვენილი ფოთლები".

1958 წელს ქვეყნდება ერთ-ერთი მისი საუკეთესო ვრცელი მოთხრობა „პოლკოვნიკს არავინ სწერს", ერთი წლის შემდეგ – მოთხრობათა კრებული „დიდედის დაკრძალვა", 1966 წელს – რომანი „უბედურების ჟამი", ხოლო 1967 წელს – რომანი, რომელმაც შეძრა არამარტო ლათინური ამერიკის, არამედ მსოფლიო ლიტერატურული სამყარო – „მარტოობის ასი წელი", მარიო ვარგას ლიოსამ ამ ფაქტს „ლიტერატურული მიწისძვრა" უწოდა, ხოლო პაბლო ნერუდამ – ესპანურენოვან ლიტერატურაში „დონ კიხოტის" შემდეგ უდიდესი მოვლენა. უკვე მსოფლიო სახელის მწერალი აგრძელებს ლიტერატურულ საქმიანობას და დღემდე ქვეყნდება მის მიერ დაწერილი არაერთი მოთხრობა, რომანი თუ პუბლიცისტური ნაწარმოები: „პატრიარქის შემოდგომა" (1975), „გამოცხადებული სიკვდილის ქრონიკა" (1981), „სიყვარული ჟამიანობის დროს" (1985), „იცოცხლო იმისათვის, რომ მოუთხრო სიცოცხლის შესახებ" (2002), „ჩემი სევდიანი მეძავების მოგონება" (2004) და სხვ.

1982 წელს გაბრიელ გარსია მარკესს მიენიჭა ნობელის პრემია „რომანებისა და მოთხრობებისათვის, რომლებშიც ფანტაზია და რეალობა უჩვეულოდ და ფაქიზადაა გადახლართული კონფლიქტებით შეძრული მთელი ლათინოამერიკული კონტინენტის ცხოვრებისა და სამყაროს წარმოსახვით სურათებში".

დაკარგული დროის ზღვა

თებერვლის ბოლოს ზღვა აღელდებოდა ხოლმე, მთელ ნაგავსა და სიმყრალეს გამორიყავდა და მალე ყველაფერი აუტანელი სუნით იჟღინთებოდა. ამ ხნიდან მომავალ დეკემბრამდე ცხოვრება მოსაწყენი და ერთფეროვანი ხდებოდა და რვა საათის შემდეგ სოფელში მღვიძარ კაცს ვერ ნახავდი.

მაგრამ იმ წელიწადს, სენიორ პერბერტი რომ ჩამოვიდა, ზღვა თებერვალშიც არ აღელვებულა, პირიქით, სულ უფრო მშვიდი და მანათობელი ხდებოდა, მარტის პირველ დღეებში კი ვარდების სურნელი მოიტანა.

ტობიასმა ეს იგრძნო. მისი სისხლი რატომღაც ძლიერ იზიდავდა კიბორჩხალებს და ისიც მთელ ღამეებს საწოლიდან მათ განდევნას უნდებოდა, მხოლოდ განთიადის ნიავის წამობერვისას თუ მილულავდა თვალებს. უძილოდ გატარებული ღამეების წყალობით ტობიასს ჰაერის ოდნავი ცვლილებაც არ ეპარებოდა და, ვარდების სურნელი რომ იგრძნო, კარის გაუღებლადაც მიხვდა: – სუნი ზღვიდან მოდიოდა.

დილით გვიან ადგა. კლოტილდე ეზოში ცეცხლს აჩაღებდა. ზღვიდან მაცოცხლებელი სიო უბერავდა. ყველა ვარსკვლავი თავის ადგილზე

ჩანდა, მაგრამ ზღვის ნათების გამო მათი დათვლა თითქმის შეუძლებელი იყო. ყავა რომ დალია, ტობიასმა პირში წინა ღამის კვალი იგრძნო.

– წუხელ, – გაიხსენა მან, – რაღაც საოცრება მოხდა.

კლოტილდეს, როგორც მოსალოდნელი იყო, არაფერი გაუგია. ისე ღრმად ეძინა, სიზმარიც კი არ ახსოვდა.

– ვარდების სუნი მეცა, – თქვა ტობიასმა, – და დარწმუნებული ვარ, ზღვიდან მოდიოდა.

– არ ვიცი, როგორი სუნი აქვს ვარდს, – თქვა კლოტილდემ.

ასეც იყო. ქვასავით მაგარი, გვარჯილანარევ მიწაზე გაშენებულ სოფელში ათასში ერთხელ თუ მოიტანდა ვინმე შორიდან თაიგულს, ისიც მიცვალებულთან ერთად ზღვაში ჩასაშვებად.

– ეს ის სუნია, გუაკამაიელ დამხრჩვალს რომ ასდიოდა, – აუხსნა ტობიასმა.

კლოტილდემ გაიცინა:

– თუ კარგი სუნი იყო, დარწმუნებული ბრძანდებოდე, ეს ზღვა არ მოიტანდა!

მართლაც რომ დაწყევლილი ზღვა იყო. ბადეს სიბინძურის მეტი არაფერი ამოჰქონდა, დინამიტიც კი მხოლოდ ჩაძირული გემის ნაფოტებს ამოატივტივებდა ხოლმე. სამაგიეროდ, მოქცევის შემდეგ ქუჩები დახოცილი თევზებით ივსებოდა.

სოფელში შემორჩენილი რამდენიმე ქალი ახლა კლოტილდესავით კერას დასტრიალებდა თავს. მოხუცი ხაკობის ცოლიც იმ დღეს ჩვეულებრივზე ადრე ადგა, სახლი დაალაგა და უბედურების მომასწავებელი გამომეტყველებით საუზმის მზადებას შეუდგა.

– ჩემი უკანასკნელი სურვილია, – უთხრა ქმარს. – ცოცხლად დამმარხოთ.

ეს სიტყვები ისე წარმოთქვა, კაცს ეგონებოდა, სასიკვდილო სარეცელზე წევსო. თუმცა მაგიდის თავში იჯდა სამზარეულოში, რომლის ფართო ფანჯრებიდან მარტის დღის სინათლე მთელ სახლს ეფინებოდა. მის პირდაპირ მჯდომი მოხუცი ხაკობი უმადოდ იკირკნებოდა. კაცს იმდენი ხანი და ისე უყვარდა ცოლი, რომ უკვე ყველა მისი ტკივილი გაეთავისებინა.

– სიკვდილის წინ მინდა დავრწმუნდე, რომ მეც მიწას მომაყრიან, როგორც ყველა ღირსეულ ადამიანს. ამის მიღწევის ერთადერთი საშუალება არსებობს: გავიდე ქუჩაში და ხალხს შევევედრო ცოცხლად დამმარხონ.

– არავის ხვეწნა არ გინდა, – მშვიდად შეაწყვეტინა მოხუცმა ხაკობმა. – მე თვითონ დაგმარხავ.

– მაშინ წავიდეთ, – სთხოვა ქალმა, – თორემ სადაცაა მოეკვდები.

მოხუცი ხაკობი ყურადღებით დააკვირდა ცოლს. ქალს მხოლოდ თვალები შერჩენოდა ახალგაზრდული, სახსრებში გამოჩრილი ძვლები, როგორც ყოველთვის, დაბარვის შემდეგ მოსწორებულ მიწას უგავდა.

– მშვენივრად გამოიყურები, – უთხრა.

– წუხელ, – ამოიოხრა ქალმა, – ვარდების სუნი ვიგრძენი.

– ნუ გეშინია, – დაამშვიდა მოხუცმა ხაკობმა, – ეს ღარიბებს ხშირად გვემართება.

– არაფერიც, – თქვა ქალმა, – ყოველთვის ვნატრობდი წინასწარ მეგრძნო სიკვდილის მოახლოება, რათა ამ ზღვისგან შორს მოვმკვდარიყავი. ვარდების სურნელი სხვა არაფერია, თუ არა ღვთის ნიშანი.

მოხუცმა ხაკობმა, უკეთესი რომ ვერაფერი მოიფიქრა, საქმეების მოსაგვარებლად ცოლს ცოტა დრო სთხოვა. სადღაც გაეგონა: ადამიანი მაშინ კი არ კვდება, როცა საჭიროა, არამედ მაშინ, როცა სურსო, და ქალის წინათგრძნობით ერთობ შეშფოთებული, იმასაც კი ფიქრობდა, ნეტა თუ მეყოფა გამბედაობა, ცოცხლად დავმარხოო.

ცხრა საათზე თავისი გაუქმებული დუქნის კარი შეაღო. კარში ორი სკამი და პატარა მაგიდა ჩადგა, ზედ შაშის დაფა შემოდო და მთელი დილა გამვლელებს ეთამაშებოდა. ფანჯრიდან დანგრეული სოფლის ერთ დროს სხვადასხვაფრად შეღებილი, ახლა კი მზისგან გახუნებული და ჩამოქცეული სახლების კედლები და ზღვის ნაგლეჯი მოჩანდა.

სადილის წინ, ჩვეულებისამებრ, დონ მაქსიმო გომესს ეთამაშა, კაცს, რომელიც ორ სამოქალაქო ომს უვნებლად გადაურჩა და მხოლოდ მესამეში დატოვა ცალი თვალი. მოხუც ხაკობს მასზე ღირსეული მოწინააღმდეგე ვერც წარმოედგინა. მოხუცმა ძალით წააგო ერთი პარტია და ის იყო მეორე უნდა დაეწყოთ, რომ ჰკითხა:

– მითხარით, დონ მაქსიმო, შეძლებდით ცოლის ცოცხლად დამარხვას?

– რა თქმა უნდა, – უპასუხა დონ მაქსიმო გომესმა, – მერწმუნეთ, ხელიც არ ამიკანკალდებოდა.

გაოცებული მოხუცი ხაკობი ერთხანს დადუმდა. შემდეგ განგებ მოაკვლევინა საუკეთესო ქვები და ამოიოხრა:

– მგონია, პეტრა სიკვდილს აპირებს.

დონ მაქსიმო გომესი არც შეწუხებულა.

— ასეთ შემთხვევაში, — თქვა, — რა საჭიროა ცოცხლად დამარხვა?

კიდევ ორი ქვა მოკლა და ცრემლით დაბინდული ცალი თვალი მიაპყრო მოხუცს.

— რა მოუვიდა? — იკითხა.

— წუხელ, — ამოიოხრა მოხუცმა ხაკობმა,— ვარდების სუნი იგრძნო.

— აბა მთელი სოფელი გამწყდარა და ეს არის, — თქვა დონ მაქსიმო გომესმა,— მთელი დღეა ვარდის სურნელზე ლაპარაკობენ.

მოხუცმა ხაკობმა დიდი გაჭირვებით მოახერხა ისე წაეგო, რომ დონ მაქსიმოს თავი შეურაცხყოფილად არ ეგრძნო. სკამები და მაგიდა დუქანში შეიტანა, კარი დაკეტა და ისეთი კაცის ძებნას შეუდგა, დონ მაქსიმოს სიტყვებს რომ დაადასტურებდა. მტკიცედ დარწმუნებული მხოლოდ ტობიასი აღმოჩნდა. მოხუცმა ხაკობმა სთხოვა, სახლში წამომყევი, ვითომ შემთხვევით შემხვდი, და ყველაფერი ჩემს ცოლს უამბეო.

ტობიასი დაეთანხმა. საგარეოდ გამოწყობილი, ოთხ საათზე უკვე დერეფანში იდგა, სადაც მოხუცი ხაკობის ცოლი ქმარს საქვრიეო ტანსაცმელს უკერავდა.

ტობიასი ისე უხმაუროდ წამოადგა მას თავზე, რომ ქალი შიშისგან შეხტა.

— ღმერთო ჩემო, — წამოიყვირა მან, — მთავარანგელოზი გაბრიელი მეგონე!

— არა, ეს მე ვარ, — უთხრა ტობიასმა, — რაღაც უნდა მოგიყვე.

— უკვე ვიცი, რასაც მეტყვი, — თქვა მან.

დედაბერმა სათვალე შეისწორა და მუშაობა განაგრძო.

— მაინც რას?

— რომ წუხელ ვარდების სუნი იგრძენი.

— საიდან მიხვდი? — ჩაეკითხა გაოგნებული ტობიასი.

— ჩემს ასაკში, — აუხსნა ქალმა, — ფიქრისთვის იმდენი დრო გაქვს, ბოლოს და ბოლოს, სხვისი აზრების ამოცნობასაც იწყებ.

კედელზე ყურმიდებულ მოხუც ხაკობს შერცხვა და კედელს მოსცილდა.

— ხომ ხედავ, — დაუძახა მეორე ოთახიდან და დერეფანში გამოვიდა, — სულაც არ ყოფილა ისე, შენ რომ გეგონა.

— ამ ბიჭის ფანტაზიაა, — თავი არც აუღია ქალს, — არაფერიც არ უგრძვნია.

— დაახლოებით თორმეტი საათი იყო, — თქვა ტობიასმა, — კიბორჩხალებს ვაფრთხობდი.

ქალმა პერანგს საყელო მიაკერა.

— ტყუი, — გაუმეორა, — მთელმა ქვეყანამ იცის, რა მატყუარაც ბრძანდებით, — ძაფი კბილით მოკვნიტა და სათვალის ზემოდან გახედა ტობიასს, — ოღონდ ერთი რამ ვერ გამიგია, ნუთუ მხოლოდ იმიტომ გაიპრიალე ფეხსაცმელი და ქოჩორიც ვაზელინით გადაიგლისე, რომ მოსულიყავი და ტყუილუბრალოდ მოგეცდინე?!

ამის შემდეგ ტობიასი ზღვას დაუდარაჯდა. ჰამაკი ეზოში ჩამოკიდა და მოთმინებით დაიწყო ლოდინი, თან უკვირდა, თურმე რამდენი რამ ხდება ღამით, ხალხს რომ სძინავსო. ესმოდა, რა ფხაჭაფხუჭით ცდილობდნენ კიბორჩხალები იმ ხეზე აცოცებას, ჰამაკი რომ ეკიდა და რამდენიმე დღის შემდეგ როგორ მობეზრდათ უშედეგო ცდა. კლოტილდეს ძილიც შეისწავლა. ნახა, სიცხის მომატებასთან ერთად როგორ უხეშდებოდა მისი ფლეიტის ჰანგებივით ნაზი სუნთქვა და ხვრინვადქცეული როგორ ერთვოდა ივლისის ხვატს.

თავდაპირველად ტობიასმა, ზღვის კარგი მცოდნესავით, ჰორიზონტზე ერთ წერტილს გაუშტერა თვალი. ნახა, როგორ იცვალა ფერი წყალმა, როგორ გამუქდა, როგორ მოიყენა ქაფი და გაუთავებელი წვიმებით აზვირთებულმა როგორ გამორიყა ნაპირზე სიბინძურით სავსე ტალღები. ცოტა ხნის შემდეგ ტობიასი უკვე ზღვის საუკეთესო მცოდნესავით იქცეოდა, ზღვას რომ არც უყურებენ, მაგრამ ძილშიც მასზე ფიქრობენ.

აგვისტოში მოხუცი ხაკობის ცოლმა სული უფალს მიაბარა. დილით მკვდარი ნახეს საწოლში და სხვა მიცვალებულივით ზღვაში ჩაუშვეს უყვავილებოდ.

ტობიასი მაინც იცდიდა. ეს გაუთავებელი ლოდინი უკვე მისი ცხოვრების საზრისად იქცა.

ერთ ღამეს, ჰამაკში რომ თვლემდა, ჰაერს რაღაც ცვლილება შეატყო, ნიავმა უცხო სუნი მოიტანა, როგორც მაშინ, იაპონურმა ხომალდმა ნავსადგურში დამბალი ხახვი რომ გადმოტვირთა. ცოტა ხანში სუნი მკვრივი და უმოძრაო გახდა, ტობიასმა ცოტა კიდევ მოიცადა და, რომ დარწმუნდა, ახლა კი შემიძლია ხელით შევეხოო, ჰამაკიდან გადმოვიდა, კლოტილდეს ოთახში შევიდა და ცოლი რამდენჯერმე შეანჯღრია.

— აქ არის, — უთხრა.

წამოჯდომა რომ მოეხერხებინა, კლოტილდე იძულებული გახდა სუნი აბლაბუდასავით გაეწია ხელით.

– დასწყეველოს ღმერთმა, – თქვა და მოცახცახე ტილოზე დაეშვა.

ტობიასი კარს ეცა, შუა ქუჩაში გავარდა და ყვირილი მორთო. მთელი ძალით ყვიროდა, სულს მოითქვამდა და ისევ აყვირდებოდა. შემდეგ გაჩუმდა და ღრმად ჩაისუნთქა. სუნი ისევ იდგა ზღვაზე. არავინ გამოხმაურებია, მაშინ კარდაკარ დაიწყო სირბილი და ბრახუნი, მიტოვებულ სახლებსაც არ უვლიდა გვერდს. ხმაური ძაღლებმაც აიტაცეს და მალე მთელი სოფელი ფეხზე დადგა. ბევრმა ვერაფერი იგრძნო, მაგრამ ზოგიერთი, განსაკუთრებით მოხუცები, სურნელის უკეთ ჩასასუნთქად სანაპიროზე ჩავიდნენ. სუნი ისე შესქელდა, რომ ძველი სუნებისთვის ჭუჭრუტანაც კი არსად დატოვა. ზოგიერთი მოქანცა ახალმა სუნმა და შინ დაბრუნდა, მაგრამ უმეტესობა გამოსაძინებლად პლაჟზე დარჩა. დილით სუნი ისე გამჭვირვალე გახდა, რომ ჩასასუნთქად ვერც გაიმეტებდი.

ტობიასს მთელი დილა ეძინა. სიესტაზე კლოტილდემ გააღვიძა და დაღამებამდე ხან მუხლუხოებივით, ხან კურდღლებივით და ხან კუებივით ბღლარძუნობდნენ, ჭიშკარი არც კი დაუკეტავთ. ვარდების სურნელი ღამეც არ გამქრალა. ხანგამოშვებით ოთახში მუსიკის ჰანგები იჭრებოდა.

– კატარინოსგან ისმის, – თქვა კლოტილდემ, – ვინმე თუ ჩამოვიდა.

სამი კაცი და ერთი ქალი ჩასულიყო. კატარინომ იფიქრა: ამათ სხვებიც ჩამოჰყვებიანო, და პატეფონის მომართვა სცადა, მაგრამ არაფერი გამოუვიდა და დახმარებისთვის პანჩო აპარესიდოს მიმართა, მას ხომ ყველაფერი ეხერხებოდა, რადგან საქმე არაფერი გააჩნდა, თანაც ხელსაწყოების ყუთი და ოქროს ხელები ჰქონდა.

კატარინოს დუქანი ზღვისპირა ფიცრულში იყო მოთავსებული. იგი ერთი დიდი სალონისა და რამდენიმე ოთახისაგან შედგებოდა. სალონში მაგიდები და სავარძლები იდგა. ჩამოსულები ჩუმად სვამდნენ დახლთან, თან პანჩო აპარესიდოს საქმიანობას ადევნებდნენ თვალს და რიგრიგობით ამთქნარებდნენ. როგორც იქნა, პატეფონი ამუშავდა. შორეული ჰანგების გაგონებაზე ხალხს თითქოს ხმა ჩაუვარდა, მხოლოდ მაშინ მიხვდნენ, როგორ დაბერებულიყვნენ იმ დღის შემდეგ, რაც პირველად მოისმინეს ეს მუსიკა.

იმ დღეს ცხრა საათის შემდეგაც არავის დაუძინია. ისხდნენ თაეიანთი სახლის ზღურბლზე, კატარინოს ძველ ფირფიტებს უსმენდნენ და სახეებზე იმ ბავშვის გაოცება ეხატათ, რომელმაც პირველად ნახა მზის დაბნელება.

ყოველი ფირფიტა მათ ხან რომელიმე გარდაცვლილს აგონებდა, ხან ხანგრძლივი ავადმყოფობის შემდეგ გასინჯული საჭმლის გემოს, ხან სახვალიოდ გადადებულ ან კარგახნის წინ დაგეგმილ და გულმავიწყობის გამო გაუკეთებელ საქმეებს.

თორმეტი საათისთვის მუსიკა შეწყდა. უმრავლესობა დაწვა. ისეთი ლეგა ღრუბელი ჩამოწვა, ეგონათ, გაწვიმდებაო, მაგრამ ღრუბელმა ცოტა ხანი ზღვის ზედაპირზე ილიცლიცა და ჩაიძირა. ცაზე მხოლოდ ვარსკვლავები დარჩა. შემდეგ სოფლის ნიავი შუა ზღვაში შეიჭრა და იქიდან ვარდების სურნელი გამოიყოლა.

— ხომ გითხარი, ხაკობ, — თქვა დონ მაქსიმო გომესმა, — ისევ დაბრუნდა. ეჭვიც არ მეპარება, ყოველღამე ვიგრძნობთ.

— ღმერთმა ნუ ქნას, — ამოიოხრა მოხუცმა ხაკობმა, — ეს სუნი ერთადერთი რამაა, რაც ცხოვრებაში დაგვიანებით მეწვია.

მოხუცი ცარიელ დუქანში შაშს თამაშობდა. მუსიკას ყურადღებასაც არ აქცევდა. მისი მოგონებები კატარინოს ფირფიტაზე ძველი იყო და ამიტომ ეს მელოდია არც აღელვებდა.

— მე ამ ამბების მაინცდამაინც არ მჯერა, — თქვა დონ მაქსიმო გომესმა, — ამდენი მიწის ჭამისა და ყვავილებიან პატარა ეზოზე ოცნების შემდეგ კაცს შეიძლება ეს ყველაფერი მოეჩვენოს, შემდეგ კი მართლა დაიჯეროს.

— მაგრამ საკუთარი ცხვირით რომ ვგრძნობთ? — თქვა მოხუცმა ხაკობმა.

— ეს არაფერს ნიშნავს, — დაიწყო დონ მაქსიმომ, — ომის დროს, რევოლუციის გადარჩენის ყოველგვარი იმედი რომ დავკარგეთ, ისე ვინატრეთ გენერალი, რომ ბოლოს ხორცშესხმული ჰერცოგი მარლბორო გამოგვეცხადა და ეს ყველაფერი საკუთარი თვალით ვიხილე, ხაკობ.

თორმეტი გათავდა. მარტო რომ დარჩა, მოხუცმა დუქანი დაკეტა და სანთელი საწოლ ოთახში აიტანა. ფანჯარაში ზღვის შუქი კრთოდა და ის კლდე მოჩანდა, საიდანაც მიცვალებულებს უშვებდნენ წყალში.

— პეტრა! — დაუძახა წყნარად.

პეტრამ ვერ გაიგო, ან კი როგორ გაიგებდა, როცა უკვე ბენგალის ყურეში მიცურავდა, სადაც მცხუნვარე შუადღე იდგა და ცდილობდა წყალში, როგორც ილუმინატორში, ვეება გემი დაენახა, ოკეანეს რომ

სერავდა. მოხუცი ხაკობი კი დედამიწის მეორე მხარეს იჯდა და კატარინოს ფირფიტებს უსმენდა.

— ხედავ? — განაგრძობდა მოხუცი, — ექვსიოდე თვის წინ გიჟად გთვლიდნენ, ახლა კი თვითონ ზეიმობენ იმ სუნის მოსვლას, შენ რომ გიმსხვერპლა, — შუქი ჩააქრო და დაწვა. ჩუმად, სლუკუნით ატირდა, მაგრამ მალე ჩაეძინა. — რომ შემეძლოს, გადავიხვეწებოდი ამ სოფლიდან, — ჩაიბუტბუტა ძილ-ბურანში. — ნამდვილად წავიდოდი, ოცი პესო მაინც რომ მქონდეს.

კიდევ რამდენიმე კვირას ტრიალებდა სუნი ზღვაზე. სახლის ფიცრები, წყალი და საჭმელიც კი ამ სუნით გაიჟღინთა, ზოგი სერიოზულად შეშფოთდა, საკუთარ განავალშიც ვარდების სურნელი რომ იგრძნო.

კატარინოს დუქანში ჩამოსული სამი კაცი და ერთი ქალი ოთხშაბათს წავიდა და შაბათს ისევ დაბრუნდნენ უამრავ ხალხთან ერთად. კვირას კიდევ ჩამოვიდნენ. საჭმლისა და ღამის გასათევის ძიებაში ყოველ კუთხე-კუნჭულს მოედვნენ და მალე ქუჩაში ნემსი არ ჩავარდებოდა.

ხალხის ნაკადი კი არ წყდებოდა. დაბრუნდნენ ქალები, პირველებმა რომ მიატოვეს სოფელი. უფრო გასუქებულიყვნენ და ფერზე მოსულიყვნენ, თან ახალი ფირფიტები მოიტანეს, არავის არავითარ მოგონებებს რომ არ აღუძრავდა. რამდენიმე ძველი მოსახლეც დაბრუნდა, გამდიდრების სურვილს ოდესღაც შორეულ მხარეებში რომ გადაეხვეწა. ისინი გაუთავებლად ლაყბობდნენ თავიანთ უჩვეულო წარმატებებზე, თუმცა რითაც წავიდნენ, იმავე ტანსაცმლით დაბრუნდნენ.

ჩამოვიდნენ მუსიკოსები, მკითხავები, მკვლელები და სიცოცხლის ელექსირით მოვაჭრენი, წელზე გველშემოხვეულები რომ დადიოდნენ. დადგეს ლატარია. კიდევ რამდენიმე კვირა მოედინებოდა ხალხი. პირველი წვიმების დაწყებისთანავე ზღვა აიმღვრა და სუნიც გაქრა, ჩამომსველელთა რიცხვი კი მაშინაც არ შემცირებულა.

ბოლოს მღვდელი ჩამოვიდა. მხოლოდ რძიან ყავაში ჩამბალ პურს მიირთმევდა, ყველგან ცხვირს ჰყოფდა და ნელ-ნელა ყველაფერს კრძალავდა: ლატარიას, მოდურ მუსიკას, ახალ ცეკვებს, ასე განსაჯეთ. ახალშემოღებული წესი — პლაჟზე ძილიც კი აკრძალა. ერთ საღამოს მელჩონის სახლში ზღვის სუნზე იქადაგა კიდეც.

— მადლობა აღავლინეთ ღმრთისა მიმართ, შვილნო ჩემნო, რამეთუ უფლის წყალობაა სურნელი ესე.

ვიღაცამ მღვდელს სიტყვა გააწყვეტინა:

— რა იცით, პადრე, თქვენ ხომ არ გიგრძვნიათ სუნი.

— წმინდა წერილი არ სტყუის, შვილო ჩემო, — თქვა მან,— ჭეშმარიტად ღვთის რჩეულ სოფელში ვართ.

ტობიასი მთვარეულივით დაბორიალობდა. კლოტილდეს ფული აჩვენა. წარმოიდგინეს, თითქოს რულეტს თამაშობდნენ და როცა მოგებული თანხა გადათვალეს, თავი უმდიდრეს ადამიანებად ჩათვალეს, მაგრამ სულ მალე მარტო მათ კი არა, ყველა იმ სოფლელმა, ოცნებასაც რომ ვერ გაბედავდა, იმდენი ფული ნახა ერთად. ეს ის ღამე იყო, სენიორ ჰერბერტი რომ ჩამოვიდა. მოულოდნელად გამოჩნდა, შუა ქუჩაში მაგიდა გამოატანინა და ზედ ბანკნოტებით სავსე ორი უზარმაზარი ჩემოდანი შემოდგა. თავდაპირველად ყურადღება არავის მიუქცევია. აბა, ვინ წარმოიდგენდა, რომ ამდენი ფული მართლა შეიძლებოდა არსებულიყო. როცა სენიორ ჰერბერტმა ზარს შემოჰკრა, ხალხმა მხოლოდ მაშინ დაიჯერა ეს ამბავი და ჩამოსულს გარს შემოეხვია.

— მე დედამიწის ზურგზე უმდიდრესი ადამიანი ვარ, — დაიწყო სენიორ ჰერბერტმა, — ფული იმდენი მაქვს არც კი ვიცი, სად წავიღო, და რადგან ისეთი კეთილიც გახლავართ, რომ მკერდში გული ძლივს მეტევა, გადავწყვიტე მსოფლიო შემოვიარო და კაცთა მოდგმის პრობლემები გადავჭრა.

მაღალი იყო, წითური, ხმამაღლა და შეუსვენებლად ლაპარაკობდა, თან გაძვალტყავებულ ხელებს იქნევდა, იფიქრებდი, ეს-ესაა გაუპარსავსო. თხუთმეტი წუთი ილაპარაკა, შეისვენა, ისევ შემოჰკრა ზარს და განაგრძო. შუა ლაპარაკში რომ იყო, ბრბოში ვიღაცის სომბრერო შეინძრა და მოუთმენელი ხმა გაისმა:

— მორჩით, მისტერ, ლაპარაკს და ფულის დარიგებაზე გადადით!

— ასე არა, — უპასუხა სენიორ ჰერბერტმა, — არაფრის გამო. ფულის დარიგება გაუმართლებელი და უაზრო საქციელია.

ბრბოში ის კაცი მოძებნა, ვინც სიტყვა გააწყვეტინა და ხელით ანიშნა — მომიახლოედიო. ხალხმა გზა დაუთმო.

— ახლა, — თქვა სენიორ ჰერბერტმა, — ამ მოუსვენარი მეგობრის დახმარებით აგიხსნით ფულის განაწილების ჩემს უბრალო სისტემას. რა გქვია? — ჰკითხა და ხელი გაუწოდა.

— პატრისიო.

— ძალიან კარგი, პატრისიო, — უთხრა სენიორ ჰერბერტმა, — შენ, რა თქმა უნდა, შენი გადაუჭრელი პრობლემაც გექნება.

პატრისიომ ქუდი მოიხადა და ეს ვარაუდი თავის დაქნევით დაადასტურა.

— რა გაწუხებს?

— მთელი ჩემი პრობლემა უფულობაა.

— რამდენი გჭირდება?

— ორმოცდარვა პესო.

სენიორ ჰერბერტს გამარჯვების ყივილი აღმოხდა.

— ორმოცდარვა პესო, — გაიმეორა, ხალხმა ტაში დასცხო.

— კეთილი და პატიოსანი, პატრისიო, — განაგრძო სენიორ ჰერბერტმა, — ახლა ერთი რამ გვითხარი, რისი გაკეთება შეგიძლია?

— ბევრი რამისა.

— აირჩიე, რასაც ყველაზე კარგად ფლობ, — ურჩია სენიორ ჰერბერტმა.

— ყველაზე კარგად ჩიტებს ვაჯავრებ.

ისევ გაისმა ტაში. სენიორ ჰერბერტი ხალხს მიუბრუნდა.

— მაშ ასე, ქალბატონებო და ბატონებო, ჩვენი მეგობარი პატრისიო ახლა ჩვენ თვალწინ გამოაჯავრებს ორმოცდარვა სხვადასხვა ჩიტს და ამით თავისი ცხოვრების პრობლემასაც გადაჭრის.

გაოცებული ხალხი მიჩუმდა. პატრისიომ დაიწყო ჩიტების გამოჯავრება. ხან უსტვენდა, ხანაც ხორხისმიერ ბგერებს გამოსცემდა. ყველა ნაცნობ და უცნობ ჩიტს გამოაჯავრა. ბოლოს, სენიორ ჰერბერტმა ტაში დაუკრა და პატრისიოს ორმოცდარვა პესო გაუწოდა.

ახლა თითო-თითოდ მომიახლოვდით. ხვალ ამ დრომდე აქ ვარ თქვენი პრობლემების გადასაჭრელად, — თქვა მან.

მოხუცმა ხაკობმა ეს ყველაფერი გამვლელებისგან შეიტყო. ყოველ სიახლეზე გული ისე უხტოდა, ლამის გასკდომოდა.

— რას ფიქრობთ ამ გრინგოზე? — ჰკითხა მან დონ მაქსიმო გომესს.

დონ მაქსიმომ მხრები აიჩეჩა:

— ფილანტროპს ჰგავს.

— რამის გაკეთება რომ შემეძლოს, — თქვა მოხუცმა ხაკობმა, — ჩემს პრობლემასაც გადავწყვეტდი. დიდი კი არაფერია, ოცი პესო.

— თქვენ ხომ ბრწყინვალედ თამაშობთ შაშს, — შეახსენა დონ მაქსიმო გომესმა.

მოხუც ხაკობს მისთვის ყურადღება არ მიუქცევია, მაგრამ მარტო რომ დარჩა, დაფა და ქვები გაზეთში გაახვია და სენიორ ჰერბერტის საძებნელად წავიდა.

შუაღამემდე უცადა რიგს. ბოლოს სენიორ ჰერბერტმა ჩემოდნები დახურა და მეორე დღემდე დაემშვიდობა ხალხს. თუმცა დასაძინებლად არ წასულა, თავის მტვირთავებთან და ჩემოდნებთან ერთად კატარინოს დუქანში ამოჰყო თავი. ხალხმა იქაც მიაგნო და პრობლემების გადაჭრა ახლა დუქანში გაგრძელდა. ნელ-ნელა ყველა პრობლემა გადაიჭრა. მალე დუქანში მხოლოდ ქალები და პრობლემაგადაჭრილი კაცები დარჩნენ. სალონის სიღრმეში ვიღაც ქალი განმარტოებით მიმჯდარიყო და ნელა ინიავებდა რეკლამის ფურცლით.

— ეი! — დაუძახა სენიორ ჰერბერტმა, — შენ რაღა პრობლემა გაქვს?

ქალმა მონიავება შეწყვიტა.

— თავი დამანებეთ, მისტერ, — გადასძახა მთელი სალონის გასაგონად. — მე მეძავი ვარ და არავითარი პრობლემა არ გამაჩნია!

სენიორ ჰერბერტმა მხრები აიჩეჩა და ახალი პრობლემების მოლოდინში ჩაცივებული ლუდის სმა განაგრძო. ოფლი ასხამდა. ცოტა ხნის შემდეგ ხალხის ჯგუფს ერთი ქალი გამოეყო, სენიორ ჰერბერტს მიუახლოვდა და ჩუმად დაუწყო ლაპარაკი. მისი პრობლემა ხუთასი პესოთი განისაზღვრებოდა.

— რამდენად? — ჰკითხა სენიორ ჰერბერტმა.

— ხუთ პესოდ.

— წარმოიდგინე, — თქვა სენიორ ჰერბერტმა, — ასი კაცი იქნება.

— არაფერია, — უპასუხა ქალმა, — თუ ამ თანხას შევაგროვებ, ეს ჩემი ბოლო ასი კაცი იქნება.

სენიორ ჰერბერტმა ქალი შეათვალიერა. ძალიან ახალგაზრდა ჩანდა, ძვალ-სუსტი, თვალებში კი მტკიცე გადაწყვეტილება ედგა.

— კარგი, — უთხრა სენიორ ჰერბერტმა, — შედი ოთახში, იქ გამოგიგზავნი ხუთპესოიან ხალხს.

შემდეგ ქუჩაში გავიდა და ხალხის მოსახმობად ზარს შემოჰკრა.

დილის შვიდ საათზე ტობიასიც შევიდა კატარინოს დუქანში. სალონში ბნელოდა. ნახევრად მთვლემარე, ლუდით გაბერილი სენიორ ჰერბერტი ოთახში შემსვლელთა რიგს აწესრიგებდა.

ტობიასიც შევიდა. გოგო მას იცნობდა და, ოთახში შესული რომ დაინახა, გაუკვირდა.

— შენც? — ჰკითხა.

— მითხრეს, შედიო, — თქვა ტობიასმა, — ხუთი პესო მომცეს და დამარიგეს, არ გაჩერდეო.

ქალმა ოფლით გაჟღენთილი ზეწარი აიღო და ტობიასს სთხოვა მეორე ბოლოსთვის მოეკიდა ხელი. ზეწარი მძიმე იყო. მანამდე წურავდნენ,— სანამ თავისი წონა არ დაუბრუნდა. მერე ლეიბი გადმოაბრუნეს. ტობიასმა ყველაფერი გააკეთა, რაც ეევალებოდა. გასვლის წინ თავის ხუთი პესო ფულის გორას მიუმატა, რომელიც ნელ-ნელა იზრდებოდა საწოლის გვერდით.

— რაც შეიძლება მეტი ხალხი გამოგზავნე, — უთხრა სენიორ ჰერბერტმა, — იქნებ შუაღამემდე ამ საქმესაც მოვრჩეთ.

გოგომ ოთახის კარი გამოაღო და ციცი ლუდი ითხოვა. კიდევ რამდენიმე კაცი იცდიდა.

— რამდენი დარჩა? — იკითხა მან.

— სამოცდაცამეტი, — უპასუხა სენიორ ჰერბერტმა.

მოხუცი იაკობი დაფით ხელში მთელი დღე კუდში დასდევდა სენიორ ჰერბერტს. დაღამებისას, როგორც იქნა, მოუწია რიგმა. სენიორ ჰერბერტს თავისი პრობლემა გააცნო და ისიც დათანხმდა. შუა ქუჩაში გამოტანილ დიდ მაგიდაზე პატარა მაგიდა და ორი სკამი შემოდგეს და მოხუცმა ხაკობმა თამაში დაიწყო. წააგო.

— ორმოცი პესო, — თქვა სენიორ ჰერბერტმა და ორი ქვით ნაკლები დაიტოვა დაფაზე.

ისევ მოიგო, თითებით ოდნავ ეხებოდა ქვებს. დაფას ზედ არ უყურებდა. მოწინააღმდეგის სვლებს წინასწარ ხვდებოდა და სულ იგებდა. ხალხი დაიღალა მათი ცქერით. როცა მოხუცი ხაკობი საბოლოოდ დანებდა, სენიორ ჰერბერტისა ხუთი ათას შვიდას ორმოცდაორი პესო და ოცდასამი სენტავო ემართა.

არ შეკამათებია. რიცხვი ფურცელზე ჩაიწერა და ჯიბეში ჩაიდო, შემდეგ დაფა დახურა, ქვები ყუთში ჩააწყო და ეს ყველაფერი გაზეთში გაახვია.

— რაც გინდათ, ის მიყავით, — თქვა მან, — ოღონდ ესენი დამიტოვეთ. პირობას გაძლევთ, დარჩენილ დღეებში სულ ვითამაშებ და ვალს შევაგროვებ.

სენიორ ჰერბერტმა საათს დახედა.

— ძალიან ეწუხვარ, — თქვა მან. — მაგრამ ვადა ოც წუთში გადის. — შემდეგ ცოტა ხანს იყუჩა, მაგრამ როცა დარწმუნდა, მოწინააღმდეგემ ვერაფერი მოიფიქრაო, ჰკითხა: — სხვა არაფერი გაგაჩნიათ?

— ღირსება.

— ეს ისეთი რამაა, — ახსნა სენიორ ჰერბერტმა, — ფერს რომ იცვლის ჭუჭყიანი ფუნჯის შეხებისას.

— სახლი, — განაგრძო ხაკობმა, თითქოს თავსატეხს ხსნისო, — მართალია, დიდი ვერაფერი შვილია, მაგრამ რაც უნდა იყოს, მაინც სახლია.

მაშინ სენიორ ჰერბერტმა მოხუც ხაკობსაც და იმათაც, ვისაც წაგებულის გადახდა არ შეეძლო, შესთავაზა სახლებით გაესტუმრებინათ ვალი. სამაგიეროდ, ერთკვირიანი კარნავალი მოაწყო შუშხუნებით, მუსიკით და აკრობატებით. ზეიმს თვითონ ხელმძღვანელობდა.

მართლაც რომ დაუვიწყარი კვირა იყო. სენიორ ჰერბერტმა სოფლის არაჩვეულებრივ ბედზე ილაპარაკა. მომავლის ქალაქიც კი დახატა უამრავი მინის სახლითა და სახურავებზე მოწყობილი საცეკვაო მოედნებით. ხალხი გაოცებული მიჩერებოდა ნახატს. ყველა ცდილობდა საკუთარი თავი ამოეცნო. მაგრამ ნახატზე ისე ლაზათიანად იყვნენ გამოწყობილები, არაფერი გამოუვიდათ, ამ კაცის ზრუნვის შემყურეთ პირდაპირ გული უკვდებოდათ, იცინოდნენ, მაგრამ სიცილის დროს ტირილის ისეთ დაუოკებელ სურვილს გრძნობდნენ, ოქტომბერში რომ მოეძალება ხოლმე კაცს. სანამ სენიორ ჰერბერტი ლაპარაკობდა, იმედის ბურუსი ეხვიათ გარს. ბოლოს ორატორმა ზარს შემოჰკრა, ხალხს ზეიმის დამთავრება აუწყა და, როგორც იქნა, დაისვენა.

— ასე თუ განაგრძეთ, ნამდვილად მოკვდებით, — უთხრა მოხუცმა ხაკობმა.

— იმდენი ფული მაქვს, დიდი უსინდისობა იქნება ჩემი სიკვდილი, — უპასუხა სენიორ ჰერბერტმა.

საწოლში ჩაესვენა და დაიძინა. ძილში ლომივით ბრდღვინაედა. იმდენ ხანს ეძინა, ხალხი ლოდინით დაიღალა. შიმშილით რომ არ დახოცილიყვნენ, მიწიდან ამოთხრილ კიბორჩხალებს ჭამდნენ. კატარინოს ახალი ფირფიტები ისე მოძველდა, უცრემლოდ ვეღარავინ უსმენდა და იძულებული გახდნენ დუქანი დაეხურათ.

უკვე კარგა ხანი იყო გასული სენიორ ჰერბერტის დაძინებიდან, როცა მოხუცი ხაკობის კარზე მღვდელმა დააკაკუნა.

კარი შიგნიდან იყო ჩაკეტილი, რადგან მძინარე თითქმის მთელ უანგბადს ნთქავდა, ზოგიერთ ნივთს წონა დაეკარგა და ჰაერში დაფრინავდა.

— მასთან ლაპარაკი მსურს, — თქვა მღვდელმა.

— უნდა მოიცადოთ, — უპასუხა მოხუცმა ხაკობმა.

— დრო არა მაქვს!

— დაბრძანდით, პადრე, და დაიცადეთ, — არ თმობდა მოხუცი ხაკობი, — თან პატივი დამდეთ და მელაპარაკეთ: კარგა ხანია აღარ ვიცი, რა ხდება ქვეყანაზე.

— გარბის ხალხი, — თქვა მღვდელმა, — მალე სოფელი ისევ დაცარიელდება, ესაა ერთადერთი სიახლე.

— დაბრუნდებიან, — თქვა მოხუცმა ხაკობმა, — როცა ზღვაზე ვარდების სუნი ჩამოწვება, დაბრუნდებიან.

— მაგრამ, სანამ ეს მოხდება, ხალხს რწმენა უნდა შევუნარჩუნოთ, — აუხსნა მღვდელმა, — ტაძრის აშენება მოგვიწევს.

— ამიტომ მოხვედით მისტერ ჰერბერტთან? — ჰკითხა ხაკობმა.

— ამიტომ, — დაუდასტურა მღვდელმა, — გრინგოები მოწყალე ხალხია.

— მაშინ, მოიცადეთ, პადრე, — ურჩია მოხუცმა ხაკობმა, — იქნებ გაიღვიძოს.

შაშის თამაში დაიწყეს. ეს იყო უგრძესი და უძნელესი, რამდენიმედღიანი პარტია. სენიორ ჰერბერტი კი არა და არ იღვიძებდა. პადრე სულ აირია. მოწყალების სათხოვნელად სპილენძის თეფშით ხელში ყოველი კუთხე-კუნჭული შემოიარა, მაგრამ ბევრი ვერაფერი შეაგროვა. ამდენი მათხოვრობით თანდათან გამჭვირვალე გახდა და ძვლებიც აუჩხრიალდა. ერთ კვირა დღეს ორი გოჯით ასცილდა მიწას, მაგრამ ეს ვერავინ შეიტყო. მაშინ ერთ ჩემოდანში ტანსაცმელი ჩააწყო, მეორეში — შეგროვილი ფული და სამუდამოდ აიკრა გუდა-ნაბადი.

— არ დაბრუნდება სურნელი, — ეუბნებოდა ყველას, ვინც მის შეჩერებას ცდილობდა, — აშკარაა, სოფელს რაღაც მომაკვდინებელი ცოდვა ჩაუდენია.

სენიორ ჰერბერტმა რომ გაიღვიძა, ცხოვრება უკვე ძველ კალაპოტში ჩამდგარიყო. წვიმებს ჩამოსულთა ყოველგვარი კვალი გადაერეცხა და მიწა ისევ აგურივით მაგარი და გამომშრალი იყო.

— დიდხანს მეძინა? — დაამთქნარა სენიორ ჰერბერტმა.

— საუკუნეები, — დაუდასტურა მოხუცმა ხაკობმა.

— ვკვდები შიმშილით!

— მთელი ქვეყანა მაგ დღეშია, — თქვა მოხუცმა ხაკობმა, — ისევ კიბორჩხალების დაჭერა მოგვიწევს.

ტობიასი სენიორ ჰერბერტს მაშინ წამოადგა თავს, როცა ეს უკანასკნელი პირზე დუჟმორეული ქვიშას ქექავდა და ძალიანაც გაოცდა, მდიდრების და ღარიბების შიმშილი ერთმანეთს როგორ ჰგვანებიაო.

სენიორ ჰერბერტმა საკმარისი კიბორჩხალები ვერ იპოვა და ტობიასს ზღვის სიღრმეში შესვლა შესთავაზა.

— მხოლოდ მიცვალებულებმა იციან, რა არის იქ, სიღრმეში, — თქვა ტობიასმა.

— მეცნიერებმაც იციან, — აუხსნა სენიორ ჰერბერტმა, — ჩაძირული გემების ზღვის სიღრმეში შესანიშნავი მსუქან-მსუქანი კუები დაცურავენ, გაიხადე და წავიდეთ.

წავიდნენ. ჯერ პირდაპირ მიცურავდნენ, შემდეგ ქვემოთ ჩაუყვნენ, ძალიან ღრმად ჩავიდნენ, სადაც ჯერ მზის შუქი გაქრა, მერე ზღვასა და საგნებს მათივე შუქით თუ გაარჩევდა კაცი. ჩაუარეს ჩაძირულ სოფელს. ქალები და კაცები მუსიკალური ჯიხურის ირგვლივ წრიულად ლიელიეებდნენ. მშვენიერი დღე იყო, ტერასებზე ფერად-ფერადი ყვავილები ჩანდა.

— კვირას ჩაძირულა, ასე თერთმეტ საათზე, — თქვა სენიორ ჰერბერტმა, — წარღვნა ყოფილა.

ტობიასმა სოფლისკენ გადაუხვია, მაგრამ სენიორ ჰერბერტმა ანიშნა, გზა გავაგრძელოთო.

— იქ ვარდებია, — თქვა ტობიასმა, — მინდა კლოტილდეს ვაჩვენო.

— სხვა დროს დაბრუნდი, — უთხრა სენიორ ჰერბერტმა, — ახლა შიმშილით ვკვდები, — და რვაფეხასავით ჩუმად და მარჯვედ გასცურა. ტობიასი ცდილობდა არ ჩამორჩენოდა, უკან მისდევდა და ფიქრობდა, ალბათ, ყველა მდიდარი ასე ცურავსო. ცოტა ხნის შემდეგ საერთო უბედურებების ზღვა უკან მოიტოვეს და მკვდრების ზღვაში შეცურდნენ.

ტობიასს ამდენი ხალხი დედამიწაზეც არ უნახავს. გაუნძრეველად, პირაღმა მიცურავდნენ სხვადასხვა სიღრმეში და სახეზე ყველას მიეიწყებულ არსებათა დაღი აჩნდა.

— ესენი ძალიან ძველი მიცვალებულები არიან, — თქვა სენიორ ჰერბერტმა, — საუკუნეები დასჭირდათ, ასეთი სიმშვიდისთვის რომ მიეღწიათ.

ცოტა ქვემოთ, ახალი მკვდრების ზღვაში სენიორ ჰერბერტი შეჩერდა. ტობიასი რომ წამოეწია, მის წინ ახალგაზრდა ქალი მიცურავდა. გვერდუ-

ლად იწვა, თვალგახელილი და უკან ყვავილების დინება მიჰყვებოდა. სენიორ ჰერბერტმა საჩვენებელი თითი პირში ჩაიდო და სანამ მის წინ უკანასკნელი ყვავილი არ გაცურდა, არ განძრეულა.

— ასეთი ლამაზი ქალი ცხოვრებაში არ მინახავს,— თქვა მან.

— მოხუცი ხაკობის ცოლია, — უპასუხა ტობიასმა, — სულ ცოტა, ორმოცდაათი წლით ახალგაზრდა ჩანს, მაგრამ, დარწმუნებული ვარ, ისაა.

— ბევრი უმოგზაურია, — თქვა სენიორ ჰერბერტმა, — უკან მთელი მსოფლიოს ზღვის ყვავილები მიჰყვებოდა.

ფსკერამდე ჩააღწიეს. სენიორ ჰერბერტი რამდენჯერმე დახტა გარანდულ დაფასავით პრიალა ფსკერზე. ტობიასიც მიჰყვა. როცა წკვარამს თვალი შეაჩვია, კუები დაინახა; ფსკერზე უმოძრაოდ მიკრულნი, კაცს გაქვავებული ეგონებოდა.

— ცოცხლები არიან, — თქვა სენიორ ჰერბერტმა, — მაგრამ მილიონი წელია სძინავთ.

ერთი ააძრო და ფრთხილად წაიღო ზემოთ. მძინარე კუ ხელიდან გაუსხლტა და დრეიფით განაგრძო გზა. ტობიასს არც უცდია დაჭერა. შემდეგ ზემოთ აიხედა და მთელი ზღვა უკუღმა დაინახა.

— თავი სიზმარში მგონია, — თქვა მან.

— თუ შენი თავისთვის სიკეთე გსურს, რაც ნახე, ნურავის ეტყვი, — ურჩია სენიორ ჰერბერტმა, — წარმოიდგინე, რა მოხდება, ხალხმა რომ ეს ამბები გაიგოს.

შუაღამეს ცოტა აკლდა, სოფელში რომ დაბრუნდნენ. წყლის ასადუღებლად კლოტილდე გააღვიძეს. სენიორ ჰერბერტმა კუს თავი წააგდებინა, მაგრამ იძულებული გახდა გული ცალკე მოეკლა, რადგან იგი სხეულიდან ამოხტა და ეზოში აქეთ-იქით ეხლეგოდა. იმდენი ჭამეს, ძლივსღა სუნთქავდნენ.

— ახლა კი, ტობიას, — თქვა სენიორ ჰერბერტმა, — სიმართლეს თვალებში შევხედოთ.

— რა თქმა უნდა!

— საქმე ის არის, რომ ეს სუნი აღარასოდეს დაბრუნდება.

— დაბრუნდება.

— არა, — გააწყვეტინა კლოტილდემ, — როგორ დაბრუნდება, როცა არც არასოდეს ყოფილა. ეს შენ ააფორიაქე მთელი ქვეყანა.

— მაგრამ შენ თვითონაც ხომ იგრძენი! — წამოიძახა ტობიასმა.

— იმ ღამეს ნახევრად მეძინა, — თქვა კლოტილდემ, — ახლა ამ ზღვასთან დაკავშირებული არაფერი მწამს.

— მოკლედ, მე მივდივარ, — თქვა სენიორ ჰერბერტმა, შემდეგ ორივე შეათვალიერა და ურჩია: თქვენც უნდა წახვიდეთ, იმდენი რამაა ქვეყანაზე გასაკეთებელი, არ ღირს ამ სოფელში შიმშილობაო.

თქვა და წავიდა. ტობიასი ეზოში დარჩა და ვარსკვლავების თვლა დაიწყო. წინა დეკემბერთან შედარებით სამით მეტი დათვალა. კლოტილდემ ოთახიდან გამოსძახა, მაგრამ ტობიასს ყურიც არ შეუბერტყავს.

— მოდი აქ, სულელო, — გასძახა კლოტილდემ, — საუკუნეა კურდღლებივით არ გვიქნია.

ტობიასმა შეიცადა. როცა ბოლოს და ბოლოს შევიდა, კლოტილდე უკვე იძინებდა. ტობიასმა ცოლი გააღვიძა, მაგრამ ისე იყო დაღლილი, ყველაფერი აურია და ბოლოს მუხლუხოებივითღა გამოუვიდათ.

— სულ გამოსულელდი, — უთხრა გაბრაზებულმა კლოტილდემ, — სხვა რამეზე იფიქრე!

— სხვა რამეზე ვფიქრობ.

კლოტილდე დაინტერესდა, რაზეო, ტობიასი შეჰპირდა მოყოლას, ოღონდ პირობა ჩამოართვა, არავისთან არაფერი დასცდენოდა.

— ზღვის სიღრმეში, — დაიწყო ტობიასმა, — ერთი სოფელია, თეთრი სახლებითა და ტერასებზე უამრავი ყვავილით.

კლოტილდემ თავში იტაცა ხელები.

— ოი, ტობიას! — დაიყვირა მან, — თუ ღმერთი გწამს, ნუ დაიწყებ ამ სისულელეებს თავიდან.

ტობიასი გაჩუმდა, საწოლის კიდისაკენ მიჩოჩდა და დაძინება სცადა, თუმცა, სანამ განთიადის ნიავმა არ წამოუბერა და კიბორჩხალებმა თავი არ დაანებეს, თვალიც ვერ მოხუჭა.

თარგმნა თეა გვასალიამ

მილორად პავიჩი

15.10.1929

მილორად პავიჩი სერბიაში დაიბადა. მისი, როგორც პროზაიკოსისა და პოეტის შემოქმედება იმდენად ოვითმყოფადი და განსხვავებულია, რომ არანაირ ჩარჩოებში არ ჯდება – ლიტერატურისმცოდნეები ვერ შეთანხმდნენ, რა ჟანრში მუშაობს მწერალი. კრიტიკოსები მას „21-ე საუკუნის პირველი წიგნის ავტორს", „თანამედროვეობის ყველაზე მნიშვნელოვან მწერალს", „ჰომეროსისდარ მთხრობელს" უწოდებენ. თავად პავიჩი კი ამბობს, რომ მისი პირველი წიგნი მეთვრამეტე საუკუნის მეორე ნახევარში გამოვიდა – „ეს იყო ლექსების კრებული, რომელიც ჩემმა დიდმა ბაბუამ დაწერა. მას შემდეგ ჩვენი ოჯახი ლიტერატურულ ტრადიციას ქმნის. ყველა ჩვენგანი მწერალია!" ასეა თუ ისე, თავად პავიჩის კალამს მისი ერთ-ერთი ყველაზე გახმაურებული რომანი „ხაზარული ლექსიკონი" ეკუთვნის, წიგნი, რომლის პირველი გვერდი ცარიელია – „ამ ადგილას წევს მკითხველი, რომელიც არასდროს აიღებს ამ წიგნს ხელში. მას მუდმივად სძინავს" – აღნიშნავს პავიჩი. ასეთი „მძინარე" კი მწერალს მილიონობით თაყვანისმცემელი ჰყავს.

ერთ-ერთმა შვეიცარიელმა კრიტიკოსმა „ხაზარული ლექსიკონი" რესტორანს შეადარა, სადაც თითოეული შემსვლელი მენიუს საკუთარი გემოვნებით ადგენს. ამ შედარებით შთაგონებულმა პავიჩმა 1993 წელს „მარადისობა და კიდევ ერთი დღე" დაწერა.

„ყველა წიგნი, რომელიც ბოლო 2000 წლის განმავლობაში დაიწერა, ცალმხრივ მოძრაობას ჰგავს – იწყება და სწორხაზოვნად მიდის ფინალამდე. მე კი წიგნსა და სახლს, ლიტერატურასა და არქიტექტურას ერთმანეთს შევადარებდი. წიგნისა და სკულპტურის დანახვა სხვადასხვა კუთხიდან შეიძლება. აუცილებელია, ხელოვნების ყველა დარგი, მათ შორის ლიტერატურა, ყველა მხრიდან ღია იყოს. ჩემი რომანის წაკითხვა ბოლოდან შეგიძლიათ, ასევე დიაგონალზეც. წიგნი მკითხველის დროებითი სახლია, მას რამდენიმე კარი აქვს, ასევე ფანჯრებიც და სხვენის სარკმელიც. შესაბამისად, სახლიდან გამოსვლის რამდენიმე ვარიანტი არსებობს, ისევე, როგორც ჩემი რომანებიდან".

მილორად პავიჩი: „მომავალში ლიტერატურულ ცხოვრებას განსაზღვრავენ არა მწერლები, არამედ მკითხველები, რადგან მსოფლიოში ბევრად მეტი ნიჭიერი მკითხველია, ვიდრე ნიჭიერი მწერალი!"

ხანგრძლივი ღამეული ცურვა

– არასოდეს ისროლო, თუ შენი თოფის ხმა, სულ ცოტა, სამ სახელმწიფოში არ ისმის!

ამ სიტყვებით აბრეშუმისთმიანი პაელე დიდ გზაზე გავიდა, ხატივით ლამაზი და ყურებამდე სისხლში ამოსვრილი. ზღვისპირეთის სამ სახელმწიფოში – ვენეციასა, თურქეთსა და ავსტრიაში, სადაც მზე ქერიფქლას კვერეკებზე მეტად არ ფასობს, ძალზე უხამსად იქცეოდა – იპარავდა საქონელს და იტაცებდა სანელებლებით დატვირთულ ქარავნებს. ერთ შაბათ დღეს ვიღაც ვაჭარმა პირში თოფის ლულა ჩასჩარა, თოფმა უმტყუნა, მაგრამ დენთის კვამლმა აბრეშუმისთმიანს ენა ისე აულანძა, რომ პირში გემო სამუდამოდ დაეკარგა, მისთვის ახლა მნიშვნელობა არ ჰქონდა, ქალის მკერდი ედო პირში თუ მუაევ კიტრით დაგემრიელებული ლობიო. იმ დღიდან თევზს ცოცხლად ასუფთავებდა და ცოცხლად წვავდა, ისე, რომ დაშნაზე წამოგებული თევზი ჯერ ისევ ფართხალებდა. დაფიცებული ჰქონდა, გახსნილ ხვანჯარს, საიდანაც ყველაფერი უჩანდა, მხოლოდ მაშინ შეიკრავდა, როცა ხმალს ქარქაშში ჩააგებდა.

მოგეხსენებათ, კაცის თავში აზრებს მხოლოდ ყველი და პური აჩენს. ჰოდა, აი, ერთ გიორგობა დღეს აბრეშუმისთმიანი, ხატივით ლამაზი და ყურებამდე სისხლში ამოსვრილი, ყველითა და პურით გემრიელად გამოძღა და აზრებს დაელოდა. იმ დღეს, მთაში მწყემს გოგოს – ველუჩას შეხვდა. გოგოს მამა არ ჰყავდა, მთაში დედასა და დებთან ერთად ცხოვრობდა და გარდა ცხვრის კვერცხებისა, ისიც მხოლოდ შემწვარი, მამაკაცისა არასოდეს ენახა, თავად კაცებს კი მხოლოდ დუკატებზე ხედავდა.

ტყიდან აბრეშუმისთმიანი, თმაულვაშჩაწნული პავლე რომ გამოეცხადა, გოგოს ეგონა, მზე მიცინისო – მის წინ ცისკიდურიდან ცისკიდურამდე გადაჭიმული, ქუქუნაკივით აჯაგრული, უკუნეთივით ჩახურული უცნობი რამ სული წამომართულიყო და მასში, როგორც უკუნ ღამეში, ქალაქები და ულრანი ტყეები, მდინარეები და ზღვის ყურეები, ჭაბუკები და ქალწულები, ხიდები და ხომალდები იყო გალურსული, ხოლო ფსკერზე ამ სულის პატარა, მშვენიერი სხეული იყო დავანებული და სულს ზევით ისე ეწეოდა, როგორც ვეება ლოდს.

მხოლოდ წუთით მზესავით გამობრწყინებულმა ღიმილმა დაანახვა ველუჩას, რომ ამ ღამის იქით სიცარიელე არ არის და რომ ამ სხეულით შეეძლო მის სულში შეეღწია. ეს ღიმილი, ეს მზისდარი ღიმილი კი, კაცმა სადღაც იმ სამყაროში იპოვა, სადაც ღიმილის მეტს ვერც ვერაფერს იშოვიდა. და დალმაციის მთების პირაქეთა მხარეში ველუჩას მოუტანა, როგორც უძვირფასესი რამ ნაყოფი, რომელიც ან უნდა შეჭამო, ან უნდა მოკვდე.

ველუჩამ აბრეშუმისთმიანის გაღიმებულ სახეს შეხედა და ეს იყო უკანასკნელი, რაც მისმა თვალებმა იხილა. რა გქვიაო, – ჰკითხა ვაჟს და ეს უკანასკნელი სიტყვები ის იყო, რაც მისმა ყურმა გაიგონა – აბრეშუმისთმიანმა ველუჩას თავში კონდახი ჩასცხო, იმავე წუთს, იმავე ადგილას ცოცხალმკვდარს ისევე დაეუფლა, როგორც თევზს, რომელსაც, ცოცხალს წვავდა, ცოცხალს შეექცეოდა და იმავე დღის გამთენიისას იმ ხომალდზე გაყიდა, რომელსაც ყველასათვის ხელმისაწვდომი დიაცები პორტიდან პორტში დაჰყავდა, თვითონ კი იმავე ღიმილით, წყვდიადში მზესავით რომ ანათებს, იქაურობას გაეცალა და ველუჩას იმ დღიდან ის აღარასოდეს

უნახავს. იმ საშინელების, იმ ვნების, იმ შიშისგან გოგო შეშლილივით იყო, ხოლო კონდახის დარტყმისაგან აღარც ყურთასმენა ჰქონდა, აღარც თვალისჩინი.

და, დაიწყო და დაიწყო იმ დღიდან ზღვაში ველუჩას ხანგრძლივი ღამეული ცურვა. ყველა მამაკაცი, ვინც კი გემზე ფეხს შედგამდა, სპილენძის ბეჭედს და მოვარაყებულ გარეკანში ჩასმულ პატარა წიგნსაც ყიდულობდა, სადაც დაწვრილებით იყო აღწერილი გემზე მყოფი თითოეული ქალიშვილი და მათი ყველა ის ღირსება, რითაც კაიუტაში შესული სტუმრების გულებს ინადირებდნენ. ქალებს ღამეში არანაკლებ ათი კაცი უნდა გაესტუმრებინათ, ეს მათთვის დაწესებული ნორმა იყო... ასე დაცურავდნენ გაზაფხულიდან გაზაფხულამდე, პორტიდან პორტამდე იმით გაოცებულები, მთელმა მსოფლიომ მათი სახელები, მათი ფასი და ღირსება რომ იცოდა. ღამის სტუმარი თავის რჩეულს გემზე ნაყიდ ბეჭედს თითზე წამოაცვამდა, ქალი კი იმავე ბეჭედს დილით გემის კაპიტანს აბარებდა, რათა კაპიტანს მეორე დღეს ახალი სტუმრისათვის შეეთავაზებინა. სამაგიეროდ, გარეკანმოვარაყებული პატარა წიგნები, როგორც წესი, ყოველთვის თან მიჰქონდათ და მეგობრებს სჩუქნიდნენ. ასე იკვრებოდა წრე, მაგრამ არა ბეჭდებით, არამედ ოქროსფერ გარეკანში ჩასმული იმ პატარა წიგნაკებით.

მამაკაცებს ქალი შეხედვით, ხოლო კაცები ქალებს ხმის მიხედვით უყვარდებათ. მიუხედავად ამისა, უსინათლო და ყრუ ველუჩას გაცილებით უკეთ უყვარდა, ვიდრე სხვებს, ამიტომ იყო, გემის სტუმრები ყველაზე ხშირად სწორედ ველუჩას რომ მოითხოვდნენ, წასვლისას კი ჩუმად თმის კულულს ჭრიდნენ, წერილში დებდნენ და ნათესავ ვაჟებს უგზავნიდნენ, რათა ის ადვილად ეცნოთ ამ გემზე მოხვედრისას.

– ქალი საპონი არ არის, არ გაილევა, – ამბობდნენ სიცილით და ხმები ველუჩას შესახებ გემის ქროლვაზე კიდევ უფრო სწრაფად ვრცელდებოდა, კიდევ უფრო მეტი მამაკაცის ყურამდე აღწევდა. ეგ კია, მასთან შეხვედრის შთაბეჭდილებების გამოსახატავად სიტყვებს თავს ვერავინ უყრიდა, მხოლოდ ხელებს აქნევდნენ და უსტვენდნენ. ვინაიდან ხელზე ხშირად ადგილი არ რჩებოდა, სპილენძის ბეჭდებს ზოგჯერ ფეხის თითებზეც უკეთებდნენ, მაგრამ ველუჩას მთელი ამ ამბიდან, რაც მის გარშემო

ხდებოდა, არც არაფერი ესმოდა, ვერც ვერაფერს ხედავდა, თუმცა კვლავინდებურად ყველაზე სასურველი, ყველაზე საწადელი ქალი იყო.

— დღისით მისი გონება უფრო სწრაფად მუშაობს, ვიდრე გული, ღამით კი პირიქით, — ეჩურჩულებოდნენ ერთმანეთს ქალები. და აი, ბეჭდების ამ მოხსნა-კეთებაში ველუჩამ გემით ადრიატიკისა და იონიის ზღვები გადაცურა — აკონიდან ვენეციამდე, ბარიდან დრაჩამდე, დუბროვნიკიდან კორფუმდე და კარგა ხნის შემდეგ მხოლოდ ერთხელ იკითხა: რა უცნაური სოფელია, ყველა სარდაფი მიწის ქვეშ რატომაა, მზით განათებული ქუჩები კი არ არის, ამიტომ ხომ არ ირწევა აქ ასე ყველაფერიო?..

მხოლოდ მაშინ მიხვდნენ, რომ ველუჩას წარმოდგენა არ ჰქონდა, სად იყო. რომ მიეხვევდრებინათ, წყალში ხელი ჩააყოფინეს და აუხსნეს, რომ მთელი ეს დრო გემზე გაატარა, თუმცა ველუჩას არც ამის შემდეგ დასტყობია შეშფოთება, მხოლოდ ხანდახან თუ დაესიზმრებოდა, მისი ორი ყური, როგორც ორი პეპელა, ხმელეთზე დაფრინავდა, რათა მისთვის იქიდან ვიღაცის ხმა ან ვიღაცის სახელი მოეტანა, მაგრამ თვალს რომ გაახელდა, ყურები ისევ თავის ადგილას იყო. ზოგჯერ ყრუ და სმენადახშული მწყემსობისდროინდელ სალამურს ხელში აიღებდა, უკრავდა, მაგრამ, რა ხანია სალამური არათუ ტკბილ ხმებს გამოსცემდა, არამედ სრულიად დადუმებული იყო. ველუჩას აბა ეს საიდან უნდა სცოდნოდა! ის კი არა, ლაპარაკითაც თითქმის არ ლაპარაკობდა, თითქოს ეშინია, სიტყვებთან ერთად სისხლი არ წამცდესო. თუმცა იყო ერთი, ერთადერთი გამონაკლისი — ველუჩა ამტკიცებდა, რომ ქარებს, რომელიც გამუდმებით არწევდა მათ ხომალდს, ბავშვის ჩასახვა შეეძლო. ქალიშვილებმა იცოდნენ, ისეთები, როგორიც ველუჩაა, ქარის ყოველ წამოქროლვაზე საყვარელს ელიან და შეიძლებოდა ნაყოფი მართლაც ჩასახვოდა. ისინი შეძრწუნებულები უსმენდნენ, როგორ შესთხოვდა ველუჩა ქარსა და ქარაშოტს იმას, რისაც მათ ასე ძალიან ეშინოდათ. იჯდა გემბანზე და ქარებს ხვეწნა-მუდარით ავსებდა, თითოეულს სახელით უხმობდა, აფიცებდა, ნაყოფის მუცლადღებას ემუდარებოდა — ქარები მისი ეკლესია, მისი ტაძარი იყო.

ეევედრებოდა ქარს და მთის ნიავს, რომელსაც იმას ატანენ, რის დავიწყებაც სწადიათ; ქარიშხალს, რომელიც ღირსებას წარგტაცებს და

მასზე მხოლოდ მოგონებას დაგიტოვებს; ზენა ქარს, რომლის ქროლვისასაც დიდზე დიდი ცოდვაა ქარში შარდვა; ჭალიკონს, პარასკეობით ქარის წისქვილებს რომ არ აბრუნებს, გზას გიბნევს და ბილიკის საწყისთან გაბრუნებს; ცოლიან გრიგალს, რომელიც მდევნელისგან თავის დაღწევაში გეხმარება, ვისზეც ღმერთს შესთხოვენ და ვისაც ღმერთისაგან იღებენ; ტირიფონს, ენას რომ ჩაგაყლაპინებს და რძეს დელამად აქცევს; ნიავქარს, წმინდა პაელეს დღეს ჩასაწყნარებლად სანთელს რომ ეძებს და შეიძლება მარხვის გატეხვაც კი გაიძულოს; ზეშთამოს, ხელიდან კოვზს რომ გაგტაცებს, ძაღლის ზურგზე ბალანს ღერა-ღერა დათვლის და ზეცის თაღზე წვრილ-წვრილ ვარსკვლავებს წარმოაჩენს; ევედრებოდა ზღაპრულ მერანზე უსწრაფეს ქარაშოტს და იმ ქარბორბალას, რომლის დროსაც ბორბლებს და დუგლუგებს ასანთებად ცეცხლში ყრიან; ევედრებოდა ავთვალ ყვითელ ქარს, რომლის ჯადოქრობასაც მხოლოდ სარკით თუ აისხლეტ; სიოს, ქარების შვილს, კუზიანებისთვის ძილში კუზის მოხსნის შემძლეს და იმ კუზის ნეკერჩხლის ტოტზე დამკიდებელს; დღეგამოშვებით მქროლავ კეკიას, რომელიც შეიძლება ღვინით სავსე ციცხვშიაც კი ჩაიხრჩოს; არგესტს, სპათა და რაინდთა ბელადს, ღუზით რომ ხნავს და სატევრით რომ თიბავს; აბუეტ ქარბუქს, ყინულს საწოლად რომ გიქცევს და საჭმლის მაგიერ ჯამს თოვლით აგივსებს; თერხეს, – რომელიც თავზე ფაფახს გხდის და ცეცხლში ისვრის; ევედრებოდა გრძნეულ ქარტეხილს, კაცის სასირცხო ნაწილებს სხვა სამყაროში რომ გაასახლებს და მისი სუნის მიხედვით კვირის დღეების გამოცნობას გაგიადვილებს...

და, აი, შვილის ჩუქების ამ ხვეწნა-მუდარაში ველუჩამ იმაზე უფრო ავ ტაროსებს გაუძლო, ვიდრე ნებისმიერ ქარს შეეძლო მოეტანა. ექვს ენასა და სამ დიალექტზე მოლაპარაკე ჯარისკაცები ხელიდან ხელში სტაცებდნენ, დაუზოგავად ხმარობდნენ ველუჩას... ქალთა ხომალდმა კი ამასობაში ვენეციისა და ავსტრიის ომი სეტყვასავით წამოსული ტყვეის ბათქა-ბუთქში გაიარა. გახდა თურქეთის იმპერიაში ატეხილი იმ აჯანყებების მოწმე, რომლის შემდეგაც კონსტანტინეპოლმა ტრიპოლი, ტუნისი და ალჟირი დაკარგა. ის დინებებიც წამოეწია, რომელიც კანდოს ომის მონა-წილე ხომალდებს ეხმარება. ჩაუარა ვენეციის ფლოტს, როცა მას კლიშისა

და ხორვატიის განაპირა მხარეები ალყაში ჰყავდა მოქცეული. დიახ, ეს ის ერთადერთი გემი იყო, რომელსაც დროშა არასოდეს დაუშვია! ჰერცეგ-ნოვიში ველუჩამ ის პირველი ავადმყოფობა აიკიდა, რომელიც ანგრევს ყურთასმენას, იმას, რაც ველუჩას არ ჰქონდა. მეორე ავადმყოფობა სიცილიაში შეეყარა, მომაკვდინებელი იმათთვის, ვისაც თვალისჩინი აქვს. ამ ქალის, ამ ყრუ ქალის გარდა მთელმა ზადარმა გაიგო, რომ აბრეშუმისთმიანი პავლე დაიღუპა, რომ ახლა ვიღაც თურქი დააჭენებდა ცხენს, რომელსაც მისი აბრეშუმივით თმის უზანგები ეკეთა... იცეკვეო, – სთხოვა ერთმა სტუმარმა შიბეკში და ველუჩამ კისერზე მკლავები ნაზად შემოაჭდო – ის ხომ აქ ყველაზე უკეთესად ცეკვავდა, თუმცა ყრუ იყო და არაფერი ესმოდა. კაცები იმაზეც კი ჩურჩულებდნენ, ქალწულებრივი ოფლის თითო ტკბილი წვეთი ამ გოგოს თითოეული ჩვენთაგანისთვის მოეძებნებაო. ყველამ იცოდა, თავისი ხელობა ველუჩას ძალიან მოსწონდა, მაგრამ ისიც იცოდნენ, რომ ამ სასიყვარული გარჯაში გემის პატრონისთვის გროშიც არასოდეს უთხოვია...

ვაი, რომ ამაო იყო ყველაფერი, ამაო იყო მისი ხვეწნა-მუდარა – ველუჩას შვილი არასოდეს ჰყოლია. და აი, ერთხელაც, კორინთოში, გოგონებმა ნახეს ის, რის დანახვაც ჩინდაკარგულ, თვალებდაშრეტილ ველუჩას არ შეეძლო – ველუჩას თმა გაჭაღარავებული ჰქონდა.

– მალე მკერდიც დაუჭკნება, – ამბობდნენ ქალები ნიშნის მოგებით – მათ შორის ბევრი ახალი და ახალგაზრდა იყო და ველუჩას სახელი თანდათან ჩრდილში ექცეოდა, მის კაიუტას სულ უფრო ნაკლები მამაკაცი სტუმრობდა, მის თითებზე სულ უფრო იშვიათად ჩნდებოდა სპილენძის ბეჭდები. ერთხელაც მისი საწოლი მთელი ღამე ცარიელი აღმოჩნდა, თვითონ ის კი ქალიშვილებმა სადღაც ატირებული იპოვეს. ზეთისხილის შტოებით თმაზე ეფერებოდნენ, ამშვიდებდნენ, მაგრამ ვერ გაეგოთ, ასე რატომ ტიროდა და როცა მისგან ის ამბავი მოისმინეს, რასაც ხალხი დღესაც ზღაპარივით ყვება, ძალიან გაოცდნენ: „მთელი ამ ხანგრძლივი წლების მანძილზე ჩემს აბრეშუმისთმიან პავლეს ერთხელაც არ მივუტოვებივარ, ღამეში ათჯერ ჩემს მოსაფერებლად მოდიოდა და ჩემს გვერდით წვებოდა. ახლა კი აღარ მოდის, ახლა აღარ ეუყვარვარ... მთელ ქვეყნი-

ერებაზე ყველაზე ლამაზ, ერთადერთ მამაკაცს მე უკვე აღარ ეუყვარვარ, აბრეშუმისთმიანმა სხვა ქალი იპოვა...“ – თქვა ველუჩამ და ზღვაში გადაეშვა.

იმ ადგილს დღესაც მის სახელს ეძახიან იმ დიდი სიყვარულის გამო, რომელსაც სიტყვებით ვერ აღწერ. ყველა, ვინც ზღვაში ამ ადგილს ჩაუვლის, ნიჩბებს ხელს უშვებს, ხელს აქნევს და უსტვენს. რადგან ასეა, მეც ნიჩბებს ვყრი, ხელს ვაქნევ და ეცდილობ, გავიხსენო ის სტვენა მეჩვიდმეტე საუკუნიდან.

თარგმნა ლილი მჭედლიშვილმა



უმბერტო ეკო

(1932-)

იტალიელი მეცნიერი, ისტორიკოს-მედიევისტი და ფილოსოფოსი უმბერტო ეკო მილანის მახლობლად მდებარე ქალაქ ალესანდრიაში დაიბადა. 1954 წელს ტურინის ხელოვნებათა უნივერსიტეტი დაამთავრა. მუშაობდა ტელევიზიაში, მსხვილი გაზეთის „ესპრესოს" მიმომხილველად, ასწავლიდა ესთეტიკასა და კულტურის თეორიას მილანის, ტურინისა და ფლორენციის უნივერსიტეტებში. მისი პირველი წიგნი „თომას აქვინელის ესთეტიკის პრობლემები" 1956 წელს გამოიცა. ამ დროიდან ეკო აქტიურად მონაწილეობს ახალ წამოწყებებსა და პროექტებში; მაგალითად, ჩართულია ინტერნეტფორუმებისა და ბარეკოს კულტურისადმი მიძღვნილი სიდირომის შექმნაში, კითხულობს საჯარო ლექციებს. ერთადერთ კომუნიკაციის საშუალებას, რომელსაც არ ცნობს, ტელევიზიაა. ის ამ დრომდე მხოლოდ ორჯერ გამოვიდა ტელევიზიით.

სამეცნიერო მუშაობის პარალელურად, მწერალმა ბევრი რამ გააკეთა პოსტ-მოდერნიზმისა და მასობრივი კულტურის რაობის გაცნობიერების საქმეშიც, თუმცა მსოფლიო აღიარება მასთან არა როგორც მეცნიერთან, არამედ როგორც პროზაიკოსთან მივიდა. მისი პირველი რომანი „ვარდის სახელი" გამოცემის დღიდანვე მოხვდა ბესტსელერების სიაში და რამდენიმე წლის განმავლობაში მყარი პოზიციები ეკავა. ამ დრომდე მსოფლიოში მისი 17 მილიონი ეგზემპლარია გაყიდული. ამ დეტექტიური ჟანრის ნაწარმოებში მწერალი ორი ტიპის კულტურას აპირისპირებს, თუმცა ეს ბრძოლა რომანში, ისევე როგორც რეალურ ცხოვრებაში, არ მთავრდება. არ მთავრდება, სანამ სამყარო არსებობას განაგრძობს. რომანის მთავარ სიტყვებს – **ბიბლიოთეკა, ხელნაწერი, ლაბირინთი,** ხორხე ლუის ბორხესის შემოქმედებასთან მივყავართ. ამ მწერალს უმბერტო ეკო განსაკუთრებულად სცემს პატივს.

„ვარდის სახელის" გარდა უმბერტო ეკოს შემდეგმა ნაწარმოებებმაც არანაკლები პოპულარობა მოიპოვა. როგორც ამბობენ, ეს მისი კარგად დაგეგმილი პიარის დამსახურებაცაა.

უმბერტო ეკო: „მე არც მწერალი ვარ, არც ჟურნალისტი და არც მეცნიერი. ჩემი ძირითადი პროფესია ფლეიტაზე დაკვრაა!"

„ეს“

– პროფესორო, წარმატების საქმე როგორ მიდის? – ამბობს გენერალი და პასუხს მოუთმენლად ელოდება.

– რა წარმატებაზე მეკითხებით? – შეუტრიალებს კითხვას პროფესორი კა, თუმცა პასუხის გაცემას აშკარად არ ჩქარობს.

– ხუთი წელია აგერ, გამოქვაბულში მუშაობთ და ერთხელაც არავის შეუწუხებიხართ, იმიტომ, რომ გენდობით, მაგრამ, რამდენ ხანს შეიძლება სიტყვაზე გენდობოდეთ, დროა გვაჩვენოთ სამუშაო!

გენერლის ხმაში მუქარა გაისმა, კამ ხელი უხალისოდ ჩაიქნია და გაიღიმა:

– გენერალო, ზუსტად მიზანში მოახვედრეთ, ვფიქრობდი ცოტა ხანს კიდევ დამეცადა, მაგრამ თქვენ მე შემაგულიანეთ... სამუშაო უკვე დავასრულე, – თქვა ახლა უკვე ჩურჩულით პროფესორმა, – მზეს გეფიცებით, მზად ვარ, მთელ მსოფლიოს ვაჩვენო.

პროფესორი გენერალს გამოქვაბულში შეუძღვა და იმ შორეულ სიღრმეში შეიყვანა, სადაც კედელში ჩარჩენილი ვიწრო ღიობიდან სინათლის სუსტი სხივი აღწევდა – „ეს“ კედლის შვერილ სწორ, გლუვ ზედაპირზე იდო.

ფორმით ნუშს ჰგავდა, ჰქონდა უამრავი წახნაგი და ბრწყინავდა.

– მაგრამ ეს ხომ... ეს ხომ ქვაა?! – დაიბნა გენერალი.

პროფესორს ხშირი, დაფანჩული წარბების ქვეშ ცისფერი თვალები ეშმაკურად აუციმციმდა:

— დიახ, ეს ქვაა, მაგრამ ყველა ქვისგან განსხვავებული. ვინაიდან ჩვენ მას ფეხით ვერ გავქელავთ, ჯობს, ხელში ავიღოთ.

— ხელში?

— დიახ, გენერალო. მასში ის უზარმაზარი ძალაა, რაზეც კაცობრიობა დღემდე ოცნებასაც ვერ ბედავდა, ძალა, რომელიც მილიონი ადამიანის ძალას უტოლდება. აბა, ახლა შეხედეთ!

პროფესორმა ქვას ხელი დაადო, თითებს შუა მოიქცია, მაგრად ჩაბღუჯა და აიღო. ქვის ბრტყელი ნაწილი ხელისგულზე იდო, წამახული წვერი ზევით იყო მოქცეული. პროფესორის ხელის მოძრაობის მიხედვით ქვის ეს ნაწილი ხან ქვევით მოექცეოდა, ხან ზევით, ხანაც გენერლისკენ. პროფესორმა ხელი აიქნია და ქვის წამახულმა ნაწილმა ჰაერში წრე მოხაზა. მერე ქვა ზევიდან ჩამოაგდო, წვერით ქვა კედლის შვერილს დაეცა და — აი, სასწაული! — შვერილის მყიფე ქანში შეიჭრა. პროფესორმა ქვა ისევ ხელში აიღო, კედლის შვერილს რამოდენიმეჯერ დაარტყა, შვერილზე ჯერ ღრმული გაჩნდა, მერე ღრმა ძაბრისებური ორმო და კედლის ის ნაწილი ჯერ დაიშალა, მერე მტვრად იქცა.

გენერალი სუნთქვაშეკრული, თვალებგაფართოებული მისჩერებოდა.

— წარმოუდგენელია! — ჩაილაპარაკა ჩუმად თავისთვის და ნერწყვი გადაყლაპა.

— ეს რა არის! — წარმოთქვა ზარ-ზეიმით პროფესორმა, — ჯერ ეს არაფერია! თუმცა თითებით მსგავსს თქვენ, რა თქმა უნდა, ვერაფერს გააკეთებთ... აბა ახლა კარგად შეხედეთ! — მეცნიერმა კუთხეში დადებული ქოქოსის უშველებელი, ქვასავით მაგარი, ეკლიანი კაკალი აიღო და გენერალს გაუწოდა.

— ახლა ორივე ხელი მაგრად მოუჭირეთ და გაჭყლიტეთ.

— კმარა, შეწყვიტეთ, პროფესორო! — ხმა აუკანკალდა გენერალს, მშვენივრად იცით, ეს შეუძლებელია. ამის გაკეთება არც მე შემიძლია, არც თქვენ, ამას მხოლოდ დინოზავრი თუ შეძლებს, მხოლოდ ის თუ ჩაიგემრიელებს პირს მისი რბილობით, მისი წვენით პირს ჩაიკოკლოზინებს.

— კი, ბატონო, — აღელდა პროფესორი, — ახლა კი კარგად მიყურეთ:

ამ სიტყვებით კაკალი აიღო, კედლის შვერილში ახლახანს ქვით ამოთხრილ ღრმულში ქვა წამახული მხრიდან ჩადო, ისე, რომ ქვის ბრტყელი

მხარე ზევით იყო მოქცეული, კაკალი მაგრად დასცხო და ნამტვრევებად ქცეული ნაყოფიდან რძე ჩქაფუნით გადმოიღვარა, რბილობის თეთრი, წვნით გაჟღენთილი ნაჭრები კი ნაჭუჭის ნამტვრევებში ჩარჩა. გენერალმა ერთ ნაჭერს ხელი დააკლო და პირში ხარბად იტაკა. ხან ქვას მისჩერებოდა გაოგნებული, ხან ნამტვრევებად ქცეულ კაკალს და ხან პროფესორს.

— მზეს გეფიცები, კა, ეს მართლაც ჩინებული რამ არის! ადამიანს ძალა შეემატა, ათასჯერ უფრო ღონიერი გახდა, აღარც დინოზავრის ეშინია, აღარც არაფრის, ახლა ის ტყეების, ჭიუხების პატრონია. ახლა მას კიდევ ერთი ხელი აქვს! არა, ერთი კი არა, ათასი!.. ეს ქვა სად იპოვეთ?

კამ კმაყოფილმა ჩაიცინა:

— კი არ ვიპოვე, გავაკეთე!

— ამით რის თქმა გინდათ?

— რის და იმის, რომ ეს ადრე არ არსებობდა.

— კა, ხომ არ გადაირიეთ? — თქვა გენერალმა და შეაკანკალა, — იქნებ ციდან ჩამოვარდა, იქნებ მზის შიკრიკმა, ჰაერის რომელიმე მცველთაგანმა მოიტანა... განა შეიძლება გააკეთო ის, რაც ადრე არასოდეს ყოფილა?!

— შეიძლება! — თქვა დაბეჯითებით კამ, — შეგიძლია აიღო ქვა და მანამდე ურტყა მეორე ქვას, ვიდრე სასურველ ფორმას არ მიიღებს, ისეთს, როგორის ხელში აღება და მუჭაში მოქცევა შეგეძლება. მერე კი ამ ქვის დახმარებით უამრავი უფრო დიდი, უფრო წვეტიანი ქვის გაკეთებას შეძლებ... დიახ, „ეს“ მე გავაკეთე!

გენერალს შუბლი ოფლის მსხვილი წვეთებით დაეცვარა.

— კა, ჩვენ „ეს“ ყველას... ყველას... მთელ ჩვენ ურდოს უნდა ვაჩვენოთ, ჩვენი კაცები უვნებელნი დარჩებიან, გესმით, უვნებელნი! ხომ წარმოგიდგენიათ, ახლა შეგვიძლია დათვებზეც გავიდეთ — დათვებს ბრჭყალები აქვთ, ჩვენ — „ეს“ გვაქვს!.. ჩვენ შეგვიძლია მხეცს მანამდე მოვერიოთ, ვიდრე ის რაიმეს დაგვაკლებს, ჩვენ შეგვიძლია დავარეტიანოთ, მოვკლათ... კუს ბაკანი ჩავუმტვრიოთ, მოვკლათ, მოვკლათ უხსენებელი... ო, დიდო მზეო!.. მოვკლათ ადამიანი, ძე კაცისა!.. — მის თავში გაჩენილი ამ ახალი აზრით აღფრთოვანებული გენერალი წუთით შეჩერდა, ანთებულ თვალებში სიმკაცრე ჩაუდგა:

— კა, შეგვიძლია ახლა კოამას ურდოსაც დავესხათ, მართალია, ჩვენზე მაღლები, ჩვენზე ძლიერები არიან, მაგრამ ჩვენ მათ გავანადგურებთ,

ცოცხალს არავის დავტოვებთ!.. კა, გესმით, კა! – თქვა გენერალმა, პროფესორს მხრებში ხელი ჩასჭიდა, შეანჯღრია, – ეს უკვე გამარჯვებაა!

საგონებელში ჩავარდნილი კა გაოგნებული მისჩერებოდა.

– სწორედ ამიტომ არ მინდოდა ჩემი ეს გამოგონება მეჩვენებინა. ვიცი, ის, რაც გავაკეთე, საშინელებაა, ვიცი, ეს აღმოჩენა მთელ სამყაროს თავდაყირა დააყენებს. ვიცი და კარგად ვაცნობიერებ ჩემს პასუხისმგებლობას... ვიცი, იმ წყაროს დავუდე სათავე, რასაც უსაშინლესი დამთრგუნველი ძალა აქვს. მთელი დედამიწის ზურგზე ამის მსგავსიც დღემდე არავის არაფერი უნახავს და არც დღეს მაქვს არავითარი სურვილი. თუნდ ერთმა ადამიანმა მაინც ნახოს... წინააღმდეგ შემთხვევაში ომი ნამდვილ თვითმკვლელობად იქცევა. ვთქვათ, მსგავსი ქვის გაკეთება მალე კოამას ურდომაც ისწავლა, მაშინ? მაშინ ხომ აღარც დამარცხებული იქნება შემდგომ ომში, აღარც გამარჯვებული. ჩემთვის ახლა აშკარაა, რომ მას სიკვდილი მოაქვს! მე ამას მოვსპობ!..

გენერალი ჭკუაზე აღარ იყო:

– გონს მოდით, პროფესორო! თქვენ ამის უფლება არა გაქვთ. ეს მხოლოდ სწაელულის უაზრო პატიოსნებაა! ხუთი წელია ჩაკეტილში იჯექით, ამიტომაც ამქვეყნის ახლა აღარაფერი გაგეგებათ. ჩვენ პროგრესისკენ, ცივილიზაციისაკენ ვისწრაფვით, მაგრამ კოამა თუ გაიმარჯვებს, აღარც თავისუფლება იქნება, აღარც მშვიდობა და აღარც სიხარული. ჩვენი უწმინდესი ვალია, თქვენს გამოგონებას დავეუფლოთ და ეს სულაც არ ნიშნავს, რომ ჩვენ მას ახლავე ავამოქმედებთ. მთავარია იცოდნენ, რომ „ეს“ უკვე ჩვენს ხელთაა. მთავარია, მოწინააღმდეგეს დავანახოთ, რა შეუძლია, რა ძალის პატრონია, მერე ისე ფართოდ აღარ გამოვიყენებთ... მთავარი ისაა, იმ დღიდან, რა დღიდანაც „ეს“ ჩვენს ხელში აღმოჩნდება, ჩვენზე თავდასხმას ვეღარავინ გაბედავს. მანამდე კი შეგვიძლია საფლავები გავთხაროთ, ახალი გამოქვაბულები ავაშენოთ, მოვაშანდაკოთ ნიადაგი... მთავარია „ეს“ ჩვენს ხელში დავიგულოთ, გამოყენება აუცილებელი არ არის. ეს იარაღი მომაკვდინებელი ძალაა, კოამელები დიდხანს ვეღარაფერს გაბედავენ.

– არა, არა და არა! – ამბობდა შეშფოთებული კა, – როგორც კი დავეუფლებით, ვეღარაფერი შეგვაჩერებს!.. უნდა მოვსპო, უნდა გავანადგურო!..

— მართალია, ჩინებული საქმე გააკეთეთ, მაგრამ ნამდვილი იდიოტი ხართ, — თქვა გენერალმა და სიბრაზისგან სახეზე მკვდრისფერი დაედო, — წყალს მტრის წისქვილზე ასხამთ, ისე, როგორც ყველა თქვენნაირი ინტელექტუალი, როგორც ის აედი, გუშინ საღამოს ხალხთა კავშირზე რომ ლაპარაკობდა, სულით ნამდვილი კოამელი ბრძანდებით. თქვენ მზე არ გწამთ!

კას შეაკანკალა, თავი დახარა, დაფანჩული წარბების ქვეშ თვალები დაუპატარავდა, სევდით აევსო.

— ვიცოდი, ასე იქნებოდა. რა თქმა უნდა, მე კოამელი არა ვარ და თქვენ ეს ძალიან კარგად იცით. მაგრამ ვეთანხმები მზის კანონთა კრებულის მეორე წესს და უარს ვამბობ იმ კითხვებზე, რასაც შეუძლია სულები განარისხოს. ისე იფიქრეთ და ის იფიქრეთ, რაც გენებოთ, მაგრამ ამ გამოქვაბულიდან გარეთ „ეს“ არასოდეს გავა.

— მე კი გეუბნებით, რომ გავა და თანაც ახლავე, ურდოს, ცივილიზაციის სადიდებლად, ხალხის საკეთილდღეოდ, მისი ბედნიერებისა და მშვიდობისათვის! — იყვირა გენერალმა, მარჯვენა ხელი ქვას ისე მოკიდა, როგორც ეს-ესაა პროფესორმა, რისხვითა და სიძულვილით ანთებულმა ქვა თავში ჩასცხო, კა იატაკზე დაეცა და ირგვლივ სისხლის გუბეები დააყენა.

გენერალმა ხელში ჩაბღუჯულ იარაღს ჯერ შეძრწუნებულმა დახედა, მერე გამარჯვებულმა მკაცრად, დაუნდობლად გაიღიმა და ჩაილაპარაკა:

— ესეც პირველი!..

თარგმნა ლილი მჭედლიშვილმა

ბორის ხლესტოკი

1934.14.01 — 1969.14.06

პოლონური ლიტერატურის ოვალაჩინო წარმომადგენელი ჯერ კიდევ თვრამეტი წლის ასაკში აქვეყნებს თავის პირველ ნაწარმოებს და მაშინვე იპყრობს პოლონელი მკითხველი საზოგადოების ყურადღებას. მალევე იბეჭდება (1956 წელს) მისი მოთხრობების კრებული — „პირველი ნაბიჯი ღრუბლებში", იგი სედიზედ გამოდის 1956, 1957, 1958 წლებში და თითქმის არ ჩერდება წიგნის მაღაზიის დახლებზე. 24 წლის ხლასკო უკვე ლიტერატურული პრემიის ლაურეატია. „უშუალოს", „უბრალოს" და „ინტელექტუალურს" (ასე ახალგაზრდა მწერალს პოლონელი ლიტერატურათმცოდნეები და კრიტიკოსები უწოდებენ) აფასებენ და უყვართ ახალგაზრდებს, როგორც თავისი თაობის ლეგენდა — იგი მათი კუმირი ხდება.

პირველი პუბლიკაციებისთანავე პოლონელი კრიტიკოსები ცდილობენ ახსნან ხლესტოკის ფენომენი, თუმცა ერთი რამ უდაოა, ის ერთ-ერთი იმ უნიჭიერეს ხელოვანთაგანია, ვის შემოქმედებაშიც მეოცე საუკუნის 50-იანი წლების მოელენები ნიჭიერად აისახა. იგი ჟანრულ-ყოფითი სცენების ოსტატია. მისი გმირების მეტყველება ნაცნობი და შეჩვეულია, მაგრამ პერსონაჟთა ჩვეულებრივი, ყოველდღიური სიტყვებით შეუძლია თქვას ძალიან მნიშვნელოვანი და ღრმა, მართალია, მისი პროზა ადვილად იკითხება, მაგრამ მარტივი და ზედაპირული სრულიადაც არ არის. მის მოთხრობებში არც სიკეთე ზეიმობს, არც ბოროტება ისჯება, ისინი თითქოს ერთმანეთშია გადახლართული... და იქმნება ხასიათები, იხატება ცხოვრების სურათები. ძნელად მოიპოვებიან მხატვრები,ვინც ასე უკანმიუხედავა იცავდნენ და ქომაგობდნენ ადამიანის ღირსებას და ეს არის არა პროზა, არა კრედო, არა თვით პოზიციაც კი, არამედ მისი ცხოვრება.

გარკვეული პოლიტიკური ვითარების გამო მარეკ ხლესკო 1958 წელს ტოვებს პოლონეთს და სიცოცხლის ბოლომდე ხან საფრანგეთში ცხოვრობს, ხან იტალიაში, ხან შვეიცარიაში, გერმანიაში, იზრაელსა თუ ამერიკაში, რასა ძალიან მტკივნეულად განიცდის. 1960 წელს ცოლად ირთავს გერმანელ კინომსახიობ ქალს — სონე ციმანს, 1966 წელს სცილდება და 1969 წელს სრულიად ჯანმრთელობაშერყეული თავს იკლავს.

პირველი ნაბიჯი ღრუბლებში

ქალაქის ცენტრი შაბათობითაც ისე გამოიყურება, როგორც დანარჩენ დღეებში. ეგ არის, სასაუზმეებსა და ბარებში, ავტობუსებსა და სადარბაზოებში ჰაერი ღვინის სუნითაა გაჟღენთილი. შაბათ დღეს ქალაქი საქმიან იერს კარგავს – ქალაქს შაბათობით ლოთი სიფათი აქვს. ცენტრში ამ დღეს ცხოვრებაზე დამკვირვებლებს ვერ შეხვდები – ვერც ჭიშკრის საფარქვეშ აყუდებულებს, ვერც პარკებში სკამებზე ჩამომსხდრებს. ცხოვრებაზე დაკვირვების მიზანი კი მხოლოდ ერთია, ის, რომ ოცი წლის შემდეგ თვითეულ მათგანს სრული უფლება ჰქონდეს გაიხსენოს, ერთ მშვენიერ დღეს ძალზე სასაცილო ამბის მხილველი გაეხდიო. მაგრამ ქალაქის ცენტრში ცხოვრებაზე ამ გულგრილ დამკვირვებელს ისევე ვერ შეხვდები, როგორც ოკუპაციის დროს ქუჩებში წინ და უკან მოარულ კურიერს, მშრალი სილით მოვაჭრე ბეზირგანებს თუ ქუჩის ტენორებს. იმათ მხოლოდ სადმე გარეუბანში თუ გადაეყრები. ვინაიდან ქალაქის გარეუბნის ცხოვრება, მოგეხსენებათ, უფრო სისხლსავსე და გაჯერებულია. თუ კარგი ამინდია, სკამებს გამოიტანენ, საზურგეებს წინ მიუქცევენ, დოყლაპიებივით მხრებჩამოყრილები ცხენებივით გადააჯდებიან და

აკვირდებიან ცხოვრებას. მათი შეუპოვრობა ზოგჯერ გენიალობის ზღვარზე მდგომ შეშლილობას უფრო ჰგავს – ბევრს ამ მხრებჩამოყრილ ჯდომაში სიცოცხლე თვალსა და ხელს შუა ისე გაჰპარვია, მის წინ მანასავით დარჭობილი დამკვირვებლის ფიზიონომიის მეტი არავინ და არაფერი უნახავს. და ბოლოს, წუთისოფლის უფერულობაში დარწმუნებული, მთელ სამყაროზე განაწყენებული ამქვეყნიდან ისე წასულა, აზრადაც არასოდეს მოსვლია, სკამიდან წამომდგარიყო და იქვე გვერდით მდებარე ქუჩაში მაინც გაეელ-გამოეელო. მაგრამ გავა წლები და დამკვირვებლის გულს მოუსვენრობა იპყრობს, შფოთავს, წრიალებს, წარამარა საათს დასცქერის, დროს უფრთხილდება – რას იზამ, ასეთი სასაცილო ჩვეულება აქვთ მოხუცებს! ცხოვრებისადმი ინტერესი, ნაირნაირ შთაბეჭდილებათა წყურვილი მათში ზოგჯერ გაცილებით მეტია, ვიდრე ოც-ოცი წლის გოგო-ბიჭებში. ისინი ბევრს ლაპარაკობენ და ბევრს ფიქრობენ. მათი გრძნობები ერთდროულად შეიძლება მგზნებარეც იყოს და მშვიდიც. მაგრამ, გაივლის დრო და ჩუმად, უხმაუროდ იშრიტებიან, სიკვდილის წინ კი ყველას არწმუნებენ, ცხოვრება ხალისით, ზარ-ზეიმით გავლიეო. იმპოტენტები მექალთანეობას იჩემებენ, ლაჩრები გმირობას, ჭკუანაკლულები – ცხოვრებისეულ სიბრძნეს.

პან გერეკმა, პროფესიით მღებავმა, ორმოცი წელიწადი მარიმონტში იცხოვრა და იმდენივე წელიწადი თავისი უბნის შესწავლა-დაკვირვებაში გაატარა. იმ შაბათსაც, ისე, როგორც ყოველთვის, თავისი სახლის წინ მესერთან იჯდა და აქეთ-იქით უაზროდ იყურებოდა. მწუხრს მიტანებული დღის პაპანაქება ჯერ ისევ გაუსაძლისი იყო. პან გერეკს თანდათან გაღიზიანება იპყრობდა – მთელმა დღემ ისე ჩაიარა, საინტერესო არაფერი მომხდარა, არც არავინ უცემიათ, არც ხელი მოუტეხია არავის. მოწყენილობისგან პან გერეკმა ფეხებში აბლანდულ ძაღლს წიხლი ჰკრა, ნაღვლიანად დაამთქნარა და ქუჩას გახედა. ქუჩაში ადამიანის ჭაჭანება არ იყო, მხოლოდ მანქანა თუ ჩაივლიდა კანტიკუნტად და ცხელი მტვრის კორიანტელს დააყენებდა. ის იყო იმედი საბოლოოდ გადაეწურა, რომ პან გერეკმა მხარზე ხელის შეხება იგრძნო. ძილისაგან დამძიმებული ქუთუთოები ასწია და თავისი მეზობელი მალიშევსკი დაინახა.

– წავედით, – თქვა მალიშევსკიმ.

– სად?

– აქვე, ახლოს.

— რატომ?

— არ გინდა ისიამოვნო?

დაბალი კაცი იყო მალიშევსკი, კეთილი სახითა და ეშმაკურად მოციმციმე თვალებით. მიუხედავად გარეგნული სიზანტისა, ახალგაზრდა ხვადი კატასავით სწრაფად და მოქნილად მოძრაობდა.

— ისეთი რა არი? — ჰკითხა სიცხისაგან გასავათებულმა პან გერეკმა და დაამთქნარა.

— ბიჭია. — უპასუხა მალიშევსკიმ.

— მერე რა?

— რა და, ცირკი! გოგოსთან არის, გესმის, გოგოსთან!

— მესმის, — ჩაილაპარაკა პან გერეკმა, გულში იმედის ნაპერწკალანთებული წამოდგა და გახალისებულმა იკითხა: — ლამაზია?

— ლამაზიც არის და ნორჩიც. გეუბნები გაქაფული მუშაობაა-მეთქი, — თქვა მალიშევსკიმ და უცებ აჩქარდა, — მოდიხარ თუ არ მოდიხარ?

— გათავებული ამბავია, — ხელი ჩაიქნია პან გერეკმა, — ვიდრე მივალთ, დაამთავრებენ კიდევაც. დაგენაძლავები, ჩამღრძვალი ამბავია-მეთქი.

— შენსავით ორმოცდაათისანი ხომ არ გგონია? — თქვა მალიშევსკიმ, — დიდხანს იმუშავებენ. ჩემს ცოლისძმას შევუაროთ და ჰაიდა! ჰო, აბა რას იტყვი? სამუშაოდან თუ მოვიდა, გამოგვყევება. ეე, აგერ ისიც!

მართლაც, ქუჩაში ახოვანი ახალგაზრდა კაცი მოაბიჯებდა. ხალათის სახელოები აეკაპიწებინა, კბილებში ბალახის ღერი ჰქონდა გაჩრილი. დამცინავ, სიცხისაგან მორღვეულ თვალებს ძლივს ახელდა.

— ხენეკ! — დაუძახა მალიშევსკიმ, — შეიძლება ერთ წუთს?

ხენეკი მათკენ წამოვიდა და მესერს მიეყუდა, ოფლისაგან შუბლი ულაპლაპებდა.

— სალამი, — თქვა ხენეკმა, — რაო, პან გერეკ, ახალი რა ისმის?

— წამოდი, გამოგვყევი, — შეაგება პასუხად მალიშევსკიმ.

— ცხელა, — ხენეკმა ტუჩები გაილოკა და ამოიხვნეშა, — სული მეხუთება, ჰაერის ნატამალიც არ არის. ამისთანა სიცხეში საით გაგიწევიათ?

— ბაღებში ვიყავი, — თქვა მალიშევსკიმ, — ვიღაც ბიჭს გოგო ჰყავს წაყვანილი.

— მეძავი? — იკითხა ხენეკმა, ბალახი გადმოაფურთხა, ახალი მოწყვიტა და ქვასავით მაგარ კბილებში მოიქცია.

— მეძავიო! — შეიცხადა მალიშევსკიმ, — გეუბნები, ახალგაზრდაა და ლამაზი!..

— მაშინ წავედით!.. ხომ მიცნობ, მიყვარს ცხოვრებაზე თვალის დევნება, მაგრამ ის გოგო თუ ერთი ვინმე საფრთხობელაა, იცოდე, შენ მოგიწევს ჯიბეზე ხელის გაკვრა.

ზედმეტი აღარაფერი უთქვამთ, სწრაფი ნაბიჯით ბაღებისკენ გასწიეს. აქაურები ბაღებში მხოლოდ სამსახურის მერე დადიან, კარტოფილი, სტაფილო და პამიდორი მოჰყავთ. ახლა კი იქ არავინ იყო, პაპანაქება სიცხისაგან ყველას არაქათი ჰქონდა გაცლილი, მზეში გასვლას ვერავინ ბედავდა.

— ცხელა! — თქვა ხენეკმა, — ამ თაკარა სიცხეში ხელის განძრევაც კი მეზარება.

— ალბათ., იმათაც სცხელათ, — თქვა პან გერეკმა.

— ალბათ, — კვერი დაუკრა მალიშევსკიმ, — არა უშავს, გავაგრილებთ. ასე არ არის, ხენეკ?

— შარშან იქ ერთიც დადიოდა გოგოსთან.

— მერე რა?

— არაფერი. ეტყობა თავშესაფარებელი არსად ჰქონდათ.

— რა ქნეს, დაქორწინდნენ? — უხალისოდ იკითხა ხენეკმა, ერთი ტოლჩა ცივი,მომწარო ლუდის მეტი ახლა მას არავინ და არაფერი აინტერესებდა.

— რა ვიცი, იქნებ დაქორწინდნენ კიდევაც. ისიც ლამაზი გოგო იყო.

— როგორი, ქერა? — იკითხა ახალმა გერეკმა, თუმცა, კაცმა რომ თქვას, ფეხებზე ეკიდა, ქერა იყო თუ შავგვრემანი. უცებ გულში მტანჯველი სიცარიელე და რაღაც ზიზღის მაგვარი იგრძნო.

— არა, მგონი შავგვრემანი იყო, — თქვა ხენეკმა, — ის ბუტუსურა ბიჭი კი ბატივით თეთრთმიანი. არ მესმის, ისეთ ლამაზ გოგოს იმისთანა ჩიკრიკელა ბიჭთან რა უნდოდა?!

— რას გაუგებ, — ჩაიბურტყუნა პან გერეკმა და გემრიელად გადააფურთხა. ხეკენზე იგი გულმოსული იყო — ხენეკის სიტყვებმა თავისი უშნო, ჭკუამოკლე ცოლი გაახსენა, — ალბათ, ვიღაც ქუჩის ქალი თუა.

— ალბათ... ახლა კი წყნარად, წყნარად იყავით, — თქვა მალიშევსკიმ და წინ გასწია. ხენეკი და პან გერეკი უკან ნელა, ფეხაკრეფით მიჰყვნენ. მალე ასაღამოვდა, მზე ჩავიდა, ბალახებს ლურჯი ჩრდილი დაეფინა. უცებ მალიშევსკიმ თავი მოატრიალა და ხმადაბლა დაიძახა: აქეთ, აქეთ!

ორიოდე ნაბიჯიც არა ჰქონდათ გადადგმული, რომ ბალახებში ბიჭი და გოგო დაინახეს. გოგოს თავი ბიჭის მხარზე დაედო და მთელი სხეულით მიჰკვროდა. იწვნენ სიყვარულისა და სიცხისაგან გასავათებულები, ქერა და შავგვრემანი თავები თავი თაეს მოედოთ, ორიეე ლამაზი, ორიეე ჯერ სულ ახალგაზრდა იყო. გოგოს კაბა ასწეოდა, გრძელი, ღონიერი კანჭები უჩანდა.

— ლამაზია,— თქვა ხენეკმა,— თანაც ძალიან.

— რას გეუბნებოდი! — წასჩურჩულა მალიშევსკიმ.

ერთხანს სამივენი გაჩუმებულები იდგნენ. პან გერეკმა ენით ტუჩები დაისველა და თვალწინ კვლავ თავისი ცოლი წარმოუდგა. მალიშევსკიმ როგორღაც სულელურად ჩაიცინა. ხენეკმა დამძიმებული ქუთუთოები დაუშვა, ფეხი მოინაცვლა და უცებ გაღიზიანებულმა იკითხა:

— ახლა რა ვქნათ?

— მოდი რაღაც ისეთი გააკეთე, სიცილით მუცლები დაუსკდეთ, — თქვა მალიშევსკიმ, — ამის ოსტატი შენა ხარ.

— ხენუს, იცი რა, მოდი შევაშინოთ, — თქვა ახლა პან გერეკმა, თითები გააწკაპუნა და გაიმეორა, — ისეთი ლამაზია, გული გაგისკდება. დიდი ხანია ამისთანა არავინ მინახავს. რა დროს ამათი ეს არი, ჯერ დედის რძე არ შეშრობიათ.

— მერე მოუთმენლად ხენეკს მიუბრუნდა, — მიდი, რაღას უყურებ, თორემ იმისთანა ცეცხლს დავანთებ...

— მოიცა, — თქვა ხენეკმა, — ჯობია მე მივიდე.

წუთით გოგოს მზით გარუჯულ თეძოს დააცქერდა და ტკივილისგან სახე მოეღრიცა. მერე ხის საფარიდან გამოვიდა, ახალგაზრდებს თავს წაადგა და თვალებმოჭუტულმა დაიწყო:

— დედიკუნა-მამიკუნობას თამაშობთ? შეგარგოთ!

მალიშევსკიმ და პან გერეკმა გადაიხარხარეს. ბიჭი წამოხტა და ჩუმად წაიბუტბუტა:

— რა გინდათ?

— არაფერი, — ნელა ჩაილაპარაკა ხენეკმა. იგი ახალგაზრდების წინ იდგა, ოდნავ ირწეოდა, კბილებში ისევ ბალახის ღერო ჰქონდა გაჩრილი, — მაინცდამაინც ძალიან ნუ იჩქარებ, ძმობილო. სწორედ იმიტომ მოვედი, რომ გაგაფრთხილო, მთავარია არ იჩქარო.

ხის სამალავიდან მალიშევსკიც გამოვიდა და ხენეკის გვერდით დადგა.

— ლამაზი გოგოა,— ამბობდა და თავისი არეული თვალებით ბურღავდა, — არც მე ვიქნებოდი ამისთანა გოგოს გაცნობის წინააღმდეგი. რას იტყვი, გავიცნოთ ერთმანეთი?

— იდიოტო, — თქვა ბიჭის ზურგს ამოფარებულმა გოგომ. სახე წითლად ჰქონდა ალეწილი. პან გერეკი უყურებდა, სიფრიფანა მხრები როგორ უთრთოდა და თვალწინ კვლავ თავისი ულამაზო, სქელი, გათქვირული ცოლი ედგა.

— აი, შე მეძავო, — თქვა ბრაზისგან თვალებჩასისხლიანებულმა მალიშევსკიმ და მოგუდული ხმით სხაპასხუპით განაგრძო: პირწავარდნილი ბ... ხარ, გესმის, შე ნათრევო!

— წადით, — თქვა ბიჭმა და თვალებში შეხედა, — გეხვეწებით, წადით, ჩვენ ხომ თქვენთვის არაფერი დაგვიშავებია.

— ვის ეხვეწები, იანუკ? — უთხრა გოგომ, — მაგ ბებერ გამოჩერჩეტებულს?

— ახლავე მოაკეტინე ამ შენ გომბიოს, თორემ... შენ კი აქ სიტყვით ნუ გამოდიხარ, გეუბნები, მოკეტე-მეთქი!

— შენ თვითონ მოკეტე, — გოგომ ზიზღით შეხედა ხენეკს, თვალები ცრემლით ჰქონდა სავსე, მაგრამ თავს ძალას ატანდა, ცდლობდა დამცინავად გაეცინა, — პირუტყვო, თქვა ბოლოს და აღრიალდა.

— შენ, ეი, — ხენეკმა გოგოს სახელოზე მოქაჩა, — შეურაცხყოფას ვის აყენებ? დაეთრევი აქ ვიღაც ხვადებთან და ენასაც არ აჩერებ.

ბიჭი გაექანა და სახეში ლეწა — ერთი და ორი, ერთი და ორი!

ეს ყველაფერი ისე სწრაფად მოხდა, ხენეკმა თვალის დახამხამებაც ვერ მოასწრო. მერე უცებ ბიჭს თმაში ხელი სტაცა, მუხლი სახეში ხეთქა, კბილებში მუშტი ჩასცხო და მიწაზე დააგდო.

— რას იტყვი, გეყოფა? ხომ მიირთვი? ხომ გაძეხი? შემიძლია ერთ-ორი კიდევ დაგიმატო. ხალხს ჩვენ აქ უმაღლეს დონეზე ვემსახურებით, სასაფლაოც მყუდრო და ლამაზი გვაქვს. — და ხენეკმა ბინძური გინების კორიანტელი დააყენა, თვალები დახუჭა, მაგრამ გოგონას შხვართი, მზით დამწვარი კანჭები თვალიდან ვერ მოიცილა.

— წავიდეთ, იანეკ, — გოგომ ბიჭს სახეზე სისხლი მოსწმინდა, — არაუშავს, გავუსწორდებითო, — თქვა, ერთი-ორი ნაბიჯი გადადგა და ისტერიულად იყვირა: — კაცები კი არა, ღორები ხართ!

ისინი კი შინ ისევ ბაღებით ბრუნდებოდნენ.

— ცხელა, — თქვა ხენეკმა, — ეტყობა გაწვიმდება, — მერე ამოიხვნეშა და თავი გააქნია: — ლამაზი გოგოა... რა გინდოდა, ასე რატომ გათათხე, შენ ხომ ის აქამდე თვალითაც არ გინახავს, საიდან უნდა გცოდნოდა?

— მე ისეთი არც არაფერი მითქვამს, — იუარა მალიშევსკიმ, — ეს შენ გალანძღე.

— მე?

— დიახ, შენ.

— რას როშავ! მე ხომ ის პირველად ვნახე.

— მე კი არა, — თქვა მალიშევსკიმ, — მე მათ აქ დიდი ხანია ვხედავ. დიდი სიყვარული აქვთ.

— ახლა რა იქნება? — იკითხა პან გერეკმა.

— რა ვიცი, რა იქნება. მე მარტო ის ვიცი, რომ ერთმანეთს ხვდებიან, და რომ მათთვის ეს პირველი არ არის...

— საიდან მოიტანე? — ზანტად იკითხა პან გერეკმა.

— გავიგე, ბიჭი გოგოს როგორ ეხვეწებოდა... ორივეს ეშინოდა — ბიჭსაც და გოგოსაც, შვილის გაჩენისა ეშინოდათ, აი, რაზე ლაპარაკობდნენ... უფრო მეტად კი ალბათ თავისი თავისა.

— პირველად ყოველთვის ასეა, — თქვა ხენეკმა, — პირველად მეც მეშინოდა.

— პირველად ვის არ ეშინია! — დაუდასტურა მალიშევსკიმ, — რა გინდოდა, ცხვირ-პირში რატომ ხეთქე?

— შენ არ მოინდომე ასე?

— რა ვიცოდი, ასე თუ გამოვიდოდა? ბიჭი გოგოს რაღაც უცნაურს ეუბნებოდა.

— რას?

— რა ვიცი, არ მახსოვს.

— იღრუბლება, — თქვა პან გერეკმა.

— ჰო, ბიჭი სწორედ ღრუბლებს ახსენებდა. არ ვიცი, შეიძლება ცას. რაღაც ლექსს ეუბნებოდა, გესმის, ერთმანეთი უყვართ...

— დამთავრდება მაგათი ეგ სიყვარული, — ჩაურთო სიტყვა პან გერეკმა, — სამუდამოდ შესძულდებათ ერთმანეთი. ამ ამბის მერე ერთმანეთის დანახვაც აღარ მოუნდებათ. თვალს ვერ გაუსწორებენ. ეჰ, არ გამოუვიდათ კარგად.

— აჰა, გამახსენდა, — თქვა მალიშევსკიმ, — ბიჭი ეუბნებოდა, ეს ჩვენი პირველი ნაბიჯი იქნება ღრუბლებშიო. ზუსტად ამას ამბობდა, ოღონდ ლექსად. გოგო კი — მეშინიაო, და ცრემლად იღვრებოდა.

— ალბათ სხვა რაღაცის ეშინოდა.

— არა მგონია, — თქვა მალიშევსკიმ, — არ იცი, ხალხი როგორია, ჭორიკანების მეტი რა არის... ეს მერე. თავიდან კი თითქოს ღრუბლებში დაფრინავ. შეყვარებული ადამიანი სხვას ვერავის ხედავს.

— ვერც ჩვენ ვხედავდით ერთმანეთის გარდა ვერავის? — იკითხა ხენეკმა.

— დამთავრდება მაგათი ეგ სიყვარული. ასეთი ამბის შემდეგ გოგოს მე, ალბათ, თვალებშიც ვერ შევხედავდი.

თქვა გერეკმა და უცებ მოიღუშა, გულში ისევ სიცარიელე იგრძნო.

ბაღები რა ხანია უკან დარჩა.

— ჰო, — ჩუმად ჩაილაპარაკა ხენეკმა, — გათავებული ამბავია, ერთმანეთი აღარასოდეს ეყვარებათ. ოდესღაც მეც შემემთხვა რაღაც ამდაგვარი. მერე კი იმ გოგოს სათოფეზეც ვეღარ გავეკარე.

— ასეთი რამ ყველას თავს ყოფილა, — თქვა მალიშევსკიმ, — რას ერჩოდი, ცხვირ-პირში ისე რატომ ლეწე?

— პირველმა თვითონ მლეწა,— თავი იმართლა ხენეკმა,— ლუდი ხომ არ დაგველია?

— შეიძლება... გოგო კი, ალბათ, აღარ მივა.

— ჰო, ალბათ აღარ მივა, — თქვა პან გერეკმაც, — მაინც არ გინდოდათ, ასე რატომ გამოთათხეთ?

— ოდესღაც ჩემი გოგოც ასე გამოლანძღეს, — თქვა მალიშევსკიმ, — მაგრამ, დღესაც რომ ვინმემ მკითხოს, რატომ და რა მიზეზით, ღმერთმანი, ვერაფერს ვუპასუხებ.

— და აღარც შეხვედრიხარ იმის შემდეგ?

— არა, — მალიშევსკიმ ერთხანს იყუჩა და უცებ გაღიზიანებულმა დასძინა: — ეშმაკმა დალახვროს, მომეშვით, თავი დამანებეთ! არავითარი სიყვარული არ მწამს, ის კი არა, ჩემი დედაკაცისაც არ მჯერა, არავისი არ მჯერა.

— სისულელეა, — თქვა ხენეკმა, ცას შეხედა და ამოიოხრა: — ილრუბლება... რაო, როგორ თქვა იმ ბიჭმა?

– მგონი, ნაბიჯი წვიმაშიო თუ რაღაც ამდაგვარი... – ძლივს ამოიღერღა მალიშევსკიმ, – წავიდეთ, ლუდი დავლიოთ... არ ვიცი, წვიმაშიო, არ ვიცი, ჭექა-ქუხილშიო... მოკლედ, არ მახსოვს, არაფერი არ მახსოვს, არაფრის გახსენება არ მინდა... რომ არ მხსომებოდა, არც ეს მაიმუნური ამბავი დატრიალდებოდა.

– ხვალ იწვიმებს, – თქვა ხენეკმა.

– კვირაობით ყოველთვის წვიმს, – დასძინა პან გერეკმა და შუბლი შეიჭმუხნა – თვალწინ ისევ თავისი მოძულებული ცოლი, ის ბიჭი, ხვალინდელი დღე და ის ლამაზი გოგო წარმოუდგა, მისი გრძელი, მზით გარუჯული ფეხები, მისი მკერდი, ლამაზი, ალუბლისფერი ბაგე, ბრინჯაოსფრად მზემოკიდებული მაღალი კისერი, მისი მწვანე, შეშინებული თვალები და რაღაც რომ ეთქვა, ჩაიბუტბუტა:

– კვირაობით ყოველთვის წვიმს.

თარგმნა ლილი მჭედლიშვილმა

რიჩარდ ბახი

ამერიკელი მწერალი, ფილოსოფოსი და პუბლიცისტი, გენიალური გერმანელი კომპოზიტორის იოჰან სებასტიან ბახის შორეული შთამომავალი; 1955 წლიდან ოთხი წლის განმავლობაში სწავლობდა კალიფორნიის შტატის ქალაქ ლონგ-ბიჩის კოლეჯში (ამჟამად კალიფორნიის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ლონგ ბიჩი). მსახურობდა აშშ-ს სამხედრო-საჰაერო ძალებში, შემდგომ საჰაერო ტრიუკების შესრულებით იყო გატაცებული. უარი არ უთქვამს ემუშავა კინოში პილოტ-კასკადიორად და მთხრობელად მისი წიგნის („არაფერია შემთხვევითი") საფუძველზე შექმნილ ფილმში. მიუხედავად იმისა, რომ ავიაცია იყო ბახის ჭეშმარიტი ენება, იგი ყოველთვის ოცნებობდა მწერლობაზე. ჯერ კიდევ ზედა კლასების მოსწავლეს, გაუჩნდა იდეა ფრინველზე, რომელიც ილტვოდა გაერღვია შეზღუდვებისა და აკრძალვების კედელი. მან ეს თავისი იდეა განახორციელა მოთხრობაში „თოლია ჯონათან ლივინგსტონი" (1970), რომელმაც მსოფლიო აღიარება მოუტანა რიჩარდ ბახს. ეს იყო მისი რიგით მეოთხე ნაწარმოები, მანამდე კი გამოქვეყნებული ჰქონდა მოთხრობები: „უცხო დედამიწაზე" (1963), „ბიპლანი" (1966), „არაფერია შემთხვევითი" (1969); საყოველთაო აღიარების შემდეგ მწერალი აქვეყნებს სხვა თხზულებებსაც: „ფრთების საჩუქარი" (1974), „არ არსებობს ადგილი შორეთი" (1976), „ილუზიები" (1977), „მარადისობაზე გადებული ხიდი" (1984), „ერთადერთი ქალი" (1988), „უსაფრთხოებიდან გაქცევა" (1994), „ჩემი გონების მიღმა" (1999), „გაფრენა" (2003), „მესიის ჯიბის ცნობარი" (2004) და სხვ.

დღესდღეობით, რიჩარდ ბახი ერთ-ერთი ყველაზე პოპულარული ამერიკელი მწერალია, მისი საუკეთესო მოთხრობა „თოლია ჯონათან ლივინგსტონი", 1973 წელს ჰოლივუდში იქნა ეკრანიზირებული, ყოველივეს, რასაც იგი თავის ცხოვრებაში აკეთებს, – ავიაციაა ეს, სპორტი თუ ლიტერატურა, აერთიანებს ერთი რამ: ენება ფრენისადმი.

არ არსებობს ადგილი შორეთი



რეი![1] გმადლობთ, დაბადების დღეზე რომ დამპატიჟე. შენი სახლი აქედან ათას მილზეა, მე კი მხოლოდ განსაკუთრებულ შემთხვევებში თუ გავწევ ხოლმე სამოგზაუროდ... რეის დაბადების დღე სწორედ ასეთი შემთხვევაა, და მეც მოუთმენლად ველი შენთან შეხვედრას.

გავწიე, კოლიბრის გულის იმედად, რომელსაც ჩვენ, შენ და მე, დიდი, დიდი ხნის წინათ შევხვედრივართ. როგორც ყოველთვის, ახლაც გულთბილად შემომეგება, მაგრამ როცა ვუთხარი, პატარა რეი წამოიზარდა და საჩუქრით მის დაბადების დღეზე გამიწევია-მეთქი, ძალიან გაიკვირვა. დიდხანს მივფრინავდით სიჩუმეში; ბოლოს ჩაილაპარაკა: „ძალზე ცოტა რამაა ჩემთვის გასაგები იქიდან, რაც მითხარი, ყველაფერზე მეტად კი იმის გაგება მიჭირს, რომ შენ დაბადების დღეზე გაგიწევია“.

„რა თქმა უნდა“, ვუპასუხე, „დაბადების დღეზე გამიწევია; განა რა არის ამაში გაუგებარი?“ ერთხანს იყუჩა, ხოლო როცა ზარნაშოს ბუდეს მივადექით,

[1] რეი — „სხივი“ (ინგლ.)

ამოთქვა: „ნუთუ მართლა ძალუძთ მილებს მეგობრების დაშორება? თუკი შენ რეისთან ყოფნა გწადია, განა ისედაც მასთან არა ხარ?“

„პატარა რეი წამოიზარდა, და საჩუქრით მის დაბადების დღეზე გამიწევია“, ეუთხარი ზარნაშოს. კოლიბრისთან საუბრის შემდეგ სიტყვა გამიწევია უცნაურად ჟღერდა, მაგრამ ისე წარმოვთქვი, რომ ზარნაშოს კარგად გაეგო ჩემი ნათქვამი. ისიც დიდხანს მოფრინავდა ჩვენთან ერთად მდუმარედ. ეს კეთილმოსურნეობით აღსავსე დუმილი იყო, მაგრამ როცა არწივის სახლამდე საღსალამათი მიმიყვანა, ჩაილაპარაკა: „ძალზე ცოტა რამაა ჩემთვის გასაგები იქიდან, რაც მითხარი. მაგრამ ყველაფერზე მეტად იმის გაგება მიჭირს, რომ შენს მეგობარს პატარას უწოდებ“.

„რა თქმა უნდა“, ეუპასუხე, „პატარაა. იმიტომ, რომ ჯერ არ გაზრდილა. რა არის ამაში გაუგებარი?“ ზარნაშომ დაჟინებით მომაპყრო თავისი ქარვისფერი თვალების გამჭოლი მზერა, გამიღიმა და თქვა: „ერთი უყურე“.

„პატარა რეი წამოიზარდა და საჩუქრით მის დაბადების დღეზე გამიწევია“, ეუთხარი არწივს. კოლიბრისთან და ზარნაშოსთან საუბრის შემდეგ სიტყვები – „გამიწევია“ და „პატარა“ უცნაურად ჟღერდა, მაგრამ ისე წარმოვთქვი, რომ არწივს კარგად გაეგო ჩემი ნათქვამი. მწვერვალებს თავს მოვევლეთ და მთის ნიავთან ერთად მივლიელივებდით ჰაერში. ბოლოს ჩაილაპარაკა: „ძალზე ცოტა რამაა ჩემთვის გასაგები იქიდან, რაც მითხარი, მაგრამ ყველაფერზე მეტად მიჭირს გავიგო სიტყვა დაბადების დღე“.

„რა თქმა უნდა“, ეუპასუხე, „დაბადების დღე. ჩვენ გვწადია, საზეიმოდ აღვნიშნოთ ის წამი, როცა რეი ამ ქვეყანას მოევლინა, და რომლის დადგომამდეც ის ჯერ არ არსებობდა. რა არის ამაში გაუგებარი? არწივმა ფრთები დაკეცა, თავქვე დაეშვა და რბილად დაფრინდა უდაბნოს სილაში, „დრო, როცა რეი ჯერ არ არსებობდა? ხომ არ ფიქრობ, რომ ყველაფერი პირიქითაა – რომ რეის სიცოცხლე მაშინ დაიწყო, როცა დრო ჯერ არ არსებობდა?“

„პატარა რეი წამოიზარდა, და მისკენ გამიწევია დაბადების დღეზე საჩუქრით“, ეუთხარი შევარდენს. კოლიბრისთან, ზანრაშოსა და არწივთან

საუბრის შემდეგ სიტყვები „გამიწევია“, „პატარა“ და „დაბადების დღე“ უცნაურად ჟღერდა, მაგრამ ისე წარმოეთქვი ისინი, რომ შევარდენს კარგად გაეგო ჩემი ნათქვამი. შორს, ჩვენს ქვემოთ, უდაბნო მიცურავდა. გზა რომ გაელიეთ, ჩაილაპარაკა: „იცი, ძალზე ცოტა რამაა ჩემთვის გასაგები იქიდან, რაც მითხარი; მაგრამ ყველაზე მეტად ამის გაგება მიჭირს – „წამოიზარდა“.

„რა თქმა უნდა“, ვუპასუხე, „წამოიზარდა. სულ მალე რეი დიდი იქნება, და კიდევ ერთი წელი აშორებს მას ბავშვობას. რა არის ამაში გაუგებარი?“

შევარდენი ზღვის უდაბურ ნაპირზე დაეშვა.

„რაც შენ თქვი, სულაც არ ნიშნავს იმას, რომ ის წამოიზარდა!“ ჰაერში აიჭრა და თვალს მიეფარა.

ვიცოდი, რომ თოლია მეტად ბრძენი ფრინველია. ვიდრე მივფრინავდით, გულმოდგინედ ვეძებდი და ვარჩევდი სიტყვებს, რათა მათ გაგონებაზე რეის ეგრძნო, რომ რაღაც მისწავლია.

„თოლიავ“, ვუთხარი ბოლოსდაბლოს, „რატომ მიმაქროლებ შენს ფრთებზე რეისაკენ, თუკი დარწმუნებული ხარ, რომ უკვე მასთან ვარ?“

თოლიამ გადამაქროლა ზღვები, მთები, ქალაქები, და მალე უხმაუროდ დაეშვა შენს სახურავზე, „იმიტომ, რომ ძალზე მნიშვნელოვანია“, მიპასუხა მან, „იცოდე ეს ჭეშმარიტება. იქამდე, ვიდრე თავად არ გაიგებ მას, ვიდრე არ ჩასწვდები მთელ მის სიღრმეს, მხოლოდ რამდენიმე გზით შესძლებ მის გადაცემას, მხოლოდ სხვისი – მანქანების, ადამიანების, ფრინველების დახმარებით. მაგრამ გახსოვდეს“, დასძინა მან, „ჩასწვდები შენ თუ ვერა, **ჭეშმარიტება ჭეშმარიტებად რჩება**“. და თოლია გაფრინდა.

„აი, შენი საჩუქრის გახსნის დროც დადგა. მინისა და ლითონის საჩუქრები ადრე თუ გვიან ცვდება და დავიწყებას მიეცემა ხოლმე. მე კი შენთვის უკეთესი რამ შევარჩიე.

გიძღვნი ბეჭედს, ატარე. ის განსაკუთრებულ შუქს ასხივებს, და მას ვერც ვერავინ წაგართმევს და ვერც ვერავინ გაანადგურებს. მხოლოდ შენ შესძლებ ამქვეყნად მის დანახვას, ისევე, როგორც მხოლოდ მე ვხედავდი მას, ვიდრე ჩემი იყო.

ეს ბეჭედი ახალი უნარით დაგაჯილდოებს. მას რომ გაიკეთებ, ცაში მონავარდე ნებისმიერი ფრინველის ფრთების მორგებას შეძლებ. შეძლებ დაინახო ისინი ოქროსფერი თვალებით, შეეხო ნიავს, ხავერდოვან ბუმბულს რომ უქოჩრავს მათ. შეიგრძნობ მაღლა-მაღლა ფრენის ნეტარებას, ამ ქვეყანასა და მის ყველა გასაჭირზე ზემოთ ლიელიეის სიხარულს. შეგიძლია იმდენ ხანს იფრინო ცაში, რამდენ ხანსაც მოისურვებ, გაათენო, შეეგებო განთიადს, და როცა იგრძნობ, რომ დაბლა დაშვების დრო დადგა, ყველა შენს კითხვაზე პასუხს მიიღებ და ეჭვებიც გაგეფანტება.

როგორც ყველაფერი ის, რასაც ხელით ვერ შეეხები და თვალისთვისაც უხილავია, შენი საჩუქარიც იმის კვალობაზე გაიზრდება, თუ როგორ გამოიყენებ მას. თავიდან მხოლოდ იმ ფრინველების დანახვას შეძლებ, რომლებთან ერთადაც ფრენ. მაგრამ მერე და მერე, როცა გაიწაფები, იმ ფრინველებთან ერთად ფრენასაც ისწავლი, რომლებსაც ვერ ხედავ, – და ბოლოს აღმოაჩენ, რომ არ გჭირდება არც ბეჭედი და არც სხვა ფრინველები, რათა მარტოდმარტომ ინავარდო ღრუბელთა საუფლოს ზემოთ. და როცა ასეთი დღე დადგება, ეს საჩუქარი მას უნდა გადასცე, ვინც მას მარჯვედ გამოიყენებს, ვინც შეიგნებს, რომ მნიშვნელოვანია მხოლოდ ის, რაც ჭეშმარიტებისა და სიხარულისაგანაა შექმნილი, და არა ლითონისა ან მინისაგან.

რეი, უკანასკნელად ვზეიმობ შენთან ერთად ამ განსაკუთრებულ დღეს, მას შემდეგ, რაც ჩვენი მეგობარი ფრინველებისაგან რაღაც ვისწავლე. მე ვერ გამოვწევ შენსკენ, რადგან უკვე აქ ვარ. შენ არა ხარ პატარა, რადგან უკვე გაიზარდე; შენ, როგორც ჩვენ ყველანი, ერთი სიცოცხლიდან მეორეში ბრუნდები, და ბედნიერი ხარ, რომ ცოცხლობ.

შენ არა გაქვს დაბადების დღე, რადგან მარად ცოცხლობდი; შენ არასოდეს დაბადებულხარ, და არც არასოდეს მოკვდები. შენ არა ხარ მათი პირმშო, ვისაც დედ-მამას ეძახი.

შენ – მათი თანამგზავრი ხარ ამ თვალისმომჭრელ, თავგადასავლებით აღსავსე მოგზაურობაში, რომლის მიზანია საგანთა არსის შეცნობა.

მეგობრის ყოველი საჩუქარი – შენთვის ბედნიერების მსურველია, მათ შორის ეს ბეჭედიც.

იფრინე თავისუფლად და ლაღად, გადაუფრინე მარადისობას, გააღწიე დაბადებათა მიღმა, და ჩვენ შეგძლებთ შეეხვდეთ ახლაც და მარადის, როცა კი მოვისურვებთ, ერთ დიდ დღესასწაულზე, რომელსაც არა აქვს ბოლო.

თარგმნა რუსუდან ღვინეფაძემ

ევლინ ვო

28.10.1903 – 9.04.1966

გამოჩენილი ინგლისელი მწერალი, XX საუკუნის ერთი ყველაზე სახელმოხვეჭილი სატირიკოსი. ოქსფორდის უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ, ევლინ ვო მასწავლებლობდა ორ კერძო სკოლაში, მაშინ დაწერა მან თავისი პირველი რომანი „დაკნინება და დაშლა“ (1928), მეორე რომანზე მუშაობისას, „საზიზღარი ხორციელი“ (1930), მიიღო კათოლიკობა და შემდგომ თავისი ეს მოქცევა აღწერა წიგნ-ბიოგრაფიაში „ედმუნდ კემპიონი, იეზუიტი და მოწამე“ (1935); 1930-იან წლებში ვო ბევრს მოგზაურობდა ევროპაში, აფრიკასა და ცენტრალურ ამერიკაში. ამ მოგზაურობათა შედეგები აისახა მოგზაურულ ჩანაწერებში „იარლიყები“ (1930), „შორეული ადამიანები“ (1932), „ოთხმოცდათორმეტი დღე“ (1934), „ვო აბისინიაში“ (1935) და კომიკური რომანების სერიაში „შავი უბედურება“ (1932); „ერთი მუჭა ფერფლი“ (1934) და „სენსაცია“ (1938). მეორე მსოფლიო ომის დროს ვო მსახურობდა საზღვაო ქვეით და სადესანტო-დივერსიულ ნაწილებში, მიიღო კაპიტნის ჩინი, სპეციალური დავალებით იყო იუგოსლავიაში. ომმა შთააგონა მას შეექმნა ერთი ყველაზე სასაცილო რომანთაგანი „არ დაზოგოთ დროშები“ (1942) და თავისი ყველაზე კათოლიკური ნაწარმოები, ტრილოგია – „შეიარაღებული ადამიანები“ (1952); „ოფიცრები და ჯენტლმენები“ (1955) და „უსიტყვო კაპიტულაცია“ (1962). ომის შემდგომ ვო წერს რომანს „დაუვიწყარი ქალი“ (1948), რომელიც ჰოლივუდის ბნელით მოცული ყოფის გესლიან აღწერას წარმოადგენს, პოლიტიკურ სატირას „სკოტ-კინგის თანამედროვე ევროპა“ (1949) და რომანს „გილბერტ პინფოლდის გამოცდა“ (1957). იმ ნაწარმოებთა რიცხვს, სადაც ყველაზე მეტად გამოვლინდა ავტორის კათოლიციზმი, განეკუთვნება რომანები „ბრაიჰედში დაბრუნება“ (1945), „ელენა“ (1950), „რონალდ ნოქსის ცხოვრება“ (1959). სიკვდილამდე ცოტა ხნით ადრე მან დაამთავრა ავტობიოგრაფიის პირველი ტომი „ზერელედ განსწავლული“ (1964).

ყველა ის მწერლური ღირსება, რაც ევლინ ვოს რომანებს გააჩნია, ელინდება მოთხრობებშიც, რომლებსაც არცთუ იშვიათად მახვილგონივრულად მოფიქრებული მოულოდნელი ფინალი თავისებურ ხიბლს აძლევს. მოთხრობათაგან შეიძლება აღინიშნოს „სიყვარული ნანგრევთა შორის“, „ტაქტიკური სწავლებანი“, „მეფედ კურთხევა“, „საზღვაო მოგზაურობა“,„ინგლისელის სახლი“,„მისტერ ლავდეის ხანმოკლე შვებულება“ და სხვ. მწერლის საუკეთესო მოთხრობათა რიცხვს მიეკუთვნება „ბელა ფლისის წვეულებაც“.

საღამოს ფეიერვერკი ბელა ფლისთან

დუბლინიდან ბოლინგარში ბროდსტონის სადგურიდან დილის მატარებლით თუ წახვალთ, ოთხსაათნახევარში ბოლინგარში იქნებით, მაგრამ დღის მატარებლით მგზავრობას ხუთ საათსა და თხუთმეტ წუთს მოანდომებთ. ბოლინგარი, სადაც ბაზარია, დიდსა და შედარებით მჭიდროდ დასახლებულ ადგილზეა განლაგებული. ქალაქის მოედნის ერთ მხარეს გასული საუკუნის ოციანი წლების ნეოგოთიკური სტილის პროტესტანტული ეკლესიაა აღმართული, მის მოპირდაპირედ არქიტექტურული სტილების ფუქსავატური აღრევის პირმშო, უშველებელი, ჯერ კიდევ დაუმთავრებელი კათოლიკური ტაძარი დგას, რომელიც ძალიან უყვართ იქაურ უცხოტომელ ღვთისმოსავებს. ანსამბლის დამამთავრებელი მაღაზიების უშნო კელტური ფირნიშები თანდათან ავიწროებს ინგლისურს. ყველა ეს მაღაზია ერთნაირი საქონლით ვაჭრობს და ერთმანეთისაგან მხოლოდ სიძველით განსხვავდება, იქნება ეს მელინგერის სავაჭრო, სავაჭრო ფლანიგანისა თუ რაილის მაღაზია. როგორც ერთი, ყველა დახლზე აკიდოსავით გადმოკიდებულ შავ, უხეშ ფეხსაცმელს, კოლონიებიდან შემოტანილ ლორწოიან ყველს, მანქანის ზეთს და რკინა-კაევულს ყიდის. თითოეული მაღაზიის პატრონს აქვს ელემითა და პორტერით ვაჭრობის პატენტი, როგორც ადგილზე შესმით, ისე გატანით. განთავისუფლების ძეგლის ადგილს აქ ფანჯრებჩამტვრეული და შიგნიდან კედლებჩაშავებული ყაზარმები იკავებს. მწვანე

საფოსტო ყუთზე ვიღაცას შავი ფისით წაუწერია – „რომის პაპი მოღალატეა!“[1]. მოკლედ, ბოლინგარი ერთი ჩვეულებრივი ირლანდიური ქალაქია.

ბოლინგარიდან ფლისტაუნი თხუთმეტი მილით არის დაშორებული და მას ოღრო-ჩოღრო, ათხრილ-დათხრილი თემშარით უკავშირდება. თემშარა ჩვეულებრივ ირლანდიურ არემარეში გადის – შორს ბურუსით შებურვილი ლილისფერი გორაკებია აღმართული. მისკენ მიმავალი თემშარის გასწვრივ, ერთ მხარეს, ნისლის მოცურავე ღრუბლების ნაგლეჯებს შორის უკიდეგანო ტბა ბზინავს, ტბაში აქა-იქ ტორფის პატარა გორები ტივტივებს. გზის მეორე მხარეს მიწაყრილებითა და ქვის ყორებით შემორაგული სხვადასხვა ფორმის მინდვრებით აჭრელებული, ჩრდილოეთისაკენ აზიდული ფერდობია, სადაც ბოლინგარული მწევარი ძაღლები სარფიანად ნადირობენ. აქ ყველაფერი ხავსით არის დაფარული. კედლები და მიწაყრილები ხავსს სქელი ფარდაგივით დაუფარავს, ხის მორებს მწვანე ოქსინოსავით მოსდებია. ხავსს კონტურები ისე მოუშანდაკებია, ვერ გაარჩევ, სად მიწა თავდება და სად მორი ან ქვის ყორე იწყება. ბოლინგარიდან მთელი გზის ჩაყოლებით კირით შეთეთრებული ქოხები და ათიოდე მოზრდილი ფერმაა, მაგრამ არ არის არცერთი თავადისეული კარ-მიდამო, ვინაიდან მიწების კომპსის[2] შექმნამდე ეს მხარე ფლისების საკუთრება იყო. ფლისტაუნებს ახლა მხოლოდ საკარმიდამო ნაკვეთი ეკუთვნოდათ და ისიც იჯარით ფერმერებზე ჰქონდათ გაცემული. მესრით შემოღობილ ბოსტანში სულ რაღაც ორიოდე კვალი ჩანდა დამუშავებული, დანარჩენ უპატრონოდ მიტოვებულ მიწას რაყა და სარეველა მოსდებოდა. შამბებში აქა-იქ საკვებად უვარგისი ნაყოფის მომცემი, ეკლიანი ბარდები იყო ამოზრდილი, მინებჩამტვრეული სათბურები ათი წელია გამჭოლი ქარების სათარეშოდ იყო ქცეული. გეორგიანული თაღის ქვეშ მთავარ ჭიშკარს მუდამ ბოქლომი ედო, საყარაულო ჯიხური და მოსამსახურეების პატარა სახლები ბედის ანაბარად იყო მიტოვებული, ხოლო სახლთან

---

[1] პაპი პიი XI მხარს არ უჭერდა ირლანდიელ კათოლიკებს XX საუკუნის ოციანი წლების ეროვნულ-განმათავისუფლებელ ბრძოლაში

[2] კომისია, რომელსაც სისრულეში მოჰყავდა 1903 წელს მიღებული კანონი ირლანდიელი ფერმერების მიერ არენდით გაცემული მიწების სახელმწიფო სესხის საშუალებით გამოსყიდვის უფლების შესახებ

მისასველელი შუაგის ნარჩენები მინდვრის აკაჭრებულ არიოთში ჩაკარგული. სახლში რომ შესულიყავი, კუტიკარამდე ნახევარი მილი საქონლისგან დაბინძურებული ბილიკი უნდა გაგეელო.

იმ დროისთვის, რა დროზეც ჩვენ ახლა ელაპარაკობთ, ბოლინგარ-ჰოუსსა, ბოიკოტის კოშკსა თუ ნოდ-ჰულების კარ-მიდამოსთან შედარებით სახლი საკმაოდ კარგად გამოიყურებოდა, თუმცა მეტოქეობას ვერც გორდონ-ტაუნის მამულს უწევდა, სადაც ამერიკელმა ლედი გორდონმა ელექტროდენი შეიყვანა, ლიფტი და ცენტრალური გათბობა გააკეთა, ვერც სმოკ-ჰაუსსა ან ნიუჰილსს, რომელიც ინგლისელ მონადირეებზე იყო იჯარით გაცემული და ვერც მოკსტოკის კოშკს იმ სახით, რა სახეც მას შემდეგ მიიღო, რაც მოკსტოკმა ცოლად არა თავისი წრის ქალიშვილი ითხოვა. ეს ოთხი სახლი თავისი ლამაზად მოხრეშილი სწორი გზებით, აბაზანის ოთახებითა და დინამო-მანქანებით მთელს ამ მხარეში, როგორც აღტაცების, ისე დაცინვის საგნად იყო ქცეული. მიუხედავად ამისა, ფლისტაუნი, ისე თუ შევადარებთ თავისუფალი სახელმწიფოს[1] ნამდვილ ირლანდიურ სახლებს, როგორც ამას წესი და რიგი მოითხოვს, საცხოვრებლად ძალზე მოსახერხებელი გახლდათ.

რაც მთავარია, სახურავი მთელი და დაუზიანებელი ჰქონდა, მაშინ როცა ირლანდიური სოფლის სახლი სწორედ სახურავის მიხედვით ფასდება, მეორე ხარისხისაა თუ მესამის. თუ თქვენს სახლს სახურავი არ უვარგა, საძინებელში ყველაფერი ხავსით დაიფარება, კიბეზე გვიმრა გაიზრდება, ბიბლიოთეკაში ძროხები დაიწყებენ სეირნობას და რამოდენიმე წლის შემდეგ იძულებული გახდებით ან ზეთსახდელში გადაბარგდეთ ან ყარაულის ჯიხურში. მაგრამ„ ვიდრე თავზე ჭერი გაქვთ, სრული ამ სიტყვის მნიშვნელობით, სახლი თქვენი ციხესიმაგრეა. რა თქმა უნდა, ფლისტაუნსაც ჰქონდა რაღაც ზადი, მაგრამ ირგელივ ყველა დარწმუნებული იყო, კოჭები ამ სახლს კიდევ ოცი წელიც გაუძლებს და სახლის ახლანდელი პატრონის სიკვდილსაც მოესწრებაო.

ის, ვინც ცნობარში ანაბელა როშფორ-დეილ-ფლისის ამ სრული სახელით მოიხსენიებოდა და ვისაც მთელს ამ არემარეზე ბელა ფლისს ეძახდნენ, გვარის უკანასკნელი წარმომადგენელი გახლდათ. ფლისები

---

[1] ირლანდიის თავისუფალი სახელმწიფო – ეს სახელი სამხრეთ ირლანდიას მიენიჭა მას შემდეგ, რაც მან 1921 წელს მიიღო დომინიონის სტატუსი

და ბლეიზერები ბოლინგარის ახლოს რიჩარდ დე კლერის[1] დროიდან ცხოვრობდნენ, ხოლო ფერმა თავის შრამელებიანად, ზუსტად ციხესიმაგრესავით იმ მესერშემოვლებულ ადგილას მდებარეობდა, სადაც ფლისები იმავე მოელი ორასი წლით ადრე სახლობდნენ, ვიდრე აქ ბოიკოტები, გორდონები და მოკსტოკები დასახლდებოდნენ. საბილიარდოს კედლებზე გენერალოგიის სპეციალისტის მიერ მეოცე საუკუნეში შედგენილი და მორთული გენეალოგიური ხე ეკიდა. ხეზე ნარჩენები იყო, ფლისების ძველთაძველი გვარი როგორ შეერწყა ასევე უძველესი გვარის როშფორებსა და პატივსაცემ, მაგრამ არც ისე ძველი გვარის დოილებს. ახლანდელი, ექსტრავაგანტურ სტილზე აგებული სახლი მეჩვიდმეტე საუკუნის შუა წლებში იყო აშენებული, როცა ოჯახი უკვე რამდენადმე დაკნინებული, მაგრამ ჯერ კიდევ საკმაოდ მდიდარი და გავლენიანი გახლდათ: ვფიქრობ, დამღლელი იქნებოდა იმის აღწერა, თანდათან როგორ ღარიბდებოდა ეს ოჯახი, თუმცა ისიც უნდა ითქვას, მისი დაცემა მოუთოკავი თავაშვებულობის შედეგი არ ყოფილა – ფლისები ნელა, შეუმჩნეველივ ღარიბდებოდნენ, როგორც ეს ყველა იმ ოჯახს ემართება, რომელიც სიძნელეების გადასალახავად არ იღვწის. გარდა ამისა, ბოლო თაობებში თავი რაღაც საგვარეულო უცნაურობებმაც იჩინა – ბელა ფლისის დედას, ვინც ნიუჰილიდან იყო და გვარად ო'ჰარა გახლდათ, გათხოვების პირველი დღიდან სიკვდილამდე თავი ზანგის ქალი ეგონა, ხოლო ძმა, ვისგანაც ბელამ მემკვიდრეობა მიიღო და ვინაც მთელი თავისი ცხოვრება მხატვრობას შეალია, მკვლელობის თემით ისე იყო გატაცებული, კაცობრიობის ისტორიაში, დაწყებული იულიუს კეისრით და გენერალ უილსონით[2] დამთავრებული, ყველა მსგავსი მოვლენის დახატვა მოასწრო.

როცა იმ ნახატებზე მუშაობდა, სადაც არეულობის დროს საკუთარი მკვლელობის ამბავი უნდა გადმოეცა, თავის მამულში საფარიდან თაეს დაესხნენ, თოფი ესროლეს და მოკლეს. და აი, ნოემბრის ერთ უღიმღამო დილას მის ფლისი თავისი ძმის იმ ნახატის წინ იჯდა, რომელსაც

---

[1] რიჩარდ დე კლერი – პემბროკის მეორე გრაფი (დაახლოებით 1130-1170), ირლანდიის ინგლისელი დამპყრობელი. 1171 წელს თავი ირლანდის მეფის მემკვიდრედ გამოაცხადა. 1174 წელს გაანადგურა ირლანდიის ლაშქარმა

[2] გენერალი უილსონი მოკლულ იქნა ირლანდიელი ნაციონალისტების მიერ 1922 წელს

„აბრაამ ლინკოლნი თეატრის ლოჟაში“[1] ერქვა და უყურებდა, რომ უცებ გაიფიქრა, კარგი იქნება შობა დღეს სახლში საღამოს წვეულებას თუ გავმართავო. ალბათ, არ ღირს ამ ქალის გარეგნობა ზუსტად ან თუნდაც რამდენადმე არეულად აღვწერო, ვინაიდან ბევრ რამეში მისი გარეგნობა არც თუ ისე შეესაბამებოდა მის ხასიათს. იგი ოთხმოც წელს უკვე გადაცილებული იყო, იყო ლოყაწითელი, ჰქონდა თხელი, ჭაღარა თმა, ცხენის კუდივით შეკოჭილი და მხრებზე დაშვებული. ჰქონდა დიდი, ლურჯად დაძარღვული ცხვირი, ღია ცისფერი თვალები, ცარიელი, უაზრო გამოხედვა და ხალისიანი ღიმილი. ლაპარაკობდა ნამდვილი ირლანდიური აქცენტით. იმის გამო, რომ დიდი ხნის წინ იმ ცხენიდან გადმოვარდა, რომელსაც დილიდან დაღამებამდე ბილინგარულ მეძებარ ძაღლებთან ერთად წინ და უკან დააქროლებდა, ქვაზე დაეცა და დაკოჭლდა. ის, რომ მას შემდეგ მის ფლისი ცხენზე აღარასოდეს მჯდარა, მის ამ მდგომარეობამდე მიყვანას საბოლოო წერტილი მთვრალმა, მხიარულმა და ხუმარა ექიმმა დაუსვა. იყო შემთხვევები, როცა იგი ფლისტაუნთან ახლოს ფეხით იმ ადგილებში მისულა, სადაც მწევრებით ნადირობდნენ და მონადირეები გაუკრიტიკებია. მაგრამ, მერე და მერე სულ უფრო იშვიათად ჩნდებოდა და ნაცვლად ძველი ნაცნობებისა, ახალსა და ახალ უცნობ სახეებს ხედავდა.

ისინი, მართალია, იცნობდნენ, მაგრამ ბელა მათ არ იცნობდა. მთელ იმ მხარეში იგი საყვარელ დასაცინ ობიექტად იყო ქცეული. „ამ დღემ ფუჭად ჩაიარა, – იტყოდნენ ხოლმე ფლისტაუნელები, – მელა, მართალია, დავიჭირეთ, მაგრამ მაშინვე გაგვექცა, სამაგიეროდ, ბელა ვნახეთ, ნეტავ ეს დედაბერი კიდევ რამდენ ხანს გაატანს, ლამის უკვე ოთხმოცდაათს უკაკუნებს... მამაჩემს კარგად ახსოვს, სანადიროდ როგორ დადიოდა, სულ ქარივით დაქროდაო...“

თვითონ ბელაც უკვე ხშირად ფიქრობდა მოახლოებულ სიკვდილზე. გასულ ზამთარს, მართალია, ძალიან ავად იყო, მაგრამ აპრილში, როგორც ყოველთვის, ლოყებავარდისფერებული გამოცხადდა, ეგ არის, ცოტა მოძრაობა უჭირდა და ველარც ისე სხარტად აზროვნებდა. ბელამ ბრძანა, უფრო მეტად შეეწუხებინათ თავი, მამისა და ძმის საფლავებისთვის უფრო

---

[1] ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტი აბრაამ ლინკოლნი 1805 წელს მოკლეს მიწათმფლობელობის მომხრეებმა თეატრის შენობაში

უკეთესად მოეელოთ. ივლისში კი მართლაც უცნაური რამ ჩაიდინა – სახლში დაპატიჟა თავისი ის მემკვიდრე, რომელთან შეხვედრაზეც აქამდე უარს კატეგორიულად ამბობდა. ეს იყო მისი შორეული ნათესავი, საუთ-კენინგტონში მცხოვრები ახალგაზრდა ინგლისელი კაცი, სახელად ბენკსი, რომელიც ვიქტორიისა და ალბერტის მუზეუმში მუშაობდა. მასთან იგი აგვისტოში ჩამოვიდა და ჩამოსვლისთანავე ყველა თავის მეგობარს გრძელი და სასაცილო წერილები მისწერა, სადაც ბელა ფლისთან სტუმრობას დაწვრილებით აღწერდა და თავისი ეს შთაბეჭდილებები შემდეგში ასევე დაწვრილებით მოთხრობა „სპექტოიტორისში“ გაიმეორა. ბელამ არჩი ბენკსი, ვინც რქის ჩარჩოში ჩასმულ სათვალეს ატარებდა, რადიოდიქტორივით ლაპარაკობდა და მთელ დროს ბუხრის ფილებისა და კარის სახელურების ფოტოგრაფირებაში ატარებდა, პირველი დანა-ხვისთანავე შეიძულა. ერთხელაც ბიბლიოთეკაში ნაპოვნი, ხბოს ტყავში ჩასმული მთელი ერთი დასტა წიგნებით ხელში ბენკსი ბელასთან მივიდა და ეკითხება:

– ამ წიგნების შესახებ თუ იცოდით?

– დიახ, – იცრუა ბელამ.

– ეს ხომ პირველი გამოცემებია, ალბათ, ძალიან ძვირი ღირს?

– ახლავე ადგილზე დააწყეთ!

ბენკსი წიგნებს ბელასადმი გამოგზავნილ იმ წერილშიც ახსენებდა, სადაც მადლობას უხდიდა მიღებისთვის და სადაც მის მიერ იმ წიგნების გადაღებული ფოტოც იდო. ამ ამბავმა ბელა საგონებელში ჩააგდო. მაინც რაში დასჭირდა იმ ლეკვს, ჩემი სახლის ყველა კუთხე-კუნჭულში ცხვირი რატომ ჩაყო, ფასით რატომ დაინტერესდა, მე ხომ ჯერ ისევ ცოცხალი ვარო?! და რაც უფრო მეტს ფიქრობდა ამაზე, მისთვის მით უფრო აუტანელი ხდებოდა ის აზრი, რომ არჩი ბენკსი მის წიგნებს საუთ-კენსინგტონში წაიღებდა, ბუხრის ფილებს მოხსნიდა და როგორც ამბობდა, მისი სახლის შესახებ „არქიტექტურული მიმომხილველისათვის“ ესეს დაწერდა. ბელას ბევრჯერ გაუგონია, წიგნები ძალიან ძვირფასი რამ არის, ძალიან ძვირი ღირსო, მას კი ბიბლიოთეკაში უამრავი წიგნი ჰქონდა, მაგრამ სულაც არ უნდოდა, ამ წიგნებით არჩი ბენკსი გამდიდრებულიყო და დუბლინელ წიგნით მოვაჭრესთან სასწრაფოდ წერილი აფრინა.

წიგნით მოვაჭრე, ცხადია, მაშინვე წიგნების სანახავად ჩამოვიდა, მთელ ბიბლიოთეკაში ათას ორასი, ხოლო იმ ექვს წიგნში, რომლებმაც არჩი

ბენკსის ყურადღება მიიქციეს, ათასი ფუნტი შესთავაზა. ბელამ არ იცოდა, ჰქონდა თუ არა ამ წიგნების პირწმინდად გაყიდვის უფლება – ასე ხელაღებით თუ გავყიდი, მაშინვე ყველასთვის თვალშისაცემი იქნებაო და ომის ისტორიები და ქადაგებათა კრებულები, რაც ბიბლიოთეკის ძირითად ნაწილს შეადგენდა, დატოვა, წიგნით მოვაჭრეს კი ის ექვსი პირველი გამოცემა მიჰყიდა, რაშიც საბოლოო ანგარიშში, მართალია, გადახდილზე ნაკლები აიღო, მაგრამ, სამაგიეროდ, ზამთარს ჯიბეში ათასი ფუნტით შეხვდა. სწორედ ამის გამო იყო, რომ გადაწყვიტა, საღამოს წვეულება მოეწყო. ბელინგარში შობა დღეს ყოველთვის რამდენიმე მეჯლისი იმართება, მაგრამ ეს ბოლო წლებია მეჯლისზე ბელა არავის დაუპატიჟებია. ზოგს იმიტომ, რომ ადრე არ იცნობდა, ზოგს ეგონა, არ მოვა, სურვილი არ ექნებაო, ზოგს კი წარმოდგენა არ ჰქონდა, მასთან თავი როგორ უნდა დაეჭირა. ბელას სტუმრად სიარული ძალიან უყვარდა. უყვარდა ახმაურებულ ოთახში ჯდომა, საცეკვაო მუსიკის მოსმენა და იმაზე ლაქლაქი ვინ ვისზე ლამაზი იყო ან ვინ ვის ეარშიყებოდა. უყვარდა დალევაც, დიდ სიამოვნებას ჰგვრიდა, ნაირნაირი კერძები წითელ კამსოლებში გამოწყობილ ლაქიებს რომ შემოჰქონდათ. მართალია, სიძულვილით იხსენებდა მასპინძელი დიასახლისის წარმომავლობას და ამით თავის დამშვიდებას ცდილობდა, მაგრამ მისთვის მაინც ძალზე გულსატკენი იყო, როცა გაიგებდა, სადაც მეზობლად საღამოს წვეულებას მართავდნენ და მას იქ არავინ ეპატიჟებოდა.

ახლაც აბრაამ ლინკოლნის სურათის წინ იჯდა, ხელში გაზეთი ეჭირა, ბაღის გაშიშვლებულ ხეებს გაღმა გორაკებს დაჟინებით გასცქეროდა, რომ უცებ სტუმრების დაპატიჟება გადაწყვიტა, მაშინვე წამოდგა, ზართან მისასვლელად ოთახი კოჭლობით გაიარა, ზარი დარეკა, მწვანე მაუდის წინსაფრიანი მსახურთუფროსი მაშინვე მის ბუდუარში გამოცხადდა და დიასახლისისთვის რომ ეჩვენებინა, როგორი დაკავებული იყო, ხელში ვერცხლეულის გასაწმენდი ჯაგრისი ეჭირა.

– თქვენ მეძახდით?

– მე, აბა სხვა ვინ?

– მე კი აგერ ვერცხლეულს ვწმენდდი.

– რაილ, – თქვა ბელამ, ცოტა არ იყოს, აღგზნებულმა, – საშობაოდ მინდა მეჯლისი მოვაწყო.

– რას ბრძანებთ?! – გაიოცა მსახურთუფროსმა, – ამ სიბერეში ცეკვა ხომ არ მოგინდათ?

მაგრამ როცა ბელამ თავისი გეგმა გააცნო, რაილს თვალები გაუბრწყინდა, ეტყობა, მოეწონა:

– ოცდახუთი წელია ჩვენს ამ მხარეში ასეთი მეჯლისი არ ყოფილა, ალბათ, მთელი ქონება ეღირება.

– დიახ, მთელი ათასი ფუნტი! – თქვა ბელამ თავმომწონედ.

მზადებას ხელგაშლილად შეუდგნენ. სოფელში დაქირავებულ შვიდ ახალ მსახურს მტვრების დაწმენდა, ავეჯის გაპრიალება, ფარდების დაბერტყვა და ყველაფრის წესრიგში მოყვანა დაავალეს, მაგრამ მათმა დიდმა გარჯამ და მონდომებამ ახალი პრობლემები გააჩინა – დიდი ხნის გამომშრალი თაბაშირის ნივთები ბუმბულის საგველათი წმენდისას ჩამოიფხვნა, წითელი ხის, მატლებისგან დაკრილული იატაკის ფიცრები, თავის ლურსმნებიანად და მასზე დამაგრებული ხალიჩებიანად აიყარა, დიდ სასტუმრო ოთახში, ბუფეტს უკან, აგურის გაშიშვლებული კედელი გამოჩნდა და სახლს მღებავების, ავეჯის გადამკვრელების, მეწყალსადენეების ტალღა-ტალღაზე მოაწყდა. გახალისებულმა ბელამ დარბაზში ლავგარდნებსა და სვეტის თავებზე ვარაყის გაახლება ბრძანა. ფანჯრებს ახალი მინები ჩაუსვეს, ნარიმანებიდან ამოცვენილი მოაჯირის წკირები თავის ადგილას ჩააბრუნეს, კიბის ფიანდაზები გაწი-გამოწიეს, რათა დაძენძილი ნაპირები სტუმრებს მაშინვე თვალში არ სცემოდა.

ბელა მთელ დღეებს შეუსვენებლივ მუშაობდა, მიმოდიოდა სასადილო ოთახსა და დარბაზს შორის, ადიოდა და ჩამოდიოდა უშველებელი გრძელი დერეფნის კიბეზე, ჭკუას არიგებდა დაქირავებულ მსახურებს და მსუბუქი ავეჯის გადადგმ-გადმოდგმაში ეხმარებოდა. როცა ამ ყველაფერს მორჩა, სასტუმრო ოთახში წითელი ხის იატაკის ფიცრებზე საპნით ცხიმის ლაქების მოშორება-გაპრიალებას მოჰყვა. მერე მეზონინში ზანდუკებიდან ვერცხლის ჭურჭელი ამოალაგა, შემთხვევით აღმოაჩინა დიდი ხნის წინათ მივიწყებული ფაიფურის სერვიზები და ცოტაოდენი ძალადაკარგული, შემჟავებული შამპანურით სავსე ბოთლების დასათვლელად რიალთან ერთად ჩავიდა. საღამოობით დაღლილ-დაქანცული მუშები სამუშაოს რომ მორჩებოდნენ და წავიდ-წამოვიდოდნენ, ცოტა რომ დაესვენა, სამზარეულოს წიგნებს ფურცლავდა, კონკურენტული გასტრონომიული მაღაზიების პრეისკურანტებს ერთმანეთს ადარებდა, ადგენდა ცნობილი

ორკესტრების ანტრეპრენიორებისთვის გასაგზავნ ერცელ წერილებს. რაც მთავარია, ადგენდა სტუმრების სიას და მათი სახელები სეკრეტერზე დასტა-დასტა დაწყობილ ბარათებში გადაჰქონდა.

მოგეხსენებათ, ირლანდიაში მანძილს არაფრად აგდებენ, ადამიანები მთელი სამი საათი სიამოვნებით მგზავრობენ, რათა სადილის შემდეგ ვინმესთან ცოტა ხნით სანახავად შეიარონ. ასეთ შესანიშნავ წვეულებაზე წასასვლელად კი, აბა, ვინ რად ჩააგდებდა ან გრძელ გზასა და ან დაღლილობას. ბელამ, როგორც იქნა, მოათავა სტუმრების სიის შედგენა, რისთვისაც ათასნაირი ცნობარი, თავისი ერთბაშად გამოცოცხლებული მეხსიერება თუ რაილის მიერ მაღალი საზოგადოების შესახებ მოპოვებული ცხელ-ცხელი ცნობები გამოიყენა და თავისი მძიმე, ბავშვური ხელწერით ბარათებში დაპატიჟებულ სტუმართა სახელები, ხოლო კონვერტებზე მისამართები სიამოვნებით გადაიტანა. ამ საქმეს ბელამ რამდენიმე გრძელი საღამო მოანდომა, თუმცა მრავალი ის ადამიანი, რომელთა სახელებიც მოსაწვევ ბარათებში ეწერა, დიდი ხანია ამქვეყანას აღარ იყო – ზოგი საწოლს იყო მიჯაჭვული, ზოგიერთები კი, ვინც მას ჯერ კიდევ ბავშვი ჰყავდა ნანახი, უკვე საკმაოდ ხანდაზმულები და დედამიწის შორეულ კუთხეებში იყვნენ მიმოფანტულები. ბევრი ის სახლი, სადაც ბელას მოსაწვევის გაგზანავა ჰქონდა განზრახული, არეულობის დროს დაიწვა და ახლა მხოლოდ ნანგრევები იყო დარჩენილი. სხვა სახლებში კი, როგორც იტყვიან, „გარდა ფერმერებისა, არავინ ცხოვრობდა“. ბელამ, როგორც იქნა, ბოლო კონვერტს მისამართი წააწერა, ბოლო მარკა დააკრა და მაგიდიდან ჩვეულებრივზე გვიან წამოდგა. ხელ-ფეხი დაბუჟებული ჰქონდა, თვალები დაბინდული, ენა ირლანდიის თავისუფალი სახელმწიფოს საფოსტო უწყებების წებოსგან გასქელებული. ოდნავ თავბრუც ეხვეოდა, მაგრამ, მაგიდა მხოლოდ მაშინ ჩაკეტა კმაყოფილმა, როცა სტუმრების მისაღებად საჭირო ყველა საპასუხისმგებლო საქმე მოწესრიგებული დაიგულა.

* * *

– ბელა ფლისის საღამოს წვეულების შესახებ ხომ არაფერი გაგიგიათ? – ჰკითხა ლედი გორდონმა ლედი მოკსტოკს, – ამბობენ, წვეულებას მართავსო, მაგრამ მოსაწვევი მე არ მიმიღია.

– არც მე. იმედი მაქვს, არ დავავიწყდებოდი ბებრუხანას, წასვლით კი უსათუოდ წავალ, მის სახლში არასოდეს ვყოფილვარ. ვფიქრობ, იქ ბევრი ლამაზი ნივთია.

თქვა და ნამდვილი ინგლისელი ლედისთვის ჩვეული თავშეკავებით მიანიშნა, რომ ფლისტაუნების საღამოს წვეულების შესახებ არაფერი იცოდა. ეს ის ლედი გახლდათ, ვის ქმარსაც მოკჰოლი იჯარით ჰქონდა აღებული.

* * *

წვეულებამდე დარჩენილ დროს ბელამ მთელი თავისი ყურადღება საკუთარი გარეგნობის მოწესრიგებას მოანდომა. რამდენი წელია გარდერობი არ გაუახლებია, იმ დუბლინელ თერძს კი, უწინ ვისი დამკვეთიც იყო, სამკერვალო უკვე დაკეტილი ჰქონდა. ერთ ხანს თავს იმ არც თუ ისე ჭკვიანური აზრით იქცევდა,ამისთვის შეიძლება ლონდონში ან პარიზშიც წავიდეო, მაგრამ დროის უქონლობის გამო, იძულებული გახდა, უარი ეთქვა თავის ამ გადაწყვეტილებაზე. ბოლოს, როგორც იქნა, ერთი შესაფერისი მაღაზია აღმოაჩინა, სადაც ატლასის არაჩვეულებრივად თვალისმომჭრელი ჟოლოსფერი კაბა, თეთრი, გრძელი ხელთათმანები და ატლასისავე ფეხსაცმელი შეიძინა; მაგრამ თავის ძვირფასეულობაში დიადემა ვერ იპოვა, სამაგიეროდ, გამოქექა უამრავი პრიალა ვიქტორიანული ბეჭედი, რომელთაც ერთმანეთისაგან ვერ განასხვავებდი, რამდენიმე ძეწკვი, მედალიონი, მარგალიტის გულსაბნევი, ფირუზის საყურეები და ძოწის ყელსაბამი. ბოლოს, დუბლინიდან პარიკმახერიც გამოიძახა.

წვეულება დღეს, დილიდან ძალიან ადრე გაიღვიძა, ნერვიული აგზნებულობისაგან ტანში ცოტა ამცივნებდა და ლოგინში გვერდიდან გვერდზე მანამდე იტრიალა, ვიდრე მასთან ვიღაც არ შევიდა. იწვა და ზეიმისთვის მზადების თითოეულ დეტალს, ვინ იცის, მერამდენედ აწონ-დაწონიდა. შუადღემდე მთელი თავისი არსებით იმაზე დაკვირვებით იყო შთანთქმული, ასობით სანთელს უშველებელ შანდლებში როგორ ანაწილებდნენ, სამ უოტერფორდული ბროლის უზარმაზარ ჭაღს საცეკვაო დარბაზსა და ვახშმისათვის განკუთვნილ ოთახში როგორ კიდებდნენ, ვერცხლის ჭურჭლით მაგიდებს როგორ აწყობდნენ და სირჩებსა და ბოკლებს თავთავის ადგილებზე როგორ დგამდნენ. არც იმის შემოწმება დავიწყებია, ეწყო თუ არა ბუფეტის ახლოს ყინულით სავსე ვეებერები. დაეხმარა დარბაზისა

და კიბის ქრიზანთემებით მორთვაში, მაგრამ მთელი ის დღე პირში ლუკმა არ ჩაუდვია, თუმცა რაილი მიმწოდებლების მიერ შემოტანილი უგემრიელესი საჭმელებით მის მოხიბვლას ცდილობდა, დელიკატესების პატარ-პატარა ლუკმებს სთავაზობდა და გასინჯვას სთხოვდა. ბოლოს, თავი ბელამ სუსტად იგრძნო, წამოწვა, მაგრამ მალე ისევ წამოდგა, რათა დროებით დაქირავებული მსახურების ლივრეებზე გერბიანი ღილები თავისი ხელით დაეკერებინა.

სტუმრები საღამოს რვა საათისათვის იყვნენ დაპატიჟებულნი, მაგრამ, ძალიან ადრე ხომ არ არისო, ბელა ღელავდა, ვინაიდან, გაგებული ჰქონდა, რომ საღამოს წვეულებები ახლა გაცილებით გვიან იწყებაო, თუმცა დღის მეორე ნახევარი ისე უსაშველოდ გაიჭიმა, დრო ისე ნელა გადიოდა, რომ როცა საღამოს ბინდმა მთელი სახლი მოიცვა, როცა ამ ქანცისგამწყვეტ ლოდინს, როგორც იქნა, ბოლო მოეღო, ისე გაიხარა, რომ ექვსი საათიც არ იყო, ზევითა სართულზე ავიდა, რათა ჩაეცვა და მოწესრიგებულიყო.

პარიკმახერი უკვე სავარცხლებითა და მაშებით სავსე საკვოიაჟით ელოდა. თმა მანამდე ეარცხნა, მანამდე ეხვია და უჩეჩა, მანამდე უტრიალა, ვიდრე ისე არ დავარცხნა, ისე არ აუფუმფულა, როგორც ჯერ არს.

როცა მთელი თავისი ძვირფასეულობა აისხა და ჩაცმულ-დახურული თავის ოთახში დიდი, მბრუნავი სარკის წინ დადგა, გაოცებისგან პირიც კი დააღო. მერე ქვევით, კიბეზე კოჭლობით ჩავიდა.

სანთლებით გაბდღვიალებული სახლი დიდებული სანახავი იყო. ყველანი უკვე თავიანთ ადგილებზე იყვნენ – ორკესტრიც, თორმეტი დაქირავებული ლაქიაც და ბრიჯებსა და შავი აბრეშუმის წინდებში გამოწყობილი რაილიც.

აი, საათმა რვაჯერ დარეკა. ბელა სტუმრებს მოუთმენლად ელოდა, მაგრამ მომსვლელი ჯერ არავინ ჩანდა.

ბელა კიბის ზედა ბაქანზე ავიდა, მოვარაყებულ სკამზე დაჯდა და ჩამქრალი ცისფერი თვალებით ცარიელ სივრცეს მიაშტერდა. დარბაზსა, გარდერობსა და სასტუმროში ლაქიები შეწუხებულები ერთმანეთს თვალით ანიშნებდნენ – ნეტავი ეს დედაბერი რაღას უცდის, რაღას ელოდება, ათ საათამდე სადილს სულერთია არავინ მორჩებაო.

ქუჩაში კი მსახურები სტუმრების დასახვედრად ფანრით ხელში იდგნენ, სიცივისგან გაყინულები ფეხს ფეხზე ურტყამდნენ და გათოშილ ხელებს იფშვნეტდნენ.

* * *

ღამის პირველი საათი იქნებოდა, ბელა სკამიდან რომ წამოდგა, მის გაყინ'ულ, 'უმეტყველო სახეზე ვერაფერს ამოიკითხავდით.

– რაილი, ახლა, ალბათ, ვივახშმებ... რაღაც კარგად ვერ ვარ... – თქვა და კოჭლობით სასადილოსკენ გასწია.

– ღვინო და ფარშირებ'ული გნოლი მომართვით. ორკესტრს 'უბრძანეთ, და'უკრან.

მთელ სახლ'ში „ცისფერი დ'უნაის" მელოდია გაისმა. ბელამ მოწონების ნიშნად გაიღიმა და მ'უსიკის ტაქტს თავი ააყოლა.

– რაილი, მართლაც, ძალიან მშია, მე დღეს არაფერი მიჭამია... კიდევ მომართვით გნოლი და შამპანური.

რაილიმ აკიკაკიკებ'ულ სანთლებსა და დაქირავებულ ლაქიებს შორის მარტოდმარტო მჯდომარე თავის ქალბატონს დიდებული ვახშამი მიართვა. ბელა სიამოვნებით შეექცეოდა საჭმელს, თითოეული ლუკმა ნეტარებას ჰგვრიდა. ბოლოს ჭამას მორჩა და სკამიდან წამოდგა:

– ეტყობა, რაღაც მოხდა, ალბათ, აღარავინ მოვა, ძალიან საწყენი და გ'ულსატკენია, თანაც ჩვენი ამ დიდი მცდელობის მიუხედავად!.. მ'უსიკოსებს 'უთხარით, სახლებში წავიდნენ.

სწორედ იმ დროს, როცა იგი სასადილოდან გამოდიოდა, ჰოლში 'უცებ ფაციფ'უცი ატყდა და სტ'უმრებიც გამოჩნდნენ. ბელა კიბეს ეცა – რადაც არ 'უნდა დაუჯდეს, კიბის ზედა ბაქანზე მანამდე 'უნდა ააღწიოს, ვიდრე სტ'უმრების მოსვლას მოახსენებენ. ცალი ხელი მოაჯირზე 'უკიდია, მეორე ხელით ჯოხს ეყრდნობა, გ'ული ამოვარდნაზე აქვს – ჩქარა, ჩქარა! და აი, სტ'უმრებისკენ პირშებრ'უნებული იგი 'უკვე კიბის ზედა ბაქანზე დგას, თვალები ებინდება, ყ'ურები 'უბზ'უის, სული ეხ'უთება, მაგრამ ბ'უნდოვნად მაინც ხედავს, ოთხი ადამიანი როგორ შემოდის, რაილი როგორ ეგებება და როგორ წარმოთქვამს:

– ლორდი და ლედი მოკსტოკები!.. სერ სამოელი და ლედი გორდონი!..

ბელას ირგვლივ ჩამოწოლილი ბ'ურ'უსი ერთბაშად გაიბნევა და კიბის საფეხ'ურებზე გარკვევით იმ ორ ადამიანს – ავეჯის გადამკვრელის ქალი-შვილს – ლედი მოკსტოკსა და ამერიკელ ლედი გორდონს დაინახავს, იმ ორ ქალს, ვინც მას არ დაუპატიჟ'ებია. 'უცებ საშინლად იძაბ'ება, სტ'უმრებს გამოცარიელებ'ული ცისფერი თვალებით შესცქერის:

– უკაცრავად, მაგრამ თქვენი ესოდენი პატივით მიღება არ გამითვალისწინებია.

მოკსტოკები და გორდონები ადგილზე გახევდნენ – უყურებენ დიასახლისის ცარიელ, უაზრო თვალებს, მის ჟოლოსფერ, თვალისმომჭრელ კაბას და მის უკან თავისი სიცარიელის გამო უზარმაზარ საცეკვაო დარბაზს. ყურებში ცარიელი სივრციდან ექოდ წამოსული მუსიკა ჩაესმით. ჰაერი ქრიზანთემების სურნელით არის გაჟღენთილი... უცებ დაძაბული, არაბუნებრივი ვითარება სრულიად ქრება, მის ფლისი სკამზე დაეშვება, ხელებს მსახურთუფროსისკენ გაიშვერს და ჩუმად ჩაილაპარაკებს:

– არა, ვერ გამიგია, რა ხდება...

* * *

რაილმა და ორმა დაქირავებულმა ლაქიამ მოხუცი ტახტზე დააწვინეს. ბელას თავში ისევ ის ამბავი უტრიალებდა, მაგრამ მხოლოდ ამ ორიოდე სიტყვის თქმა მოასწრო:

– მე ეს ორი ქალი არ დამიპატიჟებია... სხვები არ მოვიდნენ...

მეორე დღეს ბელა გარდაიცვალა.

* * *

დაკრძალვაზე მისტერ ბენკსიც ჩამოვიდა და ბელა ფლისის ნივთების გადასარჩევად ორი კვირა დარჩა. როცა მის სეკრეტერს ათვალიერებდა, ნახა, რომ სეკრეტერში წვეულებაზე დაპატიჟებულთათვის გამზადებული, მარკადაკრული და მისამართწაწერილი კონვერტები ისევ ისე ხელუხლებელი ელაგა.

თარგმნა ლილი მჭედლიშვილმა

სარჩევი

თეოდორ დოსტოევსკი
თვინიერი 5
თარგმნა რუსუდან ქებულაძემ
ბერნარდ შოუ
სერენადა 43
თარგმნა რუსუდან ბეჟაშვილმა
კეტრინ მენსფილდი
ნეტარება 53
თარგმნეს ელენე გედევანიშვილმა და ლია აბულაძემ
ბოლესლავ პრუსი
წარსულის ხმები 69
თარგმნა თამაზ ჩიქვანაიამ
იოჰან ავგუსტ სტრინდბერგი
საპატიო ყარაული 79
თარგმნა თამაზ ჩიქვანაიამ
ივან ბუნინი
პატარა რომანი 91
თარგმნა ლილი მჭედლიშვილმა
ჯეიმზ ჯოისი
უბედური შემთხვევა 103
თარგმნა ლია იმერლიშვილმა
ანატოლ ფრანსი
ბალთაზარი 115
თარგმნა რუსუდან დოდაშვილმა
ანიბალ მაშადო
როიალი 131
თარგმნა თამარ ტურიაშვილმა
ოლდოს ჰაქსლი
პორტრეტი 155
თარგმნა ნანი წერეთელმა
ფრენსის სკოტ ფიცჯერალდი
ხანგრძლივი მოლოდინი 169
თარგმნა თამაზ ჩიქვანაიამ
იასუნარი კავაბატა
იძულელი მოცეკვავე გოგონა 177
თარგმნა ლილი მჭედლიშვილმა

იუჰან ბორგენი
ბედნიერება 209
თარგმნა თინათინ კომპლატაძემ
ჰაინრიხ ბიოლი
მგზავრო, როს ჩახვალ სპა... 219
თარგმნა ნოდარ რუხაძემ
ეჟენ იონესკო
ორიფლამა 231
თარგმნა თეიმურაზ ქორიძემ
ჯონ ჩივერი
მონტრალდო 241
თარგმნა თამაზ ჩიქვანაიამ
ფრიდრიხ დიურენმატი
გეირაბი 251
თარგმნა თამაზ ჩიქვანაიამ
ტრუმენ კეპოტე
მირიამი 261
თარგმნა ნიკოლოზ კენჭოშვილმა
იუკიო მისიმა
პატრიოტიზმი 275
თარგმნა თეიმურაზ ქორიძემ
გაბრიელ გარსია მარკესი
დაკარგული დროის ზღვა 297
თარგმნა თეა გვასალიამ
მილორად პავიჩი
ხანგრძლივი ღამეული ცურვა 315
თარგმნა ლილი მჭედლიშვილმა
უმბერტო ეკო
ეს 323
თარგმნა ლილი მჭედლიშვილმა
მარეკ ხლასკო
პირველი ნაბიჯი ღრუბლებში 329
თარგმნა ლილი მჭედლიშვილმა
რიჩარდ ბახი
არ არსებობს ადგილი შორეთი 339
თარგმნა რუსუდან ღვინეფაძემ
ივლინ ვო
საღამოს წვეულება ბელა ფლისთან 345
თარგმნა ლილი მჭედლიშვილმა

კომპიუტერული წყობა – გია მიროტაძე
ოპერატორი – გიული ნარიმანიძე
კორექტორი – მარინა ტომარაძე
სამხატვრო და ტექ. რედაქტორი – გია ჩიქვანაია

გამომცემლობა „დია“
ზანდუკელის ქ. №1
ელექტრო ფოსტა – www dia_pub@mail.ru
ტელ. – 52-16-69